

ოთარ ჭილაძე

გოდორი

რომანი

ოთარ ჭილაძე
გოდორი

რედაქტორი და ბოლოსიტყვაობის ავტორი
მაღნაზ ხარბუღია

ტექნიკური მომსახურება
თამაზ ჩხაიძე

მხატვარი
ნანა ჭილაძე

გარეკანზე გამოყენებულია დეტალი იერონიმუს ბოსხის ნახტიდან

Otar Chiladze
GODORI

მეორე გამოცემა. 2006

© ოთარ ჭილაძე, 2003
© "არეტე", 2006

© Otar Chiladze, 2003
© "Arete" 2006

ISBN 99940-54-46-5

სარჩევი

გოდორი

პირველი ნაწილი..... 7

I	9
II	55
III	93
IV.....	117
მეორე ნაწილი	157
მესამე ნაწილი.....	247
I	249
II	287
III	323

ბოლოსიტყვაობა

მუმლის ბურუსი	353
---------------------	-----

პირველი ნაწილი

"და აღდგნენ შვილნი მამა-დედათა
ზედა და მოჰკვლიდნენ მათ"

მათე /10-20/

როცა რომის პაპმა პიომ ბიზანტიიდან ოსმალების განდევნა განიზრახა, უფრო სწორად კი, ერთხელ კიდევ ამოდ სცადა ნადირობებს, ნადიმებსა და ტურნირებს გადაგებული ევროპის გამოფხიზლება, სცადა როგორმე შეეგნებინებინა მისთვის, თუ რა ძნელი მოსარევი გახდებოდა ხვალ და ზეგ, რამდენჯერ აატიკებდა აუტიკივარ თავს აზიის იდუმალი, შეუღწეველი სივრცეებიდან ყველასათვის მოულოდნელად გამომტყვრალი ჯერ კიდევ ჩვილი ურჩხული, რომელსაც უკვე ეგემნა ევროპელის ჩიხია და სიამოვნებით ილოკავდა სისხლიან ტუჩებს, რასაკვირველია, სამოქმედო გეგმაც შეადგინა წინასწარ და, პირველ რიგში, საქართველოში აფრინა დესპანი, ვინმე ლუდოვიკო ბოლონიელი, რამდენადაც, აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოებიდან სწორედ საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო თანადგომის იმედი ჰქონდა ყველაზე მეტად, მაგრამ თავისი წინამორბედების, ნიკოლოზ მეხუთისა და კალის მესამის მსგავსად, იმასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ვერც დასავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების შეშინება შესძლო, ვერც აღმოსავლეთის ქრისტიანი სახელმწიფოების გადმობირება, უფრო მეტიც, ლუდოვიკო ბოლონიელს საქართველო თავის ადგილზე აღარ დაუხვდა, ანუ, ის საქართველო — რაინდული კეთილშობილებითა და მეომრული შემართებით სახელგანთქმული ქვეყანა — რომლის იმედითაც გამოეველო არც მთლად უხიფათო და საკმაოდ გრძელი გზა (რაკი ბოსფორი უკვე ოსმალოს ეკავა), ფაქტიურად, აღარ არსებობდა, მაგრამ რომში რას იფიქრებდნენ, მონღოლთა ორასწლიანი ბატონობა სამუდამოდ თუ დაშლიდა და დააქცევდა სახელოვან, თავმომწონე, ლაშქარმრავალ და ყმიან ქვეყანას, თუმცა, დიდად წოდებულ ალექსანდრე პირველს, ერთი პირობა, უცდია წინაპართა სახელისა და გავლენის დაბრუნება, ლეშის სუნზე მოცუხცუხებული მეზობლებიც დაუფრენია და საგუშავო ციხე-კოშკებიც აღუდგენია საზღვრებზე, მაგრამ მაინც ვერაფერს გამხდარა მონობაში გარყვნილსა და გაქსუებულ სანათესაოსთან — ცოლშვილთან, ძმებთან თუ ძმისშვილებთან — ლამის მასთან ერთად რომ სხდებოდნენ ტახტზე და მასთან ერთად აწერდნენ ხელს ნებისმიერ სიგელ-გუჯარს... ისიც ამდგარა და, ბერად აღკვეცილა, მიუფურთხებია მიწიერი ცხოვრებისთვის, სვეტიცხოვლის გვერდით ეკვდერი აუშენებია და, ათანასედ მონათლული, იქიდან თუ გამოხედავდა ხოლმე თავგზაარეულ, აღვირახსნილ ქვეყანას; აღარც ცოლი სდომებია, აღარც შვილი; აღარც რძალი, აღარც სიძე; ეტყობა, გრძნობდა, რა მიუტევებელი, რა ჯოჯოხეთური დანაშაული ჩაიდინა ღმერთისა და ქვეყნის წინაშე, თავები რომ არ დააყრვეინა იმათ და, ეტყობა, მზად იყო, ნებისმიერი ტანჯვითა და წამებით მოენანიებინა თავისი ცოდვა, მაგრამ, მისდა ბედად, მალე გარდაიცვალა და ლუდოვიკო ბოლონიელი რომ ჩამოვიდა საქართველოში, მისი მემკვიდრეები უკვე დასანახავადაც ვერ იტანდნენ ერთმანეთს, უკვე მოურიდებლად და გარკვეული სიამოვნებითაც კი, გლეჯდნენ და აჩანაგებდნენ საერთო სამშობლოს, როგორც სვავეები — უპატრონო ვირის ლეშს...

მას მერე ინგრეოდა, ნადგურდებოდა, თვალსა და ხელს შუა ქრებოდა წინაპართა სისხლითა და ოფლით, ხმლითა და წიგნით, წვითა და დაგვით ნაშენები ქვეყანა. წყალს მიჰქონდა ნაფოტივით, ქარს მიჰქონდა თივის ბულულივით, ორი მეფის, ოთხი მთავრის, ერთი ათაბაგისა და უთვალავი თავად-აზნაურის უკუდო ამპარტავნობას გადაყოლილი, მათ სიხარბესა და სივერაგეს ვერგაწვდენილი... ყურისწამდებად ღრიალებდა ნალარა, ღმუოდა ღოროტოტო, გმინავდა ბუკი, გულზე სკდებოდა დოლი და დიპლიპიტო... სოფელ-სოფელ, ეზო-ეზო გროვდებოდა სტამბოლის მონათა ბაზარზე გასაყიდი გოგო-ბიჭები... ლაგამაქაფებული, კბილდაკრეჭილი, გაგიჟებული ცხენები ავად აბრიალებდნენ ბილიარდის ბურთისხელა თვალებს... კვარის ჭვარტლით გამურული მეციხოვნეები წინ და უკან დარბოდნენ ქონგურებსზე, არ იცოდნენ, დღეს ვისთვის გადაესხათ კუპრი და ვისთვის მიერთმიათ ციხის გასაღები. დიდყურა გრიგოლასი არ იყოს, ისინიც ქვეყანას კი არ იცავდნენ მტრისგან, არამედ ავაზაკს მღვერისგან. მაგრამ ყველაფერზე ძნელი სწორედ მათი გარჩევა იყო, ავაზაკისა მღვერისგან და მღვერისა ავაზაკისგან, რადგან დღევანდელი მღვეარი ხვალ შეიძლება ავაზაკად მოვლენოდეთ და პირიქით. ამიტომ, თვალზე თვალი უნდა გამოებათ და ყურზე ყური — ვერ გაარჩევდნენ, ზედმეტ შარს გადაეყრებოდნენ, გაარჩევდნენ და, ზედმეტს იშოვნდნენ და შეირგებდნენ კიდევ. ხოლო, წაღლითა და ფიწლით შეიარაღებული მღვეარი, ცოტა ხანს კიდევ იყავანებდა ციხის დაგმანულ კართან და, ემანდ, მეც არ მიმაყოლონ ხელსო, კუდამოძუებული გაბრუნდებოდა უკან, რათა ერთი კარგად დაფიქრებულიყო, აეწონ-დაეწონა და, რაკი ძველმა არ გაუმართლა, ახალ გზას დასდგომოდა, ანუ, სხვათა მღვეარი, სხვათა საღვეარი გამხდარიყო თავად. აღარც მტერი არსებობდა, აღარც მოყვარე, ყველა ერთნაირად მტერმოყვარე იყო, მტერიცა და მოყვარეც ერთსა და იმავე ღროს. დღეს მტერი, ხვალ მოყვარე, ანდა, პირიქით, მდგომარეობისდა მიხედვით, შენ ხარ ჩემი ბატონი... მოკლედ, წინასწარ არავინ არაფერი იცოდა. უფრო სწორად, ერჩია ისიც არ სცოდნოდა, რაც იცოდა. ამიტომ, ყველა ერთნაირად იბრმავებდა თვალს, ანუ, თვალთმაქცობდა, სხვებთანაც და საკუთარ თავთანაც, რის გამოც, კიდევ უფრო კნინდებოდნენ, კიდევ უფრო ირყენებოდნენ, კიდევ უფრო იხრწნებოდნენ ყველანი, დიდიან-პატარიანად, კიდევ უფრო მახინჯდებოდნენ სულიან-ხორციანად, როგორც ერთმანეთის, ისევე სხვათა თვალში. "მონა ღვთისა — ყმა ხონთქრისაო" — ამყად გაიძახოდა ორიდან ერთი მეფე, რასაკვირველია, უფრო თავისიანების დასაფრთხობად, ვიდრე ხონთქრის შესაცდენად. არც მეორე მეფეს ადგა უკეთესი დღე. ერთი ხელი ირანის შაჰისთვის გაეშვირა, მეორე — რუსთხელმწიფისთვის, და ერთნაირად მაღლიერი იყო ორივესი, რამეს დაუგდებდნენ ზედ თუ დააფურთხებდნენ, რადგან მესამე ხელი არ ჰქონდა, ჩოხა მაინც ჩამოექანა გათავხეებული ქვეშევრდომისთვის...

მოკლედ, იქამდე ვერ მოეგნენ გონს ჩვენი ბედდამწვარი მეფეები, ვიდრე ქართველი ალექსანდრე პირველის დაშლილსა და დაქუცმაცებულ ქვეყანას რუსმა ალექსანდრე პირველმა არ მოუყარა თავი იმპერიის ფაშეში, რათა მომავალში მხოლოდ იმპერიის უკანა ხვრელიდან მოვლენოდა საქართველო ქვეყანას, რამდენჯერაც საჭირო იქნებოდა და, თავისთავად ცხადია, უკვე სხვა ნივთიერებად გარდაქმნილი...

**რაზ-დვა-ტრი-და
შემოტრიალდი-და,
თოფი ხელში დაიჭირე,
ომში წამოდი-და...**

უკვე რუსულ-ქართულად თამაშობდნენ ჯარისკაცობანას ქართველი ბავშვები. "გულისფიცარი, აფიცარი ზედ დამეკონოსო" — ოხრავდნენ აღმოსავლური რინდით მისვავათებული ქართველი ბანოვნები, ახალს, უცხოურს დანატრებულნი, და რაკი ჟამმაც დაჰკრა, არც ახალმა და უცხოურმა დააყოვნა: იენერალ-მაიორი გრაფი გოტლიბ კურტ ჰენრის ფონ ტოტლებენი გამოეცხადათ "საკუთარი პერსონით". რა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ახალი და უფრო უცხოური ყარაყორუმებში, მოვაკანებში, ჯაჰანაბადებში გამოვლილი ქვეყნისთვის?! ყოჩალი, ყოყონი, ყეყეჩი ოფიცერი — აფიცარი — იმდროინდელი ქართულით. აბანოს ორთქლით სახეგაფუებული და ბრჭყვიალა ეპოლეტებით მხრებდამშვენებული, ფრიად ოდიოზური პიროვნება, საქართველოსთვის ასევე უცხო ხილის, ფრანგი არისტოკრატის, მოხალისე აგრესორის დე გრაი დე ფუას მეტად ზედაპირული და არასერიოზული დაკვირვებით, სამუდამოდ ჩამკეტავი (რუსეთისთვის) დარიალის ხეობისა, თავისი სიყოყონითა და სიყეყეჩით, სინამდვილეში კი, სამუდამოდ შემსხნელი (საქართველოსთვის) ჩრდილოეთის კარიბჭისა, სწორედ სიყოყონისა და სიყეყეჩის წყალობით. რომ იტყვიან, სულ სათითაოდ აგლეჯინა ბალანი პატარა კახს, ფრიდრის დიდის სამაგალითო გმირს, მაგრამ უკვე სიბერემორეულს და, ქართველი ალექსანდრე პირველისა არ იყოს, უკვე თავფეხიანად გახლართულს ოჯახური ინტრიგების ქსელში. ასე რომ, როცა ქართველთა ჰერკულესიც მიიცივალა, მის მემკვიდრეს სახელიდა შერჩა მეფისა. "რადას უცდი, შე მამაძაღლო — უყვიროდნენ, ვინ იცის, მისგანვე დარიგებული და ქუჩაში გამოსული სომხები — დროზე გააუქმე ეგ შენი ქეციანი სამეფო და შეგვაერთე რუსებსო". ისიც ადგა და შეაერთა. აბა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო, როცა ასე სურდა ბედისწერას?! სომხები ბედისწერის ნება-სურვილს გამოთქვამდნენ მხოლოდ. მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, როცა თავად გაქვს გასახიზნად საქმე, სხვა არ უნდა შეიხიზნო, ხოლო, თუ მაინც შეიხიზნავ, ყველაფერს ბედისწერას ნუ დააბრალებ. ხოდა, იმის მერე, აგერ უკვე ორასი წელია, ფუნქციადაკარგულ ხეობაში, მდინარესავით (მეორე მდინარესავით), შეუფერხებლად მოედინება (პირველი მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით), "სიყოყონითა და სიყეყეჩით" მითვისებული მიწების მტკვრით მუნდირგადათერებული აჩრდილი იენერალ-მაიორ გრაფ გოტლიბ კურტ ჰენრის ფონ ტოტლებენისა; ხოლო, მისი თანამედროვე და ჩვენი თანამემამულე მღვდელმთავარი დოსითეოს ნეკრესელი, ერთმორწმუნე "მფარველის" სისასტიკითა და უღმერთობით შეშლილი (გნებავთ, გაპოეტებული), მაგრამ მრავალთა და მრავალთა მსგავსად, მაინც ვერაფერში ვერ გარკვეული, ბატის წამახულ ფრთას ნელა, საქმისმცოდნის სიღინჯით აწობს სამელნეში, ჩვეულებრივ თიხის ჯამში, რომელშიც მინდვრის ყვაილების წვენიდან მონასტრული წესით დამზადებული მელანი ასხია, და (წერისას რომ არ მოუცურდეს), მარცხენა ხელის მტევნითა და იდაყვით გაკავებულ პერგამენტის ქაღალდზე, მსხვილი, აცაბაცა ასოებით გამოჰყავს: "არა არს ისრეთ ტკბილი, ვით მამულის სიყვარული"...

მისი მამული კი, უკვე შარავხადაა ქცეული: სამსრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან აკავშირებს რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიას. რაკი გზა გაჩნდა, მგზავრმაც არ დააყოვნა. ტყუილად ხომ არ უთქვამთ, "თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან ჩამოვაო". ჩამოვიდა კიდეც. სამხედროებს პოეტები მოჰყვენენ, პოეტებს — დიპლომატები, დიპლომატებს — ვაჭრები, ვაჭრებს — ცნობისმოყვარენი, ცნობისმოყვარეთ — ფულისა და ხიფათების მაძიებლები და ერთმანეთს გადაებნენ ეტლები, კარეტები, ოთხთვალეები, ტარანტასები თუ დროგები... მაგრამ ბუნებას ყველა ერთნაირად როდი დაუჯილდოვებია დანახვის უნარით, მით უფრო იმის დანახვის უნარით, რაც თვალთ არ ჩანს (ვთქვათ, სირცხვილის გრძნობა, მრისხანება...), რისი დანახვაც, მხოლოდ და მხოლოდ, პირადად შენს ადამიანურ თვისებებსა და მონაცემებზეა დამოკიდებული. უმრავლესობა აქ ჩამოსვლამდე ყურმოკრული ლეგენდის, ჭორისა თუ ანეკდოტის ტყვეობაში რჩებოდა ბოლომდე და არც აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს, რაც გზადაგზა, საფოსტო სადგურებში, ფუნდუკებსა თუ დუქნებში მოესმინა, ძირითადად, გველაძუა მედუქნეებისა და ახალი ხელისუფლების ვირეშმაკა ჩინოვნიკებისგან. ყოველ შემთხვევაში, არც ბავშვივით გაბითურებული ბებერი მეფის გულში ჩახედვა უცდია ვინმეს და არც დოსითეოზ ნეკრესელის გაპოეტებისა თუ გაგიჟების მიზეზთა დადგენა. მათთვის აქაც რუსეთი იყო და აქაურ აბორიგენებსაც დამტვრეული რუსულით მიმართავდნენ: "საბაკ, საბაკ, ნეტ კუსაიო". კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნებოდათ. ასეთი გახლდათ სინამდვილე. ხოლო, ისტორიული კანონზომიერების შედეგი იყო ეს სინამდვილე, ეროვნული სიბრძნისა თუ ჩვეულებრივი დაღატისა, ეს ნაკლებად აინტერესებდა როგორც მოგზაურ პოეტს, ისევე მოგზაურ დიპლომატს. ყველა თავისი ჭოგრიტითა და მონოკლით ათვალთქვებდა ამ ახალ მიწას, "ველურ მხარეს", ფინჩხივით გადაბერტყილს დმერთის კალთიდან და, თბილისში განწესებული საფრანგეთის კონსულის შევალიე უაკ ფრანსუა გამბას მსგავსად, უპირველეს ყოვლისა, იმ საქონელს აღნუსხავდა თავის სამოგზაურო დღიურში, რომლის გატანაც დიდ მოგებას მისცემდა პირადად მასაც და მის ქვეყანასაც. მკედრის ნივთებისა და ტანსაცმლის განაწილება საერთოდ მიღებული წესია ცივილიზებულ სამყაროში და ცოტა ვინმე თუ უკადრისობს ამ წესის აღსრულებას. მაგრამ, რასაკვირველია, იყვნენ გულწრფელად დაინტერესებულნი და ამ უიღბლო ქვეყნისადმი კეთილად განწყობილი მოგზაურნიც, რომლებსაც გულუბრყვილოდ სწამდათ და ცდილობდნენ სხვებიც დაერწმუნებინათ, "ქართველი ტომი უმშვენიერესი რომ იყო არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ მთელს ქვეყანაზეც". ხოლო, ბატონი დიუმა ლამის გადმოვარდნილიყო ტარანტასიდან, იმდენად მოეხიბლა მთის ფერდობზე გარინდული, კომბალს დაბჯენილი და ჩოხაშემოფლეთილი მწყემსის "ღვთაებრივ გარეგნობას", რომელსაც "დაგვიანებოდა ოლიმპზე ასვლა" და თავის მწყემსურ ფიქრებში დანთქმული, ვინ იცის, ვერც ამჩნევდა, სადღაც, ქვემოთ, მის ფერხით, ხოჭოებივით გადაბმულ და შავად მბზინავ ტარანტასებს, ეტლებს, კარეტებს, ოთხთვალეებსა თუ დროგებს...

მწვემსი ცოტა მწერალად გახლდათ ჭკუასთან, ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა, მაგრამ მაინც აფრთხობდა და აშინებდა მის სამშობლოში შემოჭრილი ახალი ცხოვრება, უფრო სწორად, უკვე საკუთარ კისერზე ეწვნია მისი სიმძიმეცა და სიმწარეც, მაგრამ, საბედნიეროდ, ბუნებას უხვად დაეჯილდოვებინა წარმოსახვის, გარდასახვის, მიბადვისა თუ მიმსგავსების უნარით და, ავად თუ კარგად, ამით იქცევდა თავს. ხან კაჭკაჭით ჩხაოდა, ხან მკელივით ყმუოდა, ხან ძროხასავით ზმუოდა, ხან არწივით ყაშყაშებდა... მოკლედ, რად აღარ წარმოიდგენდა თავს, ოღონდ, დროებით მაინც დავეიწყებინა მთავარი სადარდელი. სადარდელი კი ნამდვილად ჰქონდა. მისი ვარაუდით, ვიდრე თავად ძროხებს მწვემსავდა და ღრუბლებს ითვლიდა ცაში, მის ცოლს, მაინცდამაინც, მათ სოფელთან გამართული საგუშაგოს უფროსი, გრძელუღვაშა და კისერმოკლე "ურადნიკი" დაუდიოდა. მართალია, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ მისი ვარაუდი იყო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი საბაბი ეძლეოდა, ვარაუდი ეჭვად, ეჭვი კი სიმართლედ ჩაეთვალა. თუმცა, ცოლმა ყოველთვის შორს დაიჭირა თავი, რას ამბობ, ჩემთან ვის რა ხელი აქვსო; "ურადნიკს" კი, საერთოდ ვერ უბედავდა დალაპარაკებას, არა მარტო ეშინოდა, რცხვენოდა კიდევ, ენა რომ არ გაეგებოდა მისი. რასაკვირველია, მშვენიერად იცოდა, თუ რა უნდა მიეგო სინდის-ნამუსის შემბლადავისთვის, მაგრამ, ცოდვა გამხელილი სჯობს, საამისო წელი აღარ მოსდევდა. ოდესღაც იარაღით თავმოქონე ქართველობა უკვე კარგა ხნის წინ განვიარადებინათ, რის გამოც, არა მარტო დამცხრალიყო, დაჯაბანებულიყო კიდევ. სხვათაშორის, მათ სოფელში სწორედ "ურადნიკმა" ჩამოიარა კარდაკარ, რამდენიმე მაღალქუდიანი სალდათის თანხლებით, და თუკი სადმე ფილთა თოფს, ჟანგიან ხმალსა თუ პირჩამტვრეულ ხანჯალს მიაგნო, ფინხივით, ამოღლიაგებული გამოზიდა შიშისაგან ხმაჩაკმენდილ ქოხებიდან. ელგუჯები და მათიები უკვე ყოველ დილით, ბინიდან გამოსვლამდე, მსურვალედ ევედრებოდნენ სტეფანწმინდის მთავარანგელოზს, "გვიხსენ რუსის შარისგანო". მაგრამ ვინ გადარჩენია რუსის შარს, ისინი რომ გადარჩენოდნენ. სამწვესურიდან მობრუნებულ ჭკუასუსტ მწვემს ხან "ურადნიკის" ყაბალახი ხვდებოდა ტახტზე მიგდებული, ხან თმაჩეჩილი და ხორცებდალიაგებული ცოლი და, მთის ფერდობზე გარინდული, კომბალს დაყრდნობილი, მარტო იმასდა ფიქრობდა, რა ეღონა, როგორ მოქცეულიყო, თავფეხიანად გახვეულიყო შიგ (შარში), თუ ვიდრე შეეძლებოდა, კვლავაც დამალვოდა აქ, ძროხებში, ფიქრებსა და წარმოდგენებში... ჯერჯერობით, ემაღებოდა და მისი სუსტი ჭკუით, ამით კიდევ უფრო ათავსებდა ცოლსაც და მის საყვარელსაც. "ურადნიკის" ყაბალახის წასადებად გამოგზავნილი სალდათი ტლანქად, დაუდევრად შემოეხეტებოდა ხოლმე მის ფიქრებში, არც სალამს იტყოდა, არც მოუბოდიშებდა დაბნეულობისგან გულაფორიაქებულ მასპინძელს, უტიფრად შესცინებდა სახეში, უფრო სწორად, ყვითელსა და ნაფოტა კბილებს დაუკრეჭდა, თითქოს განგებ, კიდევ უფრო დასაფრთხობად, კიდევ უფრო გასაღიზიანებლად, და მაღალ ქულზე ხელდადებული და წელში ოდნავ მოხრილი გადიოდა ფიქრიდან, რა თქმა უნდა, "ურადნიკის" ყაბალახიანად. ცოლი კი (ფიქრშიც), ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ: "ბუნტის კაცს" ეძებდნენ და ჩვენი ქოხიც რომ განხრიკეს, ალბათ მაშინ დაუვარდა ყაბალახი იმ შენს "ურადნიკსო". მთლად რომ არ გადამცდარიყო ჭკუიდან, წარმოდგენებში გადაჭრილი, ვითომ, რუსთხელმწიფესთან მიდიოდა საჩიველად, კიდევ უფრო გასაცოდავებული (რასაკვირველია, რუსთხელმწიფეზე შთაბეჭდილების მოსახდენად) და მისი საცოდაობით გულანუყვებული და, ამავე დროს, "ურადნიკზე" განრისხებული რუსთხელმწიფე, ვითომ, ცეცხლებს ყრიდა თვალებიდან, როგორ გაბედა იმ კრუხის პალომ ჩემი ერთგული მოხვევს განაწყენებო, და ვითომ, მისი კაცები უკანვე, თავის სამშობლოში მიათრევდნენ ყელზე თოქშებულ "ურადნიკს", ხოლო მოხვევების ნამდვილი გულშემატკივარი და ერთადერთი ქომაგი, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი ხნის მკვდარი იყო უკვე; სიმართლის გამარჯვებით გახარებული და სიხარულისგან მკვდრეთით აღმსდგარი, ვითომ, ლეკურს უვლიდა გულგრილ, უინტერესო, არაფრისმცოდნე ძროხებს შორის და მზეზე აბრჭყვიანებულ ხანჯლებს ზედიზედ ასობდა "სცენის" დამპალ იატაკზე, რის შემდეგაც, ყოველივე ამის წარმოდგენელი და გამთამაშებელი ჭკუასუსტი მწვემსი დიდხანს ეგდო ხოლმე გულადმა ბალახებში, ჯერ კიდევ ორთქლიან ფუნის

"ნახუქებში", და არა მარტო დადლილობისგან, არამედ ბედნიერების შეგრძნებისგანაც, გამალებით აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, ვიდრე დამშვიდდებოდა, დაისვენებდა, "როლიდან" გამოვიდოდა და კვლავაც ჩოხაგამომწვარ მწყემსად გარდაქმნილი, დაუბრუნდებოდა მისთვის ესოდენ საძულველ სინამდვილეს. სხვა გზა მაინც არ არსებობდა და ისიც იძულებული ხდებოდა, ისევ სიცრუე ემჯობინებინა სიმართლისთვის. თუმცა, როცა უსმენდა, სჯეროდა კიდევ ცოლისა; იმდენად ჰქონდა ძვალ-რბილში "ძველი ადათ-წესები" გამჯდარი, ვერც წარმოედგინა, ასე უსირცხვილოდ თუ შეეძლო ეცრუა ადამიანს, გინდაც დედაკაცს... მაგრამ არც ისაა გამორიცხული, შეგნებულად რომ ისულებდა თავს. თავის მოსულებაც ერთგვარი სახეობაა ბრძოლისა, მით უფრო, როცა სხვა აღარაფერი შეგძლია. მისი სამშობლოს მსგავსად, ისე დაედამბლავებინა მოყვრად მოსული მტრის სივერაგეს, გახედვაც აღარ უნდოდა მისკენ, თითქოს, თუ არ დაინახავდა, ისიც თავისთავად გაქრებოდა. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე არ "ეცოდინებოდა", რა უბედურება ტრიალებდა მის თავს, ვერც ცოლის დასჯას მოთხოვდა ვინმე და ვერც საკუთარი ღირსების დაცვას, თორემ, საამისოდ, რასაკვირველია, ის ხისტარიანი დანაც იკმარებდა, ხშირი ღესვისგან გაღეული, საღეს ქვასთან ერთად რომ ეკიდა ქამარზე. მაგრამ, ეტყობა, მართლა თავისი დრო აქვს ყველაფერს — არც ადრე ვარგა და არც გვიან — დაჰკრავს ჟამი და მთელი შენი არსებით იგრძნობ (გინდა ჭკუასუსტი იყავი და გინდა ჭკუით გატენილი), ამისთვის ხარ საერთოდ გაჩენილი ამქვეყნაზე, ეს გევალება, ეს არის შენი ერთადერთი მოვალეობა, რაც შეიძლება მაგრად ჩაბღუჯო დანის ტარი, რაც შეიძლება ღონივრად დააწვე, რაც შეიძლება დრმად შეაღწიო, დანის მეშვეობით, საძულველი ადამიანის არსებაში, დანის წვერით მისწვდე მის მთავარ სულს და ნეტარებით იგრძნო, როგორ შემოგაშხეფებს პირღია ჭრილობა ცხელსა და აღისფერ სისხლს, როგორ დაგსვრის იმ სისხლით თავფეხიანად... მაგრამ იქამდე, ვიდრე ამის დროც მოვიდოდა, ცოცხლად ეჭმევინებოდა ამაზრზენად ავხორცულ ჩვენებებს და ყველაზე მეტად მაინც იმის წარმოდგენა ზარავდა, მისი ორი წლის შვილიც რომ უყურებდა ამ სიბინძურეს, ამ სიბინძურეში იზრდებოდა თავიდანვე, გაჩენის დღიდან... "ხელი რომ არ შეუშალოს, ალბათ გოდორში სვამს დედამისიო" — ფიქრობდა სინამდვილეში დაბრუნებული, კომბალს დაბჯენილი, გარინდული, ოლიმპოდან გამოძეგებული ღმერთივით. ხოლო, მისი ნაშიერი (თუკი მისი ნაშიერი იყო) მშვენივრად გრძნობდა თავს გოდორში და, როგორც თვითონვე ამტკიცებდა მერე, უკვე ვეტერანი, განსაკუთრებით კი, ღვინონაყლაპი, ყოველთვის დიდი ინტერესით უთვალთვალებდა დედისა და მისი საყვარლის აღერსს გოდორის ჭუჭრუტანებიდან და, მისდა უნებურად, უბზიკდებოდა კიდევ...

მეზობლები რომ შემოცვივდნენ ჭკუასუსტი მწყემსის ქოხში, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. კოჭებამდე იდგა ადამიანის სისხლი. ყოველ შემთხვევაში, აქა-იქლა მოჩანდა მიწის ოღროხოდრო იატაკი. მისი ცოლი კართან ეგდო, პირქვე, თუმცა, ისე დაესახიჩრებინა უთვალავ ჭრილობას, მაინც გაგიჭირდებოდათ ცნობა. წინ გაწვდილი ხელებით, რატომღაც, "ურადნიკის" ყაბალახი ჩაებღუჯა: ან გაქცეულმა "ურადნიკმა" შეატოვა, ან მკვდარმაც არ დაუთმო ქმარს, როგორც მისი კაიქალობის მამხილებელი საბუთი. ჭკუასუსტ მწყემსს მუცელი გამოეფატრა, სამურაივით, და საკუთარ შიგანში იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობილი. შიგანს ალაგ ლურჯად, ალაგ მწვანედ გადაჰკრავდა ღორწოვანი სინათლე, იბუშტებოდა, იტალღებოდა და უხსენებელივით, ირგვლივ უვლიდა პატრონს. ბავში გოდორში ფხაკუნობდა. ნანახითა და განცდილით აღგზნებული, ხან ერთი ჭუჭრუტანიდან გამოაშუქებდა ფოლადისფრად აელვებულ თვალს, ხან მეორედან. ჭკუასუსტმა მწყემსმა სისხლიანი დანა გოდრისკენ გაიშვირა და ძლივსგასაგონად თქვა: "იმ ბიჭის მოკვლა დამავიწყდა და თქვენ მოკალით, მადლია, მაგისგან კაცი მაინც აღარ გამოვაო". მეზობლებს, რასაკვირველია, ბიჭი არ მოუკლავთ და ვერც მოკლავდნენ, გინდაც გულით სდომებოდათ იმის სიკვდილი. რუსეთის იმპერიის უკანა ხვრელიდან მალე საქართველოს ახალი სახეობა უნდა დაბადებულიყო და ის ბიჭიც იმ საქართველოსთვის ყავდა განკუთვნილი განგებას. იმ საქართველოში უნდა გამოეჩინა გოდორში შექმნილი მიდრეკილებები. ტყუილად ეშინოდა სისხლში მცურავი მშობლებისა და მისი საცოდაობით ავიშიშებული მეზობლებისა. დროის პირმშო გახლდათ, თანაც გამორჩეული, იოლად ვერავინ ხელყოფდა მის სიცოცხლეს. პირიქით, მას უნდა დაედო სათავე სრულიად ახალი მოდემისთვის, რომელიც თვითონვე თუ ამოჭამდა საკუთარ თავს, თორემ სხვა არავითარი ძალა არ მოიძებნებოდა ბუნებაში მისი მომრევი. ყოველ შემთხვევაში, გოდრის კაცს — რაუდენ კაშელს — როგორც მომავალში მოიხსენიებოდა მის სახელზე გაცემულ ნებისმიერ საბუთში — არც იმ წუთას და არც ახლო მომავალში არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ჯერ თავად რუსეთს უნდა დამუქრებოდა საფრთხე, ანუ, ერთხელ კიდევ უნდა მოემკვდარუნებინა თავი, სულელი მსოფლიოს გასაბრძოლებლად, რათა უფრო ძლიერი და შეუპოვარი აღმსდგარიყო "მკვდრეთით". იქამდე, ერთმანეთს უნდა დარეოდნენ პარტიებად დაყოფილი, მაგრამ თანამოაზრე და თანამესანგრე ფანატიკოსები და შინაომში გაერკვიათ, რომელი მათგანი მოახერხებდა ძველი, იმპერიული მიზნებისა და ზრახვების უკეთ შენიღბვასაც და შენიღბულის უკეთ აღსრულებასაც მომავალში. "არის ასეთი პარტიაო" — დაიყვირებდა ლენინი შეთქმულთა ერთ-ერთ მორიგ თავგრილობაზე და მომავალი საქართველოს ბედიც თავისთავად გადაწყდებოდა. აქაც მაშინვე მომრავლდებოდნენ და აფუტფუტდებოდნენ სოციალ-დემოკრატები, იგივე ბოლშევიკები და იგივე მენშევიკები, და ქართველთა გადამრჩენელი ნოეც მაშინვე მოიმარჯვებდა შალაშინსა და ხელეჩოს, ვითომ, ახალი კიდობნის შესაკოწიწებლად, სინამდვილეში კი, ისტორიის ჩაყვითლებულ ფოლიანტებზე საქართველოს დანატოვარი ნებისმიერი კვალის მოსასპობად. პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძეს დაეძგერებოდა, მოჩხუბარი მამალივით, და უწინდელი საქართველოს ნეშტის ძლივს მოგროვილ ნაწილებს დააყრვეინებდა ხელიდან, ვითომ, მე უფრო მეკუთვნის, მე უფრო მეხერხება ჩონჩხის აწყობა და ყბადაღებული ბიბლიის მიხედვითაც, ქვეყანას ჯერ ნოე უნდა მოველინოს და მერე ვნახოთ, დაგვჭირდება თუ არა საერთოდ ილია წინასწარმეტყველიო. ასე რომ, ყველაფერს აჯობებდა, დროულად ამოეყვანათ ბავში გოდორიდან ჭკუასუსტი მწყემსის მეზობლებს, მაგრამ მარტო იმ დღეს კი არა, საერთოდ ვერ შესძლეს იქიდან მისი ამოყვანა — ნიანგის წიწილივით ებღაუჭებოდა გოდრის ვამხმარ კედლებს ჯერ კიდევ თოთო კლანჭებით და უმაღლ მოკვდებოდა, ვიდრე დათმობდა თავის ყველაზე საიმედო თავშესაფარს, რომელმაც ერთხელ უკვე გადაარჩინა მამის ხელით სიკვდილს. ბოლოს, რაკი ვერც მუქარამ გაჭრა და ვერც დაყვავებამ, გოდრიანად წაიყვანა შინ ვინმე კესარიამ, ბედისგან დანაგრულმა და უშიშდობილად გადაგებულმა ქალმა, თვითნაკეთი თოჯინით რომ თამაშობდა დედობანას აქამდე, ქმრისუჩუმრა. სულო ცოდვილო და, ჭკუასუსტი მწყემსის ქოხში დატრიალებული უბედურება, გულის სიღრმეში, გაუხარდა კიდევ — ერთბაშად

დაობლებული და გალოკილი თითოვით ცარიელ-ტარიელა ბავში ღვთის წყალობად ჩათვალა რატომღაც, იმ მსურველზე, იმ გაუნებელი ღოცვა-ვედრებისთვის, ურომლისოდაც ლუკმას არ ჩაიდებდა პირში და თავს არ დადებდა ბალიშზე. ვიწვილოთო, შეეხვეწა ქმარს და ქმარმაც ვერ უთხრა უარი, შეეცოდა დედობაგანუცდელი მეუღლე, თუმცა, მეუღლისგან განსხვავებით, ნაკლებად ახარებდა ეს ამბავი. პირიქით, გული ცუდს უგრძობდა, ვაითუ, თავში საცემად გამიხადოს საქმე მკვლეელი მამისა და უნამუსო დედის ნაშიერმაო... მართალიც აღმოჩნდა. მაგრამ კესარიამ, ავად თუ კარგად, მაინც მოასწრო თავისი ყველაზე სანუკუარი ოცნების აღსრულება, დედური მზრუნველობის გამოვლენა. როგორც კი მარტო დარჩნენ, ქმარს მორცხვად გაუღიმა, საკინძე სწრაფად შეიხსნა, გოდორს გადაემხო და უკვე საკმაოდ მობოშებული, ლურჯი ძარღვებით დასერილი ძუძუ გაუბედავად შესთავაზა შეილობილს. შეილობილი კი, გაშმაგებული დაწაფა დედობილის "მოკრძალებულ ძღვენს", ან კესარიამ და ან მისმა ქმარმა რა იცოდა, თორემ, ზუსტად ისე, როგორც გრძელუღვაშა და კისერმოკლე "ურადნიკი" ეწაფებოდა ხოლმე დედამისის ძუძუს. გაშმაგებული კბენდა, ლოღნიდა, წუწნიდა და თან ორივე ხელით ხელდა, ცომივით. "ამას დედა კი არა, ქალი სდომებიაო" — ცალკებად გაიხუმრა კესარიას ქმარმა. ცოტა არ იყოს, შემცბარმა კესარიამ გულგარეთ გაიცინა, მაგრამ სიცილზეც შეეცყო, ასე ფიქრობდა თვითონაც...

ბუნებამ რომ თავისი გაიტანა და კესარიას ნაპატიებ-ნალოლიავეები რაჟდენ კაშელი გოდორში ვეღარ დაეტია, უფრო სწორად, გოდორმა რომ ვეღარ გაუძლო, ვეღარ შეაკავა მისი სწრაფადმზარდი, ფერხორცითა და დაუხარჯავი ენერგიით სავსე სხეული და ზედ შემოემსხვრა, ისიც, განთავისუფლებისთანავე, დედობილს ეცა და საცოდავი კესარია ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან წივილ-კივილზე მოვარდნილმა მეზობლებმა. ზოგი თავსაფარმობრეცილსა და საკინძმემოფლეთილ კესარიას აბრუნებდა, ზოგი კესარიას ქმარს აკაგებდა და ზოგი სარებით ბეგავდა სოფლის ცხვირმოუხოცავ აშოკს. კესარიას ქმრის რცხვენოდა და იმიტომ არ ახელდა თვალს; კესარიას ქმარი მოძალადის მოსაკლავად კი არ იწვევდა, იმათ განჩერებას ცდილობდა, სარებით რომ ცემდნენ მოძალადეს. მოკლედ, ისეთი ყაყანი და ღრიანცელი იდგა ირგვლივ, ვერაფერს აგებინებდნენ ერთმანეთს, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, იმ დღის მერე რაჟდენ კაშელი აღარავის უნახავს. ნაჭუჭივით მოიშორა თუ არა გოდორის ნარჩენები, მაშინვე ცხოვრების მღვრიე მორევი შთაინთქა და აღარასოდეს დაბრუნებულა მშობლიურ სოფელში, თუ არ ჩავთვლით თაბაშირის ბიუსტს, მადლიერმა ხელისუფლებამ რომ დაუდგა სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ჭკუასუსტი მწყემსის ქოხი იდგა ოდესღაც, უფრო ზუსტად — გოდორი — ერთადერთი მშობლიური სახლი, ერთადერთი მშობლიური გარემო რაჟდენ კაშელისთვის, თუკი, რასაკვირველია, საერთოდ გააჩნდა ამგვარი გრძნობა, თუნდაც, გოდორის მიმართ. თუმცა, როგორც თვითონვე ამბობდა, არასოდეს არაფერი მონატრებია ისე, როგორც გოდორში გატარებული დრო. სხვათაშორის, მაინცდამაინც, არც ის მოუსაკლისებია სოფელში ვინმეს. ეგაა რომ, კესარიამ სამუდამოდ დაკარგა სიმშვიდე. გაჩენის დღესაც წყველიდა და დედობის მომგონსაც. მისი სუნითა და სითბოთი გაჟღენთილი თოჯინა, რომელსაც ცოცხალი უფრო ეთქმოდა, ვიდრე სათამაშო, ცეცხლში ჩააგდო და დაწვა. მაგრამ ვერაფერი მოუხერხა საზარელ ჩვენებებს. დამე ისე არ გაივლიდა, ერთხელ მაინც არ წამომჯდარიყო საწოლში, ცოტა არ იყოს, მოსაყოლადაც სათაკილო სიზმრით დამფრთხალი და აფორიაქებული. "მიშველე, მომაშორე, აღარ შემიძლია მეტიო" — ევედრებოდა, ხელებს უკოცნიდა ქმარს, მაგრამ ქმარი როგორ უშველიდა, როცა არც თვითონ იყო უკეთეს დღეში: ამაო ქადილითა და კბილთა ფუჭი ღრჭიალით კიდევ უფრო ბითურდებოდა, კიდევ უფრო კნინდებოდა, ბეჩავდებოდა და იძულებითი ნებაყოფლობით შესცქეროდა ცოლის განუწყვეტელ, გაუთავებელ გაუპატიურებას...

ხოლო, მისი ცოლის მარადიული მოძალადე დღითიდღე იზრდებოდა, იწრთობოდა, იწაფებოდა ახალი ცხოვრებისთვის: ჯერ მაწანწალობდა, მერე ქურდობაცაცობდა, მერე თაღლითობდა, მერე კი, აშკარად ყაჩაღობდა — ხან შარაგზაზე ძარცვაავდა ხალხს, ხან შინ უვარდებოდა — არც შიშის გრძობა ჰქონდა, არც სიბრალულის; არც ღმერთს აგდებდა რამედ, არც კანონს. რამდენჯერმე დაიჭირეს, დაჭრეს კიდევ, მაგრამ ვერც ტყვია აჩერებდა, ვერც ბორკილი. ნატყვიარს ნერწყვიტ იშუშებდა, ნადირივით, ბორკილს ხმელი ბუბლიკივით ამტვრევდა და ისევ თავისას აგრძელებდა, ნთქავდა და აჩანაგებდა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდა, რასაც კბილი მოეკიდებოდა და ბრმად, ალაღბედზე მიხობავდა საკუთარი სიმდაბლის მწვერვალისკენ. რასაკვირველია, დროც ყველანაირად უწყობდა ხელს, ყოველ ნაბიჯზე უქმნიდა შესაფერ გარემოს, ახალი და ახალი შესაძლებლობების გამოსავლენად. ისიც ავლენდა. ერთ ხელში მაუხერი ეჭირა, მეორეში — არყის "შტოფი" და სიმთვრალისგან თვალმოჭუტული, დაუმიზნებლად ესროდა ყველაფერს, რაც მოძრაობდა, რასაც სიცოცხლის ნიშანწყალი კიდევ შერჩენოდა. ერთ დღეს რომ დარბეული ოჯახის დიასახლისს აუპატიურებდა ოჯახის სხვა წევრების თვალწინ, მეორე დღეს ისევე ექცეოდა ოჯახის მამასახლისსაც... ბოლოს ისე გაითქვა სახელი, თავისი შეუპოვრობითა და დაუნდობლობით, სოციალ-დემოკრატებმა დაიამხანაგეს და რამდენიმე სერიოზულ პარტიულ ღონისძიებაშიც მიაღებინეს მონაწილეობა, რა თქმა უნდა, ახლა უკვე "ძმობის, ერთობისა და თანასწორობის" სახელით. იღია ჭავჭავაძის სავარაუდო მკვლელებიდან, ერთ-ერთს იმასაც ასახელებდნენ, მაგრამ პარტიულმა ამხანაგებმა დროულად გადახვეწეს რუსეთში, სადაც ინტერნაციონალური ოჯახი შექმნა, მასსავით უპატრონო და მასსავით თავზეხელაღებული კაზაკი ქალი შეერთო ცოლად და ოცდაერთის თებერვლამდე აღარც გამოუხედავს აქეთ. ეს ის დროა, როცა რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე სიკვდილის ქარი ქრის და ცეცხლის კევრი ტრიალებს: 917-ში რევოლუცია მოხდა, ანუ, მეფე გადადგა, მუშა აღსდგა, რასაც შედეგად მუშის გამხეცება და მეფის ოჯახის ამოხოცვა მოჰყვა. ამან რუსეთის იმპერიის დროებითი, მოჩვენებითი, ასე ვთქვათ, ტაქტიკური დაშლა გამოიწვია და საქართველოს კიდევ ერთი, მაგრამ ამჯერად, მართლაც განსაკუთრებული სახეობის დაბადება განაპირობა. გუბერნიებად დაყოფილი საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო, ქართველთა ნოე პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაესვენა...

მაგრამ, ვიდრე პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაესვენებოდა, ბევრი ელდისა და შიშის გადატანა მოუწია მშობლიურ ლანჩხუთში, მამისეულ სახლში გამოკეტილს და ტრიფოლიატის მაღალი ღობით თითქოს სამუდამოდ გამოყოფილს გარესამყაროდან. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სამუდამოდ აედო ხელი პოლიტიკოსობაზე და მემუარების წერას შესდგომოდა, თუკი კრემლი ნდობას არ გამოუცხადებდა, შიდაპარტიული წაკინკლავეების გამო, და ფედერალისტებს, ანდა სულაც "ედეპეს" ჩაუგდებდა ხელში დროებით მოშორებულ ტერიტორიას, გნებავთ, ჯერ კიდევ ცარიელ სივრცეს, სადაც, მხოლოდ და მხოლოდ, სოციალ-დემოკრატიის მტკიცე ხელით შეიძლებოდა მოხაზულიყო მომავალი საქართველოს კონტურები. მისი მეუღლე "სედლოთი" სეირნობდა ლანჩხუთის შემოგარენში, მამამთილის მამულში (ხანდახან, ურეკამდეც ჩადიოდა, ზღვის ჰაერის ჩასასუნთქად) და ბედნიერი იყო, განსაკუთრებით მისი ცხენოსნობით რომ ტრახახობდა ადგილობრივი გლეხობა. მისი ქმარი კი, ეკლებზე იჯდა და დაშიფრულ დეკემას ელოდებოდა თბილისიდან. დეკემამაც არ დააყოვნა, სულ ახლახანს მოუბრუნინა თავად ფოსტის გამგემ. "რომი კეისრის მოლოდინშიაო" — ეწერა დეკემაში. კეისარი კი, თვითონაა. ის დეკემა, უკვე ათასჯერ წაკითხული, წინ უდევს მამისეულ მასიურ საწერ მაგიდაზე და მამისეულ მასიურ, მაღალზურგიან სავარძელში ჩამჯდარი, ჯერ ისევ სასიამოვნო მღელვარებით იმეორებს გუნებაში: "მე კეისარი ვარ". ერთადერთი გრძნობა, რომელიც უშეცდომოდ შეუძლია გამოაცალკევეს სხვა გრძნობებისგან და, ამავე დროს, საკუთარი სახელითაც მოიხსენიოს, მაინც გაოცების გრძნობაა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, საოცარი არაფერი ხდება. მიმდინარეობს იმპერიის საუკუნოვანი ექსპერემენტის ექსტრემალური ექსპერტიზა, რაც სავსებით ჩვეულებრივი ამბავია, აუცილებელი პროცედურაა, რათა მომავლისთვისაც გავითვალისწინოთ, თუ რა სახის საკვებს ინელებს იოლად და შედარებით რა სახის საკვების მონელება უჭირს იმპერიის კუჭს. ზოგიერთი აფრიკული ტომი რამდენჯერმე ჭამს ერთჯერად საჭმელს, ვიდრე მთლიანად არ გამოაცლის, რაც კი რამ სასარგებლოა შიგ. ასეა იმპერიაც. თუ გინდა, რომ ძლიერი იყო, საკუთარი ძღწერის ჭამაც უნდა შეგეძლოს. შეუძლია კიდევ: ჩვენც ყოველმხრივ მივეხმარებით, ჩვენც დაუშვტკიცებთ ჩვენი მხრიდან, არჩევანი რომ არ შეშლია. "კაცმა არცერთი საქმე არ უნდა ითაკილოს და რასაც ხელს მოკიდებს, უნდა გააკეთოს კიდევცო" — ამბობდა ხოლმე მამამისი, იმიტომ რომ, თავად იყო ასეთი, არაფერს თაკილობდა და ყველაფერს სხვებზე უკეთ აკეთებდა. უბრალო გლეხი, მემამულე გახდა ბოლოს. ლანჩხუთში მეორეს არ უდგას იმათნაირი სახლი, მყარად ნაშენი და ლამაზად მოხარატებული. მამა ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იყო მისთვის, თავისი შრომისმოყვარეობით, დაუდგრომლობით, შეუპოვრობით... ერთადერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ, თვითონაც მამასავით სახელოვანი და დაფასებული კაცი გამოსულიყო, ყველას სცნობოდა, ყველას თვალი გაეყოლებინა ქუჩაში... მართალია, პოლიტიკური მრწამსის გამო, სწორედ მამას დაუპირისპირდა — მამამისი მემამულე გახლდათ, თვითონ კი, საერთოდ უარყო მამული — მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლიდა და არც ახლა უშლის ხელს, პატივი სცეს მამის ღირსებებს, მიაგოს კეისარს კეისრისა, მით უფრო დღეს, როცა უკვე თვითონ არის კეისარი და როცა მამამისი აღარ არის ცოცხალი. გაანათლოს უფალმა, თუკი არსებობს უფალი, თუკი რამე არსებობს იმქვეყნიური. მამამისს სწამდა. მამამისს ღმერთის წამდა და არ ესმოდა შეილისა. მაგრამ შვილი კარგი ცხოვრების წინააღმდეგი კი არ არის საერთოდ, როგორც მამას ეგონა — არავითარ შემთხვევაში! სხვა თუ არაფერი, მისი ცოლი ერთ დღეს ვერ გაძლებს, "სედლოთი" თუ არ გაისეირნა ჰაერზე — მისი შვილი მხოლოდ სოციალური თანასწორობის მომხრეა, როგორც ჭეშმარიტი მარქსისტი, და როგორც კი შეუდგება თავისი ახალი მოვალეობის აღსრულებას, პირველ რიგში, იმ თქვენს მოწონებულ ქართველ გლეხს არ შეაყოფინებს ცხვირს საკუთარ ვენახში. სჯობს ყუნწზე დაუდგეს მონაგალი, ვიდრე საჭიროზე მეტი მოიწიოს. სხვანაირად არ გასწორდება ძაღლის კუდი. არ დამკვიდრდება თანასწორობა. ამიტომაც ეტირა დედა "ედეპეს"... კრემლი სოციალ-დემოკრატებს ენდო და სწორედაც მოიქცა. როგორი საქართველოც რუსეთს უნდა, ისეთი უნდა მსოფლიოსაც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული კომპლექსებიდან თავისუფალი. გააჭირეს საქმე, მართლა და მართლა. აღარც მეფე

ჰყავთ, აღარც მიწა-წყალი აქვთ, აღარც თავიანთი ენა ახსოვთ და მაინც ქართველობენ, მაინც პატრიოტები არიან არარსებული ქვეყნისა. მაგრამ ღორმუცელა დებილებისა და გესლიანი ქვრივების საქართველო აღარ არის, დამთავრდა. ეს ვერ შეაგნებინა თავის ოპონენტს, დიდგულა ვაჟბატონს, რომელიც მარტო კარტში წაგებულ ფულებით მიუყვანდა წყალს თავის გლეხობას, მართლა რომ ყვარებოდა სამშობლო, გამოგონილი და წარმოდგენილი კი არა, ნამდვილად არსებული. ვისაც მართლა სჯერა, ერთ დღეს მაინც რომ გასძღვებს საქართველო ურუსეთოდ, ის, პირველ რიგში, საქართველოს მტერია, გინდა პოეტი იყოს, გინდა ბანკირი. ამას იმიტომ კი არ ამბობს, ასეთი პატივი რომ დასდეს დღეს — მშვენივრად იცის, რა ძვირი ჯდება ხოლმე ამგვარი პატივი — ამას იმიტომ ამბობს, სხვებზე უკეთ რომ ერკვევა პოლიტიკაში. მაგრამ ჯერ ადამიანია და მერე პოლიტიკოსი. ერთი დღის კეისრობა ურჩევნია, მთელი სიცოცხლე (რაღა დარჩა?) კეისრობაზე ოცნებას. და აი, ასრულდა! რაც შემთხვევითი და მოულოდნელი შეიძლება მოგეგვენოს ცხოვრებაში, ის ისტორიული კანონზომიერების შედეგია. თქვენს წინაშეა ახალი (სრულიად ახალი და არა განახლებული) საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი და, ობიექტურები თუ ვიქნებით, მარტო კრემლის წყალობით კი არა, თვითონაც დაიმსახურა, ყველა გამოცდას გაუძლო, ყველა ხვრელში გაძვრა, ყველა წყლიდან მშრალი ამოვიდა, როცა სხვები, მასავით ერთი დღის კეისრობაზე მეოცნებენი, ან ციხეებში ჩაღბნენ ან ყაჩაღებით ჩაძაღლდნენ შარაგზებზე... ეს კი, მხოლოდ ახლა იწყებს ცხოვრებას (მის ასაკში!), ხვალიდანვე, თბილისში ჩასვლისთანავე... რამდენ ხანს გასტანს ეს "ცხოვრება", ძნელი სათქმელია, მაგრამ დღესავით ნათელია, როგორ დამთავრდება... მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს, ეს მაინც პრემიერ-მინისტრად დარჩება ყოველთვის, მამისეულ სავარძელში იჯდება ასე გაბღენძილი, თუ უფრო სერიოზული ქვეყნების პრემიერ-მინისტრების მოსაცდელელებში მოუწევს ყურყუტი; მამამისივით, ისიც "შინ", ამ ეზოში დაიმარხება, თუ ტრიალ მინდორში გაუთხრის საფლავს შავი ყორანი. მთავარი კაცობრიობის ნათელი მომავალია და არა ერთი კაცის კეთილდღეობა, ვინც არ უნდა იყოს ის "ერთი კაცი", მომაკვდავი, დეგრადირებული კლასის წარმომადგენელი, თუ ახალშობილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ჩვენი ეგრეთწოდებული "განმანათლებლები" პირიქით ფიქრობდნენ და ხალხსაც უარესად ურევდნენ თავგზას. სამშობლოს სიყვარულით ყველაფრის გამართლება, არა მარტო უსვენდისობაა, ჩამორჩენილობაცაა უკვე. "სამშობლო, დედის ძუძუ", ეტო ვზდორ! ვზდორ! და კიდევ ერთხელ ვზდორ! სამშობლოს სიყვარულით გააჩანაგეს ჩვენმა მეფეებმა თავიანთი სამფლობელო. უცხომ კი, შეგვიბრალა, ჩვენი თხოვნა ყურად იღო, გულთან მიიტანა და შეგვიკედლა, დაგვაპურა, ტილი მოგვაშორა... საპნისა და დანა-ჩანგლის ხმარება გვასწავლა... თურქეთიც გადაიკიდა ჩვენს გამო და ირანიც... არ დაუფასოთ? არც დავინახოთ? ჩვენი თავი ჩვენად უნდა გვეყუდნესო... როცა გვეყუდნოდა, რატომ აუტალახეთ კარი, არიქა, მიშველე, არიქა, მოდი და შენ იმეფეო... იქნებ, ასე არ იყო? იქნებ, ესეც სოციალ-დემოკრატების მოგონილია? ჩვენს ენაზე უნდა ვწიროთ და ჩვენს ენაზე უნდა ვიგალობოთო... როცა წირავდნენ, შეისმინა უფალმა? როცა გალობდნენ, გაუგოთ ვინმემ? დრომ უკეთ იცის, რა მოიკლოს და რა მიიმატოს. რა დაჭირდება გზაში და რა შეუშლის ხელს სიარულში... შევიგნოთ ერთხელ და სამუდამოდ. აი, მაგალითად, ჩემი მეუღლე... ვიდაცეების თვალსაზრისით, ისიც უცხოელია, მაგრამ აბა ერთი შეხედეთ, რა ხდება! ამორძალივით ცხენზე ამხედრებული რომ გამოჩნდება შუკაში, მთელი ღანჩხუთი ძუნძულით მოსდევს, აქეთ-იქიდან უზანგებს ჩაფრენილი. ზოგი ჩექმაზე კოცნის, ზოგი გალიფეზე... უფრო უკანანი კი, სულაც მის ცხენს კოცნიან გაოფლილ გავაზე... "ჩვენო რძალო და ჩვენო რძალო" — შეჭხარიან, ამაცობენ გურულად. ესე იგი, უცხოც შეიძლება შენი იყოს, შენიანი, შენი სიამაყის მიზეზი... ეროვნულ ნაჭუჭში გამოკეტვა თვითმკვლელობაა. პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს, მაგრამ მთელი დედამიწა მისი სახლია. ვინც აქამდე ვერ შეიგნო ეს, ახლა შეაგნებინებს, როგორც პირველი პრემიერ-მინისტრი ნებისმიერი საქართველოს ისტორიაში. ახლა უფრო ნათლად განუმარტავს ყველას, რატომ აღმერთებს, ვთქვათ, გოეთეს, და რატომ ემართება აღერგიული კრუნხვები, ვთქვათ, თავადი ჭავჭავაძის

წიგნის დანახვაზე... მართალია, ლანჩხუთის სუფთა ჰაერი და პასტორალური სიმშვიდე მასაც აიძულებს, უფრო მიმტკეპელი და ღმობიერი იყოს, არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვების მიმართაც, მაგრამ პრემიერ-მინისტრი კათოლიკოსი არ გახლავთ, მას უფრო მტკიცე ნება და უფრო მაგარი ხელი ჭირდება... "მე პრემიერ-მინისტრი ვარ" — იმეორებს გუნებაში და მამის სურათს შესცქერის კედელზე, ფოტოდან გადახატულს უკვე მამის სიკვდილის მერე, ვიღაც მოხეტიალე მხატვრის ფუნჯით. ის ფოტოც კარგად ახსოვს, ოღონდ, იმ ფოტოზე დედასთან ერთადაა მამა, დედა უდგას გვერდით, მის მხარზე ხელჩამოდებული. ამ სურათზე კი მარტოა, სავარძელში ზის, რომელშიც მისი შვილი მოკალათებულა ახლა. მიმინოსავით შემართული, დიდი მემამულე, დაბაბული გადმოსცქერის პროლეტარიატის სამსახურში გაპრემიერმინისტრებულ შვილს. ალბათ უკვირს და უხარია კიდევ, მისი შვილი უფრო დიდი მემამულე გამოვიდა ბოლოს, ლანჩხუთი კი არა, სრულიად საქართველოა მისი მამული... სავარძლის სახელურის გლუვ ზედაპირზე დასვენებული მარჯვენის შუა თითზე წახნაგოვანი ზურმუხტის დიდთვლიანი ბეჭედი უკეთია. ეს ბეჭედიც ახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვობიდან. ახსოვს, როგორ იზიდავდა, როგორ აჯადოებდა თავისი მომხიბვლელი მედიდურობით. ხელის მოძრაობისას, ათასნაირად იცვლიდა ფერს ლამპის შუქზე, როცა მამა ნარდს ეთამაშებოდა სტუმრებს... "მე პრემიერ-მინისტრი ვარ..." — ეუბნება გუნებაში, მისი მემკვიდრე, მისი გენის მატარებელი და გამგრძელებელი და, რასაკვირველია, მწვერვალი, უმაღლესი წვეტილი ყველა მისი ოცნებისა, სურვილისა, მისწრაფებისა, ნატვრისა, განზრახვისა, ნაფიქრალისა და მაინც, პოლიტიკური მოწინააღმდეგე, შეიძლება ითქვას, მტერიც კი... არადა, მისი გაზრდილია, მან ასწავლა, რაც იცის, და მისი მეშვეობით მიადწია, რასაც მიადწია. "მამა, მაპატიე... მადლობთ"... — ჩურჩულებს გუნებაში, გრძობამორეული და მამასავით დინჯად, აუჩქარებლად დგება, ოთახიდან გამოდის და გურუღი ოდა-სახლის სახურავიანი კიბით ეზოში ჩადის. მაშინვე თავფეხიანად ინთქმება ირგვლივ გამეფებულ წყვილადში. წყვილადს სველი ნეშოს სუნი დაჰკრავს. ჯერ კიდევ გაზაფხულია. ტრიფოლიატის გაუჩინარებული ღობის იქით სუნთქვაშეკრული სამყარო გაღურსულა, გურუღი ოდა-სახლსაა მოყურადებული, უბრალო ჩქამიც აინტერესებს იქიდან გამოსული, რადგან პრემიერ-მინისტრის სამყოფელში ჩქამზეც აღარ ითქმის უბრალო. თვალთან თითს ვერ მიიტან, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ბრმის სითამამით მიუყვება ტერფებით დამახსოვრებულ ბილიკს. ცოტაც და, მიეახლება მშობლების მარადიულ განსასვენებელს. ერთმანეთის გვერდით წვანან ისინი საკუთარ ეზოში. მკვდრებიც შინ არიან. ცოლმა ქმარი "არ გადაუშვა ეზოდან" და ბოლოს თვითონაც ამოუწვა გვერდით. აი, ასე გაჩნდა ეს მოკრძალებული, ორადგილიანი სასაფლაო... "მამა..." — ჩურჩულებს პრემიერ-მინისტრი სიბნელეში, გაუბედავად, მორიდებით, თითქოს ძიღს დაუფრთხობს მიცვალებულებს. "დედა..." — აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ, იმავე გაუბედაობითა და მორიდებით. მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას და ისიც ამბობს, მღელვარებისგან ხმაათროლებული: "თქვენი შვილი პრემიერ-მინისტრია... გიხაროდენ..." და თითქოს პირველად ახლა იგრძნო ამ სიტყვების დამატკეპარი ძალა და შემზარავი სიდიადეო, მაშინვე ფაციფუცით ამატებს: "გამწირეს... დავიღუპე..." სწორედ ამ დროს, წყვილადში ჩაკარგული ოდა-სახლის მეორე სართულის ერთ-ერთ სარკმელში შუქი ინთება და პრემიერ-მინისტრიც იძულებულია, დაბრუნდეს. წინ წახრილი და საკუთარი ჩრდილის მსგავსად, არაბუნებრივად დაგრძელებული, ასევე არაბუნებრივად გაზრდილი წვერით ლამის მიწას მიწვდენილი, ნადირივით უხმაუროდ მიძუნძულებს გაფერმკრთალებულ წყვილადში. არ უნდა, მისმა უცხოელმა მეუღლემ იხილოს ეს ღირიკული ინტერმედია, ასე მოუშადადებლად ჩართული დიახაც რომ დაუნდობელი, გულქვა, გულღრძო ცხოვრების ბოზოქარ დინებაში... მაინც აღარაფერი შეიცვლება, მოსახდენი მაინც მოხდება. თანაც, გაცილებით ადრე (სამ წელიწადში), ვიდრე მას გონია. ვინ დაუნდია, ის რომ დაინდოს მეძაგმა წუთისოფელმა. მაგრამ კაცობრიობის წინაშე პირნათელია. გაუგებენ თუ ვერ გაუგებენ, ეს სხვა საკითხია. მას რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა და, ვნახოთ, ვინ რას გააკეთებს მასზე უკეთესად...

მართლაც, უცებ გაირბინა პრემიერ-მინისტრობისთვის განკუთვნილმა დრომ. მისმა უცხოელმა მეუღლემ წესიერად ვერც იჯერა გული ავტალის ხრიოკ გორაკებსა და საბურთალოს გაუვალ ეკალბარდებში ჯირითით, მლიქვნელ ქვეშევრდომთა ამალის თანხლებით... ბოლშევიკების რკინის კომისარს უკვე ფარაჯის გულის ჯიბეში ედო სტალინის კარნახით შედგენილი დეპეშის ტექსტი — "თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებსო" — რომელიც თავისი სახელით უნდა გადაეგზავნა ლენინისთვის თბილისიდან, როცა დათქმული დღე დადგებოდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი პირობისამებრ დაეცემოდა. ასე რომ, საქართველოს პირველი ლედი ცოტა ხნით უნდა შეშვებოდა "სედლოთი" სეირნობას და დროულად გადაერჩია "კიდობანში" შესაზიდი ნივთები, რაც ემიგრაციაში უფრო გამოადგებოდა. წარღვნა ყოველ წამს ახლოვდებოდა. უკვე ამხანაგი კიროვიც ჩამოვიდა საგანგებოდ, ისტორიულად თითქოს ახლობელი, მაგრამ გეოგრაფიულად მაინც საკმაოდ შორი მოსკოვიდან. თავისთავად ცხადია, მადათოვზე საქეიფოდ და ჭრელი აბანოების დასათვალიერებლად არ გამოივლიდა ამხელა გზას. მოსკოვისთვის ქართველთა ნოე პარიზშიც ის იქნებოდა, რაც თბილისში იყო... მაგრამ ნოეს ასაკში ალბათ მაინც ძნელია თუნდაც ფიქტიური პრემიერ-მინისტრობის დათმობა, რაც, ცოტა მოგვიანებით, შეეცყო კიდევ. თქვენ წარმოიდგინეთ, პატრიოტული გრძნობაც კი გაუჩნდა უკვე განწირული, უკვე სასიკვდილოდ გადადებული რესპუბლიკის მიმართ, რომელიც, უდღეური იყო თუ უსუსური, მაინც მას ეკუთვნოდა, მისთვის შეექმნათ და, საცა სამართალია, მასვე უნდა გადაეწვევია მისი ბედი... მაგრამ, როგორც სინანულის, ისევე დაგვიანებული პატრიოტიზმის გამომჟღავნება, რასაკვირველია, პარიზში გაცილებით ნაკლებად სახიფათო იქნებოდა მისთვის, ვიდრე კრწანისისა თუ ტაბახმელას სანახევროდ ცარიელ სანგრებში. ხოლო, მისი მეუღლე ბულონის ტყეშიც მოიკლავდა, როგორმე, ცხენოსნობის შინს და, რაღა თქმა უნდა, არც იქ იგრძნობდა უცხოდ თავს; როგორც მსოფლიო მოქალაქე, იქაც შინ იქნებოდა, იქაც თავისიანებში და, კაცმა რომ თქვას, ალბათ ნაკლებად აინტერესებდა ის პოლიტიკური ხრიკები და ბატალიები, რომლებშიც მისი მეუღლე გახლდათ ჩართული თუ ჩათრეული, რადგან, მაინცდამაინც, არცერთ ნორმალურ ქვეყანას არ გამოუდია თავი ლანჩსუთელი პრემიერ-მინისტრის დასაცავად. რკინის კომისარი კი, უკვე ჯარს აგროვებდა სამხრეთ რუსეთის ბაზრებსა და სადგურებში, რადგან სწორედ მას, როგორც ქართველ იანიჩარს, ერგო პატივი, სხვა რომ არ ვთქვათ, მეტად ბინძური და საკმაოდ სახიფათო ოპერაციის ჩატარებისა: საქართველოს სამწლიანი დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად უნდა გადაეკეთებინა განუსაზღვრელი ვადით. "ვისაც ტანინიანი ღვინო და ხალიანი ქალები გიყვართ, უკეთეს ადგილს ვერ იპოვით ქვეყანაზეო" — მოუწოდებდა, აქეზებდა, აღიზიანებდა ჯიბიდან გავარდნილ მაწანწალებს, ბაზრის მოდლითებს, სადგურის ჯიბგირებს, გენეტიკურ ლოთებსა და მკვლევლებს ბაზრის მოედანსა თუ სადგურის პლათფორმაზე სახელდახელოდ გამართული ტრიბუნიდან...

იქიდან იწყება კაშელების სისხლიანი დინასტიის წელთაღრიცხვაც; რაუდენ კაშელი და მისი მეუღლე კლავა ერთ-ერთი პირველები ჩაეწერნენ მოხალისეებად ეგრეთწოდებულ მეთერთმეტე არმიაში და შვილიც 21-ში გაუჩნდათ, ზუსტად თბილისის აღების დღეს, უფრო ზუსტად, თბილისის დაცემისთანავე, თითქოს მხოლოდ იმიტომ დაეცა თბილისი, კლავას რომ მშვიდად მოემშობიარებინა. სინამდვილეში, "კავკასიის საფრანგეთის" დედაქალაქი, მაინცდამაინც, მაგარი კაკალი ვერ აღმოჩნდა. თუმცა, ვერც ძაბრისებურ ქუდებსა და გრძელ, ჩაფართოხუნებულ ფარაჯებში ჩაკარგული მოძალადეები დაიტრაბახებენ რამეს: თბილისს არავენ იცავდა, რადგან, ფაქტიურად, არც ჰყავდა პატრონი: ქართული ჯარის შექმნა თავიდანვე არამიზანშეწონილად მიიჩნია კრემლმა, რასაც, თავისთავად ცხადია, ქართველი პრემიერ-მინისტრიც უსიტყვოდ დაეთანხმა. ხოლო, დაქირავებული და, ამდენად, მხოლოდ და მხოლოდ, პრემიერ-მინისტრის ნება-სურვილს დამორჩილებული გვარდია, იმდროისათვის, პრემიერ-მინისტრის საძილე ვაგონს მიაცილებდა ბათუმისკენ, სადაც პრემიერ-მინისტრი ქართული ემიგრაციისთვის საგანგებოდ გამოყოფილ გემზე გადაჯდებოდა და მსოფლიო ჭიპისკენ აიღებდა გეზს, თავის რჩეულ, ანუ, საემიგრანტო სიაში მოხვედრილ თანამემამულეებთან ერთად, ისევ და ისევ, განუსაზღვრელი ვადით... სანგრებში კი, ძირითადად, მასწავლებლები, სტუდენტობა, ფოსტისა თუ რკინიგზის მოხელეები იდგნენ და აქედან ნახევარზე მეტს თოფიც არ ჰქონდა, თოფიანი თანამებრძოლის სიკვდილს ელოდებოდა, თავად რომ შეიარაღებულიყო და, თანამებრძოლის სიკვდილის მოლოდინში სურდოშეყრილი, საცოდავად მობუზული, რაც შეეძლო, მადლა ექაჩებოდა პალტოს თუ სერთუკის საყელს... სამაგიეროდ, თბილისის არაქართული მოსახლეობა, უკვე მორთულ-მოკაზმული ელოდებოდა, როდის შეწყდებოდა ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, რათა განჯის კართან ზურნა-დუღუკითა და ბაღდადების ფრიალ-ფრიალით, შეჰგებებოდა "გამანთავისუფლებლებს"...

კლავამ შარაგზაზე იმშობიარა, სადღაც, სოდანლუდსა და ორთაჭალას შორის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, საბჭოთა ხელისუფლება პირველი ანტონ კაშელის ჩხაილით შემოვიდა ახალ საქართველოში, როგორც მისი ტყუპისცალი და მისი ბედიბლის თანაზიარი, რაც ანტონ კაშელის მამის, გოდრის ნაშვირის ყოვლად აუხსნელი, ყოვლად გაუმართლებელი თავგამოდებით უფრო მოხდა, ვიდრე ღმერთის ნებასურვილით. მუცელი რომ ასტიკვდა, კლავა ფურგონიდან ჩამოხტა, გზიდან გადავიდა და, თითქოს ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა, წუთში მოიმშობიარა, მემკვიდრე მოუვლინა მეუღლეს, კიდევ უფრო განავრცო, კიდევ უფრო წინ გასტყორცნა მეუღლის თესლი, კიდევ უფრო დრმად — დროსა და სივრცეში... შარაგზაზე მიმავალი მისი თანამებრძოლები ათასნაირ უწმაწურობებს ეძახდნენ, უსტვენდნენ, დასცინოდნენ, ამხნევებდნენ... ერთმა ქვაც კი ესროლა, რასაკვირველია, ჯარისკაცული სოლიდარობის გამოსახატავად. მაგრამ კლავას არავისთვის მიუქცევია ყურადღება, "ჩამეთ ჩემი ჩუჩუაო" — დუდღუნებდა ცხვირში ქმრისგან ნასწავლ ქართულს და თან იქვე, გზისპირა თხრილის დამყაყებულ წყალში ადანდალებდა ჩვილს (არ დაგავიწყდეთ, ზამთარში ხდება ეს ამბავი, ოცდახუთი თებერვალია ჯერ, თანაც, ახალი სტილით. თბილისსა და მის შემოგარენში თოვს). მერე ჩვილი მოწყალების დის წითელჯვრიან თავსაფარში გაახვია და ისევ ფურგონს გაეკიდა. ფურგონზე, მისი მეუღლის გარდა, სხვა ჯარისკაცებიც იხსდნენ, მსუბუქად დაჭრილები თუ სიმულიანტები, მაგრამ არავის შეუშველებია ხელი. მისი მეუღლე გაზეთის ნაგლეჯში სქლად გახვეულ წეკოს აბოლებდა და, ცოლის სიყონადით გაამაყებუნი, წეკოს ბოლივით გაწელილ გზას ჩასცქეროდა ლაჯებს შორის. საამაყო კი ნამდვილად ჰქონდა: ეს წუთია გაჩენილი მისი ვაჟი, ორი წლისა, თვალდახუჭული შლიდა და აწყობდა საომარ შაშხანას. ხუთისამ მეზობლის ძაღლი მოკლა იმ შაშხანით. ხოლო, თხუთმეტისა უკვე ხალხს ხოცავდა. ოცდათექვსმეტში, ოცდაჩვიდმეტში, ოცდათვრამეტში, ოცდაცხრამეტში, მართლაც რომ საქვეყნოდ ჰქუხდა მისი სახელი. ციხეებში ხომ ფეხის სმაზე ცნობდნენ. ზღაპრებს ყვებოდნენ მისი სიმკაცრისა და სისასტიკის შესახებ. ანგარება კი არ ამოძრავებდა, უმრავლესობის მსგავსად, შურისძიების უინით კი არ იყო შეპყრობილი, ზოგიერთებით, "ხალხის მტრებს", "კულაკებს", ანდა "ქართველ ნაციონალისტებს" კი არ უსწორდებოდა, როგორც ჭეშმარიტი ბოლშევიკი — უბრალოდ, სულერთი იყო მისთვის, ვის სისხლს დაღვრიდა, რადგან ამ ქვეყნად ყველაზე ძალიან სიკვდილის შიშით წამხდარი ადამიანის ცქერა უყვარდა და ადამიანის სისხლი სწყუროდა განუწყვეტლივ, რაც თავი ახსოვდა. ერთხელ, შორეულ ბავშვობაში, თუკი როდისმე ისიც იყო ბავშვი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მამამ დახვრეტილი მემამბოხეების გვამებით სავსე მანქანა მიაყენა შინ და შუალამისას, ლოგინიდან ფაცაფუცით წამოგარდნილი, სანახევროდ ჯერ ისევ მძინარე, მანქანის ძარაზე შესვა, ასე ვთქვათ, გამოსაწართობად, "ნერვების გასამაგრებლად", "გვამის შიშის დასაძლევად". იმას კი, იოტის ოდენადაც არ შეშინებია ამაზრუნად სახეგადაფითრებული გვამებისა, პირიქით, მაშინვე ჯირითსა და ბუქნაობას მოჰყვა და ძალიანაც მოეწონა, მის ფეხქვეშ ჭყაპა-ჭყუპი რომ გაუდიოდა უკვე სანახევროდ შედედებულ სისხლს, არათანაბრად რომ იბუშტებოდა აქა-იქ, კონსერვის თევზებით, ერთმანეთზე მჭიდროდ დალაგებულ გვამებს შორის და ნაზად, სასიამოვნოდ რომ უწინწკლავდა სახეს თითის მიკარებისთანავე უკვადოდ გამქრალი ბუშტი. ცოტა ხნის მერე, მის დანახვაზე, არა მარტო პატიმრებს, ციხის ადმინისტრაციასაც ეკარგებოდა ფერი. პატიმრები "ეშმაკის მამალს" ეძახდნენ — უთენია გამოდიოდა "სანადიროდ", — რატომღაც, მოტოციკლეტისტის მაღალყელიან ხელთამანებს იცვამდა და მწვანე შუშებიან სათვალეს იკეთებდა (აღბათ კონსპირაციის მიზნით), სხარტად, ხალისიანად ჩარბოდა ენკავედეს სარდაფის კიბეზე, მცოდნე და მოყვარული თავისი საქმისა, და როგორც არ უნდა გაჯიუტებოდა დასახვრეტი, როგორც არ უნდა მიყუჟულიყო სიკვდელმისჯილთა საკნის კუთხეში, გინდაც კედლის ბზარში შემძვრალიყო, ჯოჯოსავით, მაინც წამში გამოათრევდა იქიდან: გრძელტარიან რეინის კაუჭს მარჯვენდ გამოსდებდა ბარძაქში, მხარში ანდა ყბაში და ისიც (დასახვრეტი) მაშინვე კარგავდა ბრძოლის ხალისს, მაშინვე ნებდებოდა, შიშისაგან ჩაფხმული და

www.Litklubi.ge

ენახვარდნილი მიფრატუნობდა სანახვეროდ ბნელსა და უკაცურ დერეფანში, ჯერ
კიდევ პირტიტველი ჯალათის წინ...

ცოლიც ადრე შეირთო, ბევრად უფროსი ქალი და, რაც მთავარია, მისი კლასობრივი მტერი, "მაღალი საზოგადოების" ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი "უწინდელ" საქართველოში — კნიაჟნა ქეთუსია — ეტალონი ქალური მომხიბვლელობისა, გულისხმიერებისა და კდემამოსილებისა... მამისა და ქმრის გაუნელებელი სიყვარულითა და ყურადღებით განებივრებული და თავადაც ფარი და გვირგვინი მამისა და ქმრის ღირსებისა და სახელისა... კნიაჟნა ქეთუსიას მამა ტიპიური ქართველი თავადი გახლდათ — მიმინოთი ნადირობდა მწყერზე და ნანადირევს მიმინოს აჭმევდა. ქმარი — უცხოეთში განსწავლული და საქვეყნოდ ცნობილი ვექილი, მსაჯულთა და ბრალმდებელთა რისხვად ითვლებოდა და, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალზედ უხერხულ და, ხშირად, გამოუვალ მდგომარეობაშიც აგდებდა იმათ თავისი მოსწრებული სიტყვით. ცხოვრებაში კი, უაღრესად მორიდებული, თავაზიანი ადამიანი გახლდათ და, დროს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით დაუცველიც. სიფრიფანა პენსნეს ატარებდა მხოლოდ, გარვეულუციონერებული, ანუ, გამხეცებული ცხოვრებისგან თავის დასაცავად და, თქვენ წარმიდგინეთ, გარკვეული თვალსაზრისით, ესეც ზრდიდა მის ავტორიტეტს ახალი საზოგადოების თვალში. უფროსკლასელი გოგობი გაკვეთილებიდან იპარებოდნენ და სასამართლოს ცივ დარბაზში საათობით უსმენდნენ იმის ცეცხლოვან გამოსვლებს, დაძაბულობისგან დაცქვეტილნი და მღელვარებისგან თითებმოშუშულნი, შესცქეროდნენ თავიანთ კერპს, რომელიც ანტონ კაშელმა დაუფიქრებლად მიახვრიტა, სიამართან ერთად, მხოლოდ იმიტომ, მაინცდამაინც, მისი ცოლი რომ უნდოდა ცოლად. მართალია, ბოლშევიკების მეორე თაობას ეკუთვნოდა და ადამიანური ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა ჯერ, მაგრამ რამეს თუ ვერ იტანდა, რამეს თუ გამოჰყავდა წონასწორობიდან, მხოლოდ ბოლშევიკური ცხოვრების წესს, ბოლშევიკურ ყოფას; თუკი რამ თრგუნავდა, მხოლოდ მშობლიური გარემო. პატარაობისას (სხვათაშორის, ასაკთან შედარებით, ყოველთვის პატარად გამოიყურებოდა), თითებით ყურებდაცული, ძალად თვალგებდახუჭული და კიდევ უფრო დაპატარავებული იჯდა ხოლმე იატაკზე, სულ ერთი ხელისდადება ოთახის კუთხეში, სადაც თითქმის ყოველ საღამოს ლამის მთელი მეთერთმეტე არმია იყრიდა თავს და მშვენივრადაც ეტეოდა, თავის ქალებიანად, არყის ბოცოებიანად, მოხარშული კარტოფილის ზვინებიანად და ქაშაყით სავსე კასრებიანად... იდგა ერთი გაუთავებელი ხორხოცი, ღრიალი და ღრიანცელი, ანუ, სუფევდა სრული თანხმობა, თანასწორობა და სიამტკიბილობა, არავინ არავის მიმართავდა, არავინ არავის უსმენდა და არავინ არავის პასუხობდა. უფრო მეტიც, ძაღლადაც არ აგდებდნენ ერთმანეთს. ყველა თავის ჭიას ახარებდა მხოლოდ, ცხოვრობდა ჭიის მოთხოვნილებებისა და მითითებების გათვალისწინებით, ანუ, იმას აკეთებდა, რაც იმ წუთას უნდოდა: სვამდა, მღეროდა, ცეკვავდა, ტიროდა, იცინოდა, ანეკდოტს ყვებოდა, სადღეგრძელოს ამბობდა, ცემდა ან ეფერებოდა თავის ქალს, თქველფდა გაუფცქენელ კარტოფილსა და გამოუწეულავ ქაშაყს, ანდა, იქვე, კედელთან მიმდგარი, ყურებდაცობილი და თვალდახუჭული ბავშვის გვერდით შარდავდა, "სუფრისკენ" კისერმოდრეცილი და შტერულად მომღიმარი, ვითომ, შემომხედეთ, როგორი ჭკვიანი ვარ, არც სუფრას ვკარგავ თვალთახედვიდან და არც ზედმეტ დროს გასვლა-შემოსვლაშიო. "კლავა, შე ძაღლის გაგდებულო, კლავა, არ დაივიწყო პერეკოპიო..." — ღრიალებდა გაღეშილი რაჟდენი. "ნამე ჩემი ჩუჩუაო" — პასუხობდა არანაკლებ გაღეშილი კლავა. ხოდა, თვითონაც ამ წუმპეში რომ არ ჩამპაღიყო, ყველა ღონე უნდა ეხმარა იქიდან ამოსასვლელად. მაღალ მიზანს მხოლოდ დიდი სიძნელეების გადალახვით თუ მიაღწევს კაცი და მიზანი ყოველთვის ამართლებს ყველაფერს, რასაც მის მისაღწევად ჩაიდენ... ანტონ კაშელმა კნიაჟნა ქეთუსიას მამა და ქმარი ჯერ "ხალხის მტრებად" შერაცხა და მერე საკუთარი ხელით დახვრიტა ენკავედეს სარდაფში. რაც მთავარია, ეს ამბავი არც კნიაჟნა ქეთუსიასთვის დაუმაღავს, როგორც პატიოსანსა და თავის პატიოსნებაში ღრმად დარწმუნებულ ჩეკისტს. ხელის სათხოვნელად რომ ეახლა შინ, ჯერ ის უამბო, თუ როგორ "თავადიშვილურად" აღესრულა მამამისი და როგორ "ინტელიგენტურად" ჩაისვარა მისმა ქმარმა. ნადირობის მოტრფილვე თავადი არც სიკვდილმისჯილთა საკნიდან გამოყვანისას გასძაღიანებია ტყუილუბრალოდ და არც ბნელსა და უკაცურ

დერეფანში მოჰყოლია უაზრო ხვეწნა-მუდარას. მოტოციკლეტისტი ხელთათმანებიანი და მწვანე სათვალისანი ჯალათის დანახვაზე, ჯერ გასცინებია, მერე ხელი ჩაუქნევია და უთქვამს: "როცა შენისთანა ნაბიჭვრები დაეპატრონებიან ქვეყანას, თავმოყვარე კაცს იქ ნამდვილად აღარ დაედგომებო". სამაგიეროდ, მის სიძეს არ ეთმობოდა აქაურობა. ფრჩხილებით, კბილებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, წამწამებითაც კი, ებლაუჭებოდა თურმე ბეტონის ყრუ კედელს. ანტონ კაშელსაც მხოლოდ მესამე ცდაზე მიუწვდენია გრძელტარიანი რკინის კაუჭი საფუძვლიანად. პირველად, შარვლის ცალი ტოტი შემოუხევია მხოლოდ. მეორედ — პიჯაკიან-პერანგიან-ხორციანად ჩამოუბლორტნია ფერდი. მესამედ კი, საზარდულში გამოუდია კაუჭის წვეტიანი ნისკარტი და სახელგანთქმულ ვეჭილსაც მაშინვე დაუყრია ფარხმალი, მუხლზე დავარდნილა და აქვითინებულა, ოღონდ ნუ მომკლავთ და ყველაფერს ვადიარებო, რასაც კიდევ უფრო განურისხებია მისი ჯალათი, რადგან ჯალათზე უკეთ არც თავად ბრალდებულმა იცოდა, არავითარი დანაშაული რომ არ მიუძღოდა არც ღმერთისა და, მით უფრო, არც ხალხის წინაშე. ცოლის ღამის ქოთანს თუ გადაბრუნებია შემთხვევით, საძილე ოთახიდან გამოტანისას, და მაშინაც ალბათ თავად მოუწმენდია დაღვრილი... "ყველაფერი შემოიძლია გავეუგო და ვაპატიო კაცს, გარდა სიცრუისაო" — გულწრფელი უტიფრობით განაცხადა მსხვერპლის ქვრივთან ხელის სათხოვნელად მისულმა ჯალათმა, ოღონდ, თავის გასამართლებლად კი არა, არამედ მომავალი მეუღლის გასაფრთხილებლად. სადამოვდებოდა. სადღაც, შორს, ან დიდუბეში, ან ნავთლულში, ორთქლმავალმა შეჰკივლა. კნიაუნა ქეთუსია სარკმელთან იდგა (ვიდრე ანტონ კაშელი ლაპარაკობდა), მხრებზე თხელი, აბლაბუდასავით სიფრიფანა, ორენბურგული შალი მოეხურა, და ქუჩაში იყურებოდა, მაგრამ სარკმლიდან, ქუჩის მაგივრად, რატომღაც, სოფლის გზის პატარა ნაგლეჯი მოჩანდა მხოლოდ (შეიძლება, მის ხსოვნაში ჩარჩენილი), არსაიდან მომავალი და არსაით მიმავალი. გზის ნაგლეჯს ბალახი მოსდებოდა. ბალახს ურმისა თუ ეტლის ნაბორბლარი ეტყობოდა. ნაბორბლარში წყალი ჩამდგარიყო. წყალს ნემსიყლაპია დასტრიალებდა. "ვიდრე, თუნდაც, გზის ეს პატარა ნაგლეჯი არსებობს, ეს პაწაწინა ნაგლეჯიო..." — ფიქრობდა კნიაუნა ქეთუსია და სულ ოდნავ, ძლივს შესამჩნევად უთრთოდა ლაღად გაშლილი, უადრესად სიმეტრიული, ძვლიანი მხრები, რაც, თავისთავად ცხადია, არც ანტონ კაშელის ფხიზელ თვალს გამოპარვია, ოღონდ, ანტონ კაშელსაც გაუჭირდა დაედგინა, სიციფს იკაგებდა მისი მომავალი მეუღლე თუ ქვითინს...

ჯვარი ორგზის გაკრეჭილმა (ცხრაასხუთსა და ცხრაასჩვიდმეტში) და სამუდამოდ სულწაწყმედილმა მღვდელმა დასწერათ. დიდხანს უარობდა, არ მიყვებოდათ ეკლესიაში, აღარა ვარ ღვთის მსახური, ჩვეულებრივი ვირისმუშა ვარო, მაგრამ სიძის მაყრებმა შავად აკრიალებული რევოლვერები რომ დაადეს შუბლზე, საიდანღაც, ანაფორაც გამოაძვრინა უცებ, ოქრომკედით ნაქარგი ოლარიც, ვერცხლის ვეება ჯვარიც და ბორკილივით მიძმე საცეცხლურიც. ძირითადად უწმაწურ ანეგდოტებს ყვებოდა საერთოდ ნეფე-პატარძლების პიკანტურ თავგადასავლებზე და გულიანადაც აცინებდა მექორწილებს — რაჟდენ კაშელისა და კლაგას ყოფილ თანამებროლებს, მეთერთმეტე არმიის ვეტერან ჯარისკაცებს, და სიძის, ანტონ კაშელის კოლეგებს, დამწყებსა თუ დასრულებულ ჩეკისტებს. მხოლოდ კლავა არ დალატობდა მხედრულ დისციპლინას და მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა ამ უცნაურ ცერემონიალს. ჩვეულებისამებრ, უნიფორმაში გამოწყობილი და მხარზე შაშხანაგადაკიდებული, კუშტად იდგა, როგორც პოსტზე, ანდა საპატიო ყარაულში, და მაზარის ფართო ლაცკანზე ერთად დაემაგრებინა თავისი თუ მეუღლის ჯილდოები. თავად რაჟდენ კაშელი ამდროისთვის უკვე მკვდარია. ვიდაც აისორმა მოკლა ორი წლის წინ, ღვინის სარდაფში, მალაკნების ბაზართან. ქილის ნამტვრევით გადაუჭრა საძილე არტერია და კიბეზე დალია ცოდვილი სული კაშელების პატრიარქმა, ვერ მოასწრო სარდაფიდან ამოხსება. ეკლესიაში კი, ერთი უსაშველო გნისი და ღრიანცელი იდგა. ავაზაკურ სტვენასა და სამსართულიან გინებებს დამაყრუებელი ბათქაბუთქი ენაცვლებოდა. ისროდნენ ყველანი იარაღიდან: მაუხერიდან, ნაგანიდან, კარაბინიდან და ჩვეულებრივი საბრძოლო შაშხანიდანაც... ლაწალუწი გაუდიოდა ხატებს, სასანთლებს... კედლებს ფერადი ბათქაში ცვიოდა. გაოგნებულნი, სახტად დარჩენილნი იყურებოდნენ თვალგამოთხრილი, ცხვირჩაჩქვილი, ყურწაგლეჯილი თუ შუბლგახვრეტილი წმინდანები... მაგრამ სიძის ნასროლმა მაინც ყველას აჯობა, სიზუსტითაც და სანახაობრივადაც. სიძემ ნაგანის ტყვიით, ოცდახუთი ნაბიჯის სიშორიდან, წითელი ღვინით სავსე ჭიქა დაამსხვრია პატარძალს თავზე და როცა საქორწილო ლეჩაქი ღვინომ სისხლისფრად შედება, პატარძალმა კი, გამარჯვებულ ნეფეს მდაბლად დაუკრა თავი, აღტაცების ყიფინამ ლამის დააქცია ეკლესია...

იმ დღის მერე, წვეულება არ გაიმართებოდა თბილისში (ბევრი საგანგებოდ ამიტომაც მართავდა), ისინიც არ მიეწვიათ. რასაკვირველია, მართლაც ძალიან საინტერესო სანახავია, თუ როგორ ამსხვრევს თავზე ღვინით სავსე ჭიქას ახალგაზრდა ჩეისტი არც თუ ისე ახალგაზრდა ცოლს, მაგრამ ალბათ იმის ფარული მოლოდინი უფრო ჰქონდათ, თუ როდის უმტყუნებდა ხელი სახელგანთქმულ ჯალათს და როდის გაუხვრეტდა (სახალხოდ) შუბლს თავის სულელ პარტნიორს, რომელმაც მამისა და ქმრის დამხვრეტი ლოგინში ჩაიგორა და კლასობრივ მტერს წლის თავზე ვაჟი გაუჩინა. მაგრამ ქალაქში მთავარი ჭორების მიუხედავად, მიუხედავად კლასობრივი და ასაკობრივი სხვაობისა, უფრო შესმატებილებული წყვილი ალბათ სანთლით ვერ მოიძებნებოდა ქვეყანაზე. უყვარდათ თუ სძულდათ ერთმანეთი, ეს სხვა საკითხია, ძნელი გასარკვევიც, მაგრამ აშკარად ძლიერი გრძნობებით რომ იყვნენ დაკავშირებულნი, ცხადია — სიკვდილის სუნს ავრცელებდნენ ირგვლივ და გარდუვალი უბედურების შეგრძნებას უჩენდნენ ყველას, ვისაც შორიდან მაინც მოეკრა მათთვის თვალი. კნიაუნა ქეთუსიას ან მართლა აღარ ჰქონდა სხვა გზა (გარდა სარკმლიდან მოღანდებული გზის ნაგლეჯისა) და იძულებით მიდიოდა სასიკვდილოდ, თანაც, ყოველ სადამოს, ან იმდენად წყურთა, მაინცდამაინც, მისი უახლოესი ადამიანების დამხვრეტი მეუღლის ხელით სიკვდილი, სანაცვლოდ ყველაფერს აიტანდა, და მომხიბლავად მომღიმარი, ბედნიერებისგან დაბრმავებული ქალის უღარდებლობით უსწორებდა თვალს ნაგანის ლულის შავ სიცარიელეს, საიდანაც ყოველ წამს შეიძლება გამოვარდნილიყო ნანატრი სიკვდილი. ხოლო, მისი მეუღლე იმდენად თავდაჯერებული გახლდათ, ანდა, იმდენად ბრიყვი, ვერც ხვდებოდა, თუ რა საფრთხეში აგდებდა ყოველდღიურად, რა იოლად წირავდა, გაუთავებელი რევოლუციებითა თუ მსოფლიო და სამოქალაქო ომებით ძლივს მოპოვებული დიდგვაროვანი მეუღლის სიცოცხლეს. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მათი მარადიული დუელი ერთ უთქმელ სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს, პირველ რიგში, ბრმა სიკვდილის ასევე მარადიული მოლოდინით. მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. უსიტყვოდ, სხეულით ესმოდათ ერთმანეთისა, როგორც საცირკო ნომერში მონაწილე აკრობატებს და, თუმცა მათი "ნომერი" ნებისმიერ საცირკო ნომერზე საინტერესოც იყო და სახიფათოც, ყველა წარმოდგენა ერთნაირი წარმატებით მთავრდებოდა. ტყვიის გავარდნისთანავე, ყოველთვის ერთნაირად იღებებოდა "სისხლით" საქორწილო ლეჩაქი (ჩვეულებრივი, ჭრილობის გადასახვევი მარლა, რომელსაც ალბათ იმიტომაც აფარებდნენ "პატარძალს" თავზე, შუშის ნამსხვრევები არ ჩასცვენოდა თმაში) და საფუძვლიანად აღელვებული, მაგრამ გულის სიღრმეში ასევე საფუძვლიანად გაწბილებული მაყურებელი ამ გახანგრძლივებული მკვლელობის აქტს, შეიძლება გაუთვითცნობიერებლადაც, მაგრამ სავსებით ბუნებრივად, რევოლუციამდელი ცხოვრებიდან გადმოყოლილი ადათ-წესებისა და, კერძოდ, კანონიერი ქორწინების საწინააღმდეგო აგიტაციად აღიქვამდა...

ვაჟს ბაბუის სახელი დაარქვეს და გოდრიდან ამოსულმა მოდგმამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ გაურკვეველი მომავლისკენ, კიდევ ერთი თაობით გაიხანგრძლივა დაუოკებელი ჟინი სიცოცხლისა, გოდრიდან რომ ამოიყოლა მისმა პატრიარქმა, რომელიც უკვე ბიუსტად გარდაქმნილი იდგა მშობლიურ სოფელში, სკოლის წინ, და სულერთი იყო მისთვის, ესაღმებოდნენ თუ ეჭყანებოდნენ ადგილობრივი პიონერები. მოწონდა თუ არ მოწონდა, ასე უნდა მდგარიყო, სულ ცოტა, ოთხმოცდაცხრა წლის აპრილამდე მაინც, ვიდრე იგივე პიონერები ძალაყინით გადმოაგდებდნენ კვარცხლბეკიდან. იქამდე კი, დედის გინებაც უნდა მოეთმინა და შუბლზე მიჭყლეტილი ნამწვიც, ნერწყვით დამბალი და ჯერ კიდევ მხრწოლავი პაპიროსისა. უნდა მდგარიყო, ბოლშევიკურად მტკიცედ და წარბის შეუხრელად, თუნდაც, მხოლოდ საკუთარი მოდგმის საკეთილდღეოდ, რათა პატივი და ყურადღება არ მოკლებოდა მისიანს მაღლიერი ხელისუფლებისგან. ხელისუფლებამ, ავია თუ კარგი, კანონიერი თუ უკანონო, ხალხის მსახური თუ ხალხის მტერი, მშვენივრად იცის, უანგაროდ არავინ მოიკლავს მისთვის თავს და ისიც იცის, მადა ჭამაში რომ მოდის, ყოველ შემთხვევაში, ოქროს წყალში გაველებული თითბრის ორდენებითა და თაბაშირის ბიუსტებით ვეღარ გააცუცურაკებს "ხალხისთვის წამებულ რაინდებს". კაშელების ქვიშეთური აგარაკის ელექტრო-ჭიშკრის სანახავად, არა მარტო მეზობელ სოფლებიდან, ცოტა უფრო შორიდანაც ჩამოდიოდნენ შურიანი ცნობისმოყვარენი და პირდაღებულნი შესცქეროდნენ, აღიბაბას სეზამით, თავისთავად როგორ იღებოდა რკინის ცხაურებიანი მესერი, როგორ შედიოდა აგურის კედელში, დრჭიალითა და ძაგძაგით, და ეზოს დაბურული სიმწვანიდან თანდათან როგორ იკვეთებოდა პომპეზურად პირქუში თუ პირქუშად პომპეზური შენობა, სადაც ზაფხულობით მხოლოდ ერთი ჩეკისტის ოჯახი ისვენებდა, როცა, საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლად შეეძლო მთელი სანატორიუმის მაგივრობაც გაეწია (ადგილობრივი თავადის ბევრად უფრო მოკრძალებულ სახლში, სეზონის განმავლობაში, თითქმის ყველა უაგარაკო მწვერალი ასწრებდა დასვენებას და, თანაც, ოჯახთან ერთად). ამდროისათვის, უკვე გაგებული ჰქონდათ ბოლშევიკებს კარგი ცხოვრების გემო, მაგრამ ბურჟუოზა არ დაგეწამონ მტრებმაო, ჯერ კიდევ ცდილობდნენ, დიახაც რომ, ბურჟუაზიულ მიდრეკილებათა დამალვას. ჯერ განვითარების მეორე ეტაპს გადიოდნენ მხოლოდ, როცა ჩვეულებრივი აბრეშუმის მატლიც კი, რამდენიმე ეტაპს გადის, საბოლოო სახის მიღებამდე, ანუ, კვერცხიდან (იგივე გოდრიდან) გამოჩეკილი, ვიდრე პეპლად გარდაიქმნებოდეს. სხვათაშორის, ისიც ბოლშევიკური შეუპოვრობით მილოდავს, მიისწრაფის სრულყოფისკენ და ოთხჯერ მაინც უნდა გამოძერვს კანიდან, კიდევ უფრო გაზრდილ-გასიებული, ვიდრე დაჭურბრდება, ანუ, საკუთარ განავალში გამოემწყვდევს, გაკოჭილი, საძრაობა წართმეული, და მეკვარი რომ ჰგონია ყველას, სწორედ მაშინ ახდენს სასწაულს — კაშელების აგარაკის ელექტრო-ჭიშკარივით, კიდევ ერთხელ, თავისთავად გაიხსნება მისი მისხაკიფერი კანი და იქიდან დიდთვალება, ქონრიანი, მუცელშეღინდლული პეპელა ამოფრინდება. პეპელაც, რა თქმა უნდა, მატლია, მაგრამ წინამორბედის სიკვდილით გაკეთილშობილებული. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვს საერთო მატლთან, მშობელთან, წინაპართან, შემქმნელთან, არც გარეგნულად, არც თვისობრივად, ჯერ ერთი, ყველაფერს კი არ ნთქავს განურჩევლად, ყვავილის ნექტარს მიირთმევს მხოლოდ და კი არ დალოდავს, დაფრინავს, დაფარფატებს, ზეიმობს კვერცხიდან პეპლობამდე გამოვლილ გზას, ხოსვით მოპოვებულ ფრთებს, საკუთარ სრულყოფილებას, მატლობის დასასრულს და... მოახლოებულ სიკვდილსაც. მაგრამ, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, კვერცხის დადგებას მაინც ასწრებს და, ამდენად, ბუნებაში არაფერი იკარგება. უბრალოდ, ახალი წრე იწყება, ახალი კვერცხიდან (თუ გნებავთ, გოდრიდან) ახალი მატლი იჩეკება, რომელიც დიდთვალება, ქონრიან, მუცელშეღინდლულ პეპლად გარდაიქმნება ბოლოს და ასე იქნება სულ, უსასრულოდ, უკუნითი უკუნისამდე... მაგრამ ანტონ კაშელს ბევრი აკლდა პეპლობამდე. უფრო სწორად, მატლად უნდა მომკვდარიყო და მოკვდა კიდევ. 1949 წლის 29 ივლისს, ელბაქიძის დაღმართზე, ღვინის ქარხნის წინ, ზუსტად 19 საათსა და 59 წუთზე, ადგილობრივი დროით, ტროტუარზე იდგა, ქუჩისკენ ზურგშექცეული, და გახეთს ათვალდებულად. წამი-წამზე, მეგობრები გამოუვლიდნენ, მანქანაში ჩაისვამდნენ და ტაბახმელაზე ავარდებოდნენ "პურის

საჭმელად". მისი მანქანა დღეს კნიაუნა ქეთუსიას ემსახურებოდა, უაღრესად ქალური ღონისძიებების ჩასატარებლად: ექიმთან უნდა შეველო, მაღაზიებში შევჭყიტა, გადამყიდველისთვის რაღაც დაევალებინა, გრიპიანი ღობილი მოენახულებინა, მეორე ღობილთან ესადილა და ასე შემდეგ, ასე შემდეგ... ანტონ კაშელმა თავად დაუთქვა მეგობრებს პაემანი, მაინცდამაინც, ელბაქიდის ქუჩაზე, მაინცდამაინც, ღვინის ქარხნის წინ, რადგან ბარემ ღვინის ქარხნის ღირექტორიც ყავდა სანახავი, ეშმაკმა იცის, რა მიზნით და რასთან დაკავშირებით, მაგრამ ამდროისთვის, ღვინის ქარხნის ღირექტორს უკვე მეორედ აფუნდა მდივანი ქალი სველ ტილოს შუბლზე და მეორედ ასმევდა ვალერიანის წვეთებს. ანტონ კაშელი კი, დანიშნულ ადგილზე იდგა და მეგობრების მოლოდინში, ვითომ, გაზეთს ათვალიერებდა. სინამდვილეში, ერთ დიდ სასმენ ორგანოდ გადაქცეული, მთელი არსებით ისრუტავდა ქუჩის ხმებს — ტრამვაის ბორბლების ღრჭიალს, მანქანების საყვირების განუწყვეტელ ჭყიპინსა თუ აღმართზე ამსველელ-ჩამომსველელთა ფეხსაცმელების ჭრაჭუნსა და ბაკა-ბუკს... — მაგრამ, ეტყობა, მაინც უმტყუნა ალდომ, ერთი წამით მაინც მოადუნა ყურადღება, და, როგორც მერე დადგინდა, დიდი ხნის ჩამოწერილი და ტექნიკურად გაუმართავი სატვირთო მანქანა, სწორედ ის, რომლითაც რაჟდენ კაშელი 24-ში დახვრეტილი მემამოხეების გვამებს ეზიდებოდა და ერთხელ შვილიც აბუქნავა იმ გვამებზე, მთელი ძალით დაეჯახა ზურგიდან, რაკი უბედურ დღეს გაჩენილმა მძღოლმა (მთელი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთებში მისი პორტრეტი, ხან ანფასიდან და ხან პროფილიდან გადაღებული, როგორც "უცხოეთის დახვეწვის ერთ-ერთი სერიოზული აგენტისა"), ვერაფრით ვეღარ დაიმორჩილა მუხრუჭნავარდნილი და საჭკამოვარდნილი რკინის ურჩხული, ეშმაკის შექმნილი, მისი ცოლშვილის ცოდვით სავსე მანქანა და საქართველოს ღვინის ორდენოსანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინსახკომის თვალსაჩინო და საამაყო მუშაკი მატლივით მიაჭყლიტა ღვინის ქარხნის კედელზე. თავად ანტონ კაშელი ვერც კი მიხვდა, რა შეემთხვა. უბრალოდ, უკანასკნელ წამს, სისხლის ვეება, ლამის აეროსტატისხელა, თვალისმომჭრელად მბზინავი ბუშტი ამოიზარდა მის თვალწინ და როგორც კი მიაღო თითი, მაშინვე ყურისწამლები ხმაურით გასკდა...

ხოლო, მისი ნაშეიერი, უკვე ორმოცდაათს გადაცილებული და საქვეყნო საქმეებში გასული კაცი, ბიჭივითაა შეყვარებული და, ცოლის გვერდით გაშოტილს, რძლის დაბზეკილი ძუძუები ელანდება. მაგრამ იმიტომ კი არა, მამაზე ნაკლები კაშვლია და უნარი არ შესწევს, იქით მოალანდოს სხვებს თავი, არამედ სულ სხვა დროს რომ მოუწია ცხოვრება, დრო შეხვდა ცუდი, დამყაყებელი სოციალიზმისა, უძრობისა, და თვითონაც, ძალაუნებურად, დაჭურდა, გამოიკეტა, გამოიხრჩო მოლოდინისა და მოთმინების უპაერო პარკში... მლიქნელობისა და თვალთმაქცობის აბრეშუმში... იმის მაგივრად, კედელთან მიეყენებინა იდეური მტერი (როგორც მამამისი მოიქცეოდა), დაინათესავა და თავიც მოაქვს იმის ნათესაობით, იმის სახელს იშველიებს წარამარა, როგორც მხდალი მეომარი ფარს. მაგრამ თვითონ კი არ არის მხდალი, დროა უსვინდისო. წინაპრებისგან განსხვავებით, ამას უკვე ფეხზე მყარად დამდგარ ქვეყანაში მოუწია ძირითადად ცხოვრება (ამ ბოლო რამდენიმე წლის გამოკლებით), დასანგრევი დანგრეული დახვდა, დასახვრეტი — დახვრეტილი... "ყოველი მოსახვეჭელია" დარჩა მოსახვეჭი და ისიც იხვეჭს, რაც შეუძლია, რაკი ამას ავალდებულებს იგივე დროც. ასე არ არის?! თუ არ იპარავ, კაცი არა ხარ. ის კი კაცია. უნდა, კაცი იყოს. მართალია, ჯერ არავინ მოუკლავს, მაგრამ მამისეული ნაგანი ახლაც გატენილი უდევს მანქანის "ბარდაჩოკში" (ხვალ ქვიშხეთში მიდის, "ბავშვების" წამოსაყვანად) და საჭირო თუ შეიქნა, ანუ, იმასაც თუ გაუბედა ვინმემ მანქანიდან გადმოსმა, ანდა კაბინეტის აფიცვრა, ხელი არ აუკანკალდება. ცხოვრება წინ არის და, როგორც ჩანს, არც ორმოცდაათი წელია ბევრი, გინდაც ორმოცდათორმეტი იყოს... მთავარია, გული გერჩოდეს. იმას კი, ერჩის... ერჩის და მერე როგორ! ერთი სული აქვს, როდის გათენდება. ხვალიდან ახალი ეტაპი იწყება მის ცხოვრებაში. რაც მთავარია, ლიზიკო უკვე მისი საკუთრებაა, უკვე დაიბევა, ქვიშხეთის ციხეში ჰყავს გამომწყვდეული, იქ ატარებს თაფლობის თვეს, თუმცა, რასაკვირველია, იმასაც უცხოეთში ერჩია. საერთოდ უცხოეთში აპირებდა, თავისი ჭკუით, ცხოვრებას. ანტონსაც ამიტომ გაჰყვა ალბათ ცოლად. ქმრის მეშვეობით დააპირა მამამთილის გამოჭერა, მამამთილის გაველენისა და შეძლების გამოყენება. რატომაც არა! დღეს ვინც რამეს წარმოადგენს, ყველას უცხოეთში ჰყავს შეილები გახიზნული და არც რაუდენს გაუჭირდებოდა თავისი შეილების დაბინავება რომელიმე "ნორმალურ" ქვეყანაში. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ცოტა სხვანაირადაა საქმე. რაუდენს აქ ჭირდება რძალი და არა მიუნჰენსა თუ სანფრანცისკოში. ასე რომ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი პირიქით მოხდა, ლიზიკომ კი არ გამოიჭირა რაუდენი, ანტონის მეშვეობით, არამედ რაუდენმა — ლიზიკო. გაება ჩიტი მახეში. ახლა იფრთხილებს, იფრთხილებს და ბოლოს ისიც შეეგუება ბედს, თუ უკვე შეეგუებული არ არის. ერთთვიანი იზოლაცია სავესებით საკმარისია, ბევრ რამეზე აეხილოს თვალი ქალს. ქალი ეშმაკია, ყოველთვის კაცზე ადრე ხვდება, ვის უქიცინოს კუდი და ვის გამოენთოს ყეფით... როცა რაუდენმა ბრძანა... დიახ, ბრძანა! რაუდენ კაშვლის ყოველი სიტყვა, განსაკუთრებით საკუთარ ოჯახში წარმოთქმული, ბრძანებაა და მისი შესრულება ყველასთვის თანაბრად სავალდებულოა... როცა რაუდენმა ბრძანა, ცოტა ხნით, ყველამ შევიკავოთ თავი, ჯერ დაწინარდეს ქვეყანა და უცხოეთზე მერე ვიფიქროთ, პირველი ლიზიკო დაეთანხმა, რადგან მამამისის შვილი, მაინც ვერ მოიქცეოდა სხვანაირად და ეს ყველაზე უკეთ (ალბათ ლიზიკოზე უკეთაც) რაუდენმა იცოდა. გაჭირვების უამს სამშობლოს მიტოვება და საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი სწორედ ელიზბარს მიაჩნია დაღატად, თორემ, სინამდვილეში, სამშობლო იქ არის, სადაც უკეთესად გრძნობს კაცი თავს და არა იქ, სადაც მამა-პაპის ცოდვების გამო, ადვილი შესაძლებელია, შენ წავაცადონ თავი. მაგრამ რაუდენს თავი იმიტომ კი არ აბია, ანტონისა და ლიზიკოსნაირმა რევოლუციონერებმა წააცადონ, არამედ თავის ნებაზე რომ ატაროს ისინიც... ასედაც მოხდება. ისემც მზე მადლა! რაც თავი ახსოვს, სულ თანამდებობის პირია, უნივერსიტეტშიც კი, უკვე საზოგადოებრივ და პარტიულ დავალებას ასრულებდა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გახდდა, რექტორი ეკითხებოდა ჭკუას და ბევრი ნაფტალინწაყრილი პროფესორ-მასწავლებელი მოწიწებით უხდიდა გაზინთულ შლიაპას, როცა მისი ტოლები (თუნდაც, იგივე ელიზბარი), ლუდის სმაში ეჯობებოდნენ ერთმანეთს და უნივერსიტეტის ეზოში გაცილებით მეტ დროს ატარებდნენ, ვიდრე აუდიტორიებში. ხოდა, ახლა ვითომ რა გაუჭირდება ისეთი, ერთ

ახვარ გოგოს ვერ მოუაროს, გინდაც ყოფილ რევოლუციონერს... აკი თვითონვე განაცხადა ერთხელ, მათი მორიგი "საიდუმლო" შეხვედრის დროს, სულ ტყუილუბრალოდ გავიცეი საკვერცხეები კიბეებზე ჯდომით... იოლი არ არის, მაგრამ შესაძლებელია. არ არსებობს ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. მთავარია, გვახსოვდეს პერეკოპი... თუმცა, დღევანდელი ახერები მაინც განსაკუთრებულად ახერები არიან, ვერ მიუდგები — ეკალი ასხიათ. ვერც იყიდი. არ იცი, როდის რა წამოუვლით. რაც მთავარია, თვითონაც არ იციან, უნდათ თუ არა საერთოდ რამე... ხვალ გაირკვევა ყველაფერი. ხვალ ჩააკითხავს, როგორც პედანტი ინსპექტორი ციხიდან ციხეში გადასაყვან და, რაც მთავარია, ძნელად მოსათოკ პატიმრებს. ამხელა გზაზე, თანაც ამ არეულ ქვეყანაში, "ბავშვების" მარტო მგზავრობა სახიფათოა. ყოველ შემთხვევაში, "ბავშვებმა" უნდა იცოდნენ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ უიმისოდ. ვინ იცის, იმათაც ერთი სული აქვთ, როდის წამოვლენ იქიდან. თავლობის თვე კარგია, მაგრამ მტერმა გაძლო მთელი თვე მიყრუებულ სოფელში. არა მარტო ფუნის სუნი, ერთმანეთიც ამოუვიდათ ალბათ ყელში. ალბათ უკვე ქონგურმორღვეულ კოშკზე სხედან და იქიდან უთვალთვალებენ, როდის გამოჩნდება მათი პატრონის მანქანა. რაჟღენი ნელა, აუჩქარებლად გადმოვა მანქანიდან, ყმაწვილური მოუთმენლობა და მღელვარება რომ არ შეატყოს ლიზიკომ. მანქანის კარს დაუდევრად წაჰკრავს ხელს და კარი მის ზურგს უკან თავისით დაიკეტება — თითქოს, უფროსის დანახვაზე, ყარაულმა ქუსლები სხარტად მიატყუპაო. სხვა გზა არ არსებობს. არ არსებობს. განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება. მით უფრო, რომ ლიზიკომ თვითონვე გამოუტანა ასეთი განაჩენი საკუთარ თავს, ანუ, თვითონ თუ არ ენდომებოდა, სხვა ვერაფერს აიძულებდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმას. მოკლედ, არავინ არაფერს აშავებს. დამნაშავე მხოლოდ დროა. მაგრამ კაშელები დროსაც არ ეპუებიან და, კაცმა რომ თქვას, ჯერჯერობით, არც არავინ თხოულობს მათგან ამგვარ დათმობაზე წასვლას. რასაკვირველია, ლიზიკოც მაგარი კაკალია და ფეფე მართალია, როცა ამბობს, ჩემს დედამთილს გავსო, ესე იგი, კნიაუნა ქეთუსიასი არ იყოს, ვერც იმას გატყუებენ კაშელები ადვილად, მაგრამ მაგასაც ვნახავთ. ხოლო, ობიექტურები თუ ვიქნებით, ლიზიკო მართლა გავს კნიაუნა ქეთუსიას და არა მარტო ბუნებით, არამედ გარეგნულადაც. საკვირველი კია, რატომ უნდა გავდეს ელიზბარის შვილი რაჟღენის დედას, მაგრამ რაკი ისიც უკვე კაშელია, სჯობს ისევე კნიაუნა ქეთუსიას გავდეს, ვიდრე ფეფეს, ანდა, კიდევ უარესი, კლავას. ფეფეს მხოლოდ სხვათა სამსახური და სხვათა ცხოვრების თვალთვალი შეუძლია. კლავა კი, არაფერს წარმოადგენდა საერთოდ. მთელი ბავშვობა იმის გარკვევას მოანდობა რაჟღენმა და მაინც ვერ გაარკვია წესიერად, ქალი იყო თუ კაცი ბებიაიმისი. ყოველ შემთხვევაში, კაცივით იცვამდა, კაცივით იკრეჭდა თმას, კაცივით ეწეოდა თუთუნს, კაცივით სვამდა არაყს და კაცივით იგინებოდა, ოღონდ, ვერაფერს იტყოდა დაბეჯითებით, რომელ ენაზე მეტყველებდა საერთოდ, განსაკუთრებით სიმთვრალეში. სამაგიეროდ, ძაღლივით ერთგული იყო კაშელებისა და იმიტომაც მოიშორა კნიაუნა ქეთუსიამ მაშინვე, როგორც კი დაქვრივდა, როგორც კი მიზარა მიწას ერთადერთი მომრევი და მომთოკავი, წამსვე საგიუეთში უკრა თავი დედამთილს, თავად გიჟმა და დამთხვეულმა. არც თვითონ უკითხავს და არც შვილი გაუგზავნია იმის ამბის საკითხავად, ვიდრე იქიდან არ დაურეკეს, წაიღეთ თქვენი მკვდარიო. მისგან განსხვავებით, ფეფე, რა თქმა უნდა, არ თაკილობს კაშელობას, მაგრამ, იმავე დროს, შეუძლია მოახლედ დაუდგეს კაშელების მტერსაც. ბუნებითაა მოახლე. მოკლედ, კლავასავით ერთგული არ არის, მაგრამ სხვებზე სანდოა, რადგან გაცილებით მეტი მოიპოვა კაშელების მეშვეობით, ვიდრე კაშელობის გამო დაკარგა. ასე რომ, ომი ჯერ არ დამთავრებულა და არც დამთავრდება ასე იოლად. პერეკოპი არ შევლის ამ საქმეს და, შეიძლება, არც სოხუმი ეყოს... ამდენს დებილი კლავაც ხვდებოდა და საგიუეთის გისოსებიან სარკმელში ცხვირგამოყოფილი, მთელი სანაპიროს გასაგონად გაჰყვიროდა: "ჩამეთ ჩემი ჩუჩუაო", ვიდრე საბოლოოდ არ დარწმუნდა ქვეყნის სიყრუეში და ხალათის ქამრისგან განასკვეულ ყულფში არ გაჰყო თავი... ომი გრძელდება, ამხანაგო ბატონებო! ვისაც კაშელების მოსპობა სურს, ისინი მოავლენენ ქვეყნად ახალ კაშელებს... ვისაც კაშელები სძულს, იძულებულნი შეიქმნებიან, გულით შეიყვარონ ისინი, ვითარცა ხორცი ხორცთაგანი

და სისხლი სისხლთაგანი... ომი გრძელდება! რომის პაპი პავლე მეორე ყოველ აღდგომა დღეს ქართულადაც აუწევს მსოფლიოს ამ უდიადეს სასწაულს — ქრისტე აღსდგაო — მაგრამ პირვანდელი სახით საქართველო ვეღარ აღსდგება. ქართველებს რომ გულში უდევთ, ის საქართველო აღარ არსებობს. ის საქართველო, ჯერ კიდევ პაპი პიუს დროს, მისგან წარმოგზავნილ ვინმე ლუდოვიკო ბოლონიელს აღარ დაუხვდა თავის ადგილზე და ახლა, დაბარებულივით, საიდან გამოტყვერება უცებ?! აღარ არსებობს... კაშელებმა მოუთავეს ხელი... მისი მეფენი უცხო ცისქვეშ განისვენებენ, გზაში გარდაცვლილი მწირებივით; მისი ასულნი უცხო თესლისკენ მიიკვლევენ გზას და მისი ვაჟები სხვათა სამსახურში იწყებენ წელს... ასეთია ამ უაზრობის ანატომია. მაგრამ ომი მაინც გრძელდება, ანუ, ერთხელ კიდევ ჩაწიხლული და წამხდარი ახალგაზრდობა უკვე თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წესებით ცხოვრობს. როგორ გვონიათ, რას ნიშნავს ეს ჩვენს ენაზე? ჩვენს ენაზე ეს ნიშნავს გრიალსა და დროსტარებას, არა მარტო აქ, ამ "დამპალ თბილისში", არამედ უცხოეთშიც, ძირითადად უცხოეთში, ნებისმიერ ქვეყანაში, რაზეც ადრე ვერცკი ვიოცნებებდით და რისკენაც ახლა თავად ხელისუფლება მოგვიწოდებს აშკარად და არაორაზროვნად. რატომ? რა მოგახსენოთ. ხელისუფლებას ჰკითხეთ. ალბათ ომში რომ არ წავიდნენ ახალგაზრდები. უფრთხილდება, ზოგავს ქართველების გენოფონდს. რაქდენისა თუ არ გჯერათ, ჩართეთ რადიო, ჩართეთ ტელევიზორი. წადით. წადით. წადით... ლომოურის კატოსავით გაიძახის კადრს ამოფარებული დიქტორი და ჩვენი დაქლიავებული ქაჯანებიც მიდიან, რადგან წასვლა სჯობს წარმავალისა... ომი უიმართლად მშვიდობიანად დამთავრდება. ესე იგი, მაინც დამარცხდებიან, წავლენ თუ დარჩებიან. უფროსმა რაქდენ კაშელმა ერთხელ კი არ აიღო თბილისი, არამედ ერთხელ და სამუდამოდ, ანუ, მომავალშიც იმდენჯერ აიღებს, რამდენჯერაც საჭირო იქნება, ვიდრე მთლად არ გაკაშელდება ეს ძირგავარდნილი ქალბატონი, მარადიული ქვრივივით ჩამქრალ-ჩაშავებული რომ დასკუპებული მტკვრის ორივე ნაპირზე, ერთდროულად, და უხმოდ, უცრემლოდ გლოვობს მის წიადში, "ვითარცა საწნახელში", ბაბუა რაქდენისა და ბებია კლავას ბინძური ჩექმებით ჩაჭყლელი ფალავნებს... ამიტომ, სჯობს წავიდნენ და იგრილონ, დრო ატარონ, სანამ დროა. ისინიც მიდიან და გრიალებენ, სანამ შეუძლიათ, სანამ მშვიერი აზნაურის ღობესავითაა მორღვეული ამ მეტიარა, ვერაფრით ვერშემდგარი სახელმწიფოს საზღვრები. მხოლოდ ამისთვის თხოვდებიან გოგოები (ფასი თუ აქვს მათ გათხოვებას!) და მხოლოდ ამისთვის ირთავენ ცოლებს ბიჭები (ბიჭები თუ ეთქმით კიდევ!) — იქნებ, ერთი თაფლობის თვე მაინც გაატაროთ ჩვენს გემოზე. ოღონდ, ქვიშეთში კი არა, ლიხიკოსა და ანტონის მსგავსად, ნურას უკაცრავად, ანტალიასა და კვიპროსზე... არ ეკუთვნით? ეგ სხვა საკითხია. ეგ ჩვენი საქმე არ არის. ვისაც ფული აქვს, ეკუთვნის. ვისაც არა — არა. ელიზბარისა არ იყოს... (რომ იცოდეთ, დიდი შებერტყილი ყმაწვილია, რადაცრადაცეებს ხედება...) ელიზბარისა არ იყოს, ჩანაფიქრი, მართლაც, სატანურია, მაგრამ, უნდა ვალიაროთ, გენიალურიც. ომში მიდიან თუ ქვიშში, ან აღარ ბრუნდებიან უკან, ან ისეთები აღარ ბრუნდებიან, როგორებიც მიდიან. ბიჭს გოგო არ უნდა, გოგოს — ბიჭი. მოკლედ, გენოფონდიც, თავდაცვის ფონდივით, თვალსა და ხელს შუა ქრება. ფაფუ. აღარ არის. ბუამ ჭამა. "დაიხარჯა დანიშნულებისამებრ". მიდი და ექებე. აბა, როგორ გინდათ! თავისუფლება ძვირი სიამოვნებაა. გემო თუ გაუგე, რაღას არ იკადრებ იმის გულისთვის, ვეღარ შეეღვევი. აკი ვერც ელევინ. მოუთმენლობისგან სული მისდით, პირდაპირ ასაფრენ ბილიკებზე გადიან, ვინ იცის რამდენჯერ გარემონტებულ-გადაღებული "მერსედესებით", "ვოლვოებით", "ბემევეებით" და ზეზუვად აგრძელებენ ქვიშს, ფუჭად რომ არ დაკარგონ დრო თვითმფრინავის მოლოდინში — ერთ თვითმფრინავს თუ გვამებ ჩამოაქვს ჩრდილოეთიდან, მეორე მექორწილებს მიეზიდება სამხრეთისაკენ — მუსიკაც თან დააქვთ და პურმარილიც. მანქანის კაპოტზე შლიან "სუფრას" და არცთუ იშვიათად, შამპანურის ბოთლების ზაღპს უფრო სერიოზული ზაღპიც ენაცვლება. ამგვარ ნაუცბათევ ქორწილებზე რომ ტყვია-წამალი იხარჯება, სავსებით საკმარისი იქნებოდა აფსუების თუნდაც ერთი იერიშის მოსაგერიებლად ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე. მაგრამ არც

აეროპორტის ადმინისტრაცია ფიქრობს ამაზე (იმას თავისი "ტვირთები" აწუხებს), არც გვამების მომლოდინე ჭირისუფლები და, თავისთავად ცხადია, არც თავად მექორწილები... ძლივს თვალი აეხილათ, გზაზე დამდგარან და ახლა ხომ არ ჩაიხოცებიან უაზრო ომში, ეშმაკმაც რომ არ იცის, ვინ დაიწყო და რისთვის. გრძელი, ფრიალა, ხალვათად მორგებული იტალიური პიჯაკების ქვეშ მხარიღლივ ჰკიდიათ შანსიანი და ფულის მშოვნელი მამა-ბიძებისგან სკოლის დამთავრებისა თუ "დაოჯახების" აღსანიშნავად ნაჩუქარი იარაღი: მონიკელებული პისტოლეტი თუ ჩაშავებული, ხორკლიანი რევოლვერი. თუ არ იხმარს, რად უნდა?! ხოდა, ხმარობს. ადამიანი კი არა, ძაღლმა იცის უშეცდომოდ, რას აპატიებენ და რას არა. მანდ მარხია ძაღლის თავიც. ხელისუფალი ამიტომაც ხელისუფალი, ბოლომდე დამალოს თავისი მიზანი და რაც უფრო დიდხანს დამალავს, მით უკეთესი იქნება პირადად მისთვის. რა წავაგეთ, ამდენ ხანს რომ ვმალავდით?! პირიქით, უმტკივნეულოდ და თითქმის უდანაკარგოდ მოვიპოვეთ გამარჯვება, თუნდაც, ნაწილობრივ, ჯერ სანახევროდ, მაგრამ განა ცოტაა?! ლიზიკოს, სანაძლეო, არც გაუკვირდება... იმიტომ, რომ კარგად დამაღწევი განზრახვა თავის საქმეს უკეთესად აკეთებს, განუწყვეტელ ზემოქმედებას ახდენს განზრახვის ობიექტზეცო, გეინდოდა გვეთქვა, თუნდაც მხოლოდ თავისი არსებობით, როგორც სადღაც, ბეტონის ჭაში ჩანთქმული ბირთვული იარაღი — მილიონთა და მილიონთა გუნება-განწყობილებაზე. კარგ ხელისუფალს გულში სხვა უდევს, ენაზე სხვა აკერია. ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს და ყველაზე ძალიან სწორედ ეს აბნევს სულელ ხალხს. რა თქმა უნდა, ლიზიკოსაც. მოდი და ნუ დაიბნევი! ჯერ ტვინი გაუხვრიტეს, ანტონს თუ არ წაპყვები, მოკვდება, განარკომანდებაო, ბოლოს კი, არა, ჩიტუნია, ანტონი მხოლოდ ნიგვზის ლებანია, ხაფანგში შემოსატყუებელი, მე კი, ანტონის ბაბუასავით, ანუ, მამაჩემივით, კაციჭამია ვარ და შენ უნდა შეგახრამუნო თავფეხებიანადო. რა ლიზიკოს ბრალია, ჩვენში რომ ვთქვათ?! ლიზიკო ისეთია, როგორიც მშობელმა გაზარდა. რა უნდა ესწავლა იმის წიგნებიდან, ან იმას სად ეცალა წიგნის საწერად?! ქირქილსა და ჭორიკობას გადააყოლა ქვეყანა. სირცხვილი თქვენ, ამხანაგო მწერალო! იცოცხლე კარგია, ტრაკზე ხელებდაწყობილი სეირნობა ცაცხვების ხეივანში, მაგრამ ახლა რა ვუშველოთ თქვენს ქალიშვილს?! სხვების ბინძური საცვლების ქექვასა და პათოლოგიურ მიდრეკილებათა კვლევა-ძიებას, არ აჯობებდა, ერთი პატიოსანი შვილი მაინც გაგვეზარდა?! ჰაააა-ა?! თქვენ გეკითხებიან. რატომ ჩაგიწყდათ ხმა? დაუშუვით და, მართლა კაციჭამია იყო ანტონის ბაბუა, მერე თქვენ რა? ამის გამო, თქვენ ანგელოზებად გამოჩნდებით პირსისხლიანი კაშელების გვერდით? ვერ მოგართვით! ანგელოზობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბავშვისთვის ტვინის გადაბრუნება, ცეცხლზე ნაეთის დასხმა და წყლის ამღვრევა რომ კარგად გეხერხებათ, თქვენი ნაწერებიდანაც ჩანს. ვისიც გეშინიათ, სულელ ბავშვს მიუქსევთ ხოლმე, მაგრამ რაც იმ ბავშვს დღე დაადგება, ერთად ენახავთ ყველანი. იმდენი ძალა ჯერ კიდევ შესწევთ კაშელებს, თავიანთ ჭკუაზე მოაქციონ სწორედ თქვენი გაბებით წესიერ და პატიოსან ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი და არა ჩვეულებრივი თბილისელი წიწკვი მქაფი, აქეთ რომ გეტყვება, რაც უფრო ასაკოვანი და გავლენიანი ხარ. მაგრამ ეს ჩვენი საქმე არ არის, ეს სამზარეულოში ჩაბერებული, მობეზრებული ცოლების პრობლემაა და არა სახელმწიფო მნიშვნელობის დონისძიება. ასე რომ, ჯერ მართლა საკითხავია, ვინ ვის დაკიდებს რუსთაველის ჭადრებზე ფეხით... სად არის პოეტების დასანგრევი ქვეყანა! ვის უნახავს?! ვის გაუგია?! ერთი კარგი გამათრახება და, მაგათი ჯანი! სხვათაშორის, "ბალი" და "ენისელიც" ერთგვარი მათრახია. ასხენებდა თუ არა რაჟდენი, დამსვენებელი მწერლებიც მაშინვე აცქმუტდებოდნენ, ახვიხვინდებოდნენ, აბაკუნდებოდნენ ადგილზე, როგორც ცირკის ცხენები. იმათ ეგონათ, პატივს გვცემენ, გვაფასებენ და იმიტომ გვპატიუებენო, რაჟდენი კი აკინებდა, დასცინოდა და მართლაც სასაცილო სანახავეები იყვნენ, ასაკის მიხედვით ჩამწკრივებულნი რომ მიუყვებოდნენ საქონლისა და დამპალი ნემოს სუნით გაჟღერებულ ორდობეს კაშელების აგარაკისკენ, ვითომ "გამოსასვლელ", მაგრამ უკვე საკმაოდ შელახულ, დალაქულ, გამოსუნებულ და დაპატარავებულ კოსტუმებში გამოწყობილნი... რაჟდენი რძლის გაბზეკიდ ბუბუბზე კი ფიქრობს, რაც თქვენთვის, მწერლებისთვის, მორალისტებისთვის, დასაგმობი საქციელია, მაგრამ ჩვენთვის, კაშელებისთვის,

კაციჭამიებისთვის, ესეც ომია — დაუნდობელი, მიკინვარე, სამკედრო-სასიცოცხლო — ხოდა, თუკი ქალი ქვეყნის სახეა, როგორც თქვენ ამტკიცებთ, როგორც წერილობით, ისევე კერძო საუბრებშიც, ვნახოთ, როგორი სახე ექნება ხვალ და ზეგ თქვენგან შეკოწიწებულ ქვეყანას. კაშელები სექსუალური მანიაკები კი არ არიან, როგორც თქვენ ფიქრობთ გულში, მალულად (გამხედლისა გეშინიათ), არამედ ერთხელ და სამუდამოდ მიცემული ფიცის ერთგული ჯარისკაცები, ერთხელ და სამუდამოდ დასახული მიზნის ყურმოჭრილი მონები და დრო-ჟამის ბატონ-პატრონი. ჯერ ქალობისა არაფერი ეტყობოდა ლიზიკოს, "სხვა თვალთ" რომ შეხედა რაჟდენმა პირველად, ოღონდ, იმიტომ კი არა, თქვენ რომ გგონიათ, არამედ ბავშვის ჯერ კიდევ უცოდველი სულის გადასარჩენად, უსაფუძვლო სიძულვილისგან გასანთავისუფლებლად და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ამ კეთილშობილ მიზანს შეაღია რაჟდენმა თითქმის მთელი თავისი ცხოვრება. ძია რაჟდენ, ძია რაჟდენ, მართლა კაციჭამია იყო ანტონის ბაბუა? მართლა კაციჭამია იყო? მართლა კაციჭამია? მაგრამ ამ სულელურმა შეკითხვამ კი არ გააღიზიანა მაშინ რაჟდენი — ამის მეტს რას ლაპარაკობდნენ ქვიშხეთში დასასვენებლად ჩამოსული მწერლები ცაცხვების ხეივანში — არამედ ამგვარი შეკითხვისათვის თავად ბავშვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოვლად შეუფერებელმა გარეგნობამ: ცხვირსა და ზედა ტუნზე ჭორფლი მოსდებოდა, დაბუშტული ტუნები სისხლისფრად უბზინავდა და ჯერ კიდევ ბიჭურ მკერდზე ოდნავ შემუშებოდა ძუძუსთავები... იმ დღის მერე, ერთი წუთითაც არ აუღია რაჟდენს ხელი, იმავე მწერლების გაგებით, "სათაკლო" და "არანორმალურ" განზრახვაზე, პირიქით, გაუნელებელი მდეღვარებით ელოდებოდა, როდის დაჰკრავდა ჟამი და ყველაფრისგან დამცავი ასაკიდან გამოსული ლიზიკო, მისთვისაც როდის გახდებოდა ხელმისაწვდომი ნებისმიერი თვალსაზრისით. ოღონდ, გულხელდაკრეფილი კი არ ელოდებოდა, მკლავებდაკაპიწებული შრომობდა ამ პროცესის დასაჩქარებლად, ყველაფერზე მიდიოდა, ყველაფერს კისრულობდა, ერთი დღეც რომ არ ეცხოვრა ლიზიკოს უიმისოდ, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიურ ტრანსში ჰყოლოდა განუწყვეტლივ — აბა, თვალხუჭუნა თოჯინაო, აბა, ნაძვის ხის მოსაწვევებით, აბა, თეატრის ბილეთებით, აბა, დობილებთან ერთად, "ივერიის" კაფეში დაპატიუებო და, რა ვიცი... მოკლედ, ვიდრე ლიზიკოს მამა, ბატონი ელიზბარი, ცაცხვების ხეივანში ქირქილებდა, კოლეგების გულის მოსაგებად, ის ლიზიკოს შხამსა და გესლს წოვდა სულიდან, ვთქვათ, ხაზგასმული, გადამეტებული და, თავისთავად ცხადია, ჯერ არაფრით დამსახურებული ყურადღებით, რაც, სხვათაშორის, ყველა ქალს ერთნაირად სიამოვნებს, ვარიკაა თუ კრუხი, უბიწო ანგელოზი თუ ძირგავარდნილი მუძავი... ასე რომ, თვითონ ლიზიკომ შეიძლება ვერც შეამჩნია, ზოგადად კაშელების პოტენციური მტერი, როგორ იქცა კერძოდ რაჟდენ კაშელის "განუყრელ მეგობრად", თანაც ანტონის ზურგს უკან... რასაც ლიზიკო ჯერ კიდევ ბავშვური გულწრფელობითა და უკვე გარკვეული ქალური სიკეკლეუციოთაც უყვებოდა ხოლმე რაჟდენს, ანტონს უმაღავდა, რადგან იმის მოსმენა ანტონისნაირ მამლაყინწა მიჯნურებს არათუ არ სიამოვნებთ, არც შეუძლიათ. რაჟდენს კი, არა მარტო უსასრულოდ შეეძლო ესმინა ლიზიკოსთვის, არამედ წამქეხებლური, წამახალისებელი ყურადღებითაც. ქალებს უყვართ, როცა უსმენენ და ლიზიკოც მეტი მონდომებით, მეტი ხალისით უყვებოდა სამამამთილოს, თუ ვის მიერთმია მისთვის "ორმეტრიანი" ვარდები, სატრფიალო ბარათთან ერთად; ვის შეეთავაზებინა მანქანით გასეირნება თბილისის შემოგარენში; ვის დაეპატიუნა "ყველაზე მოღურ" კაფეში, დუქანსა თუ რესტორანში და, ბოლოს, ვის ეთხოვა ხელი "მთელი სერიოზულობით"... რაჟდენს, თავისთავად ცხადია, ნაკლებად აღელვებდა ლიზიკოს ვნებანი, მას თავის საქმე ჰქონდა, მსახურობდა, და ცხელი ყავისა თუ ცივი შამპანურის წრუპავაც სამსახურში ეთვლებოდა. მაგრამ ერთ აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა იმის განცდა და შეგრძნება, განუწყვეტლივ რომ ეცემოდა წყლის დონე მისი უსასრულო მოთმინების ზღვაში, ცხელი ყავისა თუ ცივი შამპანურის ყოველი ყლუპის შემდეგ. ცოტაც და, ფსკერიც გამოჩნდება, ქაფიანი შლამითა და ლორწოვანი წყალმცენარეებით მოფენილი, და ასევე ბუნებრივად გაშიშვლდება, გამოაშკარავდება მისი განზრახვაც, რაც უნდა ამაზრზენი და მიუღებელი იყოს სხვებისთვის... ეჭვიც არ ეპარება, აუცილებლად გაიტანს თავისას. დარწმუნებულია,

ამას ელოდება მისგან ლიზიკოც და თქვენც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც კაშელებს აძლევს ხელს. სხვა გზა არ არსებობს. არა, გზის მეტი რაა, მაგრამ უმაღლესი ახალი გზის მაძიებელი მონინათლება მოლაღატედ, ვიდრე ძველის ერთგული მიმდევარი. იცით, რა უთხრა ერთხელ ლიზიკომ?! მამაზე მეტად თქვენ გენდობითო; მამასთან ვერასოდეს ვიქნებოდი ასეთი თავისუფალიო. აი, რა უთხრა ლიზიკომ რაუდენს და, შეგიძლიათ სიტყვაზე დაგვიჯეროთ, სავსებით გულწრფელად, ოღონდ, ცოტა უკვე შეჭიკჭიკებულმა. რომელიღაც ახალ ბარში ისხდნენ (რასაკვირველია, "ანტონზე საჭორაოდ"), ალბათ ყოფილ პეროვსკაიაზე და თუმცა ბარში მუსიკისგან ყურთასმენა აღარ იყო, საიდანღაც სროლის ხმა მაინც ისმოდა ყრუდ. ლიზიკოს ლაპარაკისას განუწყვეტლივ ეღიმიება ხოლმე, თვითონაც რომ არ იცის რაზე, და სასმელისგან გაბრწყინებულ თვალებში ფეთიანი, დაუქანცავი ჭინკები დაუხტის...

— ღიზა, ღიზიკო, სადა ხარ გოგო! — დაიძახა ტახო ძაღომ.

რაქდენი სასწრაფოდ მოშორდა ღიზიკოს და ნაჭრის სავარძელს დაუბრუნდა, საიდანაც ესწუთია წამომდგარიყო, ხოლო, წამოდგომამდე, რომელიღაც ღიდი მტაცებელი ცხოველივით, ვითომ სხვათაშორის, ვითომ თვლემამორეული უთვალთვალებდა ფლოსტებში ფეხწაყრილსა და შიშველ ტანზე სარაფანგადაცმულ რძალს, რომელიც ყავას იდუღებდა გაზქურაზე და, რასაკვირველია, გრძნობდა მამამთილის დაჟინებულ მზერას, რაც, ცოტა არ იყოს, აბნევედა და აკვირვებდა, რადგან არასოდეს განეცადა მსგავსი რამ მამამთილთან დაკავშირებით, თუმცა, მშვენივრად იცოდა, "მთლად გულგრილი" არ იყო მამამთილი მის მიმართ და გულის სიღრმეში ეამაყებოდა კიდევ, როცა შურიანი დობილები აქეთ-იქიდან ჩასისინებდნენ ყურში, შეიღზე უფრო, მგონი, მამა გეარშიყებაო, ოღონდ, ეს მსუბუქი, ზედაპირული, ასე ვთქვათ, ნებადართული და, მხოლოდ და მხოლოდ, ურთიერთ სიმპათიის გამომხატველი ფლირტი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობას უჩენდა და საკუთარ შესაძლებლობებში არწმუნებდა ქალობამოახლოებულ გოგოს, ყოველშემთხვევაში, საშიშსა და საწოთიროს ვერაფერს ხედავდა თავად, მაგრამ ამ ერთი წუთის წინ, მართლა მტაცებელი ცხოველივით უჩუმრად რომ მიეპარნენ უკნიდან და გავარვარებული პეშვები მხრებზე ჩამოაწყვეს, ცოტას მორჩა, გული შეუღონდა, წესიერად ვერც მიხვდა უცებ, რა მოხდა, რა შეემთხვა — უჩინარი ხაფანგის კარი ეღვის უსწრაფესად დაიხურა და სრულიად მარტო, სრულიად დაუცველი აღმოჩნდა მოულოდნელად შეკუმშულ სივრცეში, მტვრისა და დამპალი ფიცრის სუნით გაჯერებულ წყვილადში — მაგრამ ტასო ძაღომ რომ დაუძახა საიდანღაც, კი არ გაუხარდა, უარესად დაფრთხა, იმანაც არ გაიგოსო, და — აქა ვარ, ყავას ვიდუღებო — უპასუხა რაც შეიძლებოდა სწრაფად, დაეჭვების საშუალება რომ არ მიეცა მისთვის, არადა, აცახცახებულ ხელში ცარიელი ჟეზე ეჭირა, ისიც აცახცახებული, ხოლო, უკვე წამოდუღებული და ყავისფრად აფოფრილი სითხე შიშინით აშრებოდა გაზქურის ქათქათა ზედაპირს...

— კი არ ვიდუღებ, ვღვრი — დააზუსტა მაშინვე, ვითომ, თქვენს აქ არყოფნაში, სხვა არაფერი მომხდარა უფრო მნიშვნელოვანიო.

ღია კარში ტასო ძაღომ შემოიხედა. მკერდზე თიხის ქოთანის მიეხუტებინა. ქოთნიდან პატარა კაკტუსს ამოეყო ხორკლიანი თავი.

— ეს ქოთანი დაგრჩა, თუ აქ ტოვებ? — ჰკითხა ღიზიკოს.

— ვტოვებ, ტასო ძაღო, ვტოვებ — რატომღაც აღელდა ღიზიკო და მხარზე ჩამოჩანული ბრეტელის გასწორება სცადა ნიკაპით, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. — ნახეთ, რა მომივიდა — გამოხედა მხარსზემოდან — საქმე მოვიმატეთ — მოუბოდიშა გულწრფელად.

— მომიკვდეს თავი — შეიცხადა ტასო ძაღომ — ყავა რო გინდოდა?!

— არა უშავს, თბილისში დავლევ, მაინც ძალიან ცხელა — დაამშვიდა ღიზიკომ.

მართლაც, ძალიან ცხელოდა. მუშლით გასქელებული ჰაერი უდაბნოს სილასავით იტალღებოდა ირგვლივ. სუნთქვა ჭირდა, მაგრამ მხოლოდ აქ კი არა, ქვიშხეთში, მთელს საქართველოში. "ეკიპაჟი მზად არისო" — ეზოდან დაიძახა ანტონმა. რაუდენი კი, ისევ სავარძელში იჯდა, მშვიდი და უზრუნველი, როგორც აქაურობის ბატონ-პატრონს შეეფერებოდა, მაგრამ სინამდვილეში, ლიზიკოზე ნაკლები ძალისხმევა როდი ჭირდებოდა გარეგნული სიმშვიდისა და უზრუნველობის შესანარჩუნებლად. თავის ქებას კიტრის ფასი აქვს, მაგრამ ბევრი ვერ გაბედავდა, რაც მან ეს წუთია გაბედა. გაბედა და, რამე თუ გაეგება საერთოდ ქალისა, გაუმართლა კიდევ. ვინც არ ბედავს, არც შამპანურს მიირთმევს, როგორც რუსებს უყვართ თქმა, ხოდა, ერთი სული აქვს, როდის ჩაიკოკლოზინებს პირს გამბედაობით მოპოვებული შამპანურით. ესეც მალე იქნება. აღდგომა და ხვალეო. რაც მთავარია, ვედარაფერი დაუდგება წინ. რასაკვირველია, ეჭვიც არ ეპარებოდა, აუცილებლად რომ გაიტანდა თავისას (ახლა უკვე დაბეჯითებით შეუძლია თქვას, ლიზიკოც მხოლოდ ამას ელოდებოდა მისგან), მაგრამ მაინც არ ეგონა, ასე უცებ, ასე მოულოდნელად თუ ეწეოდა საწადელს... წელან, სრულიად შემთხვევით, სულ ერთი წამით შეხედეს ერთმანეთს თვალებში და მიხვდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. აქვე, ახლავე უნდა გარკვეულიყო, რისი მაქნისები იყვნენ, რას იმსახურებდნენ ცხოვრებისგან საერთოდ. მერე არაფერი აღარ ახსოვს. ეს მუშლი კი არ ბრუნავდა, ნამდვილი ხანძარი მძვინვარებდა ირგვლივ და ცეცხლის დაკლაკნილ ენებში ზედიზედ, უკვალოდ იფერფლებოდნენ მამაშვილობის, რძალ-მამამთილობის, უფროს-უმცროსობის და ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობის დამადასტურებელი საბუთები... აღარაფერი აღარ არსებობდა, გარდა მისი ჟინისა, და იმასაც ისღა დარჩენოდა, დამონებოდა საკუთარ ჟინს... თუმცა, წესიერად თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, რადგან რასაც სჩადიოდა, გაუგონარი სიგიჟე და სითაგხედე იყო მისგანაც კი... მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა ჩაიდინა ამისთანა?! მივიდა და თავის საკუთრებას დაადო ხელი. რატომბა ეს სათაკილო საქციელი?! განა ლიზიკოც უკვე მისი საკუთრება არ არის, ისევე როგორც ანტონი, ანდა ფეფე, ანდა მამამისის ნაბოზვარი ტასო, თავის ნაბიჭვრიანად?! კი ბატონო, ლიზიკო შეიძლება მთლად არ იყოს ხელიდან წასული, მაგრამ ბევრად არ განსხვავდება დღევანდელი გოგოშეებისგან. უფრო იქითაა, ვიდრე აქეთ. ეწევა კიდევ, სვამს კიდევ და, შენ ხარ ჩემი ბატონი... ყოველ შემთხვევაში, მხურვალე მომხრეა თავისუფალი სიყვარულისა თუ სიყვარულის თავისუფლებისა. ამ საქმეში ნამდვილი რევოლუციონერია, ესე იგი, უკვე საკმაო სექსუალური გამოცდილება გააჩნია და ალბათ არც ახლაც მარტო ანტონს მიჩერებული. ის კი არა, ანტონამდეც მოასწრო რაღაც-რაღაცეები... მოკლედ, მაგარი გოგოა, ნამდვილად თანამედროვე, და ასეთი იყო ყოველთვის. სტრიპტიზობა რომ შემოვიდა თბილისში, ანტონის დაბადების დღეს (წარმოიდგინეთ, სხვაგან რას იზამდა), პირველი ეგ ავარდებოდა ხოლმე მაგიდაზე და დებილი ანტონი ყირაზე გადადიოდა, სხვამ არ დაიჭიროს ჩემი გულისვარდის ნიფხავიო. ხოდა, ახლაც შეუნახოს ნამუსი... მამაკაცური აღლო თუ არ ატყუებს რაუდენს, ლიზიკო უმალ მის სიგიჟეს გაამართლებს (მოუწონებს), ვიდრე გონიერებას...

ანტონი და დიდყურა გრიგოლა შედარებით იოლად მოიშორა. ჯერ მანქანის გარეცხვა დაავალა იმათ, მერე ბარგის ჩალაგება მანქანაში. ტასო ძაღო კი, უფრო ძნელი მოსაშორებელი აღმოჩნდა, პეპელასავით, ყველგან ერთდროულად დაფარფატებდა, ეზოშიც, აივანზეც, ოთახებშიც... მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა მოახლის საქმეა, რას ჩაიდენს ბატონი საკუთარ სახლში?! იმას გინდაც ეხილა, მაინც არ დაუჯერებდა საკუთარ თვალებს და გინდაც დაეჯერებინა, თავცოცხალი ვერ გაამხელდა, ისევ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მოკლე ენა მსახურის კეთილდღეობის გარანტიაა. რაც შეეხება ჟელეზნის, თავისთვის იწვა გამაკში და თუ არ დაუძახებდნენ, არც გამოიხედავდა აქეთკენ. იმან იცის თავის საქმე. ასე რომ, თუკი ვინმე აფერხებდა რაჟდენს, ისევ ლიზიკო, ოღონდ, თავისი მიუკარებლობით კი არა, პირიქით, უსიტყვო, მაგრამ აშკარა თანხმობით. არა მარტო ხვდებოდა და არა მარტო უწონებდა მამამთილს განზრახვას, ეხმარებოდა კიდევ განზრახვის აღსრულებაში, თავად გვირგვინი განზრახვისა. არაფრით არ მოშორდა გაზქურას, იღვა და ელოდებოდა, გნებავთ, იღვა და აქეზებდა, გაბედო, და სწორედ ეს უსიტყვო მიპატიჟება აეჭვებდა რაჟდენს, შანტაჟს ხომ არ მიწყობსო. დღევანდელი გოგოებისგან ყველაფერია მოსალოდნელი და უკადრისს თუ არ იკადრებენ, ის უნდა გაგიკვირდეს კაცს. მაგრამ ლიზიკოს სარაფანს ლანდი გასდიოდა და რაჟდენს უჭირდა საღად აზროვნება. ახლა კი, გული გახეთქვაზე აქვს, ოღონდ, იმიტომ კი არა, ეს რა ჩავიდინეო, პირიქით, ბოლომდე რომ ვერ მიიყვანა საქმე (ეტყობა, მაინც არ ეყო გამბედაობა). იმას დარდობს, იმას განიცდის, ვაი თუ, წამიერი სისუსტის გამოშვლანება აღმოჩნდეს ეს ლიზიკოსთვის და, ვაი თუ, სძლიოს ამ წამიერ სისუსტესო, ახლოს აღარ გამიკაროსო... მართლაც, ხომ შეიძლება გადაიფიქროს?! შეიძლება, ჯერ ვერც ხვდება, რა ჩაიდინა. ხოდა, მალე მიხვდება, რა ცოდვაში დგამს ფეხს... და მაინც, და მაინც, და მაინც... რაჟდენის უპასუხოდ დატოვება განა ნაკლები ცოდვაა?! ვერა, ვერ გაბედავს რაჟდენის გაწბილებას. ეშინია რაჟდენისა. ქმარს რომ უთხრას?! ქმარს რომ სთხოვოს შეველა, დამიცავი მამაშენისგანო?! არ სთხოვს. საამისოდ ზედმეტად ამაყია... და არც არაფერი სჭირს საშველი. საშველად რომ ჰქონოდა საქმე, "სვეცკის" კი არ გაუბამდა ტასო ძაღოს ყავასა და კაკტუსებზე, ფეხებში ჩაუვარდებოდა. ახლა იძულებულია, ყველას დაუძალოს, პირველ რიგში კი — ქმარს. სხვათაშორის, რაჟდენს წესიერად არც ახსოვს, რა მოხდა, ასე ვთქვათ, "რა დონეზე" დაშორდნენ ერთმანეთს. უფრო სწორად, მხოლოდ ის ახსოვს, როგორ მივიდა და როგორ ჩამოადო მხარზე ხელი, შეიძლება, მამაშვილურადაც... ძალიან ცხელოდა (როგორც ახლა ცხელა) და აქაურობა მუშაობით იყო სავსე (როგორც ახლაც), თითქოს ცეცხლის ალში იდგა. სული ეკვროდა ალის სიმხურვალისგან. რასაკვირველია, თავს არ იმართლებს, არც განზრახვაზე იღებს ხელს, მაგრამ ვიდაც სხვა რომ წარმართავდა მის ჭკუა-გონებას, ცხადია. კომუნისტი ამბობს ამას და არა ვიდაც მორწმუნე, გნებავთ, ცრუმორწმუნე. არც ის მოიქცა კარგად, გათხოვილი ქალის კვალობაზე — არაფრით არ მოშორდა გაზქურას, ამ გაგანია სიცხეში. მაინცდამაინც, ამას დაუდგა წინ, ლამის დედიშობილა. ის სარაფანი გინდა გცმია, გინდა არა. მუშაობს კიდევ ცალკე! რაჟდენი კი არა, ტასო ძაღოა გაშტერებული, დედის ტოლა ქალი, მსგავსიც არაფერი მინახავსო, პირჯვარს იწერს განუწყვეტლივ. იმას ყველაფრისა ეშინია, მაგრამ, რა იცი, ეშმაკს არ ძინავს... ამერიკელებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. იქნებ ბაქტერიებს ავრცელებენ?! რა, არ შეიძლება?! თუ არ იკადრებენ?! ალბათ მუშაობის განსაკუთრებული სახეობა გამოჰყავთ საამისოდ. მართლაც, უცნაური მუშაობა, მსხვილი, დონდლო, წყლიანი... ავადმყოფური. მუშაობა-რაკეტა. ბაქტერიომზიდი. ჩვენებური ბევრად უფრო წვრილია და მოუხელთებელი. მუშაობა აურია ამასაც გონება. ყველგან მუშაობს ყრია, ბალიშზეც, რაზეც თავი გვიდევს, და პურზეც, რასაც ვჭამთ. სასუნთქი გზებიცა და საყლაპავი მილიც ოკუპირებულია. შხამი (ჰაერთან ერთად) შეუფერხებლად ჩაედინება განწირულთა შიგნულში. ყველანი მუშაობს წებოვან მტკვრში არიან ამოგანგლულნი... ამან მხარზე ხელი ჩამოადო მხოლოდ, ის კი, გიჟივით მოუტრიალდა და ტასო ძაღო რომ არ გამოჩენილიყო დროზე, ალბათ ცოცხლად შეჭამდა. ერთი პირობა, დაიბნა კიდევ რაჟდენი, უცებ ვერ გაარკვია, თვითონ დაესხა თუ მას დაესხნენ თავს. მისმა შვილმა ჯერ არ იცის, ვის ხელშია ჩავარდნილი. გაიგებს კი როდისმე?! არა გგონია.

იმედია, ქმართან უფრო თავდაჭერილია. რაც საყვარლებს მოსწონთ, ის ქმრებს აღიზიანებთ. უკვე იცის ალბათ, რა ბედაურიც ყავს. ამ ქვეყნისა არაფერი გაეგება. წიგნშია თავჩარგული, როგორც ვირი — თოფრაკში. მაგრამ ვირი ქერსა ჭამს, შერიას, ის კი — არაფერს... ტყუილებს, ზღაპრებს... დედამისმა მათხოვრობით დაიწყო, ის კი, მათხოვრობით დაამთავრებს. წიგნის ამარა, შორს ვერ წავა დღეს კაცი. რაუდენს რამე რომ მოუვიდეს (ავად გახდეს, მოხსნან, დაიჭირონ, ანდა, მისი წინაპრების მსგავსად, ისიც ქუჩაში მოკლას ვინმემ), ერთი დღე ვერ გაიტანენ თავს, მართლა გამათხოვრდებიან. მაგრამ ანტონი მაინც ნამეტანია. ცოლსაც მამა უნახავს და საერთოდაც, სიმართლე თუ გინდათ, რაუდენის სახელსა და გავლენას გაყენენ ცოლად და არა რაუდენის ვაჟის კოკორა უღვაშებს. უღვაში არც ამოსდის, მგონი. ამიტომ, შვილის ცოლზე ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეს რაუდენს, როგორც საკუთარზე აქვს. ასე არ არის?! ტარანი თვლითაა. ხოდა, ანტონიც ერთი ტარანია მხოლოდ. ისე მოიქცევა, როგორც მამასა და ცოლს ენდომება. ვინ იცის, მადლობაც თქვას, თუკი ამ საქმეშიც მიეხმარება მამა. ყოველ შემთხვევაში, "ერთთვიანი იზოლაციის" შემდეგ, უსიტყვო მორჩილებისა და უსაზღვრო მადლიერების მეტი, ვერაფერი ამოიკითხა მის თვალებში. წელანდელსაც თუ გავითვალისწინებთ, ეტყობა, საერთოდ ასეთია გუშინდელ მუამბოხეთა გუნება-განწყობილება. ძალიანაც კარგი. მამის მანქანის დანახვა ისე გაუხარდა, თითქოს ქაჯეთის ციხიდან უნდა დაეხსნა მამამისს. თვითონაც აწვებოდა ელექტრო-ჭიშკარს, უფრო მაღე გაიღოსო. თაფლობის თვის გატარებაც გაუჭირდა უმამოდ. ყურებამდე გაწითლდა სიხარულისგან, შეიძლება სირცხვილისგანაც. მამის ზურგს უკან მიღებული სიამტკბილობისა შერცხვა და იმ სიამტკბილობისთვის უფრო მამის მადლიერია, ვიდრე ცოლისა. ეს უნდა რაუდენსაც. მამაძაღლი! რატომ მაშინ არ წითლდებოდა და რატომ მაშინ არ რცხვენოდა, ფეხით რომ უპირებდნენ დაკიდებას მამამისს მისი თანამებრძოლები?! არადა, მიტინგიც ვერ გამართეს ურაუდენოდ. ისევ რაუდენი პატრონობდათ. მთელი დღე მზესუმხირას აკნაწუნებდნენ მთავრობის სასახლის კიბეზე მიყრილები, დამღამობით კი, საძილე ტომრებში უძვრებოდნენ ერთმანეთს. ეს ეგონათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა... ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ ვის დაკიდებს, რაზე და რითი, მაგრამ ბევრი რამ რაუდენის ბრალიცაა. ვერ მოიცალა შვილის გასაწვრთნელად. ქალს მიანდო ეს საქმე და შედეგმაც არ დააყოვნა. ქალაქუნა. წიგნში ემალება ცხოვრებას. ღიზიკო უფრო ვაჟკაცურია და ცხოვრებასაც უფრო უწყობს ფეხს: დაუსხამ, დაღვეს. მიაწვდი, მოწვეს. დაურიდებლად შემოგაბოლებს სახეში. ეგაა რომ, საფერფლეს არ ხმარობს. უფრო სწორად, ყველაფერს ხმარობს საფერფლედ, რაცკი ხელში მოხვდება, კოკა-კოლის ბოთლის ხუფსაც, ასანთის ცარიელ კოლოფსაც, ძაბრივით დახვეულ ქალაღსაც, ყველაფერს, გარდა საფერფლისა, და, ჩვენში რომ ვთქვათ, ამასაც ცხოვრებამ მიანხვია. ასეთები არიან ყველანი, ბუნებით მაწანწალები, უსახლკარონი... ჩაცმისა არ იყოს! ამას ჩაცმა ჰქვია?! ბრეტელის გასწორებაც ეზარებათ. ტანსაცმელი სასირცხვოს დასაფარავად მოიგონა ადამიანმა და არა კიდევ უფრო გამოსაჩენად... მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ ქალს მაინც მეტი მორიდება მართებს მამაკაცისა, გინდაც, მამამთილად ეკუთვნოდეს... მის ქმარს კი წიგნი ვერ გააგდებინეს ხელიდან. ეს წერია იმ წიგნებში?! მთელი ბავშვობა თავზე საბანწაფარებულმა გაატარა, შეთქმულივით. ჯიბის ფანრის შუქზე კითხულობდა გიჟი ნიკოლოზის წიგნებს. მისი ტოლები ტყე-ღრეს იყვნენ მოდებულნი... მათ შორის, ღიზიკოც... ის კი, ჭაჭანაჭამ ინდაურივით დაბორილობდა ოთახებში. აგერ ნახავთ, ბებიაამისივით, ეგეც ნარკომანი თუ არ გახდება ბოლოს (უკვე თუ არ გამხდარა). იქნებ არც არის კაშელი?! ქუჩიდან აჰყვა ალბათ დედამისს. დედამისი ქუჩიდან მოიყვანა კნიაუნა ქეთუსიამ. ყველაფერი მოსალოდნელია იმისგან. ზედმეტად გულჩვილი და ზედმეტად დამთმობი ქალი გახლავთ. ვერავის ვერაფერზე ვერ ეუბნება უარს. მაშინ ხომ, მით უფრო ვერ ეუბნებოდა ალბათ... სამაგიეროდ, ძნელი მოსაშორებელია. ვერ მოიშორებ, ბავშვობაში გაკეთებული სვირინგივით. უნდა ათრიო მთელი ცხოვრება. არადა, როგორი სათრევია?! ტელევიზორს უყურებს — ტირის, აივანზე ჩიტებს საკენკს უყრის — ტირის, აუთავებს — ტირის, საყვედურს ეტყვი და, კიდევ უფრო უარესად ატირდება, გასკდება ტირილით. სამაგიეროდ, დედამთილი წამში მოკლა,

ჩიტივით. შეიძლება, უკვე ფეხმძიმედ რომ იყო ვიღაცისგან, კნიაუნა ქეთუსიამაც იმიტომ შერთო შვილს ძალათი, ქმრისგან დამცირებულმა, შვილი დაამცირა, შვილს გადაუხადა... ვითომ, ესეც მეტია თქვენთვისო, გოდრის გაგდებულებისთვისო... თავის თავადიშვილობას ამადლიდა შვილს, რაკი მამამისს, მართლაც გოდრის გაგდებულს, ოფლიან ფეხსახვევს ურეცხავდა იძულებით. მაგრამ მაინც გააკაშელდა ბოლოს, იმანაც თვითმკვლევლობით დაამთავრა ცხოვრება, კაშელების სხვა რძლებივით, თუკი, რასაკვირველია, ფეფემ არ შეუშხაპუნა მომაკვდინებელი დოზა. პირველი მორფინისტი ქალი გახლდათ მთელს საბჭოთა კავშირში. სახელმწიფო ამარაგებდა წამლით, უფასებდა მამამთილისა და ქმრის დამსახურებას და ამკვენიებდა იმათ მოწვეულ ყანას. რა იცოდა და გინდაც სცოდნოდა, რაში აინტერესებდა სახელმწიფოს, თუ რა არაადამიანური სიძულვილით სძულდა მის პირველ მორფინისტ ქალს თავისიანები, მამამთილიც, ქმარიც, შვილიც... საერთოდ კაშელები! მართლა კი არ შეეცოდა სამათხოვროდ ხელგაშვერილი ობოლი, კოჭებზე შეატყო, სწორედ ის რომ გამოადგებოდა ამხანაგად თავისიანების წინააღმდეგ წამოწვებულ ომში. ფე-ფე-ფე-ფე-ფე-ფე — სულ მისი სახელი ეკერა პირზე. ნემსსაც მხოლოდ იმას აკეთებინებდა და, მთლად რომ გადაცდა ჭკუიდან, მხოლოდ იმის ხათრით "აკეთებდა" ფისი-ფისისაც და ჭუპა-ჭუპასაც. ფე-ფე-ფე-ფე-ფე-ფე, ჩაგვიმატეთ თბილი წყალი, ჩაგვიმატეთ თბილი წყალი... ფეფე ტაშტში რეზინის თოჯინას უგდებდა და ბავშვივით აბანავებდა, რასაკვირველია, არც მთლად უანგაროდ. კაშელების სახლის დიასახლისობას იყო ალბათ შეპირებული და აუსრულა კიდევ-უმწიფარსა და უგზურ შვილს ჯერ ძალით გააბახებინა, ვინ იცის, სად არ ნათრევი ძუნა, მერე კი, ასევე ძალით, კანონიერ თანამეცხედრედ დაუსკუპა გვერდით. "იცოდე, ჩემი ფეხით მივალ, კომკავშირია თუ რაც არი, და სულ კინწისკვრით გამოვავლებინებ შენს თავს იქიდანო". რაუდენსაც რა ექნა, სამუდამოდ ხომ არ დაიღუპავდა თავს მორფინისტი დედისა და მაწანწალა ცოლის გულისთვის?! ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ იმათ გათვლილ-გათვალისწინებულნი, უკანასკნელ წერილმანამდე, რაუდენის გულუბრყვილობის ჩათვლით. რომ ეგონა, მოხერხებულად მივიმწყვდიე ბნელ კუთხეშიო, იმას თურმე, სადედამთილოს ხელით შედგენილ ინსტრუქციაში ეწერა, როგორ მიმწყვდეულიყო ბნელ კუთხეებში და როგორ დაეთმო "უფროსი ძამიკოსთვის" ყველაფერი. ასე და ამგვარად, "და-ძმური სიყვარულით" დაორსულებული "საბრალო ობოლი" ჯერ რძლის, მერე დედის, მერე კი, დიასახლისის უფლებებით აღიჭურვა და სამუდამოდ დამკვიდრდა კაშელების ოჯახში. მაგრამ მის შვილს ნამდვილად არაფერი სცხია კაშელებისა და ესეც უფრო რაუდენის გულკეთილობის ბრალია, ვიდრე ფეფეს სივერაგისა. პირიქით, ეს დანაშაული კი არა, დამსახურებაა ფეფესი. ესეც გათვალისწინებული იყო რძალ-დედამთილს შორის დადებულ ხელშეკრულებაში — დედა ვუტიროთ კაშელებსო, გუგულის კვერცხი ჩავუდოთ ბუდეშიო, შიგნიდან გავტეხოთ ციხეო... მაგრამ ჯერ ვნახოთ, ვინ იხეიმებს ბოლოს. ყოველშემთხვევაში, რაუდენს სრულებითაც არ ენადვლება შვილის ღირსება, მით უფრო, მისი მამაკაცური პატივმოყვარეობა. რატომ და, იმიტომ. მაინც ისე მოიქცევა, როგორც ლიზიკოს ენდომება. ლიზიკოს კი ის უნდა, რაც რაუდენს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. და რაც მთავარია, რაუდენი ის სულსწრაფი, დედაკაცის სუნით ტვინდაბნელებული ყმაწვილი აღარ არის, დედამისმა რომ დაიხვია თითზე ყაჭის ძაფივით. ასე რომ, საჭირო თუ შეიქნა, ჯერ კიდევ შეიძლება იმის გარკვევა, რაც თავის დროზე არ გარკვეულა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო. ანუ, სრულებითაც არ გაუკვირდება რაუდენს, თუკი, ერთ მშვენიერ დღეს, სწორი აღმოჩნდება მისი ვარაუდი. ესე იგი, სინამდვილეშიც დედამთილს გადაყოლილი, დედამთილზე მზრუნველი და დედამთილის მოსიყვარულე რძალი კი არ აღმოჩნდება ფეფე, არამედ ჩვეულებრივი მკვლელი. მართალია, მის დედამთილს ნემსის გასაკეთებელი ადგილიც აღარ ჰქონდა დარჩენილი, აღარც ენის ქვეშ და აღარც თვალის გუგაზე, და, კაცმა რომ თქვას, მადლიც იყო მისი სიკვდილი, მაგრამ საყვარელმა და საამაყო რძალმა უაზრო და ზედმეტი ტანჯვისგან კი არ გაანთავისუფლა იგი, რისი მიტევაზეც კიდევ შეიძლება, არამედ თავად გაინთავისუფლა სადედამთილო ტახტი ცოცხლად დამკალი დედაბრის მძორისგან... ასეთია რაუდენის ვარაუდი. მაგრამ ჯერ ნამდვილად არ სცალია ამის გასარკვევად. თუმიცა, მოსალოდნელია, დროზე ადრე გახდეს

გადასახედი კაშელები საოჯახო არქივი, თუკი ფეფე ბოლომდე არ დაუდგება ქმარს გვერდში. კაშელების ქალიც კაშელია. უნდა თუ არ უნდა, მოსწონს თუ არ მოსწონს, თანახმაა თუ არა თავად... კაშელობა კი, არა მარტო ყველაფრის ატანას, ყველაფრის ჩადენასაც გულისხმობს. კაშელობა მძიმე ტვირთია, უდიდესი პასუხისმგებლობაა კაცობრიობის ნათელი მომავლის წინაშე... დაღვინებული ცხოვრება უსისხლოდ არ მოიპოვება, სისხლს კი, კაშელები ღვრიან ძირითადად, როგორც სხვისას, ისე საკუთარს. წიგნსა და თეატრში თავის მოკვლაც ადვილია და სხვისიც, მაგრამ ცხოვრებაში ამასაც განსაკუთრებული ნიჭი ჭირდება. ყველა ვერ შეძლებს. კაშელებმა შეძლეს. ყველა მათგანს ჰყავს კაცი (ხალხი) მოკლული (დახოცილი) და არცერთი მათგანი არ მომკვდარა საკუთარი სიკვდილით, თავიანთი ქალების ჩათვლით. რაჟდენიც, რასაკვირველია, ღირსეული შთამომავალია თავისი წინაპრებისა. როგორც ქვეყანაში ამ ბოლო დროს მიმდინარე პროცესების გაანალიზება გვიჩვენებს, ყველაფერი შეიძლება განმეორდეს: ოცდაერთიც, ოცდაოთხიც, ოცდაჩვიდმეტიც, ორმოცდათერთმეტიც, ორმოცდათექვსმეტიც და ასე შემდეგ... ობიექტურები თუ ვიქნებით, ჯერ სინანული ადრეა. დღევანდელი შემთხვევაც ამას ადასტურებს მხოლოდ. ჯერ ახლა იწყება ცხოვრება. გნებავთ, ცხოვრება ახალ გამოცდას გვიწვობს და თავი არ უნდა შევირცხვინოთ, ჩვენი ეშმაკობითა და გამჭრიახობით პირი უნდა დავადებინოთ მოუსყიდველ გამოცდევს. დავადებინებთ კიდევ. ისეც მზე მაღლა! მთავარია, მოულოდნელმა წარმატებამ თავბრუ არ დაგვახვიოს და ადრე არ დავმშვიდდეთ. ავწონ-დავწონოთ, გავაანალიზოთ ყველაფერი. რასაკვირველია, არც პროგნოზიაა გამორიცხული. დედას ვერ ენდობი კაცი. შვილი რომ შვილია, ისიც სველი საპონივით გისხლტება წამდაუწუმ ხელიდან... იქნებ მართლა არ არის მისი შვილი?! არა, არ შეიძლება. გამორიცხულია. მართალია, ცოლი ძალით შეტენა დედილომ, მაგრამ ის ხომ მაინც იცის, თვითონ სად შეეტენა თავისი სულსწრაფობით. მაინც არ უნდა იაროს კაცმა ქალის ჭკუაზე. არ დაარტყა, ცოდოა, ჯერ პატარაა, სუსტია... რას ჰქვია, სუსტია! რას ჰქვია, ცოდოა! რატომ უნდა იყოს მისი შვილი სუსტი და საცოდავი?! აბა, რიდასთვის ჩაიხრჩვენ კაშელები სისხლის მორევში?! რიდასთვის კლავდნენ და ეკვლევინებოდნენ ძაღლსა და მამაძაღლს?! რაჟდენი ამოიყრის ყველას ჯავრს... ყველას ერთად გაუსწორდება მათი სახელით... ცოლსაც, შვილსაც, რძალსაც... რაც შეეხება რძალს, გათავებულია იმის საქმე. თბილისში უფრო ადვილი იქნება მასთან განმარტოვება. ფეფემ კი უყუროს, რამდენიც უნდა, ვიდრე არ მობეზრდება... ახია იმაზე ყველაფერი. თავს დააბრალოს. თავიდანვე უნდა სცოდნოდა, სად მიდიოდა, თანაც, აკრძალული გზით. და ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, სხვებსაც რომ სიამოვნებთ და მასზე არანაკლებ ეხერხებათ ბნელ კუთხეებში მიმწვევება. თუ კაშელებთან აპირებს დარჩენას, ესეც უნდა ჩაეფიქროს, ანდა, დაემშვიდობოს ყველაფერს, რაც კაშელობით მოუპოვებია: დიასახლისობასაც, ცოლობასაც, რძლობასაც, დედობასაც, სულ ახლახან მიმატებულ დედამთილობასაც და ორთაჭალის იზოლატორისკენ, მაააარ-შშშ! დედამთილის მკვლელობისთვის (უსვინდისო!), ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით (უმაღური!). სად არის ფეფეს გასაფუჭებელი ძალაუფლება! ძალაუფლებას ვერავის დაუთმობს რაჟდენი, ვერც ცოლს, ვერც შვილს, ვერც რძალს... ტყუილია. ნურავის ნუ ექნება იმედი. არადა, ძალაუფლება ყველას უყვარს, თუმცა, ყველას როდი შეუძლია მისი ბოროტად გამოყენება. ხოლო, თუკი ბოროტად ვერ გამოიყენებ, ერთი ჭკვიანი კაცისა არ იყოს, მაშინ, რად გინდა?! მაგრამ ამას რომ მიხვდეთ, ჯერ ძალაუფლება უნდა ჩაიგდო, როგორმე, ხელში. ამიტომაც ელტვის ყველა, ღირსეულიც და უღირსიც, სუსტიც და ძლიერიც, მცოდნეც და უვიციც, პატიოსანიც და გარეწარიც... ადამიანი ძალაუფლების მაძიებელი ცხოველია. რაც ჩვენს თვალწინ ახლა ხდება, ესეც ძალაუფლებისთვის ბრძოლაა და მეტი არაფერი. როგორც კი რაჟდენს დაუწვევა ლიზიკო, მაშინვე თავზე დააჯდება ფეფეს. კი ბატონო. მაგრამ ლიზიკომაც უნდა იცოდეს, რაჟდენს რომ ეკუთვნიან სამივენი, თვითონაც, ანტონიც და ფეფეც... ჯერ ეს არის და მერე ისინი. ტოტალიტარულ რეჟიმში იცხოვრებენ თუ დემოკრატიულში, მაინც რაჟდენი გადაწყვეტს ყველაფერს და იმასაც ვნახავთ, ვინ ვის დაკიდებს რუსთაველის ჭადარზე ფეხით... მწიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო. ლიზიკო, ბოლოს და ბოლოს, ფეფეს პრობლემაა, სამზარეულოში ჩაბერებული ცოლისა და

არა ხელისუფლის. რაჟდენს მამა-პაპის სისხლითა აქვს ხელისუფლება მოპოვებული და იოლად ვერ შეეღებოდა, საერთოდ არ შეეღებოდა, შესაძლებელი რომ იყოს. პირიქით, ყველაფერს იკადრებს, ყველაფერზე წავა, კიდევ უფრო რომ განიმტკიცოს და გაიხანგრძლივოს... როგორ გგონიათ, უნივერსიტეტის ეზოში, მთელი ქვეყნის დასანახად, იმიტომ დაწვა პარტიბლეთი, მართლა რომ შეეცვალა მსოფლმხედველობა?! ანდა, იმიტომ მოინათლა, ღმერთი რომ იწამა უცებ?! არავითარ შემთხვევაში. ამ ორი უწმინდესი აქტით, კრემაციითა და ნათლობით, საკუთარი ხელისუფლება განიმტკიცა მხოლოდ — ათასობით და ათასობით ახალგაზრდის სული იხსნა, როგორც უსაფუძვლო სიძულვილისგან, ისევე ბრმა რწმენისგან... უსაფუძვლო სიძულვილი და ბრმა რწმენა აიძულებს ახალგაზრდას, ქუჩაში გამოვიდეს და ხელი მოუღეროს ხელისუფალს. მაგრამ რაჟდენი არავითარ შემთხვევაში აღარ დაუშვებს ამას. უცხოეთშიც იმიტომ არ გაუშვია შეილი და რძალი, მართლა არ იფიქრონ, ნებაზე ვართ მიშვებულნიო. ქვიშხეთში უკრა ორივეს თავი, მამა-პაპურ ციხეში, რადგან აქ ჭირდება ისინი და თანაც სწორედ ასეთები — მერყეები, მოღალატენი, მისი ხელის შემყურენი და მის იმედზედა დარჩენილნი... ძალაუფლების გარეშე გინდ ყოფილხარ, გინდ არა. მხოლოდ ძალაუფლებამ მისცა რაჟდენს შესაძლებლობა, ჯერ გვერდით დაეყენებინა, მერე მოეთოკა, მერე კი, თავის ჭკუაზე მოექცია შეილიც და რძალიც, რაც არც ისე ცოტაა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის. როგორც არ უნდა ეწეინოს ელიზბარს, ლიზიკოც უკვე კაშელია, კაშელებს ეკუთვნის, და ესეც მხოლოდ იმას ადასტურებს, გამოსაჩენიც რომ არ არის მწერლური დიდება ხელისუფლების გვერდით. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ვისაც ხელისუფლება აქვს, იმის ხელშია მწერლის ბედიც და არა მარტო ბედი, არამედ შეილიც. რასაც ელიზბარი თავის წიგნებში წერს, ცოტას თუ ესმის, მაგრამ არავის ჭირდება. ხოლო, რაჟდენის ცხოვრების წესი თითქმის ყველას ერთნაირად აკმაყოფილებს, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილონიც ამჯობინებენ კმაყოფილებად წარმოაჩინონ თავი. ლიზიკო, რასაკვირველია, ყოველთვის აღელვებდა რაჟდენს, ძილიც ბევრჯერ გასტყდომია და ძალიანაც დატანჯულა იმის დაბუშტული ტუნებისა და შეშუპებული ძუძუსთაგების გახსენებაზე, მაგრამ ეს სხვაა, უფრო სწორედ, ეს არ არის მთავარი, ამას იოლად მოეგება, ეს არც მისი ოჯახისთვისაა სახიფათო და, მით უფრო, არც ქვეყნისთვის. ქვეყნისთვისაც და ოჯახისთვისაც შეკითხვაა სახიფათო, სწორედ იმ ტუნებდაბუშტულმა, ძუძუსთაგებშეშუპებულმა გოგომ რომ დაუსვა ამ ათიოდე წლის წინ, ვითომ სხვათაშორის — "მართლა კაციჭამია იყო ანტონის ბაბუა?" — ხოდა, თუკი ხელისუფლების შენარჩუნება გსურთ, პირველ რიგში, შეკითხვის გეშინოდეთ, ბავშვის პირიდან ამოსული სულელური შეკითხვისა. ბავშვი საზარელი იარაღია, თუკი არადანიშნულებისამებრ გამოიყენებენ. ბავშვის ნათქვამზე იცინიან. სიცილი კი, ნებისმიერ ხელისუფლებას არყვეს და ნებისმიერ ავტორიტეტს აყენებს ჩრდილს. ამიტომაც "არ ანიჭებენ" განსაკუთრებულ ყურადღებას, ყველანაირად აქარწყლებენ (რაც კიდევ უფრო საცნაურს ხდის მასში ჩაბუდებულ აზრს), მით უფრო, თუკი ბავშვის შეკითხვა ხელისუფლების წარმომადგენელს ეხება, რის მერეც, თავისთავად დგება ხელისუფლებაში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. და ეს ყველაზე უკეთ იმ გველაძე უფროსებმა იციან, ამგვარ შეკითხვებს რომ ასწავლიან და ახეპირებინებენ შინაგანად ჯერ კიდევ სუფთა, ჯერ კიდევ გულუბრყვილო ბავშვს. აი, რას უნდა მოეღოს ბოლო, ერთხელ და სამუდამოდ, მართლა თუ გვინდა გადარჩენა — ორპირა მწერლების ქირქილს ცაცხვების ხეივანში და ნებისმიერი ბავშვის შინაგან სისუფთავესა და გულწრფელობას. უფროსების ვირეშმაკობასა და უმცროსების სიბუცეს... მათი შერწყმა-შეუღლება გვაძლევს უაზრო მსხვერპლს, ძირითადად ისევ დასახირებული, დადამბლაგებული თუ სულაც დახვრეტილი ბავშვის სახით. ვირეშმაკა უფროსებს რომ არ წაექეზებინათ, რომელი ჭკუათმყოფელი ბავშვი გაუბედავდა საბჭოთა კავშირს თვითმფრინავის მოტაცებას?! თავისთავად ცხადია, არც ლიზიკოს მოუვიდოდა აზრად ანტონის ბაბუის გურმანული მიდრეკილებების გარკვევა, თუკი კაშელების ბლითა და "ენისელით" გასისინებული კვიმატი პიძენი, ვითომ ბრძენი ლეონტი, მოფრანგულე დიომიდე, ნაოფიცრალი გობრონი, მარად თუთუნის კვამლში დანთქმული მიხაკო, ანდა სულაც ჩვენი მძახალი, გულდრძო

ელიზბარი არ უბიძგებდნენ აქეთკენ. ბავშვის გაბრიყვება ადვილია, მაგრამ მძიმე დანაშაულია. ბავშვმა შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოს ცუდლუტი უფროსის ნათქვამი და სამუდამოდ დაიჯეროს, თითქოს რაჟდენ კაშელის მამა, უფროსი ანტონ კაშელი, დანა-ჩანგლით მიერთმევედა, ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილისა თუ ტიცვიან ტაბიძის ხორცს... მაგრამ ლიზიკო უკვე დასრულებული ქალია და თვითონ იცის, ვის დაუჯეროს და ვის არა. არც არჩევანი შეშლია. ღმერთი-რჯული, ძალა არავის დაუტანებია მისთვის, თავისი ნებით მოექცა "კაშელების გავლენის სფეროში", ანუ, შეგნებულად უარყო მშობელი, რაკი ვერაფერი გაუგო იმის იწილო-ბიწილოს... აბა, სხვა რა აიძულებდა, მე თქვენ გეკითხებით, რატომ უნდა მოქცეულიყო ასე? თანაც ვისთან! მამამთილი ხომ იგივე მამაა?! ქმრის მამა შენი მამაცაა, შენც შვილი ხარ იმის, ვისი შვილიც შენი ქმარია. ასე არ არის?! ასეა! ხოდა, ფრთხილად! მაგრამ თუკი ანტონი მართლა არ არის რაჟდენის შვილი, მაშინ?! მაშინ, მაინც ფრთხილად. ეშმაკს არ ძინავს. მაგრამ მაინც წინ, საბოლოო გამარჯვებისკენ. არც ისეთი სულელია ფევე, ერთი ბოზანდარა გოგოშკას გულისთვის ერთბაშად გაუშვას ხელიდან, რაც კაშელის წყალობით მოუპოვებია წლების მანძილზე. როგორცკი მარტო დარჩება რაჟდენი ლიზიკოსთან, გათავებულია იმისი საქმე. აქედან გამომდინარე, თუნდაც მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით, ქალბატონ ფევეს "საქმეც" დაიდება მაგიდაზე. ამაზეა სწორედ ნათქვამი, გაბმულხარ, ჩიტო, მახეშიო. ოი, რომ იცოდე, რა ცუდად გაბმულხარ. თუმცა, ორივესთვის ასე აჯობებს. საერთო მამაკაცი უფრო დაახლოვებთ, უფრო საინტერესონი გახდებიან ერთმანეთისთვის. ერთმანეთსაც უკეთ გაუგებენ და ოჯახზეც უფრო დაედებათ გული. ერთი უკეთესი რძალი იქნება, მეორე — უკეთესი დედამთილი. ქალებს უყვართ თავიანთი კაცების ქალები. ყველას ყვეარება ერთმანეთი და კაშელის ოჯახი სამაგალითო იქნება ყველასთვის. ყველა ყველასთვის და ყველაფერი საერთო. მეტი კი არაფერია კომუნიზმი! შიში შეიქმს სიყვარულსა. შიში და მხოლოდ შიში. სხვა ყველაფერი ტყუილია. შიშმა შეკრა ეს ქვეყანა. ერთი პატარა კაცის ეშინოდა ყველას. ახლა უშიშრები გავხდით და გვეტირა კიდევ დედა. ჯერ სადა ხართ! უნიფხვო გოგო გადმოდგება ტრიბუნაზე და, ძირს რუსეთის იმპერიას. ვინ გაპატიებს! ერთ გოგორში ჩაგვტენიან ყველას და, იალბუზიდან დაგვაგორებენ, ერთი თქვენი პატრონის დედაცო... შიში და მორიდება უფროსისა! შიში და მორიდება! რომ შეეშინდა, იმიტომაც გაუჩერდა წელან ლიზიკო. არ ეგონა, არ ელოდა. ვერ გამიბედავსო... მე უკვე დამოუკიდებელი ქალი ვარ და ნიფხავს მინდა ჩაეიცვამ, მინდა არაო. მაგრამ ვერ მიაღწევს. ჟეზე გაუვარდა ხელიდან... ეტყობა, მართლაც, არც ისე ბევრია ორმოცდაათი წელი. გინდაც, ორმოცდათორმეტი იყოს... არც ისე ბევრია, მე და ჩემმა ღმერთმა...

რაჟდენმა მუშტი გამეტებით დაირტყა ბარძაყზე და, ყოველ შემთხვევისათვის, მაშინვე გაიღიმა, თუმცა, უკვე მარტო იყო. ლიზიკოს ხმა ეზოდან ისმოდა. განკარგულებებს იძლეოდა კაშელების დიდი სახლის პატარა დიასახლისი. ახალი კადრი, ძველის მესაფლავე. რაღაცას ეუბნებოდა დიდყურა გრიგოლას, ფულს უტოვებდა ალბათ. აბა, რა! ამხელა სახლის მოვლა-პატრონობა ადვილია?! თანაც დღეს. ის კი, დიდყურა, ჩვეულებისამებრ უარობდა, მაგრამ ბოლოს მაინც აიღებდა. რაც ეკუთვნის, თავცოცხალი არ დათმობს. მამაძაღლი. კაშელებითა აქვს ზურგი და, მგონი, თვითონაც კაშელად ასაღებს თავს, როგორც ჩიტმა მოუტანა რაჟდენს ამბავი. იქნებ მართლა კაშელია?! რა გასაკვირია ვითომ, მამამისს მარტო სახლის მოსაველეად კი არა, გულის გადასაყოლებლადაც ჰყოლოდა აქ ტასო ძაღლი?! არ იქნებოდა ახალგაზრდობაში ცუდი ქალი... გიჟი ცოლის ხელში, ჯანმრთელი სოფლელი გოგო სწორედაც რომ მისწრებაა, ყველა დამამშვიდებელ წამალს სჯობს. ესე იგი, რა გამოდის დიდყურა გრიგოლა რაჟდენისათვის? რა გამოდის და, ძმა. თუნდაც, ნახევარძმა. რაც მთავარია, მამით ერთნი არიან. რაღაცა მართლა აქვს კაშელების, იმ შეჩვენებულს. მაგალითად, ძალაუფლების სიყვარული. ადგილობრივი საბაჟოც ეგაა და საგზაო პოლიციაც. ლეიბის ქვეშ უღველო ავტომატს ინახავს. თბილისიდან ახალციხემდე, მთელი ტრასა საკონტროლო ზონებადაა დაყოფილი ადგილობრივ მგლებს შორის. ყველა გზისპირა სოფელს თავისი წვლილი უღვევს ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებაში. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, როგორც გეგმითაა გათვალისწინებული. დღევანდელი მგზავრობა ამ თვალსაზრისითაც საინტერესო აღმოჩნდა რაჟდენისათვის. როცა გეუბნებიან, სხვაა და როცა შენი თვალით ნახავ — სხვა. მე მგონი, ცოტა ზედმეტიც კი მოსვლიათ, სულ გაუჩხავთ გზისპირა ხეები და ქარსაცავეები. ამ გზაზე ნავალი კაცისთვის ცოტა შემაწუხებელია მოულოდნელად გამოცარიელებული სივრცე. ასე, პატარა-პატარა ზონებად დაყოფილი ქვეყანა სამართავადაც ადვილია და საძარცვაეადაც. მიდი და მოიხმარე, თუ შეგიძლია. ელიზბარი რაღაცეებს ხედება, მაგრამ მაინც ვერ იჯერებს, გეგმაზომიერად თუ კეთდება ყველაფერი... ცაში არის გადაწვევტილ-შეთანხმებული... ეკლესიის ზარებსა და წიფლის მორებს კი არა, ბებიის დანატოვარ ქინძისთავს ვერ გადაიტან საზღვარზე, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე... არავიზე ნაკლები მგლები არ არიან ჩვენი ბიჭები, გველეშაპს არ შეეპუებიან. თუნდაც, იგივე ჩვენი დიდყურა გრიგოლა... ჩვენთან იგრიხება ასე, გასათხოვარი ქალივით, თორემ, შუადამისას, შარაგზაზე, სულ სხვა ცხოველია... უღველო ავტომატს მკლავზე გადაიწვენს მთვრალი ბოზივით, კომბინეზონის საყელოს ქერმდე აიქანავს და ზურგით მიეყუდება მდინარის ქარს. თუკი ვინმე უბედურს აქეთ უღვევს გზა, ურჩევნია ნამდვილ მგელს ჩაუვარდეს პირში. დიდყურა გრიგოლაც იმის ხმაღს იქნება, ვის პურსაც ჭამს. ახლა არ იკითხოთ, ვის პურს ჭამს ჩვენი საგზაო პოლიცია და საბაჟო. სხვათაშორის, ყველაზე უკეთ ახალგაზრდები მოერგნენ "ახალი ყაიღის" ცხოვრებას. რასაკვირველია, სხვებზე უკეთესნი, ახლომხედველნი და შორსმჭვრეტელნი. თუმცა, თვითონა ვართ მოწმენი, თავიდან არც ისინი იბრძოდნენ ამისთვის. უმრავლესობა ხასამშრალი დარჩა და შორს რომ არ წავიდეთ, აგერ არის ორი საუკეთესო ნიმუში გაწბილებული, გაბითურებული რევოლუციონერისა... ნეფე-პატარძალი... ჯერ კიდევ არ იტყვენ ისტიბარს, ხვალ კი, შეიძლება, ქუჩაშიც აღარ გაუჩერდნენ ერთმანეთს... ყველაზე ძალიან ერთმანეთისა რცხვენიათ და თუ ვინმეს აბრალებენ, ერთმანეთს აბრალებენ თავიანთ მარცხს... ეს სწორად წარმართული მუშაობის შედეგია და ამაზეც ითქმება ერთი-ორი სიტყვა თავის დროზე. ამ სუფლებს ეგონათ, ნებაზე ვართ მიშვებულნიო და გაანადგეს ტაშფანდური. მაგრამ ბიჭი ყველაფერს ხედავს ზემოდან და ყველაზე მკაცრად იმათ სჯის, ვისაც წელი აღარ მოსდევთ, მაგრამ გული მაინც ერჩით. იმათ სინდისზეა ეს მცოცავი ომიც, დიდყურა გრიგოლას ზარ-ზეიმი... ნარკობიზნესისა და პროსტიტუციის არნახული აყვავება... "ლეკიანობისა" თუ "ყმათა სყიდვის" ხავერდოვანი სეზონი... წარსულს კი არ ბარდება მართლა, როგორც ბავშვებს ვატყუებთ სკოლაში, ნაღვერდალივით ეხვევა ისტორიული გამოცდილების ნაცარში, მაშინვე რომ გამოჩხრიკოს ბიჭმა, როგორცკი დასჭირდება. მეომარი ხალხი ვართო, გავიძახით, და, მართლაც, ნებისმიერ ტილიან ქართველს დაედება ფასი, ოღონდ, შავ ბაზარზე, როგორც სარეცხის სოდას, კბილის პასტას, პრეზერვატივსა თუ შავ

პიღპიღს... ახლა, ხელისუფლებისგან წახალისებული და სახელმწიფო რანგში აყვანილი ქურდობაც დაუმატეთ ამას და თვითონვე თქვით, რა დაემართება სამგზის უკვე მონელებულ ქვეყანას... მარქსიზმი ქურდულმა მორალმა დაამარცხა მხოლოდ. უბნის რწმუნებულს ზედ არ აფურთხებდნენ უბანში, ქურდს კი ძაღლიც არ უყვებდა. ბიჭმაც უყურა, უყურა და აირჩია: ბელადები თავდაყირა გადმოყარა კვარცხლბეკებიდან, ქურდს კი ყველა გზა გაუხსნა, ქვეყნის უმაღლესი ეშელონების ჩათვლით. იცის ბიჭმა თავისი საქმე! ანტონი კი იცინის, უდარდელად, არხეინად. სიძუბატონი. ხმადაბოხებული. დადარბაისლებული. თაფლობის თვით დაკაცებულ-დაბრძენებული (ისემც რა ვუთხარი!). ვერაფერს გაიგებს და გინდაც გაიგოს, არ დაიჯერებს. ისე, რომ გაიგოს უკეთესი იქნება მისთვის, ფასს დაადებს თავის წილს. მაგრამ, ვთქვათ და მართლა გაიგოს, მაშინ?! გამორიცხულია. გამორიცხულია, ამხანაგებო... მე მასწავლით ჩემი შვილის ამბავს?! მაინც, მაინც, ნუ, რამენაირად... ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება, თავს ვეღარ მოერიოს ღიზიკო და უკიდურესი სიახლოვის უამს წამოსცდეს ლოგინში?! ამხელა ამბავში გაეხვა და არც თქვას! აბა, რატომ აკეთებს?! ქმარსაც არ გააგებინოს?! აბა, თუ გამოიცნობ, ვისთან შეიძლება გლალატობდე... ქალებს უყვართ ცეცხლთან თამაში. ღიზიკოსნაირ ქალებს. ტყუილად კი არ ამსგავსებს ფეფე კნიაჟნა ქეთუსიას. ისიც მთელი სიცოცხლე ცეცხლს ეთამაშებოდა. მაგრამ ღიზიკო თუ არ იტყვის, ვერავინ გამოიცნობს, მით უფრო, ქმარი. ხოლო, თუ იტყვის, პირველ რიგში ქმარი არ დაუჯერებს. ყველაზე მეტად სწორედ ქმარს გაუჭირდება ამის დაჯერება. მართლაც, როგორი დასაჯერებელია, ერთი თვის შერთული ცოლი საკუთარ მამასთან გლალატობდეს! არა, თქმით ნამდვილად არ იტყვის, არც ასეთი გულუბრყვილოა, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, მართლა წამოიცდინოს. ქალისგან, მით უფრო, ღიზიკოსნაირ ქალისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომაც ვფრთხილობთ ჩვენც. შეიძლება, უნდოდეს და არ ჩაიდინოს, ანდა, პირიქით, არ უნდოდეს და ჩაიდინოს, რადგან მისთვის ის კი არ არის მთავარი, რა უნდა ან რა არ უნდა, არამედ სხვებს დაუმტკიცოს, იმის ჩამდენიცა ვარ, რაზეც თქვენ მხოლოდ ოცნებობთო, რაზეც სული მიგდით, მაგრამ ვერ გაგიბედავთო...

ჩვენთან არს ღმერთი!
ჩვენთან არს ღმერთი!
ჩვენთან არს ღმე ე ე ერთი!

წაილილინა რაჟდენმა პოპულარული სიმღერის ფრაგმენტი და სიამოვნებით აღნიშნა გუნებაში, ფეხი აღარ მიძაგძაგებსო. ესე იგი, ჩვეული სიმშვიდეც დაუბრუნდა. ასე რომ, უკვე შეიძლებოდა დაძრულიყვნენ. აქ რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა. მადლობა აქაურობას, მაგრამ მთავარი თბილისში უნდა მოხდეს და მოხდება კიდევ. ამიტომ, წინ, თბილისისკენ, ამხანაგებო! სადღაც, ტვინის რომელიღაც უჯრედში, რკინის კომისრის შთამბეჭდავმა სახემ გაიელვა, ბავშვობიდანვე შეთვისებულ-შესისხლხორცებულმა. "წინ, ამხანაგებო, თბილისისკენ!" — იმანაც მოუწოდა აფუტფუტებულ, აჩოქოლებულ, აზავებულ ბრბოს. ბრბოში რაჟდენ კაშელიც დგას, ოღონდ, უფროსი, ამ რაჟდენის ბაბუა. იმასაც, რკინის კომისარივით, გრძელი, ჩაფართხუნებული მაზარა აცვია და ძაბრისებური ქუდი ახურავს. ერთი სული აქვს, როდის დაიძვრებიან თბილისისკენ. მონატრა ტანინიანი ღვინო და ხალიანი ქალები. წინ! წინ! წინ! რაჟდენს, პატარაობისას, თანაკლასელები მოყავდა ხოლმე სკოლიდან იმის ხმლის საჩვენებლად. ჩამოხსნიდა კედლიდან და ქარქაშინად შემართავდა თავს ზემოთ. წინ! წინ! წინ! სხვათაშორის, საკუთარი რძლის დამორჩილება და საკუთარი დედაქალაქის აღება, თავისი სიმძაფრითა და მნიშვნელობით, ერთმანეთის ტოლფას მოვლენებად აღინიშნება ალბათ კაშელების საგვარეულო მატთანეში და ყველაზე ნათლად დაადასტურებს პაპისა და შვილიშვილის სულიერსა და ხორციელ ერთიანობას, ერთნაირობას... აღინიშნება ისიც, პაპა და შვილიშვილი, მართალია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, მაგრამ ერთნაირი სულისკვეთებით აღგზნებულნი და ერთი ჟინით შეპყრობილნი რომ მიისწრაფოდნენ თბილისისკენ: დასაპყრობად, დასარბევად, დასამორჩილებლად... ანუ, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, მოსატყვენევად... მაგრამ უბრალო პრაქტიკული თვალსაზრისითაც, აჩქარება სჯობდა. რაც უფრო ადრე დაიძვრებოდნენ, მით უფრო ნაკლებად მოუწევდათ მზეში სიარული. არადა, მართლა უჩვეულოდ ცხელიდა. მარტო კაშელების აგარაკი კი არა, მთელი საქართველო მუშლით იყო სავსე. საითაც არ უნდა გაგეხედათ, მუშლით გასქელებული და გაწვებილი ჰაერი მდუღარე ბადაგივით იბუშტებოდა, ლივლივებდა, ბრუნავდა... ქვიშხეთიდან თბილისამდე მუშლის ერთი უწყვეტი და უკიდევანო მდინარე მიაცილებდა მათ მანქანას, ხოლო, მეორე, ზუსტად ისეთივე, წინ ხვდებოდა, გზას უღობავდა, აკავებდა შეძლებისდაგვარად, და, ამავე დროს, უდრტვინველად, თითქოს მოუთმენელი სიხარულითაც ესრისებოდა ზედ მანქანის საქარე შუშას...

საჭესთან რაჟდენი ზის. მძლოლი გვერდით მოუსვამს. ლიზიკო და ანტონი უკან სხედან. მიუხედავად შეუპოვრობისა, რაჟდენიც იძულებულია აღიაროს, მასაც რომ უჭირს გზის გაგნება უაზრობის ამ კორიანტელში. მართლაც, უცნაური მუშლია, უცნაურად თავხედი. კი არ გიფრთხის, ძალით გიცვივა პირში. მანქანაშიც ისევე ირევა, როგორც მანქანის ირგვლივ. არც მის დახოცვასა აქვს აზრი და არც მანქანიდან მის განდევნას. უკვე რამდენჯერმე გაჩერდნენ გზაში, საქარე შუშის გასაწმენდად, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ, პირიქით, შუშაც უარესად დაიბინდა და თვითონაც უარესად ამოიგანგლნენ ამაზრზენ სითხეში. ისე მოეწამლათ გუნება, გახედვაც არ უნდათ ერთმანეთისკენ. ანტონი, დროს გასაყვანად, რომელიღაც ხალხურ ლექსს უკუღმა კითხულობს გუნებაში; ლიზიკოს, რაზეც არ უნდა ფიქრობდეს, მამამთილი ეპარება უკნიდან და შიშველ მხრებზე გავარვარებულ პეშვებს აწყობს მოულოდნელად; ელეზნის თიაქარი აწუხებს და ცდილობს, არ შეიმჩნიოს, რადგან რაჟდენს, მაინცდამაინც, არ ახატია გულზე არაჯანსაღი ქვეშევრდომები; ხოლო, თავად რაჟდენი მათ ალაპარაკებას ცდილობს მხოლოდ, უბრაოდ რომ არ ისხდნენ, ნახსებრებივით, ელეზნი არ დაეჭვდეს, რა ხდება, რამ დაამუნჯა ეს ხალხი ასეო. თუმცა, ელეზნის მაინც არაფერი გამოეპარება, ქვის ქვეშ რა დევს, ის იცის. შეუძლია, არ მოუსმინოს და გაიგოს, არ შეხედოს და დაინახოს... ასეთი ნიჭითაა ბუნებისგან დაჯილდოვებული და ამიტომაც ვერ შელევია რაჟდენი, ურჩევნია, მისთვის აგროვებდეს ის ცნობებს, ვიდრე მის შესახებ... მამაძაღლი!

— რაიკომი და პრეფექტი... — ამბობს რაჟდენი — მიდი, გააგრძელე — თვალს უშვრება ჟელეზნის — ჩვენს ჟელეზნის ლექსი დაუწერია... არ გაინტერესებთ? — მიმართავს სალონს, თავის მოუბრუნებლად.

— მე არა, კაცო... ბიჭებმა თქვეს გარაჟში — უარობს ჟელეზნი.

— ხოდა, ჩვენც გვითხარი — არ ეშვება რაჟდენი — მოუსმინე, ლიზიკო, ნუ გძინავს... გამოფხიზლდი... ყავა რომ არ დალიე, იმიტომ... — უღიმის ლიზიკოს მანქანის სარკეში — მიდი-მეთქი — მარჯვენა ხელის იდაყვს მხარში წაჰკრავს მის ადგილზე წამოჭიმულ მძღოლს.

ლიზიკოს შეაკრთობს მამამთილის ხმა. იმდენად აპყლია ფიქრებს, აღარც ახსოვს, სხვებიც თუ სხედან მანქანაში, ანდა, თვითონაც თუ მანქანაში ზის იმ სხვებთან ერთად. არადა, იმათზე ფიქრობს სწორედ, ანტონზე, რაჟდენზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჟელეზნიხეც. "იმან უკვე იცის ყველაფერიო" — აიჩემა რატომღაც, ალბათ ქმარზე რომ ბრაზობს იმიტომ. ქმრის მიუხევედრელობა და გულგრილობა აცოფებს, ქმარმა რომ არ იცის, რაც, პირველ რიგში, მან უნდა იცოდეს, რადგან თუკი ვინმეს მოეთხოვება, მას მოეთხოვება ცოლის დაცვა, საკუთარი მამისგანაც კი. მოეთხოვება, მაგრამ ნაკლებად აინტერესებს ეს ამბავი, სარკმელში იყურება, თითქოს პირველად ხედავდეს აქაურობას. ეგაა რომ, ათასში ერთხელ, ვითომ შემთხვევით, ხელს მოუჭერს ხოლმე ხელზე. ლიზიკოსაც ეს აგიჟებს, ეს აცოფებს, რადგან ჯერ კიდევ სისხლის გამყინავი სიცხადით გრძნობს, როგორ ეპარება უკნიდან მამამთილი, როგორ აწყობს მხრებზე გავარვარებულ პეშეებს და როგორ კოცნის კისერში, როგორი მოუთოკავი სურვილითა და მამაკაცური სიუხეშიით... რაც, სულ ცოდილო და, არა მარტო თავზარს სცემს ლიზიკოს, არამედ შემადრწუნებლად სასიამოვნო შეგრძნებასაც უჩენს. ეს კი, თავის მხრივ, უფრო აფრთხობს, ვიდრე აწყხებს, როგორც ბანაობისას შემთხვევით აღმოჩენილი საეჭვო ჯირკვალი. იქნებ მართლა ავად არის?! იქნებ ყველაფერი მისი ავადმყოფური ჩვენებებია მხოლოდ და მსგავსიც არაფერი მომხდარა?! რა თქმა უნდა, ავადაა, კვდება, აღარ შეუძლია და აღარც უნდა ამ დამპალი ჰაერის სუნთქვა. ყველანი მის წინააღმდეგ არიან შეთქმულნი. ყველამ გაწირა... ელისომაც, მამამაც, ქმარმაც, მამამთილმაც... ტასო ძაღლმაც კი... რაც ხდება, მისთვის საზიანოდ ხდება, მის გასამტყუნებლად და მის დასაკნინებლად... არ არის საშველი და ახია! ასე მოუხდება! ტასო ძაღლის კი არ უნდა მორიდებოდა, იმის დასანახად უნდა შეესხა სახეში მდულარე ყავა მამამთილისთვის და თავისთავად გაირკვეოდა ყველაფერი... ახლა არავინ აღარ დაუჯერებს... ახლა იძულებულია ყველას დაუმალოს და, პირველ რიგში, ქმარს... ტასო ძაღლმაც კი არ იხსნა, მამამთილის თანამზრახველად აქცია ძალაუნებურად. ტასო ძაღლს გამო გაჩუმდა და რაკი დღეს გაჩუმდა, ხვალაც გაჩუმდება, ხვალაც უხმოდ, სიტყვის შეუბრუნებლად გაუჩერდება მოძალადეს... დუმილი თანხმობის ნიშანია. მაგრამ განა ქმარიც არ უნდა გრძნობდეს, რასაც ცოლი გრძნობს?! განა უთქმელადაც არ უნდა ხედებოდეს, რაც მისი ცოლის გულში ხდება?! აბა, როგორ არიან ერთნი, ერთხელ და ერთხორც?! გვერდით უზის და მასთან არ არის. იმიტომაც უჭერს ხელზე ხელს, ვითომ, შენთან ვარო... ცოლი რომ არ მიუხევედეს განდგომას... მამისა და შოფრის ზურგს უკან მალულად ეარშიყება საკუთარ ცოლს, რომელსაც, იმავე დროს, მამამისიც აუპატიურებს... ყოველშემთხვევაში, თვითონ არასოდეს უკოცნია ცოლისთვის ასე შლეგურად, ასე დაუნდობლად... რაც მთავარია, მამამისის მეტი საერთო აქვს მის ცოლთან, გნებავთ, მამამისს უფრო მეტად ეკუთვნის მისი ცოლი, ვიდრე მას... რაც მასთან აკავშირებს, ის უკვე წარსულია, დღესავით ნათელი და წაკითხული წიგნივით გვერდზე გადადებული, სადაც აღარაფერი შეიცვლება, რამდენჯერაც არ უნდა მიუბრუნდეს... მამამისთან კი საიდუმლოთიადაკავშირებული, მესაიდუმლენი არიან ერთმანეთისა; მომავალივით ბნელი, გაურკვეველი და საშიში საიდუმლოთი არიან ერთმანეთს გადაბმული და მარტო მათ იციან... უფრო სწორად, მათაც არ იციან, როდის რა შემთხვევით კიდევ, როდის აეხდება საიდუმლოს ფარდა და რა მოჰყვება ამას, მათთვის კი არა, საერთოდ, ყველასთვის... მამამთილს, რასაკვირველია, არც ამტყუნებს, არც უბრაზდება. პირიქით, ეჭვიც არ ეპარება, თვითონ აცდუნა, თვითონ მისცა საბაბი, ყველაფერზე აელო ხელი და ამ ჯოჯოხეთურ განსაცდელში ჩაეგდო თავი, შვილიც ფეხებზე დაეკიდა, ცოლიც, ქვეყანაც და ღმერთიც... მაგრამ თბილისში მოეგება ალბათ გონს და იქ ამხელს ამის კარგ ქალობას, რის შემდეგაც ვეღარც ეს გაჩერდება იმათთან, როგორც არ უნდა უჭირდეს შინ მიბრუნება, ელისოს გახარება, მამის სიმართლის აღიარება... რა თქმა უნდა, ძაღლის კუდი არ სწორდება და ყორანი არ თეთრდება, მაგრამ მარტო რაჟდენ კაშველი კი არ არის ძაღლის კუდი და ყორანი, არამედ ესეც, ალბათ ეს უფრო მეტად, რადგან არც წესს დაგიდევთ და არც ელემენტარულ ზრდილობას — პირდაუბანელი, ჩაუცმელი გამოტანტაღდება და უტიფრად დაგიდგება წინ... აბა, რა ქნას?! ყავა უნდა და რატომ მოითმინოს?! ეგ დრო წავიდა. ახლა ყველა თავისუფალია და როგორც

თავად სურს, ისე ცხოვრობს, ანუ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნებებს ემონება და ყველაფერს უარყოფს თავისუფლების სახელით — ზნეობასაც, უფროს-უმცროსობასაც, ადათ-წესებსაც... რაც მთავარია, ნებისმიერ სხვაობას, მათ შორის, სქესობრივსაც... არადა, მამამთილიც მამაკაცია. უფრო სწორად, ჯერ მამაკაცია და მერე მამამთილი. "თავი უნდა მოვიკლო" — ბოლოს და ბოლოს, პოულობს ყველაზე იოლ გამოსავალს მტანჯველი, გამაბითურებელი, გამაოგნებელი ფიქრებიდან, რომლებშიც თავფეხიანადაა გახლართული და მართლა თუ არ მიეხმარა ვინმე, ვერაფრით დაიხსნის იმათგან თავს. მისი ქმარი კი, სარკმელში იყურება არხეინად და ტურისტული ათვალიერებს გარემოს. არაფერი გაეგება ამ ქვეყნისა და ბედნიერია, რადგან ჯერ კიდევ ბავშვია. ცოლს კი არ ეფერება, ელოლიავენ, როგორც ბავშვი საყვარელ სათამაშოს... ეშინია რამე არ ვატყინო, როგორც ცხენზე პირველად შესმულ ბავშვს... სამაგიეროდ, მამამისი არ დაინდობს მის ცოლს, არ დაზოგავს, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, იმას უყვარს ნამდვილი მამაკაცური სიყვარულით... ღმერთო ჩემო! ხომ შეიძლება, მართლა უყვარდეს?! საკუთარი რძალი... შვილის მეუღლე... ალბათ ამას ჰქვია ღვთის რისხვა, თვითონაც რომ არ იცი, რას სწადიხარ... ანდა, იცი და მაინც არ იხევ უკან... ყველაფერს სწორავ დაუფიქრებლად... ესა და მისი ქმარი სიყვარულობანას თამაშობენ, როგორც საერთოდ ახალგაზრდები, სულსწრაფები და სულელები... ბნელ ოთახში სუნთქვაშეკრული ცეკვა ჰგონიათ სიყვარული, გაოფლილ ხელზე გაოფლილი ხელის მოჭერა და შამპანურის წრუპვა ერთმანეთის ჭიქებიდან. არადა, ეს არის სწორედ ბავშვობა, ანდა, ბავშვობასთან გამომშვიდობება, ბავშვობიდან გამოქცევა დროზე ადრე, უბედურების წინა დღე, მომზადება უბედურებისთვის, რისთვისაც იბადები საერთოდ, თუკი ბედმა გაგიღიმა და ღირსად ჩაგთვალა უბედურების განცდისა... უბედურებაა, აბა რა არის?! თავფლობის თვე წესიერად არც დაგიმთავრებია, ხალხით სავსეა სახლი, ის კი მოდის, გეპარება, ავაზაკივით ფეხაკრეფილი, ჩაყვინთულივით სუნთქვაშეკრული, მოდის, გაიხლოვდება, სიკვდილივით შეუფერხებელი, გარდუვალი... მოდის, გაიხლოვდება, თითქოს იძულებით, თითქოს მხოლოდ შენი ხათრით, შენი გულისთვის, შენ რომ არ გაგაწბილოს, შენ რომ დაგიკმაყოფილოს ბინძური პატივმოყვარეობა, გინდაც, ქალური ცნობისმოყვარეობა, და ორი მღუდარე პეშვი, გავარვარებული რკინის ორი ზოდივით, უცებ, გაუფრთხილებლად ჩამოგადოს შიშველ მხრებზე, თითქოს შენი მხრების ანაბეჭდების ასაღებად... გესმის, როგორ შიშინებს შენი ხორცი, როგორ იწვის, როგორ დნება — გავარვარებულ პეშვებში მომწვეველი — გულამდე გატანს შვეების მომგერელი ტკივილი, სირცხვილსაც გავიწყებს, ღირსებასაც, და ტასო ძაღომ თუ არ დაიძახა საიდანდაც, ტასო ძაღოსი რომ არ გერიდებოდეს, შეიძლება, კისერზეც ჩამოეკიდო შენს დამღუპველს, დაეწაფო იმის სისხლიან ტუჩებს და შეიძლება მოკვდე კიდევ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სანთელივით ჩაიღვენთო და ცვილის გუბედ დადგე იმის ფეხებთან...

— ვერ ვიტან! მეზიზღება! აღარ შემიძლია! — შესძახებს უცებ ლიზიკო და ბევრად უარესი ჩვენებების დასაფრთხობად, მანქანაში მბრუნავ მუშლის ღრუბელს აუქნევს ხელს უნებურად.

— ილმუმ ასახუმ სრავ ადოევხე — ამბობს ანტონი.

— რა თქვი? — უარესად იბნევა ლიზიკო.

— მუმლი მუხასა გარს ეხეოდა — მშვიდად უნმარტავს ანტონი — ოღონდ, უკუღმა თუ წაიკითხავ სიტყვებს... მუმლი — ილმუმ, მუხასა — ასახუმ, გარს — სრავ, ეხეოდა — ადოევხე...

— ამდენი ხანი ამას ფიქრობდი, შე დებილო! — მოულოდნელად ბრაზდება ლიზიკო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შემცბარიცაა, იმდენად უცხო, იმდენად შეცვლილი ეჩვენება ერთი თვის ქმარი და ბავშვობის მეგობარი, სადღაც, უსასრულოდ შორს, სრულიად სხვა განზომილებებში ჩარჩენილი, ჯერ კიდევ ბავშვური ინტერესებით და, რაც მთავარია, უიმისოდ...

ანტონიცი შეცბება უნებურად, რაღაცის თქმას დააპირებს, ალბათ თავის ლინგვისტურ ექსპერიმენტებთან დაკავშირებით, მაგრამ რაუდენი არ დააცდის, სხვებზე ადრე, ის იგრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს და სასწრაფოდ წაჰკრავს მხარს ჟელეზნის, რაღას უცდიო, ამ სისულელეებს ისევ შენი ლექსის მოსმენა სჯობსო და, ამჯერად, აღარც ჟელეზნი გაიპრანჭება ზედმეტად, ერთს ჩაახველებს მუშტში და, წარჩინებულ მოწაფესავით, სხაპასხუპით წარმოსთქვამს:

**რაიკომი და პრეფექტი,
დეფექტი პლიუს დეფექტი,
მაგრამ ამ ორმა დეფექტმაც
ვერ მოახდინა ეფექტი.**

მარტო რაუდენი გაიცინებს და ისიც ყალბად, ნაძალადევად, ასე ვთქვათ, ტონუსის ასაწევად, თუმცა, ჟელეზნის ლექსისა არ იყოს, ვერც ის შეძლებს შეუძლებელს. პირიქით. კიდევ უფრო დაიძაბება დუმილი. ლიზიკო კი, მანქანის კარს გაადებს უცებ და მშვიდად იტყვის, თუ არ გააჩერებთ, გადავხტებიო... მანქანაში გამლღვალი ასფალტის მსუილი და სიცხისგან გათანგული სივრცის ყრუ გუგუნის შემოიჭრება მაშინვე.

— თუ არ გააჩერებთ, გადავხტები — გაიმეორებს უფრო მტკიცედ, უფრო კატეგორიულად.

— მამა! — დაუძახებს ანტონი რაუდენს.

თან ლიზიკოს შესცქერის დაბნეული, დამფრთხალი. არ იცის, როგორ მოიქცეს, ვერ უბედავს ხელის მოკიდებას, ვაითუ მართლა გადახტესო, კარგად იცნობს ბავშვობის მეგობარს...

— ფისი-ფისი? — სარკეში ეკითხება რაუდენი ლიზიკოს.

— ახლავე გააჩერე! — უყვირის ლიზიკო.

— კი ბატონო, ვჩერდებით... — უყვავებს რაჟდენი და ამუხრუჭებს. მანქანა სანახევროდ გადადის გზიდან, გზისპირა ხრეშს აჩხრიალებს და ჩერდება. მაგრამ ვიდრე წესიერად გაჩერდებოდეს, ლიზიკო უკვე მინდორში გარბის. გარბის, მაგრამ არ იცის, რატომ ან საით. უბრალოდ, გარბის, ხაფანგიდან თავდაღწეული ცხოველივით, რომელსაც ბრმა ინსტინქტი კარნახობს, რაც შეიძლება სწრაფად გაიქცეს, რაც შეიძლება შორს გადაიხვეწოს მისთვის ეგზომ სახიფათო ადგილიდან. გაუვალი, გაუხეშებული ბალახი ზოგან წელამდე წვდება, კანს უსუსხავს, კაბაზე ებლაუჭება, მაგრამ ის მაინც გარბის. მინდვრის ბოლოში ქედი წამოწოლილა, ფერდებჩამობლორტნილი, და, კი არ ახლოვდება, ნელ-ნელა უკან იხევს, თითქოს მისი ჯიბრით. ის კი მაინც იმ ქედისკენ მირბის, თითქოს იმის იქით იწყება სამშეიდობო, თითქოს იქ არის საზღვარი ყოფნა-არყოფნას შორის. "იმ ქედს თუ გადავივლი... იმ ქედს თუ გადავივლიო"... — ფაცაფუცით, ბოლომდე გაუახრებლად იმეორებს მისი აღზნებული, აგანგაშებული გონება. მერე აღმართი იწყება, ხრიოკი, ქვადორდიანი, აქა-იქ ხავსმოდებული... ის კი, მაინც გარბის, გულამოვარდნილი, აქოშინებული, არაქათგამოცლილი, რადგან სხვა მაინც არაფერი შეუძლია, გარდა გაქცევისა, ვერაფერს ხედავს, გარდა თავისიანების გახვითქული, დაწითლებული და არანორმალურად გადიდებული სახეებისა და არაფერი ესმის, გარდა საკუთარი სახელისა, კვალში ჩამდგარი თავისიანები რომ მოსძახიან. ის კი, სწორედ იმათ გაურბის, თავისიანებს, როგორც კურდღელი დაგეშილ მწვერებს, მაგრამ კურდღლისა არ იყოს, მისი ბედიც წინასწარაა გადაწყვეტილი. მწვერები აუცილებლად დაეწევიან, დაიჭერენ, ერთს გაქაჩავ-გამოქაჩავენ და ჩამოკიდებენ ბატონის უნაგირზე, როგორც ლექსში სწერია, ანუ, ისევ რაჟდენ კაშელის მანქანაში დააბრუნებენ და ისიც დაბრუნდება, თუკი იქამდე ვერ მოასწრებს ქედის გადავლას. მაგრამ ქედზე როგორ გადავა, როცა ყველა გზა უკვე მოჭრილი აქვს. წინ ვერაუღლად გაღურსული მაყვლოვანი გადაწოლილა, წარღვნამდელი ურჩხულივით, უკნიდან კი, დაქანცული, მაგრამ უკვე გამარჯვებაში დარწმუნებული "მონადირეები" ახლოვდებიან. "არ გრცხვენია, გოგო, ცხენივით რომ დამარბენინებ აღმა-დაღმა, ჩემი ტრიკის პატრონს" — მოდუღუნებს კელეზნი. რაჟდენი გაშეშებული, ფოლადივით ცივად მოელვარე თვალებით ჭამს. ანტონს კი მიწის ფერი ადევს, ამქვეყნისა აღარაა, გაღვლილ პერანგს ზურგს უკან უფრიალებს ქარი და, რატომღაც, ხელებაწეული მოდის, თითქოს კი არ იჭერს, ტყვედ ბარდება ლიზიკოს... ლიზიკო მაყვლოვანში შევარდება, დაუფიქრებლად შეუვარდება ქვეშ ათასნაირად დახლართულსა და დაგრაგნილ ბუჩქებს, როგორც თვითმკვლეელი — მატარებელს... მაყვლოვანი შეთრთოლდება, აიშირზება, აიფოფრება, უხალისოდ გამოერკვევა საუკუნოვანი რინდიდან და ჯერ ბოლქვა-ბოლქვა ამოაფრქვევს ღუმელივით მხურვალე წიადში ჩაღეკილ მტვერსა და ათასნაირ მწერს, მერე კი, ზანტი, თითქოს განგებ შენელებული მოძრაობებით შემოაჭდობს დაუპატიებელ სტუმარს თავის გრძელსა და ეკლიან საცეცებს, ერთად ჩაასობს ყველა ეკალს და მარადიული წყურვილით გამომშრალ-გამოფიტული, ხარბად შეიწოვს იმის მჩქეფარე, დაუდგრომელ, ცეცხლოვან სისხლს... ლიზიკოს გული ამოვარდნაზე აქვს, ტკივილისგან დაბრმავებული, დაყრუებული, გაოგნებული იბრძვის ალაღბედზე და რაც უფრო მეტს იბრძვის, მით უფრო ღრმად იძირება ეკლიან, სულისშემხუთავ, გაუვალ სიცარიელეში... "არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ" — ყვირის გაუპატიურებულივით, დაბლორტნილ-დაკაწრული, თმააჩნილი, კაბაშემოფლეთილი. საცაა მიწვდებიან "მონადირეები", რომლებიც, თავის მხრივ, გაშმაგებულნი ებრძვიან მაყვლოვანს, ფეხებით სცემენ მიუდგომელ "ურჩხულს", ქვებით, ჯოხებით ამტვრევენ ჰაერში ასაგსავებულ, გველვითი დაკლაკნილ საცეცებს, რომელთა ნაცვლად ახალი საცეცები ამოდიან მაშინვე. მაგრამ ბოლოს "მონადირეები" იმარჯვებენ და თავადაც დაბლორტნილ-დაკაწრულნი, ფეხით მოათრევენ ლიზიკოს მაყვლოვანიდან, ანთავისუფლებენ "ურჩხულის" ბრჭყალებისგან, სინამდვილეში კი, უკანასკნელ თავშესაფარსაც უშლიან და ასე მთავრდება ეს მოულოდნელი ნადირობა. "არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ" — ძლივსდა ხავის ნაცემ-ნაგვემი, ქანცვაწვეტილი ლიზიკო და ანტონს აღარ სჯერა, როდისმე თუ გამოერკვევა ამ უახრობიდან, როდისმე თუ გამოიხედავს თვალში მისი ყველაზე უახლოესი

ადამიანი, ისევ ერთად თუ იქნებიან ძველებურად. გული უგრძობს, რაღაც მოხდა საბედისწერო, რაღაც დააშავა უნებურად, მაგრამ ვერ გაუგია და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რა ლიზიკოს ან მართლა აღარაფერი ესმის, ან შეგნებულად უყრუებს, არაფრად აღარ აგდებს, დანახვაც არ უნდა მისი. სხვებმაც არაფერი იციან. არაფერი არაფერი არ იცის. "მე რას მეკითხებიო, შენს ცოლს ჰკითხო" — უყვირა მამამ და ესეც იძულებულია, მოწმესავით უყუროს შორიდან, როგორ მიყავთ, უფრო სწორად, როგორ მიათრევენ მის ცოლს რაჟდენი და უელეზნი. თითქოს თვითონ არაფერი ესაქმება იმათთან, ანდა თითქოს მართლა მწვევარია და, რაკი უკვე პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, ახლა როგორც შეუძლია, ისე გამოხატავს ამას — ხან წინ უსწრებს, ხან კი უკან მისდევს "ნანადირევით" ხელდამშვენებულ "მონადირეებს"...

ამჯერად, საჭესთან უელეზნი ჯდება. ანტონი მის გვერდით იკაეებს ადგილს. რაჟდენი და ლიზიკო უკან თავსდებიან, რადგან "ასე აჯობებს ლიზიკოსთვის", რომელსაც ახლა "მხოლოდ სიმშვიდე სჭირდება" და, მართლაც, რაჟდენის მკერდზე უმწეოდ თავმიდებულს, აღარაფერი ეტყობა წელანდელი სიგიჟისა. რაჟდენი დაძაბული, მოღუშული, ყბადაბერილი იყურება წინ. მანქანაში სრული სიმშვიდე სუფევს. ლიზიკო თუ ამოისლუკუნებს ხანდახან, ტირილით ჩაძინებული ბავშვივით, თუმცა, რასაკვირველია, არ ძინავს, უბრალოდ, თვალს ვერ ახელს და, მაინცდამაინც, არც ცდილობს გახელას, თვალდახუჭული მისვენებულა მამამთილის მკერდზე. "ყველაფერი კარგად იქნებაო" — ხშირხშირად უმეორებს მამამთილი და კინკრისოზე კოცნის ფრთხილად. ესაა და ეს. თბილისამდე ხმას აღარ ამოიღებენ. უბრად დაამთავრებენ მგზავრობას. მაინცდამაინც, არც თბილისში გამოუსწორდებათ გუნება-განწყობილება. უხმოდ, უხალისოდ წაიხემსებენ და თავთავიანთ ოთახებში შეიძურწებიან ყველანი, უფროსები ცალკე, უმცროსები ცალკე. იქაურობაც მუშაობს საკვს. ფეფესაც ბევრი უომია, ყველანიირად უცლია მუშაობის განდევნა, მაგრამ ბოლოს იმასაც ჩაუქნევია ხელი...

რაქდენი, თავისი ჭკუით, კი ატყუებდა ცოლს, მძინავსო, მაგრამ დაძინებამდე ბევრი აკლდა. თვალდახუჭული იწვა სიბნელეში და მუშლის უნებლიე, არასასიამოვნო შეხებაც ვერ უფრთხობდა გამომათაყვანებელ ჩვენებას და, რაც მთავარია, დარწმუნებული იყო, ნამდვილად ეკუთვნოდა, რაც ელანდებოდა, რასაც მთელი სიცოცხლე ბრმად ესწრაფვოდა თურმე და ნაღრძობი სახსარივით, გაციებული ნერვივით, დამპალი კბილივით აწამებდა ახლა. უკვე ვერავინ და ველარაფერი ააღებინებდა ხელს განზრახვაზე, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, ის გააგებინა, თუ რამდენად არასწორი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი ბედნიერებაზე. მართალია, თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მოჰკლებია სიამოვნების განცდა, მაგრამ ის ცხოველური სიამოვნება ყოფილა, ბნელი, ტლანჩი, გარანტირებული და სწრაფწარმაგალი, სტიჟარდესებისგან, ოფიციატებისგან, სასტუმროს მორიგეებისგან, კანცელარიაში მომუშავე თუ კომკავშირის აქტივისტი გოგოებისგან მიღებული, გაუთავებელ სხდომებს, შეკრებებს, კონფერენციებსა და ყრილობებს შორის. ხოლო, რასაც ახლა განიცდიდა, არაფერი ჰქონდა საერთო აწ უკვე განცდილთან. მთელი მისი არსება გარდუვალი, უკვე კარს მომდგარი დღესასწაულის შეგრძნებით იყო სავსე, დღესასწაულისა, რომელსაც ბავშვური მოუთმენლობით ელოდები და რომლისთვისაც ჭირნახული კაცივით წინასწარ იჭერ თადარიგს. დიახ, ამ ხნის განმავლობაში, დღევანდელი დღისთვის იჭერდა თურმე თადარიგს. ამ ენით უთქმელი მღელვარების განსაცდელად ემზადებოდა მთელი ცხოვრება. შეიძლება, შეუგნებლად, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მიიწვედა განუწყვეტლივ წინ კარიერის მოლიპულ გზაზე. ყველაფერს სჩადიოდა, ყველაფერს კისრულობდა, ყველაფერზე მიდიოდა ამის გამო და ამის გამო იხვეჭდა "ყოველსა მოსახვეჭელსაც". ამის გამო იცვლიდა ზნეს, სახეს, მრწამსს... ამის გამო იტანდა ფეფეს... ამის გამო ემლიქვნებოდა უფროსებს და ამის გამო თრგუნავდა ხელქვეითებს, მასზე დაბლა მდგომთ... რათა ერთ მშვენიერ დღეს, შხამიანი მუშლის კორიანტელში, სულის შემსუთავ სიცხეში, სააგარაკო ფაცა-ფუცში, მოულოდნელად ახელოდა თვალი იმის დასანახად, რისი დასანახი თვალის ყველა ნორმალურ ადამიანს შეგნებულად აქვს დაბრმავებული. მას კი დღეს აეხილა პირველად. ამაზე მეტი სასწაული რა გინდათ! აეხილა, არა მარტო რძლის დაბზეკილი ძუძუების, არამედ საკუთარი სახისა და ბუნების დასანახადაც — ჭეშმარიტი სახისა და ჭეშმარიტი ბუნებისა! ახლა მან ნათლად და მყარად იცის, ვინ არის, რა უნდა, რატომაა საერთოდ მოვლენილი ამ ქვეყანაზე. მან დღეს საკუთარი მომავალი აღმოაჩინა, რომელიც მისი ჭკვიანი შვილის აზრით, საერთოდ არ არსებობს თურმე ბუნებაში. მან კი აღმოაჩინა, სხვათაშორის, მისთვისაც მოულოდნელად, უკანასკნელ წამს და, მაინცდამაინც, აქ, ამ არეულ ქვეყანაში, სადაც მისი ადგილი (ანტონის თუ შევეკითხებით), თითქოს აღარ უნდა ყოფილიყო. ახალი დანიშნულებაც შეიძინა უცებ: მაინცდამაინც, საკუთარი რძლის დამორჩილება, საკუთარი რძლის გაბახება... და გინდაც მამამისი საგანგებოდ ადგეს საფლავიდან, რათა ხელი ააღებინოს განზრახვაზე, სულში ჩააფურთხებს იმასაც, რადგან მამა მაინც გუშინდელი დღეა, შვილთან შედარებით მაინც ქაჯია და შეიძლება უცებ ვერც მიხვდეს, სრულებითაც რომ არ ეწინააღმდეგება მისი შვილის განზრახვა იმ საქმეს, რომელსაც თავად შეეწირა... პირიქით, მამავ ბატონო, ამხანაგო მამა, პირიქით! სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თქვენს შვილს მარტო მამაკაცური ღირსება ავადღებულებს, უყოყმანოდ და მოურიდებლად მიიღოს, რაც ღიზიკომ თავად შესთავაზა. ეს უაზრო სირბილი და ბუჩქებში ძროშიადივც ამის დადასტურებაა მხოლოდ. აბა, გამომეკიდება თუ არაო. უნდოდა, მაინცდამაინც, რაქდენს დაეჭირა, რაქდენს აეტატებინა, ვითომ არაქათვამოცლილი, და რაქდენის მკერდზე ეთვლიმა თბილისამდე... მამაძადლი... რაქდენი, რა თქმა უნდა, აიღებს, რასაც სთავაზობენ. ისეც მზე მაღლა! აიღებს, გინდაც საფლავიდან საგანგებოდ წამომდგარმა და, ჩვეულებისამებრ, მოტოციკლეტის მალაყელიან ხელთათმანებითა და მწვანეშუშიანი სათვალით შენიღბულმა მამამ მოულოდნელად დაახლოს ნაგანის ტყვია კეფაში. ღიზიკოს დამათრობელი სურნელით გაბრუებული, ფიქრშიაც არ უშვებს, თუ რა საზარელ ცოდვაში ვარდება, რა არაადამიანურ ბოროტებას სჩადის იმავე ღიზიკოს მიმართ, შვილზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელსაც საერთოდ არ აგდებს სათვალავში,

როგორც საქართველოს ნებისმიერი შესაძლებელი ხელისუფლება — მისი შვილის პარტიას. ან თუ აგდებს, არაფრად თვლის, როგორც უღირსსა და უპერსპექტივო მეტოქეს. რაუდენსაც სჯერა და სხვებსაც იოლად დაარწმუნებს, ყველაფრით რომ სჯობნის მეტოქეს, გარეგნობითაც, შეძლებითაც, გავლენითაც, სახელითაც, ცხოვრებისეული ცოდნა-გამოცდილებითაც... ბიჭობითაც! და რომ ასე არ არის, ანდა, ეს რომ არ არის მთავარი მამა-შვილის ურთიერთობაში, ვეღარავინ გადაარწმუნებს, ვერც მკვდარი მამა და ვერც ცოცხალი შვილი...

ასე რომ, როგორც ყველა დიდი ბოროტმომქმედი, რაუდენიც მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე ცდილობდა საკუთარი განზრახვის გამართლებას, ვიდრე მისი უთქმელი, უსაშველო საფიქრალით შეწუხებული ცოლი გადმობრუნდებოდა და ჰკითხავდა: "რა მოხდა, რას შფოთავ, რატომ ვერ იძინებო". რაუდენიც, თითქოს მხოლოდ ამას ელოდებოდაო, ჩასაფრებულივით გამოენთო ცოლის ხმაზე, თითქოს, როგორც იქნა, მაინც მიაგნო, მაინც მიაკვლია გამოსავალს საკუთარი ავხორცობის კლანჭებიდანო, და გაშმაგებული ეკვეთა თანამეცხედრეს, ცხოვრების თანამგზავრს, მეუღლეს, მისი ჭირვარამის უსიტყვო მოზიარეს, მისი ყოველი მეჭეჭისა თუ ეგზემის დამმაღავსა და მომვლელს, ფაცაფუცით შემოაფლითა გაოფლილი პერანგი, ზნეწამოვლილივით დადორბლილმა, დაულოშნა, დაუკბინა ყელ-კისერი, ძუძუ-მკერდი, მუცელი, ბარძაყები... და გონწასული, ყელში შუშაგამოსმულივით ახრიალებული, ჩაინთქა, ჩაიღვარა, ჩაიწრიტა ცოლის კი არა, ზოგადად დედაკაცის ჩაულწევველ, ჩაუწვდენელ წიაღში...

ფეფე უფრო დააფრთხო, ვიდრე გააკვირვა ქმრის ამგვარმა პირუტყვულმა ვნებამ. ვერაფრით ვერ დაიმორჩილა აკანკალებული ხელ-ფეხი. გასუსული, მობუზული, სუნთქვაშეკრული იწვა ქმრის ზურგს უკან, ქმრის ხერინგას მიყურადებული, და მთელი სხეულით გრძნობდა, თავად არაფერი ესაქმებოდა იმასთან, რაც ეს წუთია გადახდენოდა თავს. ტანი უგრძობდა, სხვა ქალის მაგივრობა გაეწია ქმრისთვის. ცოლობა საერთოდ სხვა ქალის (ქალების) მაგივრობის გაწვევაა და ეს ადრეც ბევრჯერ უგრძნებია ფეფეს, მაგრამ ამჯერად ამის შეგრძნება გაცილებით მძაფრიც იყო და შეურაცხყოფილიც. მისი სურვილის გაუთვალისწინებლად, მისი თანხმობის გარეშე შეასრულებინეს სხვისი როლი. სხვისი გასაკეთებელი საქმე გააკეთებინა ქმარმა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, უჩვეულო და უცნაური არაფერი მომხდარა. უბრალოდ, თავად მათი ურთიერთობა იყო უჩვეულოცა და უცნაურიც, და არა მარტო იმ დღეს, არამედ საერთოდ, ყოველთვის, თავიდანვე, როგორც კი მოიკლა რაჟდენმა თავისი ყმაწვილური ჟინი — ბნელ კუთხეებში, ზეზეურად, მოუხერხებლად და ფაცაფუცით — მას მერე მათ ცოლ-ქმრულ საწოლზე ტოლი კი არ ეუღლებოდა ტოლს, გნებავთ, მამრი კი არ ნერბავდა მდედრს, არამედ დიდი და მნიშვნელოვანი კიდევ ერთხელ ითვისებდა და ითავისებდა პატარასა და უმნიშვნელოს, რაც თავისთავად უკვე შეუძლებელს ხდიდა ორივესთვის ერთნაირად სასურველი, ანდა, მისაღები ურთიერთობის დამყარებას მათ შორის. მაგრამ ფეფემ მაინც შეგნებულად ამჯობინა ქმრის ყურმოჭრილი მონობა დედამთილის დანაბარების აღსრულებას ("ისიც... ისინიცო"). ოღონდ, დედამთილის უპატივცემულობით კი არ მოიქცა ასე, არამედ მკვდარი მამის ხათრით, რომელსაც სულის ამოხდომამდე სჯეროდა, აუცილებლად "მეფისტოლა კაცი" რომ წაიყვანდა მის ერთადერთ ქალიშვილს ცოლად (მეორე ხუნაგმა გაუგუდა, სულ რამდენიმე თვისა) და მხოლოდ ეს უსაფუძვლო, მაგრამ მაცდური და გამაბრვიველებელი რწმენადა უნარჩუნებდა ცხოვრებასთან უაზრო ბღლარძუნის ჟინს, ვერ ელეოდა, როგორც მშვიერი ძაღლი მასზე უფრო მშვიერი ძაღლებისგან, ვინ იცის, უკვე რამდენჯერ გამოხრულ ძვალს. შიმშილისგან აღგზნებული და სასწაულის განუწყვეტელი მოლოდინით შეპყრობილი, ჯიუტად ითრევედა ფეხს, არ ეთმობოდა აქაურობა, თითქოს მისი "მეფისტოლა" სასიძო მხოლოდ იმიტომ იგვიანებდა, გასათხოვებლად ჯერ კიდევ ძალიან პატარა რომ იყო მისი ქალიშვილი. "დროზე გაიზარდე, შე მამაძაღლო, აღარ შემიძლია მეტიო" — ებუზუნებოდა შვილს. თბილისში გარდაცვლილი იაპონელი სამხედრო ტყვის ძირებადურსმული ბატინკები ერთნაირად უცურდა თოვლზეც და ასფალტზეც. იმის ფხაკუნ-ფხაკუნზე ყეფა-ყეფით გამოენთებოდნენ ხოლმე ეზოებიდან გაუგლისებული ძაღლები, ვითომ, როგორც იქნა, ჩავიგდეთ ხელში ქვეყნის სიმშვიდის დამარღვეველიო. ფეფეც იმას აბრალებდა დედისა და დის სიკვდილს, ოღონდ, თქმას ვერ უბედავდა. საერთოდ, ორივეს ეშინოდა გულახდილობისა და ერთი ხმამაღლა ოცნებობდა, გაუთავებლად, ანუ, არა მარტო თავს იმწარებდა, სხვებსაც უმწარებდა ისედაც გამწარებულ ცხოვრებას, მეორე კი, დუმდა, ჯიუტად, და არა მარტო უასაკობის გამო, არამედ საკმაოდ სერიოზული და სავსებით არაბავშვური შიშის კარნახითაც: ვაი თუ, გაბრაზდეს და მეც მომკლასო. სარდაფის ობობებსა და ვირთხებთან მარტო დარჩენას, ისევე მეოცნებე და ყბედი მამა ერჩია. სამაგიეროდ, მკვდარს უკანმოუხედავად გაექცა, მკვდარი დაუფიქრებლად მიატოვა... ბაზრიდან მობრუნებულს, ტახტიდან სანახევროდ გადმოვარდნილი რომ დაუხვდა, ჯერ გაბრაზდა (რატომ არ დამელოდაო), მერე შეშინდა (როგორ უნდა დავმარხოო), სიკვდილის წინ მონატრებული მაწვნის ქილა გაფშევილ ხელებში მიაჩენა და ცეცხლწაქილებულივით ამოვარდა სარდაფიდან, სადაც მათი ამბავი, ვინ იცის, სასაცილოდაც არ ყოფნიდათ ვირთხებსა და ობობებს, და დიახაც რომ იმსახურებდნენ დაცინვას, იმათგანაც კი — არაფერი გაეგებოდათ ამ ქვეყნისა, არაფერი გამოსდიოდათ ხელიდან, ეგ იყო რომ, ისოცებოდნენ, ერთმანეთის მიყვლებით, ხოლო, მათი ვაი-ოჯახის უკანასკნელმა წარმომადგენელმა (ფეფემ), საერთოდ უარყო, საერთოდ ხაზი გადაუსვა დანარჩენთა, ანუ, უკვე გარდაცვლილთა სახსენებელს. ისიც არ იცის, რომელი სად მარხია. მართალია, დის დამარხვაში თვითონაც ეხმარებოდა მამას, მაგრამ მაშინ თვითონაც თითისტოლა იყო და

ვედარც სასაფლაოს მიაგნებს და, მით უფრო, ვედარც საფლავს. დედ-მამის ადგილ-სამყოფელი საერთოდ არ იცის და არც არასოდეს ცოდნია. დედის ცხედარი საავადმყოფოში დატოვა მამამ, მკვდარ მამას კი, როგორც უკვე ვთქვით, თვითონ გაექცა შეგნებულად, რაკი მაინც ვერ შეძლებდა მის დამარხვას. უიმისოდ კი, იმასაც აუცილებლად გამოუჩნდებოდა დამმარხავი, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი სუნი დამარხავდა — შეწუხდებოდნენ და იძულებულნი შეიქნებოდნენ, სადმე ჩაეფლათ, უპატრონო ძაღლის ლეშივით. ამიტომაც ითმენდა ფეფე ყველაფერს და კვლავაც მოითმენდა, რათა სიცოცხლეში გაწბილებული მამა სიკვდილში მაინც არ გაეწბილებინა და რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, "მეფისტოლა" კაცის ცოლად დარჩენილიყო ბოლომდე. მაგრამ როგორც არ უნდა ეთვალთმაქცა, ისიც მამამისევით უბედური იყო, უბედურად შობილი, დაბადებით უბედური და, ამავე დროს, მამაზე უფრო მეტადაც, რადგან მამისგან განსხვავებით, უბედურების ყოველ წამს მოსალოდნელი და განუხრელად მზარდი დარტყმებისა კი არ ეშინოდა, არამედ ბედნიერების იმ იშვიათი და სწრაფწარმავალი შეგრძნებებისა, ყოველთვის მოულოდნელად რომ გაიფლავებდნენ ხოლმე მის არსებაში, როგორც გვირახის ნათურები მატარებლის ჩაბნელებულ კუპეში, და ერთი წამით კი გამოიყვანდნენ წყვდიადიდან, მაგრამ მერე კიდევ უფრო დიდ წყვდიადში უკრავდნენ თავს...

ასე იყო ახლაც: "უფრო დიდ წყვდიადში" გადავარდნილს, ქმრის ზურგს უკან გაღურსულს, დედაკაცის წყეული ხორცი უგრძობდა, გაცილებით დიდი უბედურება უახლოვდებოდა, აქამდე გადატანილ ყველა უბედურებაზე საზარელიც და შემზარავიც და არა მარტო მისი ოჯახისთვის, არამედ საერთოდ, მთელი ადამის მოდგმისთვის. ამის მაუწყებელი იყო ალბათ მუშლის წარღვნაც. მაგრამ კონკრეტულად რა უბედურება იქნებოდა ეს უბედურება, ამდენის მიხედვით, სამწუხაროდ, არ შეეძლო. მობუხული იწვა ქმრის ზურგს უკან და მკვდარ დაზე ფიქრობდა, დის დამარხვის დღეს იხსენებდა, თავიდან ბოლომდე, რადგან სხვა არაფერი ჰქონდა გასახსენებელი, უფრო მნიშვნელოვანი, სამგლოვიაროცა და საზეიმოც, ერთსა და იმავე დროს. ახლაც ისევე მარტივად და ბუნებრივად ეჩვენებოდა სამყაროს აღსასრული, როგორც იმ გულქვა დღეს; ახლაც დარწმუნებული იყო (და როგორც მაშინ, ახლაც ძალიან უნდოდა, მართლა ასე მომხდარიყო), ერთს დაიჭექებდა დედამიწა და მტვრად იქცეოდა ყველაფერი, მტვრად განიბნოდნენ ყველანი ჰაერში, მკვდრებიც და ცოცხლებიც... მაგრამ ძნელი სათქმელია, უფრო ტანჯავდა თუ უფრო შეეებას ანიჭებდა ამის წარმოდგენა. უბრალოდ, ტანჯვაც შეეება იყო მისთვის, შეეება კი — ტანჯვა, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რაჟდენ კაშელის ბიოგრაფიაში, მართლაც მტვრის ნამცეცხვით უმნიშვნელო მისი არსება სამუდამოდ ჩაიბეჭდა, როგორც რაჟდენ კაშელისგან გამოვლენილი ნამდვილი კომკავშირული გულისხმიერებისა და სოლიდარობის დამადასტურებელი ფაქტი და უფესვო და უძირო, უპატრონო და უპოვარი ლუმპენპროლეტარი კაშელების რძალი გახდა...

ახლა, ქმრის ზურგს ამოფარებული, თავის მკვდრებზე ფიქრობდა და სამივეს ფიქრში უყრიდა თავს, როგორც საერთო საფლავეში. "მე ნუ გამრევთ ამ საქმეში, რაც ჩემს შემდეგ შეგემთხვათ, მე არ მეხებაო" — ცივად ამბობდა სახეგადაშლილი დედა და ცდილობდა, როგორმე, თვითონაც ჩატეულიყო პატარა ჩემოდანში, რომელშიც მისი უმცროსი ქალიშვილის თოჯინისხელა გვამიც ძლივს ეტეოდა. "ცოცხალმა იკითხოს, თორემ, მკვდარს რა უჭირს, დაისვენაო" — ამბობდა მამამისი და რის ვაივაგლახით იცვამდა ხშირი რეცხვისგან დაპატარავებულ ბატინკებს. ერთი წითელი აბრეშუმის საბანი ჰქონდათ და იმ საბნის პირში გაახვიეს დის გვამი. მართლაც, თოჯინასავით იღო ჩემოდანში. თითქოს დასამარხად კი არ მიჰქონდათ, საჩუქრად უნდა მიერთმიათ ვიღაცისთვის. ყოველ შემთხვევაში, ასე დაამახსოვრდა ფეფეს. მერე ჩემოდანი დაკეტეს და წავიდნენ, გაუყენენ საკმაოდ დამქანცველსა და სახიფათო გზას. რამდენიმე ტრამვაი გამოიცვალეს და ბოლოს ერთვაგონიანმა, განსხვავებულმა, განსაკუთრებულმა, მიიყვანათ ქალაქიდან საკმაოდ მოშორებულ სასაფლაომდე. ვაგონში ხალვათობა იყო და ალბათ ყველას თვალში ეჩხირებოდა მათი ჩემოდანი. ასე ეგონა ფეფეს. ჩემოდანი მამას ელო მუხლებზე, ფეფე კი მამის გვერდით იჯდა, ორივე ხელით მამის მკლავს ჩაჭიდებული, როგორც წყალწადებული ხავსს. შიშით გული უსკდებოდა, არ გვეითხოს კონდუქტორმა, რა გიღვეთ მაგ ჩემოდანშიო. კონდუქტორი არ დაინტერესებულა, რა ელოთ ჩემოდანში, მაგრამ ზედმეტი ბილეთის აღება კი მოსთხოვათ, რამაც მამამისი საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან. "რატომ უნდა ავიღო ზედმეტი ბილეთი, რა ადგილს ეს იკავებს, ან ვის უშლის ხელსო" — ყვიროდა, თვალგებადათეთრებული, ყბააცახცახებული. თუკი ვინმე იჯდა ვაგონში, იმათკენ იყურებოდა. "უშლის თუ არ უშლის, ბარგი ბარგაო" — გაჯიუტდა კონდუქტორიც. ფეფე ისე შეეპყრო შიშს, აღარაფერი გაეგებოდა, გამწარებული ეწურნულებოდა მამას ყურში, აიღე და აიღე ბილეთიო, მაგრამ მამას არ ესმოდა მისი, კონდუქტორთან ჰქონდა საქმე — ცოდვა-მადლი აღარა გაქვთ, ფულსა ხართ ყველანი ერთნაირად დახარბებულებიო — ყრიდა ცოფებს. ფეფე სკამიდან წამოხტა, მამას ჩემოდანი გამოგლიჯა და მთელი ძალით ჩაარტყა თავში, რის შემდეგაც, არათუ მამამისი გაჩუმდა (გაითიშა ერთი-ორი წამით), არამედ კონდუქტორიც დაუბრუნდა თავის ადგილს — შეიძლება, შეეშინდა ფეფესი, შეიძლება, შეეცოდა კიდევ ეს გაძვალტყავებული მამა-შვილი და აღარ გამოიჩინა ზედმეტი პრინციპულობა...

მამამისს, ეტყობა, წინასწარ ჰქონდა შეგულიანებული უკვე ბალახმოდებული, სავარაუდოდ უპატრონო საფლავე, სადაც შვილის დამარხვას აპირებდა ჩუმიდ, მაგრამ სწორედ იმ უპატრონო საფლავეს გვერდით, ვიღაცას მარხავდნენ კიდევ და ისინიც იძულებულნი გახდნენ, დაეცადათ. საკმაოდ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. მომდერლებიც მოეყვანათ. ერთი მათგანი თვალდახუჭული მდებოდა და ამან გააკვირვა ყველაზე ძალიან ფეფე, თუმცა იქამდე არც თვალდახუჭული მომდერალი უნახავს და არც თვალდაჭყეტილი. საზაფხულო, ნასვრეტებიანი შლიაპა აცახცახებულ ხელში ეჭირა და ფეფეს ეშინოდა, არ დაუვარდესო. მეორე ხელით მოჭმუჭნულ ცხვირსახოცს გადაისვამდა ხოლმე შუბლზე, მაგრამ მაინც წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. სახე წითლად უვარვარებდა. შეიძლება, ცხელოდა; შეიძლება, ავად იყო. ჭერჩამოქცეული ეკვერიდან ჩაქუჩის კაკუნი ისმოდა, საფლავეს ქვას თლიდნენ ალბათ, და ფეფე ერთნაირი ინტერესით უსმენდა ჩაქუჩის კაკუნსაც და სიმდერასაც და, რაც მთავარია, ორივე სიამოვნებდა. მომდერლებს, ეტყობა, სხვაგანაც ელოდებოდნენ და უგვიანდებოდნენ. მორჩნენ თუ არა სიმდერას, მაშინვე გაეცადნენ იქაურობას. საფლავე-საფლავე, მოკლეზე მიდიოდნენ, თვალშისაცემად საქმიანნი და მიზანდასახულნი. სიცხისაგან გამხმარ და გამოყვითლებულ ბალახიდან ბლუჯა-ბლუჯა ამოცვივდებოდნენ ხოლმე წვრილი კუტკალიები. ყველაზე ბოლოს ფეფეს მომდერალი მიდიოდა. ძლივს მიაფრატუნებდა ფეხებს. მაგრამ ვიდრე იასამნის ბუჩქებს მიეფარებოდა, მაინც მოხედა ფეფეს და თვალი ჩაუპაჭუნა, ეშმაკურად მომდიმარმა, რითაც სამუდამოდ დაამახსოვრა თავი...

მერე ხალხიც მალე დაიშალა. მაგრამ ახლა მესაფლავეების წასვლას არ დაადგა საშველი (კიდევ კარგი!). საქმეს რომ მორჩნენ, ბარ-ნიჩაბი და თოკები ერთად დაყარეს და თვითონაც იქვე მიწვნენ პურის საჭმელად. მხარეთქოზე წამოწოლილნი ილოღნებოდნენ, უხალისოდ, თავადიშვილურად. წესიერად დაჯდომის თავიც აღარ ჰქონდათ. ფეფემ ჰკითხა კიდევ მამას, ეგრე რატომ ჭამენ, რატომ არ დასხდებიან, როგორც წესი და რიგიაო, მაგრამ მამამ მხარი აუქნია მხოლოდ (თვითონაც შიოდა და არ ჰქონდა ლაპარაკის თავი), მაგრამ ფეფე რომ არ მოეშვა — ბევრ ხალხს მარხავენ და ძალიან იღლებიანო — უპასუხა კუშტად. მესაფლავეებმაც მოჰკრეს ყური მათ ლაპარაკს, თუ სასაფლაოზე ჩემოდნიანი კაცის დანახვა გაუკვირდათ, თავად გამოელაპარაკენ, ხოლო, მათი ამბავი რომ გაიგეს, ძალიან შეწუხდნენ, მამას ღვინო მიაწოდეს, ფეფეს — პური, და თვალისდახამხამებაში დაამარხეს ესწუთია დამარხულ მიცვალებულს ფეფეს საბრალო დაიკოც, წითელ პეპელასავით რომ ამოფარფატდა უცებ ჩემოდნიდან და სამუდამოდ შთაინთქა ორგზის გათხრილ სამარეში. მესაფლავეებმა სამარის ბორცვი ხელახლა მოასწორეს, ყვავილებიც ხელახლა დააყარეს ზემოდან და ახლა უკვე ვეღარც ჭირისუფალი შეატყობდა რამეს, ვეღარც სასაფლაოს დირექტორი. "ყველაფერი რიგზეა, საფლავის კანონიერი პატრონი თუ არ გაგვიბრაზდაო" — თქვა ერთ-ერთმა მათგანმა და ნიჩაბი შორს მოისროლა. "რას ამბობ, კაცო, მადლობელიც დაგვრჩება, ზამთარში ფეხები თბილად ექნებაო" — თქვა მეორემ. "უკვე დედასთან არისო" — ამშვიდებდა ფეფეს მშიერ კუჭზე დაღეული ღვინით აღზნებულ-აფორიაქებული მამა. ფეფე კი, ქმრის ზურგს უკან იწვა ზაფხულის ღამის ჩახუთულ, ჩახურებულ წყვდიადში და ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, ჯიუტად არ აცილებდა თვალს სიბნელეში გაუჩინარებულ სარკმელს, ვიდრე არ აიძულა, უკანვე მობრუნებულიყო, ვიდრე თანდათანობით, ისევ არ გამოიკვეთა სარკმლის მოთეთრო-მონაცრისფრო კვადრატი, ვიდრე საბოლოოდ არ გათენდა და ვიდრე ისევ არ დატრიალდა ოთახებში დროებით ჩაბუდებული, დროებით დამცხრალი მუმლის კორიანტელი...

III

"ტყუის. ტყუის... მე მაგიუებს... მე მიხეთქავს გულს" — ფიქრობს ელისო. თუმცა, "საქორწილო მოგზაურობიდან" დაბრუნებულმა ლიზიკომ რომ დაურეკა, არსად გახვიდე, სალაპარაკო მაქვს შენთანო, უკვე იცოდა, უკვე გრძობდა, კარგს არაფერს ეტყოდა საყვარელი გერი. მაგრამ რაც ეს-ეს არის მოისმინა მისგან, რასაკვირველია, ყველაფერს აღემატება, ფიქრშიაც ვერ გაბედავდა მსგავსის წარმოდგენას, გინდაც მთელი სიცოცხლე ლიზიკოს სასიყვარულო თავგადასავლებზე ეფიქრა მხოლოდ. მიჩვეული კია მისგან ასეთ "უცნაურ", "მოულოდნელ" გამოხდომებს — თექვსმეტისაც არ იქნებოდა, ორი დღის გაცნობილ ბიჭს "ქალიშვილობა რომ ჩააბარა", ყოყმანა და გაუბედავი ანტონის ჯიბრით. ზუსტად ასე უთხრა ელისოს: "მომილოცე, დღეს ქალიშვილობა ჩავაბარე იმ პატიოსან კრეტინსო", რის შემდეგაც, ის "პატიოსანი კრეტინი", რომელიც ფორტეპიანოს კლასს ამთავრებდა კონსერვატორიაში და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ მუსიკისმცოდნენი, საერთოდ გადაიხვეწა საქართველოდან და უნდა ვივარაუდოთ, უფრო ლიზიკოს შიშით, ვიდრე დროის კარნახით. მაგრამ ადრე ჩადენილ არაერთ სისულელეს, ასე თუ ისე, მაინც მოექმნება ახსნაცა და გამართლებაც, ამას კი — არა. თავად ლიზიკოსგან რომ არ მოესმინა და გინდაც ღმერთს ეთქვა, შენი გერი მამამთილს ყვარობსო, ტყუიო — შეუბრუნებდა სიტყვას — აღარ გაიმეოროო — გააჩუმებდა საერთოდ. მაგრამ რასაც ღმერთს გაუბედავდა, გერს ვერ გაუბედა. პირიქით, გერის ამ მოულოდნელმა აღსარებამ, პირველ რიგში, საკუთარი უმწევობის, უუფლებობის შეგრძნება გაუმძაფრა, საკუთარი სიმარტოვისა და დაუცველობისა... კი ეუბნება ხოლმე ელიზბარი (რა თქმა უნდა, ხუმრობით), მე ერთი ვარ, თქვენ კი — ორნი, თანაც ქალები, და ერთმანეთის ტყავს არ დახვეთო, მაგრამ სინამდვილეში, ისინი იყვნენ ყოველთვის ორნი, ელიზბარი და ლიზიკო, თვითონ კი, ერთია და ბოლომდე ასე დარჩება, ერთი, ყველგან ერთი, ყოველთვის ერთი, რაკი საკუთარი უარყო და სხვისას ვერ დაეპატრონა, რადგან არასოდეს უცდია შეცდომის გამართლება, ანუ, მამა-შვილს შორის ჩადგომა და მათი გათიშვა, მით უფრო, რომელიმე მათგანის გადაბირება მეორის საწინააღმდეგოდ. უფრო მეტიც, ელიზბარის კანონიერი ცოლი კი გახდა, მაგრამ არაფერი მოუმოქმედებია ელიზბარის გარდაცვლილი ცოლის დანატოვარი სიცარიელის ამოსავსებად. იმასაც დიდ ბედნიერებად თვლიდა, თუკი, ელიზბართან და ლიზიკოსთან ერთად, იცხოვრებდა იმ სიცარიელეში. სხვათაშორის, ლიზიკომ მის გამოჩენამდე მითვისა გარდაცვლილი დედის უფლებები და, რასაკვირველია, ახლა აღარავის დაანებებს, მით უფრო, თუკი არც არავინ მოთხოვს. ლიზიკო უკვე თავისუფალი, დამოუკიდებელი ადამიანია და უკვე თვითონვე ჭკედავს საკუთარ უბედურებას საკუთარ სამჭედლოში. რასაკვირველია, ესეც პრობლემაა და, ელისოს აზრით, ეს პრობლემაც შეგნებულად შექმნეს თვითონ, მშობლებმა, თუნდაც, უფროსებმა, ერთმანეთთან შეთანხმებითა და ერთმანეთის დახმარებით, არა მარტო თავიანთი ურთიერთობის ჯერ შესანარჩუნებლად და შემდეგ გასაღრმავებლად, არამედ თავიანთი კეთილშობილების გამოსავლენადაც, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის თვალში, რაც საფრთხის შეგრძნებას კი არა, მაღლიერების გრძნობას ბადებდა მათ გულელებში, ისევ და ისევ ერთმანეთის მიმართ, და ფიქრშიაც არ დაუშვებდნენ, მათი შეხმატკბილებული კეთილდღეობა სახიფათო თუ აღმოჩნდებოდა თავად ლიზიკოსთვის, ვისთვისაც თავიანთი ჭკუით ირჯებოდნენ, ანდა თავად ლიზიკო თუ აღმოჩნდებოდა მათთვის სახიფათო, თუნდაც, ანდაზიდან გამომდინარე, ანუ, მოყვრად გაზრდილი, ბოლოს მტრად თუ მოეკიდებოდა თავის გამზრდელებს და ორივეს საქვეყნოდ მოჭრიდა თავს. არადა, ასეთი საფრთხე, როგორც სჩანს, ნამდვილად არსებობდა და ამ საფრთხის არსებობა აიძულებდა იმათაც, განუწყვეტლივ ეთვალთმაქვათ და ემლიქნებლათ ცხვირმოუხოცავი დღაპის წინაშე, "ნაკლებად მტკივნეული" რომ ყოფილიყო იმისთვის მათი პირადი კეთილდღეობა. თუმცა, საცა სამართალია, ქმრის სიკვდილის შემდეგ, არასოდეს უფიქრია პირად კეთილდღეობაზე; თავისთავად, თითქოს უიმისოდ მოხდა ყველაფერი; ვერც კი წარმოდგენდა, საერთოდ თუ შეიძლებოდა, "ყოველად ჩვეულებრივი ურთიერთობა" ჰქონოდა ელიზბართანაც, ლამის აბსტრაქტულ ცნებასთან, რომელთანაც, მისი დრმა რწმენით, "სრულიად სხვა ინტერესები" აკავშირებდა, ასე ვთქვათ, ცხოვრებისმიერი

კი არა, წიგნისმიერი. "თქვენმა წიგნმა გადამარჩინაო" — ექვრტულეობდა გულწრფელად მადლიერი და უკვე თავადაც დაქვრივებული, მათი "სიყვარულის" პირველ ეტაპზე. ანუ, გაუთავებელი სატელეფონო საუბრების ჟამს, და მავთულის მეორე ბოლოში, ღვთაებრივად, ღრმად, ხანგრძლივად დადუმებული ელიზბარი, წარმოდგენილი ცის ბინადარი უფრო იყო მისთვის, ვიდრე ფეხქვეშ მყარად არსებული მიწის მკვიდრი... მათი ურთიერთობა სრულებითაც არ გულისხმობდა ამქვეყნიურ კეთილდღეობას, უფრო სწორად, არცერთი არ აპირებდა ხელმეორედ დაოჯახებას და ერთხელ კიდევ გადატანას იმისა, რაც უკვე გადაეტანა; უბრალოდ, ძველ ნაიარევებს აჩვენებდნენ ერთმანეთს, რაც გარკვეულ შევებას ანიჭებდათ, მაგრამ ბოლოს ისე ამოუვიდათ ყელში გაუთავებელი სატელეფონო საუბრები, ხელმოუწერავი "სატრფიალო ბარათები" და, რაც მთავარია, ყოველად უაზრო კუკუმილაობა ქალაქთანაც და ლიზიკოსთანაც, უკვე დაუფარავად ნატრობდნენ და აღარ ეგონათ, ისინიც თუ გახდებოდნენ როდისმე "ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების" ღირსნი. მაღალ გრძნობებს, ეტყობა, მაინც მდაბალი მიზნები განაპირობებენ და, როგორც წესი, ყოველთვის ერთნაირად მთავრდება ნებისმიერი, გინდაც წიგნიერი ურთიერთობა ქალისა და კაცისა. ისინიც უფრო მიწიერი არსებები იყვნენ, ვიდრე ციური, და, ამავე დროს, გაცილებით მეტი საერთო ჰქონდათ, ვიდრე თუნდაც ქვრივობაა. დანაშაულის გაუნელებელი, მოუშორებელი გრძნობა გარდაცვლილ თანამეცხედრეთა მიმართ და ამ დანაშაულისთვის განკუთვნილი სასჯელი — სინდისის ქენჯნა! — აი, რა აერთიანებდა მათ, თუმცა, არაფერი ჩაუდენიათ გარდაცვლილთა საწინააღმდეგო, მით უფრო, მათთვის მომაკვლინებელი, და არც გარდაცვლილებს ჩაუთვლიათ ისინი თავიანთ მკვლელებად, პირიქით, თუკი ვინმეს უმხელდა, მხოლოდ ქმარს უმხელდა თავის "გიჟურ სიყვარულს" და ძილის წინ, საწოლში უკითხავდა ელიზბარის ლექსებს. ხოლო, ელიზბარის მეუღლეს სიკვდილის წინ ჩვეული სინახით მოუჭერია უკვე ძალაწართმეული თითები ელიზბარის ხელისთვის, როგორც წვეულებებზე, ანდა საერთოდ უცხო ხალხში იქცეოდა ხოლმე, ქადაგად დავარდნილი მეუღლის გამოსაფხიზლებლად. ასე რომ, ჩვეულებრივი ურთიერთობების შიშმა უფრო მიიყვანა ისინი ერთმანეთთან, ვიდრე ჩვეულებრივი ურთიერთობების ძიებამ. ორივე მათგანს სულიერი მეგობარი ჭირდებოდა, გნებავთ, სულიერი მეტავალყურე, რომელსაც არა მარტო დანახვა შეეძლებოდა მეორის სინდისის ქენჯნისა, არამედ განცდაც... შეეძლებოდა თვალი მიედევნებინა ამ მართლაც უსასტიკესი სასჯელისთვის, ჩანასახშივე რომ სპობს ნებისმიერ სურვილს, მიზანსა და ოცნებას, აქრობს სიცოცხლის ხალისს და, ამავე დროს, არაფერი აქვს საერთო სიცოცხლის მოყირჭებასთან. პირიქით. სიცოცხლე გწყურია (ჯერ ახალგაზრდა ხარ, ბოლოს და ბოლოს), გიყვარს, გენატრება, მაგრამ "უფლება არა გაქვს" მიიღო, ჩაიხუტო, შესვა, დათვრე, გაიღეშო მისი სიმშვენიერით, რაკი შენი მეორე ნახევარი უკვე მიწაში წვეს, მხოლოდ და მხოლოდ, შენი მიუხევედრელობის, ანდა, ჩვეულებრივი თავკერძობის გამო: ერთხელაც არ დაფიქრებულხარ, პირველ რიგში, ქმარს რომ ამცირებდა და აკინებდა შენი მოურევველი, მოუთოკავი სურვილი ელიზბარის თუნდაც მწერლური ავტორიტეტის გაზრდისა, მაინცდამაინც, ქმრის თვალში... ასე რომ, რაკი ცოცხალი ხარ, დამნაშავეც ხარ, მაგრამ სხვების კი არა, სულერთია, ცოცხლები არიან ისინი თუ მკვდრები, არამედ საკუთარი თავის წინაშე, და თუ ვინმეს ვნებ შენი სიცოცხლით, საკუთარ თავს ვნებ, უპირველეს ყოვლისა. ადამიანი, გრძნობს თუ ვერ გრძნობს თვითონ, ცხოვრების ჭაობშია ყელამდე ჩაფლული და ხელის ჩამწოდებელიც არავინ ყავს. ამიტომ, რაც უფრო მეტად ცდილობს ჭაობის სიმყარდიდან ამოსვლას, მით უფრო ღრმად ეფლობა შიგ. არადა, არც ყოყმანი, ანუ, წიგნის ანაბარა ყოფნა დააყრის ხეირს. ყოყმანი სასურველსა და სავალდებულოს შორის მოტივტივე ლითონის უგრძნობელი ბირთვია, რომელზედაც შეგიძლია ცოტა ხნით დაეკიდო, სულის მოსათქმელად, რადგან დიდხანს მაინც არ გაგინერებს, მოუხერხებელია საამისოდ, დასვენების ნაცვლად, უარესად დაგქანცავს უაზრო ბლარძუნით და ხელებსაც გადაგატყავებინებს თავის ხორკლიანსა და სლიპინა ზედაპირზე... ელისოც მხოლოდ იმას ცდილობს, შეეგუოს არსებულს, ანუ, რაც შეიძლება უკეთესად უქიცინოს კუდი ლიზიკოს, უკეთესად უგოროს კვერცხი ელიზბარს, უკეთესად გაძვრეს ნემსის ყუნწში, გამოძვრეს საკუთარი ტყავიდან,

დაიბრმავოს თვალი, დაიმუნჯოს ენა, დაიხშოს ყური და, რაც მთავარია, არც დაინტერესდეს, ერთხელაც არ ჰკითხოს თავს, რამდენად გამართლებულია მისი საქციელი, ბოროტებას სჩადის თუ სიკეთეს. მთავარია, ლიზიკომ არ აითვალწუნოს და კიდევ უფრო მთავარია, ნება დართოს უყვარდეს მამამისი. მასაც მხოლოდ სიყვარული ამოძრავებს და ლიზიკოს სიყვარულზე არანაკლებ "გიჟური", ოღონდ, ლიზიკოს სიყვარულისგან განსხვავებით, მაინც ადამიანური გრძნობის ნაშთი და არა მდაბალი, ცხოველური სურვილისა, ამიტომ, შეიძლება, უფრო ძნელი დასაჯერებელიც, მით უფრო, დღეს, როცა ყველა ერთნაირად ქადაგებს სიყვარულის თავისუფლებას და გულის სიღრმეში აღარავის აღარ სჯერა ამ თქვენი ყბადაღებული სიყვარულისა, არ სჯერა, არ ჭირდება, არ გამოადგა, არ გაუმართლა, რადგან ცხოვრებასაც გრძნობა კი არა, სურვილი წარმართავს თავის ჭკუაზე და, ეტყობა, ასე ურჩევნია ადამიანსაც, თუნდაც, ერთის სირთულისა და მეორის სიმარტივის გამო. ელისოს მარტო ელიზბარი კი არ უყვარს, არამედ მისი ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლეც და მისი ნაადრევად დაოზლებული შვილიც — სამივე ერთნაირად — და ამდენად, ვინმეს კი არ ენაცვლება, ვინმეს კი არ ეცილება, უბრალოდ, თავისი "გიჟური" სიყვარულით მოპოვებულ ადგილს იკავებს განუყოფელი სამეულის გვერდით, როგორც მათი ერთგული მცველი, მათი სასახლის ბიფიტერი, ოღონდ, საკუთარი ხორცის მჭამელი მათ საამებლად...

სიყვარული ჭკუას რომ აკარგვინებს ქალს, თვითონაც კარგად იცის, საკუთარ თავზე აქვს ნაწვენევი, მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ზღვარი, რომლის იქითაც... თუმცა, არა, არ შეიძლება. სიყვარულს თუ ზღვარი დაუდევ, სიყვარული აღარ იქნება. სიყვარული, როგორც სტიქია, თვითონვე ადგენს საკუთარ საზღვრებს და რაც ამ საზღვრებს მიღმა რჩება, არაფერს არ წარმოადგენს, არაფერს არ ნიშნავს თავად შეყვარებულისთვის. ამის მეტი რა იცის და არც ღიზიკოზე ნაკლები განსაცდელი დასტყდომია თავს სიყვარულის გამო. გათხოვილ ქალს ცოლიანი კაცი შეუყვარდა... კი ბატონო, მაღლიერ მკითხველს — ცნობილი მწერალი... მაგრამ, უსქესო მწერალი სად გაგიგიათ?! არ არსებობს. ტყუილია. სიყვარული შენთვის უკეთესის არჩევია. მაგრამ ღიზიკოსავით, შინ კი არ მიუვარდა იმას, გინდა თუ არა, ყველაფერზე ერთბაშად აიღე ხელი ჩემი გულისთვისო, ამდენის უფლებას როგორ მისცემდა თავს, ღიზიკოსთან შედარებით, თავის შეკავებაც შეეძლო და გრძნობების დამაღვაც, მაგრამ ღიზიკოსგან განსხვავებით, მეორე უკიდურესობაში გადავარდა უნებურად, რადგან თავისი "გიჟური", წიგნებიდან ამოკითხულივით "გაუკონარი" სიყვარული, პირველ რიგში, იმას გაუმხილა, ვისთვისაც უნდა დაემალა; იმას შესჩიოდა თავის გასაჭირს, ვისგანაც მხოლოდ რისხვასა და სიძულვილს იმსახურებდა, რის გამოც, ახლა სინანულისა და დანაშაულის გრძნობა ტანჯავს, როგორც მაშინ ცალმხრივი, მარტო ქმართან, როგორც ერთადერთ და გულითად დობილთან გამხელილი გრძნობა ტანჯავდა. არა მარტო დამნაშავედ თვლის თავს, როგორც ქმრის, ისევე ელიზბარის პირველი ცოლის წინაშე, არამედ დამარცხებულადაც, გაბითურებულადაც... სიყვარული შენთვის უკეთესის არჩევა კია, მაგრამ, სანაცვლოდ, სამუდამოდ კარგავ უფლებას, რჩევა მისცე სხვას. ყოველ შემთხვევაში, ელისო ნამდვილად არ გამოდგება სხვების ჭკუის დამრიგებლად. და მაინც, უწესო და სათაკილო არაფერი ჩაუდენია, საერთოდ არ ჩაუდენია არაფერი, რადგან, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, თავისთავად მოხდა, რაც მოხდა, ანუ, ჯერ ელიზბარის მეუღლე გარდაიცვალა, მერე მისი ქმარი და, თუკი ვინმეს დამსახურებაა, მხოლოდ მკვდრების დამსახურებაა მათი გაბედნიერება. თუმცა, გაბედნიერებამ კიდევ უფრო გაუმძაფრა დანაშაულისა და დამარცხების შეგრძნება (აღბათ ელიზბარსაც): ღიზიკომ შთააგონა თუ თვითონ მივიდა ამ დასკვნამდე, გულის სიღრმეში მართლა სჯერა, ის და ელიზბარი წინასწარ შეთანხმებულნი, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით რომ მოქმედებდნენ საკუთარი მეუღლეების მოსაშორებლად. ახლა სჯერა იმისა, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. მაგრამ სჯერა იმიტომ, დასაშვებად რომ მიაჩნია, მართლა მომხდარიყო, მართლა მოეკლა ქმარი, თუკი ეს იქნებოდა ერთადერთი გამოსავალი იმ ტანჯვა-წამებიდან, რომელშიც სიყვარულმა ჩააგდო, რომელსაც მხოლოდ მისი ქმარი ხედავდა და განიცდიდა კიდევ — ყველანაირად უწყობდა ხელს ამ საზარელი სენით შეპყრობილს, უვლიდა, პატრონობდა, როგორც ჭკუანაკლულსა თუ დავრდომილ, ხელით შესანახ ავადმყოფს — ურჩევდა, როგორმე მორეოდა თავს, მაგრამ ვინ მორეოდა, ელისო რომ მორეოდა. დღისით გაშტერებული იჯდა და, თითქოს წართმევას უპირებენო, ორივე ხელით იხუტებდა გულში ელიზბარის წიგნს, ღამით კი, შამფურით ტრიალებდა არანორმალური განზრახვების, არასწორი ვარაუდების და შემზარავი ჩვენებების ოხშევარში... ყველაფრისთვის მზად იყო უკვე დაუფიქრებლად დაღევედა დარიშხანსაც და დაუფიქრებლად ჩაუვარდებოდა მატარებელსაც, თუკი მის სიყვარულს რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა... ასევე, ფეხებს დაუკოცნიდა ყველას (პირველ რიგში, ქმარს), ვინც გაუგებდა, თანაუგრძნობდა, აპატიებდა ამ უნებლიე, განგებისგან თავსმოხვეულ დანაშაულს... და მაინც, მისი სიგიჟე და დანაშაულიც გამოსაჩენადაც არ ღირს ღიზიკოს სიგიჟისა და დანაშაულის გვერდით. მოულოდნელობისგან ენაწართმეული, დადამბლავებული, მაგიდაზე დაყრილ საკუთარ ხელებს დასცქერის და გამწარებული ფიქრობს, რა იღონოს, როგორ მოიქცეს: ისევე მესაიდუმლედე, მეგობრად დაუდგეს გერს ამ საზარელ ცოდვაშიც, თუ დაუყოვნებლივ ატყეოს განგაში; შეუვარდეს ელიზბარს და მახვილივით აძგეროს გულში სიმართლე, თუ ახლაც დაზოგოს, გაჩუმდეს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს... მართლაც, ელიზბარის ოთახიდან ისევე საბეჭდი მანქანის ჩვეული, ღამის უკვე ძვალ-რბილში

გამჯდარი ხმა ისმის, რაც, ცოტა არ იყოს, უკვირს ელისოს, თუმცა, ამ ხმის გარეშე ვერცკი წარმოუდგენია ცხოვრება. ელიზბარისთვის ჯერ არაფერი შეცვლილა, ბეჭდავს რაღაცას თავისთვის. არ იცის და იმიტომ. არ ცოდნა, არ ცოდვაო. მაგრამ როგორ შეიძლება უცოდველი იყოს ელიზბარი, როცა მისი შვილი ამხელა ცოდვაშია ჩაყარნილი?! კაცი ხელისუფლებას ეჭიდავება, ლექსების ნაცვლად, პოლიტიკურ ტრაქტატებს წერს, და ერთ ცინგლიან გოგოს ვერ მოერია, ვერ გაზარდა თავის ჭკუაზე. ობოლია... ცოდოა... რა თქმა უნდა! მაგრამ ახლა უფრო ობოლია და ახლა უფრო ცოდოა — მარტო დგას თავის ცოდვის მორევში — მამამისი კი, კოდალასავით აკაკუნებს. ქვეყანა თავზე ენგრევა, ის კი ათასნაირ სისულელეს იგონებს თავის ნიჟარაში შეკეტილი. მაგრამ ელისო ძალით გამოათრევს იქიდან და, რაკი სხვა არაფერი შეუძლია, ლიზიკოსთან ერთად, გულხელდაკრეფილი უყურებს, როგორ გაუსკდება იმას გული, უფრო ადრე, ვიდრე ბოლომდე მოისმენდეს შვილის ამბავს...

— მერე?! რა მოხდა მერე? — ამოდერდა როგორც იქნა, თუმცა, თვითონვე გრძნობს ამ შეკითხვის უაზრობას.

რაც მერე ხდება, ყველაფერი უმნიშვნელოა უკვე მომხდართან შედარებით. ნაკლებად საინტერესოც. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ნაცარი დავიყაროთ თავზე და ფეხებში ჩაუვარდეთ ბედისწერას, პატიების სათხოვნელად კი არა, რაც შეიძლება, დააჩქაროს სასჯელის აღსრულება. სასჯელი კი უმკაცრესი, უსასტიკესი, უკიდურესი იქნება: ჩაქოლვა, ცოცხლად გატყავება, ხელ-ფეხის დაგლეჯვა, გველებით სავსე ორმოში ჩაგდება... იმიტომ რომ, თავისი უარყო და სხვისას დაეპატრონა... იმიტომ რომ, თუკი ადრე, საკუთარ კედლებს შორის, მიუწვდომლის, შორეულის გაუზიარებელი სიყვარული უკარგავდა მოსვენებას და გულში ჩახუტებული წიგნიდან მის არსებაში გაჟონილი სხვისი სიდიადისა და სიძლიერის შეგრძნებით დამფრთხალი დაბორიანობდა ოთახებში, ახლა თვალდაჭეკილი წვეს ხოლმე ბნელში, მკვდარი ქალის მოუშორებელ ნივთებს შორის, გაუჩინარებულ სარკმელს მიშტერებულ, და სიზმრის შიშით ვერ იძინებს, რადგან სიზმარში, ვითომ ცოცხლდება მისი ქმარი და, მეორედ არ ჩაექცეს სისხლით, ეს ვითომ ვერაფრით ვერ ეუბნება, ტყუილად გაცოცხლდი, არავის აღარ ჭირდება, აღარ არის აქ შენი ადგილიო...

ახლა მაგიდაზე დაუყრია ხელები, უსარგებლო ნივთებივით, და საკუთარ ხელებს დასცქერის, ათვადიერებს გულისყურით, არ იცის, რაში შეიძლება მათი გამოყენება. "რამდენი ხანია, ფრჩხილი არ დამიქნიაო" — ფიქრობს უაზროდ, დროს გასაყვანად, რადგან მართლა არ იცის, როგორ მოიქცეს, ელიზბარი გამოათრიოს ნიჟარიდან, თუ ეს შეათრიოს თმით ელიზბართან... "ესეც" ჩაყლაპოს, როგორც არა ერთი მწარე სიტყვა და უსამართლო ბრალდება ჩაუყლაპავს ლიზიკოსგან, "კარგი ურთიერთობის" შესანარჩუნებლად, თუ ახლა მაინც ითქვას, გაირკვეს, საერთოდ რა აზრი აქვს ურთიერთობას ან ერთმანეთთან ან სხვებთან, თუკი ერთნაირად სულერთია ყველაფერი, არც არაფრის მორიდება გვაქვს, არც არაფრის პატივისცემა... ყველაზე მეტად ახლა გრძნობს უელიზბარობას და, ამავე დროს, ყველაზე მეტად ახლა არ უნდა ელიზბარის დანახვა. არადა, ისიც აქვია, ორ ნაბიჯზე, ყოველ წუთას შეიძლება შემოეხეტოს. იმავე ჰაერს სუნთქავს, რასაც ისინი, და ისიც მოწამლულია უკვე, იმასაც მიღებული აქვს მომაკვდინებელი დოზა შხამისა, მაგრამ ჯერ არ იცის... ჯერ არ იცის, რა ელოდება, რა ღვთის რისხვა დაატეხა შვილმა თავზე, და არხეინად აკაკუნებს თავის ოთახში, როგორც კოდალა ქვიშხეთის გადაყრუებულ ტყეებში...

ხოლო, მისი შვილი გაცილებით უკეთესად გრძნობს თავს, ვიდრე აქ მოსვლამდე გრძნობდა. გულში დამალულმა საიდუმლომ გამოსარწყავი მუწუკივით გააწვავა, გაამწარა, მაგრამ ვერც ქმრისთვის შეეჩივლა თავისი გასაჭირი, ვერც დედამთილისთვის. რაჟდენის დანახვაზე კი, საერთოდ ლენინდებოდა, ითიშებოდა, არ იცოდა, როგორ დაეჭირა იმასთან თავი. უფრო სწორად, იცოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა: ბრინჯივით იბნეოდა, ბლუსავით ბლუყუნებდა და ათასნაირ სულელურ მიზეზს იგონებდა, რაც შეიძლება სწრაფად რომ გასცლოდა იქაურობას, შეკეტილიყო ოთახში, აბაზანაში, საპირფარეოში... სულერთია სად, ოღონდ, აღარ ეგრძნო მამამთილის დაჟინებული, ძვალსა და რბილში გამჭოლი მზერა. ელისო იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ანდობდა თავის საიდუმლოს, მაგრამ მაინც ითრევდა ფეხს, ეთაკილებოდა, უმწუო და დაუცველი გამოჩენილიყო იმის თვალში, ანდა, კიდევ უარესი, შესცოდებოდა ანდა დაეტუქსა იმას, როგორც უფროსს უმცროსი, მშობელს შვილი, დედინაცვალს გერი... ლიზიკოს მხოლოდ მეორე ქალის გულწრფელი, გულითადი თანადგომა ჭირდებოდა, ქალური სოლიდარობა, ოღონდ იმისგან, ვინც ბოროტად არ გამოიყენებდა მის გულახდილობას და საერთოდ თავის ზეგავლენის ქვეშ არ მოიქცეოდა მოჩვენებითი სოლიდარობის სანაცვლოდ. ასეთი მხოლოდ ელისო შეიძლებოდა ყოფილიყო, თუკი, რასაკვირველია, ჩვეულებისამებრ, მაშინვე არ აპყვებოდა პანიკას და უარესად არ დააფრთხობდა ამასაც. მაგრამ ახლა მთავარი ჭირი უკვე მოშორებული აქვს, სათქმელი ითქვა, შხამი ამოიღო და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ახლა მხოლოდ ის ადარდებს, მთლად არ დაეცეს, მთლად არ დამდაბლდეს ელისოს თვალში და, შეიძლებისამებრ, "აღამაზებს" საქორწილო თავგადასავალს. მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობს ქვიშხეთური ინცინდენტის შეღამაზებას, მით უფრო შემზარავი სურათი იხატება: გაუგებრობის მსხვერპლი, ანდა, იურიდიულ ენაზე, "ძალადობის ობიექტი" კი არ გამოდის, არამედ თანამზრახველი, თანამონაწილე, პარტნიორი, ანუ, უფრო ადამიანურ ენაზე, კახპა, ძუენა, როსკიპი, ბოზი, მეძავი... ამას, პირველ რიგში, ელისოს სახეზე კითხულობს და, პირველ რიგში, ელისოზე ბრაზდება, ელისოს მიუხევედრელობა აცოფებს და, იმის ჯიბრით, მართლა იაფფასიან მეძავივით იქცევა, აღარც უფროს-უმცროსობას დაგიდევთ, აღარც დედაშვილობას, და რაც უფრო უფართოვდება ელისოს თვალები, რაც უფრო ებრიცება სახე და უღურჯდება ტუჩები, მით უფრო ზეიმობს გუნებაში, თითქოს აქ, მხოლოდ და მხოლოდ, ელისოს გასამწარებლად იყოს მოსული...

— შშია. ლუკმა არ ჩამსვლია დღეს — ამბობს ბოლოს.

— რაც გვაქვს, მაგიდაზეა — კუმტად პასუხობს ელისო.

მაგიდაზე პურის კალათი და თიხის ყვითელი საკარაქე დევს.

— დანა?! — კითხულობს ლიზიკო და აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, სტუმარივით.

— აღარ გახსოვს, სად ვინახავთ დანებს?! — გაბრაზებას ცდილობს ელისო, მაგრამ უშედეგოდ.

საერთოდ გაოცებულია საკუთარი სიმშვიდითა და გულგრილობით; არასოდეს არ იფიქრებდა, ასე უდრტვინველად თუ შეეგუებოდა შვილის (გინდაც გერის!) უბედურებას... არა, კი არ ეგუება, არ უკვირს, თითქოს მოსალოდნელიც იყო მისთვის ამგვარი რამ და აი, როგორც იქნა, მოხდა, აღსრულდა, მადლობა ღმერთს. მადლობა? რატომაც არა?! განა უბედურების განუწყვეტელ მოლოდინს არ სჯობს, ერთბაშად მოხდეს, რაც მოსახდენია?! სჯობს. სჯობს. მაგრამ მაინც ცოდოა ელიზბარი, ასე თავგამოდებული რომ აკაკუნებს თავის საბეჭდ მანქანაზე და, ბოლო-ბოლო, მაინც უშედეგოდ, ტყუილუბრალოდ... კოდალა ათასში ერთხელ მაინც პროულობს მატლს... რა აზრი აქვს ადამიანურ სისუსტეთა აღწერას, თუკი არავითარი ზღვარი აღარ არსებობს დასაშვებსა და შესაძლებელს შორის... თუკი ადამიანი კი არ ეწირება საკუთარ ვნებებს, მისი ვნებები აღარ არიან ადამიანური... ამდენად, არც თანავგრძნობას იმსახურებენ... არც აღტაცებას იწვევენ, არც სიბრაღულს...

— რა მოხდა-მეთქი, მერე?! — გამეტებით დაჰკრა უცებ მაგიდას მუშტი.

აი, თურმე რისთვისაა ხელი საჭირო. ელიზბარის რომ არ ერიდებოდეს, დაამსხვრევდა, მტვრად აქცევდა აქაურობას, მაგრამ ამის გამკეთებელი რომ იყოს, მაშინ აღარც ელიზბარის მოერიდებოდა.

— მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო — მშვიდად პასუხობს ლიზიკო, რადგან ელისოზე ნაკლებად, არც ის გრძნობს ამ შეკითხვის უაზრობას. რაც "შერე" ხდება, ყველგან და ყოველთვის ერთნაირად ხდება.

დანა უკვე "უპონია" (კარადის უჯრაში), სკამზე მუხლებით დგას (ვერ ღალატობს ბავშვობიდან გამოყოლილ ჩვევას), იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა და ყასიდად დასერიოზულებული, წკიპად უსვამს კარაქს პურზე. თან, საეცებით სერიოზულად აფრთხილებს ელისოს, ვიდრე განაჩენს გამომიტანდვ, ერთხელ კიდევ დაფიქრდი, გაიხსენე, სად ცხოვრობ, რომელ ეპოქაში და, განსაკუთრებით, რომელ ქვეყანაში.

— ჩვენ სხვა ხალხი ვართ, ელისო... უფრო სწორად, ხალხი არა ვართ — აგრძელებს ნირის შეუცვლელად — სხვათაშორის, თქვენი წყალობით... მშობლების, უფროსების... თუ ცხოვრება არ შეგეძლოთ, ან აღარ გინდოდათ, რაღას გვანდით?! იმიტომაც გარბიან გიჟებით, თავქუდმოგლეჯილნი... ჩემი კატოც მიდის თურმე... ერთადერთი დობილი მყავდა და ისიც მიდის... ავდგები და მეც წავალ... გადავიკარგები... მეძებეთ, რამდენიც გინდათ... — უცებ, თვითონვე რომ გაუკვირდა, ისე ძლიერ მოუნდა, ზრდილობისთვის მაინც გაწყრომოდა, ცალყბად მაინც ეთქვა ელისოს, რა გეჭირს გასაქცევი, მე თუ არა, მამაშენი მაინც დაზოგო, და ამ მართლაც ბავშვური, გულუბრყვილო სურვილით გულანუყებული, კიდევ უფრო აგდებულად, კიდევ უფრო გამომწვევად აგრძელებს — სწორედაც იქცევიან... აბა, რა! არაფერი დაგვიტოვებთ გასაფრთხილებელი და შესანახი, არც ძაფშებში უფიქროსი პირველი კიჭი, არც მკლავმოგლეჯილი პირველი თოჯინა, არც ცრემლით დაღაქული პირველი სატრფიალო ბარათი... არაფერი. არც ცოცხლის პატივისცემა, არც მკვდრის ხსოვნა... ეს კი, შენი ბრალიცაა, ჩემო ძვირფასო დედინაცვალო, მაგრამ მაინც დიდი მადლობელი ვარ შენი, რამდენი ხანია, ასე გემრიელად არ მიჭამია...

— ხელი არ უნდა დაგებანა ჭამის წინ?! — დატუქსა ელისომ.

— ხელს არც ქრისტეს მოწაფეები იბანდნენ, მე კი შენი მოწაფე ვარ... — გაკენწლა ლიზიკომ — ყველაფერში — დაამატა ცოტა ხნის შემდეგ.

— უსვინდისო — უთხრა ელისომ საკუთარ ხელებს.

— ადამიანს ის კი არ ბილწავს, რაც პირიდან ჩასდის, არამედ — რაც პირიდან ამოსდის — ამბობს ლიზიკო თავისთვის, უმისამართოდ, და დანას საპურეზე აგდებს, წელში იმართება და ერთმანეთზე უსვამს გაშლილ ხელისგულებს — მოკლედ, ასეა ჩვენი ამბავი, ჩემო ძვირფასო... დიდი მადლობა საუზმისთვის... — აგრძელებს უდარდელად, თითქოს მხოლოდ კარაქიანი პურის საჭმელად მოვიდა აქ და რასაც ლაპარაკობს, თავაზიანობის გამო ლაპარაკობს, მასპინძლის პატივისცემით, იმასაც რომ არ ათქმევინოს, მხოლოდ კარაქიანი პურის საჭმელად მოსულაო — გამოფხიზლდი, გამოიღვიძე, ბოლოს და ბოლოს! — ბრაზდება მოულოდნელად — დროში ვიწვით, ომბრე, დრო აღარ დაგვრჩა — აგრძელებს ისევ ჩვეულებრივი ხმით — ერთგულებას დრო ჭირდება, ღალატი კი წამის საქმეა...

— კი მაგრამ... — ბორძიკობს ელისო, მაგრამ ლიზიკო მაინც არ აცლის სიტყვის დამთავრებას.

— ამას კი ნამდვილად ვერ აგისხნი... შენით უნდა მიხედვ — იცინის ნაძალადევად — ამას ყველა ქალი თვითონ ხვდება. რაც მთავარია, შენზე არ არის დამოკიდებული, შენ ემორჩილები, ან არ ემორჩილები, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთნაირად იღუპები. დაღუპვა გარდუვალია. ვაშა! შენ რა, ყველაფერი დაგავიწყდა? აღარ გახსოვს, რა დღეში იყავი? — კიდევ უფრო ნაძალადევად იცინის ლიზიკო — ოოოო-ო, ნამდვილად დიდი ძალაა. ბოროტი. მიუდგომელი. შენ კი, სათამაშო თოჯინა ხარ და მეტი არაფერი...

— კი მაგრამ, მამაც არ გაგახსენდა? მამაც არაფერს ნიშნავს შენთვის? — მაინც ამთავრებს სათქმელს ელისო.

თან გულისყური ელიზბარის ოთახისკენ აქვს, ოღონდ გარკვევით თვითონაც არ იცის, რა ურჩევნია, არ გაიგოს ელიზბარმა მათი ლაპარაკი, თუ პირიქით, გაიგოს და ბარემ მოხდეს მოსახდენი. მაგრამ ელიზბარის ოთახიდან ისევ საბუკდი მანქანის კაკუნი ისმის მხოლოდ. ესე იგი, მუშაობს, ხოლო, რაკი მუშაობს, სხვა აღარაფერი არსებობს მისთვის, არც ცოლი, არც შვილი...

— მამაჩემი მწერალია, გამიგებს... ვაღდეუდიცაა გამიგოს... სხვათაშორის, შენც ვაღდეუდი ხარ, თუნდაც, როგორც ომბრე — კვიმატურად იღიმება სკამზე მუხლებით შემდგარი და გულხელდაკრეფილი ღიზიკო — მე თუ მკითხავ, არც ისეთი საშინელებაა, როგორსაც შენ და მამაჩემი მიხატავდით... უბრალოდ, ნამდვილი მამაკაცია, მებრძოლი, დაუდგრომელი, ჯიუტი... იცის, რა უნდა და ისიც იცის, როგორ მოიპოვოს, რაც უნდა... დღევანდელ ბიჭბუჭებს არ გავეს... ან კარგად არ იცნობთ, ან ფეხის ხმას ხართ თქვენც აყოლილნი... მთავარია, არაფრის არ გეშინოდეს, ომბრე... გახსოვს?

"ომბრე" ელისომ შეარქვა ლიზიკოს ჯერ კიდევ მათი "დედაშვილობის" გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ დამწყებმა დედამ, როცა შიშითა და მღელვარებით დგამდა არც მთლად ბუნებრივი გზით მოპოვებული დედობის პირველ ნაბიჯებს... სადილობის დროა, ომბრე! ომბრე, ონკანი დაგრჩა მოშვებული... შერქმეული სახელი არა მარტო თამაშის ელფერში ხვევდა მათ ურთიერთობას, არამედ საშუალებასაც აძლევდა ელისოს, უფრო უშუალოდ, "არაოფიციალურად" დაეჭირა თავი სახიფათო შვილთან, რომლისგანაც ყოველ წამს ყველაფერი იყო მოსალოდნელი. შეიძლებოდა, სახალხოდ განეცხადებინა უცებ, ვთქვათ, ავტობუსის, ტროლეიბუსის (ტრამვაი უკვე აღებულია), ანდა მეტროს ვაგონში — ეს ქალი თავის შვილად კი მასადებს, მაგრამ ჩემი დედა არ არისო. შერქმეული სახელი ლიზიკოსაც მოეწონა და მალე ყველანი ომბრეს ეძახდნენ, ეზოშიც, სკოლაშიც და, თავისთავად ცხადია, ქვიშხეთშიც... ელისოს, რატომღაც, მთელი სიცხადით დაუდგა თვალწინ პატარა, მყუდრო, მწვანეში ჩაკარგული სოფელი-აგარაკი, გაახსენდა მათთვის გამოყოფილი, ერთი ბეწო, უსარკმლო და ლამის უპაერო ოთახი, უფრო პატიმრის საკანი ან მონაზვნის სენაკი, სადაც ელიზბარისთვის საერთოდ აღარ რჩებოდა ადგილი, ისა და ლიზიკოც ძლივს ეტეოდნენ ერთადერთ საწოლზე და, ერთმანეთის ოფლით გახვითქუნნი, გათენებამდე შფოთავდნენ, წრიალებდნენ ზაფხულის დამეკების ჩახუთულ წველიაღში... და მაინც, უკეთესი მოსაგონარი არაფერი აქვს ელისოს. საერთოდ, რაც კი ქვიშხეთთანაა დაკავშირებული, მხოლოდ სიხარულსა და აღტაცებას იწვევს მასში და ახლაც კარგად ახსენდება: საგზურის შოვნაც (ბევრი იყო მსურველი), მატარებლის ბილეთების აღებაც (არც ეს გახლდათ ადვილი საქმე), ბარგის ჩალაგებაც, ჩალაგებამდე სარკის წინ ტრიალი და ათასჯერ მიზომება მოდიდან უკვე რახანია გამოსული საზაფხულო ტანსაცმლისა და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ... რაც მთავარია, ზაფხულს სამივესთვის შვება მოჰქონდა: ელიზბარი, ბოლოს და ბოლოს, მარტო რჩებოდა თავის საბეჭდ მანქანასთან; ელისო, ბოლოს და ბოლოს, წყდებოდა გახის ქურას და, სხვა მწერლების ცოლებთან ერთად, ჯდებოდა ცაცხეების ხეივანში, ბრუედებოდა სუფთა ჰაერით, ცაცხვის ყვავილის სუნით და უსმენდა, როგორ "ჭორავდნენ" სხვა მწერლების ცოლები საკუთარ ქმრებს, ანუ, როგორ უზრდიდნენ ავტორიტეტს ერთმანეთის თვალში... ლიზიკოს იქაური გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით დასდევდნენ კუდში და ყველაფერ ამას, ერთად აღებულს, რა თქმა უნდა, იქაური საკმაოდ უგემური და თიხასავით წებოვანი კატლეტის, უშაქრო კომპოტისა თუ უმარილო ბრინჯის ფაფის ჩათვლით (ერთხელ, ქალის თმაც ეგდო მათლაფაში), მაინც ბედნიერება ერქვა, ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება, სავსებით საკმარისი, რათა პატივს სცემდე თავს და იმავე გრძნობით იყო გამსჭვალული სხვების მიმართაც. მაგრამ რამდენად უკეთესი იქნებოდა, თურმე, ყველასთვის, საერთოდ არ გაეგოთ ქვიშხეთის სახსენებელი. ბევრად უკეთესი იქნებოდა, ოღონდ, აღარაფერი ეშველებოდა უკვე, გვიანია თმის გლეჯვა და ლოყების ჩამოსოკვა. დიახაც, ვაღლებულია გაუგოს ლიზიკოს, როგორც ლიზიკომ "გაუგო" ჯერ კიდევ ხუთი წლისამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისთვის ყველაზე მძიმე დროს, ნებაყოფლობითი ყმობისა თუაშკარა, გახსნილი მლიქვნელობის პერიოდში, როცა, ვინ იცის, რაღას არ ჩაიდენდა, რაღას არ დათანხმდებოდა, ოღონდ, ხუთი წლის ობოლ გოგოს "გაეგო" და არ აეთვალწუნებინა, მიეღო, შეეფარებინა, თავისიანად, ახლობლად ეცნო... და ლიზიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, მიუხედავად უსაკობისა, მაინც შესძლო ქალური სულგრძელობისა და კეთილშობილების გამოჩენა და "გაუგო" იძულებით თავადამაბლებულ ქალს, რომელსაც მის იქით გზა აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ, არც ის დარჩენია ვალში, იმანაც სულგრძელობითა და კეთილშობილებით დაიმსახურა, დედად თუ არა, უფროს დად მაინც ჩაეთვალა იმ ობოლ გოგოს. გადაჰყვა იმის მწყემსვასა და დევნას თბილისის დისკოთეკებსა თუ ქვიშხეთის ტყე-ღრეებში... იმასთან გაატარა ქმართან გასატარებელი დრო, პატიმრის საკანსა თუ მონასტრის სენაკში, და დაუშვათ და, მართლა ყურძნის სიყვარულით კოცნიდა ღობეს, როგორც ლიზიკო ეუბნება ხოლმე გასაბრაზებლად, ხომ კოცნიდა! კოცნიდა და სულშიც იძვრენდა და, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, რა ამოდრავებდა, რა ასაზრდოვებდა მის სულისკვეთებას, მხოლოდ ყურძნის, ანუ, ელიზბარის სიყვარული, თუ ქალური ანგარება... ვის რა დაუშავდა ამით?! როგორ თუ ვის? პირველ რიგში, ისევ ლიზიკოს... ლიზიკოს დაუშავდა, თუ დაუშავდა...

ყმობა და ლიქნი ამპარტაენებასა და გარყვნილებას ზრდის მხოლოდ... მარტო ელიზბარს რამდენჯერ უთქვამს. თუმცა, უელიზბაროდაც მშვენივრად მოესვენება, მაგრამ მაინც ვერ გაუგია, რატომ უნდა მომხდარიყო აუცილებლად ისე, როგორც მოხდა და როგორც არ უნდა მომხდარიყო არავითარ შემთხვევაში...

— სხვა გზა არ გქონდა? ძალა იხმარა? — უნებურად ხმას აუწია ელისომ, უფრო საკუთარი უსიამო ფიქრების დასაფრთხობად.

— არსებობს, ელისო, სხვა გზა? შენ გეკითხები, არსებობს? — ზემოდან დახედა გულხელდაკრეფილმა ლიზიკომ.

— არ არსებობს? არ ვიცი... ალბათ... — გაურკვეველად უპასუხა ელისომ.

— შენ რა, ნიუანსებიც გაინტერესებს? — ეშმაკურად მოუჭუტა თვალი ლიზიკომ.

— დიახაც, მაინტერესებს — აღმოხდა ელისოს ბავშვური გულწრფელობითა და მეზნებარებით, და ისევ დაჰკრა მუშტი მაგიდას, ოღონდ, ამჯერად, ფრთხილად, გაუბედავად, "სიმბოლურად", რაზეც თვითონვე გაეღიმა და, არ მინდა მამაშენმაც გაიგოს ჩვენი ლაპარაკიო, მაშინვე განმარტა თავისი მორიდებულობის მიზეზი.

— კი, ბატონო — დაეთანხმა ლიზიკო — ესე იგი, მე გაზქურასთან ვიდექი და ყავას ვიდუღებდი... ის კი, უკნიდან მომეპარა... ალბათ მომეპარა... ვერაფერი გავიგე, ვიდრე მხარზე ხელი არ ჩამომადო...

ელისო თითქოს ყურადღებით უსმენს, თითქოს აინტერესებს მისი ყოველი სიტყვა, მაგრამ, რატომღაც, ბევრი არაფერი გაეგება მოსმენილისა, უფრო სწორად, როგორც არ უნდა გაუძალიანდეს თავს, მაინც საკუთარ უბედურებას ახსენებს ლიზიკოს ლაპარაკი, არა მარტო სიტყვები, თავიანთი იდუმალი და მოულოდნელი მნიშვნელობებით, არამედ ხმაც, თავისი მარად ცვალებადი უღერადობით.

შესაბამისად იცვლება ელისოს წარმოსახვებიც. ამჟამად, მაგალითად, მომაკვდავი ქმრის სახე უდგას თვალწინ. არაფერი ჭირდა მის ქმარს სასიკვდილო, ყოველ შემთხვევაში, არაფერი ეტყობოდა სიკვდილისა და, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც უსაზღვროდ, გნებავთ, შლევურად, თავგანწირულად უყვარდა თავისი მეუღლე, კიდევ ერთხელ და ამჯერად უკანასკნელად დაუმტკიცა თავისი მარადიული სწრაფვა და სურვილი... მაგრამ სააბაზანოდან გამოსულ ელისოს, სულ სხვა ადამიანი დაუხვდა ცოლქმრული, ნებადართული სიახლოვით ჯერ კიდევ აფორიაქებულ საწოლში: ენახავარდნილი, შიშისგან წამხდარი, უმწყო, უსუსური და ფოსოებიდან ლამის გადმოცვენილი თვალებით რაღაცის მავედრებელი. სასწრაფო თითქმის მაშინვე მოვიდა, ელისომ ძლივს მოასწრო კაბის გადაცმა, მაგრამ შევლით კი ვერაფერი უშველა ქმარს, საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა მანქანაში, ცოლის ხელს ჩაფრენილი, როგორც წყალწადებული ხავსს, მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე გათიშული, უკვე შეგუებული ხვედრს... ელისოს მხოლოდ იმის ეშინოდა, საკაცე არ გადაბრუნებოდა, ანდა ქმარი არ გადავარდნოდა საკაციდან. მისი ქმარი მშვიდად კი იწვა, თვალდახუჭული, მაგრამ აქეთ-იქით აწვევტდა თავს. ელისოც, უნებურად, ორივე ხელით აფრინდებოდა საკაცეს. საავადმყოფოდან გამოსულმა, ელიზბარს რომ დაურეკა, ეს წუთია, დაკვირვდიო, ჯერ კიდევ უბჭულოდა საკაცესთან ნაომარი ხელები. სამაგიეროდ, მისი დამფრთხალი და გაოგნებული არსების ყველაზე შორეულ, ყველაზე ბნელ კუთხეში თითქოს რაღაც ჩაესახა, რაღაც აუციმციმდა, უსახელო, ჯერ აღმოუჩნეულ ვარსკვლავივით, და იმის ციმციმი რაღაცნაირად ამშვიდებდა, იმედით ავსებდა. შეიძლება, მაშინ ასე არ ფიქრობდა, მაგრამ მაშინაც აშკარად გრძნობდა, მისმა ქმარმა ამ მოულოდნელი და უხმაურო სიკვდილით, თვითონვე რომ გაუხსნა გზა ელიზბარისკენ... სიცოცხლისკენ, თავისუფლებისკენ... ქმარი, რასაკვირველია, ეცოდებოდა, უყვარდა კიდევ, მაგრამ უფრო მეგობრად და მესაიდუმლედ თვლიდა, ვიდრე მეუღლედ. მართალია, მხოლოდ ის ხვდებოდა მის გასაჭირს — ეცადე, როგორმე მოერიო თავსო — მაგრამ რაც ელისოს თავს ხდებოდა, უელისოდ ხდებოდა და ახლაც ზუსტად ასეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სხვა, უფლებამოსილი და უჩინარი, წარმართავდა მის ცხოვრებას, ანუ, საკუთარი ცხოვრებით კი არ ცხოვრობდა, სხვის ცხოვრებას თამაშობდა, მაგრამ გმირი კი არ იყო, რაზეც ოცნებობდა ბავშვობიდან, არამედ გმირის შემცვლელი მეორეხარისხოვანი მსახიობი, უფრო ზუსტად, უნიჭო: მე ვარ, ელისო, თქვენი თაყვანისმცემელი, საავადმყოფოდან გირეკავთ, ეს წუთია, გარდაიცვალა ჩემი ქმარი... როგორ უნდა მორეოდა თავს, როცა ყოველი მისი სიტყვა და ყველა მისი ნაბიჯი წინასწარ იყო გათვლილი ვიღაცის მიერ. ცურვისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, ნაპირთან ჭყუმპალაობდა, ის ვიღაცა კი, ჯიუტად უბიძგებდა, აიძულებდა, რაც შეიძლება ღრმად შეეცურა ზღვაში. ისიც ემორჩილებოდა, მაგრამ რაკი ცურვა არ იცოდა, ზურგზე გაწოლილი, ჯვარცმულივით ხელებგაშლილი და შემოვლილივით უმიზეზოდ მომღიმარი, ტივტივებდა ცხოვრების ბინძურ წყალზე... იმდენად იყო დაბრმავებული, შეიძლება, თავისივე გამოგონილი სიყვარულით, სანახევროდ ცაში გამოკიდული კაცის ცოლობა ეგონა სიცოცხლე და თავისუფლება. სინამდვილეში, ერთადერთ (აღბათ ერთადერთ!) თაყვანისმცემელს იშორებდა, რათა თავად ეცა სხვისთვის თაყვანი. სხვისთვის კი არა, სხვებისთვის, მამაშვილისთვის, რომელთაგან ერთი (მამა), არათუ ელისოში, ნებისმიერ წერაკითხვის მცოდნე ადამიანში ეძებდა თაყვანისმცემელს, მეორე კი (შვილი), არაფრად დაგიდევდათ იმ თქვენს თაყვანისცემას და, გარდაცვლილი დედის სანაცვლოდ, ყველაფრის უფლებას მოითხოვდა მამისგანაც და დედინაცვლისგანაც... და აკი მოიპოვა კიდევ! ვინ დგება სკამზე მუხლებით! თავიდანვე აღიზიანებდა ლიზიკოს ეს ჩვეულება, მაგრამ ვერ ეუბნებოდა, არ ეწყინოსო. შემდგარა სკამზე მუხლებით, ამხელა ქალი, და ყველა თავის სასიყვარულო თავგადასავლებს. არც კი რცხვენია! თუმიცა, მაინცდამაინც, არც ელისოს აწუხებს ეს ამბავი. ქმართანაა. მკვდარ ქმართან. უფრო სწორად, ქმართან მიდის. თეთრი კაფელით მოპირკეთებულ მიწისქვეშა გვირაბს მიუყვება საცხედრისკენ. მარტო მისი ფეხის ხმა ისმის გვირაბის საკმაოდ გრძელ სივარდილეში. ერთი მიზნითაა შეპყრობილი: რაც შეიძლება სწრაფად დაიბრუნოს ქმრის გვამი, შინ წაიღოს, რაც მისი მეშვეობითა და მეცადინეობით, მისი მიუხვედრელობის შედეგად აღმოჩნდა აქ. სხვა არაფერი შერჩა

ამ ქვეყანაზე ხელის მოსაჭიდი, აღარაფერი აქვს ნამდვილად საკუთარი, გარდა ქმრის გვამისა. ერთი იყო და ახლაც ერთია. მისთვის არავის არ სცალია. ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს: ზოგი თავისთვის აკაკუნებს, ზოგს ეშმაკები უკაკუნებენ თავში. ის კი, ყველასთვის ზედმეტი ბარგია, ანდა, ყველას ეცოდება, ერთადერთი, ნამდვილად მისიანი რომ მოუკვდა, და ამიტომ იტანენ მხოლოდ, მკვდრის ხათრით. საკმაოდ დიდი შუალედებით დაცილებული ნათურები მკრთალად ანათებენ გვირაბს, რის გამოც კიდევ უფრო შიშისმომგვრელად გამოიყურებიან კაფელჩამოცვენილი, დამახინჯებული კედლები. გვირაბი არაფრით არ თავდება. იქნებ შეეშალა? იქნებ იქ არ მიდის, საითაც გვირაბს მიყავს? ვიღაცა მაინც ხომ უნდა იღვეს, გზა რომ ჰკითხო? თუმცა, მიწის ქვეშ ყველა გზა ალბათ ცხედართან მიგიყვანს. მაგრამ როგორ მიხვდები, რომ შენია?! მიწის ქვეშ ცხედრის მეტი რა არის, გაცილებით მეტნი არიან მიწის ზემოთ დარჩენილებზე. მიწა მათი ხორციითა და სისხლითაა გაჯერებული, მათი დაფლეთილი გულებით და დაწუჭული ფილტვებით, მათი დაშლილი ღვიძლებითა და გაქვავებული თირკმელებით... და ქაჯიც ვეღარ გამოარჩევს, რომელ გულში ესვენა შენი ხატი, რომელი ფილტვები იბერებოდა შენი ამოსუნთქული ჰაერით... ეს გვირაბიც ჩვეულებრივ, ნორმალურ საავადმყოფოსთვის აუცილებელ საცხედრეში კი არა, ჯოჯოხეთში ჩადის და ელისოც იქ აღმოჩნდება მალე... თავის ფეხით ჩავა... იქ არის მისი ადგილი... ამ სულელურმა ფიქრმა ისე შეაშინა, ცოტას მორჩა, გამობრუნდა, ცოტას მორჩა, უარი თქვა მკვდარ ქმარზე, წამიერი სისუსტის უამს, მაგრამ მაინც სძლია შიშს და ფეხს აუჩქარა, გაიქცა... და ახლაც გარბის. ერთი ხელი გულზე მიუდია, ამოვარდნაზე აქვს გული, მეორე მაგიდაზე უდევს და სულელურად რომ არ იფიქროს ისევე, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ წვრილმანებზე გადააქვს ყურადღება: "ამ დღეებში მართლა უნდა მივიდე დოდოსთან და დავაქნეინო ფრჩხილებიო... არ შეიძლება ასე სიარულიო... მეც ქალი ვარ, ბოლოს და ბოლოსო"...

— თუმცა, მეც ამის მოლოდინში ვიყავი სულ — აგრძელებს ლიზიკო — ვიცოდი, ასე მოხდებოდა... როგორც კი ხელი ჩამომადო მხარზე, მაშინვე გაზი გამოვრთე... მღელვარებისგან შეზვე გადამიბრუნდა და ყავა ქურაზე დამეღვარა. კარგად ვყვები, თუ კიდევ უფრო დავწვრილმანდე? — ამბობს ღვარძლიანად. ეტყობა, თვითონვე ღიზიანდება საკუთარი ნალაპარაკებით.

— კარგად ჰყვები — სხარტად პასუხობს ელისო, როგორც გაკვეთილზე ერთი წამით ჩათვლემილი მოწაფე მასწავლებლის მოულოდნელ შეკითხვას, სხარტად, ფაცაფუცით, გადამეტებულად მოწადინებული, დაეჭვების საშუალებაც რომ მოუსპოს მასწავლებელს, თუკი იმან მაინც მოასწრო და შეამჩნია მისი წამიერი "განდგომა". რაც უნდა ფეხებზე გეკიდოს, რა სასიამოვნოა, "ძილისგუდად" და "ბედოვლათად" შეგრაცხონ ერთხელ კიდევ მთელი კლასის წინაშე?! "მეტი რაღა უნდა დაწვრილმანდესო" — აგრძელებს გუნებაში, თავადაც გაღიზიანებული.

— სად გაეჩერდით? — ეკითხება ლიზიკო მოგონილი უდარდელით.

— შეზვე გადაგიბრუნდა და ყავა დაგეღვარა ქურაზე — ახსენებს ელისო.

საბედნიეროდ, საავადმყოფოს გვირაბიდან უკვე გამოსულა და ახლა მთლიანად აქ არის, საკუთარ სამზარეულოში, გერთან ერთად, თუმცა, ჯერ კიდევ სცემს საავადმყოფოს სპეციფიკური სუნი. ელიზბარის ოთახიდან საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმის, დამამშვიდებელი, როგორც კოდალას კაკუნი ქვიშხეთის გადაყრუებულ ტყეებში...

— ამას რა მოწმენდს-მეთქი, გადამიბრუნდა გული — იცინის ლიზიკო.

— რა გაცინებს? — გულწრფელად უკვირს ელისოს.

— შენც ხომ იცინი ხოლმე უმიზეზოდ?! — კითხვას უბრუნებს ლიზიკო — მამასაც რამდენჯერ უთქვამს შენთვის, ნუ იცინი უმიზეზოდო...

— მამას თავი გაანებე! — ახლა ორივე მუშტს ერთდროულად დაჰკრავს ელისო მაგიდაზე, გამეტებით, მთელი ძალით... "როდის იყო, უმიზეზოდ ვიცინოდო" — ფიქრობს გაცეცხლებული — ცოცხლად დამარხე... ცოცხლად დაგემარხე ყველანი... — ხმაში ცრემლი გაერევა უცებ.

— ელისო?! ელისო... — შეეცოდება ლიზიკოს, მიესიყვარულება, მაგრამ ერთი წამით, მაშინვე ჩვეულებრივად გააგრძელებს, მოგონილი უდარდებლობითა და უტიფრობით — მერე შემოვტრიალდი და ვაკოცე... არა, იმან მაკოცა — აზუსტებს ნიუანსებს, რა თქმა უნდა, ელისოსთვის — თუმცა, არ ვიცი, ნამდვილად არ მახსოვს... რა მნიშვნელობა აქვს?! ალბათ ერთდროულად ვაკოცეთ ერთმანეთს — ასკვნის ბოლოს.

ლიზიკოს, რასაკვირველია, უყვარს ელისო, რაც არ უნდა იყოს, მაინც იმის გაზრდილია. რაც მთავარია, კარგი მეგობრობა იცის, უანგარო, გულითადი; დროთა განმავლობაში, ისე დაუახლოვდნენ და შეეჩვივნენ ერთმანეთს, ყოველ დღე თუ ვერ ნახავენ, ტელეფონზე მაინც უნდა მოიკითხონ ერთმანეთი. მაგრამ რაკი თავიდანვე არასწორად გაუთანაბრდა, არაფერში არ დაუდო ტოლი, ანუ, რაკი თავიდანვე სწორად აუღო ალღო, ყოველთვის მას აბრალებს, თუკი რამე უსიამოვნება შეემთხვევა და ყოველთვის მასზე იყრის ხოლმე ჯავრს, სხვებზე განრისხებული...

— არაფრის თქმა არ შეიძლება შენთან — ვითომ ებუტება დედინაცვალს — ყველაფერს კუდი უნდა გამოაბა, გაბერო... იმ კაცმა მაკოცა, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ ვუცემივარ?!

— ლიზიკო! — უყვირის ელისო, ვითომ, გონს მოდი, დაუკვირდი, რას ლაპარაკობო.

— არ გინდა ახლა ეს ბაზარი... ტყუილად ნუ მოვიგიჟიანებთ თავს... მიტინგზე ხომ არა ვართ... — არ უთმობს ლიზიკო.

— რას ჰქვია, მოვიგიჟიანებ! როგორ მიბედავ! თავხედო! — მართლა ბრაზდება ელისო, სულ ცოტა, ათი-თხუთმეტი წლის დაგვიანებით. "მდოგვი სადილის შემდეგო" — ამაზუა ნათქვამი. მაგრამ საქმე ისაა, მართლა რომ ცდილობს ელისო თავის მოვიგიჟიანებას, რადგან შემაწუხებლად, შემადრწუნებლად გრძნობს, როგორი ცივი, როგორი შორეულია ლიზიკოსთვის, რომელსაც, ვინ იცის, სწორედ მისი "გაგიჟება" ჭირდება ამ წუთას წამლად. ოღონდ, ტყუილი და გათამაშებული კი არა, ნამდვილი, გულწრფელი... დარწმუნება უნდა, მართლა რომ ჰყავს გულშემატკივარი, მისიანი, რომელიც გვერდში დაუდგება (როგორც მკვდარი ქმარი იქცეოდა) და არ მიატოვებს არც ჭირში, არც ღხინში... "რა დამემართა, რამ გამომაცარიელა, რამ გამიცია გული ასეო" — უკვირს თვითონვე. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს სხვის ამბავს უყვება ლიზიკო, ვიდაცის, უცნობის, და მხოლოდ იმას განიცდის, ელიზბარი არ შემოვიდეს, ელიზბარმა არ შემოუსწროთ, რადგან ელიზბართან არ შეიძლება ამის მოყოლა, უფრო სწორად, ელიზბარს თვითონ უნდა მოუყვეს ეს ამბავი, თანაც, დღესვე კი არა, მერე, როდისმე... უკვე გვარიანად გადაკეთებულ-გადმოკეთებული, შეკვეცილ-შეკრეჭილი, შერბილებულ-შელამაზებული... მწერლებს უყვართ უჩვეულო, უცნაური ამბები. შეიძლება, გამოიყენოს კიდევ თავის წიგნში. ყოველ შემთხვევაში, არაფრით არ შეიძლება, ლიზიკოსგან მოისმინოს იმანაც, რადგან ელისოსავით, ისიც უგრძნობელობის, გულგრილობის ზღვაში კი არ ჩაყურყუმაღვდება იხვივით, არამედ, ადგილზე გათავდება, სისხლი ჩაექცევა, ანდა გული გაუსკდება იმასაც, ელისოს მკვდარი ქმარივით...

— არ მოგერიდათ, არ შეგეშინდათ... თქვენ ხომ მარტონი არ იყავით?! — კითხულობს, ყალბად გაკვირვებული, ყალბად დამფრთხალი ეს წუთია წარმოდგენილი სცენით, კიდევ უკეთ რომ შეუნიღბოს ლიზიკოს თავისი სიცივე და სიცარიელე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მართლაც რა მნიშვნელობა აქვს, რა შეიცვლება, არავისი რომ არ ერიდებოდათ იმათ და იმიტომ ჩაიდინეს, რაც ჩაიდინეს, თუ, მაინც რომ ჩაიდინეს, მიუხედავად ვიდაცეების შიშისა და მორიდებისა?! არაფერი.

— არაფერი — ამბობს ხმამაღლა.

— არაფერი — მექანიკურად იმეორებს ლიზიკოც — არაფერი არ უნდა მეთქვა შენთვის — ფიქრიანად ამატებს ცოტა ხნის შემდეგ.

— ლიზიკო?! — გული უჩუყდება ელისოს იმის საცოდაობით.

— გამანებე თავი! აღარ ახსენო ჩემი სახელი! — უყვირის ლიზიკო. ცეცხლს აფრქვეს თვალებიდან.

— ლიზიკო! — ხმას უწევს, ლიზიკოს მოულოდნელი და სწრაფი ცვალებადობით, ცოცხალი არ იყოს, დაბნეული ელისოც — მამა გაიგებს... მამა შინ არის!

— გამანებეთ ყველამ თავი! გამანებეთ ყველამ თავი! — ყვირის ლიზიკო და ცალი თვალით, რატომღაც, დანას ეძებს მაგიდაზე, იმ დანას, რომლითაც კარაქი წაისვა წედან პურზე, თუმცა, თვითონაც არ იცის, რად უნდა დანა, რისთვის ჭირდება. ელისოს მოსაკლავად?! ელისო უნდა მოკლას?! კი მაგრამ, რატომ? რა დაუშავა? თუ ვინმე არ იმსახურებს მისი ხელით სიკვდილს, სწორედ ელისო არ იმსახურებს. ეს ელისოსთვის დიდი პატივი იქნებოდა... თავი უნდა მოიკლას?! დიას, თავი უნდა მოიკლას, რასაკვირველია, თავი უნდა მოიკლას. ეს არის ერთადერთი გამოსავალი. სხვა გზა არ არსებობს. მაგრამ აქ, "სცენაზე", კი არ უნდა მოიკლას თავი, ასე არტისტულად და ისტერიულად, არამედ ჩუმად, კაცობრიობის ზურგს უკან, "შინ", კაშვლების ბუნაგში, სადაც საკუთარი ნებით შეეხებტა, საკუთარი კეთილშობილების გამოსავლენად, სინამდვილეში კი, საკუთარი უმწეობის, უვიცობის, სიბეცის წყალობით. იქ არის მისი ადგილი, ცოცხლისთვისაც და მკვდრისთვისაც. სხვა გზა არ არსებობს. გზა არ არსებობს საერთოდ. გზისგან პატარა ნაგლეჯიღა დარჩა, არსაიდან არსაითკენ მიმავალი... ბალახმოდებული... ვინ იცის, როდინდელ ნაბორბლარში, ვინ იცის, როდინდელი წვიმის წყალი ჩამავლა. დამპალ წყალს ნემსიყლაპია დასტრიალებს, არანორმალურად გაზრდილი და არაბუნებრივად მზინავი, ალბათ არაჯანსაღი წყლისა და ჰაერის გამო... აი, ასეთი "პეიზაჟი" ედგა ყოველთვის თვალწინ, როცა მომავალზე ფიქრობდა — თავი უნდა მოვიკლა! აღარ შემიძლია მეტი... თავს მოვიკლავ... თქვენი ბრალია ყველაფერი! — ყვირის უკვე მთელი არსებით აყოლილი ამ უაზრო და უსაფუძვლო მრისხანებას — ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ. ასე გადაეცი მამასაც... გასაგებია?! — უყვირის ელისოს — აღარც მიკითხოთ... თორემ... თორემ... — ენა ებმის მრისხანებისგან, ანდა, არ იცის, რა თქვას, არ იცის, რას მოიმოქმედებს, თუკი გაბედავენ და მაინც მოიკითხავენ მისიანები. კი არ გადის, თავპირისმტვრევით გარბის სამზარეულოდან, ელისო სკამიდან წამოდგომასაც ვერ ასწრებს და, უნებურად, მაინც კრთება გაჯახუნებული კარის ხმაზე...

IV

ელიზბარს ესმოდა ქალების ლაპარაკი, რასაკვირველია, აინტერესებდა კიდევ, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ შეგნებულად არ გამოდიოდა სამუშაო ოთახიდან, ლიზიკოს ებუტებოდა, ასე უცებ რომ "გაკაშელდა" და აქამდე არ მოიკითხა მთელი თვის უნახავი მამა, დაუკითხავად არ შეუვარდა "ნიჟარაში", როგორც ადრე იქცეოდა ხოლმე, თუკი რამე ჭირდებოდა მამისგან, ვთქვათ, ტაქსის ფული, ანდა ავტოგრაფიანი წიგნი ვიდაცისთვის. მაგრამ ახლა ისე იყო საუბრით გართული, შეიძლება, აღარც ახსოვდა, მამაც რომ ჰყავდა, მამამისიც რომ ცხოვრობდა ამ სახლში. ახალ ოჯახში მიღებული შთაბეჭდილებებით იყო საესე და ელისოსაც იმ შთაბეჭდილებებს უზიარებდა ალბათ. თუმცა, სამზარეულოდან გამოსული ხმების მიხედვით თუ იმსჯელებდა, მისი ქალები უფრო კამათობდნენ, ვიდრე საუბრობდნენ და უფრო ჩხუბობდნენ, ვიდრე კამათობდნენ. ელიზბარსაც ეს აბნევდა სწორედ, რა უნდა ჰქონოდა საკამათო და საჩხუბარი ერთი თვის უნახავ დედა-შვილს, გინდაც, გერსა და დედინაცვალს, რომელსაც შვილზე მეტადაც უყვარს თავისი გერი და ამის არდანახვა, ამაში ეჭვის შეტანა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თავხედობა იქნება, როგორც ელიზბარის, ისევე ლიზიკოს მხრიდან. რა ამოძრავებს ჩვენს ქალბატონ ელისოს, ეს სხვა საკითხია. ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო და, ისიც ალბათ ყურძნის, ელიზბარის, სიყვარულით კოცნის ღობეს, როგორც ლიზიკომ უთხრა ერთხელ, სრულიად უსამართლოდ, მაგრამ ხომ კოცნის?! კოცნის კი არა, ყველაფერი ანაცვალა, ელიზბარის ჩათვლით. კუდი კუდსა აქვთ გადაბმული და ერთად უთხრიან ელიზბარს ორმოს. ამით იმის თქმა სურს ელიზბარს, უმალ ელიზბარს რომ გაწირავს ორივე მათგანი, ვიდრე ელიზბარს მიემხრობა მეორის საწინააღმდეგოდ. მაგრამ კარის გაჯახუნების ხმა რომ გაიგო, კიდევ უფრო დაიბნა, ეს უკვე მართლაც მეტისმეტი იყო, ლიზიკოსგანაც და ელისოსგანაც. ლიზიკოს მეტი მორიდება და პატივისცემა მართებს ელისოსი (თუნდაც, როგორც მასზე უფროსი ადამიანისა), კარი არ უნდა მიუჯახუნოს ცხვირწინ, მაგრამ ელისოსაც, თუნდაც როგორც უფროსს, მეტი სიფრთხილე მოეთხოვება, იქამდე არ უნდა მიიყვანოს საქმე, მშობლიური სახლის კარი გააჯახუნებინოს ლიზიკოს. ისე, ჩინურსა თუ იაპონურ დამწერლობაში, ორი ქალის იეროგლიფი ჩხუბის ნიშანია. ორი ქალი, თანაც ერთ სამზარეულოში მოხვედრილი, იშვიათად რომ გამოვიდეს იქიდან მშვიდობიანად. ასეთია ცხოვრება. ცხოვრება კი, ამბანური ჭეშმარიტებების ჯამია და სხვა არაფერი. ბაყაყი ყიყინებს. ძაღლი ყიფს. ყვავი ჩხავის. ძროხა გვაძლევს რძეს. მეელი მტაცებელი ცხოველია. გურამი ყვილი დიდი პოეტია. ქრისტე აღსდგა. ზამთარში ცივა. ზაფხულში ცხელა (წელს განსაკუთრებით). ჩემი შვილი კაშვლებს რძალია. ფუტკარი სასარგებლო მწერი. წურბეღაც. რასაც ვერ ვიტყვით ციციანათელაზე. სამაგიეროდ, ციციანათელას საკუთარი განათება აქვს, საქართველო კი ბნელში ზის, აგერ უკვე ექვსასი წელია. რატომ? ციციანათელაზე უვარგისია? არ შეუძლია საკუთარი ელექტრო-ენერჯის გამოშუშავება? როგორ გეკადრებათ. გაცდლებით მეტი შეუძლია, ვიდრე სხვებს ჰკონიათ და ვიდრე თავად სჭირდება. ამიტომაც ზის ბნელში. დიას, მხოლოდ ამიტომ. შეცდომის ჩადენა შეიძლება, გამოსწორება — არა. ეკონომიკის ენაზე რომ ვთქვათ, ყველას ურჩევნია მუქთად გაჭამოს თავისი დამპალი საქონელი, ვიდრე შენმა ჯანსაღმა საქონელმა ძლიერს ხელში ჩაგდებული ბაზარი დააკარგვინოს. ამიტომ იწყება მსოფლიო ომები. კაცი კაცისთვის მკვლია. საქართველომ რომ ერთი ცხოვრება მოათავა, ანუ, თავის ადგილზე რომ აღარ დაუსვდა ლუდოვიკო ბოლონიელს, იმის მერე მსოფლიო ათასჯერ გადახანაწილდა და მხოლოდ იმის გამო, ერთხელ კიდევ რომ მიეცა იმპერიის უკანა ნაწლავიდან ცხოვრებაში დაბრუნების შანსი, არავინ ჩაიხოჩებს, არავინ დაუთმობს ადგილს. უმალ ბენზინს მიასხამენ და დაწვავენ, ჭირიანის ლოგინივით, ვიდრე განბანასა და განწმენდას დააცდიან. ის მაშინ დაიღუპა, როცა დიდად წოდებულმა აღექსანდრე პირველმა ქვეყანა ძმებსა და შვილებს მიუგდო, თვითონ კი ბერად დაეყუდა... განუდგა ქვეყანას, როცა უნდა შეჭხიდებოდა... კი მაგრამ, რატომ?! რა უფლების ძალით?! მურგან ყრუების, თემურ ლენგების, ჯალალედინების გამმკლავებელი ხალხი ბოლოს ისე დაჩაჩანაკა, შინაც აღარ აჩერებენ, ხან ერთი სტუმარი ამოჰკრავს ჭიტლაყს, ხან მეორე... რა თქმა უნდა, ელიზბარსაც დამნაშავეა. ელიზბარსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ საქმეში, იმანაც დაუშვა თავისი წილი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც, სამწუხაროდ, არ

შეიძლება, სულში უზის ობობასავით, დღითი-დღე იზრდება, ნელ-ნელა ახრჩობს შიგნიდან თავისი გრძელი, ხაოიანი ფეხებითა თუ საცეცებით... ელიზბარი კი, ყვირის, ხრიალებს... ბატებო, ბატებო, შინ! მოგვატყუეს. ერთხელ კიდევ გავბრიყვდით. დაღატია. დაბრუნდით სასწრაფოდ. ნუ გაიჯახუნებთ მშობლიური სახლის კარს. ჯერ კიდევ შეიძლება გადავრჩეთ. ჯერ კიდევ შეიძლება ჩვენთვისაც გამობრწყინდეს თვითმნათობი ნათელი, შეუხებელი ქრისტე, მზე სიმართლისა, და დავეცეთ სიმაღლე მტერისა მაცდურისა და აღვადგინოთ ბუნება კაცებრივი... შინ! შინ! სასწრაფოდ! მაგრამ უბედურება ისაა, გადარჩენა რომ აღარ გვინდა, მოგვბუზრდა სულ ერთი და იგივე... მტერს სიხარულითაც კი ვენდობით, მოყვარეს კი სათოფეხეც არ ვიკარებთ... ჩვენნიანის გამარჯვება გვადონებს და მტრის გასამარჯვებლად წელი გვაქვს მოწყვეტილი. არა და, ჯერ კიდევ მართლა შეიძლება გადარჩენა — ვინმე თუ გამოგვიჩნდა შემძახებელი... ოღონდ, ჩვენზე უფრო გულდამწვარი ქვეყნის ბედით და გულშემატკივარი ჩვენი სილენისაც და სილაჩრისაც... კი არ დაგვცინებს, ეს რა ხალხი ყოფილხართო, გაგვამხნევენს, ბარაქლა თქვენს გამძლეობასო, ამდენის გადამტანთ, კიდევ რომ გახსოვთ ანი და ბანიო. ეს არის ანი, ეს არის ბანი... მაგრამ რად გინდა, მაინც ვერ ვისწავლეთ ჭკუა. დრო გადის, წელიწადის დროები ერთმანეთს ენაცვლებიან, ჩვენთვის კი არაფერი არ იცვლება. ქვით-ქვით, ქვით-ქვით — ქვითქვითებს მწყერი ჩამწვარ ყანაში — მონადირეს ელოდება, მონადირეს უხმობს, აგებინებს თავის ადგილ-სამყოფელს და ერთი სული აქვს, ერთხელ კიდევ, როდის დაუფლეთს საფანტი ძლივს შებუბლულ ფრთებს... მაგრამ ერთი მწყერისაც და მონადირისაც... ერთნაირად ჩამწვარა და ჩანაცრებულა ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს, მარტო ელიზბარის ხომ არ არის ეს ქვეყანა... ოი, ოი, ოი, რა ცუდი ბიჭუნა ხარ, რომ იცოდე, ჩემო ელიზბარ. კაცმა რომ გკითხოს, მწერალი ვარო... არ გეკადრება. მწერალი თუ ხარ, ერთნაირად უნდა გეცოდებოდეს მწყერიც და მონადირეც. ორივე შენთან უნდა ჩიოდეს... მწყერი გემრიელია, მონადირეს კი მწყერი უყვარს. მწყერი შენც გიყვარს, მაგრამ ნადირობა გეხარება და ამიტომ ბრაზობ სხვებსზეც. იქნებ გაცდუნა ცხოვრებამ? იქნებ გიმტყუნა ნერვებმა? იქნებ მართალია ელისო? იქნებ მართლა სჯობს, ემიგრაციაში წახვიდე, ცოტა ხნით მაინც გაერიდო აქაურობას? კი მაგრამ, ასეთი ადვილია ვითომ ემიგრაციაში წასვლა? ემიგრაციაში დღეს ის მიბრძანდება, ვისაც გუშინ მივლინებით აგზავნიდა სახელმწიფო საზღვარგარეთ. შენ რა გამოდიხარ? რა გამოდიხარ და, მთხლე... კაშელების მძახლობა არ გრცხვენია და ემიგრაციაში რა ნახე სამარცხვინო?! ისე, რაკი სიტყვამაც მოიტანა, იქნებ გაგვეგო, რა მოხდა, რატომ დაერიგენ ერთმანეთს ლიზიკო და ელისო. მაგრამ ამის გაგების რომ გეშინია, იმიტომაც ედები ღობე-ყორეს... გული ცუდს გიგრძნობს. ლიზიკო რომ სრულ ჭკუაზე ყოფილიყო, შენს უნახავად როგორ წავიდოდა, ანდა კარს რატომ გაიჯახუნებდა, თუ არა გულისწყრომის, საყვედურის, სულაც მუქარის ნიშნად?! მაგრამ იქნებ ეს ელიზბარის გასარკვევი საქმე არ არის? ქალები უკეთესად მორიდებიან ერთმანეთთან. საჭირო რომ ყოფილიყო, ხომ გააგებინებდნენ ამასაც?! სიმართლე თუ გინდათ, ელიზბარი არავის აღარ ჭირდება, არავინ არაფრად აღარ აგდებს, არც შინ, არც გარეთ. ჰოდა, ისიც ადგება და წავა ემიგრაციაში. იმედია, ამაზე მაინც არ ეტყვის ხელისუფლება უარს. რაც უფრო შორს ხარ, მით უკეთესი... თუმცა, მარტო მკვდარი ძაღლი არ იკბინება... მაგრამ ელიზბარისთვის რა შეიცვლება? არაფერი. აქ ვის რას უკეთებს? არაფერს. სალაპარაკოდაც ვერ უნახავს შვილი... იქიდან წერილებს მაინც გამოუგზავნის. წერილები ძვირფას ქალიშვილს, რომელსაც საერთოდ არ უყვარდა მამა. სამაგიეროდ, მამის სიკვდილის შემდეგ, მის წერილებს გამოსცემს და შეიძლება ერთი-ორი კაპიკიც აიღოს. ესეც ხეირია. ამიტომ, ელისოსაც გამოუგზავნის წერილებს, მეორე ცოლს, რომელმაც პირველ ქმარს ამჯობინა, მაგრამ ბოლოს მაინც გერის მხარეზე გადავიდა. რას ვიზამთ, ესეც ერთ-ერთი ანბანური ჭეშმარიტებაა. მიტომაც წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა. ჩემი მხურვალე სალაპი პრუსიის მიწიდან, სადაც, როგორც იქნა, მშვიდად განვისვენებ ფრიდრიხ დიდის მეთერთმეტე ძაღლივით. ხუმრობა იქით იყოს და, ელიზბარი აშკარად ხელს უშლის ყველას, შვილსაც და ცოლსაც. თავისი არსებობით ბორკავს იმათ ვნებათა დეღვას... შეიძლება, ის არ აპატიეს, მაინცდამაინც, დიდი აზრისა რომ არ არის კაშელებზე?! მაგრამ აწი რაღა დროსია...

ქალის ბაღდადი იქ არის, სადაც უნდა იყოს... "რას, რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ..." სამაგიეროდ, მტრები გაიხარებენ. ნამდვილი მტრები. მოწინააღმდეგეები, ოპონენტები, მეტოქეები, მიმბაძეველები, მოშურნეები... ატყდება ერთი ამბავი, ჩამოიღებენ ტელეფონს... დიახ, არ გახლავთ, ემიგრაციაში ბრძანდება. დიახ, თავის ძუკნასთან ერთად... ვერაფერს ვერ გეტყვით. შეიძლება, დროებით, შეიძლება, სამუდამოდ... ყველა დიდი მწერალი ყოფილა ემიგრაციაში, მაგრამ ყველას როდი ღირსებია უკან დაბრუნება. კი ბატონო, დანტე დაბრუნდა, მაგრამ რუსთაველი?! არჩილ მეფე?! ვახტანგ მეექვსე?! თეიმურაზ მეორე?! სულხან-საბა?! გურამიშვილი?! ბესიკი?! ბაგრატიონთა მთელი სამეფო დინასტია?! ფერეიდნელები?! მოსკოვური კოლონია?! კოლონიები?! ოციან და ორმოციან წლებში გაქცეულები?! ბოლშევიკების გაშვებულები?! რამდენიმე მკვდარი თუ დაბრუნეს, ისიც მათთან შეუთანხმებლად, ეგ იყო და ეგ. ხომ მეთანხმებით? არა, კი არ მიხარია, სიმართლეს მოგახსენებთ. ქართველები ჩვენი ნებით უკან აღარ ვბრუნდებით. მაზოხისტები ვართ. გესიამოვნებს ნოსტალგიით წამება. ანდა, ემიგრანტულ ბინას მოვრთავთ ქართულად — თუშური ფარდავით, მეგრული ჩონგურით, შროშას ჯამ-ჭურჭლით — და ავტეხავთ ერთ ვაიუშელებელს, აი, რა დაგაკარგვინეს, აი, როგორ გვიყვარს აქ, რაც არასოდეს გვეყვარებია იქო. ჩვენი ეროვნული პატივმოყვარეობა ამითაც დაკმაყოფილებულია. ხომ მეთანხმებით? სულ ამას ეჩინებოდა თავისიანებს და ბოლოს, მგონი, პირველი თვითონ მიიპარება, ქურდბაცაცა მელიასავით. სიბრძნეს ვაგროვებთ, გამოცდილებას ვიძენთ, მაგრამ გამოყენება ყოველთვის გვიგვიანდება, თუ საერთოდ არ გვავიწყდება. განა ჩვენი ნათქვამი არ არის, სულელი თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო; ბრმა ქათამს ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო; ფრინველს ბუდით იცნობენ, კაცს მამულითაო; ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო; ბებერი ხარის გახედნას, რო დაკლა, ისა ჯობიაო; წაბაძულობით ვაციც დამაკდაო; ყვავს უთქვამს, შავ ზღვაზე თუ გადავფრინდები, იქ თოვლივით თეთრ კვერცხს დავდებო, მაგრამ როცა გადაფრინდა, იქაც შავი კვერცხი დადო. მოვიდა შიმშილი, წავიდა სირცხვილი. არა, ელიზბარს ჯერ არა აქვს უცხოეთში ცხოვრების უფლება. საბჭოეთში ნაცხოვრებმა კაცმა, და ასევე ქალმაც, ჯერ საერთოდ არ იცის, რას ნიშნავს ცხოვრება. იქ მხოლოდ სიძულვილს, უკეთეს შემთხვევაში კი, ზიზღნარევე სიბრალულს დაიმსახურებს, როცა შინ, ჩამოქცეულ ჭერქვეშ და მორყეულ ფუძეზე, ჯერ კიდევ შეიძლება ფეხის მოკიდება, დაკარგულის დაბრუნება, ოღონდ, გაქცევით კი არა, მოთმინებითა და სიჯიუტით... კბილი კბილის წილ... ვიდრე ქართველი ომობს, საშიშიცაა და ანგარიშგასაწვეიც, დამცხრალი და დამშვიდებული თავგზასაც კარგავს და სახესაც. მას მერე, რაც თოფი და ხმალი სხვას გადაულოცა, ერთი დღე აღარ უცხოვრია ამ უბედურ ქვეყანას მშვიდად, უფრო სწორად, თავის ჭკუაზე, თავისებურად, თავისი ცხოვრებით, ხან ზურნა-დუღუკზე ბუქნავდა ბაღდადურს, ხან სასულე ორკესტრის თანხლებით სწავლობდა მწყობრად სიარულს... რაზ-დვა-ტრი და, რაზ-დვა-ტრი და, რაზ-დვა-ტრი... ელიზბარს კი ვაცივით დაუღერებია თავი და ბრმა ქათამივით ანაყავს ნისკარტს მოღანდებულ ხორბალს... მართლაც, სულელი თუ არ არის, რას აჩემა ეს ემიგრაცია. შვილს გაურბის თუ როგორაა მისი საქმე?! მისმა ქალიშვილმა, მართალია, თვითონ გადაწვევითა თავისი ბედი, მაგრამ ჯიბრში ხომ არ ჩაუდგება ეს?! იქნებ სწორედ ახლა ჭირდება მამა?! იქნებ რამე უსიამოვნება შეემთხვა ქმართან ან დედამთილთან და იმიტომ მოვარდა ელისოსთან?! არ იცის, როგორ მოიქცეს... კი დიდობს, მაგრამ ჯერ მაინც ბავშვია... სულელი... თუმცა, ელისოს რომ ჰკითხოთ, ელიზბარს ბევრი არაფერი გაეგება ქალებისა და ეს არის სწორედ მისი ყველაზე დიდი ნაკლი, არა მარტო როგორც მწერლის, არამედ როგორც მშობლისაც. ვერაფრით ვერ შეიგნო (ვერ შეეგუა), ლიზიკოც რომ ჯერ ქალია და მერე შვილი, მამის წესისა და მრწამსის გამტარებელი. ქალს კი, მათ შორის, რასაკვირველია, ლიზიკოსაც, უპირველეს ყოვლისა, მამა კი არა, მეგობარი ჭირდება, დამოუკიდებელ, სრულყოფილ ადამიანად რომ იგრძნოს თავი და, რაც მთავარია, ბოლომდე შეინარჩუნოს ქალობა. მამა საამისოდ არ ვარგა. მამა სხვაა. რა თქმა უნდა, მამაც ბევრს ნიშნავს ქალისთვის, მაგრამ ზოგჯერ (სწორად) გაუთვალისწინებელ დაბრკოლებად იქცევა ხოლმე მისთვის. შეიძლება, ისიც კი იფიქროს, უმამოდ უფრო იოლად და უფრო უკეთესად მოვიწყობდი ჩემს პირად ცხოვრებასო. ქალს თავისი პირადი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, რათა საკუთარ

შესაძლებლობებში დარწმუნდეს და, საჭიროების შემთხვევაში, კი არ გაეთელვინოს, თავისი ნებით დაუწვევს ცხოვრებას. მაგრამ ვიდრე მამის ჩრდილსაა შეფარებული, ამაზე ფიქრიც ზედმეტია. მამის არსებობა, უფრო კი, მამის მიუხევედრელობა სწორედ პირადი ცხოვრების მოწყობას უკრძალავს ქალს. განა მამა არ უყვარს, უყვარს კი არა, გიჟდება ალბათ მამაზე, მაგრამ ეს თანდაყოლილი, ჩვეულებად ქცეული, ყოველმხრივ შემოწმებული, ყველანაირად სანდო გრძნობაა და, ამდენად, ნაკლებად საინტერესოც იმ გრძნობასთან შედარებით, რომელიც უკვე თვითონ, მამის გარეშე, მამისგან დამოუკიდებლად და, რაც მთავარია, მამისგან დაფარულად უნდა განიცადოს — მოულოდნელი, გაუგებარი, დამაეჭვებელი, დამაფრთხობელი და, იმავე დროს, ყველა იქამდე განცდილი გრძნობის გადამწონავი სწორედ თავისი სიუცხოვით, უჩვეულობით... "როგორც ქვიშხეთის კატლეტი ერჩია, პატარაობისას, შინ დამზადებულ ნებისმიერ კერძსო" — ხუმრობით იტყვის ხოლმე ელისო, მაგრამ სახუმაროდ რომ არა აქვთ საქმე, ამდენს უელისოდაც ხვდება ელიზბარი...

— ელიზბარ, ელიზბარ, ელია... გძინავს? — ფრთხილად ჩაეკითხა ამ დროს ელისო.

— არა. მე მგონი, არა — დაიბნა ელიზბარი.

— აღარ დავიბანოთ თავი? ჩაშრა წყალი — დამამშვიდებლად გაუდიმა ელისომ.

ელიზბარს აღარ ახსოვდა, თავის დაბანას თუ აპირებდა და ელისომ რომ შეასხენა, გაუხარდა, რადგან, მაინცდამაინც, არ სიამოვნებდა ელისოსთან პირისპირ დარჩენა — უნდოდა თუ არ უნდოდა, ბოლომდე უნდა ჩასძიებოდა სიმართლეს — მაგრამ რაკი ორივენი საერთო საქმით (მისი თავის ბანეთ) იქნებოდნენ დაკავებულნი, ეს მეტ შესაძლებლობას მისცემდა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად აეგდო სიტყვა ბანზე, სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი. ლიზიკოს საერთოდ არსსენება, თავისთავად ცხადია, არ მოხერხდებოდა. ამიტომ, რაც უფრო მალე ამოწურავდნენ ამ "თემას", მით უკეთესი.

— რა უნდოდა ჩემს ქალიშვილს? რატომ არ მინახულა? — აგდებულად, უინტერესოდ ჰკითხა ელისოს, თუმცა, გულის სიღრმეში, მაინც დეღავდა, მაინც ცუდის მოლოდინი ჰქონდა და ბევრად ერჩია, მოეტყუებინა ცოლს, ვიდრე რამე ცუდი ეთქვა ლიზიკოზე.

— არაფერი... ერთი წუთით შემოირბინა... სადღაც ეჩქარებოდა... მერე მოვალო — საკმაოდ ბუნდოვნად და ზერელედ უპასუხა ელისომაც, ანუ, შეძლებისდაგვარად, იცრუა, რაკი მეუღლეც ამას ევედრებოდა თვალებით — ბარემ, აქვე მოგბან თავს, აბაზანაში სარეცხი მაქვს ჩამბალი — მოაყოლა საქმიანად.

ელიზბარი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ლიზიკო იყოს კარგად. კარგადაც იქნება. რაკი თავისი ფეხით შევიდა ურჩხულების ბუნაგში, იმათ ენაზე ლაპარაკსაც ისწავლის ალბათ. სხვა რა გზაა?! მეტი რა დარჩენია?! მამის ენა დიდი ხანია, დაავიწყდა. დიდი ხანია, აღარ ესმის. მაგრამ ესეც ელიზბარის ბრალია და არა ლიზიკოსი. ლიზიკო მსხვერპლია. ხოლო, თუკი ვინმეა ამაში დამნაშავე, პირველ რიგში, ელიზბარია, რადგან თავის დროზე, არასოდეს აუხსნია მისთვის (მსხვერპლისთვის), მიკიბულ-მოკიბულად კი არა, ნათლად და გარკვევით, კაშელებთან ნებისმიერი ურთიერთობა ისევე რომ არის სახიფათო, როგორც მაღალი ძაბვის დენთან თამაში, ცოფიანი ძაღლის დაპურება, მტკვრის მორევში ბანაობა თუ გაოფლილზე ცივი წყლის დაღვევა... არ აუხსნია და ვერც აუხსნიდა, თუნდაც, იმავე ანტონის გამო. ანტონი გულწრფელად უყვარდა და მხოლოდ კაშელობისთვის ვერც თვითონ მოიკვეთდა და, მით უფრო, ვერც შვილს აუკრძალავდა მასთან მეგობრობას. პირიქით, ელიზბარი ყოველთვის მოხიბლული იყო ანტონის ჯერ კიდევ უმწიფარი, მაგრამ უადრესად არაკაშელური შეხედულებებითა და მოსაზრებებით, რომლებსაც ის გამოთქვამდა ხოლმე მათი იშვიათი, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი ექსკურსიების დროს ქვიშხეთის შემოგარენში, რაიმე კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით თუ მოულოდნელად შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე. ხოლო, ქვიშხეთში, სადაც ძირითადად ხვდებოდნენ ისინი კაშელებს, როგორც ყველა დამსვენებელს, მასაც არა თუ დასაშვებად, სავალდებულოდაც მიაჩნდა ანტონზე ბევრად მსხვილფეხა კაშელთანაც ურთიერთობა, რომელიც, თავის მხრივ, სეზონს არ ჩააგდებდა, ერთხელ მაინც არ მიეპატივნა ქვიშხეთის დასასვენებელ სახლში ჩამოსული მწერლები თავის აგარაკზე. ქვიშხეთი, საერთოდ, მისტიურ ზმანებად, მარადიულ ოცნებად უფრო აღიქმებოდა დამსვენებელი მწერლებისგან, ვიდრე გეოგრაფიულ-გეოლოგიურ-გეოდეზიურ ცნებად და იქ გამეფებულ ატმოსფეროდან გამომდინარე, თავისუფლად შეგეძლო, სერიოზული მნიშვნელობა არ მიგეცა და პოლიტიკურ ასპექტში არ განგეხილა ჩვეულებრივი სააგარაკო, ანუ, აუცილებელი ურთიერთობა იმ ხალხთანაც კი, რომლებთანაც შენი ნებითა და სურვილით, არავითარ შემთხვევაში არ "იმეგობრებდი" სხვა დროსა და სხვა გარემოში. არც ბალსა და "ენისელს" მიირთმევდი იმათი ხელიდან და არც სასაუბროდ მიუჯდებოდი ცაცხვების ხეივანში, ცისფრად ან ნარინჯისფრად გადაღებულ მერხზე. მაგრამ ქვიშხეთს თავისი განსაკუთრებული ადათ-წესები გააჩნია და არა მარტო ფიზიკურად აჯანსაღებს ადამიანს, არამედ სულიერადაც ასუფთავებს, თუნდაც, ცოტა ხნით. სიზმრისა არ იყოს, იქაც ბევრად იოლია სასწაულის დაჯერებაცა და გადაჯერებაც. როცა გარეწარზე შორიდან ფიქრობ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ ჩადენილი სისაძაგლეები გიტრიალებს თავში, მაგრამ როცა ცაცხვის ძირას, ჯერ კიდევ საღებავის სუნით გაჟღენთილ მერხზე ლაღად გადაწოლილი, ფეხი-ფეხზე გადადებული ესაუბრები იმავე გარეწარს, შენსავით მერხზე ლაღად გადაწოლილსა და ფეხი-ფეხზე გადადებულს, ლაპარაკისას, ფეხის ცერა თითზე ჩამოკონწიალებულ ფლოსტს რომ ათამაშებს თან, რასაკვირველია, იმასაც სააგარაკო ყოფის იდილიური სურათის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აღიქვამ მხოლოდ, თუნდაც, ფერად ლაქად, უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელ შტრიხად, ურომლისოდაც სურათი სრულყოფილი ვერ იქნება და ასევე ვერ იქნება იდილიურიც, მიუხედავად შენს გარშემო გულივით მფეთქავი სიცხისა, ათასნაირად ასისინებულ-აზუზუნებულ ბუჩქებისა, მოჩიტებული, დაფრთიანებული, მაგრამ ნისკარტის ძირში ჯერ კიდევ სიყვითლე შერჩენილი ბარტყების ჟივილ-ხივილისა, მთვრალი ფუტკრების ბზუილისა და მოშორებით, განცალკევებულ მერხზე ჩამომსხდარი ცოლებისა, საქარგავზე თავდახრილნი, ხმადაბლა, თითქოს საიდუმლო ენაზე რომ საუბრობენ ერთმანეთში, ქვიშხეთური მზით დაწვებშეფაკლულნი, და ქმრებისთვისაც კი, მოულოდნელად გამშფენიერებულნი... ქვიშხეთი ხომ ის ზღაპრული, შეიძლება სინამდვილეში არც არსებული სამყაროა, სადაც მხოლოდ საუკეთესო მოგონებები, თავგადასავლები ბუდობენ და სადაც, უკეთეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ შეუძლია უბრალო მოკვდავს ჩასვლა, ანუ, ამოყურყუმაღავება ცხოვრების წუმკედან, სული რომ მოითქვას და თავი ადამიანად იგრძნოს (თანაც, მწერლადაც, რაკი ღირსად ჩათვალეს აქაური დასასვენებელი სახლის საგზურისა), ვიდრე ისევე უკანვე

ჩაყურყუმაღადებოდეს განურჩევლობის, განუკითხაობის მორევში. ქვიშხეთი სულის მოსათქმელი ადგილია მხოლოდ, დროებითი ბუდე, დროებითი ბუნაგი, გნებავთ, დროებითი სამარე, სადაც მშვიდად, უდრტვინველად, ფლოსტებში ფეხწაყრილი "განისვენებ" აღდგომამდე, ანუ, თბილისში დაბრუნებამდე, და სადაც არც დრო არსებობს და არც ცუდი და კარგი ადამიანები. იქ ყველა ერთნაირად "დამსვენებელია" და, ამდენად, ყველასთვის ერთნაირად საინტერესო, მნიშვნელოვანი, დასაფასებელი, როგორც ნეკროლოგის სუბიექტი... ალბათ ამიტომაც (და ეს არის მისი მთავარი დანაშაული), არც ელიზბარს აშფოთებდა მისი ქალიშვილის განსაკუთრებული სიახლოვე კაშელებთან. თუმცა, მაინც თავზარი დაეცა, როცა "ერთ მშვენიერ დღეს", სხვათაშორის შეაპარა ელისომ საუბარში, მგონი, ლიზიკო და ანტონი ხელს აწერენ და საზღვარგარეთ აპირებენ წასვლასო. მაგრამ რაიმე სერიოზული, ამის აღმკვეთი გადაწყვეტილება არც მაშინ მიუღია, ისევ თავის ნიჟარაში, "მეორე სინამდვილეში" გაიხიზნა და — "რამედ რომ მაგდებდეს ჩემი შვილი, ზრდილობისთვის მაინც მკითხავდა ჭკუასო" — ამ სიტყვებით იგერიებდა ელისოს, რომელიც, რაც მართალია მართალია, გაკაპასებული ცდილობდა მის გამოთრევას ნიჟარიდან, როგორც ლოკოკინებზე მონადირე ბედურა...

ელისომ ტაბურეტი და ნარინჯისფერი პლასტმასის ტაშტი შემოიტანა ოთახში. ტაბურეტი ელიზბარს დაუდგა წინ, ტაშტი ტაბურეტზე დადო და ახლა ცხელი წყლისა და საპნის მოსატანად გაბრუნდა. ელიზბარი უაზროდ იყურება ცარიელ ტაშტში, თითქოს იქიდან ამოდის მისი საგონებელი, ანდა იქ ინახება მისგან განსაკურნებელი წამალი. მერე ტაშტს ყურებში ჩაავლებს ხელებს და ასწევს. იცის რომ მსუბუქია, მაგრამ მაინც სიამოვნებს ამხელა ტაშტისთვის თითქოს შეუფერებელი, მოულოდნელი სიმსუბუქე. თვითონაც რაღაცნაირად მსუბუქდება, თავისუფლდება რაღაცისგან, რისიც არ იცის სახელი და რაც მაჯღაჯუნასავით აწევს გულზე...

— მე ემიგრაციაში წამსვლელი არა ვარ... დანარჩენი თქვენ იცით — ეუბნება ოთახში შემოსულ ელისოს.

ელისოს თმის ბუღული შუბლზე ჩამოვარდნია. მკლავებდაკაპიწებულს მოაქვს ორთქლით თავმობბული ვედრო. ვედროს ტაშტიანი ტაბურეტის გვერდით დგამს და დოინჯშემოყრილი, ყასიდად კოპებშეკრული ამბობს: რა იყო, რა მოგელანდა ამ ერთ წუთშიო.

ცხელი წყლით სავსე ვედროს ორთქლი ასდის.

— მე არ მეცინება და, რომ იცოდე, არც მძინავს... არც ის ვიცი, რაზე ილაპარაკეთ შენ და ლიზიკომ ჩემს ზურგს უკან, მაგრამ ისე ნუ იზამთ, თქვენს გამო ჩავიდინო, რაც ხელისუფლებამაც ვერ ჩამადენინა... — ბუზღუნებს ელიზბარი.

— ელიზბარ, ელიზბარ, ელია! — იცინის ელისო. ამშვიდებს, ეფერება, უქარწყლებს დაფარულ შიშს — შენ როგორც საჭიროდ მიგანჩნია, ისე მოიქეცი... ვისი რა საქმეა — ამბობს სერიოზულად.

— მე ვერ ავყვები იმ ვიგინდარებს — აგრძელებს ელიზბარი. თან გამომცდელად შესცქერის ელისოს თვალებში, ამოწმებს რამდენად გულწრფელია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რაც ეს წუთია თქვა — მოცარტული გარემო მომინდომეს ამ მეორედ მოსვლის უამს...

— ვინ? — გულწრფელად ინტერესდება ელისო.

— მშვენივრად იცი, ვინც... ტყუიან ყველაფერს. საკუთარ მუცელზე ფიქრობენ მხოლოდ... იცოცხლე კარგია, მოცარტულ გარემოში ტრიალი, მით უფრო, ხელოვანი კაცისთვის, მაგრამ მე რა მეშველება, მე საბრალოს, მე ვინ გამაკულტურულებს, თუკი ჩემი გაზრდილი ხელოვანიც ცხვორს ამიბზუებს და გამექცევა?! უსვინდისო ქათამზეა ნათქვამი, შინ კაკანებს, კვერცხს კი გარეთ დებსო... ჩვენი უსვინდისო ხელოვანი კაკანითაც სხვაგან კაკანებს და, თავისთავად ცხადია, კვერცხსაც სხვაგან დებს. ხოლო, უფრო თუ დავაზუსტებთ და ცოტას გავიციინებთ კიდევ... პერანგი გავიხადო? — ეკითხება უცებ ელისოს.

— მე რომ არ გითხრა, შენ არ იცი, გაიხადო თუ არა? ვინ ბანაობს ჩაცმული?! — იცინის ელისო.

ელიზბარი პერანგის დილებს იხსნის და აგრძელებს:

— ჩვენ ამ საქმეშიც განსაკუთრებულები ვართ, შინ ვაკუებთ, გარეთ ვგალობთ, ცუცა ოდიშარივით.

— სირცხვილი შენ, ელიზბარ — იცინის ელისო.

— სიმართლე თუ გინდა, ესაა — ელიმება ელიზბარსაც — ცუცა ოდიშარს, იმედია, წარდგენა არ ჭირდება, ერთ-ერთი საუკეთესო სოპრანოა ევროპაში. ბერლინში ცხოვრობს ამჟამად. დღეობებზე ვხვდებით ხოლმე ახალგაზრდობაში. ბოთლს ვაბზრიალებდით დილამდე. ბოთლობანა იყო მაშინ მოდაში. დააბზრიალებდი და, ვისაც ბოთლი მიუშვევრდა ტუნს, იმას აკოცებდი. კაზინოს კრუპიეებივით ვიყავით დაოსტატებულნი ამ საქმეში, ბიჭებიც და გოგოებიც. ყველას ჰყავდა თავისი გულის ვარდი. რასაკვირველია, ცუცასაც. ჰოდა, ერთხელაც, დაიხარა ჩვენი სახელოვანი სოპრანო ბოთლის დასაბზრიალებლად და დაძაბულობისგან გასძვრა, შენი მოწონებული... სოპრანო ნამდვილად არ ეთქმოდა, უფრო წაიბარიტონებდა...

— ცუდი ბიჭი ხარ, ცუდი... არ გისმენ. ილაპარაკე, რამდენიც გინდა — იცინის ელისო.

— ახლა ფრაუ გახლავთ, რომ შემხვდეს, თავს არ დამიკრავს ალბათ — იცინის ელიზბარიც.

— აი, ეგ დაწერე. ღმერთო! ან აქამდე რას უცდიდი?! — რატომღაც ღიზიანდება ელისო. ოდნავ, ძლივს შესამჩნევად უთრთის გადაღურჯებული ტუჩები.

— რა? რა დავწერო? — ისევ ფრთხება ელიზბარი, ისევ ავი წინათგრძნობით ეკუმშება გული.

— რასაც მე მეუბნები ყოველდღე. დღეში ათჯერ, ასჯერ, უსასრულოდ... — უარესად ღიზიანდება ელისო — ღმერთო ჩემო, არ გირჩევნია, ისინიც შეწუხდნენ ერთხელ, თუნდაც უსამართლოდ, ვიდრე მარტო იტანჯებოდე ყოველდღიურად, თუნდაც სამართლიანად?! რაც მთავარია, ტყუილუბრალოდ... ტყუილუბრალოდ... დააგდე ეგ პერანგი იატაკზე — ამატებს უკვე შემრიგებლურად, თითქოს მისი მეუღლის უშედეგო, არაფრისთვის და არაფრის გამო ტანჯვა-წამება აღიზიანებდეს მხოლოდ.

ელიზბარი წელს ზემოთ ტიტველი ზის და ღრმად ჩაფიქრებული უსმენს, თითქოს რამე ახალს ამბობდეს ელისო. მაგრამ ელისოს ხმა, გაღიზიანებულიც კი, მაინც აშკარად ამშვიდებს. საერთოდ, რაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს ელისო, ყოველთვის რაღაც იღუმალი, ჯადოსნური ძალა გამოსჭვავის მისი ხმიდან და შენც ხმის უხილავ, მაგრამ ღონიერ დინებას მიჰყავხარ თითქოს, მაინცდამაინც, იქითკენ, საითაც იქამდე უშედეგოდ აპირებდი წასვლას...

— აბა, ჩაყავი თითი... ცხელი ხომ არ არის?! ეუბნება ელისო და ისიც პირველად მაშინ ამჩნევს ორთქლით თავმობშულ ვედროს ტაბურეტის გვერდით. თითს გაუბედავად ყოფს წყალში.

— მე მგონი, არა უშავს — ამბობს ფიქრიდან, ჯერ კიდევ ფიქრში დანთქმული.

— დაეხუტოთ თვალები და რამე კარგზე ვიფიქროთ... ჯუჯღუნს თუ დაიწყებ, გასაპნულს დაგტოვებ, იცოდე — ემუქრება ელისო.

ერთი ხელით საპონს უქაფებს თავზე, მეორეთი წყალს ასხამს კათხით.

— უუუუუუ-უჰ! კარგია! — ამბობს ელიზბარი.

ელისო იცინის.

— ვისაც უნდა, მიბრძანდეს, საითაც მოესურვება... მე აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს... ბრრრრ — ფრუტუნებს ელიზბარი ცხენივით.

ელისო იცინის.

— ცუცა ოდიშარის დედაც... საპონი ჩამივიდა თვალში — იცინის ელიზბარიც.

ელისო კიდევ უფრო იცინის.

— საპონი ჩაუვიდა თვალში ბავშვს... რა გვეშველება! ხომ გაგაფრთხილე, მაგრად დახუტე-მეთქი... საშიში ნამდვილად არ არის — ამშვიდებს ბოლოს.

— ჩვენთვის ყველაფერი საშიშია, ელისო, პააატარა ქვეყნის შვილები ვართ, პაააააწაწუნები ვართ ძალიან — ეხუმრება ელიზბარი თავისი ჭკუით.

— ერთხელაც წავისვით და გვეყოფა — აწვევებინებს ელისო — ისე, რომ იცოდე, დიდი ამბებია მოსალოდნელი კაშექლებთან — მოაყოლებს უცებ.

ტაშტზე დახრილი, თავგასაპნული და დაბრმავებული ელიზბარი ისუსება, იძაბება, გრძნობს, როგორ უცემს გული, მაგრამ თავი ისე უჭირავს, ვითომ არც გაუგია, ანდა ყურადღების ღირსად არ ჩაუთვლია ცოლის გადაკრული სიტყვა.

— ღიზიკოს გამო? — კითხულობს საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მღელვარებისგან ხმადახეული, მაგრამ მაინც სხვათაშორის, ვითომ, საუბრის გასაგრძელებლად, ამ მშვიდი, ოჯახური იდილიის გასახანგრძლივებლად...

— ღიზიკოს გულისთვის! — აღარ ზოგავს ელისო.

ბატონი ელიზბარი აწ უკვე გადაშენებული მწერლების იმ სახეობას ეკუთვნის, რომლისთვისაც პროფესია განაპირობებს ცხოვრების წესს და, პირიქით, ცხოვრების წესი განაპირობებს პროფესიას, ანუ, როცა არ წერს, ფიქრობს, რა დაწეროს და როცა ფიქრობს, ერთი სული აქვს, როდის მიუჯდება საბეჭდ მანქანას. ამდენად, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, რასაკვირველია, ბავშვივით მოუმზადებელია რეალური ცხოვრებისთვის. სამაგიეროდ, სხვებზე უკეთესად გრძნობს ნებისმიერ სახიფათო ცვლილებას ცხოვრებაშიც და ბუნებაშიც... ერთი ფოთოლიც რომ შეთრთოლდეს ზედმეტად, ანდა ნაადრევად, ისიც კი აღირიცხება მისი სულის შკალაზე. თავისთავად ცხადია, სხვებზე უკეთ ხედავს იმასაც, თუ რა დიდი უფსკრული დევს მამა-შვილს შორის, როგორ იზრდება ის უფსკრული ყოველდღიურად და, ბოლოს, როგორ შთაინთქმებიან ყველანი იმ უფსკრულში... ლიზიკო შემოვიდოდა დღეს მასთან თუ არ შემოვიდოდა, ეს ბევრს არაფერს შეცვლიდა მაინც. ისინი უკვე უფსკრულის სხვადასხვა ნაპირებზე დგანან და, ამ ბოლო დროს, საერთოდ ვეღარც ცნობს შვილს, ხოლო, შვილი საერთოდ აღარც იყურება მისკენ. შვილმა ბალასტივით მოიშორა, რათა თავი კოსმიურ უსასრულობისთვის მიეცა და ამით, უპირველეს ყოვლისა, ოცნების უნარი წაართვა მამას, ანუ, ბრძოლის უნარი, რადგან უშვილოდ, აღარც გადარჩენასა აქვს აზრი, აღარც აღდგომას. მისი შვილი სხვა სივრცეებშია შეისრუტეს მტკრის ნამცეცვივით და იმ სივრცეებთან ვეღარაფერს გახდება ეს, თავმოკვეთილი მეფისა და ძუძუებდაგლეჯილი დედოფლის აჩრდილების ამარა დარჩენილი. პირიქით, ის აჩრდილებიც უმაღლეს ამაღლებას უკეთებენ — რა უყავი შვილს, ერთი კრავი როგორ ვერ მომწყემსე, შე ცრუპენტელავ და ქოსატყუილაო, აბა, რიდასთვის დავდეთ თავი ჯალათის კუნძუზე მოვაკანში, ანდა, გავარვარებული შანთებით, რიდასთვის დავაგლეჯინეთ ძუძუები ჯალათს ისპაჰანშიო... მაგრამ იმათ არ იციან და ვერც ეს ეტყვიან, გადარჩენა რომ აღარ უნდა მის შვილს (ანდა, მისგან გაქცევა რომ ჰგონია გადარჩენა), სახელებიც არ იცის მამისათვის სალოცავი აჩრდილებისა, არც "ცა-ფირუზისა" გაეგება რამე და არც "ხმელეთ-ზურმუხტისა"... სხვათა ფირუზებსა და ზურმუხტებსზე რჩება თვალი... ვერ ეტყვის, ენა ვერ მოუბრუნდება იმათი საცოდაობით, რადგან იმათ დღემდე სჯერათ, ტყუილად რომ არ გაუღიათ მსხვერპლი, კიდევ რომ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ანაცვალეს თავი და რომელიც არც მტრებს წააბილწინებს მათ ხსოვნას, არც დრო-ჟამის დინებას... სჯერათ, ერთხელაც იქნება, იმათაც აეხილებათ მათი დასანახი თვალი, ვინც სხვათა ჭაღების ბრდღვივალმა დააბრმავა, უმეთვალყუროდ გამოსული მშობლიური სიბნელიდან... სჯერათ, ისინიც გაიხსენებენ იავნანას, უფრო სწორად, იავნანა იმათაც გაახსენებთ, რა არის ანი და რა არის ბანი... გაახსენებთ, სამშობლოში დვთაებებით მომხიბვლელნი რომ იქნებიან ყოველთვის, ჩოხებდაკონკილნიც, უსამშობლოდ კი — მდილნი, არარაობანი, პაერის ბუშტები, თითის მიკარებისთანავე რომ სკდებიან და ქრებიან უკვალოდ... მაგრამ ელიზბარი მაინც არ მისცემს თავს უფლებას, ჩაერიოს ლიზიკოს პირად ცხოვრებაში. ლიზიკო უკვე დამოუკიდებელი ქალია და თავცოცხალი აღარ დათმობს თავის დამოუკიდებლობას... პირველ რიგში, მამის ჯიბრით, არ დამცირდება მამის თვალში, არ აღიარებს მამის სიმართლეს და უმაღლეს ყველაფერს დათმობს, ყველაფერს მოითმენს იქ, "თავისუფალ სამყაროში", ვიდრე კუდამოძუებული დაბრუნდებოდეს უკან, შინ, "მშობლიურ ციხეში". მაგრამ ელისომ რომ "შეაპარა" წელან, შეიძლება დიდი შეხლა-შემოსლა მოხდეს კაშვლებთან ლიზიკოს მიზეზით, ელიზბარი მაინც დაფრთხა, მაინც დაიბნა და ისიც ვეღარ გაბედა, ბოლომდე ეთქმევიანებინა ელისოსთვის სიმართლე, ანდა, იმანაც თუ არ იცოდა, დამსხდარიყვენ და ერთად გაერკვიათ, რა განხეთქილება შეიძლებოდა შეეცანა ოჯახში ერთი თვის მიყვანილ რძალს. ბოლოს და ბოლოს, ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს გამოსავალი, გამოსვლა თუ გინდა, მაგრამ მეორე მხრივ, შენ რომ გამოსავალი გგონია, ბოლოს შეიძლება ჩიხი აღმოჩნდეს, რადგან თავად ცხოვრება შედის ჩიხში — რკინიგზებიან, მატარებლებიან, მგზავრებიანად — და მალე ყველა გზა მოიჭრება, ყველანი კავშირი გაწყდება არა მარტო გარესამყაროსთან, არამედ ერთმანეთთანაც. ოღონდ, ეს არც ელიზბარის ბრალი იქნება, არც ელისოსი; არც ლიზიკოსი; თქვენ წარმოიდგინეთ, არც რაჟღენ

კაშელის. ვერავინ აღუდგება წინ ამ "ბუნებრივ პროცესს", ვიდრე, ერთხელ კიდევ, თავისთავად არ შეიკვრება მოჯადოებული წრე სიკვდილ-სიცოცხლისა და ვიდრე თავად ბუნება, გნებავთ, უდიადესი ქალბატონი ევა, საწყისთა საწყისი, ღმერთის ხელით შექმნილი პირველი ქალი და პირველი ადამიანის დაბადებელი, არ გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა საერთოდ ახალი წრის დაწყება, რადგან ამდენმა სიყალბემ, ამდენმა თვალთმაქცობამ და ამდენმა პირობითობამ ყველაფერი გააუფასურა მათ "თეატრში", არა მხოლოდ გრძნობები და განცდები, სიმართლე და გულწრფელობა, არამედ თავად პირობითობაც, როგორც ყველაფრის შესანიღბი და ამდენად, თავის დასაცავი იარაღი, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისგან. მის ნაცვლად, ცარიელი, უაზრო, მეტი რომ არ ვთქვათ, ცრუ სიტყვები შერჩათ ხელთ და მლიქვნელური მანჭვა-გრეხვა... ამადლებული გრძნობები, ვნებათა დეღვა, ცრუპენტელობამ და ქვენა ზრახვებმა შეცვალა. მსახიობები (იგივე ელიზბარი, ელისო, ლიზიკო, ანტონი, ფეფე) კი არ მოქმედებენ, ერთ ადგილზე ფუტფუტებენ მატლებივით; კი არ ცხოვრობენ, სიცოცხლეს იხანგრძლივებენ, სიცოცხლეს ებლაუჭებიან ყველანაირად — სვამენ, ჭამენ, ტყუიან, ითმენენ, ღალატობენ საკუთარ პრინციპებს და აი, ასე, როგორც ახლა ისა და ელისო, ყალბად უღიმიან, უმიზეზოდ ემადლიერებიან, ებოდიშებიან ერთმანეთს; კი არ ამხელენ, ყველანაირად ამართლებენ, რაც უმაღლ მათ სულიერ ნათესაობას ადასტურებს, ვიდრე, ვთქვათ, ზნეობრივ სიმტკიცეს. უმიზნოდ შემოდიან "სცენაზე" (როგორც ლიზიკო მობრძანდა წელან) და ასევე უმიზნოდ გადიან "სცენიდან" (იმავე ლიზიკოსავით). თვეობით, წლობით იკარგებიან უცხო თვალისთვის უხილავი სცენის ხვრელებსა და ორმოებში, რათა სული მოითქვან (დაისვენონ ერთმანეთისგან) და ისევ მოულოდნელად ამოცოცდნენ, ამოფუტფუტდნენ "სცენაზე", ამოიტანონ თავიანთი სულის სარდაფებში დამარხულ საიდუმლოებათა ნესტი და სიმყრალე, რადგან სწორედ ასეთი "თეატრი" შეეფერება მათ ყოფას... ექვსასი წლის წინ დაშვებული შეცდომა, ეტყობა, თავის კულმინაციას აღწევს და ამის ბრალიცაა, ერთ დღეს რომ ცუდად არიან და მეორე დღეს გაცილებით უარესად. ასე იქნება სულ, ვიდრე სამარცხვინო წარსულის შმორითა და ზინხლით აქოთებული მათი საბუდარი, მათი სამშობლო, მათი აკვანიცა და საცხედრეც, თავის ზღაპრებიან-ღეგენდებიანად, გეოგრაფიულ სიყალბედ, ისტორიულ აბსურდად გამოცხადდება და არათუ თაღლითი კარტოგრაფის შედგენილ რუკაზე, ამ ცოდვილ დედამიწაზეც აღარ დარჩება მათთვის ფეხის მოსაკიდი ადგილი. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, ყოველთვის იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და მაინც ისე იქცოდნენ, როგორც არ მოიქცეოდნენ, ცოტა უფრო მეტად რომ ყვარებოდნენ სამშობლოც და ერთმანეთიც... იმიტომ რომ, ღმერთის სასჯელისა კი არ ეშინოდათ, ძლიერისგან წყალობის მოლოდინში ამოსდიოდათ ყოველთვის სული. ვინც ამხილათ, ყველა მოიკვეთეს — გააძევეს, წვერით ათრიეს ანდა ტყვია დაახალეს შუბლში — ხოლო, ვინც მოუწონათ სიგლაზე და უმსგავსობა, მამულიშვილის გვირგვინით შეამკეს და ფარზე შეასკუპეს მაშინვე... მაგრამ იქნებ მართლაც ეს არის მამულიშვილობა და ელიზბარს არ ესმის სწორად?! იქნებ სხვებზე მხდალია და, შიშს აყოლილი, ყველგან ხაფანგსა და მახეს ხედავს?! შეიძლება. ადვილი შესაძლებელია. ელიზბარმა ერთი იცის მხოლოდ მყარად, ყველაფერი შეიძლება საერთო ჰქონდეს კაშელებთან — ოჯახიც, მიწა-წყალიც, ჰაერიც... სისხლიც კი — მაგრამ არავითარ შემთხვევაში, სიმართლე! არადა, თუკი რამეა დღეს საერთო, ერთხელ კიდევ მკვდრეთით აღმსდგარ ქვეყანაში, მხოლოდ სიმართლეა, წვითა და დავით, ტანჯვა-წვალებით, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც გამოთქმული, გამოტანილი სამზეოზე, თითქოს მხოლოდ იმიტომ, ათასნაირი ჯურის მედროვეებს, გარეწრებსა და ლაზღანდარებს ერთბაშად რომ გაუფასურებინათ, თავიანთი ქვენა მიზნების შესანიღბად. ერთ სიმართლეს იშველიებს მსაჯულიც და განსასჯელიც, ერთ სიმართლეს აფრიალებენ დროშასავით, ფარულად თუ აშკარად დაპირისპირებული ბანაკები, მაგრამ ელიზბარისთვის კაშელის პირიდან ამოსული სიმართლე, არათუ მისი არ არის, ადარც სიმართლეა. როგორც კი დაიჯერებს, ერთხელ კიდევ დაადასტურებს საკუთარ სიბრიყვეს, ნდობას გამოუცხადებს იმას (აკი გამოუცხადა! შვილი აჩუქა, ბოლოს და ბოლოს), ვისაც გუშინ და გუშინწინ ფეხქვეშ ჰქონდა

ამოდებული მისი "ადამიანური ღირსებაცა" და "ეროვნული სიამაყეც", ვისაც რკინის კაუჭიანი ჯოხით გამოჰყავდა სიკვდილმისჯილთა საკნიდან, ვინც მის გვამზე ბუქნავდა და მის შთამომავალს ნარკოტიკივით აჩვევდა ზარ-ზეიმით აღნიშვნას საკუთარი დაცემისა და შერცხვენისა... დიახ, ასე იყო და ასე იქნება, გინდაც ათჯერ გადატრიალდეს ქვეყანა. ასე იქნება, ვიდრე საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ისტორიული სიბინძურედან, ერთ მშვენიერ დღეს, კეპელასავით არ ამოფრინდება მათი საერთო, სასწაულად გადარჩენილი და, რაც მთავარია, სამარადისოდ განწმენდილი სული...

მოკლედ, ჩვენი ბატონი ელიზბარი, ჩვეულებისამებრ, ისევ ნიჟარაში შეიკვტა. "მე არა ვარ კაშელების მსაჯულიო" — უთხრა ელისოს, მოგონილი გაგულისებით, და უბოდიშოდ დაითხოვა: ალბათ გვიანობამდე ვიმუშავებ და ძალიან გთხოვ, ტელეფონთანაც არ დამიძახოთო. მაგრამ ვედარც სამუშაოს დაუდო გული (ისედაც უჭირდა ერთი ხელით საბეჭდი მანქანის კლავიშებზე კაკუნი და მეორეთი — გათავხედებული მუშლის მოგერიება) და ვედარც მასზე ბევრად უკეთესი მწერლების წიგნებს. ხან ერთს გადაშლიდა, ხან მეორეს, იქნებ რამეს გადავაწყდე ჭკუის სასწავლებელსა და დამამშვიდებელსო, მაგრამ მსგავსიც არაფერი ეწერა იმ წიგნებში...

ჩაის დასალევედაც აღარ გამოსულა თავისი ოთახიდან. უჭმელი დაწვა და საკმაოდ დიდხანს ეომა უძილობას, ერთიდან ათასამდე და ათასიდან ერთამდე თველითა თუ საკუთარი და სხვათა ლექსების დეკლამირებით გუნებაში, რასაკვირველია, საძილე აბების მიშველიებით ყოველ თხუთმეტ წუთში... ელისო რამდენჯერმე მოადგა გარედან კარს და რამდენჯერმე იკითხა გაუბედავად: "ხომ არ დაგიძახიაო", მაგრამ ამან პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო. სამაგიეროდ, უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ემიგრაციაში წასვლა. მოკიდებდა ხელს თავის უხასიათო შვილს და საერთოდ გაარიდებდა აქაურობას... "ასე აჯობებს ყველასთვისო" — ფიქრობდა ამ მოულოდნელი და, რაც მთავარია, მისთვის ყოველად მიუღებელი გადაწყვეტილების მიღებისგან აღელვებული. ოღონდ, უკვე თვითონაც ვერ არკვევდა, ცხადში ხდებოდა, რაც ხდებოდა, თუ სიზმარში... თუ ცხადში ხდებოდა, ერჩია სიზმარი ყოფილიყო, ხოლო, თუ სიზმარში — ცხადშიც ვერაფერს მოიფიქრებდა უკეთესს... თვითმფრინავში იჯდა, ელისოსთან და ლიზიკოსთან ერთად, ზუსტად ისე, როგორც ბევრჯერ მჯდარა ბორჯომის მატარებელში, ქვიშხეთს მიმავალი, და, სხვათაშორის, ახლაც მოაგარაკეებს უფრო გაგდნენ, ვიდრე ემიგრანტებს, თუნდაც, ჩაცმულობითა და ბარგით.

ელისოს ჭილის ქუდი ეხურა, ლენტიანი, და დაკეცილი ქოლგა მუხლებზე ედო. არც გამაკის წამოდება დაეწინადა. მჭიდროდ დახვეული გამაკი კართან მიეყუდებინა. თვითმფრინავის სალონი მხოლოდ მათი ბარგით იყო სავსე, მაგრამ ელიზბარს არც ის უკვირდა, ბარგიანად რომ შემოეშვათ თვითმფრინავში და არც ის, მათ გარდა, სხვა რომ არავინ იჯდა სალონში. ეტყობა, ემიგრანტებისთვის იყო ის სალონი განკუთვნილი, ემიგრანტები კი მხოლოდ ისინი იყვნენ...

ლიზიკოს მუხლებთან გადაჭრილი ჯინსის შარვალი და მამამისის ძველი, მოღურად ჩაფლასული პერანგი ეცვა. აშკარად სიამოვნებდა მშობლებთან ერთად მგზავრობა. დაცქეტილი იჯდა სკამზე და ხან მამას შეხედავდა მაღლიერებით სავსე თვალებით, ხან დედინაცვალს. "განა შეიძლება, მე რამეს ვაშავებდეთ" — ამბობდა მთელი მისი არსება. ელიზბარს არც უკითხავს, რა მოხდა თქვენს ოჯახში, რატომ დაერივნენ ერთმანეთს მამა-შვილიო, არ ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში და გამოკვლევის ნაცვლად, ამჯობინა საერთოდ ამოეგდო გულიდან ეს ამბავი, როგორც შედარებით ნაკლებად საჭირო ნივთს ამოავდებენ ხოლმე ჩემოდნიდან ბოლო წუთს, რათა თავისუფლად დაიკეტოს ჩემოდანი...

"მგზავრობა კიდევ უფრო დაგვაახლოვებს და შეგვაყვარებს ერთმანეთსო" — ფიქრობდა ელიზბარი და თვითმფრინავის ილუმინატორში იყურებოდა. თეთრი, ქათქათა ღრუბლები უზარმაზარი აისბერგებივით ნელა, თითქმის შეუმჩნევლად იძროდნენ თვითმფრინავის საწინააღმდეგო მიმართულებით. ერთ-ერთ მათგანზე, ისევე როგორც ქვიშხეთის დასასვენებელი სახლის ეზოში, ერთად იდგნენ ელიზბარის აწ უკვე გარდაცვლილი უფროსი თანამოკალმეები: ბატონი ლეონტი, ბატონი პიმენი, ბატონი დიომიდე, ბატონი გობრონი, ბატონი მიხაკო... ცოტა მოშორებით ნიკოლოზი გარინდულიყო, ჩვეულებისამებრ, ზურგზე ხელგადაწყობილი და ამაყად თავაწეული, თითქოს აქაც გასაშრობად მზეზე გაფენილ თავის დაობებულ წიგნებს დარაჯობდა, ქათმებმა არ დამისვარონო...

— უყურე შენ! ნიკოლოზიც მომკვდარა — შეიცხადა ელიზბარმა.

— აუ, როგორ ეწყინება ანტონს! — შეწუხდა ლიზიკოც.

— ცოცხალმა იკითხოს, ცოცხალია ცოდო! — რატომღაც გაბრაზდა ელისო.

ამ დროს, თვითმფრინავის ილუმინატორს გარედან რაჟდენ კაშელი მოადგა. მოცურავის წვრილი სათვალე ეკეთა და მჭიდროდ მომუწული პირიდან ჰაერის ბუშტულებს უშვებდა. თან გამაღებელი უსვამდა ხელ-ფეხს, ბაყაყურად. მერე ერთი ხელი თვითმფრინავს მოაბჯინა, მეორეთი შუბლი მოიჩრდილა და ილუმინატორში შემოიხედა. მძახლებმა უნებურად თვალი გაუსწორეს ერთმანეთს. რაჟდენმა ქამარი შეიხსნა, შარვალი ჩაიწია, ადგილზე შემოტრიალდა და ახლა შიშველი უკანალით მოებჯინა ილუმინატორს. ელიზბარი შეცბა. უცებ ვერ მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო, ეცნო მძახალი და რამენაირად გამოეხატა ეს, თუ თავი ისე დაეჭირა, ვითომც ვერაფერს ხედავდა უცნაურსა და გასაკვირს.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას... ჩვეულებრივი მირაჟია, ტურისტების გასართობი — ქართულად უთხრა სტიუარდესამ ელიზბარს. ხელში სასმელების ჩამოსატარებელი ლანგარი ეჭირა, მაგრამ ამჯერად, რატომღაც, მკვდარი ციყვი ეგლო ზედ, ცალთვალგადმოგდებული...

— ქართველი ხართ? — გაუკვირდა, გაუხარდა ელიზბარს.

— არა. ვიყავი. ახლა გერმანელი ვარ. უკვე მესამე წელია — თავაზიანად უპასუხა სტიუარდესამ — კანადელობა მერჩია, მაგრამ ამ ადგილს დაეხარბდი — გააგრძელა ხალისიანად — კარგი სამსახურია, მოულოდნელობით სავსე... მე კი, ბავშვობიდანვე, ექსკურსიებზე სიარული მიყვარდა და კიდევ — კარის ჭუჭრუტანებში ჭყიტინი...

— დიდი მადლობა — თქვა ელიზბარმა და მერეღა გაუკვირდა, რისთვის ვუხდი მადლობასო.

— აი, ეს იქნება თქვენი გიდი — უთხრა სტიუარდესამ და ხელი მხარს უკან გაიშვირა.

ელიზბარმა იმის ხელს თვალი გააყოლა და დიდყურა გრიგოლა დაინახა: ცირკის მოსამსახურის უნიფორმა ეცვა და, დარცხვენილი, უშნოდ იჭყანებოდა.

— ყველაფერი მზადაა, ბიძია ელიზბარ, ტურნირი ოთხზე იწყება — უთხრა ელიზბარს.

— აკი სამზეო! — გაცეცხლდა ელიზბარი — მამაძაღლები... ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ...

— ამიტომ, შინ უნდა დაეტოო — თქვა ელისომ, ჭილის ქუდი მოიხადა და იმით გაინიავა წამოწითლებული სახე.

— ჩემთვის სულერთია, სამზე დაიწყება თუ ოთხზე... ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა — თქვა ლიზიკომ.

— შენ ის გირჩევნია, ახლა მაინც მოუყვე მამაშენს, რა მოხდა ქვიშხეთში — შეუღრინა ელისომ.

ელიზბარს შეეშინდა, მართლა არ მოყვესო, და სცადა სასწრაფოდ განემუხტა მოულოდნელი დაძაბულობა.

— ახლა ამის დრო არ არის... აქ არავის აინტერესებს ჩვენი პირადი უსიამოვნებები — შესძახა პათეტიკურად.

— შენი ბრალია ყველაფერი — უთხრა ელისომ.

ბედად, თვითმფრინავი საჰაერო ორმოში ჩაეზანყა და მზის მოციმციმე ლაქა დაფეთებული გადახტა ერთი სავარძლიდან მეორეზე, რათა მაშინვე უკან დაბრუნებულიყო. სალონში სუფთა, გრილი ჰაერის სუნი დატრიალდა და ლიზიკოც მაშინვე გამოენტო მამის დასაცავად.

— დაგავიწყდა შენი ლექციები სიყვარულის სიდიადეზე, სიძლიერეზე, დაუმორჩილებლობაზე?! — უყვირა ელისოს — "ეს შენზე არ არის დამოკიდებული..." "შენ ან ემორჩილები, ან არ ემორჩილები..." — გამოაჯავრა ენის ჩლექქით — მართალი ყოფილხარ. ცაბდე მართალი. ვაღიარებ. მაგრამ ემორჩილები თუ არ ემორჩილები, ორივე შემთხვევაში ერთნაირად იღუპები. დაღუპვა გარდუვალია. განა შენც ასე არ დაიღუპე?! სხვას მაინც ვერაფერს გააწყობ, სათამაშო თოჯინა ხარ და მეტი არაფერი...

თვითმფრინავი ისევ ჩავარდა საჰაერო ორმოში და, მეორე წუთას, უკვე მატარებლად გარდაქმნილი, დაფეთებული გამოვარდა გვირაბიდან, თავფეხიანად გაუღენთილი გვირაბისა და ლიანდაგების სუნით. რადიომ სწრაფად გამოაცხადა შემდეგი სადგური. ვაგონის კარი ხმაურით გაიღო და დაიხურა. სადგურს შუშის სახურავი ჰქონდა. სახურავზე მტრედისა თუ ყვავის ჩრდილმა გადაიარა ზანტად. "ცუცა ოდიშარი გვეპატიუება ქართულ ვახშამზე... ხომ წამოხვალთ?" — თქვა ელიზბარმა. "ჩვენ აქ ქართული კერძების საჭმელად და ქართული სიმღერების მოსასმენად არ ჩამოვსულვართ" — თქვა ელისომ. "ცუცა ოდიშარს ერთხელ მოვუსმინე რადიოში და არ მომეწონა, მაგრამ კარგ ვახშამზე, ქართული იქნება თუ გერმანული, უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი" — თქვა ლიზიკომ, ელისოს ჯიბრით. მატარებელი კი მიქროდა. ხან ერთი მატარებლით მიქროდნენ, ხან მეორეთი და ხან მესამეთი... უსასრულოდ გადადიოდნენ მატარებლიდან მატარებელში და ვაგონიდან ვაგონში და, რაც მთავარია, ყველა ვაგონში მათივე ბარგით იყო ჩახერგილი გასასვლელები. ხან გამაკი ებლანდებოდათ ფეხში, ხან ჩანთა და ხან ჩემოდანი... მაინც ჯიუტად მიიწვედნენ წინ, რათა ბოლო ვაგონში არ აღმოჩენილიყვნენ შემთხვევით. "ბოლო ვაგონში არ ახვიდეთ, სახიფათოაო" — აფრთხილებდათ ცუცა ოდიშარის ხმაც. თავად არ ჩანდა, თუმცა, მის მოლოდინში იყვნენ განუწყვეტლივ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მის იმედზეც. მაგრამ განა არ აჯობებდა, ყველა მატარებლისთვის მოეხსნა აქაურ ხელისუფლებას ბოლო ვაგონი, რაკი, მაინცდამაინც, ბოლო ვაგონებს ეტანებოდნენ თურმე აქაური ჯიბგირები და ხულიგნები?! ელიზბარს ერთი სული ჰქონდა, როდის გაუზიარებდა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს საკუთარ მოსაზრებას ადგილობრივ ჯიბგირებთან და ხულიგნებთან ბრძოლის თაობაზე, და იმასღა შიშობდა, არ დავიწყებოდა იქამდე. "მოკლედ, თქვენ უკვე ზრდადასრულებული ქალები ხართ, ჭკუა არ გესწავლებათ, მე კი, როგორმე მივხედავ თავსო" — ეუბნებოდა თავის ქალებს. "ვერაფერსაც ვერ მიხედავო — იცინოდა ლიზიკო — ენა თუ არ იცი, ბრმა ოდიშოსივით უმწეო ხარ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამ უჩემოდ ამ ქალაქშიო". "როგორ უბედავო" — ბრაზდებოდა ელისო. ერთნაირად აღიზიანებდა, რაც არ უნდა ეთქვა ლიზიკოს. "ძალიან გთხოვ, ნუ ჩავერევიო" — უხეშად იკერიებდა ლიზიკოც. "როგორც მამა, რა თქმა უნდა, მხოლოდ შენ გეკუთვნის, მაგრამ როგორც მწერალი, ჩემიც იმდენივეა, რამდენიც შენიო" — სლუკუნებდა სატირლად გამზადებული ელისო. "მე არ მითქვამს შენთვის, მამაჩემის წიგნები აღარ წაიკითხოო — არ ზოგავდა ლიზიკო — მე ვითხარი, უფრო სწორად კი გთხოვე, მამა-შვილის ლაპარაკში ნუ ჩაერევი-მეთქი". "უგულოები ხართ ახალგაზრდები, ლიზე, უგულოები... უცებ იცით კაცის გაწირვა" — მოძღვრავდა შვილს ელიზბარი აყვავებული ცაცხვის ხეებით შემოსაზღვრულ ეზოში. სამივენი აღფრთოვანებულნი ათვალიერებდნენ მათთვის გამოყოფილ სახლს, ალბათ საყვარლისთვის აშენებულს გასულ საუკუნეში მდიდარი კაპიტალისტის მიერ. სახლი პატარა გორაკზე იდგა, ტბის პირას, უფრო სწორად, მდინარის პირას, რომელსაც უზარმაზარი ტბა მოეგდო ზურგზე, როგორც ლოკოკინას საკუთარი ნიჟარა. ნაპირთან სასულე ორკესტრი სამეჯლისო მუსიკას უკრავდა. ნავმისადგომზე რადიო რაღაცას აცხადებდა. ალბათ ტბაზე გასეირნების მსურველთა საყურადღებოდ. ცაზე კოლოების უსაშველოდ დიდი გუნდი იკლაკნებოდა შავი ურჩხულივით, იკლაკნებოდა, ბრუნავდა, შიშისმომგვრელად დასტრიალებდა ქალაქს. დიდყურა გრიგოლასა და მანქანის მძღოლს მათი ბარგი გადმოჰქონდათ მანქანიდან. "გამაკი?! გამაკი სად არის?" — აღელდა ელიზბარი. "ყველაფერი ადგილზეაო" — დაამშვიდა დიდყურა გრიგოლამ.

— ერთი აივანზე გადით, რა ხდება! რაღა ჩვენი მუშლი და რაღა ამათი კოლო — განაცხადა აივანიდან შემობრუნებულმა ლიზიკომ.

— ნუ გავგამაკცრებს საკუთარი უბედურება — თქვა ელიზბარმა ზოგადად. თვითონაც არ იცოდა, რამდენად მიესადაგებოდა მისი აფორიზმი ლიზიკოს განცხადებას. "შექპირს გავს, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ბოლოს ჩემი აღმოჩნდესო" — გააგრძელა გუნებაში.

ხალხი გუნდ-გუნდად მიისწრაფოდა მდინარისკენ. გზადაგზა, პირდაპირ ბოთლებით იყუდებდნენ აქაფებულ ლუდს და მადიანად კბენდნენ მსუქან ჰამბურგერებს, საიდანაც ჩვილის განავლის ფერი მდოგვი წვეთავდა. "გლადიატორი საქართველოდან", "კავკასიის სპარტაკი" — ეწერა ტრანსპარანტებზე, საითაც არ უნდა გაგეხედათ...

— აბა, დროზე, დროზე! რაღას უყურებ? — შეუძახა ელისომ ელიზბარს და დიდი, ნარინჯისფერი ტაშტი დაუდგა წინ.

— ახლა არ დავიბანე?! — გაუკვირდა ელიზბარს.

— ჩქარა, ჩაყავი თითი, შენი ნებით ჩაყავი, თუ მართალი ხარ! — უყვირა ელისომ და მაჯაში ჩააფრინდა, ძალით წამოაღებინა დაძაბული ხელი ტაშტისკენ. ნარინჯისფერ ტაშტში მღუღარე კუპრი იბუშტებოდა, თუხთუხებდა, ორთქლის ნაკადებს აფრქვევდა. ელიზბარმა ჯერ გაუბედავად ჩაყო თითი მღუღარე კუპრში და ტკივილმა ელვასავით დაუარა მთელ სხეულში. მაგრამ ტკივილი ესიამოვნა და ახლა მთელი მტკვანი ჩაყო მაჯამდე. სიამოვნებისგან ოხრავდა, ფრუტუნებდა და, მონაცვლეობით, ხან ერთ ხელს ყოფდა ტაშტში, ხან მეორეს. "ისე, თბილისში რომ ეკეთებინა ცუცა ოდიშარს ქართული კერძები და თბილისში ემღერა ქართულად, იქნებ ამ დღეში აღარ ჩავვარდნილიყავით ყველანიო" — ეუბნებოდა ელისოს, მადლიერების გრძნობით გულაჩუყებული.

"ამ დღეში ჩავარდნილი" რომ იხილა მამა, ლიზიკო, ერთი პირობა, გაოგნდა, მაგრამ მალე მოეგო გონს და მშვიდად, მაგრამ ღვარძლიანად ჰკითხა ელისოს: რას ერჩი, რა დავიშავა, ასე რომ აწამებო. "პატიოსან სიტყვას გაძღვე, თავს ნამდვილად არ მოვიკლავ არც ამის და არც შენი გულისთვისო" — უპასუხა ელისომ. "აღუ, აღუ, შენით ვერ უნდა დაიბანო თავი, ვერა ხედავ, როგორ ჰყავხარ გამოჭერილი?" — უთხრა ლიზიკომ მამას. ელისომ რაღაც უპასუხა, ელიზბარის მაგივრად, მაგრამ მისი ხმა კატერის ღმუილში ჩაიკარგა. ნაპირთან სამგზავრო კატერმა დაიდმუყლა, გასეირნების მსურველებს მოუხმო, ერთხელ გაბმულად — მუუუუუუ — და ორჯერ მოკლედ — მუ! მუ!

— შენ ის გაღიზიანებს, დედა რომ არ დამიძახნია შენთვის. ხომ მართალი ვარ? — გვერდულად გახედა ლიზიკომ ელისოს.

— სამაგიეროდ, მე ომბრე შეგარქვი, პატარაობისას... ომბრე, ომბრე, ომბრე... ასე გეძახდა მთელი ქვიშხეთი. გახსოვს? — მიესიყვარულა ელისო.

— ღმერთო, როგორ მეჯავრება იქაურობა — გულწრფელად აღმოხდა ლიზიკოს.

— ნუ სუღელლობ! ღმერთი გვიწყენს! მტკვარი ნამდვილად ფერადი მდინარეა: დილით შავი მოდის, დღისით ყავისფერი, საღამოს კი ლურჯი... — ფიქრიანად თქვა ელიზბარმა.

მაჯებს ქვემოთ ხორცი გასძვრომოდა და თითების ნაცვლად, უშნოდ დაკრუნხულ ძვლებს ათამაშებდა. "მტკივა. მტკივა. მტკივააა". — ტიროდა ბავშვივით. "რა გატირებს, მამა, რა გატირებს?! ასე უკეთესად დაბეჭდავ, აგერ ნახავ" — ამშვიდებდა ლიზიკო. "ელიზბარ, ელიზბარ, ელიააა" — ტიროდა ელისოც.

— შენ რაღა გატირებს?! — უყვირა ლიზიკომ — შენ რა გენადვლება?! შენთვის მამაჩემი მხოლოდ მწერალია, სახელოვანი, პატივსაცემი, დასაფასებელი... მასთან ერთად საამაყოცაა ხალხში გამოჩენა, გნებავთ, ემიგრაციაში წასვლა... საღალბოა თუ რაც არის, უკვე ემიგრაციაში ვართ... ეს არის ყველა ქართველის ოცნება. მამაჩემი რომ არა, შენც თბილისში იჯდებოდი ახლა და არა აქ, ვანზეეში, ტბის პირას, კაპიტალისტის სასახლეში...

— ვანზეე ტბა არ არის, მდინარეა, მდინარის გამონახარდია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მდინარის ანეერიზმაა — შეუსწორა ელისომ.

— ემიგრაციაც თავისებური ანეერიზმაა, ოღონდ, ხალხის სულისა — ჩაერია ელიზბარიც.

— მაგ პოეტურ ლაპარაკს, გირჩევნია ცხოვრებას შეხედო თვალებში — დასცინა ლიზიკომ.

ელიზბარს არ უპასუხია, თავჩაღუნული იჯდა და ცხვირს აქსუტუნებდა, სურდოიანი ბავშვივით.

— და შენ აპირებ ტურნირში მონაწილეობას?! შენა ხარ ტახის მომრევი?! — ტუნი აუბზუა გულხელდაკრევილმა ლიზიკომ.

"ეს არის ასლი მიგელ დე სერვანტეს საავედრას შუბისა, რომლის დედანიც არსად არ ინახება, რამდენადაც არ არსებობს ბუნებაში და არც არასოდეს არსებულა, მხოლოდ და მხოლოდ, მწერლური ფანტაზიის ნაყოფიაო" — თქვა ქალაქის თავმა რადიოში და, იმავე წამს, დიდყურა გრიგოლამ ფოლადის ბუნიკიანი შუბი ელიზბარს მიაჩეხა ხორცგაცლილ ხელში.

— ვფიცავ! — თქვა ელიზბარმა მღელვარედ და შუბს თვალი ააყოლა შეფარვით. ბუნიკის წვერს მზის სხივი წამოსდებოდა, აბრეშუმის ძაფივით.

ლიზიკოს აშკარად ეწვინა მამის უყურადღებობა, ერთბაშად წამოენთო და წარბები თავისთავად გადაეჭიმა შუბლზე. ისიც კი იფიქრა, ხომ არ ავდგე და წავიდე აქედანო, მაგრამ სად უნდა წასულიყო ამაზე უკეთეს ადგილას. ტბის ლაპლაპა ზედაპირზე ფერადი აფრები გამწკრივებულიყვნენ, სხვადასხვა მხარეს გადახრილები... "სპარტაკ! სპარტაკ! სპარტაკ!" — ყვიროდა მდინარის პირას თავშეყრილი ხალხი. ლუდის გახსნილი ბოთლიდან შიშინით ამოვარდებოდა ხოლმე თოვლივით ქათქათა ქაფი და, მადისაღმძვრელად დასვრეტილი, ზანტად ჩამოეწეწებოდა ბოთლის ყელს. მდინარის პირას, პატარა მოედანზე, მაღალი ბალახი ხასხასებდა მწვანედ. ჩრდილოეთურად მსუყე და ნოტიო. მოედნის ერთ ბოლოში ფიცრის გომური იდგა, ძველი და უფერული. კარზე დაჟანგული ბოქლომი კეიდა.

— ათ წუთში ვიწყებთ — ჩანჩურჩულა დიდყურა გრიგოლამ ელიზბარს.

— კი მაგრამ, ჯერ ვლაპარაკობთ, ჯერ არ დაგვიმთაერებია საუბარი... ხომ უნდა ვიცოდე, რა შეემთხვა ჩემს შვილს ქვიშხეთში?! — შესძახა ელიზბარმა და დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა, რადგან უცებ მოეჩვენა, თითქოს ხალხის ზღვიდან ვიღაცა რაღაცას ანიშნებდა — ნეკა თითოთ რამდენჯერმე მოიფხანა შუბლი — მაგრამ ვერაფრით ვეღარ გაიხსენა ახლა, რას ნიშნავდა ნეკა თითოთ შუბლის მოფხანა, თუმცა, გინდაც გაეხსენებინა, განა რამე შეიცვლებოდა?! ოცდათორმეტი წლის შეთქმულებმაც მშვენივრად იცოდნენ ნიშნების ენა, მაგრამ რას მიაღწიეს?! მოლაღატემ მაინც ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, სასაუბრო ენაზე გასცა ისინიც... ორკესტრი კი, თანდათან ეშხში შედიოდა. ჰაერს ზრიალი გაუდიოდა. ნახერხის მაგვარ სილაში ტიტლიკანა გოგო-ბიჭები თამაშობდნენ. ბიჭები ფრანის აფრენას ცდილობდნენ. ფრანი ჯიუტობდა. ცოცხალივით კი ასავსავებდა გრძელ კუდს, მაგრამ გაუშვებდნენ თუ არა ხელს, მაშინვე სილაში ესობოდა ცხვირით. ხელიხელჩაკიდებული გოგოები წრიულად ტრიალებდნენ ადგილზე. ადგილზე ბზრიალებდა მომაკვდავი ჭრიჭინაც. ამოდ შლიდა სიფრიფანა ფრთებს და ამოდ აჩენდა მოვარდისფრო იღლიებს...

— კი მაგრამ, არ შეგეშინდათ? არ მოგერიდათ მაინც? მარტონი ხომ არ იყავით? — ვერ მალავდა თავის გაოცებას ელისო.

— რა გინდა, ელისო, ჩემგან? რამდენჯერ უნდა გითხრა ერთი და იგივე? რა თქმა უნდა, შეგვეშინდა — გულუბრყვილო კეთილსინდისიერებით აღიარა ლიზიკომ — ჩემი დედამთილის გარდა, ყველანი იქ ვიყავით... ჩემს დედამთილს, მაინცდამაინც, არ უყვარს ქვიშხეთი... დიდყურა გრიგოლა და ანტონი ბარგს ალაგებდნენ მანქანაში. ტასო ძალომ თვითონაც არ იცის, როდის სად არის... უელეზნი გამაკში იწვა... მაგრამ უკვე აღარ ვეკუთვნიდი ჩემს თავს... ხომ გითხარი?! — გაღიზიანდა უცებ. შეიძლება, შერცხვა თავისივე ნალაპარაკებისა, მაგრამ მაინც გააგრძელა, ახლა უკვე ხაზგასმული პათეტიკურობით — უკვე ბრმად, სიტყვის შეუბრუნებლად ვასრულებდით ზებუნებრივი ძალის ნება-სურვილს...

— უსირცხვილო, უსირცხვილო! — გააწვევტინა ელისომ, რადგან მთელი არსებით იგრძნო უცებ, როგორ ახრჩობდა მის ქმარს ძლივს მოთოკილი სიბრაზე, როგორ ითრგუნებოდა შვილის სითაგხედითა და უსირცხვილობით — არ დაუჯერო, ელიზბარ! გთხოვ! არ გატყდე! — მიუბრუნდა ქმარს — ტყუის ყველაფერს. მე მაგიუებს, მე მიხეთქავს გულს... ჩემთანა აქვს საქმე... აქამდე ვერ მაპატიო... დედაჩემი ცოცხალი იყო, შენ რომ მამაჩემს ეკურკურებოდიო... შენ ხომ მაინც იცი, ელიზბარ! ღმერთო ჩემო! მარტო ჩემმა უბედურმა ქმარმა იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა ჩემს გულში და იმიტომაც ჩაექცა სისხლი. გავიდოდი შუა ზღვაში და უკიდვანო წყალი მარყუევით რომ წამიჭერდა კისერში — ელიზბარ, ელიზბარ, ელია-მეთქი — ვევიროდი გიჟივით... მაგრამ გინდაც გეწყინოს, გინდაც არა, სიმართლე მაინც უნდა ითქვას, თუნდაც აქ, საზღვარგარეთ... მამაშენის აღმა ხნული კაშელებმა დაღმა ფარცხეს... კაშელების ბღღვრიალა ჭაღებს ისევ თაფლის წმინდა სანთელი გერჩიოს ყიფიანების წაღოს ხელა სენაკისა, სადაც მე და შენ, მონაზვნებივით, ერთმანეთის ოფლში ვიხარშებოდით ხოლმე ზაფხულობით... აღარ გახსოვს?

— მახსოვს — ფიქრიანად თქვა ლიზიკომ — ყოველ დამე მინდოდა დამეხრჩვე... ბალიში დამეფარებინა შენთვის პირზე და ზემოდან დაგწოლოდი, ვიდრე გაიგუდებოდი...

— გესმის, რას მეუბნება? — შესჩივლა ელისომ ელიზბარს — დიდი მადლობა. მეტის ღირსი ვარ შენგან — მიუბრუნდა ისევ ლიზიკოს, მაგრამ მაშინვე ხელები აიფარა სახეზე და აქვითინდა. ჭილის ქუდი მოებრიცა, მაგრამ ამისთვისაც აღარ მიუქცევია ყურადღება.

— რა გატირებს, შე დებილო? შენ რაღა გატირებს? თავი ხომ არ უნდა მომაკვლევივით, რა გინდათ ჩემგან? — უყვირა ლიზიკომ.

— ხომ ხედავ, რა დღეშია შენი შვილი — ისევ ელიზბარს მიმართა ელისომ. ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა — უშეველე რამე, სანამ დროა... მამა ხარ, გემუდარები, გევედრები... ცოდოა, ელიზბარ, ცოდოა... ჩვენი ბრალია, ვერ გავზარდეთ, ვერ ვასწავლეთ ვერაფერი...

— როგორ ვერ ვასწავლეთ, თქვენგან ვიცი, რაც ვიცი — გაიცინა ლიზიკომ.

— შენ რომ შემეყვარდი, იცი, პირველად ვის გუთხარი? ჩემს ქმარს! — გააგრძელა ელისომ — იცი, რომელია ახლა ჩემი ყველაზე შემზარავი სიზმარი? ვითომ, ჩემი ქმარი ცოცხლდება და, იმის მაგივრად, მიხაროდეს, თავზარდაცემულმა, აღარ ვიცი, როგორ გუთხრა, არ გაცოცხლდე, შენთან ვეღარ ვიცხოვრებ-მეთქი...

— კაი ეშმაკი ხარ, ვინც არ გიცნობს — ისევ გაიცინა ლიზიკომ.

— ეშმაკები კაშელებში მოიკითხე — გაბრაზდა ელისო. მობრეცილი ქუდი გაისწორა, თვალები ხელის ზურგით ამოიმშრალა და ჩვეული ხმით გააგრძელა — სხვათაშორის, შემთხვევით არ შეადარე წვედან მამაშენი ოიდიპოსს... თუმცა, მამაშენზე მეტად, შენ შეგფერის ოიდიპოსობა. ეგაა რომ, ოიდიპოსმა არ იცოდა, რას სწადიოდა და მაინც დაითხარა თვალები, შენ კი, იცი და მაინც ცდილობ, თვალი დაგვიყენო ყველას შენი განუსაზღვრელი, განუსჯელი, განუკითხავი თავისუფლებით...

— რა გინდა ჩემგან, ელისო? რა გინდათ ჩემგან? მეჯავრებით ყველანი! — იყვირა ლიზიკომ.

— ელიზბარ, ელიზბარ, ელიაა — ისევ აქვითინდა ელისო.

— გაჩუმიდით! — ბრძანა ელიზბარმა და შუბის ბოლო ხელმწიფურად დაჰკრა იატაკს — გაჩუმიდით — გაიმეორა, უკვე შემრიგებლურად — ნუ გადავრევთ ამ უცხო ხალხს... ნუ ვათქმევინებთ, ეს ვინ ყოფილანო...

— მე არავისი არ მრცხვენია, რაც უნდათ, ის თქვან — გაჯიქდა ლიზიკო.

— ელიზბარ, ელიზბარ, ელია ა ა — მოთქვამდა ელისო.

— ელისო, ელისო, ელისოკა — დაუყვავა ელიზბარმა — ხომ იცი, არც მიწისა ვარ, არც ცისა... შენ მაინც დამზოგე... ნუ მიმატოვებ განსაცდელის უამს...

— რა რა დავაშავე მე ელიზბარ შვილი შვილი შვილივით მიყვარს თავს თავს თავს მირჩევნია ან შენ ან შენ როგორ უნდა მიგატოვო იცი რას მეუბნება ხოლმე შენი პირველი ცო ო ოლი?! ყოჩად ქალი შენ ყოფი ყოფილ ყოფილხარო... რომ მიგა მიგა ტოვო იცი რას მეტყვის?! ფუი ფუი ფუი შენს ქალო ქალო ბასო... — სლუკუნებდა ელისო.

— შენ ისე ჭრი და კერავ, როგორც ხელს გაძღვეს — თქვა ლიზიკომ და სარკის წინ დაბზრიალდა — უი, რაღაცაში ჩამეჯდარვარ. ნახეთ, რას მიგავს შარვალი!

— როდემდე უნდა იარო ასე, თბილისელი ხულიგანივით, ჩაიცვი კაბა, სირცხვილია, სტუმრად ვართ მაინც — უთხრა ელიზბარმა და "საერთოდაც დროა, მოვემზადოთ ყველანი, მძიმე დღე გვიდგას, დამთავრდა ჟამი ქვების მოგროვებისაო" — გააგრძელა გუნებაში.

— თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ... აღარ შემიძლია მეტი — თვატრალურად შეჰყვირა ლიზიკომ და ჯინსის ჯიბიდან სამართებელი ამოაძვრინა. გახსნილი სამართებელი მინი ელვასავით გაერთა მის ხელში.

"დროა" — გაიფიქრა ელიზბარმა და დიდყურა გრიგოლა მოიძია თვალით, მაგრამ ვერსად მიაკვლია მის ყვითელ ლივრესა და მწვანე შარვალს.

— დროა! — თქვა ხმამაღლა და ერთხელ კიდევ დაჰკრა შუბი იატაკს...

მერე თავდაღმართში მიდიოდნენ და ცდილობდა მშვიდად, აუჩქარებლად ჩათავებინა დაღმართი, რაც არც ისე იოლი საქმე გახლდათ, რადგან, ყველა სიკეთესთან ერთად, ვიწრო ბილიკი ცოცხალ არსებასავით სხმარტალვდა ფეხქვეშ. ქვემოთ ხალხის ზღვა ტორტმანებდა. სასწრაფო დახმარების მანქანა წივილ-კივილით შევარდა ხალხში. ეტყობა, ვიღაცას გული შეუღონდა სიცხისგან, ანდა მღელვარებისგან... ხალხის ზღვა ყრუდ გუგუნებდა, ხოლო მდინარის მხრიდან მოულოდნელად ორკესტრის ხმა შემოიჭრებოდა ხოლმე და ასევე მოულოდნელად ჩაიკარგებოდა სადღაც. მზე ბრჭყვიალებდა ყველაფერზე, რასაც კი მისი არეკვლის უნარი ჰქონდა მინიჭებული ბუნებისგან. ნამდვილი ზაფხულის დღე იდგა, ქვიშეთური. ელიზბარს რომ უყვარს, ისეთი. გულივით გაუდიოდა ბაგაბუგი დასიცხულ ჰაერს. ყველა ხე, ყველა ბუჩქი თავისებურად ზუზუნებდა, ბზუნდა, სისინებდა, ათასნაირ მწერდასეული. ბიბინებდნენ მღელვები, ფარდაგებივით ჩაფენილნი კორომებს შორის. შორს, ტბის სარკისებური ზედაპირი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ეს წუთია გამსკდარი მაშხალის ნაპერწკლებივით ირეოდნენ ერთმანეთში პეპლები, ფუტკრები, კრაზანები, ნემსიყლაპიები, კოლოები, ხოჭოები... ციყვი ნაძვის გირჩს შეექცეოდა გამალებით, თითქოს დრო აქვს განსაზღვრული, თითქოს სადაცაა, ტყვია უნდა დაახალონ თვალშიო. და მაინც, მძიმე, ამაფორიაქებული დაძაბულობა სუფევდა ამ, მართლაც, ზღაპრულ, სამყაროსგან თითქოს თავისი განუმეორებელი სილამაზით გამოყოფილ მიწის ნაკლეჯზე... თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო, კიდევ უარესი... ანდა, უკვე მომხდარიყო, მაგრამ ჯერ აქამდე არ მოედწია მის დაძაქცევარ გამოძახილს... თავს არ იხოგავდა ჭრიჭინების ორკესტრი — ზაფხულის პეწი — მაგრამ, დახეთ, ალვას უკვე შეჰყვითლებოდა კენწერო. "რა ლამაზია, ეს შეჩვენებულო!" — მღელვარედ გაიფიქრა ელიზბარმა. ესე იგი, ადრე თუ გვიან, ეს ზაფხულიც მიიწურებოდა. მოახლოვებოდა შემოდგომა. შემოდგომა ყველაფერს გადათიბავდა. შსშსშ... სშსშს... შსშსშ...სშსშს... ანტონს უყვარს ცელის ხმა. ელიზბარსაც უყვარს. "გემინოღეთ, ბატონებო, შემოდგომისაო" — ფიქრობს გუნებაში. თანდათანობით სიცოცხლე სიკვდილში გადაიზრდება. ბუნებისთვის — კიდევ ერთხელ, ელიზბარისთვის და მისნაირებისთვის — ერთხელ და სამუდამოდ. რასაკვირველია, მტკივნეული პროცესია. ალბათ ბუნებისთვისაც, მაგრამ ბუნება არ იმჩნევს. მშვიდად შფოთავს. უფრო სწორად, ხან ჭოტის პირით ამბობს თავის საწუხარს, ხან ბაყაყის და ხან ძროხის... კუთავს, ყიყინებს, ზმუის... მტკივნეული პროცესია, შემაშფოთებელიც, შემაწუხებელიც. რაც მთავარია, დამაჰკვებელიც. "სად მიდიხარ, რო მიდიხარ?!" — ფიქრობს ელიზბარი. მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც მოგიწევს სერიოზული გადაწყვეტილების მიღება. მთავარია, არ შეგეშალოს. მეორეჯერ აღარ იქნება. სჯობს, გაბითურებული დაიღუპო, ვიდრე გადარჩენილი გაბითურდე. საკმარისზე მეტია, რაც დათმე, რაც მოითმინე (თუნდაც, შვილის გამო). მაგრამ, გათავდა! აივსო მოთმინების ფიალა. ზედმეტ წვეთს ზღვაც ვერ იტანს, ისიც გადმოდის ნაპირებზე, ცოფდება, დუემორეული მისდევს ჭრელაჭრულა პირსახოცებიანა და რეზინის გასაბერი ლეიბებიანა წამოცვენილ და აწივლებულ დამსვენებლებს. გაუთამამდნენ ძალიან. თავზე დაასხდნენ. მსახურად გაიხადეს. დაავიწყდათ, ისიც რომ ადამიანია, გული აქვს, ღირსება, სიამაყე... ხოდა, თვითონ იცის ახლა! იმის ნაცვლად, ხელი არ ჩამოერთმია, ზურგი შეექცია სამშობლოს მძორის მატლისთვის, შვილი აწუქა, შვილი მიუგლო საჯიჯგნელად. ვინც სამშობლოს მოღალატეს ხელს ართმევს, თავადაც მოღალატეა. "ეს გადამდები სენია, მეგობრებო" — ფიქრობს ელიზბარი. შეხებითაც გადადის. ამიტომაც დაღპა ქვეყანა ზეზუურად. გარჩევა არ არის. ყველას ეშინია, არ იფიქრონ, ეშინიაო და, მეორე წუთას, უკვე იმათნაირია თვითონაც, მისდაუნებურად, მაგრამ მაინც შეგნებულად, რადგან იცის, როგორ არ უნდა მოიქცეს და მაინც ისე იქცევა, როგორც არ მოიქცეოდა, მეტი სიმტკიცე და ღირსება რომ შეენარჩუნებინა. კი არ უნდა დანათესავებოდა, თავიდანვე უნდა მოეკეთა (წელი რომ ჰქონოდა!), როგორც დამპალი კიდური... ამოეშანთა, როგორც წყლული, სიმსივნე... ღრმად, საიმედოდ ჩაემარხა მიწაში, რადიაციული ნარჩენებივით... "ღარბი, მაგრამ პატიოსანი ცხოვრებაა ერთადერთი ხსნაო" — ფიქრობს ელიზბარი. მხოლოდ ის ჩაუწყნარებთ ყველა სატიკვარს და, ერთ მშვენიერ დღეს,

მოულოდნელად, ენითუთქმელი შვებითა და ნეტარებით იგრძნობენ... თუმცა, არა, ისინი ალბათ ვერ იგრძნობენ, მაგრამ ისტორიული სიბინძურიდან პეპელასავით ამოფრინდება მათი გადარჩენილი და, რაც მთავარია, განწმენდილი სული...

"სიტყვას ხომ არ გვეტყვი, ვიდრე დავიწყებდეთ" — შეეკითხა ელიზბარს ქალაქის თავი, რადიოს მეშვეობით.

— დიახ. მადლობთ... — აღელდა ელიზბარი. იგრძნო, უაღრესად მნიშვნელოვანი წუთი დგებოდა მის ცხოვრებაში, ფრიად საპატიოც და ფრიად სახიფათოც... არაფრის მცოდნეთათვის უნდა წარედგინა არაფრის მქონენი — არც სახელის, არც წოდების, არც მამულის... მისი ორატორული მონაცემები ნამდვილად არ ეყოფოდა ამ საქმეს, მაგრამ მაინც უნდა ეღონა რამე, ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, ცეცხლში ჩავარდნილიყო, მიწა გაეხეთქა, ცისთვის კარი შეება და პირნათლად მოეხადა ვალი უბედური სამშობლოს წინაშე — დიახ. მადლობთ... — გაიმეორა, დროს მოსაგებად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ფრაზას. თუ თავიდანვე ვერ დააინტერესებდა ამ უცხო ხალხს, ლუდის, მზისა და მდინარის სუნით გაჟღენთილი, თავდაც სტიქიასავით რომ ტორტმანობდა მოედნის გარშემო, მერე ველარაფერს გააწყობდა, არათუ არ მოუსმენდნენ, შეიძლება კინწის კვრითაც გაეგდოთ აქედან. ფაცაფუცით, უსიტყვოდ შევედრა გუნებაში ყველა ქართულ სალოცავს, წარმართულსაც და ქრისტიანულსაც, და დაიწყო: გილგამეშთანაც მიკამათია... (სამარისებური დუმილი ჩამოვარდა). ტროას ცხენზე ვმჯდარვარ... (დუმილი კიდევ უფრო დაიძაბა). ბაბილონის ბორღელში მიხსუბია მთვრალს... (ატყდა და რა ატყდა: სტვენა, ყიჟინა, ტაში... და უფრო თამამად გააგრძელა). თქვენი დიდი ფრიდრიხი ჩვენს პატარა კახს უტოლებდა თავს... (ამჯერად, უფრო სახიფათოდ დადუმდა ხალხი და ელიზბარიც სასწრაფოდ შეეცადა დაძაბულობის განმუხტვას). მე მინდოდა მეთქვა, თქვენი დიდი ფრიდრიხი არასწორად იყო ინფორმირებული ჩვენი პატარა კახის გაბარიტების თაობაზე-მეთქი... (ხალხმა გაიცინა). იცით, რატომ? ჩვენი მტრები ატყუებდნენ, რაში ჭირდება შენი მიხმარება, იქით აწიოკებს სპარსეთსა და ინდოეთს... არადა, სკამიც არ ჰქონდა, ზედ რომ ჩამოეღო უკანალი (ხალხმა ისევ გაიცინა). ახლაც იგივე გრძელდება. თქვენ არაფერი იცით, რადგან რაც იცით, იმიტომ იცით, ის რომ არ იცოდეთ, რისი ცოდნაც აუცილებელია ჩვენთვის (ვიდაცამ დაუსტვინა). კი ბატონო, მოვეშვათ პოლიტიკას. მაგრამ მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ანტონ კაშელი მამის მომრევი არ არის. ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ და თავად განსაჯეთ. იცით, რას განიცდის? წესიერ და პატიოსან კაცად არ ჩამთვალოს ვინმემო, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, წესიერი და პატიოსანი აღამიანია. წესიერებაა მისი მთავარი ნაკლი და პატიოსნების გამო ისჯება... იმედია, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ, თუმცა, ჩემი სიძეა და ვიდრე სიძე გახდებოდა, გულითადი მეგობრები ვიყავით. მაგრამ ჭეშმარიტება მეგობრობაზე მადლა დგას. ჭეშმარიტება კი ანტონის საზიანოდ მეტყველებს. კოსმოპოლიტთან პატრიოტია და პატრიოტთან კოსმოპოლიტი. იცით რატომ? იმიტომ რომ, თქვენგან განსხვავებით, უსამშობლოდ გაიზარდა, თუმცა, ფეხიც არ გაუდგამს სამშობლოს გარეთ. უბრალოდ, ისე კარგად შეუნიღბეს უფროსებმა სამშობლო, ვერ მიაკვლია, როგორც შავ კატას ბნელ ოთახში. უფრო სწორად, ქვიშხეთელი ბიბლიოთეკარის, გიჟი ნიკოლოზის წიგნებში მიაკვლია მხოლოდ. ამიტომ, არც თქვენთვის წარმოადგენს რამეს. თქვენთვის არ არსებობს-მეთქი, მინდოდა მეთქვა. თუმცა, რასაკვირველია, ნამდვილად არსებობს. აკი ვითხარით, სიძეა ჩემი. უბრალოდ, თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორც შავ კატას ბნელ ოთახში... ახალგაზრდობა ჩვენი ხვალისნდელი დღეა, მაგრამ ჩვენი ხვალისნდელი დღე დიდად არის დამოკიდებული თქვენს დღევანდელ გუნება-განწყობაზე. მთავარია, გაერომ დაგვზოგოს, თორემ ევრობანკი ყოველთვის მოგვცემს სამიდან ერთს... უფრო სწორად, სამს მოგვცემს, ორს უკან წაიღებს... ორი თვითონ, ერთი ჩვენ... იმ ერთისთვისაც დიდი მადლობა... თითქმის არაფერში... მაგრამ მთელი ჩემი პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, საქართველოში ქართველის გარდა, ჯერჯერობით არავინ დაჩაგრულა. რაც დიქტატურამ დაგვაკლო, დემოკრატიაში შეგვითავა... მოკლედ, ჩვენ შინიდან გავრბივართ, სხვები ძალით გვივარდებიან შინ. მაგრამ ეს ვისი რა ბრალია?! ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს. და მთავარია, არ დაირღვას დემოკრატიული პრინციპები; ანუ, არც ჩვენიანს დავუშალოთ გაქცევა და არც უცხო — ჩვენს ჭერქვეშ დამკვიდრება... მოყვრად მოსული სტუმარი კი არა, ვერცერთი ჩვენი დაუძინებელი მტერიც ვერ იტყვის, კუდამოძუებული გამომაბრუნეს უკანო... დიახ, ჩვენ ვარსებობთ, მაგრამ არ ვჩანვართ... ვიდრე ჩვენს ბინებშიც არ აინთება სინათლე... მადლობთ ყურადღებისთვის...

ხალხს უფრო შვების ოხვრა აღმოხდა, ვიდრე თანაგრძობისა, თუმცა, აქა-იქ კანტი-კუნტად, ტაშიც გაისმა.

"მადლობთ, უფალო, ძალა რომ მომეცი და ბოლომდე მათქმევეინე სათქმელიო" — ფიქრობდა საკუთარი თავით ფრიად კმაყოფილი ელიზბარი და ელისოსა და ლიხიკოს დაეძებდა ხალხში თვალთ, მაგრამ ვერ ხედავდა, ისე იყო დაბრმავებული წარმატებისგან. სამაგიეროდ, ისინი ხედავდნენ, მაღლა აწეულ ცერებს აჩვენებდნენ და ჰაეროვან კოცნებს უგზავნიდნენ შორიდან. მისი ასეთი ჭკვიანური და თამამი გამოსვლით მოხიბლულებს, უფრო ამაყად და გამომწვევად ეჭირათ თავი.

— მე უკვე მზად ვარ! — თქვა ელიზბარმა ხმამაღლა.

"გაადეთ... გამოუშვითო" — მაშინვე იყვირა ქალაქის თავმაც რადიოში და დიდუფრა გრიგოლა თავპირისმტვრევით გამოვარდა ნაპირზე გამართულ ღია ბუფეტთან. თან გზადაგზა იღეჭებოდა და ხელის ზურგით იწმენდა მდოგვით მოთხუნულ პირს. ხის გომურთან მიიბრინა, ჟანგიანი ბოქლომი გასხნა და სიბერისგან თუ სიბრაზისგან აღრჭიალებულ-აჭრაჭუნებული კარის ორივე ფრთა ერთდროულად გამოაღო. თვითონ, ერთ-ერთი ფრთის უკან იმალებოდა, ვიდრე მწვანე მინდორზე სამკედრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ ერთმანეთს ელიზბარი და მისი გაპირუტყვეებული მძახალი.

— ავე, ცეზარ, მორუტური ტე სალუტანტ! — შესძახა ელიზბარმა რომაელი გლადიატორივით და შუბი თავს ზემოთ შემართა.

გომურის კარის ჭრილიდან თანდათანობით გამოიზღაზნა ჩახუთული, ორთქლიანი წყვდიადი და უცებ, საზარელ, ბანჯგვლიან არსებად გადაიქცა: ერთსა და იმავე დროს, რაუდენ კაშელიც იყო და გარეული ტახიც, ობოლ ბიჭებს რომ გამოედევნებათ ხოლმე შესაჭმელად ქართულ ზღაპრებში, ეშვებიანი, ტალახიან ქეჩოზე ჯაგარაშლილი...

— შინ ვერაფერი დამაკელი, ვერც შენი ჯადოსნური სავარცხლით, ვერც შენი ჯადოსნური სარკით, ვერც შენი სალი ქვით, და ახლა ამათი ხელით მისწორდები არა, შე სუკის აგენტო — დვარძლიანად შეუდრინა ელიზბარს.

— ვფიცავ! — მტკიცედ თქვა ელიზბარმა და შუბის წვერი ტახს მიუშვირა.

"დრანგ ნახ ოსტენ!" — იღრიალა ხალხმა.

ტახი ცუხცუხით უვლიდა მოედანს ირგვლივ და ტლანქი, ღონიერი ჩლიქებით თხრიდა ბალახს. ტახის ნაჩლიქარებმა ერთბაშად დააუშნოვა იქაურობა. მოთხრილი ბალახის ადგილას სველმა, ახელილმა მიწამ გამოაჭყიტა შავად. "ოლღე, ოლღე, ოლღე" — ღრიალებდა ხალხი, ხოლო, ტახმა, ტახისგან მოულოდნელი სიმსუბუქით, კამარა შეკრა და ელიზბარისკენ გაფრინდა, ეშვებალაპლაპებული. ელიზბარმა გვერდზე გახტომა მოასწრო, მაგრამ ტახმა მაინც გაჰკრა მხარში ეშვი და პერანგი ხორციანად გაუგლიჯა. სისხლმა მაშინვე ჩამოუშავა მთელი სახელო და დაბნეულმა ელიზბარმა ელისოს გახედა. "არ გატყდე, ელიზბარ, არ გატყდე! ბალახი მოისვი და მოგირჩება!" — დაუძახა ელისომ. მართლაც, ელიზბარმა ბალახი მოგლიჯა, ჭრილობაზე მოისვა და ჭრილობამაც მაშინვე შეიკრა პირი. ხელის მტევნებზეც ისევ აესხა ხორცი. "აი, ამიტომაც აქეთ უცხოელებს კარგი წამლებიო" — გაიფიქრა გულმიცემულმა ელიზბარმა და ესიამოვნა საკუთარი იდაყვით საკუთარ ნეკნებზე მიჭერილი შუბის ტარის მრგვალი სიმკვრივე. ტახი წერილი, ჩაწითლებული თვალებით უყურებდა და ალბათ მორიგი შეტვევისთვის ემზადებოდა. "ახლა გამონდება, ვართ თუ არა ღირსნი თავისუფლებისაო" — გაიფიქრა ელიზბარმა მღვლეარე სიამაყით. "მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსაო" — დაუძახა ლიზიკომ რაჟდენს. ელიზბარი მზად იყო საამისოდ. ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, მამასა და საყვარელს შორის, ქალიშვილს აუცილებლად საყვარლის მხარე უნდა დაეჭირა. მაგრამ მაინც გაკვირვებულმა და, ცოტა არ იყოს, გულნატკენმაც გახედა შვილს, სულ ერთი წამით, მაგრამ ტახისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, ყუმბარასავით რომ დასძვერებოდა გულმუცელში და პირადმა გადაექცია ატალახებულ მინდორზე. ელიზბარს შუბი ხელიდან გაუფარდა. ხალხის ზღვამ ყრუდ ამოიგმინა. ტახი წინა ფეხებით მკერდზე შეადგა წაქცეულ ელიზბარს და დორბლიანი დინგი მტკივნეულად ამოჰკრა ნიკაპს ქვეშ. მარცხენა ყური ლამის აახია ეშვით. მაგრამ ელიზბარს, რატომღაც, ესეც ესიამოვნა. "ღმერთო, ღმერთო, რა კარგიაო — ფიქრობდა სანახევროდ გონდაკარგული — რა ჯობია, იწვე ასე შენთვის, ტრიალ მინდორში... არც იცოდე სად და არც იცოდე რატომ... შორს, შორს ყველასგან და ყველაფრისგან, მტრისგანაც და მოყვრისგანაც, უცნობისგანაც და ნაცნობისგანაც, ტყუილისგანაც და სიმართლისგანაც, გაავაზაკებული პოლიციელისგანაც და გაპოლიციელებული ავაზაკისგანაც... ყველაფრისგან... ღმერთო, დიდებულო... ყველაფრისგან, რაც შენამდეც იყო და შენს მერეც იქნება... გაპარტახებულ სოფლებისგან, გაჩეხილ ვენახებისგან, გაუპატიურებულ გოგოებისგან (და არა მარტო გოგოებისგან), ცოცხლად დამწვარ ბიჭებისგან (და არა მარტო ბიჭებისგან), ღრმად, ტკბილად, მყუდროდ მძინარე მშობლიური ხალხისგან და ქვიშხეთური ზაფხულებისგანაც კი... ყველაფრისგან, რაც შეგნებულად გვრყენიდა და გვაგზავნიდა ამ შერცხვენისთვის... ამ მონური განცხრომისთვის..." ხოლო, ვიდრე ელიზბარი ასე ფიქრობდა, ზედ გადაბოტილმა ტახმა ცხელი, ორთქლიანი და მყრალი შარდი გულ-მკერდზე დააქცია. მაგრამ ელიზბარს ესეც ესიამოვნა და სიამოვნებისგან თვალებიც კი დახუჭა, ჩაიძირა, ჩაეფლო ამ ამაზრზენი სიამოვნების შლამში. "მამა, მამა, მამა!" — ჩაესმა უცებ შვილის ხმა და დაფეთებული წამოვარდა ფეხზე. არანაკლებ დაფეთებული ტახიც მაშინვე გვერდზე გახტა და გაგულისებულმა მიწა მოჩიქნა დინგით. "კახპაე, კახპაე! შენა ხარ ჩემს მკვლელებში ყველაზე მეტი მკვლელიო" — დაუძახა ლიზიკოს და თავადერილი, ეშვებაელელებული, ისევ ელიზბარს მიეტანა. ელიზბარმა შუბის აღება კი მოასწრო, მაგრამ წესიერად ვერ მოიმარჯვა, შეტრიალებული ეჭირა, წაღმა-უკულმა, და იძულებული შეიქნა, მისკენ გამოქანებული ტახისთვის შუბის ტარი დაეკრა დინგზე. გამწარებულმა ტახმა თვალებიდან ნაპერწკლები გაჰყარა, წონასწორობა დაჰკარგა და, აჭყვირებულმა, ხალხის ზღვისკენ გადაუხვია. ხალხის შეშინებულმა ზღვამ უკან დაიხია. მაგრამ ელიზბარმა, ამასობაში, შუბი გაასწორა და შუბის წვერი ატაკა ტახს თეძოში. ტახმა კიდევ უფრო დაიჭყვირა და ისევ მისკენ შემობრუნდა. "დამჭერი ხომ, შე დამპალო... ხელში დაგაჭყერინებ ნაწლავებს..." — დაემუქრა რაჟდენი ელიზბარს და, გამწარებულმა, სამ ფეხზე შემოურბინა მოედანს. მეოთხიდან სისხლი სდიოდა. "ოლღე, ოლღე, ოლღე" — ღრიალებდა ხალხი. "აი, ასე გესმით თქვენ თავისუფლება — თქვა რაჟდენმა — ყველას ცხვირი

ჩააყოფინეთ თქვენს სიბინძურეში". "ძალიანაც კარგი. ყველამ გაიგოს, რა დღეში ვართ" — უპასუხა ელიზბარმა. თან თვალს არ აშორებდა და მთელი ძალით ბლუჯავდა შუბის ტარს. კვლავაც მზად იყო საომრად, თუმცა, თავფეხიანად ტალახში ამოგანგლული და ტახის შარდის სუნით აქოთებული, ძლივს იდგა ფეხზე. "მე შენ ერთხელ, მართლა მიყვარდი, შე დებილო" — დაუძახა ლიზიკომ რაუდენს. "შენც გეტირება დედა, ძირგავარდნილო გომბიო, ოჯახის ბოზო... ქუჩაში წაგაყუდებენ აქ..." — დორბლთან ერთად ამოაფრქვია რაუდენმა და ბრაზიანად მოჩიქნა მიწა წინა ფეხებით. "ოლლე, ოლლე, ოლლე" — ღრიალებდა ხალხი. ტიტლიკანა ბიჭებს, როგორც იქნა, აეშვათ ფრანი და ახლა, უკან გადაზნექილები, სილაში კოჭებადმდე ჩაფლულები, დაძაბულობისგან დასერიოხულებულნი ეკიდნენ გაჭიმულსა და გაბრწყინებულ თოკს. სიმთვრელე დაჭიმულ თოკს ელიზბარმა თვალი ააყოლა და ანტონი დაინახა. ხელებგაშლილი ტივტივებდა ჰაერში. თურმე, ფრანი კი არა, ანტონი ეკავათ ტიტლიკანა ბიჭებს თოკით.

— ანტონ! — გაუკვირდა ელიზბარს, მაგრამ მაშინვე აარიდა თვალი, არ დაინტერესდა ზედმეტად. ჯერ ერთი, ტახთან დასამთავრებელი ჰქონდა ორთაბრძოლა, მეორეც ერთი, არ უნდოდა მის ქალებსაც ენახათ, ფრანივით, ცაში მოლივლივე ანტონი. მაგრამ ეტყობა, იმათაც შეემჩნიათ უკვე:

— ჩამოდი ძირს, შე დებილო! ცაში ავფრინდე და, იქაც დამაბან?! — დაუყვირა ლიზიკომ.

— ეგ ხვალინდელი საქართველოა, არ აყვება თქვენი ფეხის ხმას, არ გადავა მამის გზიდან! — შესძახა რაუდენმა და გავეშვებული გამოენთო.

ელიზბარიც მზად დახვდა, შიგ დინგში ატაკა შუბის წვერი და, შენი ბედი, კაცის მოკვლა რომ არ შემოიძლიაო — უთხრა ტკივილისგან გამწარებულსა და დაღლილობისგან აქოშინებულ ტახს. "ხიიი ი ხიიი ი ხიიი ი" — ხიხინებდა ტახი. "პოლისე ვერსო" — ერთხმად შესძახა ხალხმა. "მაგიტომ ვართ, მამა, ამ დღეში, კაცის მოკვლა რომ არ შეგეძლია" — დაუძახა ლიზიკომ ელიზბარს და ქალიშვილის გადმობირებით გულმძიმეულმა ელიზბარმა კვლავ მთელი ძალით ჩაბღუჯა შუბის ტარი და შუბის მომლოდინე, მოლოდინისგან უარესად გაბასრებული ბუნიკი ამჯერად ფერდში აბგერა ტახს და შუბის ბუნიკმა დამპალი ქსოვილივით იოლად გახია ნადირის ხორცი ნეკნებს შორის და წვეტიანი წვერით მისწვდა ნადირის გულს და ნადირის გული ტკივილისგან ერთბაშად შეიკუმშა და ვეღარ გაიშალა და შუბის ტარს — როგორც ღუდის ბოთლის ყელს დასვრებილი ქაფი — მოულოდნელი, მოუთოკავე სისწრაფით ჩამოეწუწა ცხელი, ალისფერი სისხლი და, ერთი წამით, ყველაფერი გადაწითლდა ირგვლივ, სუნთქვაშეკრული ხალხის სახეებიც, ორკესტრის ბრჭყვიალა ინსტრუმენტებიც, ტიტლიკანა გოგობიჭებიც, ტბის ზედაპირზე გამწკრივებული იალქნებიც, ჰორიზონტიც, ცაში მოლივლივე ანტონიც, თავად ცაც... ყველაფერი... და სისხლის შედედებული, ერთბაშად ფერშეცვლილი ნაფლეთებით მოიფინა ოდესღაც მწვანედ მოხასხასე და ამჟამად შავად გადაჩინილი მოედანი და თვალგაშეშებული, ენაგადმოვლებულმა ტახმა ოდნავ გააქნია ცისკენ აშვერილი, გაბურძნული ფეხი და სამუდამოდ გაქავდა. "პრო პუბლიო ბონო" — შესძახა ხალხმა. "მამა, მამა, მამიკო" — ყვიროდა განთავისუფლებული, გაბედნიერებული ლიზიკო და გაშმაგებული კოცნიდა ტახის სისხლსა და ტალახში ამოთხვრილ მამას. მკვდარი ტახის გარშემო ტიტლიკანა გოგონები ფერხულს უვლიდნენ. ტახის ეშვებზე ჩამავალი მზის სხივი ციმციმებდა. ტახის სისხლის გუბეს დიდი, მოღურჯო-მომწვანო ბუხები ეხვეოდნენ. "ტახის თავი ქვრივისააო" — თქვა ელიზბარმა სულგრძელად. "დიდ ოთახში დაიკიდოს, ბუხრის თავზეო" — გააგრძელა გუნებაში. "რას განიცდით ამ წუთშიო" — ჰკითხა ქერათმიანმა ჟურნალისტმა გოგონამ და უზარმაზარი, ტახის ფეხივით გაბურძნული მიკროფონი ახლოს მიუტანა პირთან. "არც მამაჩემია რომაელი გლადიატორი და არც ეგ იყო გარეული, ბავარიის ჭაღებში გაზრდილი ტახი, ორივენი ბედკრულ საქართველოს შვილები არიანო" — ჩასძახა ლიზიკომ მიკროფონს, მამის მაგივრად. "ელიზბარ, ელიზბარ, ელიაააა ა" — ყვიროდა ელისო, მაგრამ ვერაფრით ვერ მიახლოვებოდა ელიზბარს, პირიქით, ხალხის ამოძრავებულ, ატორტმანებულ ზღვას სულ უკან და უკან მიჰქონდა, ითრევდა თავის წიაღში და მალე საერთოდ გაქრებოდა ელიზბარის თვალსაწიერიდან...

შეშინებულმა ელიზბარმა თვალები დააჭყიტა.

"ნუ გეშინია, ელიზბარ... უკვე ყველაფერი კარგად არის... ეს წუთია დარეკეს საავადმყოფოდან... ლიზიკოს ვენები გადაუჭრია" — ფაცაფუცით უთხრა ელისომ და აქვითინებული დაემხო მკერდზე...

www.Litklubi.ge

მეორე ნაწილი

ჯერ ღამეა. ერთადერთი ჩიტი უსტვენს მხოლოდ. ისიც გაუბედავად. ხანგამოშვებით. მაგრამ მისი ხმა — ფოლადივით მტკიცე, მახვილივით ბასრი, ანდახასავით მკაფიო — მაინც შლის, მაინც არღვევს წყვილადს და ჯიუტად, თანდათანობით გამოჰყავს იქიდან ცვარ-ნამით გაღუმპული, მოულოდნელად განთავისუფლებულ პატიმარივით დაბნეული ქვეყანა, ისეთივე "უხილავ და მოუმზადებელ", როგორც გუშინ ამ დროს იყო, გუშინწინ, გუშინწინისწინ, შარშან, ქრისტეს შობამდე, წარღვნამდე, ადამ და ევამდე... ყოველთვის. ეს ის მარადიული და იდუმალი წამია, უფრო ზუსტად კი, ის ღვთაებრივი, გნებავთ, ღვთისგან გამორჩეული მონაკვეთია დროისა, როცა ერთმანეთს უკიდურესად მიახლოვებული, პირისპირ დარჩენილი, ბოლო ზღვარზე შემდგარი დღე და ღამე, სიკვდილ-სიცოცხლე, ძველი და ახალი, დამარცხება და გამარჯვება — თავის გარდუვალობასა და განუმეორებლობას ადასტურებს ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე, ერთი და იმავე საშუალებებითა და ერთი და იმავე მიზნით. ყრუდ, საიდუმლოდ ფეთქავს ჰაერი, თითქოს ეს წუთია, ჩაიკარგა, ჩაიწრიტა უსასრულობის უფსკრულში ოცსაუკუნოვანი შეძახილი ჯვარცმული ძისა — "მამა, მამა, წამიყვანე შენთან" — და თითქოს საცაა, თავად ღმერთიც უნდა გამოჩნდეს, შვილის წასაყვანად ჩამოსული დედამიწაზე, ხელები დაიკაპიწოს და ერთხელ კიდევ (მარტო მან იცის, მერამდენედ) ხელახლა შექმნას (რასაკვირველია, შვილის ჩათვლით), რაც ერთხელ კიდევ დაგანგრიეთ, ერთხელ კიდევ მოვსპეთ, გავაცამტვერეთ გუშინ... მერე კი, ყველაფერი გაცილებით სწრაფად ხდება, ვიდრე იმ წუთას წარმოვიდგენია ჩვენივე სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო. ჯერ მოლურჯო-მოწითალო ზოლებით გადასერილი ცა გამოეყოფა წყვილადს, თითქოს კრეტსაბმელი გაიფხრიწვება ტაძრისა, თავიდან ძირამდე, და ათრთოლდება ჰაერი, გამკვრივდება მიწა, დაჩნდებიან კლდეები, მიცვალებულებს ერთხელ კიდევ შეძრავთ სამარხებიდან წამოდგომის უინი და ჩიტის ნაცვლად, ახლა უკვე მთელი ლაშქარი აჭიკტიკდება, ათასნაირ ხმაზე, უფრო თამამადაც, შეიძლება ითქვას, უფრო თავხედურადაც, ხოლო, მიწაზე დარჩენილი წყვილადი სახლებად, კვარტალებად, ცალკეულ ხეებად თუ ხეების ჯგუფებად (კორომებად) ნაწილდება და ბოლოს, ვერის ბადის აუზის კიდეზე მუცლით გადაწოლილი ანტონი, მართალია, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც არჩევს საკუთარ სახეს საკუთარი სისხლით კიდევ უფრო უარესად ამღვრეულ წყალში...

ესე იგი, ცოცხალია!

არათუ არჩევს, არამედ ცნობს საკუთარ სახეს და არა მარტო ცნობს, გრძნობს კიდევ, ათასნაირად დაიარებულს, დალილავებულს, დასიებულს... მოკლედ, თბილისურად გაღაბულს, თბილისური სისასტიკითა და დაუნდობლობით, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც ბედნიერია, ოღონდ, იმიტომ კი არა, სასწაულად რომ გადაურჩა სიკვდილს, რომელიდაც ღამის ბარის აქოთებულ საპირფარეოში, არამედ, ნაგვემსა და ნაწამებს, ისევ თავის საყვარელ ქვიშხეთში რომ ჰგონია თავი — თითქოს ქვიშხეთს ზემოთ, სათიბებში წვეს პირქვე, მოთიბულ ბაღასში, მოთიბული ბაღასის სუნით გაბრუებული და, რაც მთავარია, ჯერ ისევ ბავშვია, პატარა ბიჭი, ჯერ არც ლიზიკოს იცნობს და არც მამის მოკვლა დაუსახავს ცხოვრების მიზნად. პირქვე წვეს და მშვიდდება. ძროხამ შეაშინა ეს წუთია. გზისპირა ბუჩქებიდან გამოვიდა მოულოდნელად. კი არ გამოვიდა, უზარმაზარი ჭრელი ღრუბელივით ნელა, ძალდაუტანებელი სიზანტით გამოიზღაზნა, ერთბაშად გააფსო იქაურობა უადრესად საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სასიამოვნოდ თბილი, თითქოს ხაოიანი სურნელით, აუჩქარებლად გადაჭრა გზა, ადგილზე გაშვებული, ენაჩავარდნილი ბავშვის (ანტონის) წინ და, საკუთარ სურნელში, როგორც გამჭვირვალე გვირაბში გამოვლილი, ასევე აუჩქარებლად, ნაწილ-ნაწილ შთაინთქა, ჩაიწრიტა დაბურულ ბუჩქნარში, ოღონდ, ახლა უკვე გზის მეორე მხარეს...

ასე იწყება ანტონ კაშელის მახსოვრობა, იგივე შეგნებული ცხოვრება, ანუ, ბოლომდე გაუცნობიერებელი და მარად მზარდი შიში მომავლისა, ბალახის ბლუჯასავით (ბალახში, რაც ყველაზე მეტად გიყვართ, ის შეგიძლიათ იგულისხმოთ), მის ცხვირწინ რომ კონწიალობს განუწყვეტლივ, მაგრამ როგორც არ უნდა აეგოს პირი ნერწყვით, ვერ მიწვდება და როგორც არ უნდა აუჩქაროს ფეხს, ვერასოდეს დაეწევა... ჭრელი ძროხა კი, ასე რომ გაუხეთქა გული პატარა ანტონს, ცხოვრების მდორე, მაგრამ სახიფათო და უწყვეტი დინების განსახიერებაა და სხვა არაფერი. თუმცა, ანტონ კაშელი ჯერ ამდენს ვერ ხვდება (სამი წლისაა მხოლოდ), მაგრამ ოცი წლის მერეც ამოუხსნელ გამოცანად დარჩება მისთვის ცხოვრება, რადგან ყოველი ახალი შთაბეჭდილება, ცხოვრებისგან მიღებული, კიდევ უფრო გაუმძაფრებს, როგორც შიშნარევი აღფრთოვანებას, ისევე, მისგან თითქოს ყოველად წარმოუდგენელ დანაშაულის შეგრძნებასაც, ხოლო, ყველა შთაბეჭდილება ერთად, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ შესაძლებლობებში დააეჭვებს და საკუთარ სიპატარავეს დაანახევებს... ასე რომ, ოცი წლის მერე (ესე იგი, ახლა, დღეს, ამჟამად), არათუ თავის ადგილს ვერ მიაგნო ანტონმა ცხოვრებაში, არამედ ვერ მიაგნო თავად ცხოვრებას, სადაც ალბათ მისთვისაც აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული, თუნდაც, სულ უმნიშვნელო ადგილი, როგორც, ვთქვათ, მის თვალწინ მოკლული ციყვისთვის, ანდა მისგან გადარჩენილი მატლისთვის... არადა, მოკლული ციყვივით, ისიც ვიდაცის (გინდაც, ვიდაცეების) ხსოვნაშიდა არსებობს მხოლოდ და მისგან გადარჩენილი მატლივით, ისიც მორჩილად ასრულებს ბუნების წესს, ანუ, ფრენით ამთავრებს წინა სამი თაობის მიერ ხოხვით გამოვლილ გზას. განა მართლა პეპელასავით არ გადმოფრინდა წელან ღამის ბარის საპირფარეშოს სარკმლიდან?! და აქ რომ გდია, სათიბებში (აუზის კიდეზე), ესეც ერთგვარი ფრენაა, საკუთარი უმწეობიდან, საკუთარი სიბინძურიდან ამოსვლის ცდაა, თუნდაც წარმოსახვებსა და ზმანებებში. გაჭურბული მამიდან ამოფრენილი პეპელა ბრმად და ალაღბედზე აწყდება გაუჩინარებული, გამქრალი სინამდვილის ხორკლიან კედლებს, გაუჩინარებულს, რა თქმა უნდა, მისი მიხეხითაც, მისი, გნებავთ, სიჯიუტის და, გნებავთ, სიბრმავის წყალობითაც და, ჩვენში რომ ვთქვათ, მეტი არც მოეთხოვება ერთ შეცდომას გადაყოლილი ქვეყნის შვილს... მისმა წინაპრებმა იმდენჯერ დაუშვეს ერთი და იგივე შეცდომა, იმდენჯერ ჩაყლაპეს ერთი და იგივე ანკესი, ბოლოს მტერსაც ყელში ამოუვიდა მათი სიბრიყვე, მობეზრდა მათთან კუკუმაღლობის თამაში და საერთოდ ამოშალა ისინი სათვალავიდან: მათი მეოცნებე მეფეების უკანალებით გადახეხილ-გადაცვეთილი ტახტი ურემზე დაუდო და, ვინ იცის, აქამდე ლპება სანკტ-პეტერბურგის რომელიღაც წყალჩამდგარ სარდაფში... აი, ასეთ სისაძაგლებს ესისინებოდა ბალიშზე ხატივით დასვენებული და გველივით ბრძენი წიგნი ბავშვობაში და ისიც, მთელი ბავშვობა, თავზე საბანწაფარებული, ჯიბის ფანრის შუქზე კითხულობდა სამშობლოს ნეკროლოგს, ნეკროლოგებს, მაგრამ წესიერად ვერ წვდებოდა სამშობლოს სიკვდილის მიზეზს, ვერ ასწრებდა გარკვევას, უფრო სწორად, ერთბაშად უნდოდა ჩაწვდენოდა სიმართლეს და ჩქარობდა, დელავდა, რადგან ყოველ წამს შეიძლებოდა შემოსულიყო მამა (დაუკაკუნებლად) და ვეღარ მოესწრო გველივით ბრძენი წიგნის დამალვა ბალიშის ქვეშ. "მამაშენმა არ გინახოს ეს წიგნიო" — განსაკუთრებულად აფრთხილებდა ყოველთვის ბიბლიოთეკარი ნიკოლოზი, მაგრამ უკვე ტყუილად ეშინია ნიკოლოზს მამამისის: დღეს დილით, არა, გუშინ დილით, სამზარეულოს ცუდით გაუპო ამან თავი საკუთარ მამას. ასე თვლის თვითონ, ასე სჯერა, თუმცა, არც მილიციაში დაუჯერეს, სადაც თავისი ფეხით გამოცხადდა დანაშაულის ასადიარებლად, და არც დუქანში, სადაც გამომძიებელმა წაიყვანა მისი საბოლოო, სამუდამო განთავისუფლების აღსანიშნავად. ყოველ შემთხვევაში, ჭურბრიდან პეპლის ამოფრენა, უპირველეს ყოვლისა, მატლის სიკვდილის მაუწყებელია. პეპელა სულივით უნდა ამოხდეს მატლს, ამ შემთხვევაში, შვილი — მამას, და ასე უნდა დამთავრდეს მატლის მიწიერი არსებობა, მისი მატლობა... მაგრამ, რატომღაც, ნიკოლოზზე ნაკლებად, არც თვითონ ეშინია მამისა, თუმცა, მშვენიერად იცის, მკვდარია, მთელი არსებითაც გრძნობს იმის სიკვდილს, და მაინც, მაინც კი არა, მით უფრო, და ამ მოურჩენელ შიშს რომ არ აჰყვეს, ისევ წიგნში მიძვრება, მტკერში ამოგანგლული მატლივით მიიკლაკნება აზრისგან დაცლილ სიტყვებს შორის... ამამ იხალთაჩ იმეჩ

ად ილოც იხოვ იმენ აირეჯ სილოც ლავხ აფოყ არიტე სამამ უთ სედდ... — სისინებს ბალიშზე ხატივით დასვენებული წიგნი. მამა საერთოდ კი არ უშლიდა კითხვას, არამედ გიჟი ნიკოლოზის დაობებული წიგნების წაკითხვას უკრძალავდა კატეგორიულად. ის კი, მაინც მწერალთა სახლის ნესტიანი ბიბლიოთეკიდან ეზიდებოდა "აკრძალულ ლიტერატურას". ნიკოლოზს რამდენჯერმე უნდა გადაეხვია გაზეთში წიგნი, თვალში რომ არ მოხვედროდა ვინმეს, რის გამოც, ამას კიდევ უფრო უმძაფრდებოდა რაღაცის გაგების, რაღაცის მოსწრების სურვილი. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც ხომ უნდა სცოდნოდა, შეესაბამებოდა თუ არა მისთვის განკუთვნილ სასჯელს მისგან ჩადენილი დანაშაული, რომელიც, მადლობა ღმერთს, უკვე მოხდილი სასჯელის, ანუ, ოცდასამწლიანი პატიმრობის უკანასკნელ დღეს, ანუ, გუშინ ჩაიდინა. საკუთარი გამბედაობით ამჩატებული, ეზო-ეზო, მოკლევბზე მიისწრაფის კაშელების პირქუშად პომპეზურსა თუ პომპეზურად პირქუში სახლისკენ. ერთი სული აქვს, როდის გადაშლის წიგნს. ვნახოთ ერთი, ამჯერად რას ეტყვის წიგნი. ახლაც იქ არის, მშობლიურ გარემოში და ცელის ხმაც კი ესმის, სასიამოვნო, დამამშვიდებელი, მარტივი, მაგრამ ძნელად მისაბადი, მით უფრო, მის დღეში მყოფი კაცისთვის — გაბლანტებული სისხლიც ვერ გადმოუფურთხებია, ისე აქვს ტუნ-პირი დასერილ-დასიებული — მისი დამფრთხალი, გაღაზული ხორცი ისევ ბრმად, ისევ ალაღბედზე, ისევ ამოდ დაეძებს თავშესაფარს, მშველელს, მხსნელს, თუმცა, ეს წუთია, დაუსხლტა საფრთხეს, ერთხელ კიდევ იშვა, ამჯერად საფრთხის საშოდან და ჯერ კიდევ უცხოა აქაურობისთვის, უცხოპლანეტელივით, ჯერ კიდევ უჭირს სინამდვილესთან დაბრუნება, განცილისა და გადატანილის გაცნობიერება, და თავისი ხელმეორედ დაბადებისა და საბოლოო განთავისუფლების პირველ დღეს პირველად ამბობს (რასაკვირველია, გუნებაში) მის ლექსიკონში უკვე საკმაოდ გაცვეთილსა და გაუფასურებულ სიტყვას: "მეშინია". "მეშინია. მეშინია. მეშინია" — იმეორებს ზედიზედ, ვიდაცის ჯიბრით, რაღაცნაირად აღგზნებულ-ატაცებული, გააღმასებული, მაგრამ მაინც საფრთხის ნაშიერი, საფრთხის პირშო, საფრთხის მემკვიდრე და საფრთხის გვარ-ჯილაგის გამგრძელებელი...

სამაგიეროდ, ცელის ხმა ახლოვდება, ძლიერდება — დამამშვიდებელი, სასიამოვნო, მარტივი და მაინც ძნელი მისაბადი. ტყუილად დაიტანჯები, სულ სხვანაირი პირის ღრუა საჭირო ამგვარი ხმის გამოსაცემად. ს და შ ენაცვლება ერთმანეთს განუწყვეტლივ... შსშსშ... სშსშს... ორი თანხმოვანი... შსშსშ... სშსშს... ვერც ენას იმორჩილებ, ვერც ტუჩებს უფრო თავს. მაგრამ ბედნიერებისგან მაინც გელიძება. აუხის ფსკერიდან, როგორც მწვანედ მოლივლივე სათიბიდან, თანდათან ამოდიან მთიბავეები, ჯერ მხრებამდე, მერე წელამდე, მერე მუხლამდე... ერთად, ერთხმად იქნევენ (შენს დასანახად) მზეზე ალაპლაპებულ ცელებს. ირიბად, გვერდულად, თითქმის შეუმჩნევლად მოიწევენ წინ (შენსკენ). რაკი მაყურებელი ჰყავთ, უფრო მონდომებით შრომობენ. სიამოვნებთ უცხო თვალი. უფრო ღამაზად იქნევენ ცელს, განსაკუთრებულად, ყველა წესის დაცვითა და ცოტა გაზვიადებულადაც. თან ერთმანეთს უსწორებენ, ასწავლიან, დასცინიან — გაქალაქელებულები, თიბვას გადაჩვეულები — თითქოს კი არ შრომობენ, თამაშობენ; თითქოს ზამთარში პირუტყვის გამოსაკვებად კი არ ირჯებიან, არამედ კაშელების ერთი უსაქმური ბავშვის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. "პირი გაისველე, ბჭოუ, მოგვეკლავს მამაშენი" — ეუბნება ერთ-ერთი მათგანი და ფესვიანად მოგლეჯილ მარწყვს აწვდის. თითები თითქოს თიხისა აქვს, სიცხისაგან თუ სიძველისგან დაბზარული. მარწყვის ღეროს რამდენიმე მოწითალო, ალაგ მკრთალად ჩათეთრებული და კენჭივით მკვრივი ნაყოფი ჰკიდა. სამკაულს უფრო ჰგავს, ვიდრე ხილს. ანტონი გაუბედავად ციცქნის წინა კბილებით და ველური სიჯანსაღის მძაფრი გემო მაშინვე ნერწყვით უვსებს პირს. ცელგამოსმული ბალახი უხმოდ წეება პატიმრის თავივით არათანაბრად გადახოტრილ მინდორზე. მოთიბული ბალახი ცელის პირის მოყვანილობას იმეორებს თითქოს. შსშსშ... სშსშს... ერთი და ორი. ერთი და ორი. ჰაერი თივის სუნით იჟღინთება. ცელგამოსმული ბალახი უკვე თივაა. თივის სუნი ათრობს, აბრუებს და ეს ჯმუხი, ჩაქვითკირებული მთიბავეები მართლა მიწიდან ამოზრდილი ზღაპრული გმირები ჰგონია ანტონს. არადა, ისინიც ჩვეულებრივად ბედშემომწვრალი, ცხოვრებისგან დაბეზავებული გლეხები არიან. კიდევ უარესი — ფუძემოშლილი და გლეხობადაკარგულნი... არავინ და არავისნი. ადგილობრივმა "ხაზეინმა" ჯერ მამაპაპურ ფუძიდან აჰყარა ისინი, ვითომ, უწყობის გამო, მერე კი, მათვე მიაყვანინა წყალი ძველ ნაფუძვარზე, ოღონდ, ხიზნებისთვის, სხვა ტომის ხალხისთვის. ანტონს კი არ ართობენ, როგორც ანტონს ჰგონია, ანტონის გასაგონად ღაპარაკობენ თავიანთ უმწეობაზე, უსახსრობაზე, თავიანთ საერთო უბედურებაზე — გლეხური ეშმაკობით — იქნებ, ამან მაინც გვიშველოს რამეო, თუმცა, თავადაც არ ჯერათ, მართლა თუ არსებობს მათთვის საშველი. ამიტომაც გამოიყურებიან უფრო ხნიერებად, ვიდრე არიან. ესეც ცხოვრების ბრალია (ჭრელი ძროხისა), გაუნელებელი სევდისა, დაუმსახურებელი დამცირებისა, ჩაუწყნარებელი ტკივილისა, ჩახშული მრისხანებისა... ცხოვრებამ (ჭრელმა ძროხამ) დაიმონათ და ისინიც მორჩილად, წყნარად მისდევენ ცხოვრების წესს... შსშსშ... სშსშს... შსშსშ... სშსშს... ჩუმად, მშვიდად, წყნარად. ვითომც არაფერი ხდებოდეს საშიში და სახიფათო. ვითომც, მიწაზე დაღვრილი ზეთივით თუ მაზუთივით, ნელა, თავისთავად, ნიანგის მოთმინებით, მაგრამ ჯიუტად არ მოცოცავდეს, არ მოსრიადლებდეს უცხო თესლი მათგან დანატოვარი სიცარიელის ამოსავსებად. იტბორება მათი ფეხდანადგამი, ხელშენავლები ღობე-ყორე... ცოტაც და, საერთოდ წაიშლება მათი კვალი, ვითომც არ ყოფილან. არც ეს სათიბები ყოფილა. არც ანტონი — მოაზროვნე, მგრძნობიარე, მეოცნებე არსება — წარსულით გულმოკლული, აწმყოთი გაბითურებული, მომავლით დამფრთხალი... ჭრელი ძროხა კი, დინჯად, აუჩქარებლად მოუყვება თავის მარადიულ გზას, "გლეხის ფიქრით უბოლოოს"... მისთვის დრო არ არსებობს. ხამურაბისა და ასურბანიფალის ბოსლებშიც უცოხნია გულგამომპალი ჩალა, ტუტანხამონის ქელებშიც დაუკლავთ. მისი ყვითელი, ქაფიანი ნერწყვითაა მორწყული ევრაზიის, ამერიკის, აფრიკისა თუ ავსტრალიის თვალუწვდენელი ველ-მინდვრები: სტეპები, პრერიები, სავანები... მისი რძით გამოზრდილი თაობები, უკვე ათასნაირ მინერალებად გარდაქმნილი, ფენა-ფენა წვანან დედამიწის წიაღში, როგორც თევზები კონსერვის ყუთში, და დღემდე ერთნაირი მღელვარებით, ერთნაირი მოუთმენლობით ელოდებიან საძოვრიდან მის

მობრუნებას ასაკისგან ნიკაპდანაოჭებული, დროუამის ღუმელთან წარბ-წამწამ შეტრუსული დედაბრები — თეთრკანიანებიც, შავკანიანებიც, ყვითელკანიანებიც, წითელკანიანებიც — და ისიც ყოველთვის ბრუნდება, ფლატეზე გადაიჩეხება თუ მგლები დაგლეჯენ, მაინც ბრუნდება, მაინც მოდის, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მოდის მკვდრეთით აღმდგარი, უფრო სწორად, უკვდავი; მის საკმაოდ უმნოსა და მოუხეშავ სხეულში მარადიული მდებრი, მარადიული ქალურობა იმალება, როგორც ცეცხლგამძლე ყუთში — უკვდავების წამლის, ანდა სიცოცხლის ერთბაშად მომსპობი საწამლავის ფორმულა. მოდის, მშვიდად, აუჩქარებლად... ვერც ტექნიკურ რევოლუციებს შეუძლია მისი შეყოვნება, ვერც ატომურ ფსიქოზსა და ვერც სექსუალურ თავაშვებულობას... არაფერი ესაქმება იმათთან, არც არაფერი გაეგება იმათი. მოდის, ჯანსაღი, ბუნებრივი, უკომპლექსო... მოდის, რათა შინიდან პირველად გამოპარული ბავშვი ერთი წამით შეაყოვნოს და დააფიქროს მოსალოდნელ საფრთხეზე. მთელი დღის ნაძოვი ბალახით მუცელგატიკნული, სიმაძღრისგან ახენეშებული, მოდის, მომლოდინე დედაბრების დასამშვიდებლად, ერთხელ და სამუდამოდ გამოზომილი ნაბიჯით მოუყვება დედამიწის ნებისმიერ წერტილზე გამავალ გზას და არც აინტერესებს ვისთვის რეკს ზარი, ვისთვის უნდა ამოხდეს მზე... რასაკვირველია, ეს წუთია მისგან შეშინებული ბიჭის ვინაობაც არ აინტერესებს, მატლია თუ მატლის პეპელა, გვარის გამგრძელებელი თუ გვარის მესაფლავე... ბევრი ასეთი ბიჭის მახსოვრობაში ჩარჩენილა სამუდამოდ, ღმერთის ვნების დამაცხრობელი და ღმერთქალის სიმშვიდის დამრღვევი, ღმერთქალის მეტოქე, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მისთვის სულერთია ყველაფერი, გინდა ღმერთი, გინდა ვიღაც ჭკუასუსტი მწყემსი... მოდის, მოაბუყბუყვებს შთამბეჭდავად გაბერილ მუცელს, მშვიდად ფშვინავს და მშვიდად ზმუის, საკუთარი სიმშვიდით გაკვირვებული, თუკი შეიძლება რამე უკვირდეს ძროხას... ფუნაშემხმარი კუდის ბოლოს ფერდებზე იტყლაშუნებს და, რომ იტყვიან, თავი ქუდში აქვს. მისი შემყურე კაცობრიობა წელებზე ფეხს დაიდგამს და ზაფხულში ბალახს არ მოაკლებს, ზამთარში — თივას. ყოველ ზაფხულს მთელი დედამიწა ითიბება მისი გულისთვის. შსშსშ... სშსშს... შსშსშ... სშსშს... კიდით კიდემდე წვდება ცელის ხმა, ახალ და ახალ სივრცეებს იპყრობს კლასიკური მუსიკის თავაზიანი მოურიდებლობითა და მოუთოკავი სილადით... მოდის, მოჩლახუნობს, საკუთარი გამძლეობით შეწუხებული, თუკი შეიძლება რამე აწუხებდეს, ღმერთქალის მიქსეული ბუზანკლის მეტი. მოდის, მოდის, მოჯადოებულ წრეში მოქცეული, წრის ბინადარი, სადაც ერთსა და იმავე ღამეს ერთი და იგივე დილა ენაცვლება, ლანდშაფტს — ლანდშაფტი, ეპოქას — ეპოქა, უსასრულოდ, განუწყვეტლივ, და სადაც ყველაფერი კვდება, რაც იბადება და ყველაფერი იბადება, რაც კვდება...

გაშლილი ხელისგული გამეტებით დაჰკრა წყლის ზედაპირს და უხილავი შხეფები სახეზე მიესხურა. მაშინვე მეორე ხელიც მიაშველა. ესამოვნა აუზის დამყაყებელი, დუბელა წყალი. "რატომ აიყარენით? რატომ მამანემს არ გაუჩქვეთ თავი? მე მელოდებოდით, მე თქვენი დედა..." — უყვირის, აგინებს გუნებაში მთიბავეებს და სველ ხელს, უნებურად, დამსკდარ, დასიებულ ტუჩებზე იდებს. "ნუ აიყრებოდი, თუ ბიჭი ხარ..." — პასუხობენ მთიბავეები აუზის ფსკერიდან, კიდევ უფრო სასაცილოდ დაჯუჯავენ ულნი, დაბრეცილნი, ატორტმანებულნი ადგილზე. მერე უკვალოდ ქრებიან. "თქვენი დედაც... — აგინებთ გუნებაში — ღირსნი არა ხართ გადარჩენისა... იქნებ ვერ მოკვლავდი მამას, ჰაა?!" — გუნებაში უწევს ხმას და ისევ დამსკდარ ტუჩებზე იფარებს ხელს. თვითონ არაფრის აღარ ეშინია. თვითონ უკვე თავისუფალია. გუშინდლიდან. იმიტომ რომ, გაბედა. გუშინ მოიხადა ოცდასამწლიანი სასჯელი მამის მკვლელობისთვის. ოღონდ, ჯერ სასჯელი მოიხადა და მერე ჩაიდინა დანაშაული. ანუ, გუშინ მოკლა მამა. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, საკუთარი მამის მკვლელობისთვის, ასევე, წინასწარ დაეჯილდოვებინათ ოცდასამწლიანი სიცოცხლით. მაგრამ ის ოცდასამი წელი, ჯილდოა თუ სასჯელი, მოგონილია დღევანდელთან, თავისუფლების პირველ დღესთან, რადგან არც დანაშაულისთვის განკუთვნილი სასჯელისა თუ ჯილდოს ატანა გასჭირვებია ასე და არც დანაშაულის ჩადენა. თავისუფლების მძაფრმა შეგრძნებამ ნანატრი შვება კი არ მოუტანა, სასიცოცხლოდ კი არ ალაგზნო, ერთბაშად დააჭყლიტა მიწას, მატლივით; ღირსების გრძნობაც დააკარგვინა და სიამაყეც; გააპირუტყვა, გაამხეცა და საერთოდ დაუკარგა აზრი მის ამქვეყნიურ არსებობას, ანუ, სულერთი გახადა მისთვის, როდის რას მოიმოქმედებდა ბნელ სურვილსა და მოთხოვნილებას აყოლილი. ასე რომ, არც თიხის ტაფაზე (კეცზე) მოთუთქულ სოკოს ჰქონდა მისთვის გემო (ოცდასამწლიან პატიმრობასთან გამოსათხოვარ სუფრაზე მირთმეულს), არც ხბოს ჩაქაფულს. როგორც მოსალოდნელი იყო, დედის რძეც არ შერჩენია — მთელი სუფრა რწყევარწყევაში გაატარა — კი ფიქრობდა, წყალივით ვსვამ ამ ღვინოს, სრულებით არ მეკიდებო, მაგრამ აივანზე გამოსვლას ძლივს ასწრებდა და მოაჯირზე გადაკიდული, დმუილით არწყევდა... დუქნის გარყვნილი ძაღლები ფაცაფუცით თქველფდნენ ნარწყევს და თავაწეულნი, მლიქვნელურად აწკმუტუნებულნი ამოსცქეროდნენ ქვემოდან. სადღაც ბაყაყები ყიყინებდნენ. "რა თქმა უნდა, ქვიშხეთში ვარო", — ფიქრობდა ეს სულელურად. სხვათაშორის, ჭოტმაც შეჰყვირა რამდენჯერმე. ქვიშხეთის გარდა, არსად გაუგია ჭოტის ხმა. მერე მოაჯირს მამალი დააფრინდა მის გვერდით და ცხენივით დაიჭიხვინა. თუმცა, არა. ცხენივით დაიჭიხვინა შარვალჩახდილმა კაცმა და სამზარეულოს კედელთან წაკუზულ გოგოს შიშველ გავაზე გამეტებით დაჰკრა ხელი. "დაგიმიწდეს მარჯვენაო", — მიაწყველა წაკუზულმა გოგომ და ამას ენა გამოუყო, ზუსტად ლიზიკოსავით. მაშინ ლიზიკო ექვსისაც ძლივს იქნებოდა, ფეხშიშველი მოდიოდა ქვიშხეთის სადგურიდან და ფეხსაცმელებს მკვდარი ჩიტებივით მოაპორწიალებდა ჰაერში, მაგრამ ანტონისგან მაინც უწესო საქციელია ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოშუადვნება, მით უფრო რომ, ლიზიკოცა და მისი მშობლებიც ნამდვილად ვერ იყვნენ კარგი სანახავეები, ვაგონის ბუღში გამოხარშულები, ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. იმ წელს პირველად ჩამოვიდნენ ქვიშხეთში დასასვენებლად, ანტონისთვის კი, არავითარ სიახლეს არ წარმოადგენდა თბილისელი დამსვენებლები, მაგრამ, რატომღაც, ვერაფრით ვერ მოწყვიტა თვალი მშობლების წინ ყოჩივით მომავალ ფეხშიშველა გოგოს და იქამდე უქურა, ვიდრე ენა არ გამოუყო იმან, სავსებით სამართლიანად. ლიზიკოს დედას (დეიდა ელისოს) ერთ ხელში საკმაოდ მძიმე ჩანთა ეჭირა (ხელზეც ეტყობოდა), მეორეში კი გაუხსნელი ქოლგა, თუმცა, მზე დაუნდობლად აცხუნებდა. მთავარი ბარგი მამას (ძია ელიზბარს) მოჰქონდა: ორი ჩემოდანი და იდლიაში ამოდებული გამაკი. თავზე კიდებგამონასკეული ცხვირსახოცი ჩამოეფხატა, მაგრამ აშკარად არ ეტეოდა. დაწითლებულ სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები ეყარა. "როგორ იქცევით" — გაუწერა შვილს და მისი უწესობა რომ მიეჩქმალა, ზრდილობისთვის ჰკითხა ანტონს: ხომ სწორად მივდივართ, ყმაწვილო, მწერლების სახლისკენო. ხოლო, სამზარეულოს კედელთან წაკუზული გოგო ერთი ხელით კედელს ებჯინებოდა,

მეორეთი კი საკუთარ მუხლს და სასაცილოდ კისერმოდრეცილი უყოფდა ამას ენას. ეზოს ნათურის მბუუტავ შუქზე ქონწასმულივით უბზინავდა შიშველი გავა. ნათურას გაგიჟებული პეპლები ეხვეოდნენ. თეთრჩაჩიანმა მზარეულმა ქათმის აქოთებული შიგანი ტაშტით გამოიტანა და იქვე, წაკუზული გოგოს ცხვირწინ დაყარა კედელთან. ძაღლები ახლა შიგანს მიესივნენ. გაწელ-გამოწელეს ბინძური ნაწლავები და თავფეხიანად გაიხლართნენ შიგ, ერთმანეთზე აღრენილნი. შარვალჩახსდილმა კაცმა ვაშლისა თუ ქლიავის ხეს ფოთოლი შეაწყვიტა და წაკუზულ გოგოს შეურჭო უკანაღში. უფრო სწორად, ვერ შეურჭო — ფოთოლს ყუნწი ებრიცებოდა და არაფრით არ ერჭობოდა, სადაც ძალით უპირებდნენ შერჭობას. ამაზე ორივეს ეცინებოდა, თან ხითხითებდნენ, თან ერთმანეთს უწყვებოდნენ ვითომ, რა ამბავში ხარო, ნუ აიკელი აქაურობაო, ვერა ხედავ, ხალხი პურსა ჭამსო... ანტონმა თვალები დახუჭა და ისევ თავბრუ დაესხა, ისევ დაუბზრიალდა ბნელი, გაურკვეველი ქვეყანა... "აგე ციყვიო" — დაიძახა ძია ელიზბარმა. ეს მათი მორიგი ექსკურსიაა, "მორიგი შეჭრა ბუნების წიადში", როგორც ძია ელიზბარი ამბობს. წითლად გაბურძნულ ციყვს მწვანე გირჩა უჭირავს წინა თათებით და თავადაც დაინტერესებული დასცქერის ზემოდან. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ ეშინია მათი. თუმცა, ეშმაკმა იცის, რას ხედავს, რად აღიქვამს იმას, რასაც ხედავს: ჭიანჭველებად? ხოჭოებად? მატლებად? "რა ხდება მანდ, პოეტების საუფლოშიო" — ეკითხება ძია ელიზბარი. ბავშვები იცინიან. ანტონიც. თუმცა, ვერ ხვდება, რას გულისხმობს ძია ელიზბარი "პოეტების საუფლოში", ან რას ხედავენ ბავშვები სასაცილოს ამ სიტყვებში. უბრალოდ, კარგ გუნებაზე არიან ყველანი. ერთად არიან, მშობლებისგან შორს (ელიზბარი არ ითვლება, უფრო მეგობარია, ვიდრე მშობელი. თანაც, იშვიათად, მხოლოდ შაბათ-კვირას ჩამოდის აქ), საიმედოდ ჩაკარგულნი ბუნების წიადში. ღიზიკოს ბიჭურად შეუკრეჭია თმა და მუხლებთან გადაჭრილი, ჯინსის შარვალი აცვია. ყველაფერი მზითაა გაბრწყინებული: ფოთოლიც, ბალახის თავთავიც, ფიჭვზე მიმხმარი ჭრიჭინების გამჭვირვალე გვამებიც... ყველაფერი ბრუნავს, ბზრიალებს: აშოლტილი, აღისფრად აღანძული ფიჭვის ხეებიც, გადაკრიალებულ ცაზე აქა-იქ შერჩენილი ღრუბლის ფთილებიც და, თავისთავად ცხადია, ციყვიც, ფიჭვის დრეკად შტოებზე დასკუპებული, გამომწვევად კუდაპრეხილი, თოჯინასავით თვალგაშეშებული... ბზრიალებს, ბზრიალებს, ბზრიალებს, თითქოს კარუსელის ციყვია, სათამაშო... მაგრამ ამ დროს, ავად გაღურსული ბუნქნარი გაიპობა და იქიდან ყოყინით გამოცვივდებიან შუბებშემართული, ტიტლიკანა, მუცელდასიებული, წყალმანკიანი, ეგზემით შეჭმული, კბილებჩამპალი ველურები, კაციჭამიები, ოლონდ, დღევანდელი, ოცსაუკუნოვანი ცივილიზაციის ნაშიერნი... ეტყობა, დედა-შვილი არიან. რაღაცით გვანან ერთმანეთს. რაღაცით კი არა, ყველაფრით. თუმცა, ქალს ღურჯი სპორტული პიჯამო და თეთრი ბოტასები აცვია, ბიჭს კი — წარწერიანი მაისური და შორტები. რა თქმა უნდა, ბოტასებიც, ოლონდ, ფერადი. ქალს ხელში ჰაერის თოფი უჭირავს, ბიჭს კი — არაფერი, არც ჰაერის თოფი, არც ჩვეულებრივი "რაგატკა" და, მით უფრო, არც შუბი... სახეზე საყმაწვილო მუწუკები აყრია. ანტონზე უფროსია ალბათ, მაგრამ ჯერ კაცი არ ეთქმის. საერთოდ არ ეთქმის კაცი, არც ადამიანი... ანტონს ლამის გული ამოუხტეს საგულედან, ვისაც გინდათ დაენიძლაგება, თავს დასდებს, ეს თუ ის ბარმენი არ არის, ბოთლი რომ დაამსხვრია წედან კბილებზე, დიდი-დიდი, ამ ერთი საათის წინ, ლამის ბარის საპირფარეოში. "გიცანი შე დამპალოო"... — როგორც იქნა, ამოიხრიალა ანტონმა და ისევ დახუჭა თვალები. ქალმა თოფი მხარზე მიიბჯინა და სხარტად გამოჰკრა თითი სასხლეტს. ტყვიამ შხუილით გაფხრიწა ჰაერი და თვალგადმოვარდნილი ციყვი საცოდავად აფართხალდა გასისხლიანებულ ბალახში. "გიცანი შე არაკაცო... შენი დედა... შენი გვარ-ჯილაგო..." — ღმუის, გმინავს აუზის კიდეზე გადამხობილი ანტონი. ციყვს თვალის ადგილზე ვეებერთელა ღორწოვანი ბუშტი გამოებერა. ბუშტში, როგორც მრგვალ სარკეში, თეთრჩაჩიანმა მზარეულმა გაიარა, სასაცილოდ გადასხვაფერებულმა. ქალმა ელევისებური, ალბათ უფრო კატიანებური სიმარდით მოუგრინა ციყვს კისერი, ცელოფანის პარკში ჩატენა, ალბათ ჯერ კიდევ ცოცხალი, და პარკი სახედამუწუკებულ შვილს ჩაუდო უბეში. ძია ელიზბარმა რომ იყვირა, რას

სწადიხართ, ეს ხომ უწყინარი არსებააო, კვალიც გაქრა იმათი. ციყვის სისხლით დაუშნოვებული ბალახი რომ არა, შეიძლება ეფიქრათ, ყველას ერთდროულად მოგველანდა ეს შემზარავი მკვლევლობაო. "რას სწადიხართ, მატლებო... მკვლევებო"... — ახლა ყვირის ანტონი და ვერაფრით მოუშორებია ნიკაპზე ჩამოწეული სქელი, წებოვანი დორბლი. ყელი ეწვის, უხურს, ბუხრის მიღვივით. ხელები საკუთარ ნარწყევში აქვს ამოთხვრილი. ეზოს ონკანში კი, წყალი არ მოდის. შმორის სუნი მოაქვს იქიდან ნიაფს. შსშსშ... სშსშს... შსშსშ... სშსშს... — ამშვიდებს ცელის ხმა და ისიც მშვიდად იცდის, როდის გამოუტანს გოგო წყალს დიდი, გამურული ჩაიდნით. "მამა კი არა, ცოლი უნდა მოგეკლა, ქალია ყოველთვის დამნაშავეო" — ეუბნება გოგო და თან სახესა და ხელებს ულოკავს ენით. ამას გოგოსი რცხვენია, სირცხვილისგან ფხიზლდება და გოგოც მაშინვე ქრება თავის ჩაიდნიანად. სამაგიეროდ, დუქნის გარყვნილი ძაღლები შემოსცქერნიან წყლიანი, სვედიანი თვალებით და ესეც იძულებულია, ისევ სუფრაზე დაბრუნდეს. სუფრაც ყოველთვის აღტაცების შეძახილებით ეგებება მის დაბრუნებას და ყველაფერი თავიდან მეორდება. ისევ აჯარიმებენ "სუფრის უნებართვოდ მიტოვებისთვის" და ამასაც ისევ უჩნდება კიდევ ერთი "თავისუფალი" სადღეგრძელოს წარმოთქმის სურვილი. "მოუსმინეთ, მოუსმინეთ... იქნებ რამე შევიდეს თქვენს გოგრებში" — ყვირის თამადა და ღვინის გრაფინზე აკაკუნებს ჩანგლით. "არა არს ესრეთ ტკბილი, ვით მამულის სიყვარული" — ამბობს ეს ხმაათროლეული. ცდილობს, კიდევ უფრო უკეთესად, უფრო შთამბეჭდავად თქვას, ვიდრე აქამდე უთქვამს. სიამოვნებს მისკენ მიპყრობილი, უაზრო, გამოცარიელებული, მაგრამ მოლოდინად ქცეული თვალები მასზე არანაკლებ მთვრალი, ოღონდ, მისგან განსხვავებით, ამ საქმეში უკვე დაოსტატებული, კუჭებამოკუპრული თანამეინახეებისა. სუფრა სუნთქვაშეკრული, ანუ, ახენეშებულ-აქსუტუნებული უსმენს. მაგრამ მოათავებს თუ არა სადღეგრძელოს, მიიყუდებს თუ არა ვერაგ ჭიქას, სუფრაც მაშინვე ბაზარივით აყაყანდება, სკასავით აზუზუნდება, ნახირივით აზმუეღდება... აღარც თამადას ჩანგლის წკრიალი ესმით, აღარც ერთმანეთისა. ვითომ, ერთად სჯიან, ერთად არჩევენ ახლახან მოსმენილ სადღეგრძელოს, სინამდვილეში კი, ლაპარაკს არ აცდიან, სიტყვას პირიდან გლეჯენ ერთმანეთს, წეწავენ, წელავენ და როგორც დუქნის ძაღლები ქათმის ნაწლავეებში, თავფეხიანად იხლართებიან ამ მთვრალი დებილის ნაბოღვარში, ამ ცრუპენტელას გამონაგონში... რატომ არ დგას, ვითომ, თავის ადგილას?! მე პირადად, ძალიან მომწონს, ძმაო... განსაკუთრებით ცხენი. ცხენი ყოველთვის ცხენს გაგს, ვინც არ უნდა იჯდეს ზედ. გაგიგიათ, ვინმეს ეკითხოს ცხენზე, რა ცხოველიაო?! მხედარს კი კითხულობენ. მართლაც, ვინ რა იცის, სინამდვილეში როგორ გამოიყურებოდა ესა თუ ის ისტორიული პიროვნება. არსებობს ნეტავ სურათი?! ამას ეცოდინება. ყველაფერი იციან ამ ნაბიჭვრებმა. ისე, სწორი თქვა, ძმაო, ვისაც ემსახურა, იმან საფლავი აუფეთქა, ჩვენ კი, სხვისთვის მკვდარი, ისევ ცხენზე შევსვით და ისევ ხმალი დავაჭერინეთ ხელში. ეგ არც აღამაჰმადნანის გამჩერებელია, არც ორჯონიკიძისა, მეტი არ იყოს ჩემი მტერი. წელან, აქეთ რო მოვდიოდით, მტრედი ეჯდა ხმალზე. ცხენზე ამხედრებული და ხმალშემართული კი არ უნდა იდგეს კრწანისში, სადაც, სულ ცოტა, ორჯერ უკვე გვეტირა დედა, არამედ — დახოქილი, ჩამოფლეთილ-ჩამოხეული, ეპოლეტებამძვრალი, ხმალგადატეხილი, უსმელ-უჭმელი, კიბოსავით უკუსვლით ძლივს ჩამოღწეული ბოროდინოდან კრწანისამდე... ასეთია, ძმაო, სინამდვილე, გინდა ძველი იყავი, გინდა ახალი, გინდა მრგვალი, გინდა გრძელი... ამ ბიჭს რას ერჩით?! "მე რაც ვიცოდი, ვთქვი" — თავმდაბლურად იღიმება ეს, ფრიად კმაყოფილი საკუთარი თავით, უფრო სწორად, ოცდასამწლიანი პატიმრისთვის ყოველად შეუფერებელი სითამამითა და გულწრფელობით. აი, ამაზეა ნათქვამი, თხა და მგელი ერთად ძოვდესო. იმის მაგივრად, თმით ეთრიათ, კბილები ჩაემტვრიათ, თითები კარის ღრიტოში მოეწეწკათ (რისი ოსტატებიც არიან), ქალაქის ყველაზე ცნობილ დუქანში სუფრა გაუშალეს ჩვეულებრივ მკვლელს, თუნდაც, არაჩვეულებრივ თვითმარქვიას. გინდაც მოვიკლავს და გინდაც მოკვლა გდომებია. შეიძლება, ავმა ენებმა ისიც კი თქვან, მაინც ვერაფერს გამორჩებოდა მართლმსაჯულება ვერც "დაზარალებულს" და ვერც "ეჭვმიტანილსო", რადგან, სხვა

თუ არაფერი, ორივენი კაშელები არიან, მამა-შვილი, და არავითარ შემთხვევაში არ გადაიხდიან ფულს იმის მისაჩქმალად, რაც ფულის მეშვეობით და, უფრო მეტიც, ფულის გულისთვის არ ჩაუდენიათ, თუკი, მართლა ჩაიდინეს რამე. ხოლო, "ეჭვიანობის ნიადაგზე" შვილი მამას თავს რომ გაუპობს, იქ მართლმსაჯულებას ნამდვილად არაფერი ესაქმება. ამგვარ "ოჯახურ მკვლევლობას" ყველაფრის სუნი შეიძლება ასდიოდეს, სამსახურის დაკარგვისაც, ზემდგომი ამხანაგების გადაკიდებისაც, ფულისა კი არა. არავითარ შემთხვევაში. ერთადერთი, რასაც ამ საქმიდან შეიძლება გამორჩეს კაცი (და ეს ითქვა კიდევ სუფრაზე, არაორაზროვნად), "ახლებურად მოაზროვნე" მუშაკის სახელია, რაც თავისთავად ცოტა არ არის ("ვისაც მოხმარა შეუძლიაო" — სიტყვა ჩაურთო თამადამ), მით უფრო, ორტრაკა ხელისუფლების თვალში, დღეს რომ უარყოფს გუშინდელს, რათა პასუხი ხვალ მოკითხოს დღევანდელს გუშინწინდელისთვის. მაგრამ სწორედ ხელისუფლების ორტრაკობის გამო, თამადის არ იყოს, "ნაკლებად რენტაბელურია" ეს თქვენი ახლებურად აზროვნება. ეშმაკმა იცის, როდემდე მოგიწონებენ "დემოკრატიულობას" და რა დროს მოგთხოვენ პასუხს იმავე "დემოკრატიულობისთვის" (სხვებს დაუყარონ ეგ საკენკი). მართლაც, ჯერ კიდევ გუშინ, რაჟდენ კაშელისთანა კაცის მკვლევლობისთვის, დახვრეტა თუ არა, ხანგრძლივი (ანუ, უვადო) გაციმბირება ნამდვილად არ ასცდებოდა მკვლელს, გინდაც შვილს; დემოკრატიის გარიჟრაჟზე კი, მკვლელი, თანაც შვილი, დაშოშინანად აქეიფეს კანონის ცერებრებმა; მაგრამ იმიტომ კი არა, კაცი რომ გაუფასურდა, როგორც სუფრის ერთ-ერთმა ბუსთვალემა წევრმა თქვა, არამედ, გვამი რომ დაფასდა, კაცის კვლა ფულის შოვნის წყაროდ და ცხოვრების წესად იქცა, როგორც გამომძიებელს მიაჩნია. მართლაც, აბა მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, რა ხდება: გვამიც ისევე იყიდება, როგორც ძეხვი, ფანტა ანდა პრეზერვატივი... თუ ფული გაქვს და არ გენანება, ღვინის გვამს გამოგიტანენ მაგზოლეუმიდან. სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ხომ ცეცხლი უკიდია კაცის ხორცს. ფასი კი, მაინც დღითი-დღე იზრდება. ჭირისუფალი იძულებულია, ნაწილ-ნაწილ შეიძინოს მისთვის ძვირფასი გვამი. ზოგ მიცვალებულს ორივე მარჯვენა, ან ორივე მარცხენა ფეხი აღმოაჩნდება ხოლმე, მაგრამ ეს რა სასხენებელია იმ ტანჯვა-წამებასთან, რისი გადატანაც დასჭირდათ, ადამიანური წესით რომ მიებარებინათ მიწისთვის თავიანთი ახლობლის ათასნაირად ნაჯიჯგინი ცხედარი. მაგრამ ყველაზე სწორი მაინც თამადაა. არავინ არ იცის, რა ითვლება დღეს დანაშაულად და რა — დამსახურებად. აი, ბოროტების სათავეც. ვიდრე ეს არ გაირკვევა, ვერანაირი ორგანო ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, ტყუილად იფაფხურებს, რაკი არ ეცოდინება, ვის ჩამოუღოს კბილები და ვის "აუღოს ჩესტი". ჯერჯერობით, არც მსაჯული არსებობს და არც განსასჯელი. თუ არსებობს, ორივე ერთ ძირგახვრეტელ, უნიზო და უიალქო ნაეში ზის და ცხოვრებისგან წამხდარი, მორჩილად მიჰყვება დინებას. არ იცის, რომელ მეჩენზე გაირიყება ხვალ, ანუ, ახალს მოიგონებენ რამეს, თუ ძველი დაბრუნდება ისევ. ამიტომ, თუკი რაიმე აინტერესებს საერთოდ, სექსუალური ბატალიები აინტერესებს მხოლოდ, მაგრამ ნაკლებად აღელვებს შემდგომი ბედი ამ ბატალიების მონაწილეთა, თუმცა, ისინი (მონაწილენი), კვლავაც ანტიკური სიმშვიდითა და სიამაყითაც კი, ელოდებიან მისგან შერისხვასაც და, სულო ცოდვილო, თანაგრძნობასაც. მაგრამ არც ქვას ესვრით ვინმე, არც ყვავილს. ყველა საკუთარ სიაკარგეში დგას ყველამდე, სხვებისთვის არ სცალია, და არც აპირებს იქიდან ამოსვლას, ვიდრე ქვეყანა ისევ ქვეყანას არ დაემსგავსება ("იქამდე არ აგიდგეთ გვერდებიო" — გაიცინა ბუსთვალემა). "მე მიღალატეს ძველმა რითმებმა, ძველ მეგობრებსაც მე ვამჩნევ ღალატს" — ამბობს ეს მღელვარედ, გრძნობას აყოლილი. ორივე ხელით უჭირავს აცახცახებული ჭიქა. "არაფერია ღალატზე ამაზრზენი" — ამტებს ზიზღნარევი დიმიდით სახედამანჭული. ჭიქას სულმოუთქმელად ცლის და ყველის ნაჭერს იღებს თეფშიდან. ოღნავ ციკქნის წინა კბილებით, გაუბედავად, თითქოს გაურეცხავი მარწვივი მოერთმით მისთვის მთიბავებს. დაუდექავ ლუკმას შეუმჩნევლად იღებს პირიდან და თეფშის ქვეშ მაღავს. მაინც მსუბუქად, მაინც ხალისიანად გრძნობს თავს. ერთ რამეზე წყდება მხოლოდ გული: მისი სიმამრი, ძია ელიზბარი რომ არ

უსმენს მის სადღეგრძელოებს და არ უყურებს მის ტრიუმფალურ სვლას თავისუფლების შარავზახზე... გუნებაში ეცინება ძია ელიზბარის სახის წარმოდგენაზე. შიშისაგან, შეიძლება ინფარქტი დაემართოს. რაც თავი ახსოვს, ერთსა და იმავეს უმეორებს, აფრთხილებს "მამაშვილურად" (სინამდვილეში — აშინებს), ნურასოდეს ნუ ირწმუნებ, ბოლოს და ბოლოს, დადგა სიმართლის დრო... არადა, დადგა! ამგვარი დრო საერთოდ არ არსებობს ბუნებაში... არსებობს! ვიდრე ხარ, ამგვარი დროც არსებობს. ბოლო ამოსუნთქვამდე გაქვს სიმართლის თქმის შანსი. მსგავსიც არაფერი ახსოვს არცერთ ასტრონომიულ კალენდარს... ასეთია მისი აზრი. ანტონი კი ბედნიერია... ბედნიერია, ძალა რომ ეყო იმის ჩასადენად, რაც ჩაიდინა, თუნდაც, იმის სათქმელად, რასაც მეორე დღეა ლაპარაკობს... უანგაროდ და სხვათა კარნახის გარეშე, რაც, პირველ რიგში, ბატონ გამომძიებელს არ სჯერა. მაგრამ ხომ არ შეიძლება, სულ რაღაცის გამორჩენის უინი დაგარბენინებდეს წინ და უკან, ანდა, კიდევ უარესი, სულ ვიღაცის უხილავი ხელი წარმართავდეს შენს სულსა და გონებას?! არა, ბატონებო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. უკან დასახევი გზა არ არსებობს. წინ, წინ, მხოლოდ წინ, თუნდაც სიკვდილისკენ. დიახ, რაც იყო და არის, იმას სიკვდილი სჯობს. ნურც შეიცხადებთ, ნურც გაიცინებთ. ანტონი სრულ ჭკუაზეა და არავითარ ფსიქოთერაპიას არ საჭიროებს, არავითარ ძალდატანებას არ განიცდის არც გარედან (ესე იგი, სუფრიდან) და არც შიგნიდან (ესე იგი, სინდისიდან). საერთოდ უსუნდისოა. არაფერს ნანობს. უფრო სწორად, ნანობს, რაც არ ჩაუდენია და ოცნებობს ჩადენილზე. ამიტომაცაა, ამყად რომ აღიარებს: მე მოკვალი მამაჩემო, და ვიდრე არ დაუჯერებენ, უსასრულოდ გაიმეორებს იგივეს, თანაც, ნებისმიერ ენაზე, ნებისმიერ კილოკაზე, ნებისმიერ უარგონზე, ასე ვთქვათ, ნებისმიერი ქვეყნის მეშვეობით, ქუჩური იქნება თუ ქაჯური, მასმედიური თუ მართლმსაჯულური... ამ შემთხვევაში, ალბათ, მართლმსაჯულური ყველაზე უპრიანია. ამით, რა თქმა უნდა, საქმის არსი არ შეიცვლება, მაგრამ უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი გახდება ყველასთვის, ანუ, ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშეც, როგორც იურიდიული საზოგადოების, ისევე ბოროტმომქმედთა სამყაროს ნებისმიერი წარმომადგენლისთვის ცხადი შეიქნება, რომ ექვმიტანილმა ა. კ-მა, ამა წლის 25 სექტემბერს, დღის 11 საათსა და 27 წუთზე, ადგილობრივი დროით, გამოვიდა რა მამის, რ. კ-ის კუთვნილი ბინიდან და მოძრაობა დაიწყო რა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმართულებით (მისამართზე ი. ჭავჭავაძის პრ. 1), იქ მოხვედრის მიზნით, უნივერსიტეტამდე არ მისულმა სრულიად შემთხვევით დააფიქსირა, რომ მისი საფულე — "ბუმაჟნიკი" — ზომით 10 სმ. 12-სმ-ზე, არ იმყოფებოდა მისთვის განკუთვნილ ადგილზე, ესე იგი, შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბეში, რის საფუძველზეც ექვმიტანილმა ა. კ-მა სასწრაფოდ გააკეთა გადაწყვეტილების მიღება, დაბრუნებულიყო შინ, უკაცრავად, სახლში, და შავი ხელოვნური ტყავის საფულე — "ბუმაჟნიკი" — რომელშიც ექვმიტანილი ა. კ-ის უკანასკნელი მონაცემებით, მოთავსებული იყო 6 000 ქართული კუპონი, დაებრუნებინა თავის კანონიერ ადგილზე, ანუ, შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბეში, რაც ოჯახში შექმნილი გაუთვალისწინებელი სიტუაციის გამო, არ მოხერხდა... თუმცა, ის უფრო საინტერესოა ალბათ, საფულის ასაღებად შინ მიბრუნებულმა ანტონმა, სამზარეულოს კარის შეღებამდეც რომ იცოდა "მამისა და ცოლის ეროტიული თანამშრომლობის" თაობაზე. მაგრამ რომელმან სიტყვამ იტვირთოს, რაც თვალმან მისმან იხილა და ყურმან მისმან მოისმინა... შენ თვითონ წარმოიდგინეო — ეუბნებიან, უმტიციებენ ჯიუტად — და დაუშვათ, მართლა თვითონ წარმოიდგინა. ესე იგი, საფუძველიც ჰქონდა, არა?! მთავარი კი, საფუძველია და არა ნაირსახეობა გარყვნილებისა. შენ რა, ესეც იცი? ეგ ყველა გოგომ იცის. მამამთილი უკნიდან რომ მოგეპარება და მხრებზე ხელებს ჩამოგაწყობს, ზრდილობისთვის მაინც არ უნდა ჰკითხო, რამე ხომ არ გეშლებათო, თუკი მიხვეული არ ხარ მამამთილის ამგვარ ცელქობებს?! ასეთია ანტონის რეზიუმე, გნებავთ, მისეული ინტერპრეტაცია ამ საოჯახო რომანისა და არც თავს იწონებს, არც თავს ისაწყვდებს. უბრალოდ, მასმედიურად ფაქტს აფიქსირებს, მართლმსაჯულურად — დანაშაულის შეფასებას აკეთებს, ქაჯურად — ტყემალზე ზის და ქუჩურად — დადაობს... მოკლედ, მეტი

რომ არ ვთქვათ (ანტონისთვის ესეც საკმარისია), ბოლო სამოცდაათი წლის განმავლობაში, ძაღლმაც და მამაძაღლმაც ყველაფერი იკისრა, ყველაფერი ჩაიდინა, რათა მაინცდამაინც ამას, ანტონ კაშელს, სწორედ 25 სექტემბერს, ზუსტად დღის 11 საათსა და 47 წუთზე, სამზარეულოს ცული აელო ხელში და ფეხებზე დაეკიდა არა მარტო მამის სიცოცხლე, არამედ მთელი კაცობრიობა, სამყარო, მზის სისტემა, თანავარსკვლავედი... რასაკვირველია, პატარა, საბრალო სამშობლოს ჩათვლით, რომელიც ისედაც მეკდარია მისთვის, თუნდაც, სასიკვდილოდ გადადებულ, უკვე გვამის სუნდაკრული... ყოველ შემთხვევაში, ასეთი სამშობლო იხილა მან ნიკოლოზის დაობებულ წიგნებში... მთელი ბავშვობა, იმ წიგნებიდან ამოკითხული ამბები დასტრიალებდნენ თავს, როგორც ლემის მოზიარეს, ლემიდან წამოფრენილი სვაეები. სისხლიანი ფრთებით სცემდნენ და სისხლიანი ნისკარტებით კორტნიდნენ... ის კი მაინც წიგნში მიძვრებოდა, წიგნის თვალჩაუწვდენელ სიღრმეებში, სადაც ნებისმიერ საოცრებას შეიძლება გადაეყაროს კაცი, საკუთარი დაბადებისა და საკუთარი დაკრძალვის ჩათვლით. წიგნი ნარკოტიკია. მაგრამ თუკი ბებიაშის წარსულის დასავიწყებლად ჭირდებოდა ნარკოტიკი, ის სწორედ წარსულში შეღწევას ცდილობდა წიგნის მეშვეობით, თუნდაც, სამშობლოს ნაადრევი სიკვდილის მიზეზის დასადგენად... "ამას მგონი მიღებული აქვს, ხოცი" — გაიცინა ბუსთავალბამ. "სამშობლოს სადღეგრძელოა, ვირიშვილებო, დააცადეთ" — გაიცინა თამადამაც. "ეს ქვეყანა ყველას გვეყოფა" — შემრიგებლურად იცინის ბუსთავალბამ. "მე ჩემი წილი სამშობლო რახანია ვისმარე" — თავისებურად ოხუნჯობს სუფრის კიდევ ერთი წევრი, არაფრით გამორჩეული, ძნელად დასამახსოვრებელი, უბრალოდ, სუფრის წევრი — კარგი მსმელი, კარგი მჭამელი და ოხუნჯობის მოყვარული, თანამემამულეთა უმრავლესობის მსგავსად. კი, ბატონო! ვისუმროთ, გავძარცვოთ, გავყიდოთ... ჩვენ კი დავვაზოთ უცხოეთში... კი ბატონო! ყველა ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია და არა ისე, როგორც სურს. სისუსტე ამართლებს სიგლახეს, სიგლახე ამართლებს ტყუილს. ანტონის პეპერამ, "გოდრის კაცად" წოდებულმა, არაბებისგან კი არ გაანთავისუფლა თბილისი, დავითით, არამედ თბილისელებისგან. ხოლო, მისი შვილი (ანტონის ბაბუა, თავადაც ანტონი), სამშობლოს მტრების ნაცვლად, სამშობლოს ერთგულ შვილებს ხვრეტდა სუკის სარდაფებში... იმათი ხელით დახოცილთა გვამების სუნი ტანჯავს ანტონს გაჩენის დღიდან... იმ გვამების მუმილი ეხვევა, მაგრამ ვერ უთქვამს, მიუკიბ-მოუკიბავად, ერიდება მუმილისა... ათას სისუღელეს იგონებს... იღმუმ ასახუმ სრავ ადოევხე... "მაგრად გაუტია, აი" — გადახედა თამადამ გამოძიებელს. "აცალე" — მოკლედ მოუჭრა გამოძიებელმა. გვამის სუნშია გაზრდილი, ამ სუნითაა გაუღენთილი ყველა მისი ფიქრი, სიზმარი თუ ოცნება... ეს სუნი არ აძლევდა ნებას, ისიც ჩვეულებრივი ბავშვი ყოფილიყო, ტოლამხანაგების მსგავსად, იმასაც არაფერი სცოდნოდა ქვეყნისა და მარტო იმაზე ეზრუნა, თუ როგორ ჩაეგდო ხელში ახალი კასეტა, ამერიკული სიგარეტი, გასაბერი კევი თუ წარწერიანი მაისური... ანუ, ყოფილიყო ის, რაც უნდა ყოფილიყო, რასაც სკოლა და ოჯახი მოითხოვდა მისგან — მშობელზე უარესი და, როცა დრო მოუვიდოდა, შვილზე უკეთესი. ეს არის და ეს მთელი საბჭოთა იდეოლოგიური კომპოტი... იმას კი, მაინც წარსულისკენ გაურბოდა თვალი. სიმართლე კვერცხს წარსულში დებს, როგორც კუ — სილაში, მაგრამ სიმართლის კვერცხი თავისთავად არ იჩეკება, ვიდაცას უნდა ჭირდებოდეს, ვიდაცამ უნდა მოიძიოს, თუნდაც მისი ნაწილი, სულ უმნიშვნელო ნამცეცი მაინც... ახლაც იქიდან ბრუნდება, წარსულიდან, პროხექტურიდან, და ახალი გამოკვლევის ძველი მონაცემები უდევს ჯიბეში. მისი სამშობლო კი არ მოკვდა, ნაადრევად თუ უდროოდ, არამედ მოკლეს და კვალის მოსასპობად, წიგნის შახტში ჩააგდეს. იქ გდია, ფსკერზე, დასახიჩრებელი, მრავალგზის ნაღალატევი და ყველასგან ერთნაირად განწირული, ორი მეფის, ოთხი მთავრის, ერთი ათაბაგისა და უთვალავი თავად-ახნაურის უკუდო ამპარტავენობას გადაყოლილი, მათ სიხარბეს ვერ გაწვდენილი... "თქვენ მოკალით, ახალგაზრდებმა" — ბურღლუნებს კიდევ ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული სუფრის წევრი. "იღმუმ ასახუმ სრავ ადოევხე" — ამბობს ეს, მაგრამ ლიზიკოსგან განსხვავებით, სუფრის კიდევ ერთი წევრი მშვიდად ისმენს ამ უაზრობასაც. ლიზიკომ კი, არა მარტო სახე, ჭკუაც დაკარგა ერთბაშად, ბრმად,

ალაღბედზე გადაეშვა მანქანიდან, ბრმად, ალაღბედზე შეიჭრა ბუნების წიაღში, ბრმად, ალაღბედზე შევარდა მაცყლის ბუჩქებში, ოღონდ აღარ მოესმინა ქმრისგან ამგვარი სისულელე. "აღარ შემიძლია". "თავი გამანებეთ". "მშუღხართ ყველანი". ადვილი შესაძლებელია, ლიხიკო საბაბს ეძებდა მხოლოდ. მაგრამ, ობიექტურები თუ ვიქნებით, არც ქმარმა დაუკავა საბაბი. იღმუმ ასახუმ სრავ ადოევხე... სხვათაშორის, მართლა ასე ეგონა ანტონს, ასე ფიქრობდა სადღაც, ქვიშხეთსა და თბილისის შორის, ყოფნა-არყოფნის შუა, როცა მის ცოლს მუშლით ამოვსებულ მანქანაში ზნემ წამოუარა და სრულიად უმიზეზოდ ისკუპა მანქანიდან. რაც უფრო თავგანწირულად იბრძოდა, მით უფრო საფუძვლიანად იხლართებოდა მაცყლის ეკლიან საცეცხეში. ძლივს მიაწვდინეს ხელი მამამთილმა და უკლესნიმ. ამას არაფრის თავი აღარ ჰქონდა, ოღონდ, უფრო შიშისგან და ნერვიულობისგან, ვიდრე დადლილობისგან. მწვეარივით ენაგადმოგდებულნი, წინა თათებით უკანა ფეხების მუხლებზე დაბჯენილი, მოწმესავით უყურებდა, ჯერ როგორ გამოათრიეს მაცყლის ბუჩქებიდან კაბაწამოხდილი, ჭინჭრით დასუსხული, ჭიანჭველების დაკბენილი და ეკლებით დაკაწრული მისი მეუღლე — თითქოს ეკლის ურჩხულის საშოდან არანაკლებ ეკლიანი მისი წიწილი ამოიყვანეს — და მერე, ამოღლიავებული, როგორ წააძუნძულეს მანქანისკენ, ვიდრე მშობიარობის ტკივილებით გაოგნებული, დაუძღურებული ურჩხული გონს მოეგებოდა... ეს კი, საფუძველს გააძღვს ვაღიაროთ, ჯერ კიდევ ანტიკური ტრადიციის თაკარა მზე რომ აცხუნებს ჩვენში, თბილისის მისადგომებთან კი, ტროას ცხენი ძოვს. თუმცა, ბატონი გამომძიებლისა არ იყოს, შეიძლება, ისე არ წვიმდეს, როგორც ქუხს ("მსგავსიც არაფერი მითქვამს" — გაიფიქრა გამომძიებელმა). მით უფრო, თუკი ცოლმა ყველაფერი პატიოსნად აღიარა, თანაც, ყველაზე ინტიმურ გარემოში, საწოლში, სადაც სიტყვა, ჩვენში რომ ვთქვათ, ზედმეტიცაა — წონასაც კარგავს და ფასსაც — საწოლში სხვა რაღაცაა აუცილებელი, გადაამწვევტიც, რადგან მხოლოდ მისი გაბარიტები და უდრეკი ბუნება განსაზღვრავს, ანუ, აწონასწორებს და არღვევს, ამშვენებებს და ამახინჯებს, აძლიერებს და ასუსტებს, ამცირებს და ამადლებს, აკეთილშობილებს და რყვნის, ამტყუნებს და ამართლებს ყველაფერს, რაც შეიძლება შეემთხვას, გარდახდეს, შეხვდეს, შეეხოს ადამიანს ერთი საწოლიდან მეორემდე. მე თუ გილაღატებ, მხოლოდ მამაშენთან გილაღატებო, აი, რა ჩასჩურჩულა ცოლმა ქმარს ყურში, უკიდურესი სიახლოვის უამს, ერთი წამით ადრე, როცა ჯერ კიდევ არ ეკუთვნი ცას, მაგრამ უკვე აღარც მიწისა ხარ. რა ცოლის ბრალია, თუკი ქმარმა წესიერად ვერ გაიგო ცოლის ნათქვამი, ანდა ისე გაიგო, როგორც თავად აძღვედა ხელს. მით უფრო, იმ მომენტში, ცისა და მიწის შუა გაჩხერილს. მამაჩემი ყვარებიაო — შეკუნტრუშდა ხბოსავით, რადგან ცოლს რომ ეთქვა, ვერ ვიტან მამაშენსო, ნამდვილად ეტკინებოდა გული, თუმცა, ძნელი ასახსნელია, რატომ. სიყვარული სიძულვილზე უკეთესი მიზეზია მკვლევლობისთვის, მაგრამ იოტის ოდენადაც არ ამართლებს მკვლელს. პირიქით, უფრო ამძიებს დანაშაულს. თუმცა, ამავე დროს, რაღაცნაირად ამადლებს და კეთილშობილების შარავანდელში ხვევს დამნაშავეს. მართლაც, თუ არ გიყვარს, რატომ კლავ? რა უფლებით? უფლება კი სიყვარულია. თუ ეს უფლება არ გაგაჩნია, მხოლოდ მაშინ შეგიძლია ერთნაირად მიაფურთხო ცოლსაც და მამასაც, როგორც ბატონმა გამომძიებელმა ბრძანა ("ვბრძანე რო?!" — გუნებაში შეეკითხა გამომძიებელი თავს). მაგრამ თუკი პატივმოყვარე ეგოსტი, კუდაბზიკა ოტელო და გააზნაურებული მდაბიო ხარ, რასაკვირველია, ასე ვერ მოიქცევი. ვერც ანტონი მოიქცა ასე. აიღო ცული და თავი გაუპო მამას, რომლის იმედიდაც ცხოვრობდა აქამდე. ცოლი ამჯერად დაზოგა. ამდენს ვერ გაწვდა ერთბაშად. დუხი არ ეყო, ობსილა, თუ, არ ვიცო, რა ჰქვია ქართულად. სამაგიეროდ, მამას ეტირა დედა. თუ ვერ მოკლა, როგორც ამ საქმის სპეციალისტები ადასტურებენ ერთხმად, სამუდამოდ მოიკვთა, ცულის ერთი დაკვრით ის ტოტი მოჭრა, რომელზედაც არხეინად იჯდა დღემდე და ხელის გაუნძრევლად მოსდიოდა ყველაფერი — რაც კი, ერთ ჩვეულებრივ თბილისელ დევენერატს ჭირდება, ბედნიერად რომ ჩათვალოს თავი — სასმელ-საჭმელიც, ჯინსიც, კურტაკიც, ბოტასიც, ფირფიტაც, კასეტაც, ცოტაოდენი ჯიბის ფულიც და, თავისთავად ცხადია, ცოლიც, თუნდაც საზიარო... ასე რომ, მისგანაც შეიძლებოდა დამდგარიყო კაცი,

თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით — მშობელზე უარესი, შვილზე უკეთესი — ისიც შეიძლებოდა მოჰკიდებოდა რამე სარფიან საქმეს... სხვათაშორის, ტექნიკური გაუნათლებლობა და თანდაყოლილი სიმხდალე თუ არ შეუშლიდა ხელს, ალბათ არც მთლად ურიგო პაპარაცი გამოვიდოდა მისგან. ყოველ შემთხვევაში, უაპარატოდ და რისკის გარეშე, შეუძლია ყოველად წარმოუდგენელ სიტუაციაში წარმოიდგინოს მისი ინტერესის საგანი თუ ობიექტი, საკუთარი ცოლის ჩათვლით, და ალბათ თქვენთვისაც საინტერესო ბევრი პიკანტური კადრი აქვს აღბეჭდილი საკმაოდ გარყვნილ გონებაში. ასე მოგწონს, საყვარელო? ხო, მიდი... "ეგენი მოყვები, დედას გაფიცებ" — დაუძახა ბუსთვალეზამ. მაგრამ თავად მხოლოდ პოეტად თვლის თავს. თავისთავად ცხადია, უგულუბელყოფილ პოეტად. ყველა ჭეშმარიტი პოეტი ან მკვდარია, ან უგულუბელყოფილი. ვინც იბეჭდება, ხელისუფლებას ემსახურება, რადგან ნებისმიერი ხელისუფლება მხოლოდ იმის დაბეჭდვის უფლებას იძლევა, რისი დაბეჭდვაც, უპირველეს ყოვლისა, თავისთვის მიაჩნია სასარგებლოდ და არა პოეტისთვის. პოეტისთვის შეიძლება თავის მოჭრაცაა, მაგრამ რაკი თვითონვე იჭრის თავს, აღარც სინდისი აწუხებს, აღარც უსინდისობა. ის კი, მისნაირთა მსგავსად, მხოლოდ ოცნებას ემსახურება, ოღონდ, თითის გაუნძრევლად. რამეიანი ქურდივით. აღარც წერს, აღარც კითხულობს. თავის ქმნილებებს, ნაბიჭვრებივით, მალულად, საიდუმლოდ აჩენს გონებაში და იქვე მარხავს ცოცხლად. მაგრამ მაინც პოეტად თვლის თავს და, დამეთანხმებით, არავის შეუძლია მისთვის ამის აკრძალვა. ეს არის შენიერი, შინაგანი დემოკრატია და ტანკებით ვერ მიუდგები. თუმცა, ჯერ კიდევ შორეულ სიმაწვილეში, ჟამსა გულუბრყვილობისა, როცა გწამს და გჯერა, ერთ რედაქციაში მისი, ჯერ კიდევ ცინცხალი, პატარძლის დაკრეფილი მწვანილივით, ქორფა ლექსები, თავიანთი შეხედულებების შესაბამისად... მეორეში კი, ასევე თავიანთი შეხედულებებიდან გამომდინარე... და მას მერე აღარც გაუხედავს რედაქციისკენ. საერთოდ აღარ უცდია ლექსის დაბეჭდვა (გამომძიებელი ნერვიულად შეიშმუშნა სკამზე და ასანთის კოლოფიც ნერვიულად მოისროლა, ეტყობა, ახალგაზრდობაში თვითონაც წერდა ლექსებს). არ უზრუნია მიწიერი დიდებისთვის. პირიქით, მას მერე, ყველანაირად ცდილობს მხოლოდ შიგნით, სულის საკანში იყოს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. თქვენ ახლა ნილაბს უყურებთ, ეშმაკურად შერჩეულს და მოხერხებულად მორგებულს ნამდვილ სახეზე. ამქვეყნიური დიდება სასაცილოდაც არ ყოფნის და გულწრფელად უკვირს, როცა ხედავს, რას არ კისრულობს ხალხი ამ წამიერი თვითგაბრიყვებისთვის. ემსახურება ოცნებას და ოცნებობს მარადისობაზე. დიდება დროებითი საკვებია მისთვის და იმის გულისთვის, რასაკვირველია, არ ღირს მამის მოკვლა. ეს ვერსიაც უნდა გამოირიცხოს, ერთხელ და სამუდამოდ, თითქოს გაგვანდეს საერთოდ რაიმე ვერსია. დიდების ნაფშხვენებს თურმე ყვავიც არ აკარებს პირს. სახიფათოა სიცოცხლისთვის. ყვავს თავის სამასწლიან სიმარტოვეში ურჩვენია ყრანტალი იმ თქვენს დიდებას. სამაგიეროდ, ადამიანი დაუფიქრებლად ჭამს და კვდება. ვერ ინელებს. უფრო სწორად, ვერ ზომავს. ზედმეტი მოსდის ყოველთვის. ზედმეტი კი ყველაფერი ერთნაირად მავნებელია: საჭმელიც, სასმელიც, ნარკოტიკიც, სიყვარულიც და თავად დიდებაც... ანტონის დედამ, ფეფემ, დედამთილს კნიაუნა ქეთუსიას, ზედმეტი ნარკოტიკი შეუშხაპუნა; ანტონის ცოლმა, ლიზიკომ კი, ზედმეტად დიდი სიყვარულით შეიყვარა მამამთილი, ანტონის მამა, რაჟდენ კაშელი, რის შედეგადაც, ერთის დედამთილი და მეორის მამამთილი ერთნაირად გამოეთხოვა წუთისოფელს, შეიძლება, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უფრო ადრე, ვიდრე ღმერთს სურდა. აქედან გამომდინარე, რძალი უშხაპუნებს დედამთილს, თუ მამამთილი რძალს, შედეგი ერთნაირად სავალალოა... და მაინც, მამის მკვლელობაზე მნიშვნელოვანი, საინტერესო და, რაც მთავარია, საჭირო, არაფერი გაუკეთებია ანტონს, არაფერი ჩაუდენია და არაფერი მოუმოქმედებია მთელი თავისი ოცდასამწლიანი სიცოცხლის მანძილზე. ოცდასამი წელი უაზროდ, უმიზნოდ, უინტერესოდ, ანუ, უწყლოდ და უპირაქოდ მიუყვებოდა მწირსა და ხრიოკ უდაბნოს, ჰაერის გაბერილი ბუშტივით, მამის გვამი კი (სულერთია, იპოვიან თუ არ იპოვიან), იგივე ბალასტი აღმოჩნდა მისთვის. მამის გვამმა ჰაერით გაბერილი ბუშტი (რომლის მსგავსიც მრავლად იყიდება თითქმის ყოველ ნაბიჯზე), აეროსტატად აქცია და

მშვიდობიანად დააბრუნა მიწაზე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, მოსალოდნელი საფრთხე რომ ეუწეებია ამას თქვენთვის. მაგრამ, რა?! შეაყარე კედელს ცერცვი. კვლავ მშობლიური უზრუნველობა და დაასხი-დალიე... "მთლად ნუ გადაგვივლი ახლა" — იცინის თამადა. "მეც მათქმევინე, შეჩემა, ერთი სადღეგრძელო... როდემდე ვუსმინოთ ამ ნესოსტაიავში უბიცას..." — ბრაზდება ბუსთვალემა. მაგრამ ბუსთვალემა არ იცის და აუცილებლად უნდა იცოდეს, მამის მკვლელობა ანტონისთვის საზოგადოებრივი მოვალეობის, ყველასთვის ერთნაირად სანუკვარი ოცნების აღსრულებაა და არა მარტო მათი პირადი ურთიერთობის გარკვევა... მამის მოკვლით საკუთარ სიცოცხლესაც უსვამს წერტილს, რადგან მის სიცოცხლეს მხოლოდ იქამდე აქვს აზრი, ვიდრე მამამისი იარსებებს ამ ქვეყანაზე — მისი, როგორც აღუვსებელი საწყაულის, ერთადერთი დანიშნულებაა, დღითი-დღე, წვეთ-წვეთობით ივსებოდეს და ვერ ივსებოდეს მამის მოკვლის დაუოკებელი ჟინით. ამან კი — რა-ააზ! — (როგორც მამას უყვარდა თქმა) და ოცდასამწლიან უაზრობას ერთბაშად მოუღო ბოლო. ამიტომ, აფექტზე ლაპარაკი, რისკენაც ბატონი გამომძიებელი უბიძგებდა გუშინ შეფარვით, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა ("შენ თუ იტყვი" — დასცინა გუნებაში გამომძიებელმა). ერთადერთი, რაც თავისთვის ვერ უპატიებია, ისევ გულუბრყვილო, ისევ უმაქნისი სიკეთის გამომჟღავნების სურვილია, მამის პირისპირ დარჩენილს რომ დაეუფლა ბოლო წამს, მოულოდნელად, სხვათაშორის, მეორეჯერ. პირველად მათი "დაპირისპირება" ამ ათიოდე წლის წინ მოხდა, ქუჩაში, რომელიდაც სადარბაზოში და ისევე მოულოდნელად, როგორც გუშინ, სამზარეულოში... სადღაც იყვნენ სტუმრად, ქალაქგარეთ, და შუალამისას დაბრუნდნენ იქიდან; შემოვიდნენ თუ არა ქალაქში, მამამ მანქანა გააჩერებინა და, აქ დაგვიცადეო, დაუბარა ჟელეზნის, თვითონ კი, ფეხით გაუყვანენ ქუჩას, ვიდრე საკმაოდ არ მოშორდნენ მანქანას და ვიდრე მამამ ლამის ძალით არ შეაგდო სადარბაზოში, სადაც ჯერ პიჯაკი გაიხადა, სათუთად დაკეცა და ამას მიაბარა, არ დამისვარო, მერე კედლისკენ შეტრიალდა, პირში ორი თითი ჩაიყო და გადაუხარშავ-მოუნელებელი სასმელ-საჭმელი ღმუილით ამოარწვია უკანვე. ეგ იყო და ეგ. სხვა არაფერი თქმულა, არც მომხდარა მამა-შვილს შორის. სუფთა, ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცი, რომლითაც იქამდე ტუნები მოიწმინდა, მამამ ნარწყევზე დააგდო, შვილს პიჯაკი ჩამოართვა და, ვითომც არაფერიო, ისე გამოვიდა სადარბაზოდან. მაგრამ, თუკი მაშინ, ნარწყევის სუნით აქოთებულ სადარბაზოში, ნამდვილი, სერიოზული შიშით პირველად შეეშინდა ანტონს მამისა და პირველად იგრძნო თავი მის ყურმოჭრილ მონად, რომლის თანდასწრებითაც ყველაფრის უფლება შეუძლია მისცეს თავს პატრონმა, გუშინ, სამზარეულოში, ასევე პირველად თავის სიცოცხლეში შეეცოდა მამა, უფრო სწორად, შემაწუხებლად იგრძნო, ყველაფრის უფლება რომ ჰქონდა ამ არარაობის წინაშე... არასოდეს ენახა ასეთი უმწეო, ასეთი დაუცველი და ასეთი ამაზრზენი (აღბათ სიტიტვლის გამო) და უსაშველოდ, აუტანლად მოუნდა უცებ, პატიება ეთხოვა იმას. არა, პირიქით, ამისთვის ეპატიებინა მოულოდნელი გამბედაობა, თუნდაც, თავხედობა, არ გაეწირა სამუდამოდ და თავისებურად ეთქვა: რას სჩადი, ბრიყვო, რას სჩადი, ბრიყვო, ბრიყვო, რას სჩადიო, რადგან მამის ნებისმიერი სიტყვა, ნებისმიერი ტონით ნათქვამი, უმალ ცუღს დააგდებინებდა, ვიდრე ნავთს დაუსხამდა ცეცხლზე და კიდევ უფრო გაუმძაფრებდა თანდაყოლილ სენს, მოურჩენელ ავადმყოფობას, კერძოდ, მამის მოკვლის ჟინს. მაგრამ, ეტყობა, მამამაც იცოდა ეს — არავინ იცის ძე, გარდა მამისა — და ანტონმაც, ჯერჯერობით, ერთი რამე იცის მხოლოდ ნათლად: ცოლთან ღლაბუცზე მეტად, სწორედ ეს დუმილი ვერ აპატია მამას... ცულშემართულიც არაფრად ჩააგდო... თითქოს მკვლეელი კი არ იდგა მის წინ, არამედ მისივე ლანდი, ჩრდილი, ჰაერის ბუშტი... და იხილა ანტონმა სახილველი: "უდიდესი გამოცანა" და "უდრმესი ირონია", როგორც მისი საყვარელი პოეტები მოიხსენიებდნენ სიკვდილს, და, რა დასამაღია, შეძრულია ამ დიდებული სანახაობით. შეიძლება, მართლა მოაბეზრა ყველას თავი, მაგრამ ამ თემაზე უსასრულოდ შეუძლია ლაპარაკი. სამაგიეროდ, სრულებით არ აინტერესებს იმის დადგენა, თუ "რა ნიადაგზე მოხდა" უთანხმოება მამასა და შვილს შორის. მამაშვილობა თავისთავად უთანხმოებაა, გათიშვაა, გაყოფაა, გნებავთ, გამოყოფაა

ზედმეტისა და შემაწუხებლისა. მამა ყოველთვის სიამოვნებით იშორებს შვილს და შვილიც ყოველთვის თავქუდმოგლეჯილი გამორბის მამისგან, რათა დედის ბნელ დილეგში მოადინოს ტყაპანი და საიმედოდ დაცულმა, თანდათანობით შეისხას ხორცი, მიიღოს სახე, შეიძინოს აზრი და წონა, და ნელა, ტაატით, უხალისოდ გამოვიდეს სამზეოზე, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მამას უნდა დაუპირისპირდეს ისევ, თვითონაც რომ აღარ ახსოვს, რისთვის... გამომძიებელი კი, ასანთის კოლოფით თამაშობს, როგორც თავის კაბინეტში თამაშობდა, მაგრამ აქ ნამდვილად არ ყოფნის ადგილი, მაგიდაზე ჯგუფ-ჯგუფად აწყვია ყველა ზომის ჭიქა და ბოთლი, ერთმანეთზე ახვავია სამნაირი ყველის, ორნაირი ხიზილალის, ხუთნაირი ღობიოს, ათნაირი მხალის, ძეხვის, შაშხის, ქინძმარში ჩაწყობილი ღოქოს, ნიგვზის წვეწმში ჩაწყობილი თართის, ნორწყალში ჩაწყობილი წიწილის, ცოცხალის, ქაბაბის, ხინკლის, ჯივრის ყაურმის, ჩაქაფულის, ხაშლამის, ჩანახის, სოკოსა თუ მწვადის თეფში, მათლაფა, ჯამი და ლანგარი... ასანთის კოლოფი ან ჭიქაში ვარდება, ან საჭმელში — ღვინითა და ათასნაირი წვეწმით გაღუმპული, დაძენილ-დარბილებული, ხელში აღარ აიღება, მაგრამ გამომძიებელი მაინც ჯიუტად აგრძელებს თამაშს. "ესე იგი, მშობლებს თუ დავხოცავთ, უკეთ წავა ჩვენი საქმე, არა?!" — შარზეა ბუსთვალება. "მე რაც ვიცოდი, ყველაფერი ვთქვი" — ჯიუტად, მტკიცედ იმეორებს ეს. სუფრის ორ ჩვეულებრივ წვეწმს უკვე დაუძინია. თავები გასაყიდი ნესვებივით დაუყრიათ მაგიდაზე და ყელგამოჭრილებივით ხრიალებენ. "არ გაიშვა მაგათი დაჭერილი კაცი" — იცინის თამადა. მაგრამ ანტონს მართლა აღარა აქვს მეტის თავი. ყინწი წყდება. თავისთავად ეხუჭება თვალები. მაგრამ ხუჭავს თუ არა თვალს, ისევ კარუსელივით ტრიალებს ყველაფერი, ერთმანეთში არეული, ერთმანეთს გადაბმული, გაერთიანებული თავბრუდამხვევ ქროლვაში, წრეში მოქცეულ დროსა და სივრცეში: დალაქავებულ-დაბინძურებული სუფრაც, სველი სამარილეც, ღვინის ჭიქაში ჩატოვებული ჩანგალიც, ღობიოს თეფშზე დაგდებული თევზის ჩონჩხიც, ქონშეყინული, ჩაშავებული ყაურმაც, ხინკლის ჭიპებიც, პურის ნაჭერზე დაჭყლელი სიგარეტიც, გოგოს შიშველი, ფოთოლშერტობილი გავაც, შარვალჩანხილი კაციც, მოთახთახე შიგანიც, ნაწლავებში გახლართული ძაღლებიც, მოაჯირზე შეფრენილი და ცხენივით აჭიხინებული მამალიც, მოყიყინე ბაყაყებიც (უფრო მათი ხმა), სუფრაზე დაყრილი და ღია პირებიდან ღორწონამოღვენილი, ამაზრხენად ახრიალებული თავებიც... განა ციხე ამაზე უარესია?! სხვა რა უნდა მოხდეს იქ, უფრო ძნელი ასატანი?! პირიქით. იქ დროც მეტი გაქვს და სივრცეც... ზიხარ შენთვის... საკნის სარკმლიდან, გინდაც ჭუჭრუტანიდან, ალბათ ხრიოკი ქედი და უკაცური, კაჭაჭადავლილი მინდორი მოჩანს... რა შეედრება ამ სანახაობას?! შეედრება რამე?! სიკვდილამდე რომ უყურო, არ მოგებზრდება. არა მარტო ყოველ დღე იცვლის ფერს, არამედ დღეში რამდენჯერმე: მზის ამოსვლისას, მზის გულზე, მზის ჩასვლისას... სულ სხვანაირია წვიმამდე, წვიმაში, ნაწვიმარზე... სულ სხვანაირია ქარში: ერთბაშად ამოშლის, ამოაფრქვევს იქამდე დამალულ, გასაიდუმლოებულ ფერებს... სულ სხვანაირია თოვლის ქათქათა საბნის ქვეშ გაუჩინარებული, გაღურსული და მარად მზადყოფი თავისი ერთხელ კიდევ განწმენდილი, გასაპეტაკებული სიშიშვლის გამოსაფენად...

ანტონი კი, მოუხერხებლად წევს, პირქვე, და ორივე ხელით სცემს ამღვრეულ, აქაფებულ, აქოთქოთებულ წყალს. პერანგისა და პიჯაკის სახელოები იღლივამდე დასველებია. მართალია, ჯერ სექტემბერია, "პატარა ზაფხული", მაგრამ დამდამობით უკვე საკმაოდ ცივა. თუმცა, ეს არც სიცივეს დაგიდევთ, არც სისველეს — რაღაცნაირი, გამომწვევი, ნერვიული, კაპასი სიხალისით ჭკუმპალობს აუზის სუნდაკრულ წყალში. ენას ვერ ატრიალებს პირში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ხორხი ნაყლაპი სისხლით ამოგლესვია. გატეხილი ცხვირი ჰაერს ვეღარ ატარებს წესიერად. ცალი თვალი, მგონი, საერთოდ აღარა აქვს და მაინც, არაადამიანური ძალისხმევის ფასად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნამცეც-ნამცეც იხსენებს, რა შეემთხვა სატუსალოდან გამოსვლის შემდეგ. რაც შეეხება სატუსალოს, იქაური ყველაფერი ახსოვს, ყველაფერი, უზარმაზარი ჭრელი ძროხით დაწყებულ და წუხანდელი ღრეობით დამთავრებული. არაფერს იგონებს და არც ცილს სწამებს ვინმეს. შეიძლება, რაღაც-რაღაცეებს აზვიადებს, მაგრამ არც ესაა გასაკვირი მის დღეში მყოფი კაცისგან, აქვს ამის საფუძველი, საფუძველი თუ არა, გამართლება მაინც, რადგან ჯერ კიდევ მონაა, გინდაც გააზატებული, და მონურ თვისებებს ასე ერთბაშად ვერ მოიშორებს, თუკი საერთოდ შესაძლებელია მათი მოშორება. სხვათაშორის, წუხანდელ ღრეობაზე გახდა მისთვის ნათელი, თუ რატომ ვერ იტანს მონა თავისუფლებას. იმიტომ რომ, მონაა და, რაკი მონაა, სხვანაირად არ შეუძლია. თავისუფლება მონობას ართმევს, მონობა კი, საშუალებას აძლევს, რამდენიც უნდა, იმდენი იოცნებოს თავისუფლებაზე. აი, ასეთი მონა იყო დღემდე, ამასაც არ შეეძლო სხვანაირად, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო შეუძლებელი (რის გამოც, სხვა ყველაფერი ეპატიება), საკუთარ მამაზე აღმართა ხელი და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ამ გაუგავლ წყვილადში, მხოლოდ ეს წარმოადგენს "თავისუფალ სამყაროს", მიუხედავად ეგ ზომ სავალალო შესახედლობისა...

ერთი ცხადია, ამ ერთი საათის წინ (რა თქმა უნდა, მისი მეტად არაზუსტი ვარაუდით), რომელიღაც ღამის ბარის საპირფარეშოს სარკმლიდან გადმოხტა, ანდა გადმოაგდეს (ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა), მაგრამ საკითხავი ის არის, როგორ აღმოჩნდა ჯერ იმ ბარში, მერე იმ ბარის საპირფარეშოში და რამ აიძულა იქიდან გადმოხტომა, ან რამ აიძულა სხვები, სიგარეტის ნამწვივით გადმოვედოთ საპირფარეშოს სარკმლიდან. ჯერჯერობით, მხოლოდ ის ახსოვს, თუ როგორ გამოვიდა დილით ციხიდან, ანუ, დუქნიდან, და უკვე შუალამისას, როგორ გამოერკვა უცებ მაგიდასთან, თითქმის ცარიელ დარბაზში. ორთაჭალაში ჩაყვინთა და მთაწმინდაზე ამოყვინთა. ხოლო, ვიდრე თავისუფლებით დაბრძანებული და სუნთქვაშეკრული, ალაღბედზე მიცურავდა წყალქვეშ, ეშმაკმა იცის, რა მოხდა ქვეყანაზე. ერთი კია, არც ასე ბრმად მოცურავს გადაუხვევია შინისკენ, თუნდაც იმის შესამოწმებლად, თვითონ ტყუოდა თუ გამოძიებული. არც მონანიებისა და არც შურისძიების ერთნაირად ვერაგ სურვილს აჰყოლია, თუმცა, ეს ორი სურვილია აკავშირებს თავისიანებთან და, რაც მთავარია, ერთნაირად დამაკნინებელ შეგრძნებებს უჩენს, როგორც წარმოდგენილი მონანიების, ისევე წარმოდგენილი შურისძიების სცენა... თავშეხვეული მამა თვალშისაცემად მასიურ მაგიდას უზის თავის კაბინეტში. მაგიდაზეც მასიური ნივთები ალაგია, კრიალი გაუდის, უხმარივითაა. მამა წელზემით შიშველია. მკერდზე და მხრებზე განსაკუთრებულად ჭარბად მოსდებია ბალანი. მაჯაზე დიდი საათი უკეთია, კაბინეტის აკლადამისებურ სიჩუმეში მკვეთრად ისმის მისი ხმა, თითქოს უჩინარი მარატელი ასევე უჩინარ ბუჩქნარს ერეჭს. ეს კი, კართან დგას, თავჩაქინდრული, დარცხვინილი, და მღელვარებისგან დაფხრეწილი ხმით ძლივს გასაგონად ლულულულებს: "მაპატიე, მამა, მაპატიე..." რაღაც ბალახები მოაწვეინეს ბიჭებმა უნივერსიტეტში და თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა... ანდა, ასევე წელზემით შიშველ მამას (ძალიან უყვარს მამამისს ბანჯგვლიანი ტორსის დემონსტრირება), ხელები ზურგსუკან დაუწვევია, საათიანი ხელით მეორე ხელის მაჯას ჩაფრენია და ბოლთას სცემს სასადილო ოთახში. ფეფე და ლიზიკო ერთმანეთს ჩახუტებიან და შემაწუხებლად სლუქუნებენ. ეს კი, სიტუაციის შესაფერისად დასერიოზულებული (განცდილითა და გადატანილით დაბრძნებული, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება), მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორივით (პროვინციულ აქცენტს რომ ნიღბავს მეტ-ნაკლებად), ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ღეჭვა-ღეჭვით ლაპარაკობს, მამის მაგივრად: ბედისწერას ვინ აღსდგომია წინ... მოსახდენი მაინც მოხდებოდა და კარგია, რომ მოხდა... ის მაინც გავიგეთ, რანი ვყოფილვართ... მაგრამ ჭკუა კი არ უნდა დავკარგოთ უარესად, ჭკუას უნდა მოვუხმოთ, ბოლოს და ბოლოს... შურისძიებაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ მონანიებაზე... ერთად თუ არ ვიყავით, ახლა უნდა გავერთიანდეთ... და თუ არ გვიყვარდა, ახლა უნდა შევიყვართ ერთმანეთი... არადა, მონანიებისა და შურისძიების ეს ორი, თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი, მაგრამ მისი და მისთანების სიმდაბლისა და სიყალბის გამომააშკარავებელი სურვილი, არა მარტო უიოლებდა, გარკვეული თვალსაზრისით, სასიამოვნოსაც ხდიდა მის ოცდასამწლიან პატიმრობას. ერთნაირად გაბედნიერებული, ერთნაირად აღელვებულ-აღფრთოვანებული ნებდებოდა ორივეს, როგორც თბილისურ, ისევე ქვიშხეთურ საკნის წყვილიადაში და, ხანდახან, თვითონვე უჭირდა მათი გარჩევა, იმდენად გავდნენ ერთმანეთს, ანუ, ერთი მეორესაც გულისხმობდა ყოველთვის და, ამავე დროს, უფრო მკვეთრად, უფრო მძაფრად, მთელი სისავსითა და სიდიადით წარმოაჩენდა საკუთარ თავს... მაგრამ ეს ადრე იყო. ახლა, თავისუფლების პირველ დღეს, არც მონანიების სურვილი აწუხებს, არც შურისძიებისა. ყველაფრისგან ერთბაშად განთავისუფლდა, განიტვირთა. "შენ არავინ არ გყვარებია, შენი თავის მეტი" — ეუბნება ლიზიკო, ოღონდ, სასაფლაოზე, დიდუბის პანთეონში... ნამდვილად დიდუბის პანთეონია, წარამარა თვალში ეჩხირება ქვის ნატეხზე აღბეჭდილი პოეტის გაცრეცილი სახე. ცას ასცქერის, გულხელდაკრეფილი. წამოაგდეს უკვე შეჩვეული საფლავიდან და ჯერ მოუწყობელ, დაუმთავრებელ საფლავში უკრეს თავი. ახლა ვიღა მოიცლის უსახლკარო პოეტისთვის, ჰოდა, ისიც ცისკენ თვალგებაპრობილი ელოდება მფარველი ანგელოზის გამოჩენას... "უსახლკარო მე ვარ, მაგას რა უჭირს... — იცინის ლიზიკო

— აღარც ქმართან დამედგომება და აღარც მამასთან მიმესვლება". საფლაგებს მტვრიანი, სიცხისგან გამოსუნებული ბალახი მოსდებია. ბალახზე, აქა-იქ, ნაადრევად ჩამოცვენილი ფოთოლი ყრია. "მაგრამ შენ მაინც უფრო უბედური ხარ... ისიც არ იცი, რა გინდა" — ამბობს ლიზიკო. "მონანიება და შურისძიება" — ამბობს ეს და თან პანთონის მეთვალყურე ქალისკენ იყურება, არ უნდა, იმანაც გაიგოს მათი ლაპარაკი. ქალი მოშორებით, რომელიღაც საფლავს ასუფთავებს მოკლე ფოცხით. ნაადრევად ჩამოცვენილ ფოთოლს ვედროში აგროვებს. ჭილის ქუდი ახურავს, ფარფლებიანი. აქეთკენ არც იყურება, მაგრამ აშკარად ესმის ყველაფერი, ზედმეტად დაძაბული საქმიანობს, ზედმეტად მოწადინებული... ესე იგი, ლიზიკო უნახავს დღეს, მაგრამ სასაფლაოზე რა უნდოდათ?! თუმცა, სხვაგან სად უნდა წასულიყვნენ, სადა აქვთ ადგილი?! თუკი ვინმე ყავდათ, ყველას მოუკედნენ, პირველ რიგში კი, ერთმანეთს. დამარხვალა აკლიათ. "მომიცადე, მომიცადე" — მისდევს ლიზიკოს ყვირილით, არავისი აღარ ერიდება. ლიზიკო საფლაგებს შორის დარჩენილ ვიწრო ბილიკზე გარბის. "აღარ ახსენო ჩემი სახელი" — ყვირის ისიც, უკანმოუხედავად. რკინის მესერი ირხევა, ჟღერიალი გაუდის. ქუჩა ხალხითაა სავსე, ეკლესიის ეზოც... ყველას ერთნაირად შავი აცვია... ლიზიკო კი, არ ჩანს. სად გაქრა ასე უცებ?! თუმცა, რა ამის საქმეა, ბოლოს და ბოლოს. რა ესაქმება ლიზიკოსთან?! არაფერი... უბრალოდ, აინტერესებს, სად შეხვდნენ ერთმანეთს, ასე დაბარებულებივით, როგორ შეხვდნენ... შეიძლება, ეს დახვდა უნივერსიტეტთან, მაგრამ აქ რა უნდოდათ, დიდუბეში?! "ღმერთი მოგცემს შვილო, დამეხმარე, ლტოლვილი ვარ" — გაუბედავად უღიმის ვიღაც ქალი. ლიზიკო არ ჩანს. ამ შავმა ხალხმა უყო პირი. შეიძლება, ეკლესიაში შევიდა. მიდი და ეძებე... ყველა ერთნაირად ლტოლვილია, გინდა მკვდარი პოეტი და გინდა მწერლის ქალიშვილი... "ლიზიკოს ხომ არ გამოუვლია აქვთ?" — კეითხება მათხოვარს. მათხოვარი გაოცებული უყურებს. "აბა, ლიზიკო?!" — კითხულობს ბოლოს. ლიზიკო, ამდროისთვის, პატარა საგაღანტერიო მაღაზიაში დგას, აღმაშენებელზე, და დახლის შუშის ქვეშ სანახევროდ გახსნილ სამართებლებს დასცქერის. "გნებავთ რამე" — კეითხება ნოქარი. "ენახოთ... ჯერ ვათვალიერებ" — გაურკვეველად პასუხობს ლიზიკო. ეს კი, ჯიბეებში იქექება ტყუილად, არაფერი აქვს გასაცემი. მათხოვრისა რცხენია, მაგრამ ის უფრო აინტერესებს, სად გაქრა ლიზიკო ასე უცებ. მხოლოდ ლიზიკოსგან თუ გაიგებს, რა უნდოდათ აქ, თუკი მართლა იყვნენ, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთონში... რაზე ილაპარაკეს, თუკი ილაპარაკეს საერთოდ... თვითონ არაფერი ახსოვს. არც ის ახსოვს, რაც ლიზიკოს საბოლოოდ დაკარგვის შემდეგ შეემთხვა, სად იბოდილა მთელი დღე, და ბოლოს, რა მიზნით შევიდა, მაინცდამაინც, იმ ბარში... თუმცა, ეს შედარებით ადვილი ასახსნელია. ალბათ ჩვეულებრივი (სინამდვილეში, არაჩვეულებრივი, არაბუნებრივი) ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ანუ, ერთხელ კიდევ დასარწმუნებლად, არც პატიმარსა და არც თავისუფალს, არსად რომ არ შეესვლება დაუკითხავად, საკუთარი, მშობლიური სახლის ჩათვლით. შეიძლება — ერთი ჭიქის გადასაკრავადაც, ყველაფრისგან (რასაკვირველია, ლიზიკოსგანაც) განთავისუფლების ერთხელ კიდევ აღსანიშნავად, ანდა, სულაც წამლად — აკი გააფრთხილა ბუსთვალეებამ, ღვინით მკვდარს მხოლოდ ღვინო მოგარჩენსო — მაგრამ დაუშვავთ და, დუქანში გადატანილის მერე, კიდევ გაებედა ამას სასმელის პირში ჩაშვება, მაინც არაფერი უჭყაოდა ჯიბეში, გარდა ნარწვევშემხმარი ცხვირსახოცისა და მოყვარული ფოტოგრაფის (დიდყურა გრიგოლას) გადაღებული სურათისა, რომელზედაც მშობლებთან ერთად არის აღბეჭდილი ათი წლის ჯერ კიდევ გულუბრყვილო და სპეტაკი ყმაწვილი. მაგრამ უფრო სავარაუდოა, გაუწაფავი ხელით კედელზე მიხატულმა ისრებმა დააინტერესეს და ისევ სათავგადასავლო რომანის გმირად წარმოიდგინა თავი, როგორც ბავშვობაში ემართებოდა ხოლმე. რასაკვირველია, ისრებმა გაიტყუეს — არათანაბარი ზომისა და ერთმანეთისგანაც ასევე არათანაბარი შუალედებით დაშორებულმა ისრებმა — რაღაც ახლის, დღემდე არარსებულის, თუ დღემდე გასაიდუმლოებულის, აკრძალულის, მიუღწევლის, ვთქვათ, არალეგალური ბორდელისა თუ ლეგალური სამორინეს მისანიშნებლად რომ განჩნდნენ ამ ბოლო დროს ქალაქის კედლებზე, რის გამოც ქალაქიც ერთბაშად გაუცხოვდა,

გაიდუმალდა, ამ სიტყვის არაპოეტური გაგებით, და ნარკოტიკისა თუ ბაქტერიული იარაღის მწარმოებელ უზარმაზარ და უკაცურ ქარხანას დაემსგავსა, ამერიკული ფილმებიდან გადმოხატულს... აი, ასეთმა ისრებმა გაიტყუეს ისიც და ბოლოს, მისთვისაც მოულოდნელად, საცხოვრებელი სახლის ერთ ჩვეულებრივად ბინძურ სადარბაზოში შეიყვანეს, სამხატვრო აკადემიამდე თუ სამხატვრო აკადემიის შემდეგ. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ერთი ცხადია: ამჯერადაც იქ შევიდა, სადაც არ უნდა შესულიყო, ისევე, როგორც საკუთარ სამხარეულოში. თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, ახლაც უგრძნო ტანმა, სწორად რომ არ იქცეოდა — იქ არ შედიოდა, სადაც უნდა შესულიყო, ანდა, პირიქით, იქ შედიოდა, სადაც მისი ადგილი არ იყო (აღარ იყო) და სადაც არაფერს გაახარებდა მისი მოულოდნელი გამოცხადება. შეიძლება, სისხლამდეც მისულიყო საქმე და, აკი მივიდა კიდევ... ლიზიკომ გარეულ კატასავით აფოფრილმა ამოხედა ქვემოდან, თითქოს ეს გვამის წართმევას უპირებდა (თუკი მართლა არსებობს გვამი და თუკი ყველაფერი, როგორც გამომძიებელმა უთხრა გუშინ, მისივე ფანტაზიის ნაყოფი არ არის). მაგრამ არავითარი გრძნობა არ გასჩენია ცოლის მიმართ: რომელიღაც, მისთვის დღემდე უცნობ ცხოველად უფრო აღიქვამდა, ვიდრე ცოლად. მით უფრო — მოლაღატე ცოლად. არც ძულდა, არც უყვარდა, არც აფრთხობდა, არც იზიდავდა თავისი დემონსტრაციული სიშიშვლით. პირიქით, ასეთი უფრო შეესაბამებოდა გარემოს. სიტუაციასაც, უფრო მეტიც, თითქოს პირველად ხედავდა საერთოდ. ყოველ შემთხვევაში, არასოდეს უნახავს "ასეთი", არც იქამდე, ვთქვათ, ძალით გამოთრეული მაყვლის ბუნქებიდან, და არც იმის მერე, მოჩვენებასავით თავისთავად გამქრალი დიდუბის პანთეონიდან. სამაგიეროდ, მამის გვამის (თუნდაც მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებული გვამის) სიშიშვლე ჯიუტად ეჩხირებოდა თვალში, თქორივით სცემდა ცხვირპირში და როგორც წყალნაყლაპი და თანაც ცუდი მოცურავე, სასაცილოდ აბჩენდა პირს, ვერც სული მოუთქვა, ვერც დაეღაპარაგნა, ცოტაც და, თვითონაც მამასავით სამარცხვინოდ გაიშხლართებოდა სამხარეულოს იატაკზე. სისხლით იყო ყველაფერი ირგვლივ მოთხვრილი, არა მარტო იატაკი, არამედ სკამიც, რომელზედაც მამა იჯდა, ვიდრე ეს შევიდოდა სამხარეულოში (მამას ვინ ეჯდა კალთაში, უთქმელადაც ნათელია), მაცივრის კარიც, რადიატორიც... ყველაფერი, ალვის ხის ფოთოლიც კი, მამის გვამის გვერდით რომ ეგდო იატაკზე. მოგელანდაო, წარმოიდგინეო — ეუბნებიან ჯიუტად, ის კი, ახლაც ნათლად ხედავს, ახლაც იქ არის (ვერის ბადის აუზის კიდეზე გადამხობილი) და როგორც მაშინ, ახლაც ვერ ახერხებს იქიდან გამოსვლას. არადა, ნამდვილად აღარაფერი ესაქმება იქ, სულერთია, მოკლა თუ ვერ მოკლა მამა. გვამის შემტვეი, უტიფარი, მოუშორებელი სიშიშვლე რომ მოიგერიოს, ალვის გაყვითლებულ ფოთოლს უყურებს. ფოთოლი მამის გვამის გვერდით გდია (ეგდო) იატაკზე. ესე იგი, კიდევ ერთი ზაფხული დამთავრდა. როგორც თვითონ ფიქრობს, მისთვის ალბათ უკანასკნელი. თუკი რამ გადახდენია, მნიშვნელოვანი და საინტერესო, მხოლოდ ზაფხულში და, ამდენად, ქვიშხეთში. ქვიშხეთი და ზაფხული ერთი და იგივე ცნებაა მისთვის. ლიზიკოც ქვიშხეთში გაიცნო და თაფლობის თვეც იქ გაატარა სულ ახლახანს ასე რომ, შეიძლება, მთელ თავის ცხოვრებას გულისხმობს და იმიტომაც ამბობს გუნებაში ასეთი ხაზგასმული პათეტიურობით: დამთავრდა ზაფხულიო. ესე იგი, დამთავრდა ცხოვრებო. მან ხომ ეს წუთია მოკლა მამა, ცულის ერთი დაკვრით ერთბაშად გადაჭრა ყველა თოკი, რომლითაც ნავივით იყო მიბმული აქაურობას და აი, მისი გაოგნებული, დადამბლავებული არსება, მართლაც რომ უნიზო და უიდეალო ნავივით მიაქვს გაურკვევლობის, მიუსაფრობისა და სიმარტოვის ღონიერსა და ვერაგ დინებას (სინამდვილეში, არცთუ ისე დიდ აუზში ატრიალებს ნავავივით). ქურდბაცაცა ფისუნიასავით მიიპარება მამის სისხლით მოთხვრილ სამხარეულოდან, მეწყერზე შერჩენილივით, შეუშხნეველად მიცოცავს არარაობის უფსკრულისკენ, თუმცა, ხმელ ფოთოლს შესცქერის, მონუსხულივით, და ცუდიც ჯერ ისევ ხელში უჭირავს. თუკი რამეს გრძნობს, იმის სასიამოვნო, დამამშვიდებელ სიმძიმეს გრძნობს მთელ სხეულში. საკმარისია ხელი გაუშვას (ასე ჰგონია თვითონ), მაშინვე რაღაც შეემთხვევა, კიდევ უარესი, რაც უკვე შეემთხვა, ახლახანს, დამის ბარის საპირფარეოში. არადა, პირველსავე მაგიდას ისე უდრტვინეველად მიუჯდა, თითქოს მდიდარი და

სიმდიდრისგან ზნეწამხდარი კინოვარსკვლავით, მაინცდამაინც, იმ მაგიდასთან, იმ სკამზე ხედებოდა ყოველ ალიონს. მართლაც, დარბაზში თითქმის ყველა მაგიდა თავისუფალი იყო. მხოლოდ ერთ მაგიდასთან ისხდნენ ვიღაცები, დარბაზის მეორე ბოლოში — სამი ბიჭი და ორი გოგო, ანდა, პირიქით, სამი გოგო და ორი ბიჭი — არც ეს დაინტერესებულა ზედმეტად იმათი სქესობრივი შემადგენლობით და, სხვათაშორის, არც იმათ გამოუჩენიათ განსაკუთრებული ყურადღება მის მიმართ. შეიძლება, არც შეუმჩნევიათ მისი შემოსვლა...

"მაინც ვერ მომჭამეს ფეხებიო" — მის მაგივრად ამბობს ვიღაცა მის არსებაში.

მახსოვრობა ნელ-ნელა იღვიძებს და ჩაძირული გემის ნამსხვრევებთან ერთად, დამხრჩვალთა გვამებიც თანდათანობით ამოდიან ზედაპირზე. მაგრამ ჯერ ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. უფრო სწორად, თვითონვე უჭირს სწორი ურთიერთობის დამყარება კატასტროფის ნარჩენებთან... ცალკეულ ფრაგმენტთან... მაგალითად, სინამდვილეში არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია იმ მაგიდის წევრებთან, მაგრამ, ამჟამად, დარწმუნებულია, სწორედ იმათ სცემეს, იმათ ჩააგდეს ამ დღეში და იმათი მისამართით ამბობს: "მაინც ვერ მომჭამეს ფეხებიო". მაგრამ მალე ყველაფერი პირველყოფილი სახით აღსდგება მის გონებაში. შეიძლება, არათანამიმდევრულად, მაგრამ ცხადად. მართლაც, აუხის სიღრმიდან, მთიბავეების მსგავსად, ახლა მამის შიშველი აჩრდილი ამოზრდილა, ათასნაირად დაბრეცილი, ადგილზე მოტორტმანე, მაგრამ მაინც თვითმპყრობელურად ფალოსშემართული და მრისხანედ თვალუბრაყველად. "საქართველო გაწირეს!" — ამბობს მამა. "ვინ? ვინ გაწირა?" — ხავის ეს, იქნებ ახლა მაინც ათქმევინოს მამას სიმართლე. დაძაბულობისგან ყელზე ლამის დააწყდეს ძარღვები. მაგრამ მამა ხელით ანიშნებს, დამაცადეო, და აგრძელებს: "ყველა გზა მოჭრილია, ყველა საშუალება ამოწურული... დავიღუპეთ." "ამას ჩვენ ვამბობთ, მამა, ჩვენ... შენ ის გვითხარი, ვინ გაგვწირა? რატომ?" — ყვირის ეს, ხმადაკარგული, ყელგადაკეტილი. "თქვენ არაფერს არ ამბობთ, თქვენ მხოლოდ იმუქრებით და ივინებით — ისევ აწყვეტინებს მამა — აბა, ერთი წუთით დაფიქრდი, განა შეიძლება ერთსა და იმავე ქვაბში ორნაირი კერძი იხარშებოდეს ერთდროულად?! მოკლედ, თუკი ჩვენზე რასაც ამბობენ, ოდნავ მაინც შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ ჩვენ არათუ ვტყუით ყველას წინაშე, არამედ საერთოდ არ ვარსებობთ, საერთოდ აღარ რჩება ჩვენთვის ადგილი, არათუ თაღლითი კარტოგრაფის შედგენილ რუკაზე, არამედ ბუნებაში და თქვენი ებადებულნი "სრულიად საქართველო" ისტორიული მირაჟი გამოდის მხოლოდ... მკვდარი ვირის სიზმარი... ტელევიზია კი ჩივის, საქართველოში შოუ-ბიზნესი არ არსებობსო. ღვთის რისხვაა, აბა, რა არის?! არც ახლა მეთანხმები? ამასაც ვიგონებ? აღარ მისხენო ეროვნული მოძრაობა! გათავდა! თვალები გამოიჩინე... ქვეყანას ისევ ჩემსავით დაობებული კომუნისტები და შენსავით "ეროვნული მოძრაობიდან" მოსული კომკავშირლები მართავენ... მაგრამ ისინი (მე და შენ) კი არ არიან (ვართ) მოლაღატეები, არამედ ჩვენ (ისევ მე და შენ) არა ვართ სამართლიანები იმათ (ესე იგი, ჩემსა და შენს) მიმართ... ჩვენ გვინდა, ისინიც (ჩვენც) ისეთები იყვნენ (ვიყოთ), როგორებიც ჩვენთვის (შენთვის, ჩემთვის) იქნებიან (ვიქნებით) სასარგებლონი და არა თავისთვის (ანუ, შენთვის, ჩემთვის). დააკვირდი, რა გამოდის? გამოდის, რომ ჩვენვე ვაიძულებთ თავს გაუხდეთ მოლაღატენი, რადგან ჩვენ რომ ჩვენს თავს დაუდგეთ გვერდში, პირველ რიგში, იმას უნდა შევაქციოთ ზურგი, ვისაც მთელი სიცოცხლე ვემსახურებოდით და ვისაც ახლაც ვეკუთვნით სულიან-ხორციანა. გაიგე? გაიგე რამე, ბატონო ედეკე?" — კბილებს აკრაჭუნებს მამა, ვერ შეატყობთ, ხუმრობს თუ ბრაზობს. "ვერაფერი ვერ გავიგე, მამა, არაფერი არ მესმის. უფრო გარკვევით მითხარი, თუ შეიძლება" — ეხვეწება, ემუდარება ეს გუნებაში და დაძაბულობისგან ხელახლა პირგახსნილი ჭრილობებიდან ახალი, ალისფერი სისხლი გადმოსდის...

აი, ასე ლაპარაკობდა მამა. ხოლო, მამის სიტყვას ყოველთვის კანონის ძალა ჰქონდა ანტონისთვის. კანონისა კი არა, თილისმისა, შელოცვისა, ჯადოსი... მამა რომ ეტყოდა, ტყუილად ტირი, არაფერი აღარ გტკივალ, მაშინვე ჩაუწყნარდებოდა, კბილი იყო თუ მუცელი... მამას რომ ეთქვა, ადექი და გადავარდი ფანჯრიდანო, ადგებოდა და გადავარდებოდა. ასე რომ, როცა სიმწიფის უამი დაუდგა, სასიამოვნოდ შემაშფოთებელ წარმოდგენებში ჩაძირული, სერიოზულად განიცდიდა, სერიოზულად ეჭვობდა, შეესაბამებოდა თუ არა მისი მამაკაცური მონაცემები დადგენილ ნორმებს და საერთოდ მოახერხებდა თუ არა, უმამოდ, ქალთან ურთიერთობას, როცა ამის დროც მოუვიდოდა, ანუ, როცა მამა ჩათვლიდა საამისოდ მომზადებულად. მართალია, მამა რასაც ეუბნებოდა, ხუმრობით ეუბნებოდა ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, ასეთი წესი ჰქონდა შეილთან საუბრისა, მაგრამ ამით სრულებითაც არ კარგავდა მისი ნალაპარაკევი სავალალო ზემოქმედების უნარს. პირიქით, დღითიდღე კიდევ უფრო მეტად სჯეროდა მამისა და კიდევ უფრო ნაკლებად ენდობოდა თავს. მაგრამ ცოლქმრულ საწოლში განცდილმა სიამტკბილობამ ისე გაათამამა, უფრო სწორად, ისე გამოატუტუცა, ცოლსაც გაუმხილა თავისი ფარული შიში, თავისი ოდინდელი ეჭვი და სადარდელი. ცოლმა კი, ღამის ცხვირ-პირი დააბლორტნა ფრჩხილებით. გააცეცხლა ქმრის სიბრიყვემ — ასე იფიქრა მაშინ ანტონმა — თურმე, უკვე ფეხმძიმედ იყო და მისი ქმარი ახლავდა არკვევდა, შეექლო თუ არა საერთოდ ქალის დაორსულება. ისე გაბრაზდა, თითქოს რაღაც სათაკილო სენი გადასდებოდა ქმრისგან. მუხლებზე იდგა აწევილ ღოგინში და სიყვარულის ნაზი ოფლით ჯერ კიდევ კანდანამული, ბალიშით სცემდა სახეზე ყასიდად ხელაფარებულ და გულში აშკარად კმაყოფილ თანამეცხედრეს. "აღარ გაიმეორო ეგ სისულელეო" — დაჰყვიროდა თმააბურღული, სახელაწილი, მიმზიდველიცა და საშიშიც ერთსა და იმავე დროს, როგორც თავისი დაუდევარი სიშიშვლით, ისევე მოულოდნელი და მოუთოკავი სიანხლით. დაჰყვიროდა, ალბათ დედამთილ-მამამთილის გასაგონადაც. ასე ფიქრობდა ანტონი და არც თვითონ იყო წინააღმდეგი, თუკი მისი მშობლებიც მოისმენდნენ ამას. ცოლის ეს სიტყვები მაღამოდ ეცხებოდა მრავალი ეჭვისა და შიშის გადამტან გულზე, რადგან მათ ჭეშმარიტ აზრს, სამწუხაროდ, გვიან ჩაწვდა, გვიან გახდა მისთვის ნათელი ცოლის უცვარი გაწიწმბებისა და გააფთრების ნამდვილი მიზეზი. რაც ცოლ-ქმრულ საწოლში მისი მამაკაცური ღირსებების აღიარებად ეყურებოდა, იმაზე უკვე მწარედ ეცინებოდა მილიციასი. ციხე დიდი სკოლაა და, ეტყობა, არც მისთვის ჩაუვლია მთლად უშედეგოდ ოცდასამწლიან პატიმრობას. ციხეში კაცი ბრძენდება, ანუ, ზოგი გვიან, ზოგი კი ადრე, უნდა — არ უნდა, ბოლოს მაინც რწმუნდება თავის სიბრიყვეში, ხვდება — ბრიყვად გაუჩენია ღმერთს და, მე რომ მკითხოთ, არც ამის მიხვედრავა ცოტა. ესეც ერთგვარი სიბრძნეა: იცი ბრიყვი ხარ და რაც გემართება, შენი სიბრიყვით გემართება. ვერავის გაამტყუნებ... განა წელანაც თავისი სიბრიყვის გამო არ გაილახა?! იმდენი იხეტიალა უაზროდ, ვიდრე ზუსტად იქ არ შევიდა, სადაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესულიყო. მაგრამ არც ეს არის მთლად მისი ბრალი: ალბათ ცოლს ეძებდა და, თქვენი აზრით, სად უნდა ეძებოს კაცმა გაბოზებული ცოლი, თუ არა ღამის დაწესებულებებში?! რა თქმა უნდა, ცოლს ეძებდა, პოეტით უსახლკაროს, რომელსაც აღარც ქმართან დაედგომება, მოჭარბებული მგრძნობიარობის გამო, და აღარც მამასთან მიესვლება, როგორც თვითონვე განაცხადა პანთეონში. ისიც ქალაქში დაძრწის ალბათ უთავბოლოდ. დიახაც, იმას ეძებდა, რადგან სიგიჟემდე უნდოდა, სწორედ იმისგან გაეგო, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს, რაც თვალმან მისმან იხილა და ყურმან მისმან მოისმინა... თუნდაც წარმოიდგინა, ანუ, შესაძლებლად ჩათვალია ცოლისგან მსგავსი სისაძაგლის ჩადენა, რა თქმა უნდა, არც მთლად უსაფუძვლოდ; ყოველ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, საგზაო ინციდენტის შემდეგ, როცა მამის მკერდზე გატრუნული იხილა ეკალბარდებში დაბლორტნილ-დაკაწრული მეუღლე, ერთი წამითაც აღარ განელვებია ავი წინათგრძნობა და საწოლშიც ბევრჯერ წამომჯდარა საზარელი სიზმრით დაფეთებული, რძლისა და მამამთილის უაღრესად არამამაშვილური სიახლოვით შეძრწუნებული, ტკივილამდე, ცრემლამდე, ბღავილამდე შეურაცხყოფილი... დიახ, თუნდაც სიზმრისეული შეურაცხყოფისთვის

პასუხის მოსაკითხად ეძებდა ცოლს, მხოლოდ და მხოლოდ, ამ მიზნით, ამ სურვილით შეპყრობილი... აბა, დედა არც გახსენებია. ქალს ქმარი მოუკლა და იმისთვისაც ვერ მოიცალა, მისულიყო და ეთქვა: ვიზიარებ შენს მწუხარებას ძვირფასი მეუღლის დაკარგვის გამო... ანდა, მოემზადე, შენც უნდა გაგიყენო შენი ქმრის კვალსო... ასეთ დაწყევლილ ვარსკვლავზეა დაბადებული: იმას ვერ ამბობს, რაც უნდა თქვას და დაუფიქრებლად შედის იქ, სადაც არ უნდა შედიოდეს. გუშინ საკუთარ სახლში შეეხეტა და იძულებული შეიქნა, მამა მოეკლა; წელან კი, ამოდენა ქალაქში, მაინცდამაინც, ღამის საიდუმლო ბარში ამოყო ციხეში გადახოტრილი თავი (ყოველ წელიწადს იხოტრავს, პატიმარს რომ გავდეს გარეგნულადაც) და ღამის თავად მოკლეს. მაგრამ ფეხები ვერ მოჭამეს მაინც. იმიტომ რომ, ისიც უკვე იმათნაირია. ოცდასამი წელი არც იმას გაუცდენია ფუჭად. ცოტა-ცოტა უკვე ყველაფერი გამოცდილი აქვს, საკუთარ კისერზე უწვნევია. წვედა კიდევ, სვამდა კიდევ და იხიზრავდა კიდევ, რადგან სხვანაირად ვერ გაძლებდა ციხეში, დაიღუპებოდა, თუკი ამას გადარჩენა ჰქვია. გადაუვლიდა, მიწასთან გაასწორებდა ციხე თავისი მკაცრი, მაგრამ სიცოცხლისთვის აუცილებელი კანონებით. პირველად რომ უთხრა დედას, შენ ისეთი თავშენახული ქალი ხარ, ბებიანემის მარაგიდან კიდევ გექნება დარჩენილი და ერთი-ორი ამჟღა მომეცო, დედამისმა პირი დააღო გაოცებისგან, ვერაფრით ვერ მიხვდა, რატომ უნდა დასჭირებოდა მის შვილს დავრდომილი, დაუძღურებული შიზოფრენიკის გასათიში წამალი. "გაიგე, დედა, მეც ბებერი ვარ, მეც უძღური ვარო" — უყვირა ამან, რადგან მართლა გაამწარა, გააცეცხლა დედის მიუხვედრელობამ თუ გულუბრვეილობამ. გაზეთი ამაზე ლაპარაკობდა და ტელევიზია, ანათლებდნენ ქვეყანას, და მართლაც, მთელი თბილისი სადარბაზოებში, სარდაფებსა და სხვენებში იყუყუბოდა "მიწიერ სიამეთა" განსაცდელად. დედამისი კი, ისევ პროფესიონალი დიასახლისის პედანტურობით აღბობდა სარეცხს აბაზანაში, გასაშრობად ფენდა უკვე გარეცხილს, აუთოვებდა უკვე გამშრალსა და ფიქრშიაც არ უშვებდა, დიდი წვლილი რომ მიუძღოდა თავადაც, თუნდაც, როგორც კაშელების რძალს, არა მარტო საკუთარი შვილის, არამედ საერთოდ ქვეყნის წახდენაში... სამაგიეროდ, მისი შვილი ციხემ გაზარდა, ციხეში გამოიწრო, გამოშუშდა, როგორც ამირანი — ფურის ფაშეში. ძველი ანტონი აღარ არსებობს. ტყუილად ნუ დაელოდებით, ნურც ძებნას დაუწყებთ. მამიკოსთან ერთად მოკვდა დედიკოს ბიჭი, თავაზიანი ქალაქუნა. მორჩა, დამთავრდა როგორბრძანდებითქალბატონო და დედამმოკითხვაშემოვითვალათ და თავსგაუფრთხილდითო და ჯერკიდევგვერსჭირდებითო და ამგვარი სისულელეები. არავინ არავის არ სჭირდება. ანდა, ერთხელ სჭირდება მხოლოდ. მოკლას ან მოეკვლევისო. ადამიანი ერთჯერადი შპრიცივითაა დედისთვისაც, მამისთვისაც, ცოლისთვისაც... მისი ზედმეტად გამოყენება სახიფათოა, შიდა იცის, საერთოდ გამოქლიალება, საბოლოო დაქიანთარება და ცუმპარამპა. ამიტომაც, სანამ ჯერ კიდევ დრო აქვს, ძნელად ასახსნელი სიამაყითა და, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელი გულთადობით ადასტურებს და კვლავაც დაადასტურებს (რამდენჯერაც საჭირო იქნება, ვიდრე არ დაუჯერებენ, ანდა იმას მაინც არ მიხვდებიან, თუ რამდენად კეთილშობილურია მისი სულისკვეთება), მის მიერ ჩადენილ თუ ჩასადენ მკვლელობასაც, ცოლის დაღატაცაც, დედის ვერაგობასაც, საკუთარ სიბრმავესაც, სიერუვესაც, უნიათობასაც... ყველაფერს, რაც მას ეხება, სექსუალური მიდრეკილების, პოლიტიკური მრწამსის, სოციალური მდგომარეობის, თვალის ფერისა თუ ცხვირის მოყვანილობის ჩათვლით, ოღონდ, არ იცის, რა უფრო საინტერესოა თავად მართლმსაჯულებისთვის, უკვე ჩადენილი მკვლელობა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის ჩადენილი, თუ არსი მკვლელობისა, თუნდაც, ჯერ ჩაუდენელის... უფრო სწორად, მართლმსაჯულებამ იმიტომ მიუტევა, მკვლელობის არსს რომ ჩასწვდა და გაიზიარა კიდევ, თუ დემოკრატიულ გარდაქმნილებიდან გამომდინარე, მაინც მიუტევებდა, გინდაც უმიზეზოდ მოეკლა ამას მშობელი. შეიძლება, საერთოდ არაფრად ჩააგდო მართლმსაჯულებამ, როგორც სოციალურად უსაქმური, მშობლის კმაყოფაზე მყოფი პარაზიტი, მაგრამ განა ახალგაზრდობის უმრავლესობა, ანუ, როგორც საბჭოთა რეჟიმის დასასრულსა და ეროვნული მოძრაობის დასაწყისში მოიხსენიებდნენ ხელისუფალნი, "ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა", დიხაც, რომ უქნარა და უმაქნისი არ არის, როგორც საბჭოური,

ისევე საერთაშორისო თვალსაზრისით?! რასაკვირველია! მაგრამ თუკი საერთოდ არსებობს სამართალი, ეს ყველაზე ნაკლებად მიეკუთვნება უსაქმურთა და უმაქნისთა ამ კატეგორიას, რადგან, ასე თუ ისე, მაინც ახდენდა მასზე გაწეული ხარჯების კომპენსაციას. ბოლოს და ბოლოს, ცოლის ნახევარს უთმობდა მამას. მართალია, ცოლიც მამამ შერთო, და ალბათ თავიდანვე თავისთვის, მაგრამ რაკი არც საბჭოური და არც საერთაშორისო კანონი არანაირად არ ითვალისწინებს საზიარო ცოლის არსებობას, თუნდაც, კოლექტიური სექსის დასანერგად მასობრივად გაკულტურულ-გადემოკრატიზირებულ ოჯახებში, საკუთრების უფლება ამგვარ დელიკატურ საქონელზე, პირველ რიგში, მაინც ქმარს ენიჭება (მიუხედავად მისი უსახსრობისა) და არა მამამთილს (მიუხედავად მისი მაღალი მყიდველობითი შესაძლებლობებისა). მეორე საკითხია, რატომ შეუწყვიტა შვილმა მშობელს კომპენსაცია, ანუ, რატომ გაუპო თავი ცუდით, თუნდაც, თეორიულად. და თუკი სამართალი თეორიულად მაინც არსებობს, თუკი მართლმსაჯულებაში ამგვარი ცნება სამუშაო ტერმინად მაინც გამოიყენება, მაშინ ყველაზე მეტად სწორედ ამის გარკვევა უნდა აინტერესებდეს იმავე მართლმსაჯულებას. ექებეთ გვამი! გვამი არსებობს და გაცილებით მეტი, ვიდრე საქმისთვისაა საჭირო. განა ხმელი ფოთოლიც გვამი არ არის?! ვინ უნდა აგოს პასუხი ფოთლის მკვლელობისთვის?! განა ისიც ვიღაცამ არ მოკლა?! მართლმსაჯულებამ ჯერ უნდა ირწმუნოს, არაფერი რომ არ კვდება ამ ქვეყანაზე თავისით, არც ადამიანი, არც ფოთოლი, და მერე გაარკვიოს, რა განსხვავებაა რაუდენ კაშელსა და ნებისმიერ ალვის ფოთლს შორის, თუნდაც, სარგებლიანობის თვალსაზრისით. განსხვავება ნამდვილად დიდია და, თანაც, ფოთლის სასარგებლოდ. ფოთოლი ჩიტისხელა ჩრდილს მაინც აფენს მიწაზე. სასიამოვნოდ შრიალებს ღამის სიჩუმეში. მომხიბვლელად თრთის ნიავის ყოველ წამოქროლვაზე... მაგრამ რაუდენ კაშელი ხარ თუ ალვის ფოთოლი, მხოლოდ მაშინ კვდება, თუ გნებავთ, მხოლოდ მაშინ გკლავენ, როცა შენი დღე დაილევა, როცა შენთვის განკუთვნილი დრო ამოიწურება. ვთქვათ, და, ანტონ კაშელს მართლა არ მოუკლავს მამა, როგორც გამოძიებელს ჰგონია. მაშინ?! მაშინ, საერთოდ არაფერი შეცვლილა ამ ქვეყანაზე, არც არაფერი დამთავრებულა, არც არაფერი დაწყებულა და დამოუკიდებლობის დეკლარაციაც, დემოკრატიზაციაც და ეს გაუთავებელი მიტინგომანიაც მორიგი ოინბაზობა ყოფილა და მეტი არაფერი. არადა, ანტონ კაშელის ღრმა რწმენით, დღეს თუ არა, გუშინ (ალბათ, უფრო გუშინწინ), კაშელების სამხარეულოში ერთად დაილია, როგორც ალვის ფოთლის, ისევე რაუდენ კაშელის დღე. ფოთლისა არ იყოს, ადამიანსაც დრო კლავს, საერთო მსაჯული, საყოველთაო ჯალათი... ანტონი იმასთან სასხენებელიც არ არის, ანტონები წერილფეხა და ადგილობრივი მნიშვნელობის ქილერები არიან, თანაც მოყვარულები, უსასყიდლოდ მუშაობენ, უფრო სწორად, დროის მითითებას ასრულებენ მხოლოდ, ანუ, ნიავეით ეხმარებიან ყუნწვამხმარ ფოთლს ჩამოცვენაში... მაგრამ ფოთოლში თუ ზაფხული მთავრდება, რაუდენ კაშელში კაშელობა უნდა დამთავრდეს, საუკუნოვანი გზა უნდა დამთავრდეს გოდრიდან გამონეკილი მატლისა და ეს ცხოვრებისეული, გნებავთ, ისტორიული კანონზომიერებაა და არა ჩვეულებრივი მკვლელობა, მკვლელობისადმი თანდაყოლილი, გენეტიკური მიდრეკილების კიდევ ერთი გამოვლენა, ამჟამად, ანტონის მხრიდან. ამიტომაც აარიდა თავი მილიციის წინ მის დასაცავად, მის დასახსნელად გამართულ მიტინგს და გამოძიებელს წაჰყვა დუქანში, ორგანოს ბიჭებთან საქეიფოდ. გარეველუციონერებული ბრბო კი არ გაიხადა თანამზრახველად, ბრბოს სუნიან წიაღს კი არ შეაფარა თავი, სადაც დიახაც, რომ საიმედოდ იქნებოდა დაცული ყველაფრისგან, მართლმსაჯულების ჩათვლით, რადგან თავად მართლმსაჯულება დაუდგებოდა მცველად, სატაბელო იარაღის ბუდეში გახეთქატენილი და სევედიანად გულხელდაკრეფილი, არამედ ადვირახსნილ ცხოვრებას მიეცა, მართლმსაჯულებასთან ერთად, რაც თავისთავად უკვე იმის დადასტურებაცაა, მართლა რომ შეიცვალა რაღაც. სხვანაირად, ვერც პირად დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა და ვერც შინაგან თავისუფლებას, რაც სრულიად მარტომ, სხვათა დაუხმარებლად, ვინ იცის, რის ფასად, მაგრამ მაინც მოიპოვა, თანაც სულ ახალახანს, წელან, უფრო წელან, ვიდრე გუშინ თუ გუშინწინ, მამის სისხლით მოთხვრილ სამხარეულოში, მამის გვამზე, როგორც კვარცხლბეკზე

შემდგარმა... დიას, მამის მკვლელობაზე ძნელი, პირადი დამოუკიდებლობისა და შინაგანი თავისუფლების შენარჩუნებაა მისთვის. უფრო მნიშვნელოვანია, ამის ბრალია, ამდენს რომ ლაპარაკობს. უფრო სწორად, ამდენს რომ ლაპარაკობდა, ვიდრე ენას ატრიალებდა პირში. უახლოვდეთ, უთავბოლოდ ედებოდა ღობე-ყორეს, თავს აწონებდა გამოძიებულს, ვითომ, არაფრის არ მეშინიაო, და მართლაც, იმ შეგრძნებას, რითაც მთელი მისი არსება იყო გამსჭვალული, შიშს ნამდვილად ვერ დაარქმევდით. პირიქით, იმდენად აღუგზნო განცდილს (თუნდაც წარმოდგენილისა), იმდენად გაეოგნებინა საკუთარ ნამოქმედარს (თუნდაც სხვებისთვის დაუჯერებელს), აღარც წესს დაგიდევდათ, აღარც კანონს. ფეხებზე ეკიდა ყველაფერი (სიცოცხლის ჩათვლით). ეგაა რომ, ძალიან უნდოდა გამოძიებელიც შეეძრა და შეეწუხებინა მის ნალაპარაკებს, დაინტერესებულყო მისი ბედით, უფრო, უბედობით. მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსიც არაფერი მომხდარა. გამოძიებელმა რამდენჯერმე გააჩუბა კიდევ, არაფრად ჩააგდო მისი მგზნებარე აღსარება, ხელით ანიშნებდა, გვაცალეო, და საკმაოდ ხანგრძლივად და აშკარად არასამსახურეობრივ საკითხებზე ესაუბრებოდა თავის თანამშრომლებს, რომლებიც დაუკითხავად შემოდისდნენ კაბინეტში და, რაც მთავარია, ვერცკი ამჩნევდნენ, ესეც თუ იმყოფებოდა იქ, ყოველ შემთხვევაში, არაფრად აგდებდნენ, არ ერიდებოდნენ და კაბინეტიდან გასვლაძდე, თითქოს სავალდებულო წესიაო, ყველანი ერთნაირი მგზნებარებითა და სიტყვებით აგინებდნენ მთავრობას, გაქცეულსაც და დარჩენილსაც... ამას კი, გაჩუბებისთანავე, ისევე იატაკზე გულადმა გაშხლართული, თვალეზდაყველი და ფალოსშემართული მამა დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ და ისევე მისი სისხლის სუნი აღჩნებდა. მოკლედ, იტანჯებოდა. თუმცა, სიცოცხლეში პირველად გრძნობდა თავს სწორედ რომ მისთვის შესაფერ, მისთვის განკუთვნილ ადგილზე. არც დედის თბილ კალთაში, არც მამის კრიალა მანქანაში, არც ყივანახველიან ბაჭშეთა ბაგაში, არც სპერმის სუნით აქოთებულ სკოლაში, არც მზესუმზირაჭამიების უნივერსიტეტში, არც ზღაპრულ ქვიშხეთში და არც ბოხი ცოლის ლოგინში არ უგრძნებია მსგავსი რამ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბედნიერია, გაამაყებულა ამ შეგრძნებით, რადგან ღვთის პირიდან გადავარდნილ თბილისში, ანტონ კაშელი კი არა, ჯერ ძეგლიც არ მდგარა თავის ადგილზე... ეტყობა, როგორც ბრმანაწლაგვამსკდარი კაცი აუცილებლად უნდა მოხვდეს საოპერაციო მაგიდაზე, ცხოვრებას თუ აპირებს, ასევე აუცილებლად უნდა მოხვდეს გამოძიებლის კაბინეტში მკვლელებს, გინდაც მისთვის სულერთი იყოს და არც არავინ ეკითხებოდეს, სურს თუ არა ცხოვრებასთან დაბრუნება. სამაგიეროდ, ოცდასამი წლის წინ დაკარგულ და, ბოლოს და ბოლოს, თავის კანონიერ ადგილზე დაბრუნებული ნივთივით გრძნობდა თავს, თუკი, რა თქმა უნდა, ნივთს შეიძლება ჰქონდეს შეგრძნების უნარი. იქ მიგიყვანს ფეხი შენი, სადაც არის ბედი შენიო. ჭეშმარიტად! არაფერი აქვს საერთო ამ შეგრძნებასთან სტიქიურობისა და ნებაზე მიშვებულობის შეგრძნებას, თავის ტოლ-ამხანაგებში რომ ეუფლებოდა ხოლმე... რასაკვირველია, იმათთან უკეთესად გრძნობდა თავს, მშვენივრად ერთობოდა და ძალიანაც სიამოვნებდა, ვთქვათ, მთავრობის სასახლის კიბეზე ჯდომა თავის მომავალ მეუღლესთან ერთად (სხვაგან არსად ყოფილან უკეთესად და უფრო ახლოს), მაგრამ თავს მოხვეული თუ ხელოვნურად გამძაფრებული ჟინი მშობლის ჩრდილიდან გამოსვლისა თუ თავის გამოჩენისა თუ გაღიაში მთვლეშარე ურჩხულის გაღიზიანებისა თუ საერთოდ ყველასი და ყველაფრის ფეხებზე დაკიდებისა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მას სხვებზე ადრე ჩაუქრა, რადგან გეგმაზომიერი ბრძოლისა და ასევე გეგმაზომიერი შრომის შედეგთან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ უუფლებობის, უპასუხისმგებლობისა და უსაქმურობის ნიჟარაში გასაიდუმლოებული და გახანგრძლივებული ოცნების უკვე ქვად ქცეულ ნაყოფთან... გახედვაც აღარ უნდოდა გუშინდელ თანამებრძოლებისკენ, რასაც, სხვათაშორის, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ყველაზე მეტად მამამისი — ბოლშევიზმის გაჭურბული მატლი — განიცდიდა: სამშობლოს ღალატად უთვლიდა, თავად სამშობლოს წამბილწავი ბოგანოს ნათესლარი; შტრაიკბრეხერს ეძახდა, მოწოდებით ჟანდარმი (ფეხით შესდგა საკაცეს, რომელზედაც თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭის ცხედარი ესვენა) და, რასაკვირველია, ყველაფერს ისევე იდიოტი ნიკოლოზის დაობებულ წიგნებს აბრალებდა, იმათ აგირიეს ჭკუა-გონებაო. მაგრამ ამას უკვე პირად

შეურაცხყოფად მიაჩნდა რეგულარული სტიქიის მორევში ტრიალი: გაუთავებელი დემონსტრაციები, საჩვენებელი მიტინგები, მზესუმზირის კნაწუნი და შორისდებულებებით კამათი ქვეყნისთვის საჭირობოროტო საკითხებზე... მართალია, ამას ყველაზე უკეთ, არასასურველის (სინამდვილის) შეცვლა ეხერხება სასურველით (წარმოდგენილით) — თავისუფლად შეიძლება ითქვას, თვალის ახელისთანავე ძირითადად ამ საქმიან დაკავებული — მაგრამ მაინც იოლად სძლია ცდუნებას, რათა ჩვეულებრივ მკვლელად კი არა, ძველის დამამსობელ და ახლის დამამკვიდრებელ მემბოხედ გაესაღებინა თავი, რისი უფლებაც ალბათ ნებისმიერ თანამომიტინგე-მოდემონსტრანტზე მეტი თუ არა, არც ნაკლები აქვს — ისინი თუ ჯერ მხოლოდ იმუქრებიან, ამას ერთი უკვე გასტუმრებული ჰყავს საიქიოს. თუმცა, გამომძიებელი, გუშინწინდლიდან, ჯიუტად უმეორებდა ერთსა და იმავეს: მკვლელობის ფაქტი არ დადასტურდა და არარსებულ ფაქტზე არავითარ შემთხვევაში არ აღვირავ საქმესო. მაგრამ გამომძიებელს სულ სხვა მუცლის გვერვაჰქონდა ატეხილი, თავისი გასჭირვებოდა, უფრო სწორად, მხოლოდ ის აინტერესებდა და, ცოტა არ იყოს, აბნევდა კიდევ (აბა, რატომ უნდა დაეპატიუნა დუქანში თვითმარქვია მკვლელი?!), საქვეყნოდ ცნობილ და ყველა ხელისუფლებისგან ერთნაირად დაფასებულ კაცის მკვლელობას რატომ იბრალებდა მისი ვაჟიშვილი, ვერ მიხვდარიყო, რა ამოძრავებდა, რა უნდოდა თავად ვაჟიშვილს — არაპროფესიონალიზმში უნდა ემხილა ეს, როგორც ძველი, საბჭოური კადრი, თუ აქაურობა დაეხვერა პარტიის დავალებით... მილიციის შენობაზე უკეთესს ვერცერთი პარტია ვერ ინატრებდა საოფისედ და არა მარტო პოლიტიკურ ბოსებს, ბევრ ახალგამომცხვარ ბიზნესმენსაც უჭირავს თვალი ამ ძველებურ (მეცნარამეტე საუკუნის ოციანი წლები), კარიადიტებით დამშვენებულ შენობაზე. ასე რომ, არც გამომძიებელს გაემტყუნება ამგვარი ეჭვები, ოღონდ, ამას არაფერი აქვს საერთო რაჟდენ კაშელის მკვლელობასთან. თუმცა, როგორ არა... პირიქით, სწორედაც რომ სისხლხორციელადაა დაკავშირებული... თუკი ანტონ კაშელს რაჟდენ კაშელი არ მოუკლავს, მაშინ ყველაფერი მირაჟია და არც მილიციის შენობას ემუქრება რომელიმე პარტიის, ანდა რომელიმე ფორმის ოფისად გადაკეთება. ესე იგი, კი არ ქუხს, მაგნიტოფონზე ჩაწერილ ქუხილს გვასმენინებენ შენიღბული ოპერატორები. თუმცა, არც რაჟდენ კაშელით ამოიწურება ყველაფერი. რაჟდენ კაშელი კი არა, ლენინი გადმოაგდეს კვარცხლბეკიდან, მაგრამ ქვეყანას კვლავ ჩინოსანი კომუნისტები და გამამულიშვილებული კომკავშირლები მართავენ. რაჟდენ კაშელს შვილმა თავი კი გაუპო ცულით, მაგრამ ამით კაშელობა არ მოშლილა. შეიძლება, გაძლიერდა კიდევ... რაჟდენ კაშელი პიროვნება კი არა, სისტემა, გნებავთ, ზღაპრული დევის თავი — რამდენჯერაც არ უნდა მოკვეთო, მაინც ამოვა, ზუსტად ისეთივე და თანაც ახალი. ახალი ცოცხი კარგად გვის. ახალმა კაშელებმა დამალეს გვამიც, ხოლო რა მიზნით, ეს მართლმსაჯულებამ უნდა გაარკვიოს, თუკი საერთოდ აპირებს რამის გარკვევას. თუკი საერთოდ არსებობსო, გვინდოდა გვეთქვა. ფეფე ერთ წუთში მოასუფთაებდა იქაურობას. იმიტომაც დახვდა გამომძიებლის გაგზავნილ ხალხს "ობიექტი" სუფთა, ფეფე რეცხვის, ხეხვისა და მოპრიალების ოსტატია, მერე შელეხნი გამოიძახეს ალბათ და ისიც, როგორც ყველა ერთგული მსახური, მაშინვე ცოცხლად დარჩენილთა მხარეზე გადავიდა, დაუფიქრებლად, თუმცა, ახალი "ხაზინებიც" დაპირდებოდნენ ალბათ რაღაცას, ვთქვათ, მანქანის გადაფორმებას მის სახელზე. გვამი სქელ, გაუმჭვირვალე ფარდაში გაახვიეს, თოკით შეკრეს, გაკოჭეს, როგორც ობობამ მატლი, და მანქანის საბარჯულით წაიღეს ან შელენისთან, ან ლიზიკოს მშობლებთან, ოღონდ, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ეტყოდნენ იმათ, რა ჰქონდათ გახვეული "მაფრაშაში". სხვათაშორის, არც ისინი ჰკითხავდნენ, არ დაინტერესდებოდნენ ზედმეტად, რადგან იმდენად პატიოსნები არიან, ფიქრშიაც არ დაუშვებენ, იმათაც თუ ჩათვრეს თავის ბინძურ მაქინაციებში მათი საყვარელი შვილიკო. ელიზბარი ამბობს, ადამიანი ცული კი არ არის, ცოდლო. ელისოც მისი ჭკუისაა. აქამდე ვერ უპატივბიათ ერთმანეთისთვის, "გული რომ ატკინეს", "ბავშვობა რომ გაუმწარეს" შვილს, მისი დედის ხსონა რომ შეურაცხყვეს თავიანთი თავშეუკავებლობით. ასეთი გულქვა მამა და ასეთი ბოროტი დედინაცვალი ჰყავს მის ცოლს, ლიზიკოს, თორემ,

რასაკვირველია, არც ტიტველი იჭყუმალავებდა მტკვარში, ბიჭებთან ერთად, და არც ლიქიორს დააკარებდა პირს, არც სიგარეტს. მაგრამ ახლა მთავარია, დაღამებამდე დამალონ სადმე გვამი. ღამით კი, მტკვარს გაატანენ. ალბათ უკვე გაატანეს. სოღანღულს ზემოთ ერთი პატარა რიყეა, დიდი, თეთრი ქვებით მოფენილი, მთვარის შუქზე ბრძოლის ველი გეგონებათ, ოღონდ, ძველებური ბრძოლისა, სააკადის დროინდელი, თუნდაც, ბაზალეთისა, ძმათა მომსვრელი... ქვები ჩანქნებივით ბზინავენ. მდინარის ქარი ბუბუნით გეხვევა, გითრევს, გისრუტავს თავის ცივ, უსასრულო დერეფნებში და შენც მიდიხარ, მიდიხარ, თავს ძალას ატან, ფეხი ქვებზე გისხლტება, ღრმულებში გივარდება, ქვებს შორის, ბორძიკობ, ეცემი, მიფორთხავ და მაინც წინ მიიწევ, მდინარისკენ... იქ დამთავრდება შენი წამება. მხოლოდ მდინარე ჩამოგართმევს ამგვარ ტვირთს და მერე თვითონ მიხედავს, უშენოდაც... ჟელეზნი გვამის მტვირთველებს ჯობის ფანრით უნათებს გზას. თუმცა, გზა სად არის... თუ არ არის, გზა არ არის სწორედ. უბრალოდ, მიმართულებას უჩვენებს მკრთალი და მხდალი სინათლის მეშვეობით. აანთებს, ჩააქრობს, აანთებს, ჩააქრობს. ფრთხილობს, გამოცდილია, ბევრი ასეთი მაფრაშა გაუტანებია მდინარისთვის. იცის, როდის ანთოს და როდის ჩააქროს ფანარი, საქმე რომ არ გაფუჭდეს. ანტონს კი ჰგონია, მამის უზუმრად, წიგნს კითხულობს ქვიშხეთში, თავზე საბანწაფარებული. "ცოტაც, ცოტაც და მივედით. ვსო." — ამხნეებს ჟელეზნი ქალებს. "შენც მოკიდე ხელი, აღარ შემიძლია" — ეუბნება ფეფე. ლიზიკო უხმოდ იტანჯება. ამაყი დუმილით უძლებს წამებას. "სად შემიძლია, ქალო, ჩემი ტრიკის პატრონს" — იცინის ჟელეზნი. ქარი ბუბუნებს. ძლიერდება. თამამდება, მდინარის სიახლოვეს, თავის მოედანზე. მდინარეც ხმას უწევს თანდათან. არ ჩანს, მაგრამ იგრძნობა — ღონიერი, ძარღვიანი, მოუხელთებელი, ერთხელ და სამუდამოდ დაძრული. თითქოს ბრაზობს, ასე გაუფრთხილებლად რომ დაადგნენ თავზე, ანდა უარს ამბობს ამგვარ ძღვენზე, მობეზრდა, ყელში ამოუვიდა სულ ერთი და იგივე. "ყველამთავისმკვლარსმოუაროსყველამთავისმკვლარს..." — მიბუტბუტებს შეუვალ სიბნელეში. სადაც ჭოტი შეპყვირებს და სამივენი შეკრთებიან (ანტონივით). არადა, ჭოტი ანტონის საყვარელი ფრინველია და, ადვილი შესაძლებელია, ეჩვენებოდეს, როგორც თვალგადმოვადებული ციყვი, ანდა ობობას ძაფზე დაკიდული მატლი. ეს მისი მარადიული ჩვენებებია. მოუშორებელი. ობობას ძაფზე დაკიდული მატლი ახლაც მის ცხვირწინ იკლაკნება ჰაერში. ქაღალტონ არაქნეს კი, აშკარად აღიზიანებს ზედმეტად ცნობისმოყვარე ვაჟბატონები, ცხვირს რომ ყოფენ ყველგან, სადაც ჩასაყოფს ნახავენ. იძულებულია, გაიღურსოს, ვითომ, მატლი თავისით ტივტივებს ჰაერში, ვითომ, თავად არაფერი ესაქმება მატლთან და ვითომ, არ იმსახურებს ამ დებილ მატლს, თუნდაც, საზრიანობისთვის. კაცმა რომ თქვას, არც ისეთი იოლი საქმეა ალბათ, შენზე ბევრად დიდი მატლი ჯერ დაიჭირო, გაკოჭო და მერე ხეზე აიტანო, არანაკლებ სამი-ოთხი მეტრის სიმაღლეზე. მაგრამ ძნელზე-ძნელია სწორი არჩევანი ღირსეულსა და უღირსს შორის. ძალიან ძნელია, რაც უფრო მაღალია შენში ადამიანურობის კოეფიციენტი. რასაკვირველია, მატლიც ცოდლა თავისთავად, არავითარი შანსი არა აქვს გადარჩენისა, არავინ ჰყავს, შენს მეტი, მთელ სამყაროში, ვისაც მისი შველა შეუძლია. მაგრამ იმას, ვინც, მაინცდამაინც, შენ გამოგატარა აქეთ და, მაინცდამაინც, ახლა, ამ წუთას, ერთნაირად ჰკიდია ფეხებზე ობობაცა და მატლიც. იმას შენ აინტერესებ, შენ გცდის — მომავალ ადამიანს, ბუნების გვირგვინს, განვითარების ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგარ არსებას — რას იზამ? როგორ მოიქცევი? მიაგებ ღირსეულს, თუ იხსნი უღირსს, ანუ, მატლს დაუთმობ ობობას, რომელიც ნამდვილად იმსახურებს და აღტაცებასაც იწვევს თავისი საზრიანობით, თუ ხელიდან გააგდებინებ დამსახურებულ ლუკმას, ანუ მატლს, რომელიც სიბრალულის გრძნობასთან ერთად, ზიზღის გრძნობასაც ბადებს შენს გულში... აირჩიე, სანამ ჯერ კიდევ დროა! აირჩიე! ადამიანს, გაჩენისთანავე, ერთადერთი უფლება ენიჭება და ეს უფლება შეცდომის ჩადენის უფლებაა. ადამიანის ცხოვრება მის მიერ ჩადენილ შეცდომათა ჯამია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში უფლებამოსილია, გაწიროს ღირსეული და იხსნას უღირსი... მტკვარში ამოგანგლული მატლი გამწარებული მიიკლაკნება, თვითონაც რომ არ იცის, საით... ისიც პატარა მაფრაშას

ჰგავს. თითქოს იმაშიც მამაშენის გვამია გახვეული, ოღონდ, ბავშვობისდროინდელი. რასაკვირველია, მატლიც იგივე მაფრაშაა — გაიზარდა, გასივდა, გაჭურდა და ყაჭის ძაფში გაეხვია თავისთავად. ამიტომაც არ დადასტურდა მკვლელობის ფაქტი. ეს მკვლელობა კი არ არის, ბუნებრივი პროცესია. შვილი ამთავრებს მამას, როგორც პეპელა — მატლს... ლიზიკო უკვე მდინარეში დგას. "კაბა უნდა გამეხადა, გასაწური ვარო" — იცინის ყასიდად. "არა უშავს, უცებ გაშრები, ჯერ კიდევ ზაფხულიაო" — ამშვიდებს ქელეზნი. "კარგი მხიარული ზაფხული გვაქვს, მე და ჩემმა ღმერთმაო" — ბუზღუნებს ფეფე. სამივე იცინის და ნამდვილად რომ სასაცილოდ აქვთ საქმე: არც ის ჩანს, რაც მდინარეს უნდა გაატანონ და არც მდინარე, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა წაიღოს წასადები. გვამი მაინც ვარდება წყალში, მაგრამ ვერ იძირება, ჯერ ახლოს არიან ნაპირთან. აქ წყალი მეჩხერია. სამაგიეროდ, ხმაურობს. აკლებული აქვს აქაურობა. ხმაურობს, მაგრამ მაინც საშიშია. ქელეზნი ფანრის შუქით პოულობს წყალში ჩავარდნილ მაფრაშას და ფეხით აწვება. "უფრო ღრმად უნდა შეხვიდეთ" — ამბობს ბოლოს. "ალარ შემოძლია" — ჩივის ფეფე. "წყელიმც იყავით ყველანი... წყელიმც იყავით ყველანი" — ყვირის ლიზიკო. "ლიზიკო, ლიზიკო, ლიზა" — ბნელში სისინებს დამფრთხალი ფეფე. "წყელიმც იყავით ყველანი..." — იმეორებს ლიზიკო, მაგრამ უკვე დამშვიდებული, ხმაში ღიმილგარეული. "აბა, ერთხელაც ავწიოთ და მოვრჩეთ ამ საქმეს" — აქეზებს ქელეზნი. ქალებს სველი მაფრაშა ხელიდან უსხლტებათ. უჩინარი წყალი დგაფუნობს, ბუებუყებს. თვითონაც ზედ ემხოზიან მაფრაშას, უჭირთ თავის შეკაგება წყალქვეშა სლიპინა ქვებზე. თანაც სრულ სიბნელეში. სადღაც, უფრო ქვევით, ბაყაყები ყიყინებენ. ძნელი სათქმელია, ახლა აყიყინდნენ, თუ უბრალოდ აქამდე არ ესმოდათ მათი ყიყინი. "ბაყაყი წყალში ყიყინებს" — ამბობს ლიზიკო, ის რომ არ თქვას, რისი თქმაც უნდა, რაც ენაზე უტრიალებს. უკვე წელამდე დგას წყალში. წინ გადახრილი და ზურგს უკან ხელეგბამვერილი ექაჩება მაფრაშას. "მეც არ ჩამარტყათ რამე თავში, არ გამაყოლოთ ამას" — ამბობს ვითომ ხუმრობით. "ისე, ორივენი რომ წავეყვით, აჯობებს, მაგისტოვისაც და ჩვენთვისაც" — მხარს უბამს ფეფე. "არა, ჩემი სიკვდილი არ შეიძლება. მე ქმარი მყავს და მალე შვილიც მეყოლება" — ამბობს ლიზიკო სერიოზულად აღელვებული, ჩქარ-ჩქარა, ფაცაფუცით, თითქოს დრო განსაზღვრული ჰქონდეს, ანდა, მართლა უპირებდეს ვინმე მოკვლას. ესე იგი, თუ ვინმე უნდა წაჰყვეს მაფრაშას, ფეფე უნდა წაჰყვეს, რადგან ალარც ქმარი ჰყავს და, იმედი უნდა ვიქონიოთ, ალარც შვილი ეყოლება. ამდენს ფეფეც ხედება, მაგრამ ხმას არ იღებს, უხმოდ, მთელი ძალით აწვება მაფრაშას. დრო გეიჩვენებს, ვინ წავა და ვინ დარჩება. ფეფეს ლაპარაკი არ უყვარს. ფეფეს საქმე საქმეა. საქმე უნდა აკეთოს სულ, უსასრულოდ, მუხლის ჩაუხრელად... ვერც ინატრებდა, ისეთი ოჯახის დიასახლისობა არგუნა ბედმა და ბედს არ უღალატებს, არ ათქმევენებს, მართლა არ ყოფილა ღირსიო. ოჯახის გადასარჩენად, ქმარსაც დამარხავს და შეილსაც. ოჯახის ყურმოჭრილი მონაა და მხოლოდ ოჯახის განუსაზღვრელი, უვადო სამსახურით შეუძლია თავის გამოსყიდვა მონობიდან. საქმე რომ არ ჰქონდეს, გაიჩენს. უქმად იშრომებს და უქმად არ დაჯდება. წყალს დანაყავს, ქვიშას გაცრის, ჰაერს მოხელს, ქვას მოხარშავს... შრომისმოყვარე კი არ არის, შრომისუნარიანია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. შრომა უბრუნებს არა მარტო გარემოს, არამედ საკუთარი თავის აღქმის უნარსაც ამ გარემოში. ბუნებითაა ასეთი. სხვანაირად არ შეუძლია, როგორც თევზს — უწყლოდ. ხუთი წლისა, მტკვარში დამხრჩვალ მეზობლის ბიჭს თავითი ჩაუცუცქდა და ვიდრე სხვები (უფროსები) წვილ-კივილით იკლებდნენ იქაურობას, არ იცოდნენ, რა ექნათ, როგორ მიეხედათ ბრეზენტის ნაგლეჯზე დაგდებული დამხრჩვალისთვის, მან თითით გამოუჩიჩქნა მდინარის ფსკერის სილით ამოგლეხილი ყურები. მისთვის არ არსებობს ძნელი და იოლი, სუფთა და ჭუჭყიანი საქმე — ყველა ერთნაირად აუცილებელია და მისი გასაკეთებელი... აკეთებს კიდევ, თავჩალუნული და პირში წყალჩაგუბებული. არა მარტო მოზიარეა კაშელების ცოდვებისა, არამედ დამცველიცა და გამმართლებელიც... კაშელები რომ არა, ვინ იცის, რომელ სარდაფში ჩაკვდებოდა თავის პატარა დასავით, ცხოვრების ღვარდლით პირდათუქული და ყველაფერზე თვალდარჩენილი. რაც მთავარია, პატარა დისგან

განსხვავებით, იმას დამმარხავიც არავინ ეყოლებოდა, ჩემოდანში მაინც ჩაეტენა მისი გვამი და ჩუმად, ქურდულად ჩაემარხა ვიღაცის საფლავეში. მისთვის კაშველობა კი არა, რომელიმე კონკრეტული კაშველის გავლენა და პატივია მთავარი, თუნდაც იმავე რაჟდენისა, თუმცა, რაჟდენმა კი არ შეირთო ის ცოლად, არამედ კნიაუნა ქეთუსიამ შერთო რაჟდენს ძალათი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მისთვის, რა მიზნითა და მოსაზრებით: მარადიულ მხეველად დაუყენა შვილს, თუ პოტენციურ მკვლელად მიუჩინა. რაჟდენის უერთგულესი ცოლი კია, მაგრამ ქმრის, იმავე რაჟდენის სიყვარული კი არ განაპირობებს მის ერთგულებას, არამედ დედამთილისგან შემკვიდრებით მიღებული შიში და, რასაკვირველია, მადლიერების გრძნობა ამ შიშისთვის. დიახაც რომ, მადლიერია დედამთილისა, გაბედნიერებისთვის, მაგრამ ასევე დიახაც, რომ ეშინია ქმრისა, რომელსაც ყოველ წუთას შეუძლია წაართვას ეს ბედნიერება. კეთროვანის გვერდით უფრო მშვიდად იწვებოდა, ვიდრე ქმრის გვერდით წევს ამ ხნის განმავლობაში, და ნებისმიერ შეურაცხყოფას ჩაყლაპავს, ნებისმიერ დამცირებას აიტანს, ოღონდ არაფერი შეეხოს მის კეთილდღეობას, ვირთხებისა და ობობების დასაცინი არ გახდეს ისევ. სანაცვლოდ ყველაფერს გაიღებს, შვილის ღირსების ჩათვლით... ანტონი ახლაც დრმადაა დარწმუნებული, პირველმა (ესე იგი, ანტონამდე) იმან წაასწრო ქმარსა და რძალს... ბაზრის დღე ჰქონდა აღბათ და, მისთვისაც მოულოდნელად, დროზე ადრე მობრუნდა შინ (წნევამ აუწია უცებ, კუჭი აეშალა, ფული დააკლდა და ასე შემდეგ...). შევიდა სამზარეულოში და რას ხედავს: ტიტველი ალქაჯები დაპატრონებიან იქაურობას და გამაღებულნი, გააღმასებულნი ნთქავენ ერთმანეთს. ვერც ვერაფერს ხედავენ, არც არაფერი ეყურებათ, თითქოს დანიძლეკებულან, აბა, ვნახოთ, რომელი რომელს შეჭამს უფრო ადრეო. სულო ცოდვილო და, საკმაოდ საინტერესო სანახაობაა, შეიძლება, სათაკილოც, მაგრამ ნამდვილად რომ სასიამოვნო შეგრძნებების აღმძვრელი. გაწაფული, გამობრძმეილი მამრისა და სიმწიფეში შესული (გნებავთ, ადრე დამწიფებული) მდედრის შიშველი სხეულები ერთმანეთში შეჭრილან, ერთ არსებად ქცეულან, მიმზიდველნი და მადის აღმძვრელნი, ცხელ ტაფაზე დახლილი კვერცხებივით... რა ექნა საბრალო ფეფვს?! როდემდე მდგარიყო ასე პირდაპინილი?! წყალი აედუღებინა სასწრაფოდ და, ვიდრე ისინი გონს მოეგებოდნენ, დაემდურა გადაბმული ძაღლებივით?! (ერთხელ, შორეულ ბავშვობაში, მაინცდამაინც, მათი სახლის წინ გადაებნენ ძაღლები და ანტონს ახლაც ცხადად დაუდგა თვალწინ ერთ-ერთი ძაღლის პატრონი, ჩია, გაქუცული დედაბერი, რომელიც ცალი ხელით საყელოში ჩაფრენოდა თავის ძაღლს, მეორეთი კი, გაუბედავად სცემდა გავაზე — ჯერ შინ მივიდეთო, იქ მოგელაპარაკებო — ემუქრებოდა სასოწარკვეთილი, ხმაში ტირილგარეული, რადგან ერთნაირად ეშინოდა ცნობისმოყვარე, უსაქმური მაყურებლებისაც — "ადამიანობისკენ" რომ მოუწოდებდნენ აქეთ-იქიდან — და უცხო ძაღლისაც, ასე გაუთვალისწინებლად, ასე მოულოდნელად რომ შემოჭრილიყო მის ცხოვრებაში და ერთბაშად დაერღვია თითქოს დაურღვეველი, გარე სამყაროსგან თითქოს საიმედოდ დაცული მისი ბებრული სიმყუდროვე). წვილ-კვილი აეტეხა მეზობლების გულის გასახარად?! შვილისთვის ესმო?! (მაინც არ მოვიდოდა, არ ეყოფოდა გამბედაობა). არავითარ შემთხვევაში! არ გცნობიათ ფეფვ და ეგაა — "ყველას მოახლე", "ყველასგან დავალებული", მაგრამ, ამავე დროს, ერთადერთი დიასახლისი კაშველების ბუნაგისა, კაშველთა სულის სამალავის კლიტის მფლობელი... უჩუმრად, ბაზრის ჩანთიანად, გამოვიდა დიდ ოთახში და სავარძელში ჩაჯდა, არც გადმოუფერთხავს მკვდარი პეპლები, აზრი არ ჰქონდა და იმიტომ, ბლომად ეყარნენ ყველგან, სავარძელშიც, მაგიდაზეც, სარკმლის რაფაზეც, იატაკზეც... მუმილი კი ტრიალებდა, ტრიალებდა, ჭადის გარშემო, ფეფვს თავზეც, მაგრამ უკვე არავინ აქცევდა ყურადღებას ბუნების ამ საოცრებას. რადაცას რომ აუწყებდათ ბუნება, ფაქტია, მაგრამ იმდენი და იმდენნაირი საოცრება ხდებოდა ყოველ ნაბიჯზე, უდღური მუმილის შემოსევა სალაპარაკოდაც არ ღირდა მათ გვერდით. ყოველ შემთხვევაში, ფეფვსთვის ნამდვილად ადარ ჰქონდა მნიშვნელობა, რას აუწყებდა ბუნება — უარესი და უფრო მნიშვნელოვანი მაინც აღარაფერი მოხდებოდა მის ოჯახში. მოკლედ, სავარძელში ჩაჯდა, რათა იმათთვისაც ("გადაბმულებისთვის")

მეცა გონზე მოსვლის, მოწესრიგების საშუალება და თვითონაც მშვიდად აეწონდაეწონა "მოულოდნელად" შექმნილი სიტუაცია, რომელსაც მოულოდნელი ნამდვილად არ ეთქმოდა, რადგან რაღაც ამის მაგვარის მოლოდინი თვითონაც ჰქონდა (ანტონისა არ იყოს), რაც ახლა, მხოლოდ და მხოლოდ, პატივისცემის გრძნობას უჩენდა საკუთარი თავისადმი და დამამშვიდებელ მალამოდ ეცხებოდა გულზე. ბაზრის ჩანთას ქინძისა და რეჰანის მძაფრი სუნი ასდიოდა და ესეც რაღაცნაირად ამშვიდებდა, სასიამოვნოდ აბრუებდა... ისინი კი, "გადაბმულები", ფაცაფუცით იცვამდნენ კარს იქით (იმედია!) დამფრთხალნი, დაბნეულნი, გაანხსლებულნი, და ჩურჩულ-სისინით აბრალებდნენ ერთმანეთს თავიანთ სულმდაბლობას, თავშეუკაველობას — "შენ თუ არა მაშინ ხომ მეც არ... — ვიდრე ფეფე დედოფალივით მშვიდად იჯდა სავარძელში — თუნდაც, ლტოლვილი დედოფალივით, რომელსაც ბაზრის ჩანთაში ჩაუტევია მთელი თავისი ავლადიდება, მთელი თავისი ქვეყანა — და ერთი სული ჰქონდა, როდის იხილავდა მათ სახეებს. "რას ჰგავს ეს, რას გვითვალთვალებ, ჯაშუშობა დაიწყე ამ სიბერეში!" — უყვირებდა ალბათ რაჟდენი, ჩვეულებისამებრ, ყასიდად გაბრაზებული, რადგან მხოლოდ ასეთს, ყასიდად გაბრაზებულსა და, ამდენად, ვითომ მართალსაც, შეუძლია აიღოს ხელში ნებისმიერი სიტუაციის სადავეები და შეინარჩუნოს ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, კომკავშირულ ღონისძიებებზე გამომუშავებული ტონი ერთპიროვნული მბრძანებლისა, რათა ჩვეულებრივ მოვლენათა რიგს მიათვალოს ეს საკმაოდ არანეულებრივი მოვლენაც. მაგრამ ამხანაგი რაჟდენი ვერ ხვდება (ვერ ხვდებოდა) და ვერც ვერასოდეს მიხვდება (ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი), სწორედ "ერთპიროვნული მბრძანებლის" ტონი რომ ამხელს (ამხელდა) მის სიყალბეს და ააშკარავებს (ააშკარავებდა) მის სიბეჩავს. მაგრამ უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ისინი ("გადაბმულები") ჩაიცვამდნენ და ცოტა გონს მოეგებოდნენ, ფეფეს ჩასძინებოდა კიდევ ფუმფულა, მხოლოდ და მხოლოდ, საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ სავარძელში, სადაც, სხვათაშორის, არასოდეს მჯდარა იქამდე (ყოველ შემთხვევაში, ანტონს არ უნახავს). ეს უფრო ახლოა სიმართლესთან. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ისე იღლება, ერთი წამით თუ ჩამოჯდა სადმე, მაშინვე ნიბლიასავით ეძინება. ნიბლიამ (ალბათ ფრენით დაქანცულმა), სარზე დაიძინა და ალაღის ლუკმა გახდა, ფეფეს ალაღი კი, რაჟდენია. "რა მოგივიდა, ფეფე, გძინავს?" — გამომცდელი სიფრთხილით ჩაეკითხება ცოლს. "იცი, რა მითხრა დედაშენმა სიკვდილის წინ?" — დაიწყებს წამსვე გამოფხიზლებული ფეფე, მაგრამ რაჟდენი აღარ დაამთავრებინებს სიტყვას. ისედაც ყველასთვის ცნობილია, რა დაუბარა დედამთილმა ფეფეს სიკვდილის წინ. რაჟდენი ზემოდან დასცქერის ცოლს და თან პერანგის ღილებს იკრავს. "ყველაფერში მართალი ხარ, რაც გინდა, გვითხარი... რამდენიც გინდა, იმდენი გვაგინე... ღირსნი ვართ ორივენი... ნურც მე დამზოგავ და ნურც იმას... შვილი დაზოგე... ჩვენ დავაშავეთ და უნდა დავისაჯოთ კიდევ..." — მხურვალედ ინანიებს რაჟდენი და, "ჩემი საათი ხომ არ გინახავს შემთხვევითო", მოაყოლებს სხვათაშორის. თან მარჯვენა ხელის თითებს მარცხენა ხელის მაჯაზე ათამაშებს. მაჯას აშკარად ეტყობა ნასაათარი, საათის დანატოვარი მკრთალი ზოლი. ესე იგი, ამჯერად არ ტყუის. "შენ შეიღს რომ ჰკითხო, ძეგლიც არ დგას თურმე ამ ქალაქში თავის ადგილზე" — გაბრაზდება მოულოდნელად (მაინც გაბრაზდება, ყოველშემთხვევისთვის). "სად გაქრა, ის ოხერი! ფეხი აიდგა?" — უყვირის ჭადის ირგვლივ მბრუნავ მუმლს. "ეტყობა, სამზარეულოში მოიხსენიო" — შეახსენებს ფეფე და რაჟდენიც, ვითომ საათის მოსაძებნად, ისევ სამზარეულოში შებრუნდება, ოღონდ, გაბრაზებული და, აქედან გამომდინარე, მართალი კაცის კვალობაზე, თვალშისაცემად ფრთხილად შეიკეცავს კარს ზურგს უკან. ხოლო, ცოტა ხნის მერე, უკვე ლიზიკოსთან ერთად გამოვა იქიდან. იგივენი და ლიზიკო! გმირი ქალი ამ სამარცხვინო სპექტაკლისა და, ობიექტურები თუ ვიქნებით, ბრწყინვალე შემსრულებელიც თავისი როლისა... დაუდევრად გაუნახკავს სააბაზანო ლურჯი ხალათის ქამარი. ტიტველ ტანზე შემოიცვა უცებ. ფეხები კი, რატომღაც, ფეფეს ფლოსტებში წაუყვია, შეიძლება, შემთხვევით, მღელვარებისგან, შეიძლება, განგებ, ფეფეს კიდევ უფრო გასაგიჟებლად. მაგრამ ალბათ პირველი ვერსია უფრო შეესაბამება სინამდვილეს: რაც არ უნდა იყოს, მაინც დედავს

ალბათ, ჯერ ახალი რძალია და სიუცხოვის გრძნობა, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც აფერხებს, მთლიანად გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობები. ფეფე კი, მოჯადოებულებით შესცქერის. როგორც ყოველთვის, ახლაც აშკარად მოხიბლულია მისი გარეგნობით. თითქოს საერთოდ პირველად ხედავს, თითქოს ლამის მის თვალწინ და მის ხელში არ იყოს გაზრდილი. როგორც ყოველთვის, ახლაც შურს მისი, რადგან გულის სიდრმეში, ასეთი უნდოდა ყოფილიყო თვითონაც. ოღონდ, თავხედი და გამომწვევი კი არა, როგორცადაც ლიზიკო აჩვენებს ახლა თავს, არამედ — მომხიბლავად თამამი, როგორც სინამდვილეშია. რაც მთავარია, ნებისთ თუ უნებლიედ, ლიზიკო იმას აკეთებს, ყოველ შემთხვევაში, იმის გაკეთებას ცდილობს, რისი გაკეთება თავადაც უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, რაც სრულებითაც არ არის ლიზიკოს ბრალი. "უი, თქვენი ფლოსტები ჩამიცვამს შემთხვევით... მაპატიეთ" — იკრიჭება ლიზიკო. თითქოს ფლოსტების მეტი არაფერი მიეთვისებინოს იმისი. არენაზე გამოყვანილი ცირკის ცხენით, ჯერ ერთ ფეხს აიქნევს, მომხიბვლელი სისხარტით, მერე მეორეს და გახდილსა თუ მოშორებულ ფლოსტებს ფეხის წვერით ფრთხილად მიუჩოჩებს სავარძელში დედოფალივით ჩაბრძანებულ დედამთილს. ერთი ფლოსტი ამოტრიალებული გდია, პირქვე. ვიდრე ლიზიკო ამ მარტივ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან ოპერაციას ატარებს, რაუდენი თვალს არ აშორებს ფეფეს. ფეფე კი, თავის მხრივ, ისევ მონუსხულივით შესცქერის ლიზიკოს. რაუდენი — ფეფეს, ფეფე — ლიზიკოს, ლიზიკო — ლიზიკოს, საკუთარ გამოსახულებას, სარკესავით მოპრიალებულ იატაკზე. იატაკს, რამდენიმე ადგილას, მისი შიშველი ტერფების მერთალი ანაბეჭდიც ატყვია. "შეიწყალე უფალო სული მონათლული კომუნისტისა და ფრიად ცოდვილისა მონისა შენისა რაუდენი-ი-ი-საა" — მღვდელივით წაიმღერებს რაუდენი. სწორედ ამ დროს, თითქოს კვერი დაუკრაო, კედლის დიდი საათი სამჯერ ზედიზედ დაიგრვინებს და ყველანი ერთბაშად შეცბუნდებიან, აჩქარდებიან — ყოველ წუთას შეიძლება შემოუსწროს ანტონმა, იმ ბრუციანმა ბატმა, იმან... ვერაფერს მიხვდება, მაგრამ მაინც... ვისა აქვს ამდენი მანჭვა-გრეხის თავი! "აბა ჰე, მადლობა ვუთხრათ დედილოს ყველაფრისთვის და პირობაც მივცეთ, აღარასოდეს გავიმეორებთ ამ სისაბაგლესოქვა" — ასწავლის რაუდენი ლიზიკოს. თან, ვითომ ძალით აჩოქებს, მხრებზე აწვება დიდი, დონიერი ხელებით. ლიზიკოც ვითომ უძალიანდება (ასე არიან ალბათ შეთანხმებულნი), მაგრამ ბოლოს მაინც "ტყდება" და რაუდენის მტკიცე ხელსა და ნებას დაყოლილი, მორჩილად იჩოქებს დედამთილის სავარძლის წინ. მიტყუპული ხელისგულები ნიკაპთან მიაქვს, თავს ლამის იატაკამდე ხრის და ბავშვურად ხმადაწვრილებული, სხაპასხუპით წარმოსთქვამს "იაპონურად": ფეფე სან, ფეფე სან, მადლობელი ვარ ჩემი სახელითაც, ანტონის სახელითაც, თქვენი მეუღლის სახელითაც და საერთოდ, გზასამცდარი კაცობრიობის სახელითო. რაუდენი აშკარად კმაყოფილი დასცქერის ზემოდან. ხანდახან ცოლსაც გახედავს ხოლმე და თვალს უზამს, თუმცა, ძნელი დასადგენია ფეფესთვის, რისი თქმა უნდა ამით მის მეუღლეს: "მეტი რა ქნას ამ საბრალომო" თუ "მეტი რა მოეკითხება ამ სუელესო". მერე, დედამთილის წინ დაჩოქილსა და "გულწრფელად" მონანიე ლიზიკოს იღლიებში შეუცურებს ხელებს და ერთბაშად წამოაყენებს ფეხზე. ლიზიკოს მუხლისთავეები დასწითლებია. თითქოს ოდნავ ჩაჭყლევია კიდევ. დაცქვეტილი დგას, თითქოს რაუდენის მორიგი რეპლიკის მოლოდინში, და რაუდენიც არ აყოვნებს: "მეც მადლობელი ვარ და პატიოსან სიტყვას გაძღვე, მსგავსიც აღარაფერი განმეორდებაო" — (ანტონს თუ მოელანდება რამე, ეს რა მისი ბრალია?!) — ეუბნება სავარძელზე დედოფალივით დაბრძანებულ მეუღლეს. "ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული" — იგესლება ლიზიკო. ოთახში მუშლი ირევა, ისევე როგორც მთელ საქართველოში. მთელ საქართველოს დასტრიალებს მუშლი, როგორც გადამწიფებულ ხილსა თუ სიღამპლემამჯდარ ბოსტნეულს... მერე ალბათ თავლაფდასხმული ანტონიც მოვიდა, ქუჩის ახალი ამბებით დახუნძლულ-დაბორიალებული, და, ჩვეულებისამებრ, ერთად ისადიდეს, მერე ერთად ივანშემეს, მერე, ცოტა ხანს, ვიდრე შუქი გამოირთვებოდა, ერთად უყურეს ტელევიზორს, ფეფეს გარეშე, კლასიკური სამკუთხედის მთავარმა წევრებმა, ფეფე ამ დროს სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს ხოლმე, და კვლავაც ორ ბანაკად გაყოფილი,

თავთავიანთ წაბილწულ საწოლ ოთახებში შეიკეტნენ... მეტი არც არაფერია ოჯახი. მიუხედავად უსიტყვო შეთანხმებისა, ანდა, სწორედ უსიტყვო შეთანხმების გამო, არავის არ უნდა და მაინც ყველას ხელს აძლევს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ჩვეულებას, შეიძლება, თავი ანაცვალო, შვილის ღირსებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვეულებათა დასაცავად გადავიდა ფეხეც მისი "შივილის" შემგინებელთა ბანაკში და, ვინ იცის, დარაჯათაც ედგა მისი "სიკეთით" გათავსებულ ქმარსა და რძალს, ოღონდ ყოველ დღე ერთად ესადილათ, ერთად ევახშმათ, ერთად (უიმისოდ) ეყურებიანთ ტელევიზორისთვის და, რაც მთავარია, სხვების თვალში ისევ ერთ ოჯახად დარჩენილიყვნენ. მაგრამ რა დამალულა, ეს რომ დამალულიყო. ყველა საიდუმლოს, ადრე თუ გვიან, ეხდება ფარდა და ყველას მიუხდევბა ღმერთის ნებით. დიახ, ეს ღმერთის ნებაა, თორემ, რაჟღერ კაშელის შვილს გუშინდლამდე მსგავსიც არაფერი ჩაუდენია, კაცი მოუკლავს კი არა, მატლიც ვერ გაუწირავს, მატლიც შესცოდებია, და არც გუშინ ეყოფოდა სულის სიმტკიცე იმის ჩასადენად, რაც ჩაიდინა. ის ღმერთის იარაღია მხოლოდ. ღმერთის ნება აღსრულდა მისი მეშვეობით, რადგან ვერც მრგვალები და ვერც გრძელები, ვერც მწვანეები და ვერც ცისფრები ვერაფერს გახდებიან, უფრო სწორად, ისინიც თანდათანობით კომკავშირის მაგვარ ორგანიზაციებად გარდაიქმნებიან, თუკი რაჟღერ კაშელის სახსენებელი ერთხელ და სამუდამოდ არ აღიგვება პირისაგან მიწისა. ამიტომაც (ალბათ — ამიტომაც!), ვიდაც აისორს კი არ უნდა გამოეჭრა იმისთვის ყელი შუშის ნამტვრევით, ისიც მანქანას კი არ უნდა გაეჭყელიტა ქუჩაში, მაწანწალა ძაღლივით, არამედ, მაინცდამაინც, საკუთარ შვილს უნდა გაეპო მისთვის თავი სამზარეულოს ცუდით, რადგან არავინ იცის მამა, ვიდრე ძემ... ასედაც მოხდა! ამ თვალსაზრისით, ანტონიც ღირსეული კაშელი აღმოჩნდა, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, დაბადებით მკვლეელი, თავიდანვე მკვლელად მოვლენილი მამის ზღვარგადასული სითავსებისა და დედის მდაბიური ეშმაკობის წყალობით... კი უთხრა დედამ, შენ ვერ გაასწორებ ამ ქვეყანასო, მაგრამ რაც იმ ერთ წამში განიცადა ამან, იმის ფასს ვერაფერს მოიპოვებს დედამისი, ვერც მათხოვრობით, ვერც მამამისის ცოლობით, ვერც მისი დედობით და ვერც ღიზიკოს დედამთილობით. თითქოს ყველაფერია და მაინც არაფერს წარმოადგენს არც ქმრისთვის, არც შვილისთვის, არც რძლისთვის — მტერის გადასაფერთხი ჩვარი და იატაკის მოსაპრიალებელი ქეჩის ნაგლეჯი, ნალალატვეი ცოლი და მოღალატე დედა... ქმარს ვერ იტირებს, შვილს ვერ თანაუგრძნობს... ასეთია მისი ხვედრი. მაგრამ რა ექნა საბრალო ჩიორას, ერთი ბარტყისთვის გადაეყოლებინა მთელი ოჯახი?! ისიც ადგა და შვილის ღირსების წამბილწავთა ბანაკში გადაფრინდა მაშინვე, ხელებს ულოკავდა ზნეწამხდარ ქმარსა და ძირგავარდნილ რძალს, იქნებ ცოტა მაინც დაზოგოთ ჩემი ბარტყიო, იქნებ, მთლად არ გაასწოროთ მიწასთანო... თუმცა, საცა სამართალია, თავის პირდაპირ მოვალეობასა და დანიშნულებას ასრულებდა მხოლოდ. თავიდანვე ამისთვის შემოიყვანეს ამ ოჯახში, თავიდანვე შეატყვევს, მარტო ამისთვის რომ ივარგებდა, ჰოდა, ივარგა კიდევ! არა მარტო შვილი გაწირა, არამედ ქმარიც და რძალიც, ყველანი, ოჯახის ყველა წევრი, რათა უზრუნველად იცხოვროს თვითონ კნიაუნა ქეთუსიას დანატოვარ შიშსა და სიძულვილში... "გაანებე ჩემს შვილს თავიო" — უყვირა ღიზიკოს, შეიძლება, მხოლოდ ანტონის წარმოდგენაში, რადგან აუტანლად მოუნდა უცებ ანტონს, თუნდაც ასე დაგვიანებით გამოქომაგებოდა დედა, თუმცა, თვითონაც არ იცის, უფრო მეტად, როგორღა უნდა გაანებოს ღიზიკომ თავი. ღიზიკომაც გააკვირვებულმა შეხედა დედამთილს, შეპასუხებაც დააპირა (საინტერესოა, რას იტყოდა!), მაგრამ სწორედ ამ დროს, სამზარეულოში სასწრაფოს ექიმები შემოვიდნენ და ორივე ძალით გამოიყვანეს იქიდან. მერე, ზეწარგადაფარებული რაჟღერ კაშელის გვაშიც გამოავორეს ბორბლებიანი საკაცით და ასე დასრულდა ეს ამბავი. სინამდვილეში, დიწყო! სიკვდილი აჩენს სიცოცხლეს. გნებავთ, სიკვდილს სიცოცხლე ენაცვლება ყოველთვის. რაჟღერი მოკვდა, მაგრამ კაშელობა გრძელდება. ფეხე ფეხედ და ღიზიკომაც არანაკლები რძლობა გაუწია კაშელებს, თანაც, გაცილებით მოკლე დროში. დიახაც, ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა თავისი დიდი წინამორბედებისა. კაშელებს საერთოდ არ ეთქმით საყვედური თავიანთ რძლებზე.

ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. ფეფეს დედამთილმა (ანტონის ბებიამ), ლიზიკოსგან განსხვავებით, თაფლობის თვე ქვიშხეთში კი არა, ფსიქიატრიულის კართან გაატარა, ფეხი არ მოუცვლია იქიდან, ვიდრე მისმა დედამთილმა, ცხონებულმა კლავამ (ანტონის პეპერამ), თავი არ ჩამოიხრჩო ფსიქიატრიულის ფეხსადგილში. სამაგიეროდ, როცა თვითონ ჩავარდა ლოგინად, მისი რძალი (ანტონის დედა), სიკვდილის ანგელოზივით დაადგა თავზე და, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდა, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, ყელში არ ამოუვიდა ჭკუიდან გადამცდარი დედაბრის უაზრო ბუტბუტი და "ბოლო სიამოვნების" ბარაქიანი დოზა ერთბაშად არ შეუშხაპუნა ენის ქვეშ თუ თვალის გუგაში, რადგან სხვაგან აღარ ჰქონდა იმ უბედურს ნემსის გასაკეთებელი ადგილი. ხოლო, თავად მას (ფეფეს), საკუთარი რძალი (ლიზიკო), უპირველეს ყოვლისა, საწოლში შეენაცვლა, როგორც კეთილშობილ ოჯახში აღზრდილ მანდილოსანს მოეთხოვება (მწერლის ქალიშვილი გახლავთ, ბოლოს და ბოლოს), დაასვენა, სული მოათქმევინა დედამთილს... აი, ასე, ერთმანეთზე უკეთესად გამოიყურებიან ისინი კაშელების საოჯახო ალბომში და საერთოდ, კაშელებივით სასტიკსა და გულდრძო კაცებს, ეტყობა, ყოველთვის ასეთი სათნო და გულისხმიერი ქალები უნდა ჰყავდეთ გვერდით. ასეთია დაუწერელი კანონი ბუნებისა, სადაც მსგავსი მსგავსს არა მარტო სპობს, არამედ წარმოშობს კიდევ. ეს ალელვებს (ალელვებდა) ანტონსაც, ამის თქმას ცდილობდა გუშინ მთელი დღე, ვიდრე საბოლოოდ გაითიშებოდა. კვალის აბნევა კი არ უნდოდა, როგორც გამოძიებულს ეგონა, არამედ გულით იყო მოწადინებული, კვალზე დაეყენებინა ძიება, არა მარტო თავიანთ ოჯახურ სიბინძურეში ჩაეხედებინა, არამედ უფრო სერიოზული, საყოველთაო უბედურების წყაროც მიეთითებინა და მისი თავიდან აცილების გზებიც ესწავლებინა. მაგრამ, მაგრამ და კიდევ მაგრამ... აწ გარდაცვლილი კაშელები (იქამც ყოფილან), საშიშნი აღარ არიან. რისი გაკეთებაც შეეძლოთ, გააკეთეს. მაგრამ გეშინოდეთ იმათი, ვინც მათ შემდეგ მოდიან. ანტონ კაშელი საკუთარი მამის მეგვლელობისთვის კი არ არის საზოგადოებისთვის სახიფათო "ელემენტი", არამედ — ზიარი ცოლი რომ ჰყავს მამასთან, თანაც, ფეხმძიმე! ვინც იხილოს მამა, იხილოს ძეც... მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, მთავარია ახალი უბედურება ავიცილოთ როგორმე თავიდან. ქუნა-ქუნა ხეტიალითა და დროშების ფრიალით არაფერი გამოვა. აუცილებელია, არა მარტო ანტონის ცოლმა, არამედ ყველამ, სრულიად საქართველომ, სასწრაფოდ მოიშალოს მუცელი, უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, გაიკეთოს აბორტი — დაუნანებლად, დაუნდობლად, როგორც არ უნდა დაირღვას ჩვენი გენეტიკური ფონდი, გამოიფხიკოს თავისი წიაღიდან, იგივე წარსულიდან, ანუ, გონებიდან, სულიდან — საიდანაც გნებავთ — კაშელის თესლი, ერთხელ და სამუდამოდ, უკუნითი უკუნისამდე, თუკი მართლა აპირებს გადარჩენას. კაშელი გვარი კი არა, სენია, და ანტონზე უკეთესად არავინ იცის, რა თვისებები გააჩნია ამ სენს თავის დასაცავი, გარემოსთან შესახამებელი, უფრო ზუსტად კი, ნებისმიერი გარემოს, კლიმატის, ამინდის, ფერის, ზნის, გარეგნობის, სულის, გონების, ენის, რჯულის, მიზნის გარდამქმნელი ყველასთვის, ვისაც შეეყრება მისივე სიბრიყვისა თუ უიღბლობის გამო. ამიტომ... ამიტომ, სასწრაფოდ უნდა გაერთიანდნენ და ყველამ ერთად ეძებონ, არა მარტო რაუდენ კაშელის გვამი, არამედ ანტონ კაშელის ცოლიც. თავად ანტონი, რა დასამადია და, ყველაზე მძაფრად სწორედ უცოლობას გრძნობს ახლა. ესე იგი, ვერ აღიქვამს ცოლის თუნდაც მის წილ ნახევარს. ხოლო, უფრო გულახდილნი თუ ვიქნებით, საკუთარ ერექციას გრძნობს, ცოლის რეაქციას კი ვერა. ეძებთ იბლისის მეძავი, თავის მარად ღია, მარად მშვიერ, მარად ყველაფრის მშთანთქავ საშოში — როგორც ალქიმიკოსის სინჯარაში — ამთქვეფი, შემზავებელი, გამაერთიანებელი მამისა და ძის თესლისა, არნახულ, არგაგონილ ჰომუნკულუსის შესაქმნელად, რომელიც მისთვის, ერთსა და იმავე დროს, შვილიც იქნება და მახლიც, მისი ქმრისთვის კი — შვილიც და ძმაც; ხოლო მამამთილისთვის — შვილიც და შვილიშვილიც... სხვათაშორის, ლიზიკოცა და ანტონიც თავისებური ჰომუნკულუსები არიან, პირველები, პიონერები, ხელოვნურად, ლაბორატორიული მეთოდით შექმნილნი საბჭოელი ალქიმიკოსების მიერ, იდეოლოგიის წითელი კვერცხიდან გამოჩეკილნი, რასაკვირველია, არც მთლად პატიოსანი მიზნითა და განზრახვით. თუმცა, მიზანი

და განზრახვა უკვე ყველასთვის ნათელია: მათ უნდა მოუვლინონ ქვეყანას ახალი სახეობა კაშელისა, წინაპარზე საშინელი და უშთამომავლო — ერთჯერადი ურჩხული — არა მარტო ქვეყნის ამომჰამი, არამედ საკუთარი თავისაც. ანტონი ძმაც იქნება და ბიძაც საკუთარი შვილისა, ლიზიკო — დაც და მამიდაც... მაგრამ აქამდე არ უნდა მივიდეს საქმე, ანუ, ანტონის კანონიერმა მეუღლემ და უკანონო ტყუპისცალიმა როგორმე უნდა სძლიოს ქმრისა და ძმის დაჩაგვრის, დაკინების ჟინს და ამოიგდოს თავიდან, რაც ჯერ კიდევ ჩანასახობისას, ჯერ კიდევ კვერცხის ბინადარს ჩაუნერგეს, გნებავთ, ნემსით შეუყვანეს, და გადაიფიქროს, რაც მის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე ჩაიფიქრა დოსითეოზ ნეკრესელის გამპოეტებელმა თუ ქვიშხეთელი ბიბლიოთეკარის გამგიჟებელმა... მოკლედ, ქალბატონმა კაშელმა, სანამ ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა, საქვეყნოდ, ყველას დასანახად, ტელეკამერის წინ უნდა მოიშალოს მუცელი, თუნდაც სავარაუდო, თეორიული საშიშროებაც რომ მოისპოს კაშელთა ხელახალი აღზევებისა, რასაც ალბათ პირველი თვითონ არ დაუშვებს, როგორც ანტონის ტყუპისცალი, მაგრამ როგორც ანტონის მეუღლე, დიდი სიამოვნებითაც გაუჩენს ქმარს, ერთსა და იმავე დროს, და ერთი და იგივე არსების სახით, შვილსაც, ძმასაც და დისშვილსაც... ბუნებაში არ არსებობს ძალა მისი გამჩერებელი...

ჩიტები კი ჟიჟივებენ, სტვენენ, ჭიკჭიკებენ, აღზნებულნი, ატაცებულნი საკუთარი ხმებით, ერთმანეთს აყოლილნი, მონდომებულნი, მოწადინებულნი ერთმანეთის წამხედურობითა და, ვინ იცის, მართლა დარწმუნებულნიც, მათი ერთობლივი ძალისხმევით რომ თენდება ეს უკუნეთი დამე... შეიძლება, ანტონს ტუქსავენ, არ უწონებენ საქციელს — რას გაეხარ, რას ჭყუმპალაობ მაგ აშმორებულ აუზშიო — შეიძლება, წყველიან კიდევ, მშობლის გამეტებისთვის და ერთხმად მოუწოდებენ, ვიდრე ჯერ კიდევ დროა, გონს მოეგოს, დაბრუნდეს შინ, მონანოს, განიწმინდოს, გასუფთავდეს, ისევ ადამიანს დაემსგავსოს და კეთილი ინებოს, კვლავაც დაიცვას ბუნების წესი, ჩადგეს რიგში და მიჰყვეს ჩიტისთვისაც და ადამიანისთვისაც ერთნაირად სავალდებულო დრო-ჟამის დინებას... მაგრამ ამოდ ირჯებიან. ანტონი ვედარასოდეს გახდება ისეთი, როგორც იყო და უკვე ზუსტად ისეთია, როგორც უნდა ყოფილიყო თავიდანვე, როგორც ბუნების, ისე ცხოვრების წესიდან გამომდინარე. უფრო სწორად, არავითარ წესს არ ემორჩილება. მისი ბედი ცაში კი არ არის გადაწყვეტილი, როგორც ნებისმიერი სულიერისა, არამედ კაბინეტში. მან უკვე დალატის სიმწარეც იკვამა და მკვლელობის სიამტკილობაც. აღარც გული აქვს, აღარც მიზანი, აღარც ღირსება, აღარც სამშობლო და ისევ მამამისის საყვარელი სიტყვა რომ მოვიშველიოთ, აღარც იდეალი. მისი იდეალი სიკვდილისთვის სიკვდილია. არაფრის გამო და არაფრისთვის. ამიტომ გააჩნა დედამ, ამიტომ აწოვა ძუძუ (თუკი აწოვა საერთოდ), ამიტომ ზრდიდა, ამიტომ უმართავდა გრანდიოზულ დღეობებს, ნამცხვრის მთებითა და ლიმონათის მდინარეებით, ამიტომ უკუჭავდა ჯიბეში ფულს, მამის უჩუმრად, და ამიტომ უკეთებდა ნემსს, "ხანდახან", "იშვითად", "წამლად", განსაკუთრებით, "ცუდ ამინდში", როცა ძაღლიც არ გაიგებოდა გარეთ და ერჩია, შინ, ოჯახურ სიტბოსა და სიმყუდროვეში მჯდარიყო მისი შვილი, ვიდრე სხვენში ან სარდაფში... შვილმაც დაუფასა ამაგი. მაგრამ ვინც მამას კლავს, ის შეიძლება ნებისმიერი ვივინდარის ხელით მოიკლას. ჯერ კი ცოცხალია. ჯერ ვერაფერი დააკლეს მისი მოკვლის მსურველებმა, ესე იგი, ნამდვილად მისიანებმა, მისნაირებმა. ისინი უკვე მრავლად არიან და, დგობის წყალობით, ხვალ უფრო მეტნი იქნებიან, მამებისა და დედების ხელშეწყობით, ხელისუფალთა უსიტყვო თანხმობით, ზეზეურად ჩამომპალნი ათასნაირი სენითა და სიბინძურით, მარადიული ტუსაღები, ციხეში თუ ციხის გარეთ, პლანტაციებში ქანცგაწვევტილი ზანგებივით ჩაცვტქულნი სადარბაზოების წინ, ტროტუარების გასწვრივ... უაზრო, უმიზნო, უშედეგო აღსასრულის მოლოდინში... ერთმანეთისა რომ ესმით, თანაც კარგად, იმიტომაც ხოცავენ ერთმანეთს. თუმცა, ამჯერად ხელი მოეცარათ. მაგარი კაკალი შეხვდათ, თავდაც მკვლელი, თანაც გენეტიკური, თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე. აშკარად ცოცხალია. აი, სისხლიც მოსდის... აი, რას უგავს სახე... კბილებზე ბოთლი დაამსხვრია იმ ფაღარათმა... სველ ხელებს ფრთხილად ისვამს შეშუპებულ სახეზე, ნელა, გაუბედავად იშორებს ბოთლის წვრილ ნამტვრევებთან ერთად მიმხმარ სისხლს და ჭრილობები მაშინვე ახალი სისხლით ევსება. მერე ისევ წყალში აფართხალებს ხელებს, ფარფლებივით, და უარესად ამღვრევს, აქაფებს ბინძურ წყალს. გვეონებათ თამაშობსო, თავს იქცევსო, და ასედაცაა, სხვა არც არაფერი ევალება, არც არაფერი მოეკითხება. ვალიც გაისტუმრა და მოსახდელიც მოიხადა, ებაყურისა და ყივანახველის ჩათვლით. ჯერჯერობით, სხვა არანაირი საყმაწვილო სენი არ შეყრია. სხვათაშორის, არც ვენერიული. ამ მხრივ, მათი ოჯახი ნამდვილად სანიმუშოა, ყველანი მკაცრად იცავენ სისუფთავეს და უცხოს არავის ატაჭანებენ ოჯახურ სექსში. მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, ამას არაფერი აღარ აინტერესებს, აღარც ცოლის სიმართლე, აღარც მამის ტყუილი. საერთოდ არაფრის ცოდნა არ უნდა, არც ლუდოვიკო ბოლონიელის ჩაშლილი მისისა, არც დოსითეოზ ნეერესელის ღექსებისა... არაფრის... სურს, უვიცი და უცოდინარი იყოს სხვებივით, დანარჩენებივით, რადგან ცოდნა ზედმეტი ბარგია, ხელის შემშლელი და, შეიძლება, დამღუპველიც, როცა მარტო შენ იცი, რისი ცოდნაც ყველასთვის ერთნაირადაა სავალდებულო, მით უფრო მკვდარ ქვეყანაში, სადაც არათუ სიმართლეს არ ამბობენ მიცვალებულზე, არამედ საერთოდ არ ახსენებენ მიცვალებულს, თითქოს არც ყოფილაო. მართლაც, ვერავითარი სწავლა-განათლება ვერ მოუტანდა ალბათ ისეთ სულიერ კმაყოფილებას, შინაგან სიმშვიდეს, სიამაყის შეგრძნებას და, რაც

კიდევ უფრო მეტია, ისეთ სახელსა და პატივს (არა მარტო ბოროტმოქმედთა, არამედ სამართლის დამცველთა შორისაც), როგორც მამის მკვლელობამ მოუტანა ერთ ჩვეულებრივ დებილს, თუმცა, სამწუხაროდ, არც მთლად ჩვეულებრივს, ჩვეულებრივზე დაბლა მდგომს თავისი ზნეობრივ-მორალური დონით, რადგან ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს და ვერაფრით მოუთოკავს იმპულსური სიბრაულისა და აღშფოთების უნარი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს უშლის ჭკმშიარტი ბუნების გამოქვლივებაში, რის გამოც ნაკლებად მიმზიდველი, თუნდაც, ნაკლებად საინტერესო ჩანდა ყოველთვის ტოლამხანაგების თვალში, მაგრამ როგორც კი ცული აიღო ხელში, როგორც კი ორად გაუპო თავი საკუთარ მშობელს, უმაღლეს დიდების შარავანდელი დაადგა თავზე, სუფრა გაუშალეს "ხეივანში" და ყველამ ქვემოდან დაუწყო ლაქუცი, დუქნის გარყვნილი ძაღლებივით. მკვლელობა წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული თვისებაა მისი და არა ფაცაფუცით, სახელდახელოდ, იძულებით შექნილი ხელობა, დროის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. პირიქით, სწორედ დროის მოთხოვნილებებმა შეუშალა ალბათ ხელი, თვისება ხელობად ექცია, თავის სახელოვან წინაპრების მსგავსად. თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მით უფრო ზემოდან თავსმოხვეული და, ეშმაკმა იცის, რა მიზნით გათამაშებული, არა მარტო პირველი მოთხოვნილების საქონელს აქრობს დახლებიდან, არამედ უდანაშაულო მსხვერპლის დეფიციტსაც აჩენს მისდაუნებურად, რაც თავის მხრივ, არათუ რომანტიულ მომხიბველობას უკარგავს ჯალათის პროფესიას, არამედ საერთოდ სათუოს ხდის მის არსებობას, რის გამოც ასობით და ათასობით თვალსაჩინო პროფესიონალი ქუჩაში რჩება და ჩვეულებრივი დურგლისა თუ სანტექნიკოსის მსგავსად, სანაგვეზე გადის სარჩოს მოსაპოვებლად... მაგრამ, რაც მართალია მართალია, მან გაცილებით მეტი შეძლო, ვიდრე მისმა სახელოვანმა წინაპრებმა, თუმცა, ყველა მათგანი სახელმწიფო მნიშვნელობის მკვლელად ითვლებოდა და "უპრაგონოდ" ხერცქველი ხალხს მარჯვნივ და მარცხნივ. მაინც მხოლოდ მან გაბედა მშობელზე ხელის აღმართვა. შეიძლება, იმათ ვერ მოასწერეს, არ დასცალდათ, იქამდე დაიხოცნენ, ვიდრე მიხვდებოდნენ, მშობლები რომ უნდა მოეკლათ ჯერ, თუკი მართლა უნდოდათ ქვეყნის გასწორება — პეპერა ჩხუბში მოკლეს, პაპა მანქანამ გაიტანა — მაგრამ არცერთ მათგანს გუნებაშიც არ გაუვლია მშობლის მოკვლა და ეს თუ ვინმემ იცის, მხოლოდ ამან იცის, რადგან ზღაპრების მაგივრად და ყველა ზღაპარზე უფრო წვრილად, იმათ ამბებს უყვებოდა ხოლმე ბებია, უყვებოდა მრისხანებით ანთებული, ალგზნებული, აგანგაშებული, უზომო სასმელისგან და ნარკოტიკისგან ხმაჩახრინწული, კლანჭებად ქცეული თითებით ჩაფრენილი შვილიშვილის მაჯას — გრძნობდა კიდევ, როგორ გადმოდიოდა ბებუის სხეულიდან მის სხეულში, როგორც ერთი ჭურჭლიდან მეორეში, გაუნელებელი შიში და სიძულვილი საკუთარი ჯილაგისა, საკუთარი სისხლისა და ხორცისა — ცხოვრებისგან დასახიჩრებული, მასაც ასახიჩრებდა უნებურად (ნარკოტიკით ჰქონდა ტვინი შეჭმული), შურისძიების ფუჭი, ცვედანი, არაფრის მაქნისი უინით შეპყრობილი და უკვე ყველაფრის ჩამდენი, რისი ჩადენაც საერთოდ შეუძლია ქალს... თავადის ქალი ბოლშევიკს ჩაუწვა ლოგინში და ქმრისა და მამის დამხვრეტს შვილი გაუჩინა... შვილიშვილისთვის ვერ ეპატიებინა, რაც თავად ჩაედინა, გულქვა, უბირი, უგემური სიცოცხლისთვის, და იმასაც ძალით ითრევდა თავის ბინძურ, სამარცხვინო წარსულში, იმ უპაერო, ოფლიან და ბნელ დროში, თავზე ტომარანამოცმულმა რომ გაატარა ქვიშხეთური აგარაკის სარდაფში, ასე ვთქვათ, "რეპეტიციებზე", ბრმა სიკვდილის განუწყვეტელ მოლოდინში, ვიდრე მისი მეუღლე და ამის პაპა, ამის დიდი სენია, სროლაში ვარჯიშობდა და ნაგანის ტყვიით ამსხვრევდა თავზე აბლაბუდიან ქილებსა და ბოთლებს... მოკლედ, არავინ იცის, რის ფასად, მაგრამ ამას მოსახდელი უკვე მოხდელი აქვს. ასე თვლის მართლმსაჯულებაც. "ჩემზე რომ იყოს რამე დამოკიდებული, შენისთანა ბიჭს კი არ დავსჯიდი, დავაჯილდოვებდიო" — უთხრა გუშინ გამომძიებელმა კაბინეტში, როცა ზერელე, "ფორმალური" განხრეკვისას მისი პიჯაკის გულის ჯიბეში აღმოჩენილ სურათს უბრუნებდა. ის ერთადერთი სურათია, რომელზედაც მშობლებთან ერთად არის გადაღებული და ახლაც პიჯაკის გულის ჯიბეში უდევს ალბათ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ახსოვს, ჯერ ის სურათი ამოიღო შარდის წუმპედან და

მერე გადმოხტა ღამის ბარის საპირფარეშოს სარკმლიდან. ასე რომ, ის ოცდასამი წელი, ავი იყო თუ კარგი, უკვე ისტორიას ჩაბარდა. ცოტაა თუ ბევრი, ამან ის მოიხადა, რაც მიუსაჯეს. თავისთვის არაფერი მიუსჯია, არც ოცდასამი წელი, არც ოცდასამი საათი. აზრი არ ჰქონდა და იმიტომ. აზრი არ ჰქონდა იმდენად, რამდენადაც არც იქამდე ჩაუთვლია თავი დამნაშავედ და არც იმის მერე. ნებისმიერი ბოროტმოქმედი წინასწარ ითვალისწინებს, კანონის რომელი მუხლი შეესაბამება მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, იცის რაზე მიდის, ამასთან კი სულ სხვანაირადაა საქმე, ამას ჯერ სასჯელი უნდა მოეხადა და მერე უნდა დაედგინა, როგორი დანაშაული უფრო შეესაბამებოდა მისგან უკვე მოხდილ სასჯელს. ამდენად, ამან ისიც კი არ იცოდა, სწადიოდა თუ არა რამეს. უფრო სწორად, იმას სწადიოდა, რაც განგებას, ღმერთს (რომელიც, ეტყობა, მართლა არსებობს, რაკი მამამისმაც იწამა), წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რაც იმპულსური მრისხანების უამს მოეპრიანა. რაც მთავარია, ამან ისიც არ იცოდა, ბოროტმოქმედება თუ იყო, რასაც სწადიოდა. პირადად მას, პირიქით ეგონა. ასედაც გაიფიქრა, სიკეთეს ვშვრებით, როცა ცუდი უკვე მთელი ძალით ჰქონდა დაქნეული და ვედარაფერი გააჩერებდა. ცუდიც, რა თქმა უნდა, ღმერთმა ჩაუღო ხელში. თვითონ ერთი წამით, თვალის უმცირესი ნაწილით აღიქვა იმის მომლოდინე, ცივი ელვარება და მერე ვერც მილიციაში და ვერც სუფრაზე გაიხსენა, როდის მივიდა მაკიდასთან ცულის ასადებად. ახლა თვითონაც ეცინება, მაგრამ ისევ მამის მეშვეობით რომ შეეცადა ამ უცნაური, უჩვეულო განსაცდელიდან გამოძრომას — ფაქტია — და მთავარ ფაქტზე არანაკლებ სამარცხვინოც. "მამაჩემი მოაგვარებს ყველაფერსო" — გაიფიქრა სამზარეულოში შესვლისთანავე, თავისთავად ცხადია, უნებურად, როგორც ბავშვობაში ემართებოდა ხოლმე, მეტ-ნაკლებად სერიოზულ და სახიფათო სიტუაციაში მოხვედრილს. რაღა შორს წავიდეთ, იმ დღესაც ასე გაიფიქრა ზუსტად, როცა გულამოვარდნილი მისდევდა ლიზიკოს ტრიალ მინდორში, მამასთან და უელეზნისთან ერთად, და იმის გარკვევას კი არ ცდილობდა, რატომ უნდა გადახტომოდა ცოლი მანქანიდან, არამედ, "მამაჩემი მოაგვარებს ყველაფერსო", იმშვიდებდა თავს. თან, გულამოვარდნილი გარბოდა და იმის მერე, ასე გარბის. სული ეხუთება, ცეცხლის პერანგი აცვია თითქოს, ღილები კი ვერ შეუხსნია, ვერ იმორჩილებს თითებს და, გამწარებული, ტანზე იხევეს პერანგს. აწვევტილი ღილები კუტკალიებივით მიხტიან მაღალ ბალახში. მინდვრის ბოლოში პირქუში ქედი წამოწოლილა, მაგრამ კი არ ახლოვდება, ნელ-ნელა უკან იხევეს თითქოს. ლიზიკო უკანმოუხედავად გარბის. ფეხშიშველაა. ფეხსაცმელები ხელში უჭირავს და მკვდარი ჩიტებივით მიაკონწიალებს. გარბის, გარბის, თითქოს სიკვდილს გაურბის. ესენი კი, ენაგადმოგდებული მწვერებივით მისდევენ. "ზემოდან მოუარე, ზემოდან" — უყვირის მამა უელეზნის და ესეც ელოდება, რა მითითებას მისცემს მამა. მაგრამ ამოდ. მამა ძაღლადაც არ აგდებს, არადა, მთავარი ესაა. უფრო სწორად, ამის ცოლს მისდევენ დასაჭერად და თუკი ვინმემ უნდა დაიჭიროს, ამან უნდა დაიჭიროს, პირველ რიგში. "მე თვითონ, მე თვითონო" — ყვირის სუნთქვაშეკრული, გულამოვარდნილი, სახეზე, მკერდზე, მკლავებზე ოფლში ახელილი მუშმილი გადაგლესვია. ამ სახიზლარი ფაფითა აქვს ამოვსებული პირის ღრუც და ნესტოებიც. ცოტაც და, გაიგუდება, მოკვდება. მაგრამ მაინც ჯიუტად მიძვრება ეკალბარდებში, სადაც ლიზიკო შევარდა ეს წუთია. მიძვრება, მატლივით მიცოცავს ლიზიკოს ნაკვალევზე, თუმცა, თვითონვე გრძნობს, რა უაზრობაა მისი თავგამოდება. საბედისწეროდ დაავიანდა უკვე. ანუ, გინდაც მიწვდეს, დაიჭიროს ლიზიკო, მაინც ვედარასოდეს დაიბრუნებს უკან. აქამდე არ უნდა მიეყვანა საქმე. წადმა-უკუღმა კი არ უნდა ეკითხა მისთვის ლექსები, არამედ რაც შეიძლება შორს და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გასცლოდა აქაურობას, იმასთან ერთად. არ უნდა მიეღო მამის ნაწყალობევი თავისუფლება, რადგან მამამ მართლა კი არ გაანთავისუფლა, როგორც ქვიშხეთში ეგონა, ცოლთან მარტო დარჩენილს, არამედ მისი ცოლიც ჩაიგდო ხელში, მისი მეშვეობით. დროებით დათმო დაპყრობილი ტერიტორიის ერთი გოჯი და ორი მიიმატა საშუალოდ... ეს კი ეკალბარდებში მიძვრება. რას ეძებს? რა დაუკარგავს? აქ ლიზიკოს რა უნდა?! ლიზიკო რახანია გამოათრიეს აქედან მამამისმა და უელეზნიმ. აქ მხოლოდ ლიზიკოს დანატოვარი სიცარიელეა, ლიზიკოს სუნდაკრული, ეკლიანი, ჩახუთული,

მუშლითა და მტერით ამოვსებული. ღიზიკოს დანატოვარ სიცარიელეში მილოდავს მატლივით და საკუთარ ხორცს ატოვებს მაყვლოვანის ეკლებს. მისი სისხლით წვეთავენ მაყვლოვანის ეკლები. "ღიზიკო, ღიზიკო" — მისი ხმით ყვირის, ღრიალებს მაყვლოვანი. ღიზიკოს სახელი სასულეში გასჩხერია თითქოს და როგორმე თუ ვერ ამოანთხევს უკანვე, ისიც ამასავით გაიგუდება, დაიხრჩობა, მოკვდება... "იღმუმ ასახუმ სრაგ აღოვეხე" — მშვიდად ამბობს მამამთილის მკერდზე თვალმიღულული ღიზიკო. იმასაც მთელი სახე დაკაწვრია. ნაკაწრებში სისხლი ჩასდგომია, მაგრამ, გაჭირვებით, მაინც ახელს ცალ თვალს, ძალიან აინტერესებს, რა ზემოქმედება მოახდინა მისმა ნათქვამმა, და შედეგით კმაყოფილი, ენას უყოფს ამას. ეს კი იცინის, იმდენად უმწეოა იღონოს რამე, ყველაფერზე ეცინება, სიყვარულზეც, ვერაგობაზეც, ყველაფერზე... იმაზეც კი ეცინება, იმათ მაგივრად რომ რცხვენია, უფრო სწორად, ღიზიკოს მაგივრად — მამისა და მამის მაგივრად — ღიზიკოსი. მამამისმა ღიზიკო ფარად დაიყენა წინ, ცულშემართული შვილის მოსაგერიებლად, ღიზიკომ კი, ერთად მობოჭილი საცვლები (იქამდე, რატომღაც, მკერდზე ჰქონდა მიხუტებული ორივე ხელით), სახეში მიაყარა და უყვირა: "დამარტყი, რაღას უცდი, შე ლაჩარო". მაგრამ ყველაზე ნაკლებად ღიზიკო იმსახურებს მისგან სიკვდილს და ეს მამამისმაც იცოდა. თუ იცოდა, იმან იცოდა სწორედ, და თუ უნდოდა, სწორედ იმას უნდოდა, არჩევანი შეშლოდა ამას. იმიტომაც დუმდა. დუმილით ავიჟებდა ორივეს, ერთმანეთს რომ დარეოდნენ ბოლოს. სხვათაშორის, ყველაზე ნათლად, ის დუმილი ახსოვს. ის დუმილი იყო ყველაფერზე ამაზრხენიც და შეურაცხყოფელიც. სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა ალბათ, მაგრამ აქამდე ვერ დაარღვია ვერაფრით. მილიციაშიც შეჰყვა, დუქანშიც, ღამის ბარშიც... შეიძლება სიკვდილი იმდენად არ უნდოდეს, რამდენადაც იმ დუმილისგან განთავისუფლება. იმ დუმილის გამო უნდა ალბათ სიკვდილი. იმ დუმილით კიდევ უფრო მონუსხა და გამოათაყვანა მამამისმა, მაგრამ არჩევანი მაინც არ შეშლია, მამასა და ცოლს შორის კი არა, არამედ მამის ჩრდილში მატლივით დოღვასა და გაფრენის იმ წამიერ შეგრძნებას შორის, ცულის დაქნევისთანავე რომ დაეუფლა უცებ და ერთბაშად აამაღლა საკუთარი უძღურების, საკუთარი უმწეობის, საკუთარი სიმდაბლის მწვერვალზე, რასაც ჯერ ჯოჯოხეთური ღრეობა მოჰყვა, მერე კლინიკური სიკვდილი და ბოლოს კოშმარული სიზმარი, რომელმაც, სამუდამოდ თუ არა, დმერთმა იცის, რამდენი ხნით გამოათრია სინამდვილიდან, რკინის გრძელტარიანი კაუჭივით, რომლითაც პაპამისი მორიგ მსხვერპლს გამოათრევდა ხოლმე სიკვდილმისჯილთა საკნიდან. ასე რომ, მისი მიწაზე დაბრუნება უკვე შეუძლებელია. ის უკვე ცაშია, მაღლა, საკუთარ თავზეც კი, და სწორედ იმ წამიერი თავისუფლების წყალობით, იმ წამიერი თავისუფლების გამო, იმ წამიერი თავისუფლებისთვის, სრულიად მარტომ, დამოუკიდებლად რომ მოიპოვა მამის სისხლით მოთხვრილ სამზარეულოში. მამის არსებიდან საკუთარი წარმომავლობა, საკუთარი ფესვი ამოძირკვა და, ჩვენში რომ ვთქვათ, ეს არის მისი პირდაპირი დანიშნულება, ამისთვისაა საერთოდ მოვლენილი ქვეყანაზე. მატლის პეპელასავით, საკუთარი გვარ-ჯილაგის აღსასრულის მაუწყებელია და აქეთ-იქით უაზრო ფარფატითა და ფრენით — ფარფატითა და ფრენით — ამთავრებს წინაპრების მიერ ხოხვით გამოვლილ გზას, მატლის ფიქრით უფერულსა და უღიმღამოს... ღამის ბარის მატლები ამასთან ვერ მოვლენ. ისინი კიდევ უფრო უარესი მატლები არიან, საპირფარეშოს წუმპეების ბინადარნი... მატლებად დარჩებიან ბოლომდე. იმიტომაც ვერ მოჭამეს ფეხები. ვერასოდეს განიცდიან, რაც ამან განიცადა, რადგან ის კი არ ადარდებთ, ვაითუ, ძალა არ გვეყოს მოსაკლავადო, არამედ, ვაითუ, ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდეს, და აქეთ დაგვხოცოსო. უფროთხილდებიან თავიანთ მატლურ სიცოცხლეს, გაუთავებელი ლაყობით მაღავენ თავიანთ მატლურ შიშს და განუწყვეტლივ დაეძებენ მათთვის არასასურველი სიტუაციებიდან გამოსადრომ ხვრელებს, თორემ, რა მნიშვნელობა აქვს, ვის კლავ, ქიღერს თუ ქრისტეს, თუკი მისი მოკვლა დაგისახავს მიზნად, თუკი მისი სიკვდილი მიგანჩნია ერთადერთ ხსნად, თუ მთელი ქვეყნიერებისთვის არა, შენთვის მაინც. განა ამან უყოყმანოდ, ულაპარაკოდ არ დაჰკრა მამას ცული თავში?! თუმცა, სრულებითაც არ გაუკვირდებოდა, ლითონის ან ქვის ბირთვივით, აესხლიტა მამის თავს მისი ცული. მამა უკვდავი იყო მისთვის, არა

მარტო ბავშვობაში, როცა ჯერ ბევრი არაფერი გაეგებოდა სიკვდილისა, არამედ მერეც, როცა თავად იხილა, იგრძნო და იწვინა ყველაფრის წარმავლობა. მხოლოდ მამამისი რჩებოდა უცვლელი, შეუვალი, მიუდგომელი, როგორც ზებუნებრივი, ისევე ბუნებრივი და ქვებუნებრივი ძალებისთვის. ვის არ ხსნიდნენ, ვის არ იჭერდნენ, ვის არ კლავდნენ — ის კი (მამამისი), ერთი კაბინეტიდან მეორეში გადადიოდა, თანაც უკეთესში, უკეთესი ავეჯითა და მდივანით გაწყობილში. ამოება ამოებათა და ამოა ყოველი, მაგრამ მაინც ნუ ჰგონიათ იმ დებილებს, ცხვარივით რომ გაუჩერდებათ ეს. მართალია, სიკვდილს იქით დაექებს, მაგრამ მართლა ცხვარი ხომ არ არის?! შეიძლება, მამამისისთვის ცხვარი იყო, უფრო სწორად, ცხვრის მაგივრად ეს შესწირა მამამისმა თავის კერპს, მაგრამ ეს მაინც უფრო ადამიანია, ვიდრე ცხვარი: რაღაცეები ახსოვს (მაგალითად, ჭრელი ძროხა, თვალგადმოვადებული ციყვი, მისგან განაწყენებული თობა...), რაღაცაზე გული წყდება (პირველ რიგში, ქვიშეთში გატარებულ დღეებზე), ვიღაც უყვარდა (ვთქვათ, ლიზიკო)... ასე რომ, ჯერ თავიანთი უპირატესობა დაუმტკიცონ, ყველა გზა მოუჭრან, არ დაუტოვონ გადარჩენის არავითარი შანსი და, კი ბატონო, მერე გინდა მართლა ცხვარივით გამოჭრან ყელი, გინდა ტყვია დაახალონ კეფაში, როგორც პაპამისი ექცეოდა "სამშობლოს მოღალატეებსა" და "ხალხის მტრებს". მაგრამ ვიდრე ცოცხალია, ესეც ყველაფერს იღონებს, რათა ერთხელ კიდევ გადარჩეს, იმიტომ კი არა, სიკვდილის რომ ეშინია, არამედ მამას რომ არ შეხვდეს სიკვდილის საუფლოში, სიმძაფრე და სიცხოველე არ დაუკარგოს ერთხელ უკვე განცდილსა და გადატანილს (თუნდაც, წარმოდგენილს), რადგან იქაც, სიკვდილის საუფლოშიც, ისევე მოექცევა მამას, როგორც აქ მოექცა, სამზარეულოში — თავს გაუპობს ცუდით... თავს გაუპობს ცუდით ერთადერთ ადამიანს, რომლისაც სწამდა, რომელიც ეიმედებოდა და რომელსაც სიმბოლოდ თვლიდა საერთოდ ადამიანობისა, ვიდრე იმან ბრანწი არ დაანახვა, აი, შენი რწმენაც, აი, შენი იმედიც და აი, შენი ადამიანობაც... ამიტომ, მისი უკანასკნელი სურვილია, გადარჩეს, ანუ, არასოდეს აღარ შეხვდეს მამას. არადა, ამ ერთი საათის წინ, იმდენად ახლოს იდგა სიკვდილთან, ხვითქივით გადასდიოდა სახეზე მკვდარი მამის სუნიანი, წებოვანი ამონასუნთქი... ახია! მეტის ღირსია! ეგრე მოუხდება! ვიღაცის, მართლა დებილის, წერა-კითხვის უცოდინარის გაუწაფავი ხელით დაჯდაბნილმა აცაბაცა ისრებმა გააბრიყვეს, გაიტყუეს და საკუთარი ფეხით შეაბრძანეს ხაფანგში...

— ეს საიდანღა გაიჩითა, ე?! — გულწრფელად გაუკვირდა ბარმენს.

— მე რა ვიცი. მე რომ მოვედი, ეგ უკვე იჯდა — თქვა ლიდამ.

ხელოვნური, გრძელი წამწამები შავად უბზინავდა. აშკარად ზედმეტი მოსვლოდა საღებავი.

— რა გნებავთ, გენაცვალე? მარტო ხართ? — დაუკვავასავით ბარმენმა ანტონს — კარი ვინ გაუღო? — მიუბრუნდა ლიდას.

— მე არ გამიღია. მე რომ მოვედი, ეგ უკვე მაგიდასთან იჯდა — თქვა ლიდამ.

— კარგი რა, შენი ჭირიმე... — აუქნია ხელი ბარმენმა — ნაღდი შენი კლიენტია, ბოზიშვილივიყო...

— ერთხელაც იტყვი და წავალ... მეყოფა ყოველდღე ერთი და იგივე... — გაბრაზდა ლიდა, მაგრამ ბარმენმა არ აცალა:

— რადიბოგა! ოღონდ, მერე ხვეწნა აღარ დამიწყო — დაეთანხმა და დაემუქრა კიდევ, ერთსა და იმავე დროს.

— მე არავის არაფერს არ ვხვეწები... ასეთ სამსახურს ყველგან ვიშოვნი... აქეთ შემეხვეწებიან — კიდევ უფრო გაგულისდა ლიდა.

— ვსო! მოვრჩით. მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა კლიენტს მიხედე — საქმიანად თქვა ბარმენმა — შეუკვეთეთ, რაც გინდათ — მიუბრუნდა ანტონს.

ანტონმა პირველად მაშინ შეხედა საფუძვლიანად. ოცდაათს ძლივს იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ ბევრად ხნიერად გამოიყურებოდა, ალბათ ნაადრევი სიქაჩლისა და სათვალის გამო. აშკარად მოწადინებული იყო, ზრდილი, თავაზიანი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა "კლიენტზე", მაგრამ ხელოვნური, ნაძალადევი თავაზიანობა კიდევ უფრო მდაბიურსა და არასასიამოვნო ელფერს აძლევდა მის გარეგნობას.

— რა გაქვთ რო? — ჰკითხა ანტონმა აგდებულად.

— ე, როგორ თუ რა გვაქვს... ჩვენ ყველაფერი გვაქვს. შეუკვეთეთ რაც გინდათ და ლიდა ყველაფერს გააჩენს... არა, ლიდა? — დაიმოწმა მელამ კუდი. მაგრამ, მართლაც, მელიის კუდივით გაფუძვლებული ოფიციანტი, რომელიც ალბათ მეძავადაც მუშაობდა შეთავსებით ამ გაუგებარ დაწესებულებაში, ჯერ კიდევ ებუტებოდა. ყოველ შემთხვევაში, აშკარად ყელში ჰქონდა ამოსული თავისი ორივე ხელობა.

— არაფერსაც არ გავაჩენ... მოვრჩი მუშაობას — განაცხადა კუშტად.

— არ გააჩენ და... რას ჰქვია, არ გააჩენ! არ გამომიყვანო, შე ნაბოზვარო, მოთმინებიდან... — მოთმინებიდან გამოვიდა კი არა, გამოვარდა, გამოენტო ბარმენი.

— ეი, მუწუკ... არ გრცხვინია? როგორ ელაპარაკები ქალს... — მშვიდად უთხრა ანტონმა.

ბარმენი მოულოდნელობისაგან გაოგნდა, დამუნჯდა. ანდა, შეგნებულად დაიმუნჯა თავი, დრო რომ მოეგო, სასწრაფოდ აეწონ-დაეწონა შექმნილი სიტუაცია და მერეღა ემოქმედა, სიტუაციიდან გამომდინარე.

— ჯერ ლაპარაკი უნდა ისწავლო და მერე გახსნა ბარი... — გააგრძელა ბარმენის დუმილით გათამამებულმა ანტონმა — აქ უნდა ისწავლოს გამოქლიავებულმა ახალგაზრდამ, რაც სკოლაში ვერ ისწავლა... მობრძანდით. დაბრძანდით. მადლობთ. უკაცრავად. კარგად ბრძანდებოდეთ... არ მიაფსათ მაგიდის ფეხს... არ მიაჭელიტოთ კედელზე სიგარეტის ნამწვავი... ნუ ჩაუფურთხებთ მეზობელს ყავის ფინჯანში...

— შენი საქმე არ არის, ჩვენ რას ვეტყვით ერთმანეთს — გააწყვეტინა ლიდამ. ეტყობა, ტანმა საფრთხე უგრძნო და ხაზგასმული ფამილიარულობით სცადა დაძაბულობის განმუხტვა — თქვი, რა გინდა, რა მოგიტანო? — თან, მარჯვენა ხელის გრძელფრჩხილებიან თითებს, ალბათ მღელვარების დასაფარავად, მაგიდაზე ათამაშებდა, ლამის ანტონის ცხვირწინ, მარცხენა კი, გამომწვევად, შემოედო თეძოზე.

ანტონს, რატომღაც, გული დაწყდა, ეგონა (თავს დააბრალოს!), ოფიციანტს ესიამოვნებოდა მისი გამოქომაგება, მადლიერების გრძნობით განიმსჭვალებოდა მისდამი, მოიგლეჯდა ფოთლისხელა წინსაფარს, სახეში მიაგდებდა სათვალისანი გველივით გაღურსულ ბარმენს და, თუნდაც, მეძავური, ოფიციანტური ღირსებით მიატოვებდა აქაურობას... მასთან ერთად.

— შენს ადგილას, ფრჩხილებსაც შავად შევიღებავდი... დაგხატავს... ერთბაშად გაიზრდება კლიენტურა... მენდუ სიტყვაზე. კარგად ვიცნობ ამ დებილ ქალაქს — თქვა ყალბი გულითადობით.

— სადღაბუცოდ არ მცალია, შენი ჭირიმე, თქვი, რა გნებავს? — აიფხორა ლიდა. თან ფრჩხილებზე დაიხედა უნებურად.

— ორალური სიყვარული — მიახალა ანტონმა მშვიდად, წარბის შეუხრელად.

— რაო? რა მნებავსო? — როგორც იქნა გამოერკვა ბარმენი. საკუთარ ყურებს არ დაუჯერა და ისევ შემობრუნდა, წასასვლელად გამზადებული.

— სისაძაგლეს მეუბნება რაღაცას — დააბუხდა ლიდამ კლიენტი.

— ორალური სიყვარული შეეუკვეთე — უთხრა ანტონმა ბარმენს იმავე სიმშვიდით — თქვენ არ თქვით, რაც გინდოდეთ მოითხოვეთ?!

— შარში ნუ გამხვევ, ძმაო, შენი თავი არა მაქვს — დაიძაბა ბარმენი.

— სროკი მომიხდია, ძმაო, გამიგე რა! — ხმაში აჰყვა ანტონი.

— წადი, მიშას დაუძახე... კენჭოსაც. დროზე ქენი, რას მიყურებ, შე იდიოტო? ორივენი მოვიდნენ ახლავე — უთხრა ბარმენმა ლიდას — ადექი. მორჩა. ვისურებით. აღარ ვმუშაობთ — მკლავში მოკიდა ანტონს ხელი.

— ხელი გამიშვი — თქვა ანტონმა მშვიდად.

ბარმენმა მაშინვე გაუშვა ხელი. ანტონმა ადგომა დააპირა, ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას და სკამიც ფეხით გააჩონა უკან, მაგრამ ამ დროს, ისინიც მოვარდნენ, მიშა და კენჭო, და რა ხდება, რა ამბავიაო, აქოშინებულები დაადგნენ თავზე აქეთ-იქიდან.

— ვინ არის? ფულს არ იხდის? — იკითხა მიშამ.

— შარხუა ვილაცაა... მეძველებიჭება აქ... მინეტი მოთხოვა ლიდას — თქვა ბარმენმა.

— ვაჰ! — გულწრფელად შეიცხადა კენჭომ.

— მერე? გაქვს მაგდენი ფული? — დაინტერესდა მიშა.

— ფული საერთოდ არა მაქვს. დღეს გამოვედი ციხიდან — თქვა ანტონმა.

— ფუფლო ხარ? ესე იგი, ფუფლო ხარ — დაასკვნა კენჭომ.

— ფუფლო კი არა, მკვლელი. გნებავთ, ქიღერი — დააზუსტა ანტონმა.

— გვადადავებს, ბოზიშვილივიყო — თქვა ბარმენმა.

— მეც არა ვთქვი, ვაკელები მოვიდნენ-მეთქი... — თქვა მიშამ.

— რა იცი, რომ იმათი მოგზავნილი არ არის? — აღელდა ბარმენი — ვინ ხარ, ძმაო, რა გინდა? აქ ბარდერი არ არის, აქ ბარია — მიუბრუნდა ანტონს.

— ეს რა ბარია... თქვენ რა, ვიდეოშიც არ გინახავთ ბარი? — ჩაიცინა ანტონმა და დემონსტრაციულად მოატარა ხელი სივრცეში.

მართლაც, იქაურობა ჩვეულებრივ სასააღილოს უფრო გავდა, ვიდრე ღამის ბარს. ერთ კუთხეში იატაკი ოდნავ აქმაღლებინათ და ზედ სკამი დაედგათ, ალბათ მუსიკოსისთვის, მაგრამ ახლა არავინ იჯდა იმ სკამზე — ამერიკული სიგარეტის მოჭმუჭნული კოლოფი დაეგდო ვილაცას ზედ — ხოლო, დარბაზის მეორე ბოლოში, სიგარეტის კვამლის ღრუბელში შეყუჟული სამი ბიჭი და ორი გოგო, ანდა, სამი გოგო და ორი ბიჭი, კიდევ უფრო ამძაფრებდა ისედაც უსიცოცხლოსა და უფერულ გარემოს. საერთოდ არ იდებდნენ ხმას. ალბათ ანაშას ეწეოდნენ და გარინდულნი ელოდებოდნენ მძაფრ შეგრძნებებს. არც გაუგიათ, რაც დარბაზის ამ ბოლოში ხდებოდა.

— კაიფობ, ჯივარ? — უთხრა კენჭომ ანტონს, ცუდად შენიღბული სიბრაზით — ეგრე როგორ შეიძლება... ეგრე არ გამოვა, ძმაო...

— კაიფობ კი არა, ქეიფობ. ქართულად ქეიფია — გაუსწორა ანტონმა, ყურადღება არ მიუქცევია იმის ცუდად შენიღბული სიბრაზისთვის, თითქოს მშობლიური ენის მასწავლებლად მოეწვიათ აქ და პირველ გაკვეთილს უტარებდათ — ბაყაყი წყალში ყიყინებს... კაპიკი გაკაპიკებულა... სარტყელი მივირტყი-მოვირტყი, მორტყმული დავიარები... და კიდევ რამდენი ასეთი მარგალიტი გვაქვს, ღვთის წყალობით. ასე არ არის? მაგრამ თქვენ თუ აღარ მოგწონთ, მე ვინ მსჯის ვითომ... თავი ქვას გისეთქიათ... სხვათაშორის, მართლა ვქეიფობ, ორი დღეა, ქეიფში ვარ, არ გამომწეღდა არაფრით... ასე რომ, მეც თქვენისთანა ნაგავი ვარ... თუ არ გჯერათ, მისუნეთ...

აშკარად, ცუდად იყო ატეხილი, წერას ჰყავდა ატანილი, ცეცხლს ეთამაშებოდა, მაგრამ სიამოვნებდა ცეცხლთან თამაში, გამაბრუებლად, გამომათავებლად, როგორც გამწირავი დედის, ანდა, მოღალატე ცოლის აღერსი...

— გიჟია, ბოზიშვილივიყო — თქვა ბარმენმა.

— წადი, ძმაო, მასტი ნახე — ქურდულად მოუქცია კენჭომ.

— ჩემი მასტი არ არსებობს... ერთი პატიოსანი მკვლელი ვარ, სულს იქით არაფერი მბაბია — თავი მოისაწყლა ანტონმა.

— გეუბნებით, გიჟია — თქვა ბარმენმა.

— ადგე, ადექი! გავიდეთ, გარეთ ვილაპარაკოთ — ხმას აუწია კენჭომ და მკლავზე წაეტანა, უნდოდა ძალით წამოეყენებინა სკამიდან, როგორც მთვრალი, გაჯანჯლებული კლიენტი, მაგრამ ანტონმა დაასწრო, ყველასათვის მოულოდნელი სისწრაფით წამოდგა ფეხზე, გადაყირავებული სკამიც ასევე სწრაფად, უკანმოუხედავად მოიშორა ფეხით, თან პიჯაკის გულის ჯიბეში ხელის ჩაყოფაც მოასწრო და კი არ იყვირა, დაისისინა: ადგილზე გაგათავებთ სამივესო... ეტყობა, ლიდა არ ჩაუგდია სათვალავში, მარტო მამრობითი სქესის წარმომადგენლები იგულისხმა.

— გირჩევთ, სიტყვაზე დამიჯეროთ — დაამატა ცოტა ხნის შემდეგ, უკვე აგდებულად მომდიმარმა.

დაძაბული დუმილი ჩამოვარდა. თითქოს დაცხა კიდევ. ლიდა მოშორებით იდგა და გულხელდაკრეფილი იყურებოდა აქეთკენ. შეღებილი თვალ-წარბი შავად უბზინავდა. გეგონებოდათ, ჩვეულებრივ, მობეზრებულ სანახაობას უყურებს იძულებით და ერთი სული აქვს... არა, პირიქით, სულერთია მისთვის, როდის ან რითი დამთავრდება ეს მორიგი მაიმუნობაო.

— ეს ბაზარი მინდოდა ახლა მე?! — ბარძაყზე ხელი დაირტყა ბარმენმა.

— გვასიაბანდებს — თქვა კენჭომ — ვინ ჭამს მაგას...

— გეუბნებით, მკისრებელია — თქვა ბარმენმა.

— მკისრებელი ვარ... ყველაფრის მკისრებელი ვარ — დაეთანხმა ანტონი — მამასავით, მამის მამასავით, მამის მამის მამასავით... — მარჯვენა ხელი ისევ პიჯაკის გულის ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი.

— ვსო. მოვრჩეთ ბაზარს. თქვი, რა გინდა და წადი შენი გზით — საქმიანად მოუჭრა ბარმენმა.

— შენ ცოტა ვერა ხარ, აი... — ყასიდად მოიღუშა ანტონი — აკი გითხარი, არსად მიმესვლება-მეთქი... პატიოსანი, მკვლეელი კი არა, პოეტი აღარ უნდა არავის... ამის მეტი არაფერი მახადია. ეს არის მთელი ჩემი ავლადიდება — მოაყოლა აუჩქარებლად და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაყოფილ ხელს სურათი ამოაყოლა, ჩვეულებრივი სურათი, ფრიად გავრცელებული საოჯახო ალბომებში: დედ-მამა თავიანთ შვილიკოსთან ერთად. ოჯახის წევრები ოჯახურ გარემოში.

ბარმენმა მტაცებელი ცხოველის სიმარლით გამოსტაცა სურათი ხელიდან. ჯერ ხარბად დააშტერდა, მერე რამდენჯერმე გადაატრიალა წაღმა-უკუღმა, ბოლოს, მგონი, დასუნა კიდევ, მაგრამ მაინც ვერაფერი გაუგო.

— ესენი ვინ არიან? რად გინდა? — ჰკითხა ანტონს დაუფარავი ინტერესით — შენ რა, მართლა მკვლეელი ხარ? ქილერი ხარ? ესენი უნდა დახოცო? — ზედიზედ მიაყარა შეკითხვები, ზედმეტად აღელვებულმა საკუთარი, ჯერ კიდევ დასაზუსტებელი ვარაუდით.

სურათი ორი თითით ეჭირა, წკიპად, თითქოს ეს წუთია გაუმჟღავნებია და აშრობსო.

— მაგათგან ერთი უკვე მოკვალი — უთხრა ანტონმა და ხელი გაიშვირა, სურათის ჩამოსართმევად, მაგრამ ბარმენმა სურათიანი ხელი განზე გასწია.

— მინეტისთვის ხალხს ხოცავ, შეჩემა, არ გრცხვენია? — თქვა კენჭომ.

თვალგაშეშებული, გაფითრებული, სადღაც, ანტონის თავს ზემოთ იყურებოდა, დაძაბულობისგან ყბაჩამოზრდილი და, ეტყობა, ანტონისგან განსხვავებით, ის ნამდვილი იარაღის ტარს ბლუჯავდა ჯიბეში. ვერ გადაეწყვიტა, აჰყოლოდა თუ არა უეცრად გაჩენილ განზრახვას, ანუ, ამოეღო თუ არა იარაღი, რადგან თუკი ამოიდებდა, მერე იძულებული შეიქნებოდა, ეხმარა კიდევ.

ანტონმა ისევ ბარმენს შეხედა, ვითომ ისევ სურათის ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი, მაგრამ, იმავე წამს, კენჭოსკენ შემობრუნდა და მოულოდნელად, ვიდრე ის ყოყმანობდა, მთელი ძალით ხეთქა მუშტი სახეში. კენჭო გადაქანდა, ერთი-ორი არეული ნაბიჯიც გადადგა უკან, მაგრამ არ წაქცეულა. წაქცევით ანტონი წაიქცა, რადგან მიშამ შავად ალაპლაკებული ნაგანის ტარი ჩაარტყა კეფაში... "ადრეც თუ მოგსვლიათ ერთმანეთში უსიამოვნებო" — მაშინვე ჰკითხა გამომძიებელმა და ასანთის კოლოფი ისროლა მაგიდაზე. "მე და ჩემს ცოლსო" — შეუბრუნა კითხვა ამან. "მამა მოკალი შენ თუ ცოლიო" — გაიცინა გამომძიებელმა და — "აგე, ციყვიო" — გაიშვირა თითი. ამან გამომძიებლის თითს თვალი გააყოლა და მართლა დაინახა ციყვი, ოღონდ, ხეზე კი არ იჯდა, ბარმენის უბიდან იჭყიტებოდა. უცებ ცალი თვალი გამოებერა, გამოებერა, გამოებერა და აეროსტატის ხელა რომ გახდა, საზარელი ხმით გასკდა. იმის ღორწოვანი ნაფლეთები თვალებზეც აეკრა ანტონს და იმავე წამს საპირფარეშოში ამოჰყო თავი. ლიდას გარდა, ყველანი იქ იყვნენ. სუნით მიხვდა, სუნითა და განსაკუთრებული, საპირფარეშოსეული სიგრილით. ამქვეყნისა აღარ იყო, ფეხზე ვერ იდგა, მიშას ეკავა უკნიდან, უფრო სწორად, ფეხებწართმეული, ილაჯგაწყვეტილი და მიწაზე ჩვარივით მოთრეული ეკიდა მიშას რკინისებურ მკლავებზე.

— მოწუწუნე, შე დამპალო... ვის ვეუბნები! მოწუწუნე ქართული მომპასი — ეუბნებოდა კენჭო და თვითონვე იცინოდა საკუთარ ხუმრობაზე. — ცოტა ქვევით დაწიე, სიმონ, ხომ ხედავ, ვერ ვწვდები — უთხრა მიშას.

ეს ჯერ ვერ მიხვდა, რას ამბობდა, რაზე იცინოდა, რას აკეთებდა კენჭო, მაგრამ უცებ შემადრწუნებელი სიცხადით იგრძნო, როგორ მოუთათუნა იმან ტუჩებზე ამაზრუნად დონდლო, ნელთბილად აქოთებული ასოს თავი და მაშინვე წამოაზიდა, სისხლიანი ღორბლი ჩამოეწუწა ნიკაპზე.

— ზედ დამარწყია, ამ ჩათლახმა! — იყვირა კენჭომ.

ახლა მიშამ და ბარმენმა გაიცინეს, ერთდროულად, შეხმატკბილებულად, თითქოს მოუთმენლად ელოდებოდნენ ამ რეპლიკას.

— ტყუილად ფაფხურობ და იმიტომ. ხომ ხედავ, არ გიდგება — მოაყოლა სიცილს ბარმენმა.

— რა გხია მაინც ამისთანა — აჰყვა მიშაც — შენ ისა თქვი, სამუდამოდ თუ დაგაკარგვინა კაცობა...

— დედიოქვენისამ, დიახ! აბა, ლიდა შემოვიდეს... მე ამ ბანძზე არ მიდგება — თქვა კენჭომ, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, და იმავე წამს, კიდევ ერთი არაადამიანური ტკივილი ელვისებურად გაიკლაკნა ანტონის შიგანში, ერთდროულად მისწვდა თავისი ცეცხლოვანი საცეცებით გულსაც, ღვიძლსაც, ტვინსაც... და მერე ფერდში, ნეკნებს ქვემოთ გაქვავდა, ეკლის გორგლად ქცეული...

გამომძიებლის კაბინეტის ორივე სარკმელი ყურთამდეა მოღებული, მაგრამ ჰაერი მაინც არ შემოდის. ანტონი ღამის დაიხრჩოს. თანაც, პეპერას ჩაფართხუნებული ფარაჯა აცვია და ბუდიონოვკა ახურავს თავზე. სული ეხუთება. ცოტაც და, დანადმული საათივით იჭექებს მისი გული, ნაფლეთებად იქცევა. "არ დაგავიწყდეს პერეკოპი!" — უყვირის პეპერა. იმან და დიდუდა კლავამ ჩამარხეს ეს მარილში, პერეკოპთან, დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, უფრო სწორად, თავიანთი მკვდარი თესლი შაშხივით შეინახეს მარილში, სამომავლოდ, და მართლაც, მარილის გაქვავებულ ზვირთებში წვეს თითქოს ახლაც, მარილის აკვანში, მარილის არტახებით გაკოჭილი, კანდაშაშრული, ტვინგამომშრალი... ერთი ყლუპი ჰაერი ჩაასუნთქეთ და ყველაფერზე თანახმაა: თბილისსაც აიღებს თავიდან და, თუ გინდათ, ძია ელიზბარსაც მიაყენებს კედელთან, ბიბლიოთეკარ ნიკოლოზსაც, დოსითეოზ ნეკრესელსაც, ძუძუებდაგლეჯილ დედოფალსაც და თავმოკვეთილ მეფესაც... სარკმლიდან, ჰაერის მაგივრად, მოახლოვებული დემონსტრაციის გაურკვეველი და შემაშფოთებელი ხმები შემოდის. გამომძიებელი იძაბება, მაგიდაზე სასროლად მომზადებული ასანთის კოლოფი ხელში უშეშდება. ხან ანტონს შეხედავს გამომცდელად, ხან სარკმელს. ანტონსა და დემონსტრაციას შორის ფარულად არსებულ კავშირის დადგენას ცდილობს. ძველი ჩეკისტია, გამოქვეყილი, შებერტყილი. მაგრამ ანტონს აღარაფერი აკავშირებს დემონსტრაციასთან. "გაადეთ სარკმელი! — ყვირის გუნებაში — ვიხრჩობი..." მართლა იხრჩობა, თუმცა, სარკმელი ღიაა. სასულე აქვს გადაკეტილი. მისი ჯალათები კი, აქ ხითხითებენ, ღამის ბარის საპირფარეშოში...

— ნაღდი ქიღერია. თუ გინდა, სანადგო — თქვა ბარმენმა და კენჭო გვერდით გასწია. კენჭო არ გასძალიანებია. ვინ იცის, გაუხარდა კიდევ. მაგრამ მაინც ნელ-ნელა, ვითომ უხალისოდ, ვითომ იძულებით იკრავდა შარვალს — ესენი ვინ არიან? — თავზე დაჰყვირა ბარმენმა ანტონს და სურათი ცხვირწინ აუტარ-ჩაუტარა რამდენჯერმე. დემონსტრაცია კი, წამი-წამ ახლოვდება. დემონსტრაციას მუშლის ღრუბელი დასტრიალებს თავზე, რაც უკვე ჩვეულებრივი სანახაობაა თბილისისთვის. ხალხი გაბეზრებულია მუშლთან უაზრო ბრძოლით. ძლივს მოშორებულთა ადგილს იოლად მოვლენილნი იკავენ. ანტონის ადგილს ვინ დაიკავენ? ანტონის ადგილი რახანია დაკავებულია. ლუდოვიკო ბოლონიელის ჩამოსვლამდე. ანტონს ადგილი არა აქვს. საერთოდ, არაფერს არ წარმოადგენს, ჰაერის ბუშტია, გენეტიკური უაზრობა, ანაქრონიზმი... კი მაგრამ, მამა თუ არ მოუკლავს, რას მორბოდა, მაინცდამაინც, მილიციაში და რატომ არ მივიდა, ვოქვათ, გერმანიის საელჩოში?! დამიცავით, გთხოვთ, მშობლიური აგრესიისგან... როგორ, თქვე-ე-ენც? მამათქვენის შვი-ი-ლი? დიიიას, ჩეე-ე-ენც, მამიჩვენის შვილი! ნუ გჯერათ ფერისცვალებისა! რამდენჯერაც დასჭირდება, იმდენჯერ იცვლის ფერს და რამდენჯერაც არ უნდა იცვალოს ფერი, მაინც ის დარჩება, რაც არის. "ვიხრჩობი... დავიხრჩვი... ბუდიონოვკა მაინც მომხადეთ, თქვე არაკაცებო" — ყვირის, იგინება გუნებაში, სასულეგადაკეტილი...

— მგონი, რაღაცას გეუბნება — მხარი წაკრა კენჭომ ბარმენს.

— რაო? არ მესმის. გარკვევით თქვი! — ჯერ ყურში ჩაჰყვირა ბარმენმა ანტონს და მერე თვითონ მიუტანა ყური პირთან.

ანტონს უნდოდა ეთქვა, გამახსენდი, გიცანი, ვიცი, ვინცა ხარო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, სასაცილოდ ჩლიფინებდა, ტუნებგადმობრუნებული, და ღორბლის შესეფებს აფრქვევდა მსოლოდ.

"თქვენი დედა..." — ყველას ერთად აგინებს გუნებაში, ვინც მის დაცემას შეუწყო ხელი, ვინც ამ აქოთებულ საპირფარეშოში მიიყვანა მისი ცხოვრება. ფუტკრის ბზუილი ზღვის დაგუბებულ გუგუნში გადადის თანდათან. უფრო და უფრო იმუხტება, იძაბება ჰაერი. სარკმლის მინები შემაწუხებლად წკრიალებენ, თითქოს მიწა იძრაო. გამომძიებელს ცალი ყური ქუჩისკენა აქვს, ძალიან აინტერესებს, რა ხდება გარეთ, კიდევ რა "ფოკუსს" უნდა ელოდეს ქუჩისგან. გული უგრძობს, რაღაც კავშირი მართლა არსებობს თვითმარქვია მკვლელსა და ფეხებზემკიდია დემონსტრაციას შორის. ამ გოიმს ჰგონია, შენობის წართმევას უპირებენ. მაგრამ რაღაც კავშირი ნამდვილად რომ არსებობს ანტონსა და მოახლოებულ დემონსტრაციას შორის, ამას ანტონიც გრძნობს. გრძნობს კი არა, თავს დადებს. დაძაბული ელოდება, როდის ახრიალდება მეგაფონი, და აი, ისიც! "თავისუფლება სინდისის პატიმარს" — ხრიალებს, ხიხინებს, იხრინწება მეგაფონი. ანტონი ლამის წამოვარდეს სკამიდან, მაგრამ ვერ განძრეულა, დაჭედილია სკამზე. "ლიზიკოს ხმაა... ლიზიკოა" — უხარია ანტონს. როგორც არ უნდა დაამახინჯოს, გააუხეშოს მეგაფონმა, მაშინვე იცნობს ამ ხმას და ყოველთვის ასე გაუხარდება, როგორც გაბრაზებულიც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა ეჯავრებოდეს თავად ლიზიკო. ცელის ხმისა არ იყოს, ეს ხმაც მისი საკუთრებაა, მისი საიდუმლო საგანძურის ერთ-ერთი უძვირფასესი ექსპონატი. მაგრამ ვიდრე მეგაფონი ხრიალებს, ხიხინებს, იხრინწება და ფილტვის ნაფლეთებივით ისერის გაუაზრებელ სიტყვებს — "თავისუფლება", "სინდისი", "პატიმარი" — გამომძიებელი ისევ გამომცდელად უყურებს ანტონს, არ ჯერა, არ შეუძლია დაიჯეროს, ამხელა სპექტაკლი, მხოლოდ და მხოლოდ, ადამიანური სიმარტოვის, ადამიანური უმწეობისა და უიმედობის დემონსტრაციაა და მეტი არაფერი...

— ვინ არიან-მეთქი, არ გესმის?! — ისევ დაჰყვირა თავზე ბარმენმა.

"ვინ არიან? რომელი პარტიაა?" — ეკითხება გამომძიებელიც. "ჩემი ცოლია... ლიზიკოა... ლიზიკო ჩემი ცოლია" — ჩლიფინებს ეს გუნებაში. "აღე, აღე, წავიდეთ. კარგი პურ-მარილი გველოდება... მე რომ მაგათი ამბავი ვიცი, დილამდე აღარ გაათავებენ..." — ამბობს გამომძიებელი და ასანთის კოლოფს მაგიდისკენ ისერის...

— ხედავ ამ სურათს? ხედავ? თავზე დაგახევე, იცოდე! — ბრაზდება ბარმენი.

"მტკიცედ სდექ! შაოსნები უკვე მოდიან.. ღვინის პირველი ქარხნის მუშებიც ჩვენთან არიან" — ხრიალებს, ხიხინებს მეგაფონი. "თავისუფალ საქართველოს გაუმარ... თავისუფალ საქართველოს გაუმარ...ჯოს. ჯოს. ჯოს." — ღრიალებს ქუჩა. "რა გინდა მანდ, შე დებილო, ახლავე გამოეთრიე გარეთ" — ისევ ხრიალებს, ისევ ხიხინებს, ისევ იხრინწება მეგაფონი...

— რომელი მოკალი? კაცი? ქალი? ბავშვი? — თავზე დაჰყვირა ანტონს ბარმენმა.

რა თქმა უნდა, ბავშვი. ბავშვი მოკლა ანტონმა. თავისი დამარილებული ბავშვობა. მკვლელი კი არა, თვითმკვლელია, უფრო სწორად, აღარაფერი არ არის. ხმელი ფოთოლივით აგდია გამომძიებლის გვერდით, გამომძიებლის საკმაოდ შელახულ ფიატში, და კრწანისისკენ მიისწრაფის, სახელგანთქმული დუქნისკენ, ოღონდ, განთავისუფლების აღსანიშნავად კი არა, საკუთარ ქელეხზე. აღარც თავს ეკუთვნის, აღარც მამას, აღარც ცოლს და აღარც არავის... მისი დღე დაილია. მგზავრით, გინდაც პატიმარით, კი არ ზის მანქანის სავარძელზე, ხეს მომწყდარი და ქარის შემოგდებულ ფოთოლივით აგდია. მანქანა კი, ზედიზედ ეზანყება თითქოს საგანგებოდ მის გასამწარებლად გაჩენილ ღრმულებსა და ორმოებში და, მიუხედავად ამ სერიოზული დაბრკოლებისა, მაინც ახერხებს სივრცეში გადაადგილებას. აი, გასცდა მეტეხის ხიდს, ჭრელ აბანოებს, ბალნეოლოგიურს, თათრების საჩაიეს, დაჩოქილ ფიროსმანს... "არც ეგ არ დგას თავის ადგილზეო" — ნიშნის მოგებით ეკითხება გამომძიებელი. რა თქმა უნდა, არ დგას, მაგრამ ანტონს ფეხებზე კიდია ყველაფერი. "თავი ქვას უხეთქია ყველას... თავი ქვას უხეთქია ყველას... ამ ჩემს ფეხებს..." — ხრიალებს გაგუდული, მიშას ხელებზე დაკიდული, როგორც დაკვლილი ხბო რკინის კაუჭებზე... მაგრამ, მისთვისაც მოულოდნელად, სურათზე აღბეჭდილმა ათი წლის ანტონმა უმცროს ძმასავით შემოხედა უცებ, არ ვიცი, საყვედურით, არ ვიცი, თანაგრძნობით, და ისიც სურათს წაეტანა უნებურად... არაფერი აქვს იმ სურათზე ძვირფასი, გასაფრთხილებელი. იმ სურათის წყალობით, მთელი ოჯახი ერთად იხდიდა სასჯელს, ერთი და იგივე მოტივით, ერთსა და იმავე საკანში. უფრო მეტიც, ერთსა და იმავე ნარზე, მართალია, სიმბოლურად, მაგრამ სამართლიანად, თუნდაც მხოლოდ ანტონის თვალსაზრისით. ოჯახმა შვა თავის წიაღში არა მარტო უინი მკვლელობისა, არამედ — საბაბიც, წამქეხებელიც, აღმსრულებელიც და... მსხვერპლიც. არც არაფერი უსესხია, არც არაფერი შეუძენია. ყველაფერი თვითონ "აწარმოა", წლების მანძილზე, საგვარეულო დამდით, რადგან ამ მიზნით იყო საერთოდ მოვლენილი გოდრიდან... ეს ევალებოდა: ოჯახური მასშტაბით წარმოდგენა მომავალი მსოფლიო მასშტაბის კატასტროფისა, კაცობრიობის ხვალისდელი დღისა, კაშელების დინასტიის თავდაუზოგავი და თითქმის საუკუნოვანი მოღვაწეობის კანონზომიერი შედეგისა... მილიციაში გული უსკდებოდა, ვაითუ, აღარ დამიბრუნონ სურათით, და, ნეტავ, მართლა არ დაებრუნებინათ — იქ უფრო გადარჩებოდა — იდებოდა თავისთვის მტერიან საქალაქში, სხვა მირიად გაუხსნელ საქმესთან ერთად... "პირველად ვნახე, კაცი ჯიბით ატარებდეს მშობლების სურათს და თან ცუდით დასდევდეს მოსაკლავადო" — თქვა მაშინ გამომძიებელმა და ეს იყო ერთადერთი სწორი დასკვნა, რაც კი იმან საერთოდ გამოიტანა "კაშელების საქმიდან". დიახაც, სიყვარულის გამო მოკლა, სიყვარულისთვის და სიყვარულით. ცოლი კი არა, მამა. მიზეზი კი არა, მიზანი. ცოლი მკვლელობის საბაბის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მხოლოდ და, გარკვეული თვალსაზრისით, ისიც მსხვერპლია. ამდენად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტულად ვინ იქნება ის, ლიზიკო, ნინიკო თუ ანანო... აბსტრაქტული ცნებაა და, აქედან გამომდინარე, სხვაც ბევრი ვინმე შეიძლება ყოფილიყო ანტონის ცოლი. მართლაც, რა განსხვავებაა, რომელი მათგანი გამოგლვჯს ხელიდან შამპანურით სავსე ჭიქას, გაცნობისთანავე, და სანაცვლოდ თავისას, უკვე ფსკერამდე პირწმინდად ამოწოვილს, მოგაჩეჩებს... რომელი მათგანი არ გკითხავს სახელს, ზრდილობისთვის მაინც, და რომელი მათგანი დაგიმტკიცებს უცვარსა და ყველაფრის გამასწორებელ სიყვარულს მაშინვე, იქვე, იქვე თუ არა, მეორე ოთახში მაინც, ანდა, სადარბაზოში, გარაუქებს უკან, მანქანაში, ხის ძირას, ბუჩქებში... სულერთია, სად, ყველგან, სადაც ამურის საკმაოდ დაბლაგვებული ისარი დაეწევა და ღრობით გათიშავს, გააბრუებს, როგორც საშიშსა და ძნელად მოსათვინიერებელ მტაცებელ ცხოველებს აბრუებენ და თიშავენ მეცნიერები, სავალდებულო გამოკვლევისა თუ აუცილებელი მკურნალობის ჩასატარებლად... მამა კი, მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც არის, ვინც გაჩენამდე შენს მამადაა ჩაფიქრებული ღმერთისგან და სიკვდილის მერეც შენს მამად დარჩება, გინდა თუ არა შენ, გსიამოვნებს თუ არ გსიამოვნებს. რაც მთავარია, ცოლის დალატს, ასე თუ ისე, მაინც შეიძლება მოუნახოს გამართლება და, ადრე თუ გვიან, მაინც შეეგუოს

კაცი. ეშმაკიც ვერ დათვლის, რამდენი კდემამოსილი ქალბატონი დალატობს ქმარს, თუნდაც, ამ წუთას, ვიდრე ამას ასე ორალურად აუპატიურებენ საპირფარეშოში. ცოლი დალატისთვის არის შექმნილი და ძირითადად ჩვენვე, ქმრები, ვაიძულებთ ამ ნაბიჯის გადადგმას. დალატი კი არ უკვირთ ცოლისგან, არამედ ერთგულება, რადგან ნებისმიერი ქმარი ნებისმიერი ცოლისთვის ბუნებრივი დაბრკოლებაა, რადგანაში ხელისშემშლელი და, ძალაუნებურად, ყველა ცოლი ცდილობს და, ბოლოს და ბოლოს, ყველა ცოლი ახერხებს ამ დაბრკოლების გადალახვას, ვინ შფოთითა და აყალმაყალით, ვინ მშვიდად და უხმაუროდ... მაგრამ როცა მამა გიდალატებს, აბუნად აგივდებს, არათუ გაპატიებს, პირიქით, შენს დასაკინებლად, შენს გასაბითურებლად გამოიყენებს, ვთქვათ, შენს სისუსტესა და უასაკობას, ანდა, რამე ფიზიკურ ნაკლს (მით უფრო რომ, თავად შეგქმნა ასეთი ნაკიანი), არათუ შვილად გაღიარებს, საერთოდ არაფრად ჩაგაგდებს, თუნდაც, როგორც სულიერ არსებას, რომელიც ხედავს, გრძნობს, განიცდის და რომელსაც, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გარემოში, რა მაგალითებით გაზრდი, შეუძლია, დაუფიქრებლად დადოს შენთვის თავი და ასევე დაუფიქრებლად გაგიპოს თავი ცუდით — ამის გაგება და, მით უფრო, ამასთან შეგუება, არამარტო ძნელია, დაუშვებელიცაა, დალატი მთელი კაცობრიობის წინაშე, რამდენადაც ყველაფერი მოდის მამისგან, და არავინ იცის ძე, გარდა მამისა, და არავინ იცის მამა, გარდა ძისა! ეს უკვე კატასტროფაა, აპოკალიფსი, სამყაროს ბოლო დღე, არმაგედონი... მამა უარყოფს შვილს, შვილი კლავს მამას. წრე იკვრება. ხაფანგი იხურება და გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, უპაერო სივრცეში გამოძვვლეული, ამოდ აბჩენს პირს, ამოდ დაეძებს გამოსავალს გარდუვალი და სამართლიანი აღსასრულიდან. მამის მკვლეელი სწორედაც საპირფარეშოში უნდა მოიკლას და სწორედაც რომ ვიგინდარის ხელით... ეგეც შენ! ახია! ყლაპე საკუთარი სისხლი... როცა შენმა დიდმა პეპერამ, "გოდრის გაგდებულმა", როგორც რძალი ეძახდა, ინტერნაციონალური ოჯახის შესაქმნელად რუსეთს მიაშურა, მაშინ ჩაეყარა საფუძველი შენს დღევანდელ სავალალო არსებობას, არაფრისგან არაფრისთვის გამომდინარეს, ოლონდ, შენზე გაცილებით ძლიერისა და მნიშვნელოვანის დამაგვირგვინებლად მოვლენილს. შენ გაზის უკანასკნელი ბუშტულა ხარ მხოლოდ, თავისთავად გამოყოფილი თქვენი საერთო-საგვარეულო, ოლონდ, უკვე მკვდარი ორგანიზმიდან, ერთს საცოდავად ამოიფშვენ და უკვადოდ გაქრები, განქარდები ჰაერში... ჰაერსაც ვერ გააფუჭებ წესიერად, ერთი ნაბიჯის რადიუსით...

გამწარებულმა გაიბრძოლა მთელი თავისი ავლადიდების (სურათის) დასაბრუნებლად, მაგრამ უშედეგოდ. უმწეოა, როგორც დაკლული, გამოშიგნული, გატყავეებული და მთელი ბაზრის დასანახად, რკინის კაუჭებზე ჩამოკიდული ხბო. სამაგიეროდ, იმ სურათზე აღბეჭდილი სახეებიცა და გარემოც პირველყოფილი სიცხადით უდგას თვალწინ. თვითონ მკვდარი კია, მაგრამ ის დრო და ის ხალხი ჩვეულებისამებრ აგრძელებს ცხოვრებას მისი ტვინის მკვდარ უჯრედებში, მისი მახსოვრობის დარბეულ, დანაგვიანებულ სცენაზე...

ზაფხულია (მაშინაც). ქვიშხეთში არიან, კაშელების აგარაკზე, პომპეზურად პირქუშსა თუ პირქუშად პომპეზურ სახლში, რომლის ბადალიც არაფერი ეგულება ამ ქვეყანაზე. თბილისშიც სიგიჟემდე მონატრებია იქ ჩაბუდებული სუნები, ხმები, უცნაური ლანდები... ეს კი, უტყუარი ნიშანია სიყვარულისა. ასევე უყვარს იქაური შინაყმებიც, ტასო ძალო და მისი შვილი (უკანონო), გრიგორი, დიდყურა გრიგოლა, განუსაზღვრელი ვადით დაქირავებულნი სახლის მოსაველედად... მაგრამ ჯერ ამდენი არ ესმის, ჯერ მხოლოდ ათი წლისაა. ივნისის მიწურული, ანდა ივლისის დასაწყისია. ცაცხვი ყვავის. მაგრამ ოქრო ჯერ არ გადასხმია მწვანე გუმბათზე. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ დაჰკრავს ჰაერს ჩინური იასამნის მძაფრი, მოტკბო სურნელი. თავად ჩინური იასამანი სურათზე არა ჩანს, ის ცოტა უფრო ქვემოთ დგას, ეხოს ბოლოში, მსახურების ჩემჩისკენ მიმავალ ბილიკზე. ასე რომ, ჩემმაში მიმავლებმა, ძალაუნებურად, ორჯერ უნდა მოიდრიკონ ქედი მის წინაშე, იქითობას და აქეთობას. სამაგიეროდ, შხაპი აღარ დაჭირდებათ, როგორც შელეხნი ამბობს, ისედაც თავფეხიანად იწუწებიან "ნატურალნი დუხით". არ ჩანან ფუტკრებიც, მაგრამ სურათიდან აშკარად ისმის მათი მთვრალი, გაუთავებელი ბზუილი. სხვათაშორის, არ ჩანს შელეხნიც — გამაკში ისვენებს — არ ჩანს დიდყურა გრიგოლაც — ამ სურათს იღებს — და არ ჩანს ჭროლათვალება, ტუნჩიკაპდანაოჭებული, მაგრამ უფროსების გადმოცემით, ოდესღაც ლამაზი ტასო ძალო, მათი დიასახლისი (სინამდვილეში, მოახლე), მაგრამ ანტონი მაინც ხედავს, ქათმის საკენკით კალთადაპძიმებულს, ერთი წუთით შეეყოვნებულს შვილის ზურგს უკან. იქ შეჩერდა საქათმისკენ მიმავალი, ხელი არ შეუშალა შვილს ფოტოგრაფობაში და — "ნეტაი, მართლა იცოდე რამეო" — დასცინის ყასიდად, შეფარული, მონური სიამაყით. მამა მაისურის ამარა დგას დედის უკან. მსხვილი, ბანჯგელიანი მკლავები სკამის საზურგეზე დაუბჯენია. სკამზე დედა ზის, სადად თმადავარცხნილი. ჩითის უბრალო, საშინაო კაბა აცვია და ყალბი მარგალიტების განწყურელი მძივი და საყურე უკეთია. დედის ფერხთით, მიწაზე, დაპობილი შეშა ყრია. მამამ დააპო წელან. ქვიშხეთის ბაზარში ნაყიდი ცული გამოსცადა. "ცული ეს ყოფილაო" — თქვა ბავშვურად აღტაცებულმა ახალი შენაძენით. მოკლეტარიანი ბასრი ცული ბებერ კუნძშია ჩასობილი. ეს ცულის ტარს ჩაფრენია და ამოდ ცდილობს მის ამოდრობას ბებერი კუნძიდან. ათი წლისაა ჯერ. მაგრამ ცამეტი წლის მერე, ზუსტად ამ ცულით მოკლავს საკუთარ მამას და ერთადერთი, რაც მკვლელობის შემდეგ სიამოვნებით გაახსენდება თავისი ოცდასამწლიანი ცხოვრებიდან — აშშორებული აუზის კიდეზე გადაწოლილსა თუ აყალო მიწაში გათხრილი სანგრის მარად ნოტიო ფსკერზე ჩამჯდარს — სწორედ ეს დღე იქნება, აყვავებული ცაცხვითა თუ გადაყვავებული ჩინური იასამნით, აზუზუნებული ფუტკრებითა თუ დაპობილი შეშით, დედის ყალბი მარგალიტების ბრჭყვიალითა თუ ბებერ კუნძში მამის ღონიერი ხელით თითქოს სამარადისოდ ჩასობილი ცულით, რომლითაც ცამეტი წლის მერე, დაუფიქრებლად გაუპობს მამას თავს "ეჭვიანობის ნიადაგზე", როგორც საგამომძიებლო ოქმში ჩაიწერება, უფრო სწორად, ვერ ჩაიწერება, საქმის აღსაძერგლად არასაკმარისი სამხილების გამო. მაგრამ ამისთვის ერთნაირად სულერთია, რას წერენ და რას ვერ წერენ მასთან და მის ოჯახთან დაკავშირებით, რადგან მაინც არავენ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, თუ რა ენით უთქმელ ნეტარებას განიცდიდა, რა ბედნიერი იყო ბებერ კუნძში ჩასობილი ცულის ტარს ჩაფრენილი ათი წლის ბიჭი, თუნდაც, იმ ერთი, მხოლოდ სურათის გადასაღებად საკმარისი წამის განმავლობაში...

და აი, მისი ერთწამიანი ცხოვრება, გნებავთ, ერთადერთი ნათელი წამი მთელ მის ცხოვრებაში, სასწაულად გადარჩენილი, კაშმელისთვის შეუფერებელი დაუდევრობისა და უყურადღებობის გამო, ამოყურყუმალაგებული სიბნელის, სიბინძურის, სიძულვილის ჭაობიდან, ანდა, სულელ იასავით, მისთვის ყველაზე შეუფერებელ ადგილზე ამოსული, ახლა ვიღაც ახვარს, სახელდახელოდ გაბიზნესებულ საბჭოთა საქმოსანს, ეგრეთწოდებულ "დელეცს", თვითმარქვია რევოლუციონერს, სოციალისტური უძრაობიდან ეროვნულ მოძრაობაში გადმოცოცებულ პარაზიტს, უწიგნურ დემოკრატს, მოწოდებით ბრაკონიერს, ციყვთა შემმუსვრელს უჭირავს ხელში და ამას, გასასკდომად გამზადებულ გაზის ბუმბულას, არათუ ვერ წაურთმევია, ვერ დაუბრუნებია მისი კანონიერი საკუთრება, იმის თავიც არა აქვს, დაუწოქოს, ბოდიში მოუხადოს, პატიება თხოვოს, შეევედროს, ბოლოს და ბოლოს, მოწუწუნოს, რის მოწუწუნასაც დაავალდებენ, ოღონდ, დაანებონ, რის გარეშეც მართლა გაზის ბუმბულადა იქნება ეს და რასთანაც არაფერი ესაქმებათ იმათ...

— რომლის მოკვლა დაგავალდეს? კაცის? ქალის? ბავშვის? რამდენი აიღე? — ისევ ჩასძახებს ყურში ბარმენი და, მოთმინებიდან გამოსული, სურათს სახეზე მიატმუჭნის, რასაკვირველია, ყველაფრიანად, რაც ზედაა აღბეჭდილი.

ის სურათი ახლა საპირფარეშოს იატაკზე აგდია, აქა-იქ თეთრად გადამსკდარი, და სველ, ბინძურ ფილაქანზე ნელა, ფიჭვის კევის სიზანტით წვეთავს იქიდან ერთმანეთში ახელილი, ფაფადქცეული ქვიშხეთური მზე, მთვრალი ფუტკრები, ჩინური იასამანი, აყვავებული ცაცხვი, ღონიერი მამა, ლამაზი დედა, ყალბი მარგალიტებიანად, და, რასაკვირველია, თვითონაც, ცულიანად. ცულის ლაპლაპა პირზეა მიგლესილი, მამის სისხლივით. "არა! არა!" — ყვირის, ღრიალებს მთელი მისი არსება, მაგრამ ხმის ნაცვლად, ისევ სისხლიანი დორბლი გადმოსდის პირიდან. თუმცა, სასწაულად, ხმაც რომ დაუბრუნდეს და ლაპარაკის უნარიც, ალბათ მაინც ვერ გააგებინებს იმათ, თუ რას ნიშნავს მისთვის ეს სურათი. ვერაფრით შეაგებინებს, რადგან ისინი, მისგან განსხვავებით, თავს უბედურებად არ თვლიან, არ იციან, უბედურები რომ არიან. არასოდეს ჰქონიათ და, ეტყობა, არც არასოდეს ექნებათ ასეთი სურათი — რეჟიმის ყურმოჭრილ მსახურთა დაუდევრობისა და წამიერი სისუსტის შედეგი — ვერცერთ დღეს ვერ დაიმასხოვრებენ თავიანთი ცხოვრებიდან, როცა ისეთები არ იყვნენ, როგორებიც ყოველთვის არიან, ანდა, როგორებიც შეიძლება ყოფილიყვნენ, თუკი სხვანაირად, უკეთესად, სულაც ბუნებრივად წარიმართებოდა მათი ცხოვრება, თუკი ანტონის მამა-პაპა ყველაფერს არ იღონებდა მათ დასასახიჩრებლად, დასასაჭურისებლად, დასამდაბლებლად... ციხეში ამბობენ, ბედნიერია, ვინც ბედნიერების ფასი არ იცისო. მათ არ იციან ბედნიერების ფასი, რაკი არასოდეს განუცდიათ და, ამიტომ, ერთ ბედნიერ დღეს (რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეუნარჩუნებდათ უფლებას, ადამიანებად ჩაეთვალიათ თავი), უთვალავი, მირიადი, ერთნაირად ბნელი, ბინძური, უსინათლო, უჰაერო, უწესო, უდათო, უთარილო დღე ურჩევნიათ, რათა უგულოდ, უინტერესოდ და აუღელვებლად აკეთონ მარად, რასაც აკეთებენ და უსიყვარულოდ, უპასუხისმგებლოდ მოკლან, ვისაც მოკლავენ... ამას კი, ჯერ კიდევ ათი წლისას უყვარდა და ჯერ კიდევ ათი წლისა გრძობდა პასუხისმგებლობას ყველაფრისთვის, რასაც მომავალში ჩაიდენდა. ყოველ შემთხვევაში, თუკი ვინმესი რცხვენია, იმდროინდელი ღიზიკოსი რცხვენია სწორედ და ამის ბრალია ალბათ, ახლაც, ამ აქოთებულ საპირფარეშოშიც, იმდროინდელი ღიზიკო რომ უდგას თვაღწინ — გვერდზე თავგადახრილი და ცალთვალმოჭუტული შემოსცქერის, თვალებზე ჩამოშლილ თმას სულის შებერვით იშორებს წარამარა და დამცინავად იღიმება. მზემოკიდებული სახე ოფლით დანამეია — ალბათ მორბოდა, გასაჭირში ჩავარდნილ მეგობრის საშველად და, ვინ იცის, რაღა არ წარმოიდგინა, ვიდრე საკუთარი თვალით იხილავდა გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს. მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და, რაკი ანტონის საშველი ნამდვილად აღარ არსებობს, ისიც დამცინავად მომღიმარი შესცქერის თავისი მეგობრის სამარცხვინო აღსასრულს. პაჭუა ცხვირსა და ოქროსფრად შედინლულ ზედა ტუჩზე ჭორფლი მოსდებია, მკერდი ჯერ ისევ ბიჭისა აქვს, მაგრამ ძუძუები უკვე შეშუპებია ოდნავ, რასაც ალბათ არც მიაქცევდა ანტონი ყურადღებას, მამამისსაც რომ არ აღენიშნა უფრო ადრე, რამაც, ცოტა არ იყოს, დააფრთხო, თითქოს ღიზიკოსთვის (და ამდენად, მისთვისაც), მეტად არასასიამოვნო, მეტად სახიფათო ამბავი შეეცყო მამისგან... მაგრამ სწორედ ამ დროს, ვიღაცამ ბრაზიანად მოაკაკუნა საპირფარეშოს კარზე. "რომელი ხარო" — ფრთხილად, დაძაბულად იკითხა ბარმენმა. "დროზე გამოდით, მოვიდნენო" — კარს იქიდან დაიძახა ღიღამ. "მოვიდვართ, მოვიდვართო" — აჩქარდა ბარმენი და ანტონმაც იგრძნო, როგორ ერთბაშად გაუშვა მიშამ მარწუხებივით ხელები. მაშინვე, გამსკდარი ტიკივით, ჩაიფუშა, ჩაილია, ჩაიქცა საპირფარეშოს სველ იატაკზე. ისინი კი, აჩოქოლებულნი გაცვივდნენ საპირფარეშოდან და კარი გარედან გადაკეტეს. ანტონიც, თითქოს იქამდე თავს იმკვდარუნებდაო, სხარტად წამოვარდა ფეხზე, დაჭმუჭნულ სურათს დასტაცა ხელი, ისევ პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიტენა და გაფოთებული მიაწყდა სარკმელს. როგორც იქნა გააღო და მთელი ტანით გადაეკიდა რაფაზე, თითქოს უნდა არწყოსო, თითქოს ძლივს ჩაწყნარებულმა გულისრევამ ისევ წამოუარაო. სინამდვილეში კი, იმის დაზუსტება სცადა, თუ რომელი სართულიდან აპირებდა გადახტომას. ხომ შეიძლებაო, მიწამდე არც დაჰყოლოდა სული?! მაგრამ სიბნელის გამო ვერაფერი დაინახა. შავმა, შეუვალმა სიცარიელემ უნებურად შეაყოვნა, მაგრამ

ახლა ყოყმანისა და მარჩიელობის დრო ნამდვილად არ იყო. სხვა გზა არ ჰქონდა და საერთოდ არ არსებობდა "სხვა გზა". ყველა ადამიანი თავისი საკუთარი, ერთადერთი, განუმეორებელი გზით იბადება და თავცოცხალი ვერ გადაუხვევს იმ გზიდან. ამდენი უკვე იცოდა. ესეც ციხეში შექმნილი ცოდნა გახლდათ და გადამოწმებას არ საჭიროებდა. რის ვაივაგლახით შემოჯდა რაფაზე და ფეხები შავსა და შეუვალ სიცარიელეში გადაიტანა. მერე, რატომღაც, თვალები დახუჭა და ასე თვალდახუჭული, ბრმად გადახტა კიდევ უფრო დიდ სიბნელეში. მაგრამ თითქმის მაშინვე, შავი, შეუვალი სიცარიელე მტკივნეულად, გამოოგნებელი სიმკვრივითა და სიუხეშით დაეძგერა ქვემოდან, მკერდსა და სახეში, და ისიც, ისევ ბრმად, ისევ უნებურად, ისევ ალაღბებზე ჩაებლაუჭა ამ გამოოგნებელ, მიუდგომელ, ხორკლიანსა და მტკივნეულ სიმკვრივეს, ანუ, სიბნელეში გაუჩინარებულ ტოტს, და არანაკლებ შემფოთებულმა, არანაკლებ აფორიაქებულმა ტოტმა ჯერ შხუილით ჩაფხრიწა წყვდიადი, რასაკვირველია, ანტონთან ერთად, მერე კი, რამდენჯერმე დაიქნია გაფოფრილი ბოლო, თითქოს მოულოდნელად გამომტყვრალი ტვირთის მოსაშორებლად, მაგრამ ამდენს ვეღარ გაუძლო, ჭახანით გადატყდა წელში და საკუთარ ქერქზე ჩამოკონწიალებული, ტვირთიანად მიეხეთქა ხის უგრძნობელ ტანს...

არარსებობს, არყოფნის სულისშემსუთავება, დამაფრთხობელმა შეგრძნებამ ერთბაშად გამოაღვიძა და, საწოლში წამომჯდარი, დაფეთებული ათვალეიერებს იქაურობას. უკვე გათენებულა. რაც მთავარია, ყველაფერი ადგილზეა, ყველაფერი ისეა, როგორც დატოვა. ცოლიც გვერდით უწევს, ზურგშექცეული. იმის შიშველი ზურგი ჩახურებული თონის კედელივით ვარვარებს... ანტონს სიამოვნებს ამ სიმსურვალეში ჩაწვა და ჩაფერფლება... უკვე მთელი თვეა, მისი კანონიერი მეუღლეა ლიზიკო. აქ, თავიანთ საყვარელ ქვიშხეთში ატარებენ თავლობის თვეს. ატარებენ კი არა, გაატარეს და ეგაა — ყოველ წუთას მოსალოდნელია, მამამ ჩამოაკითხოს და წაიყვანოს თბილისში. იმისთვის ჯერ ისევ პატარები არიან, ჯერ ისევ ხელით შესანახები... ისინიც მოუთმენლად ელოდებიან პატრონს. ლიზიკო ქმარზე წინ მიხტის ლოდიდან ლოდზე, წარსულის დახაესებულ ნანგრევებზე, ქონგურმორღვეული კოშკის კიბეზე, რათა ქმარს აასწროს და უფრო ადრე დაინახოს, როგორ გადმოუხვევს მთავარი გზიდან მამამთილის ვერცხლისფრად მზინავი მანქანა, რწვეა-რწვეით როგორ გადმოვა რკინიგზაზე და ზვიგენით როგორ შემოცურდება სოფლის დაბინდულ სიმწვანეში. ანტონი კი, მონუსხული, აღტაცებული შესცქერის ცოლის ჩამოქნილ წვივებს, გამომწვევად გამობზეკულ უკანაღს, რომელსაც სრულებითაც ვერ უფარავს პატარა, ფრიალა ქვედაკაბა. პირიქით, ნიავს აყოლილი, ყველანაირად ცდილობს, რაც შეიძლება უკეთესად წარმოაჩინოს ეს მართლაც შთამბეჭდავი და თვალწარმტაცი სანახაობა. "ნუ მიყურებ" — ეუბნება ლიზიკო უკანმოუხედავად, ნაბიჯის შეუწელებლად და, მართალია, ანტონს რცხენია ცოლის (თუმცა, არ იცის, რატომ), მაინც სიამოვნებით ეღიმიება ამის წარმოდგენაზე. სარკმლის ორივე ფრთა ყურთამდეა გამოღებული, როგორც გამომძიებლის კაბინეტში. სარკმლის ჭრილში თბილი ჰაერის ჭავლი ლივლივებს. სარკმლის ფრთებში კი, ხშირფოთლოვანი, თავზე ოქროვადანსმული ცაცხვი ირეკლება. კრაზანა ამოდ ცდილობს მაცდურ მინაში შეღწევას, "ჯუჯი-ჯუჯი-ჯუჯი" — ეძახის ქათმებს ტასო ძაღო. ჰაერს წყალნაპკურები მიწის სუნი დაჰკრავს. ისმის ცელის ხმა. ახლა უფრო მკაფიოდ, მაგრამ ძველებურად მარტივი, დამამშვიდებელი... არა, პირიქით, ამაფორიაქებელი. ესე იგი, კი არ დაესიზმრა, ცხადია. ანუ, რაც დაესიზმრა, სინამდვილეშიც არსებობს, თუნდაც არსებობდა... ესე იგი, ანტონიც არსებობს. ჯერ კიდევ არის. ოღონდ, ცოტა სხვანაირი. მამის სისხლი სისხლთაგანი, მაგრამ არა მარტო შესახედავად, თვისობრივადაც განსხვავებული მისგან, როგორც მსუქანი, მიხაკისფერი მატლისგან — დიდთვალება, ქონჩიანი და მუცელშეღინდლული პეპელა. დაფარფატებს თავის საყვარელ გარემოში, უახლოეს მეგობართან, უძვირფასეს ადამიანთან ერთად, პაპისეულ სახლში, პაპისეული სახლის პომპეზურ სიპირქუშესა თუ პირქუშ პომპეზურობაში მისივე წარმოდგენებით შექმნილ სრულიად ახალ, განსაკუთრებულ სამყაროში, საიდანაც გამოსვლა თითქმის მომაკვდინებელია მისთვის, სადაც დრო საერთოდ არ არსებობს, მით უფრო, წარსულად, აწმყოდ და მომავლად დაყოფილი. თავადაა დრო და მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, საკუთარი ნებასურვილის შესაბამისად. უნდა წარსულში გადაიჩეხება, როგორც ჭრელი ძროხა უფსკრულში, უნდა მომავალში შეიჭრება, როგორც ლტოლვილი დაუმთავრებელ, მოუწყობელ ბინაში, და უნდა აწყმომში იტრიალებს, პალოზე დაბმული ვირივით — ბიოლოგიური ანაქრონიზმი, გენეტიკური აბსურდი, ლოგიკური უაზრობა — და მაინც დამფრთხალი, დაძაბული ელოდება, როდის ჩაინთქმება მთელი არსებით მისკენ დაძრულ სინამდვილეში, როგორც კი მხედველობა დაუბრუნდება... აფოფრილი ტალღის ყრუ გუეუნით მოისწრაფის მისკენ სინამდვილე და ისიც სუნთქვაშეკრული ელოდება უსასტიკეს წამს სინამდვილესთან შეუღლებისა. არარსებობის შეგრძნებას ხელმეორედ დაბადების, აღდგომის, საკუთარ არსებაში განმეორების ცხოველური ჟინი ენაცვლება. შსშსშ... სშსშს... შსშსშ...სშსშს... თავისკენ ეწევა ცელის ხმა, როგორც ობობას ძაფი — საიმედოდ გაკოჭილ მატლს. ცელის ხმა ესმარება, შველის ხელმეორედ დაბადებაში. ბალახი თივად გარდაიქმნება. გრძნობს, როგორ იშლება შემბორკავი, დამთრგუნველი კვანძი სადღაც, მის არსებაში. მაგრამ სინამდვილე ჯერ ეჭვის თვალთ უყურებს მაინც. რაც უნდა მოკლე სიზმარი იყოს, დროის თვალსაზრისით, საკმარისია მის გადასაგვარებლად. სინამდვილე ვეღარ

ცნობს, დაავიწყდა კიდევ ერთი, თუნდაც, სიზმარში გადახვეწილი უძღვები შვილი. ერთბაშად ვერ გაუღებს კარს. ჯერ უნდა შეამოწმოს, შეიშვება თუ არა საერთოდ შინ. ვინც შეუშვა, ყველა აუჯანყდა. ყველა თუ არა, უმრავლესობა... უმრავლესობა თუ არა, ბევრი... ზოგიერთი მაინც... ზოგიერთი თუ არა, ერთადერთი, რჩეული, სხვებზე ურჩი და სულელი... მას კი, მთელი სხეული უთრთის შიშითა და მღელვარებით. ცოლის ზურგის სიმხურვალეც აფრთხობს, აბრმავეებს, როგორც სახეში მინათებული "იუპიტერის" ბღღვრიალა თვალი ტელესტუდიაში ჩასაწერად მისულ ახალგაზრდა პოეტს... არ ჰგავს მემამბოხეს. ყოველთვის ასე თრთის ხოლმე სინამდვილის პირისპირ დარჩენილი, ვიდრე იმის განუყოფელ ნაწილად არ იგრძნობს თავს. მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ გრძნობს. ბევრი რამ უშლის ხელს: თუნდაც, ეს წუთია, გადატანილი საფრთხე (რომელი ერთი?). ჯერ იმას უნდა მოსწყდეს მთლიანად, როგორც ნაყოფი საშოს, ხოლო, მისი ხელმეორედ (მერამდენედ!) დამბადებელი საფრთხე უკანმოუხედავად უნდა გაიქცეს, გაეკიდოს თავის ათქრიალებულ ჯოგს, ფარას, ნახირს, ხროვას, რემას, არვესა თუ, ეშმაკმა იცის, რას, და თავისი უმწეო, ჯერ კიდევ საშოს ორთქლიანი პირში უპატრონოდ, უმეთვალყურეოდ დააგდოს წარმოდგენილ სათიბებში... ოცნებებში, ფიქრებში, სიზმრებში, ჩვენებებში...

მესამე ნაწილი

"ერთი, ორი, სამი" — გუნებაში თვლის ელიზბარი, მაგრამ კი არ დგება, კიდევ უფრო ღრმად მიძვრება ლოგინში. ლოგინი მაშინ არის ძნელი დასათმობი, როცა ადგომა აუცილებელია. ოღონდ, ელიზბარს ადგომა კი არ ეზარება, დროზე ადრე გაედგობა, თუკი ეძინა საერთოდ, და რაკი არ იცის, როგორ მოკლას ზედმეტი დრო, ჩვეულებისამებრ, ფიქრობს, გნებავთ, ნებივრობს... ბოლოს და ბოლოს, ომში მიდის და, ვინ იცის, როდისღა მიეცემა, ან მიეცემა თუ არა კიდევ, ამგვარი "ნებივრობის" საშუალება...

ჯერ აღრუა. ერთნაირად ბნელა შინ და გარეთ. მადვიძარა საათი თავგამოდებული ქაქანებს ღამის ნათურის მაგიდაზე, პატრონს ამშვიდებს თითქოს, მახსოვს, ვიცი, როდის უნდა "აფეთქდეთ", მაგრამ საათი რას გაიგებს, რა ცეცხლი ტრიალებს ელიზბარის გულში...

ლიზიკო, ღვთის წყალობით, გადარჩა, მაგრამ ამ ქვეყნისა რომ აღარ არის, ცხადია, საცოდავი სანახავია, ყინვითწვევტილი და მაჯებდაბინტული... თუმცა, მაინც ანტიკური გმირის სიჯიუტით იგერიებს თავისიანების ყურადღებასა და თანაგრძნობას... როგორც ორესტე — სისხლისმსმელ ერინიებს... მამის დანახვამ კიდევ უფრო გააღიზიანა. ელისოს რომ ჰკითხოთ, საერთოდაა ადგზნებული, საერთოდ რცხვენია ყველასი და ელიზბარი გამონაკლისი არ არის. მაგრამ ელიზბარს სრულებითაც არ გაუკვირდება, არათუ რცხვენოდეს, დასანახადაც ვერ იტანდეს საკუთარი შვილი. "შენ გაიმარჯვეო" — ძლივს ამოიკნავლა ტუნებგადაღურჯებულმა, მაგრამ მათ შორის გამარჯვებული არ არსებობს. მამა-შვილის ომში გამარჯვება დამარცხების ტოლფასია. უკიდურეს შემთხვევაში, იმარჯვებს ის, ვინც მარცხდება. გამარჯვებული სხვაგანაა, სხვაა, მესამე, რომელსაც შვილიც ისევე ჰკიდია ფეხებზე, როგორც მამა... ორი მანქანა მცველების თანხლებით შემოგრიალდა საავადმყოფოს ეზოში და ელიზბარი ჯიქურ რომ წავიდა მისკენ, სილას მაინც გაეულაწუნებ სახალხოლო, მცველებმა გზა გადაუკეტეს, არ მიუშვეს მძახალთან, მოყვარესთან, ქალიშვილის მამამთილთან და არც იმას, მოყვარეს, უთქვამს მცველებისთვის, ეგ გამოუშვით, ეგ ჩემიანიაო... პირიქით, მოდღღეზილი, ორმეტრიანი დებილების ზურგებს ამოფარებულმა დაუძახა: ჯერ დაწყნარდი და მერე ვილაპარაკოთ, ჩვენმა შვილებმა პროვოკაცია მომიწყვესო, ეს პოლიტიკური აქციაა და მალე შენც დარწმუნდებიო... ელიზბარმაც გაცლა ამჯობინა. ერთხელ კიდევ დაუჯერა ხალხურ სიბრძნეს და აი, საომრად ემზადება მსცოვანი მწერალი, ტროას ომში მიდის, ოღონდ, უკვე ბებერი ოდისევსი... რახანია, აფრებიც დაუშვა და ვირიც დაბმული ჰყავს ბაგაზე... მაგრამ დრო მაინც საკმარისზე მეტი აქვს, თავისუფლად შეუძლია, არა მარტო მოემზადოს ომში წასასვლელად, არამედ გადაიფიქროს კიდევ ომში წასვლა...

ასე რომ, ადგომა კი არ ეზარება ჩვენს ელიზბარს, ერთხელ კიდევ ამოწმებს, რამდენად სწორია მისი გადაწყვეტილება. რაკი ზედმეტი დრო აქვს და არ იცის, როგორ გამოიყენოს, ერთხელ კიდევ წონის ყველაფერს, უკანასკნელ წერილმანამდე (ვთქვათ, როგორ შეეგუება იქაურ საჭმელს, წყალს... რაც მთავარია, უნიტაზობას...), ისევ სასაცილო რომ არ გახდეს თუნდაც იმავე ლიზიკოსთვის, რომელმაც ერთხელ უკვე ამხილა მისი "თვალთმაქცობა", მეგაფონის საშუალებით, საქვეყნოდ, ეგ საერთო-საყოველთაო დანაშაულის კვლევა-ძიებითაა დაკავებული, საკუთარი, პირადი რომ მიჩქმალოს როგორმეო. მართლაც, მის ასაკში საომრად კი არ მიდიან, მით უფრო, როცა არავინ ეძახით წამოდიო, ოდესღაც გადატანილ ომებს იხსენებენ (თუნდაც, სიზმარში გადატანილ ომებს!) და მემუარებს წერენ. არც ის დაწერდა სხვაზე ნაკლებად, დასაწერი რომ ჰქონდეს რამე. არაფერი აქვს სიამაყით მოსაგონარი. არასწორად იცხოვრა და ბევრად აჯობებს, რაც უფრო ნაკლები ეცოდინება შთამომავლობას მისნაირთა შესახებ. თუმცა, საცა სამართალია, ისიც ისე ცხოვრობდა, როგორც ყველა. ისე კი არა, როგორც თავად სურდა, არამედ როგორც შეეძლო, მეტნაკლებად სუფთა რომ გამოსულიყო ცხოვრების ბინძური ჭაობიდან. მაგრამ ახლა თავის მართლება იგივე თავის მოსულელებაა და არანაკლებ ამაზრზენიც, ვიდრე განავალით (თუნდაც, საკუთარი განავალით), შემთხვევით დასვრილი თითის ჩუმად გალოკვა... ეს "ომში წასვლაც", უკვე ყველანაირად დაგვიანებული, რაღაცის მონანიებისა და რაღაცის გამოსწორების ამო ცდაა მხოლოდ. მართლაც, რა შეიცვლება, ერთი საათით ადრე ავდგებით დღეს, თუ ერთი საათით გვიან?! პირიქით, რაც უფრო შორს დაიჭურ თავს ამ ომისგან, რაც უფრო შორეულ ქვეყნებში გაემგზავრები საბოზაოდ და სამამაძაღლოდ, შეიძლება უფრო დაგიფასოს ხელისუფლებამ და, ტელევიზორს თუ დაეჯერება, შეიძლება, ზედმეტი ასი კილოგრამი ტვირთი უფასოდაც გადმოგატანინოს ქალის წინდის თვალისთვით გაქცეულ საზღვარზე. მაგრამ ელიზბარს არც სპეკულანტობა ეხერხება, არც სუტენიორობა, უბრალოდ, შინ მეტის გამკეთებელია, ვიდრე გარეთ და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პირადად მისთვის, მართლა ქმნის რამეს ფასეულს, თუ ტყუილად იმტვრევს თითებს საბეჭდი მანქანის კლავიშებზე, ტყუილად იტკიებს თავს უაზრო კაკუნით. ყველაფერს რომ თავი გაავანებოთ, სრულყოფილ და თავისუფალ ადამიანად მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს, როცა საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ სკამზე ზის, საკუთარ მაგიდასთან, საკუთარ ფლოსტებში ფეხებწაყრილი, და საკუთარი ნაგავი გადააქვს ერთი საკუთარი სანაგვიდან (ტვინიდან) მეორე საერთო სანაგვეზე (ფურცელზე). მისი მწვერული პატიემოყვარეობა ამითაც კმაყოფილდება და, ბოდიში მოგვითხოვია, ფეხებზე ჰკიდია, რას იტყვის მასზე შთამომავლობა. შთამომავლობის სათქმელი უკვე წამოსცდათ დღევანდლებს, რომლებიც შთამომავლობას კი არა, საერთოდ ახალ, ხვალინდელ საქართველოს ქმნიან და, პირველ რიგში, მასთან შეუთანხმებლად... ელიზბარისთვის არავის არაფერი უკითხავს, როგორც გუშინ არ ეკითხებოდნენ არაფერს... დღესაც ისაა, რაც გუშინ იყო, ეგაა რომ, დღევანდლებს ურჩევნიათ, კიდევ უფრო ღრმად შეძვრეს, შეიკეტოს თავის ნიჟარასა თუ ბაკანში, გაანინა, ლოკოკინად თვლიან ისინი, თუ კუდ...

მაგრამ, როგორც არ უნდა ითრიოს ფეხი, ადგომა მაინც მოუწევს, თუნდაც, ამ აბეზარი, შემაწუხებელი ფიქრებისგან თავის დასაღწევად. მართლაც, უტიფრად, მოურიდებლად ეხვევიან, როგორც ბუზები — ლეშს, ოღონდ, ბუზებისგან განსხვავებით, იმათ ცოცხალი "ლეში" იზიდავთ, სიცოცხლის რაიმე ნიშანწყალი უნდა ეტყობოდეს მათ ლუკმას, ვთქვათ, ამოქნარებდეს, გვერდს იცვლიდეს საწოლში, ნებისმიერ უაზრობას ბურღუნებდეს თავისთვის, ხელს აფათურებდეს ღამის ნათურის მაგიდაზე, სულერთია, რის მოსაძებნად, მთავარია დაადასტუროს, ჯერ კიდევ რომ უდვას სული, ჯერ კიდევ რომ გაუძღვებ წამებას. დანარჩენი თვითონ იციან, როგორც არ უნდა გაუძლიანდეს, როგორც არ უნდა მოიმკვდარუნოს თავი, მაინც შეაღწევენ მის არსებაში, ბოლო-ბოლო, ისევ მისი ხელშეწყობით — ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება — და მერე თვითონაც ვერ გაიგებს, როგორ გაიხლართება ათასნაირი ვარაუდის, ეჭვის, შიშის, საზრუნავისა თუ სადარდელის მოჯადოებულ ქსელში, საიდანაც რამდენიმე წუთის, ანდა სულაც წამის წინ, ძლივს დააღწია თავი... "რაზ, დვა, ტრი" — ახლა, რატომღაც, რუსულად დათვალა ელიზბარმა, მაგრამ არც ამჯერად განძრეულა, ძველისძველი, ბავშვობისდროინდელი ლექსი მოაყოლა უცებ:

**რაზ, დვა, ტრი და,
შემოტრიალდი და,
თოფი ხელში დაიჭირე,
ომში წამოდი და...**

თვითონვე გაუკვირდა, ისე მიესადაგა ეს მაკარონული უაზრობა მის იმჟამინდელ განწყობას. ენის გასატეხი ორენოვანი ბავშვებისთვის. ერთ ენაზე თვლი, თუნდაც, სამამდე, მეორეზე კი, სისულელეებს ტლიკინებ, ტლიკინებ იმას, რისიც არაფერი გაგეგება, რაც შენი საქმე არ არის. არც თოფია შენი და არც ომი. შენ სხვა ხარ სხვის ომში, მაგრამ ბრძენი კი არა, ბრიყვი, რადგან სხვის ომს შენად თვლი და რაც ნამდვილად შენია, სხვისი გგონია. ამგვარი, ვითომ უაზრო ლექსები, სინამდვილეში, დიდი აზრის მატარებლები არიან, დიდ ჩანაფიქრებს ანხორციელებენ ენის ჩლექვით, და დიდ მიზნებს ემსახურებიან "გულუბრყვილოდ". ძალაც დიდი აქვთ. შიგნიდან ანგრევენ ადამიანს, მით უფრო, თუკი თავიდანვე, დედის რძესთან ერთად შეაპარებ, ანდა, სულაც დედის რძის მაგივრად მისცემ ბავშვს. მათი მეშვეობით, ბავშვს შეუძლია მშობლიურივით შეისისხლხორცოს, რაც არასოდეს უნახავს თვალით და ძალით შემოჩენებულივით შეიჯავროს მშობლიური. მრავალგზის ნაცადი იარაღია, ნაღდი, წყალი არ გაუვა. შედეგიც გარანტირებულია. გავარდება თუ არა თოფი, სამშობლოს მტერს მიუგდებ და თავად მტრის ჭერქვეშ შეაფარებ თავს. რაზ, დვა, ტრი და, რაზ, დვა, ტრი... მას შემდეგ, რაც ქართველი ალექსანდრე პირველის დაშლილ-დაქუცმაცებული, რუსმა ალექსანდრე პირველმა იმპერიის სტომაქში გააერთიანა, მუშლი გვესევა, მუშლის მოფარფატე სიყვითლე გვარტყია ირგველივ. არიქა! ალყაში ვართ. თავს უშველეთ. ვიღუპებით. თუმცა, ჩვენ რომ გვეგონია ვიღუპებითო, კიდევ ერთხელ ვიბადებით თურმე. ამის ბრალია ეს გაუთავებელი არეულობა, დემონსტრაციები, მიტინგები, თვითგვემა, თვითლიკვიდაცია, თვითნებობა, თვითმმართველობა, ანუ, ძმათა ომები, ყრმათა მოსვრანი, დიაცთა განკაცებანი და სულ ახალი და ახალი სოლომები და გომორები... ცხინვალის ღვეღვი და ღადარი სოხუმში ღვივის... რაზ, დვა, ტრი და, რაზ, დვა, ტრი... გახსენი ფერადი ღითონების, ძველებური ხალიჩების, ნებისმიერი ნარჩენების შემსყიდველი პუნქტი და, კაცი ხარ! ეს ქვეყანა მაინც ინგრევა. მაგრამ ამისთვისაც მაღლობთ შენ, უფალო! ყველანაირი ცვლილება, სულერთია, უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ, სიცოცხლის დადასტურებაა, უპირველეს ყოვლისა. ჩვენთვისაც ეს არის დღეს მთავარი. ღიზიკო კარგად იყოს და თავში ქვა უხეთქია ყველას. დიახაც, ჰოპლა! დიახაც, ჩვენც ვცოცხლობთ! ჩემს დანახვაზე თვალები ანთო. ხელების დამალვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა, საბანი არ ესურა (როგორ დაიხურავს ამ სიცხეში), საკუთარი ხელები ეხამუშებოდა, მაგრამ მაინც ვერ იშორებდა, როგორც პატოსანი ქურდი მოპარულ ნივთებს. არა უშავს. მთავარია, გვინდოდეს გადარჩენა. რა სენიც არ უნდა შეგეყაროს, მაინც ჯანსაღი ხარ ექიმზე, რომელსაც შენი განკურნება ეთაკილება. ეს მცოცავი ომიც იცოცებს, იცოცებს, ერთხელ კიდევ გადაძოვს აქაურობას და ღადარივით გაეხვევა დავიწყების ნაცარში, ვიდრე ხელახლა დასჭირდებოდეთ. ჰოპლა! იმპერია იკინთება, ჩვენ ვიბადებით. ტელევიზია ცოცხლად დამწვარი ბიჭების გვამებს გვიჩვენებს, გვაშინებს, მაგრამ ჩვენ მაინც ვცოცხლობთ. არც ზრდილობა დაგვიკარგავს ჯერ. ამწინებზე, ვიდაც ტაქსის მძღოლს მგზავრებისთვის მოუბოდიშებია, ზურგით ვზივარო. ჰოპლა! მაგრამ ახია ჩვენზე. ჩემს მძახალს რომ ჰკითხოთ, ყველაფერს სხვებს ვაბრალებთ თურმე. ტყუილია! როგორ გეკადრებათ! რას ბრძანებთ! ჯერ ერთი, სხვა არ დაიბრალებს, მეორეც ერთი, ვინ დაგიჯერებს?! მართლაც, როგორი დასაჯერებელია, ერთმორწმუნე ქვეყანამ ეკლესია აბანოდ გადაგიკეთოს... მფარველმა და მეგობარმა, მტრები კი არ მოგაშოროს, მტრებს მოაშოროს შენი თავი, საერთოდ გადაგრეცხოს რუკიდან, როგორც ჭრელ აბანოში მექისე გადარეცხავს ხოლმე საპნის ჭუჭყიან ქაფს ქვის ტახტიდან... ერთი კათხა წყალი და მისი ჯანი. შლუ-უპ, და გათავდა, ვითომც არ ყოფილა ათსაუკუნოვანი სამეფო დინასტია. ბაგრატიონების ტახტი აქამდე ღებება სანკტ-პეტერბურგის რომელიღაც წყალჩამდგარ სარდაფში. მაგრამ ელიზბარს ყველაზე დიდ უბედურებად, კაშელის თესლის აღზევება მიაჩნია მაინც. გაყიდე სამშობლო და შეიძინე მოქროვილი უნიტაზი... ჰა, ჩქარა! არ ჩამორჩე მეზობელს! არ გაჯობოს ნათესავმა. მაინც ინგრევა ეს ქვეყანა... რაზ, დვა, ტრი და, შემოტრიალდი და... მაგრამ ერთი ეშმაკისკენაც ვთქვით. ჩვენ რომ არ მივხმარებოდით, ჩვენ რომ არ ჩაგვედინა, რაც ჩავიდინეთ, ჩვენ რომ არ გვეკადრა, რაც ვიკადრეთ, მაინც გადაგვაქცევდა ლაბორატორიულ ექსპერემენტად?! რაზ, დვა, ტრი და... ჩვენი ბატონიშვილები უცხოელ აკადემიკოსებად დაიხორცნენ... რაზ, დვა,

ტრი და... ჩვენმა თავად-ახნაურობამ არა მარტო ორიენტაცია, ენაც შეიცვალა და ზნეც... რახ, დვა, ტრი და... სხვის ომში სიკვდილი დიდ პატივად მიაჩნდათ ყოველთვის... რახ, დვა, ტრი... მაგალითების ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ჯერ მარტო რამდენი ჩვენი მეფე მოკვდა გზაში, სანკტ-პეტერბურგს მიმავალი სამათხოვროდ, თუ სანკტ-პეტერბურგიდან მომავალი, კიდევ უფრო უარესად გამათხოვრებელი. ბუასილით უკანალგამოფუჭულნი, ცხენიდან ჩამოუხდომლად მიუყვებოდნენ ცრუ დაპირებების, ყალბი იმედების გზას და იმ გზის პირას დაიმარხნენ კიდევ, მოხეტიალე მწირებივით. რახ, დვა, ტრი... ჩამოდით და გვიპატრონეთ... რახ, დვა, ტრი... პატივი დაგვდეთ და გვიყმეთ... რახ, დვა, ტრი... იმდენჯერ წავუწეკით, იმდენნაირად წავუცეკვეთ, ბოლოს მაინც მივადწიეთ ჩვენსას, აღსრულდა, ჩვენი მზეც აღმოსდა, ოღონდ, ილუზიონისტის ყუთიდან; ჩვენც მოგვევლინა მხსნელი, ოღონდ, იენერალ მაიორი გრაფი გოტლიბ კურტ ჰენრიხ ფონ ტოტლებენი, ძმა და პირის ზიარება, ყოჩალი, ყოყონი, ყეყენი აფიცარი, დღევანდელი ენით, ჟულიკი, თხასთან მგელი, მგელთან თხა, შებერტყილი ყმაწვილი, ერეკლეც გაგვიცუცურაკა, აღმოსავლურად ფეხმორთხმულმა, და ქართველთა ნოეც, ევროპულად ფეხი-ფეხზე გადადებულმა. ამ ბოლო დროს ხომ, ნამეტანი მოუხშირა სტუმრობას, ტელე-ვარსკვლავად იქცეს ლამის. კიდევ რადაცას გვიპირებს ალბათ, უფრო უარესს. ყურებამდე პირგახეული გვილიმის ეკრანიდან, როგორც სულელ ბავშვებს — არანაკლებ სულელი უფროსი, და სხარტად არბის თვითმფრინავის ტრაპზე. მიაბაკუნებს პრიალა ჩექმებს. რაც იცის — იცის. რაც ეხერხება — ეხერხება. ვერ წაართმევ. იქით წავართმევს, რისი წართმევაც მიზნად დაუსახავს. რა გახდა, ბიჩო, ეს აფხაზეთი! განიმე გამოიმე, ერთი პლიაჟია, ბოლოს და ბოლოს. სირცხვილი თქვენს საქვეყნოდ განთქმულ სტუმართმოყვარეობას და ხელგაშლილობას... და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელემაყურებელთა უმრავლესობას მართლა რცხვენია, მართლა დამნაშავედ გრძნობს თავს და, რომ შეეძლოს, სიამოვნებით აახევედა ყურს იმ ლაწირაკებს (და იმ ასაკოვან კრეტინებსაც), მოხალისეებად რომ გარბიან აფხაზეთში, თავით ვარდებიან ცეცხლში, ვითომ სამშობლოს სიყვარულით, ვითომ ღირსების გადასარჩენად, სინამდვილეში კი, საგრიადოდ და სამამაძაღლოდ — უნდათ, ნემსს გაიკეთებენ, უნდათ, ოყნას — ვინ ეყოლებათ უფროსი! მაგრამ უცებ კიდევ უფრო დიდ სირცხვილში ჩაცვივდებიან ყველანი, ჩვენი ბედი რა ვთქვი მე... იენერალ მაიორს აეროპორტის ქარი ქუდს მოსტაცებს და მრუდე ბორბალივით გააგორებს ლილოს თვალწვივდენელ მინდორზე. რასაკვირველია, გამცილებელთა მთელი არმია გაეკიდება ქუდს, ყველა ერთნაირად მოწადინებული, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც ერთი აჯობებს ყველას, რის გამოც სამუდამოდ გადაიმტერებს დანარჩენებს და ძვირფას ნადავლს, რომელსაც გზადაგზა ასუფთავენს მტერისგან და ხიწვებისგან, მოწიწებით აურბენინებს ტრაპზე მომლოდინე გრაფს. გოტლიბ კურტ ჰენრიხი, მადლიერების ნიშნად, შინაურულად დაჰკრავს მხარზე ხელს და გულით შეაქებს: მოლოდევ ბრატეც აიდა ჩერნოჟოპი... მაგრამ სხვებს რომ გული არ დაწყდეთ, თვითმფრინავში შესვლამდე, ერთ თავშესაქცევ თავსატეხს იმათაც გადმოუგდებთ ფონ ტოტლებენი: ავერ ნახავთ, ფედერაციული თუ არ იქნება თქვენი რესპუბლიკა თუ რაც არისო. ატყდება და რა ატყდება? ხომ ვამბობდით და თქვენ არ გჯეროდათო და მე ყოველთვის ფედერაციის მომხრე ვიყავით და აბა მე ბაბუა მყავდა ფედერალისტიო და მე თუ მკითხავთ თვითონ არ იცოდა, თორემ ყოველთვის ფედერალური იყო ეს შავ დღეს განჩინილი ქვეყანაო...

ელიზბარი ერთი ღონივრად გაიწვართა საბნის ქვეშ და სასწრაფოდ წამოხტა. აღარც ქართულად დაუთვლია, აღარც რუსულად. უცებ ჩაიცვა, ყაზარმაში ჩაბერებული ჯარისკაცივით, თუმცა, სიბნელე გვარიანად უშლიდა ხელს. უსინათლოა პლუს უწყლობა, რასაც ზამთარში სიცვივეც ემატება, დამეთანხმებით, დიდი ძალაა ნებისმიერი ჯიუტი არსების დასაჩოქებლად. ბოლოს და ბოლოს, მარტო ტყვია ხომ არ კლავს კაცს?! რა მადანი აუვიდოდა! მაგრამ რაკი, მაინცდამაინც, ორ ზღვას შუა გაგაჩინა განგებამ, უნდა გაუძლო, უნდა აიტანო, უნდა შეეგუო გარემოს, ანუ, გარდაიქმნა მარად ცვალებადი საარსებო პირობებისა და მარად უცვლელი ლანდშაფტის შესაბამისად. განგებისთვის (და უკანასკნელი დაკვირვებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებისთვისაც), არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანი ხარ თუ ხელიკი. გაჩნდი? ჰოდა, თავს დააბრალე. უფრო სწორად, თვითონ მიხედე თავს. სხვა არავინ შეწუხდება შენი გულისთვის. გაბარცვე სამშობლო და შეიმოსე სარცხვინელი შენი... შენც, შეძლებისდაგვარად, ცდილობ გადარჩენას, ანუ, განუწყვეტლივ წირავ სულს ხორცის სასარგებლოდ. თუკი ადრე (უწინ, ოდესღაც...), თავზე ბუხს არ ისვამდი და აულაგებელი სუფრა გქონდა შარავზე გაშლილი, ამგველ-ჩამომგვლის დასაპურებლად, ახლა ბაზარ-ბაზარ, დახლების წინ, ტალახის წუმპეში მოგროვილ კომბოსტოს ფურცლებსა და კარტოფილის ნაფცქვენს ხარშავ სადარბაზოში, საზიარო "კერაზე". კვამლით სავსე სადარბაზო პრეისტორიულ გამოქვაბულს დამსგავსებია, შენ კი — პიტეკანტროფს, გაუპარსავი, თმაგაჩენილი, კბილებჩაცვენილი... წვავ, რასაც ცეცხლი ეკიდება, წიგნსაც (საკუთარის ჩათვლით), სურათსაც, პარკეტსაც, ავეჯსაც, კარ-ფანჯარასაც... და ჭამ ყველაფერს, რაც იღვკება.. ძვირი დაგიჯდა ღვთიშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილობა. უკადრისი უნდა იკადრო და ჩაუდენელი ჩაიღინო, ერთი დღით რომ გაიხანგრძლივო სიცოცხლე. მოკლედ, ან უნდა გაჯამბაზდე, ან გაფილოსოფოსდე, რათა ერთად გაუძლო ყველა უბედურებას, რაც კი პანდორეს ყუთში არსებულა. თანაც, უამხანაგოდ და უიმედოდ. ისღა დაგრჩენია, თავი გაიბამპულო, ომობანას თამაში დაიწყო სიბერეში, ანუ ახლა შენი ნებით ჩაწვე სამარეში და მიწაც შენი ხელით წაიყარო, ერთხელ უკვე ცოცხლად დამარხულმა შვილისგან... მაგრამ, თუკი მართლა პრეისტორიულ გამოქვაბულში არ დავბრუნებულვართ, რაღაცნაირად მაინც ხომ უნდა შეიძლებოდეს ლიზიკოს ამ თავგანწირული სულისკვეთების ახსნა?! ძალას ვერავინ დაატანდა, რაც ჩაიღინა, თავის ნებით ჩაიღინა და მხოლოდ თვითონ იცის, რა მიზნით ჩაიღინა, რაც ჩაიღინა. მაგალითად, დედამისს (ნამდვილს, გარდაცვლილს), არავითარ შემთხვევაში არ გაუჩნდებოდა რაიმე კეთილშობილური გრძნობის, ანდა თუნდაც ცხოველური სურვილის მაგვარი რამ, ისეთი ადამიანის მიმართ, როგორიც რაჟდენ კაშელია, მაგრამ თუკი როდისმე ქმრის დასჯას გადაწყვეტდა, ალბათ სწორედ ამისთანა არარაობასთან უდალატებდა, უფრო მტკივნეული და უფრო დამაკინებელი რომ ყოფილიყო ქმრისთვის მისი დალატი. ასე რომ, მხოლოდ საერთაშორისო ზნედაცემულობა და გარყვნილება არ უნდა იყოს ყველაფრის თავი და თავი. არც თავისუფალი სიყვარულისა თუ სიყვარულის თავისუფლების განუწყვეტელი ავითაცია, წერა-კითხვის უცოდინარი გაზეთების მიერ... ასე თუ ვიმსჯელებთ, არა მარტო იოლად დავიძვრენთ თავს პასუხისმგებლობის მარყუჟიდან, თავად ფაქტსაც გავაუფასურებთ და ჩვეულებრივ მოვლენად ვაქცევთ მაშინვე, ოჯახურ ურთიერთობათა ერთ-ერთ სახეობად, ნორმად, ეს კი, ისტორიული ფაქტია, ჩვენი ისტორიული სინამდვილის ნაყოფი, ჩვენი დღევანდელი ომის ერთ-ერთი ეპიზოდი, ათასი მიწისქვეშა დინებითა თუ აშკარად მომქმედი ძალით განპირობებული... აქ, ამ პატარა ეპიზოდში, მრავალნაირი ვნება, გრძნობა, განცდა, მიზანი, სურვილი და ურთიერთობაა ერთმანეთში ჩახლართული, სათაკილო თუ სავალალო, მისადები თუ მიუღებელი, არა მარტო ნათესაური, არამედ ზოგადად ზნეობრივი და კერძოდ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მონობა და თავისუფლება, სიყვარული და სიძულვილი, ყოფნა-არყოფნა — აი, ისევე ამ მარადიულ, ოღონდ დღეს უკვე სასაცილოდ აგდებულ ცნებების გარეშე ვერაფერს გაგარკვევთ ამ ვითომდა "საოჯახო დრამაში", აუცილებლად დავიკარგებით და სამუდამოდ ჩავრჩებით შიგ, როგორც ლაბირინთში, უბაფოდ და უჩირადნოდ. რასაკვირველია, წარმოსადგენადაც შემზარავია ლიზიკოსა და რაჟდენის სიახლოვე, მაგრამ

გარკვეული თვალსაზრისით, გარდუვალი აუცილებლობაცაა, რადგან არანაკლებ წარმოდგენელი გმირობაა ანტონის საქციელიც, რაც ლიზიკოს და რაფინის ამგვარმა სიახლოვემ განაპირობა, მხოლოდ და მხოლოდ. მოკლა თუ ვერ მოკლა, სხვა საკითხია. მთავარია, გაბედა... და რაც კიდევ უფრო მთავარია, მიხვდა, ვისზე უნდა აღემართა ხელი, თუკი ადამიანად აპირებდა დარჩენას ამ ქვეყანაზე... თუკი მართლა სურდა თავისუფლება! მსხვერპლი დიდია — აქეთ ანტონი, იქით ლიზიკო — მაგრამ უმსხვერპლოდ ომი ვის გაუგია! მსხვერპლი კიდევ უფრო გაიზრდება. განა ელიზბარიც ამ ომის მსხვერპლი არ არის?! რა მნიშვნელობა აქვს, სანგარში იჯდება თუ საწერ მაგიდასთან, მაგრამ ამჯერად, სანგარში ურჩევნია თვითონ. შეიძლება, სასიკვდილოდ დაჭრილი შვილი რომ ინახულა წუხელ საავადმყოფოში, იმან ალაგზნო და ააჩქარა ასე, მაგრამ გადაწყვეტილება მტკიცეა და აღარ შეიცვლება, როგორც არ უნდა გააცინოს მტერი და როგორც არ უნდა გააგიჟოს ელისო, რომელიც ახლა ლიზიკოს ადგას თავზე საავადმყოფოში და ერთი გული აქეთა აქვს, თავის "ბოლო იმედისკენ", ქაჯური წინათგრძნობით შეძრულსა და აწრიალებულს, რადგან არაფრით არ შეიძლება არ იცოდეს, რაც ახლა ელიზბარის თავს ხდება. არ გაუმართლა ელიზბარმა, მაინც გაუწბილა იმედი. სიმარტოვის, მიუსაფრობის ოკეანედან მოულოდნელად ამოზრდილი კუნძული, აღისფერი ფლატეებითა და მარად მწვანე გორაკებით (ელიზბარის ერთ-ერთი, სიემაწვილისდროინდელი ლექსიდან გახლავთ ეს პოეტური პასაჟი), ჩვეულებრივი მირაჟი აღმოჩნდა ბოლოს, კიდევ ერთი ოპტიკური ოინი, კიდევ ერთი ხაფანგი ცხოვრების უდაბნოში გზააბნეული ქალისთვის... სამუმი თუ ამოვარდა (ამოვარდა და ეგაა!), პირველი ქმრის საფლავის ბორცვსაც ვეღარ მოეჭიდება ამ უკიდევანო სიცარიელეში (არც ასეთი უზნეოა), ხოლო, ელიზბარის ლექსებით დიდხანს ვერ გაიტანს თავს, ვერც შიმშილს მოიკლავს, ვერც სიშიშვლეს დაიფარავს და ვერც უდაბნოს მხეცებს დააფრთხობს, გინდა ბალიშის ქვეშ ჰქონდეს ამოდებული, მფარველი ავგაროზივით, და გინდა საპყარი თუ მკედრადშობილი შვილივით, ატატებული დაჰქონდეს სულ... ელიზბარს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, პირიქით, ბედნიერად ჩათვლის თავს, მაგრამ ერთხელ განცდილს მეორეჯერ ვერავინ განიცდის, მით უფრო, სხვის მიერ განცდილს, ელიზბარს კი, თავის ლექსებში აწ უკვე მკედარი ცხოვრება აქვს დაბინავებული, ფერფლი და ნაცარი, სადაც სხვებს არაფერი ესაქმებათ, მათ შორის, ელისოსაც. სხვა, ვინც არ უნდა იყოს ის, გინდაც ელისო, ზედმეტი, როგორც მიწისქვეშა მღვიმეში პეპელა. იქ ღამურები დაფარვატებენ მხოლოდ — სიბნელე, ნესტი და შიშველი ქვები — ასეთია ელიზბარის სულის ლანდშაფტი და ელისოს უსაზღვრო სიყვარულიც უმწეოა, მოახდინოს სასწაული — ქვაზე ხორბლის მარცვალი გაახაროს და სულის სამყოფი პური მოიწიოს. ელიზბარმა კი არ შეიფარა გოგონასავით შეყვარებული ქვრივი, ნავთსაყუდარი კი არ მიუჩინა დაბნეულ სულს, კიდევ უფრო დააბნია — საკუთარი წარსული მოუშალა და არც თავის წარსულში გამოუყო ადგილი... რაც შეეხება ლექსებს, ელიზბარს იმ ლექსებისა ჯერ კიდევ მაშინ რცხვენოდა, როცა მისი თანატოლი დამწყები პოეტები ღამის მუჯღუგუნებით იშორებდნენ ერთმანეთს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის კათედრაზე, ის კი, სიმწრის ოფლში ცურავდა ფეხის სუნით აქოთებულ დარბაზში, ჩემი გვარიც არ გამოაცხადონ და მეც არ ამიყვანონ სცენაზე ლექსის სათქმელად... მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს, არავისთვის. არც ჩვენ გვეგონია, უკან დაბრუნებას აპირებდეს რომელიმე მათგანი. პირიქით, წინ, ღრმად, რაც შეიძლება ღრმად, რადგან საშველი მხოლოდ იქ არის, სიღრმეში, უფსკრულებში, უსასრულობაში... შეიძლება, არცერთს არ უნდოდეს, მაგრამ ასე გამოვიდა ბოლოს. მიტევაბაც სასჯელია მათთვის. მამა მიუტევენს შვილს თუ შვილი მამას, ორივე ერთნაირად დაიტანჯება, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც არაფერი შეიცვლება. მიტევაბა კი არა, მიუტეველობა, მხოლოდ და მხოლოდ, მიუტეველობა... ესაა მათი წამალი. მათ თუ ეშველებათ, მხოლოდ მაშინ ეშველებათ, როცა აღარაფერს აპატიებენ ერთმანეთს. მაგრამ საამისოდ, ჯერჯერობით, მზად არ არიან, ჯერ მონური ადათ-წესებით ცხოვრობენ ისევ, ანუ, იმით იწონებენ თავს, რისიც უნდა რცხვენოდეთ და იმისი რცხენიათ, რაც ჯერ კიდევ უნარჩუნებთ ადამიანობას. ელიზბარიც ამიტომ მიიპარება ომში ასე

ქურდულად: ცოლისაც რცხვენია და შვილისაც. საგზაღს კი არ ჩაულაგებენ ისინი, გზას კი არ დაულოცავენ, დასცინებენ, რაღა დროს შენი ომობანააო და, კიდევ უარესი, თვალთმაქცობას დასწამებენ... მაგრამ, საბედნიეროდ, საათი ქაქანებს, დრო გადის და ყოველ წამს ახლოვდება სამარადისო გამოთხოვების უამი წარსულთან. გინდაც ცოცხალი დაბრუნდეს ომიდან, ძველებურად აღარ იცხოვრებს, საერთოდ აღარ იცხოვრებს, თუკი სხვანაირად ცხოვრება არ შეიძლება. დაიკრეფს გულხელს და მოკვდება. ბოლოს და ბოლოს, ყველა კვდება და იმას რა ღმერთი გაუწყდება ვითომ?!

საბოლოოდ რომ გამოვიდა სააბაზანოდან, ბორჯომის ბოთლებში წინასწარ მომარაგებული წყლითა და რის ვაივაგლანით ხელ-პირ დაბანილი, ჯერ კიდევ შეუვალი წყვილი იდგა ირგვლივ. ბინის ქურდივით დაბორილობდა საკუთარ ბინაში. ჯიბის ფანრის პატარა, მოყვითალო სინათლის ლაქა თუ ნაფლეთი, პეპელასავით, მოულოდნელი, ალოგიკური თანამიმდევრობით გადადიოდა საგნიდან საგანზე, თითქოს არ იცოდა, რას ეძებდა, ანდა, სულერთი იყო მისთვის, რასაც იპოვიდა.

სამაგიეროდ, თვითონ ყოველთვის ზუსტად იცის, რას ეძებს და იოლადაც პოულობს საჭირო ნივთს, ოღონდ, უფრო მახსოვრობის წყალობით, ვიდრე ჯიბის ფანრის დახმარებით. ჯიბის ფანარი, კრიმინალური ენით რომ ვთქვათ, მხოლოდ გვამის ამოცნობაში შეეღის, უდასტურებს, ესა და ეს ნივთი ნამდვილად ესა და ეს ნივთიაო. მაგალითად, თერმოსი (ელიზბარმა თერმოსს თავსახური მოსხნა და მდუღარე წყალი ფინჯანში დაისხა), ანდა, ფინჯანი, რომელსაც ცალი გვერდი მთელ სიგრძეზე აქვს გაბზარული და როდის ჩაგატყდება ხელში, არ იცი. სხვა აქამდეც გადააგდებდა სანაგვეზე, მაგრამ ელიზბარისთვის უიმისოდ საერთოდ წარმოუდგენელია დილის ტრაპეზი. არა მარტო სიამოვნებით მიირთმევს ჩაის ამ ფინჯნით, არამედ საკუთარ ვინაობასაც უდასტურებს საკუთარ თავს მისი მეშვეობით. რაკი, მაინცდამაინც, ეს ფინჯანი უჭირავს ხელში, ესე იგი, თვითონაც ნამდვილად თვითონაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად, კრიჭა აქვს შეკრული. საერთოდ უჭირს ბნელში ჭამა, მაგრამ ახლა განსაკუთრებით. რა თქმა უნდა, ნერვიულობს ამ მეტად არასასიამოვნო მგზავრობის წინ, მაგრამ თავს ძალას ატანს — დაუშქარავ ჩაიში ალბობს ხმელი პურის ძნელად ჩასაყლაპ ლუკმას. მშვიერი კაცი კარამდე არ მიიშვებო, ის კი ომში მიდის. დილის საუზმე ცოლის მზითვეს ჯობიაო, მაგრამ როცა ამას ამბობდნენ, მზითვისა არ იყოს, საუზმეც უხვი და მრავალფერი ჰქონდათ ალბათ. პირის გემოს მცოდნეს, შეიძლება, მართლა ემჯობნებინა. ერბოკვერცხიო, ხიზილალო, შაშხიო, ძეხვიო, ყველიო (რამდენიმენაირი), კარაქიო, ხაჭოლო, არაჟანიო, ნაღებიო, თაფლიო, მურაბაო... ის კი, ხმელ პურს აწობს ჩაიში. თვალდახუჭული ზის (ალბათ სიბნელის გამო) და ელისოსათვის დასატოვებელ წერილებზე ფიქრობს, ზეპირად იმეორებს გუნებაში, თან ერთსა და იმავე ლუკმას დეჭავს უნდილად, თითქოს უკანასკნელად კი არ საუზმობს შინ, ომში მიმავალი, არამედ საძოვრიდან მობრუნებულ ძროხასავით, მშვიდად იცოხნის ბოსლის წყვილიაში. წყვილადს ნავთის სუნი დაჰკრავს. გაუქმებულ გაზქურაზე მკვდრეთით აღმსდგარი ნავთქურა დგას, ნავთქურაზე — ჩაიდან, ხოლო, ჩაიდანზე ელისოსთვის დასატოვებელი ერთ-ერთი წერილია წკიპად ჩამოდებული. თუ ელისო ნავთქურას იხმარს, აუცილებლად შეამჩნევს. მაინც შეამჩნევს, გინდაც ტყუილუბრადოდ შემოიხედოს სამზარეულოში ერთი წამით. მეორე წერილი საწერი მაგიდის უჯრაში დევს და ელისო ამას პირველი წერილის მეშვეობით შეიტყობს. მაგრამ რაკი დრო გვაქვს, არაფერი დაშავდება, ჩვენც თუ გადავხედავთ ერთხელ კიდევ. სჯობს, ზედმეტად გავისარჯოთ ახლა, ვიდრე მერე ვინანოთ. მაქსიმალურად უნდა შევამოწმოთ ყველაფერი, პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის ჩათვლით. ვერავინ ვერ იტყვის წინასწარ, საიდან გამოტყვერება შარი. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, შარო, საიდან მოხვალ?! თუმცა, უაღრესად უწყინარი წერილებია. პირველი, კაცმა რომ თქვას, არც არის წერილი, მშრალი ცნობაა მეორე წერილის შესახებ, იმის მეშვეობით უნდა შეიტყოს ელისომ, სად და როდის ნახოს მთავარი წერილი — წერილი-აღსარება, ანდა, წერილი-ანდერძი. აღსარებაცა და ანდერძიც ერთსა და იმავე დროს. მოკლედ, გულაჩუყებული ბებრის ბუეტური...

ელიზბარს, ერთი წამით, ელისოს დამცინავად მომღიმარი სახე დაუდგა თვალწინ და აშკარად არ ესიამოვნა. მაგრამ პირველ წერილში მაინც ვერაფერი ნახა კულის გამოსაბმელი. არც არაფერი ეწერა შიგ. "თუ ხვალამდე არ გამოვჩნდი, ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში მეორე წერილი დაგხვდება და ის აგიხსნის ყველაფერს. შენი ე." — ეს იყო და ეს. ელისო, რასაკვირველია, დროზე ადრე არავითარ შემთხვევაში არ გახსნის ქმრის უჯრას, მაგრამ გინდაც გახსნას, ამით არაფერი დაშავდება. უბრალოდ, ცოტათი ადრე გაიგებს იმას, რაც, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა გაიგოს და ბევრი არაფერი შეიცვლება, საერთოდ თუ არ გაიგებს. ერთადერთი, "შენი ე." აღარ მოეწონა, ყურიც მოჭრა და თვალციც სენტემენტალური ფამილიარულობით. სასწრაფოდ წამოდგა სკამიდან, ფინჯანში ჩარჩენილი ჩაი ჭურჭლის სარეცხ ნიჟარაში ჩაღვარა, ფინჯანი ლამბაქზე დააპირქვა და წერილიანად თავის სამუშაო ოთახისკენ გაემართა. ჯიბის ფანრის ყვითელი, უდიდამო გამონაშუქი მის წინ მიფარფატებდა, რადაცნაირად დაღლილი თუ დაბნეული, სამყაროს უკანასკნელ პეპელასავით.

მეორე წერილმა, როგორც გული უგრძნობდა, გაცილებით სერიოზულად ჩააფიქრა. ააღელვა კიდევ, თითქოს პირველად კითხულობდა საერთოდ. თითქოს, ვიდრე საკუთარ წერილს არ გადაამოწმებდა, კიდევ არ სჯეროდა, მართლა ასე ცუდად თუ იყო მათი საქმე. ჯერ გული აუნწყდა, მღელვარებისგან ათრთოლებული ხელი გაუაზრებლად გადაისვა თმაზე, მერე კი, საკუთარ თავს გაუბრაზდა, ასეთი დაუნდობელი გულწრფელობისთვის. შიგადაშიგ, ხმამაღლა ამოიძახებდა ხოლმე ფრაზის ცალკეულ ნაგლეჯს: ... დრო აღარ არის... თვითონაც ხედები ალბათ... არავის არა აქვს განსჯის უფლება... ყველანი უფლისგან განვისჯებით... ოღონდ, გაქცევად ნუ ჩამითვლი... დე მე ვიყო უკანასკნელი... მაგრამ ჩვენ რომ თავის დროზე... იქნებ ასე არ მომხდარიყო... დიახაც, არ მოხდებოდა, თუკი სხვანაირად (აღამიანურად) იცხოვრებდნენ თავიდანვე. და მაინც კმაყოფილი დარჩა წაკითხულით. არაფერში შეკამათებია საკუთარ თავს. არც რამის შეცვლისა და გასწორების სურვილი გასწვია. მაგრამ მოულოდნელად, ელისოს დამცინავად მომღიმარმა სახემ ისევ ხანჯლის პირივით გაიელვა სიბნელეში და ისიც, ნირწამხდარი და შეცბუნებული, ხელახლა შეუდგა წერილის კითხვას.

სიყვარულიც თავისებური ომია, განსაკუთრებული სახეობაა ომისა და დაპირისპირებისა, ოღონდ, ნებისმიერი ომისა და დაპირისპირებისგან განსხვავებით, იქ მხოლოდ ის იმარჯვებს, ვინც მარცხდება, ანუ, ვისაც დათმობის, გაგების, მიტევების უნარი მეტი აღმოაჩნდება. ამიტომაც არის ყველასთვის და ყოველთვის გაუგებარი. მაგრამ, იმავე დროს, მიმზიდველიცაა და ძლიერიც, სწორედ იმიტომ, სრულებითაც რომ არ ცდილობს გასაგები გახდეს ვინმესთვის...

სინათლის ყვითელი ნაფლეთი, ფრთხილად, ანდა სულაც ცალფრთიან პეპელასავით, ბორძიკით, კანკალით, ხან კი, სხარტად, ერთი ნახტომით ინაცვლებდა ადგილს სიტყვიდან სიტყვაზე.

მოკლედ, იმდენი უკირიკბა ელიზბარმა, ვიდრე კორექტურაც არ აღმოაჩინა უკვე ათვალწუნებულ წერილში, რამაც უმაღლესად გაახალისა, ვიდრე შეაწუხა. "აჰა, კიდევ ერთი საბუთი ჩვენი უყურადღებობისაო" — შესძახა გუნებაში, უფრო წერილისგან მიღებული შთაბეჭდილების მისაჩქამლად, ვიდრე საკუთარი სიფხიზლით აღტაცებულმა. უბრალოდ, ელისოსი შერცხვა ისევ და ამ ყოველად გაუმართლებელი, ქვეშევრდომული მორიდებისა და მოკრძალებისგან განთავისუფლება სცადა უნებურად. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, არცერთ სიტყვას არ წაიღებდა უკან, მაგრამ საკუთარმა გულწრფელობამ შეაშფოთა: იმდენად სუსტი და დაუცველი გამოიყურებოდა ცოლის თვალში, თავისუფლად შეიძლებოდა, მართლა თვალთმაქცობად ჩაეთვალა იმას ეს წერილი-აღსარება თუ წერილი-ანდერძი, თუკი წაიკითხავდა როდისმე, რაც უკვე სერიოზულად ეეჭვებოდა თავად ელიზბარს.

წერილი მაგიადაზე დადო, განთავისუფლებული ხელით, ფანრის შუქზე აბრჭყვიალებულ კალმისტრების მივლემარე ჯოგებიდან ერთ-ერთი ამოაჩინა და სათუთად, სასოებით, თითქოს თვალში წამალს აწვევებებს ბავშვსო, გამოტოვებული ასო ჩაამატა სიტყვაში. "აი, ასე! ვიყოთ ბოლომდე პედანტებიო" — დაამთავრა უკვე გულწრფელი მღელვარებით. ასეთი ბუნებისა გახლავთ, ვერ ეგუება შეცდომას და ნებისმიერის გამოსწორებას ცდილობს, რაც თავისთავად, დანაშაული თუ არა, სიბრძნევე ნამდვილად არის. ამიტომ, არც მას გამოსდის რამე. ვერც მისი პედანტიზმი ამართლებს ამ სრული განუკითხაობის ჟამს. აი, თავის დროზე, როგორმე თავი რომ შეეკავებინათ მაკარონული ღექსებისგან, შეიძლებოდა კიდევ გადარჩენილიყვნენ. ახლა კი, უკვე გვიანია. ომში წასვლა ჩვენ გადავწყვიტეთ დღეს, თორემ, ომი რახანია მძვინვარებს. მას მერე მძვინვარებს, რაც რომის პაპმა პიომ ბიზანტიიდან ოსმალების განდევნა განიზრახა და დახმარების სათხოვნელად ვინმე ლუდოვიკო ბოლონიელი აფრინა საქართველოში, როგორც ქრისტიან და, რაც მთავარია, ღონიერ ქვეყანაში, რომელიც იქამდე, დიდად წოდებულმა ალექსანდრე პირველმა მონღოლთა მონობაში გაპირუტყვებულ ნათესავებს მიუგდო საჯიჯგნად და თვითონ ეკლესიის ეკვდერს შეაფარა თავი...

რაზ, დვა, ტრი და,
შემოტრიალდი და,
თოფი ხელში დაიჭირე,

ომში წამოდი და...

არაფერი გაუჩენია ღმერთს, თავისი საკუთარი ენა არ ჰქონდეს: ძალი ვეფს, ცხენი ხვიხინებს, კამეჩი ყოყინებს, ვირი ყროყინობს, ქათამი კაკანებს, გველი სისინებს, მგელი ყმუის, არწივი ყივის, ყვავი ყრანტალებს, ძროხა ზმუის, ჭრიჭინა ჭრიჭინებს, მწვერი ქვითქვითებს, ბაყაყი ყიყინებს, ღამურა წივის, კოლო წუის, თავი წრიპინებს, ადამიანი ლაპარაკობს, გერმანელი გერმანულად, ჩინელი — ჩინურად და ასე შემდეგ, ასე შემდეგ... შენ კი, რუსულად სამამდე თვლი და ქართულად ლაყობ ათას სისულელეს. ხოლო, უფრო გულწრფელები თუ ვიქნებით, ვერც ქართულს ფლობ, ვერც რუსულს, საყველპუროდ იცი ერთიც და მეორეც და, რაც უფრო სავალალოა, ამდენსაც ვერ ხვდები, ანდა, დაბადებით ამაყი ხარ და არ იმჩნევ უვიცობას. ანდა, კიდევ უარესი, აღარაფრის გრცხვენია — ვინ შეიტყობსო — და წარბშეუხრელად, მხოლოდ და მხოლოდ, შენი პედანტურობის გამო, სიტყვაში გამოტოვებულ ასოს ქვეშევრდომული მოწიწებით, მონაზვნური სათნოებით აბრუნებ უკან, როგორც შემთხვევით გადმოვარდნილ ბარტყს — ბუდეში... მაგრამ შეცდომის გამოსწორება არ შეიძლება. შეიძლება, აღარ გაიმეორო ერთხელ უკვე ჩადენილი, მაგრამ ამის პირობასაც ვერავინ მოგცემს დაბეჯითებით. ძნელია. ცდუნება დიდი. გარისკვა დირს. ადამიანი შეცდომისჩამდენი ცხოველია. მაგრამ არასოდეს არ იცის, თავისთავად ცხადია, ჩადენამდე, რა არის შეცდომა, მით უფრო, თუკი თავად ცდება... ამის გარკვევა უკვე შემდეგი ეტაპია მისი ცხოვრებისა, რომელიც ან დგება, ან არა. შეცდომას კი არ იკვლევენ, აღნუსხავენ შეძლებისდაგვარად, და ხშირად, თავის მოსაწონებლადაც, მიახლოებით, დაახლოებით, რადგან მისი რაოდენობა და ნაირსახეობა ამოუწურავია. ამიტომაც არ შეიძლება შეცდომაზე სწავლა. შეიძლება, ის ისწავლო, რაც აღარაფერში გამოგადგება და გამოგრჩეს ის, რაც ყოველ ნაბიჯზე გამოგადგებოდა, თუკი გეცოდინებოდა. ნებისმიერ შეცდომას, არა მარტო მისი ჩამდენი (ყველაზე ნაკლებად ალბათ ჩამდენი!), არამედ ყველაფერი ერთდროულად განაპირობებს: გეოგრაფიაც, ისტორიაც, ფიზიკაც, ქიმიაც, დროც, გარემოც, ამინდიც, გუნება-განწყობილებაც, ჯანმრთელობაც, პლანეტების განლაგებაც, ზოდიაქოს ნიშანიც, ჰაერის ტენიანობაც, წყლის ტემპერატურაც, ქარების სიჩქარეცა და მიმართულებაც, ირგვლივ მყოფთა ბიოდენური მონაცემები, ნათესავთა სიხარბე, სითავსედე, სიბრყვე... ასე რომ, ადამიანი არასოდეს მარტო არ ცდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის მარტო აგებს პასუხს საერთო შეცდომისთვის... ხოლო, რაც შეეხება ელიზბარს, ამ აბნეული ფიქრებიდან მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანა, ახრი რომ არ ჰქონდა ელისოსთვის წერილების დატოვებას, არ იყო საჭირო ელისოს ჩარევა ამ სისულელეში. ამიტომ, ორივე წერილი დაუდევრად ჩაიკუჭა ჯიბეში და "მოთვინიერებული პეპლის" მეგზურობით, ახლა ზურგჩანთის შესამოწმებლად გაემართა. გზად, ერთი-ორჯერ, მშობლების გადიდებულ სურათსაც მიანათა ჯიბის ფანარი, თითქოს შემთხვევით, და იმათაც, გაკვირვებულებმა თუ დაეჭვებულებმა, მაშინვე გამოსხედეს გაუვალი წყვილიადიდან. "ამ სურათსაც ჩამოსხნიანო" — ზერედედ, ზოგადად გაიფიქრა ელიზბარმა, არავინ უგულისხმია კონკრეტულად, ვისაც მისი მშობლების სურათის ჩამოსხნა შეეძლო.

მწვანე ბრეზენტის ზურგჩანთა, ყავისფერი ტყავის სამხრეებიანი, შემოსასვლელში ეგდო კართან, სანახევროდ ცარიელი. ბევრი არაფერი მიჰქონდა თან, რადგან წესიერად არც იცოდა, რა უნდა წაეღო, რამდენ ხანს მოუწევდა იქ ყოფნა, მაგრამ, ყოველ შემთხვევისთვის, თბილებიც ჩაელაგებინა, საპარსთან, საპონთან, კბილის ჯაგრისთან, საერთო რვეულთან, პასტის რამდენიმე კალმისტართან, ფლოსტებთან და წამლებთან ერთად. ჯარისკაცის ბარგი მწირია, მაგრამ რაც ელიზბარმა ჩამოთვალა, უფრო ქვიშხეთში გამოადგებოდა, მწერალთა დასახვევებულ სახლში, ვიდრე სანგარში. თვითონვე შერცხვა ამ უადრესად სამშვიდობო აქსესუარებისა, თუმცა, უმაღლესი წასვლას გადაიფიქრებდა, ვიდრე უიმათოდ წავიდოდა საომრად. მაგრამ, მცირე ყოყმანის შემდეგ, ფლოსტები უკანვე წამოყარა ცელოფანის პარკიდან. რომელი ჭკუათმყოფელი ისეირნებს წინა ხაზზე ფლოსტებში ფეხებწაყრილი — გაეცინა მწარედ და ახლა უკვე დამცინავად, ღვარძლიანად დაუთვალა საკუთარ თავს:

რაზ, დვა, ტრი და,
რაზ, დვა, ტრი და,
რაზ, დვა, ტრი და...

ითვლიდა გაგულისებულს, აღგზნებულს, აფორიაქებულს, უკვე მიხვედრილი საკუთარი გადაწყვეტილების უაზრობას, მაგრამ უკვე გზამოჭრილი, უფრო სწორად, უკვე გზაზე დამდგარი, უკვე ომში ჩაბმული და, აქედან გამომდინარე, აქაურობაზე მეტად, გაურკვეველობის კუთვნილება, სიკვდილამდეც და სიკვდილის შემდეგაც...

ცოტა ხნის მერე უკვე ვერის ბაღში იჯდა და მუხლებზე დადებულ ზურგჩანთას, როგორც მთელ თავის ავლადიდებას, გულში იხუტებდა. საკმაოდ ციოდა, თუმცა, ბუსუსაშლილ წვედიადს უკვე გასჩენოდა ბზარი, საიდანაც მოახლოებული მზით გაბრწყინებული ცა იღვრებოდა. ჩიტებიც ერთ ამბავში იყვნენ, თითქოს პირველად თენდებოდა საერთოდ. სუსხიან ბინდბუნდში თანდათან იკვეთებოდა ბაღის ცალკეული ნაწილები. მას კი, მწვანეში ჩაფლული ქვიშხეთი ედგა თვალწინ, თვალწინ კი არ ედგა, იქ იყო მთელი არსებით გადასახლებული და, ზურგჩანთაზე ნიკაჩანადებულს, აყვავებული ცაცხვების დამატორობელი სუნიც კი სცემდა. სრულდებოდა არ იყო საომრად განწყობილი. ჩვენში რომ ვთქვათ, ან რა ეომებოდა — მის შვილს სიცოცხლე აღარ უნდოდა, გნებავთ, არ თვლიდა თავს სიცოცხლის ღირსად. ასე რომ, საფრთხეში ჩავარდნილი სიცოცხლის გადასარჩენად კი არ მიდიოდა ეს, რაც მტრის თვალშიც გაამართლებდა, არამედ თავლაფდასსმული სიცოცხლის რამენაირად მისაჩქადად და მისაფუჩეხებლად, რისი გაგებაც ალბათ მოყვარესაც გაუჭრდებოდა. საკუთარი თავის რცხვენოდა, თორემ, სიამოვნებით მიბრუნდებოდა შინ, თავის სკამთან, თავის მაგიდასთან, თავის საბეჭდ მანქანასთან, თავის ფლოსტებთან... სინდისის გარდა, არაფერი ავალდებულებდა ამ ომში წასვლას. მოსახდენი უიმისოდაც მოხდებოდა. ამიტომ, მხოლოდ ის უნდა გადაეწყვიტა, რაც პირადად მას ეხებოდა, ანუ, ასე, მოწაფური მორჩილებით დაეცადა სხვა მოხალისეებისთვის, თუ, სანამ კიდევ შეიძლებოდა, უკანმოუხედავად მოეცოცხა აქედან. უაზრო მსხვერპლის გაღებასა და ახლა უკვე საქვეყნოდ გაპაპულებას, ისევ შინ ყოფნა ჯობდა, "ნიუარაში", ისევ გამოგონილ და მის წიგნებში თავმოყრილ ხალხთან კამათი მარადიულ, მოურჩენელ სატკივრებზე, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, ცხოვრებისგან უკვე დამარცხებულნი, დამარცხებას შეგუებულნი რომ იყრიდნენ იქ თავს და არათუ ტელევიზიის დიქტორს, მამაზეციერსაც აღარ შეეძლო მათი გაბრიყვება. იქ ზღაპრებისა აღარ სჯერათ, უფრო სწორად, სხვა სიბრტყეზე და სხვა განზომილებებით ცხოვრობენ: ჩადენილზე ოცნებობენ და ჩაუდენელს ინანიებენ...

ელიზბარის მღელვარე წარმოდგენებში იმქვეყნიურმა, წითლად აბრიალებულმა ფიჭვნარმა გაიჭრიალა უცებ და იმდენად ცხადი იყო ეს ჩვენება, ფიჭვების ტანზე ცოცხლად მიმხმარი ჭრიტინების გამოფიტული, გამჭვირვალე გვამებიც კი შეამჩნია. მაგრამ, იმავე დროს, სინამდვილესაც დაუბრუნდა, რადგან ისიც მაშინ შეამჩნია პირველად, მარტო რომ არ იყო ბაღში. აუხის კიდეზე ვიღაც გადაწოლილიყო მუცლით და გულს ირევდა. ანდა, უკვე გულარეული, თავ-პირს იბანდა აუხის წყალში. ელიზბარი უნებურად დაიძაბა, წელში გაიმართა და კიდევ უფრო მაგრად მიიხუტა მკერდზე ბრეზენტის ზურგჩანთა, თითქოს ეს უცხო ადამიანი, როგორც კი თავის საქმეს მოათავებდა, ზურგჩანთას წაართმევდა, რაც სრულდებოდა არ გაუკვირდებოდა ელიზბარს, მაგრამ არც უფიქრია აქედან წასვლა, ან სად უნდა წასულიყო, როცა უკან დასაბრუნებელი ყველა გზა თვითონვე მოიკვეთა, ყველა ხიდი დაწვა, ყველა თოკი გადაჭრა... იმიტომაც იჯდა ახლა აქ და ბებრული სიჯიუტით ელოდებოდა ყველაფერს ერთად: გათენებასაც, მოხალისეთა გამოჩენასაც და უცნობთან ურთიერთობის გარკვევასაც...

ის უცნობი, თქვენც მიხვდით ალბათ, ანტონი გახლდათ, ღამის ბარში გალახული და ბეწვზე გადარჩენილი სიკვდილს... გაჭირვებით წამოდგა ფეხზე. პიჯაკის სახელოებიდან წყალი წურწურით გასდიოდა. პიჯაკიც გაჭირვებით გაიხადა და აუხის კიდეზე გადაფინა ფრთხილად. მაგრამ პიჯაკს კი არ უფრთხილდებოდა — მეტი რაღა უნდა დამართვოდა უარესი — მოძრაობა უჭირდა, ოდნავი განძრევაც კი, აუტანელ ტკივილს აყენებდა, რის გამოც მისი მოძრაობები მშვიდი და დახვეწილი ჩანდა შორიდან. პერანგი და მაისური ერთად გადაიძრო და, რატომღაც, რამდენჯერმე გააღანდალა წყალში. გარეცხა, თავისი ჭკუით. ტკივილებისგან ღამის ისევ დაკარგა გონება, მაგრამ მაინც მთელი ძალით წურავდა პერანგსა და მაისურს, ვიდრე სველი ქსოვილის საკმაოდ სქელი მორგვი არ შერჩა ხელში. ისიც პიჯაკის გვერდით დააგდო და, თითქმის დედიშობილა, სკამისკენ წამოვიდა. სიტყვის უთქმელად მიუჯდა ელიზბარს გვერდით, გვეგონებოდათ, სიძე-სიმამრს წინასწარ დაუთქვამთ, დილაუთენია, მაინცდამაინც, ვერის ბაღის ამ სკამზე შევხვდეთ ერთმანეთსო...

— ანტონ! — გულწრფელად შეიცხადა ელიზბარმა.

ანტონის დანახვა, ერთდროულად, გაუკვირდა და გაუხარდა კიდევ, მაგრამ ისიც მაშინვე გაახსენდა, ცოტა უხერხულიც რომ იქნებოდა მისგან ამგვარი უშუალო, დადებითი ემოციების გამოხატვა, რადგან მეტად არასასიამოვნო და უაღრესად სათაკილო ვითარებათა გამო, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ არ სდომებოდა ანტონს მისი დანახვა, უარესად გაელიზიანებინა პალეოსიმამრთან შეხვედრას და, რასაკვირველია, არც თავისი გალიზიანების გამომჟღავნებისა მორიდებოდა. ასე რომ, რაც უფრო თავშეკავებული იქნებოდა ელიზბარი, მით უკეთესი. მათი წარსულიც წარსულს ჩაბარდა. კაცმა რომ თქვას, არც იყო მისი საქმე, რა უნდოდა ანტონს ბაღში ამ დილაუთენია. იქნებ, ისიც მოხალისედ მიდიოდა ომში?! ასევე არ იყო ელიზბარის საქმე, რას აპირებდა ანტონი მომავალში და აპირებდა თუ არა საერთოდ რამეს. მსაჯულიც სხვაა და გამკითხავიც... მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, ბრმა შემთხვევასთან რომ არ ჰქონდათ საქმე, განგებას სურდა ასე და იმან მიუსვა გვერდით ამ უკაცურ ბაღში, გარკვეული თვალსაზრისით, მისი მიზეზითაც გაუბედურებული კაცი...

— დიას! — დაუდასტურა ანტონმა — განა ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს? — მიაშტერდა ცალი თვალით. მეორეთი ვერ ხედავდა, ბუშტივით გაჰბერვოდა და ლორწოვანი ლობრი გადაჰკვროდა ზედ — აააა! როგორ არა, როგორ არა — გააგრძელა აგდებულად, გაშარებულნი თავაზიანობით — მე ერთხელ თქვენი სიძეც ვიყავი... მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ენდეთ ჩემს გამოცდილებას. ნათესაობაც ბორკილის სახეობაა და რაც უფრო მალე მოიშორებ, მით უკეთესი. ასე გვასწავლის ციხე. ციხე დღევანდელი მოდელია ხვალისდელისა. ყველანაირი თანასწორობა... სრული დემოკრატია თუნუქის ყუთში... აი, ნახეთ რა მიყვეს... მაგრამ ფეხები ვერ მომჭამეს მაინც... პირი შუშის მტვრითა მაქვს საგზე, თორემ გეტყვოდა, აუცილებლად... თქვენ არ დაგიმაღავდით... ბოთლებით მცემდნენ, მაგრამ ვერ მივართვი... ჩამონ ჩემი ჩუჩუა, როგორც დიდი ბებია კლავა იტყვოდა, ცხონებული... სჯობს შენი ეშინოდეს ვიღაცას მაინც, ვიდრე შენ გეშინოდეს განუწყვეტლივ, თანაც ყველასი... ღაჩრები... დამპლები... ჯიბეში ჩაიყავი ხელი და... სამივემ ჩაიჯვა. ნაბიჭვრები... ყველა თავისას მიიღებს... მთავარია, საბაბი გქონდეს... რა თქმა უნდა, თქვენ არ გეხებათ. ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა, მაგრამ როგორ მომავენით? დიდხანს მეძებდით? ჩვენ ხომ არასოდეს ვყოფილვართ სიძე-სიმამრი... მე თქვენ ყოველთვის მეგობრად გთვლიდით... ახლაც მხოლოდ ძველი მეგობრობის ხაზრით გკითხვებით, როგორ ბრძანდება ჩემი კდემამოსილი მეუღლე? სიცხებმა ხომ არ შეაწუხეს ამ ზაფხულს? ხომ მშვიდობით მოილოგინა? კიდევ ერთი ჩემისთანა ჯოჯო შემატა ამ დამპალ ქვეყანას, თუ თავისნაირი კახაა? ჯოჯოს ისევ კახაა ჯობს, ღმერთია მოწამე. მე, პირადად, ათიათას ჯოჯოს ერთი კახა მირჩევნია... ათიათასი ხომ, მით უფრო...

— ლიზიკომ ვენები გადაიტრა — გააწყვეტინა ელიზბარმა — ძლივს გადაარჩინეს — მოაყოლა სწრაფად, რადგან შეატყო, როგორ შეაკრთო ანტონი მისმა ნათქვამმა.

ანტონი, ერთი წამით, მართლა გაირინდა, თითქოს აცნობიერებდა ელიზბარის ნათქვამს, მაგრამ მაშინვე ძველებურად გააგრძელა:

— თქვენ გაიმარჯვეთ — თქვა დამცინავად მომღიმარმა, თუკი შეიძლებოდა რამენაირი ღიმილი შესტყობოდა დაბეგვილსა და დასიებულ სახეზე — მაგრამ განა შეიღწა მოეკითხება მშობლის ცოდვები?! მოეკითხება და მერე როგორ მოეკითხება, რომ იცოდეთ! უნდა მოეკითხებოდეს კიდევ. სწორედ შეიღწა უნდა მოეკითხებოდეს! შეიღწა რომ არ ყოფილიყო, არც მშობელი წახდებოდა... მშობელს შეიღწა აიძულებს... მშობელი შეიღწისთვის ცოდავს... შეიღწის გამო... — ლაპარაკობდა უაზროდ, დაბნეულად, გამომწვევად, გამაღიზიანებლად, რადაცნაირად ატაცებული და აღგზნებული, თუმცა, არც მთვრალი იყო და არც ნარკოტიკი ჰქონდა მიღებული.

"თვითონაც არ იცის, რას მიყვარდა" — გაბრაზდა ელიზბარი. არასოდეს ენახა ასეთი ანტონი: ღვარძლიანი, თავხედი, დამცინავი, დაუნდობელი... პირიქით, ზედმეტი მორიდებულობითა და თავდაჭერილობით გამოირჩეოდა ყოველთვის, სხვათაშორის, ლიზიკოსგანაც. რამდენჯერ უთქვამს ელიზბარს იმისთვის, ანტონისგან მაინც ისწავლეო.

— ლიზიკომაც ასე მითხრა — თქვა უცებ — შენ გაიმარჯვეო... განა თქვენ გებრძოდით?! ასე გესმოდათ ჩემი?!

— მე არ ვიცი, რაზე საუბრობთ ხოლმე თქვენ და თქვენი ქალიშვილი, მაგრამ თქვენ იცოდით ის, რაც მე უფრო მჭირდებოდა, მაგრამ არავინ მასწავლა — უკმეხად მიახალა ანტონმა.

— მე რაც ვიცოდი, ყველაფერი გასწავლეთ — დაიხია უკან ელიზბარმა.

— არა! მთავარი არ გისწავლებიათ! — უარესად აღგზნო ანტონი.

— რა? ხეზე ასვლა? — შემრიგებლურად გაიცინა ელიზბარმა.

— არა, ხიდან ჩამოსვლა! ხეზე ასვლა გადარჩენა არ არის. ხეზე ასვლით, შეიძლება, დროებით დააღწიო განსაცდელს თავი, მაგრამ ხეზე ასასვლელად რომ გაგიხდება საქმე... — გაიცინა ანტონმაც. მღელვარებისგან თუ სიცივისგან, ჯერ კიდევ ძაგბაგებდა და კბილი კბილზე უხვდებოდა ლაპარაკისას.

— გაცივდები — წამოსცდა ელიზბარს.

— მე უკვე გაცივდი, ძია ელიზბარ... რახანია მცივა... გაჩენის დღიდან... ციხე სიცივეა. სულ გცივა, წვეხარ — გცივა. ზიხარ — გცივა. დადიხარ — გცივა. კი არ ეჩვევი სიცივეს, ამის შეჩვევა არ შეიძლება, თანდათანობით, შენც სიცივე ხდები, სიცივის ნაწილი... აი, დამადეთ ხელი, ყინულივით ვარ... პაიკი კლავს მამას და ხდება არარაობა...

ელიზბარი ისევ დაიძაბა. არ გამოსდიოდა ლაპარაკი ამ მართლაც უცხო ადამიანთან, რომელიც ანტონს კი ჰგავდა, მაგრამ, იმავე დროს, არაფერი ეცხო ანტონისა. რასაკვირველია, მის დღეში მყოფს, ვერაფერს მოკითხავდა ჭკუასა და ზრდილობას, მაგრამ იმდენად კარგად იცნობდა ელიზბარი, იმდენად დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა მასთან, მაინც უჭირდა ანტონისთვის ამგვარად დამაკინებელი, ამგვარად შეურაცხყოფელი მეტამორფოზის დაჯერება. მამისგან განწირულსა და ცოლისგან ნაღალატვეს, თითქოს მხოლოდ ისღა გაამართლებდა სხვათა თვალში, თუკი უზნეობისა და გახრწნილების წუმპეში ჩაეფლობოდა თვითონაც... ესეც აიძულებდა ელიზბარს, ნაკლებად აჰყოლოდა გრძნობებს და უფრო ფხიზლად ყოფილიყო. სიფხიზლე ყოველთვის საჭიროა, განსაკუთრებით კი, ამგვარ სულელურ სიტუაციაში, როცა ჯერ ისიც გასარკვევია, თუ რა სახის ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს საერთოდ მოხალისე ბებერსა და სიცოცხლის მოძულე ახალგაზრდას შორის. სიფხიზლე აუცილებელია, რადგან ყველა ახალგაზრდა, შვილი იქნება თუ სიძე (მით უფრო, ნასიძარი), ერთნაირად სახიფათოა და სახიფათოა, უპირველეს ყოვლისა, სხვათა შეხედულებათა გაუთვალისწინებლად ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულებების გამო. დაუკითხავად დაგისკუპდება გვერდით და თანამზრახველად, თანამოაზრედ გაგიხდის ისედაც თვითმკვლელობამდე მისული შვილის წინააღმდეგ. მაგრამ, სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის. უფრო სწორად, იმედია, ასე არ ფიქრობს ანტონიც. უბრალოდ, ჯერჯერობით, ვერ აგებინებენ ერთმანეთს, თორემ, ორივემ მშვენივრად იცის, გაცილებით მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილენი არიან, ვიდრე კიდევ ერთი უბედური სიყვარულია, ანდა კიდევ ერთი დანგრეული ოჯახი... ამ საქმეში, მთავარი ისინი კი არა, რაჟღერ კაშველია. მთავარია, ცულის მოღერება რომ გაუბედეს რაჟღერ კაშველს საკუთარ ჭერქვეშ, გნებავთ, საკუთარ გოდორში, რასაც შეიძლება მართლა მოჰყვეს სერიოზული ცვლილებები, არა მარტო დამოყვრებული ოჯახებისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის და საერთოდ მომავლისთვის... ეს კი, მოგეხსენებათ, უმსხვერპლოდ არ ხდება. თუმცა, მსხვერპლი უკვე საკმარისზე მეტია გაღებული და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ორით მეტი იქნება ის, თუ ორით ნაკლები... მთელი თაობები იღუპებიან ზედიზედ, ზეზეურად... უკვალოდ ინთქმებიან დრო-ჟამის უფსკრულში, როგორც სპიგემენტების ქარაფნები ვეშაპის ხახაში. დამპალი ხორცი სცვივით გზადაგზა... ჩაგიხედავთ მათ უძირო, გამოცარიელებულ თვალეში?! მოგისმენიათ მათი უაზრო ბლუკუნი?! ანტონიც, ლიზიკოსი არ იყოს, ერთი იმათაგანია მხოლოდ, ანუ, მეტასტაზია და, ამდენად, ნაკლებად საინტერესო, თუნდაც, მედიცინის თვალსაზრისით. მედიცინა უძღურია მეტასტაზის წინაშე და უძღურია იქნება ყოველთვის, თუკი სენის მისვარ ბუნავს ვერ მიაკვლევს... ჰოდა, დღეს მიაკვლია, ანტონისა და ლიზიკოს წყალობით. არათუ მიაკვლია, ბუნავში მთვლემარე მხეციც შეაშფოთა საფუძვლიანად... თუნდაც მარტო ამიტომ, ანტონიცა და ლიზიკოც, თავიანთი უბედურებით, უმალ თანაგრძნობასა და თანადგომას უნდა იმსახურებდნენ ჩვენგან, ვიდრე ზიზნარევი სიბრალულს... ასეთია ელიზბარის აზრი, ასე ვთქვათ, "კაშველების საქმესთან" დაკავშირებით და ამიტომაც ზის ახლა აქ, ამ უკაცურ ბაღში, უსახლკარო მაწანწალასაკით... ემიგრანტივით... ვერის ბაღში ზის, აუზთან, როგორც ექვთიმე მჯდარა პარიზში, ლუქსემბურგის ბაღში... თვალნათლივ წარმოიდგინა კიდევ მზემიშუქებულ სკამზე ჩამომჯდარი თეთრად თმადათოვლილი მოხუცი: ქარისგან დაშაშრული ხელის მტევნები მუხლებზე დაუწვევია, მზეზე თბება, და ისინიც, მშვიდად, უძრავად წვანან, თვინიერი და სითბოს მოყვარულ ცხოველებივით. მაჯებგადაქეილი პალტოს საყელო მადლა აუწვევია, მაგრამ მაინც სცივა, რადგან მისი მშობლიური კერა აქედან ძალიან შორს არის, სულ სხვა სამყაროში, სრულიად სხვა ასტრონომიულ თუ გეოგრაფიულ განზომილებებში... სიბერის ცრემლით მარად სველი თვალეები გულისამაჩუყებლად უბრჭყვიალებს, აღსასრულის მოახლოების მაუწყებლად, ის კი გაზაფხულის მზეს ეფიცება, გულში იმედნასახული, და აუზის გარშემო მოგროვილი ბავშვებისა და მათი გადიების ცქერით ერთობა. აუზში ნაგავი კი არ ტივტივებს, როგორც აქ, ვერის ბაღში, არამედ ფერადაფრებიანი სათამაშო ხომალდები დასრიალებენ, რომლებსაც ერთნაირი ინტერესით უყურებენ, როგორც ცელქი, ლამაზი ბავშვები, ისევე მათი ხალისიანი, სანდომიანი გადიები... "კიდევ

ერთი გაზაფხულიო" — ფიქრობს მზეს მიფიცხებული მოხუცი, უღარიბესი ემიგრანტი და, ამავე დროს, არარსებული ქვეყნის ორმოცსაუკუნოვანი საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი. ხვალის იმედით, დღევანდელს უძღვება, გუშინდელის გადასარჩენად. ელიზბარმა კი, მისგან განსხვავებით, არც იცის, რა ევალება, რა უნდა დაიცვას აქ, სამშობლოში, რაღა დარჩა გადასარჩენი... კი ბატონო, ელიზბარი თანახმაა, მზადაა, ექვთიმესავით, ისიც საკუთარი ნებით ეცვას ჯვარს სამშობლოს გოლგოთაზე, მაგრამ არც საჭურჭლის კლიტე მიუცია ვინმეს მისთვის და არც საჭურჭლის ადგილსამყოფელი უჩვენებია. ექვთიმეს დაავალეს და იმანაც დაივალა, ყველაფერი გვერდზე გადადო, ყველაფერს შეეღიბა... ელიზბარი თუ მწერალია, ის დვაწლმოსილი მეცნიერი გახლდათ, აუდიტორიების, კათედრების, სხდომათა დარბაზების, ლაბორატორიების, წიგნთსაცავების ბინადარი, აბორიგენი, მაგრამ როდესაც ბედმა ერთხელ კიდევ დაწოკებული სამშობლოს საგანძურის მოვლა-პატრონობა დაავალა და ემიგრაციის ეკლიან გზას გაუყენა, ხის ყუთებში ჩამწვედუელ სამშობლოს სულთან ერთად, ისიც მკაცრ, მოუსყიდველ და ფხიზელ დარაჯად გადაიქცა მაშინვე. ოცდაერთის თებერვალში, უფროსი რაჟდენ კაშელის სიხარბესა და სისასტიკეს გაარიდა მრავალგზის გარდაცვლილი, მაგრამ მაინც უკვდავო, დაუღვეველი სამშობლოს ორმოცსაუკუნოვანი საგანძური, ათას დამპყრობელს, ქურდსა და ავაზაკს, ძაღლსა და მამაძაღლს გადარჩენილი, თავმოკვეთილი მეფეებისა თუ ძუძუებდაგლეჯილი დედოფლების წყალობით. მისი მეუღლე, სადამოლობით, ფორტეპიანოზე უკრავდა რომელიღაც კინო-თეატრში, ასე ვთქვათ, "მუსიკალურ ფონს" ქმნიდა მუნჯი ფილმებისთვის, მაგრამ ის ორივე კაპიკი, რასაც კინო-თეატრის პატრონი უხდიდა, განძის შესანახი ქირის დასაფარადაც არ ყოფნიდათ. ერთი თხა ჰყავდათ და იმის რძით იბრუნებდნენ სულს. ცოლი ფორტეპიანოზე უკრავდა, ქმარი კი, თხას მწყემსავდა ლევილის ზურმუხტოვან მინდვრებზე, თხას იყო მიჩერებული, მილიარდების პატრონი. ერთი ნივთი მაინც რომ გაეყიდა იმ საგანძურიდან, ნებისმიერი ზომისა და წონისა, საკუთარი კუნძული ექნებოდა წყნარ ოკეანეში, მთელი დღე გამაკში იწვებოდა, ძველ ფოლიანტებსა და წიგნებში ჩაფლული, და შიშველი ველური გოგონები პალმის შტოებით გაუნიავებდნენ მეცნიერული ვარაუდებით შეჭმუნულ შუბლს... მაგრამ გულშიც არ გაუვლია მსგავსი მკრეხელობა. რასაკვირველია, ბევრი მამულიშვილური საქმის გაკეთება შეიძლებოდა ამ ზღაპრული სიმდიდრით — თუნდაც, დედაენის გამოცემა თურქეთის საქართველოსა და ფერეიდანის ქართველებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ, უკვე სანახევროდ გადაჯიშებული ემიგრაციის ფიზიკურ გადარჩენაზე — მაგრამ ვერც ქართველთა ნოე შეაცვლევინებდა აზრს და ვერც ემიგრირებული მთავრობის სრული შემადგენლობა. მისთვის, ყუთებში ჩაკეტილი სიმდიდრე, უპირველეს ყოვლისა, რეალურად არსებული სიმბოლო იყო, თუნდაც, იმუამად, რეალურად არარსებული ქვეყნისა. საკუთარი შვილი რომ ენახა (მით უფრო რომ, არასოდეს ჰყოლია), ლიზიკოსავით მაჯებგადახვეული და სასიკვდილოდ გადადებული, იმის წამლისთვისაც ვერ შეეღვოდა თავმოკვეთილი მეფეებისა და ძუძუებდაგლეჯილი დედოფლების ხელშენაველებ ნივთებს. იმ ნივთებშიდა სახიერდებოდა მისი უბედური სამშობლო და ვიდრე ის ნივთები არსებობდნენ, სამშობლოც არსებობდა; ვიდრე იმ ნივთებს ვიდაცა მაინც პატრონობდა, თუნდაც, იქით მისახედი და იქით საპატრონებელი მოხუცი, ესე იგი, არც მისი სამშობლო იყო მთლად უპატრონოდ მიგდებული. ამის რწმენა აძლებინებდა ლევილის გამოყრუებულ თავშესაფარში, სადაც (ცოლის სიკვდილის შემდეგ) მარტო უმკლავდებოდა უსახსრობასაც, უძღურებასაც, უმეგობრობასაც, შიშსაც, შიმშილსაც, სიცვივსაც, სენსაც, ასაკსაც... ყველაფერს, რასაც მისი საგანძურის ხელყოფა შეეძლო, იმ ყუთების დაშლა-დაბზარვა, რომლებშიც სამშობლოს სული ჰყავდა ჩამწვედუელი უკეთესი დღისთვის, იმ დღისთვის, როცა უსაშველოდ, უსახდვროდ მომთმენი და სამართლიანი ღმერთი, მის გაცამტვერებულ სამშობლოს ერთხელ კიდევ მოაგროვებდა პეშვში, ერთხელ კიდევ გადახელდა, ერთხელ კიდევ აღდგენდა პირვანდელ სახეს და ახლა უკვე სამარადისოდ ჩაჰბერავდა ბებერი დარაჯის სიჯიუტით გადარჩენილ სულს... "ექვთი-მევე! ექვთი-მევე!" — ლევილიდან ეძახდა, აფხიზლებდა თხა, გაზაფხულის მზეზე თვლემამორეულს. "მადლობთ, ჩემო

ამალთეა... შენ მაინც იცი, რამხელა საქმეს ვემსახურებითო" — ემაღლიერებოდა, ეფერებოდა იქიდან, ლუქსემბურგის ბაღიდან, რა თქმა უნდა, გუნებაში, გიჟი რომ არ ჰკონებოდათ აუზის ირგვლივ მოთამაშე ბავშვებსა და გადიებს. თხამ იცოდა, ელიზბარმა კი არ იცის, "რამხელა" საქმეს ემსახურება, საერთოდ, ვის რა სიკეთეს მოუტანს მისი ომში წასვლა, ძველი სახელი და დიდება დაუბრუნდება ამით მის სამშობლოს თუ მიტაცებული მიწები?! ჯერ მარტო გახიზნულებმა რამდენი წაიდეს, ზოგმა მუჭით, ზოგმაც ხურჯინით... მტერსაც და მოყვარესაც, მაინცდამაინც, მისი მიწა არ ყოფნის და საქართველოს ყოველი ახალი სახეობა, ახლებურად შეკრეჭილ-შეკვეცილი, იმდენად განსხვავდება წინამორბედისგან, ხათრით თულა დაუძახებ საქართველოს. მაგრამ რაც არ უნდა დაეინდეს და დაპატარავდეს ქვეყანა, მისთვის ფასდაუდებელი, მისთვის აუწონავი საგანძური მაინც დარჩება. განა ანტონი იგივე საგანძური არ არის?! უფრო მეტიც, ანტონზე ძვირფასი დღეს აღარაფერი გააჩნია ამ ქვეყანას და ვისაც ქვეყნის გადარჩენა სურს, პირველ რიგში, ანტონი უნდა გადაარჩინოს... ამიტომაც, თავცოცხალი, ფეხს არ მოიცვლის ელიზბარი აქედან, ვიდრე მოხალისეები არ გამოჩნდებიან (თუკი მართლა მოვა ვინმე, მასავით სულელი), ვიდრე საბოლოოდ არ გათენდება და ვიდრე ქვეყანა ისევ ქვეყანას არ დაემსგავსება, შესახედად მაინც...

— არ გეკადრება, ჩემო ანტონ, ნამდვილად არ გეკადრება — გაიცინა ელიზბარმა — ერთი შეგახედა, რას გაფხარ...

— თქვენი არ ვიცი... — გაიცინა ანტონმაც. თან პირზე იფარებდა ხელს, დახეთქილი ტუჩები ტკიოდა (ელიზბარმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია პირველად, მთელი სახე ჯერ კიდევ ღია, სისხლჩამღვარი ჭრილობებით ჰქონდა იმას დასერილი) — თქვენი არ ვიცი, მაგრამ, პირადად მე, ყელამდე ვარ თავისუფლებით... გონზე ვერ მოვსულვარ... ჯერ სანტექნიკოსივით დამათვრეს, მერე ბაზრის ქურდივით მცემეს... მგონი, არც თქვენ იტყოდით უარს ჩემს გალახვაზე, მაგრამ წინასწარ მინდა გაგაფრთხილოთ, არ მიყვარს, როცა მირტყამენ... ასე რომ, აღარ ვთამაშობ... მეყოფა... საკმარისია... ისევ მშობლიური ციხე მირჩევნია... მაგრამ იქაც აღარ მიმესვლება, ჩემივე სიბრყვით გამო... მე ხომ მამა მოგვკალი... არ გაგიგიათ?! აღარ არსებობს ჩემთვის... არადა, თუ რამე იყო მშობლიური, ის იყო... ისიც კი ვერ გავარკვიე, ცოლს წავასწარი მამასთან, თუ მამას ცოლთან... მაგრამ აღარც მორალური მხარე მაინტერესებს ამ საქმისა, აღარც ამორალური... ასედაც მოვახსენე ჩემს გამოძიებელს... სამძიმრისთვის დაგიგვიანდათ, მიტყვებაზე ჯერ ფიქრიც ადრეა...

— მთავარია, ღირსება შეეინარჩუნოთ — ადელდა უცებ ელიზბარი — ყველაფერი ვანაცვალოთ ღირსებას, ცოლიც... თავიც... უიმისოდ აღარც სიცოცხლეს ექნება აზრი... ღირსება იგივე სამშობლოა...

— მთავარია, საბაბი გქონდეს, ძია ელიზბარ... საბაბი! — შესძახა ანტონმა და ტკივილებისგან უშნოდ დაიძანჭა — მე მქონდა საბაბი — გააგრძელა დაძაბულად, ფრთხილად, საკუთარ სხეულს მიყურადებულმა — საბაბი ნამდვილად კარგი მქონდა და იმიტომაც გამომაპანდურეს ციხიდან... გაითვალისწინეს რა, როგორც იმათი მეტად ეფექტური, ასევე ჩემი არანაკლებ აფექტური მდგომარეობა, ოცდასამწლიანი პატიმრობა უვადო თავისუფლებით შემიცვალეს... როცა მინდა, სადაც მინდა და რაც მინდა... დუქნებში ძველ ჩეკისტებთან ვქეიფობ, ღამის ბარებში — დამწეებ ბიზნესმენებთან. მგონი, გავცისფერდი კიდევ... ყოველ შემთხვევაში, კოლექტიურ სექსსაც გავუბე გემო და ჯგუფური გაუპატიურების ობიექტიც ვყოფილვარ...

— ეგ არ არის თავისუფლება... შენც მშვენივრად იცი და ტყუილად ნუ ისულელებ თავს — შეუწყრა ხმაში ღიმილგარეული ელიზბარი — თავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორია. მატლი კი გაჭუპრდა, მაგრამ ჭუპრიდან პეპელა ჯერ არ ამოფრენილა... იქნებ შენ ხარ ის პეპელა, ჰა?! — მთელი ტანით შემობრუნდა ანტონისკენ.

— მატლი ნამდვილად ვარ... — ხელები ასწია ანტონმა — ბავშვობიდანვე მატლის მხარეზე ვიყავი... ერთხელ ობობას გავაგდებინე ხელიდან და იმის მერე ვისჯები. ის ობობა ჩემს სულშია ჩაბუდეული და გრძელი, ეკლიანი საცეცებით შიგნიდან მიკაწრავს სულს, როგორც კი გავინძრევი...

ელიზბარს ჟრუანტელმა დაუარა, სულში ჩაბუდებული ობობის წარმოდგენაზე, მაგრამ არაფერი უთქვამს. ან რა უნდა ეთქვა?! რითი უნდა ენუგეშებინა ამგვარი ანომალური სენით შეპყრობილი ადამიანი?! ბრეხენტის ჩანთა გახსნა და რაღაცას დაუწყო შიგ ძებნა. სინამდვილეში, არ უნდოდა ანტონსაც შეემჩნია მისი შეკრთომა. "ამ ქვეყნისა აღარ არისო" — ფიქრობდა შეშფოთებული. არადა, სწორედ ანტონია ერთადერთი კანონიერი და უფლებამოსილი პატრონი ამ ქვეყნისა და სწორედ ისეთია, როგორც ამ ქვეყანას შეეფერება: ცოტა გადამცდარია ჭკუიდან (თანდაყოლილი ალგუნებულობის გამო), მთვრალი არ არის, მაგრამ მთვრალივით ლაპარაკობს, უაზროდ და გაუთავებლად, თუმცა, რასაც ამბობს, მართლს ამბობს; თავს დამნაშავედ არ თვლის არავისა და არაფრის წინაშე, მაგრამ ეამაყება ბოროტმოქმედისა და მკვლელის სახელი; წინასწარი განზრახვით, არც არავის მოკვლას აპირებს, არც არავის შემორიგებას, მაგრამ ერთისთვისაც მზადაა და მეორისთვისაც, გააჩნია, როდის რა გუნებაზე იქნება; რა თქმა უნდა, ცოტა ხულიგანიცაა და მაწანწალაც, რადგან ასეთია თითქმის ყველა მისი თანატოლი ბიჭიც და გოგოც, ცხოვრების წესიდან გამომდინარე და მსოფლიოში დადგენილი ეთიკური ნორმების შესაბამისად. ხოლო, თუკი ფილოსოფიურ-პოეტური კატეგორიებით ვიმსჯელებთ, გიჟის ხელში მოხვედრილი დანაა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე დაუდევრობისა და უხერხემლობის წყალობით. მართლაც დანას ჰგავს — გარეგნულადაც და თვისობრივადაც — ბასრია, ცივი, სახიფათო... მაგრამ იქნებ შენ გევალება იმის გადარჩენა, თუკი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შესაძლებელია ეს?! ესეც თან წაიყვანე... იქნებ ცეცხლით განიწმინდოთ ორივენი?! იქნებ ესაა შენი მოწოდება და არ იცი?! თავი მწვერალი გგონია. არადა, ხომ შეიძლება, მართლა წინასწარ ჰქონდეს ღმერთს ყველაფერი ჩაფიქრებული?! აბა, მაინცდამაინც, შენ რატომ უნდა გაგჩენოდა ლიზიკო და, მაინცდამაინც, კაშელებს რატომ უნდა დანათესავებოდი, გენეტიკური ანტიპოლი კაშელებისა; ანტონიც, მაინცდამაინც, დღეს რატომ უნდა "გამოსულიყო ციხიდან" და, მაინცდამაინც, შენ რატომ უნდა მოგჯდომოდა გვერდით, მაინცდამაინც, ამ ბაღში?! რასაკვირველია, შემთხვევითობაც გასათვალისწინებელია, მაგრამ... არავითარი მაგრამ! (გაუწყრა თავს ელიზბარი). არავითარი მაგრამ?! (გაიმეორა ჯიუტად). ერთი დაბნეული კრავიც რომ დააბრუნო ფარაში, დიდი ამბავია. ჩაკიდე ხელი და დააბრუნე. თუ მართლა ხარ რამის გამკეთებელი, გაუწიე ექვთიმობა. როგორი საგანძურიცაა, ისეთი ექვთიმე მაინც იყავი, თუ მართლა თვალთმაქცი არა ხარ, როგორც შენს შვილს ჰგონია. მაგრამ ელიზბარი თვალთმაქცი კი არ არის, ისიც ჩვეულებრივი მდილია, უვნებო, უგრძობელი, და მასზე უკეთ არავინ იცის, რის მაქნისია, რა შეუძლია, რას გასწვდება მისი ძალა და გონება. მართალია, სურვილიც არ არის ცოტა, მაგრამ მარტო სურვილით ვერ შეაბამ კატას ეჟვანს. არა მარტო უნდა გსურდეს, უნდა შეგეძლოს კიდევ კატის მოკვლა. პირდაპირ რომ ვთქვათ, ელიზბარსაც თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის უძღურება სჭირს, ელდისმიერი, მისი გადამყლაპავი ურჩხულის ნაწლავიდან გამოყოფილი. ეს მათი საერთო, ეროვნული, ისტორიული უძღურებაა, ექვსასწლიანი სიბნელის, უპაერობის, უმოდრაობის შედეგი, და ერთად უნდა დაიხსნან მისგან თავი, ან ერთად შეეწირონ. ცალ-ცალკე ვერ მოერევიან. რამაც არ უნდა აიძულოთ ცულის ხელში ადება, ცალ-ცალკე ვერაფერს გახდებიან, იმის მოკვლის ჟინსაც ვერ მოიკლავენ, უმალ ისევ ის ჩაიბრუნებთ თავის სტომაქში, სტომაქის ლორწოვან სიმჟავეში, სიმყრალეში და, შეიძლება, უკვე სამუდამოდაც, შეიძლება, აღარ ამოარწყოს ორგზის უკვე ჩაყლაპული, მომზადებულად ჩათვალოს მოსანელებლად. ელიზბარიც ხომ ამ უძღურების დასაძლევად მიდის ომში, თუმცა, დარწმუნებული არ არის (მით უფრო, ანტონთან შეხვედრის შემდეგ), სასურველი შედეგი გამოიღოს ამა. ისინი ხომ საერთო სენით არიან დასნეულებულნი და ათაშანგიანი ცოლ-ქმარივით, ცალ-ცალკე არც ერთის მკურნალობას არა აქვს აზრი. ცალ-ცალკე მათი თავგანწირვაც უაზრობაა: აფექტი, აკრობატული ტრიუკი, სულისშემძვრელი სანახაობა... ამიტომ, ჩაკიდე ხელი და წაიყვანე. განა ცოტაა, ერთმა უძღებმა შვილმა მაინც გაიგოს, რა ხდება მის თავს, რატომ არის ამ დღეში?! ჩაკიდე ხელი და დააყენე გზაზე, აუხსენი, დღეს და გუშინ რომ არ დაწყებულა თქვენი უბედურება, ბევრი ამგვარი უსინდისობა რომ გადაგიტანიათ, თუკი ამას გადატანა ჰქვია. მას მერე, რაც რომის პაპმა პიომ ბიზანტიიდან ოსმალების

განდევნა განიზრახა და დახმარების სათხოვნელად გამოგზავნილ ვინმე ლუდოვიკო ბოლონიელს საქართველო თავის ადგილზე აღარ დაუხვდა... და ასე შემდეგ, ასე შემდეგ... მართალია, ბევრი დაკარგეთ (თუნდაც, თქვენი კანონიერი ადგილი რუკაზე!), მაგრამ ვიდრე იბრძოდით, ხალხი გერქვით. მაინც ანგარიშს გიწვედათ მტერი. ხოლო, როცა ხმალი ქარქაშში დაგიჟანგდათ და თქვენი მუხარადი პრისტავის ცოლმა საწოლის ქვეშ შეიღვა, ღამის ქოთნად, ადგილი კი არა, სახეც დაკარგეთ... სამაგიეროდ, სიბრძნე შეიძინეთ, გაპოეტდით, ანდაზები შექმენით, თქვენი უილაჯობისა და მტრის სივერაგის შესატყვისი. სხვათაშორის, ისიც განძია, იმასაც სჭირდება თავისი ექვთიმე. აი, ის ანდაზები ასწავლე, დააზვირვე, აუხსენი, რატომ მოერევა ზურგწამხდარ ცხენს პატარა კოდოც, თუკი პატარა კოდოს დიდი მგელი მიესმარება. თუ ომია, ომი იყოს! მერე რაა, ამჯერადაც თუ დამარცხდებით. დამარცხება ჯერ კიდევ არ ნიშნავს დასასრულს. დასასრული მშვიდობაა. ყველა ომი მშვიდობით მთავრდება. სამარისებური სიმშვიდე დაისადგურებს ირგვლივ და შენც მხოლოდ მაშინ მიხვდები, ყველაფერი დამთავრებულია შენთვის... მაგრამ ამაზე იქ ილაპარაკეთ, წინა ხაზზე, ბედისწერის პირისპირ დარჩენილებმა. ახლა მთავარია...

— ახლა მთავარია, რამე ჩავიცვათ — თქვა უცებ ელიზბარმა.

ანტონი სასწრაფოდ წამოღდა ფეხზე. ეტყობა, ტანსაცმლის ხსენებამ კიდევ უფრო გაუმაფრა სიცივის შეგრძნება. მკერდზე გადაჯვარედინებულ ხელებს გამეტებით იტყაპუნებდა შიშველ, ეკალდაყრილ ხორცზე. ბაღში უკვე თენდებოდა. დამარცხებული წველიანი უზუმრად იწრიტებოდა საკუთარ ბზარებში. ფეხებმორყეულმა მუყაოს სტენდმა გაუბედავად გამოალაჯა სააშკარაოზე. მკერდზე თეატრალური აფიშა აეკრა. უფრო სწორად, ვერ აეკრა წესიერად და უშნოდ, უსიცოცხლოდ ეკიდა ზედ, ფრთებჩამოყრილი და საკმაოდ შელახული. ელიზბარი ისევ ზურგჩანთაში იქექებოდა. შეიძლება, ასე არიდებდა ანტონს თვალს. დღის სინათლეზე, არა მარტო ამაზრზენი სანახავე იყო, არამედ გულისამაჩუყებლად, სულისშემძვრელად უმწეოც, დაუცველი... ყოველ შემთხვევაში, სრულებით აღარ ჰგავდა იმ ანტონს, ვისაც ასე თავგამოდებული ანსახიერებდა სიბნელეში...

ანტონმა აფიშა დაუდევრად ჩამოხია და უხეში, წებომიმხმარი ქაღალდი მხრებზე შალივით მოიგდო, რაკი მთლიანად ვერ გაეხვია შიგ. აფიშა აშკარად პატარა იყო საამისოდ. "აი, რას გვასწავლის ციხეო" — ლაპარაკობდა თავისთვის — "ყველაფრის გამოყენება შეიძლება არადანიშნულებისამებრო". მაგრამ არადანიშნულებისამებრ გამოყენებული აფიშა ბეჭებს უხეხავდა მხოლოდ, გათბობით კი ვერ ათბობდა. მხრებზე აფიშამოხვეული და დედაბერივით წელში მოკაკეული, ელიზბარს დაუდგა წინ და დაიჩიფჩიფა:

— გაიკითხეთ მშობლის მკვლელი, ინტელექტუალური არამზადა... შემოსეთ შიშველი, ღმერთი გიშველით...

— აჰა, შე საბრალოე! სულ არარაობას ხომ მაინც აჯობებს?! — უთხრა ელიზბარმა და ერთი საკმაოდ შელახული პერანგი და შალის სეიტრი გაუწოდა, რის შემდეგაც თვალნათლივ შეთხელდა მისი ისედაც ღარიბი გარდერობი.

— ვაშაა! გადავრჩით! — იყვირა უცებ ანტონმა და მხრებზე მოსხმული აფიშა თავს ზემოთ დაიტრიალა დროშასავით. აფიშის სქელი, გაფშეკილი ქაღალდი დუნედ, უხალისოდ ფხრეწდა ჰაერს...

— ჩაიცვი დროზე! გეყოფა მაიმუნობა — შინაურულად შეუწყრა ელიზბარი, კმაყოფილიც და, ცოტა არ იყოს, გაამაყებულციც საკუთარი საქციელით.

ანტონმა მაშინვე გაუშვა ხელი აფიშას და ფაცაფუციტ გადაიცვა ნაწყალობევი ტანსაცმელი. აფიშა ბადის ხრეშმოყრილ ბილიკზე ეგდო, მკვდარი ფრინველივით...

— სამაგიეროდ, ჩემს სურათს გაჩუქებთ. თუ გადარჩა, რა თქმა უნდა — ლაპარაკობდა თან — ვნახოთ, როგორ გადაიტანა აუზში ჭყუმპალაობა. ახლავე შევამოწმებ. სხვა არაფერი მაქვს... პიჯაკის ჯიბეში უნდა მედოს წესით. ზუსტად ჩემთვის მოუქსოვიათ თქვენი სვიტრი. ახლა დიდი ტანსაცმელია მოდაში. მეტი ჩანხარ, ვიდრე ხარ. შეიძლება, აღარ ხარ, მაგრამ მაინც ჩანხარ, ტანსაცმლის წყალობით — ასე, ლაპარაკ-ლაპარაკით, მივიდა აუზთან, პიჯაკის გულის ჯიბიდან სურათი ამოიღო, სისველისგან დამძიმებული პიჯაკი ისევ აუზის კიდეზე დააგდო და, სურათთანად, მიბრუნდა ელიზბართან. გზაში რამდენჯერმე გადაუსვა ხელისგული სურათს, დაჭმუჭნული და ამობურცული ადგილების გასწორება სცადა — აი, საიდან მოვიდვარ მე! — თქვა ყალბი სიამაყით — საოჯახო ფოტოდან. ნახეთ, რას ვგაყვარ. ნაღდი დებილი ვარ. არც ახლა მეთანხმებით?!

ელიზბარი ზურგჩანთის ზონარს კვანძავდა, ანდა, ანტონს აჩვენებდა, ვკვანძავო, ვითომ, ხელები დაკავებული მაქვს და სურათს ვერ ჩამოგართმევო. დახედვითაც ზერელედ დახედა, ერთი წამით, უფრო გაუბედავად, ვიდრე უინტერესოდ. თითქოს ახლობლის გვამს უჩვენებდნენ ამოსაცნობად...

— არც შენ არა გაქვს სხვა გზა — თქვა მოულოდნელად, რადგან უცებ, ჭადრაკის სასახლის წინ, რამდენიმე მოხალისეს მოჰკრა თვალი და თვითონაც ვერ გაარკვია, ეწყინა თუ გაუხარდა იმათი დანახვა. სამაგიეროდ, ერთბაშად განთავისუფლდა გაურკვევლობის მარწმუნებებიდან და დამშვიდდა კიდეც — მე მგონი, შენ გექებენ ის შეიარაღებული ბიჭები — უთხრა ანტონს და თვალის ჩაუკრა თანამზრახველივით.

ანტონმა უნებურად უკან მიიხედა, ჭადრაკის სასახლისკენ, იმანაც დაინახა უცხო ხალხი, მაგრამ იხტიბარი არ გაუტყხავს, ისევ გაუწოდა სურათი ელიზბარს და ჩვეულებრივად გააგრძელა:

— ამას ქალი როგორ გაატანეთ, ძია ელიზბარ?! ეს ხომ ცხვირმოუხოცავი ლაწირაკია. აბა, კარგად დააკვირდით. არაფერი გაეგება ამ ქვეყნისა. სამწუხაროდ, ასეთებიც იბადებიან. მარადიული ყვინჩილა. უბიბილო და უდეზებო მამალი. ჩვეულებრივი ქათამი, ოღონდ, მამრობითი სქესისა. თუმცა, ესეც საკითხავია უკვე. სიმწიფის ძიძიბი ამოუვა ცხვირზე, ანდა ნიკაპზე, და აღარ მოეშვება, ვიდრე არ გამოირწყავს. იმ ძიძიბთან ერთად სკდება მისი ფარული ოცნებების ფერადი ბუშტიც, ანუ, გულზბრყვილო წარმოდგენა ცხოვრებაზე, რაც, სხვათაშორის, თქვენი დიდი მეცადინეობითაც შეექმნა ჯერ კიდეც ბავშვობაში... ასეთი ლაპარაკიც თქვენგან ისწავლა, მხატვრული, მაღალფარდოვანი... მაგრამ, სიკეთესთან ერთად, ცოტა გამბედაობაც რომ მოეცა თქვენთვის ღმერთს, აქამდე არ მივიდოდა საქმე. თქვენ უნდა მოგეკალით, თანაც, თავის დროზე, და მაშინ ყველანი გადავრჩებოდით. ყოველ შემთხვევაში, ჩემს მადლს ნამდვილად მოისხამდით... ხომ გახსოვთ? სტყორცნა სიმამრმა, მოკლა მან სიძე! სიძე-სიმამრი სანადიროდ მიდიან (ომიც ნადირობაა), თოვლიან მთაზე, სადაც ვიღაცამ — ალბათ ამჟღავნებულმა ბარბარემ — ია დათესა და ვარდი ამოვიდა. ვარდი სისხლის შხეფია, თოვლზე გადასხმული. სიძის სისხლია. ჩემი სისხლია, რომელიც თქვენ უნდა დაგელვართ და ვერ დაღვარეთ, თუმცა, მხოლოდ ასე გადაარჩენდით შვილს... და არა მარტო შვილს. შვილო, ბარბარე, მე რა გახარო, ქმარი მოგიკალ, თავს ნუ მოიკლავ... ბარბარეები თავს არ იკლავენ... მკვლელებს აჩენენ...

— სხვა გზა არა გაქვს — გააწყვეტინა ელიზბარმა, აშკარად გაღიზიანებულმა სიძის ინტერპრეტაციით.

მაგრამ ანტონმა ისევ მოუყრუა.

— მე არაფერი არ ვიცი, ბატონო მოსამართლე! — გაჯამბაზდა უარესად — მე ვიცი, რომ გამალოთეს, მე ვიცი, რომ გამრყენეს, მე ვიცი, რომ გამაუპატიურეს, მე ვიცი, რომ მოკვლაც უნდოდათ ჩემი, მაგრამ ვერ მივართვი... თქვენ რას მიპირებთ? ცუდი არაფერი ჩაიდოთ გულში, ჩვენი ძველი ნათესაობის ხათრით. იცოდეთ, წინასწარ თანახმა ვარ ყველაფერზე...

ობმოკიდებულ, დამყაყებულ აუზსა და ჭადრაკის სასახლეს შორის უკვე ჯგუფებად იდგნენ მოხალისეები, თავიანთ გამცილებლებთან ერთად. ზოგს სანადირო თოფიც გადაეკიდა მხარზე (ჩაცმულობითაც უფრო მონადირეებს ჰგავდნენ, ვიდრე მეომრებს), მაგრამ, მიუხედავად ხალხის სიმრავლისა, რატომღაც, სამარისებური სიჩუმე იდგა ირგვლივ. ანტონს ახლა უფრო აებურებნა კანი, ვიდრე წელან ებურებნებოდა სიცივისგან. სწორედ ასეთი სიჩუმე ჩამოვარდა ამ ორი დღის წინ მათ სამზარეულოში, როცა იქ საკუთარ ცოლს წაასწრო საკუთარ მამასთან და მაგიდიდან, თითქოს საგანგებოდ მისთვის გამზადებული, ცული აიღო აცხცახებული ხელით. ჩიტებსაც გაეკმინდათ ხმა. თუ შეიძლება ასე ითქვას, თვალში საცემი, ხელშესახები სიჩუმე იდგა, ისმოდა, იგრძნობოდა და ჩანდა კიდევ. გვერდობდათ, აქ მოსვლამდე, ელიზბარისა არ იყოს, არცერთ მოხალისეს არ სჯეროდა, მართლა თუ მოვიდოდნენ სხვებიც, მართლა თუ მოუწევდათ გამოუცხადებელ ომში წასვლა და მხოლოდ აქ, თითქმის უკანასკნელ წამს, შეეგრძნოთ თავიანთი გადაწყვეტილების სერიოზულობაცა და, ერთი შეხედვით, ვითომ გასართობი, სათამაშო, მემკვიდრეობით გადმოსული ომის მთელი სისასტიკეც. ერთ-ერთ ჯგუფში, უფროსების ფერხით, პატარა გოგო ჩაცმულიყო და მამას (შეიძლება, უფროს ძმას) რაღაცას უღებდა თუ უმოწმებდა ზურგჩანთაში, მთელი არსებით დანთქმული ამ ქალურ, მშვიდობიან საქმიანობაში. უფროსებს კი, დაძლეული შიშის, ფარული იმედის, ბუნებრივი სიამაყისა და გაურკვევლობის საზეიმოდ ამღვლებული განცდა დაუფლებოდათ და იმიტომაც დუმდნენ ალბათ, როგორც მორწმუნენი ტაძარში, ანდა, თავისუფალი და ფეხზე მყარად მდგარი ქვეყნის შვილები სახელმწიფო ჰიმნის მოსმენისას. უმრავლესობა ვეღარასოდეს შემოვიდოდა აქ, ვერც თბილისური პაპანაქებისგან თავის დასაცავად და ვერც ფეხბურთის ახალი ამბების გასაგებად. საერთოდ ვეღარ დაბრუნდებოდა მშობლიურ ქალაქში, დასამარხადაც კი, რადგან ვერცთ წოდებული "მცოცავი ომი" გაცილებით სერიოზული, ღრმად შენიღბული და შორს გამიზნული ღონისძიება გახლდათ, ვიდრე ვერის ბაღში ამ დილაუთენია თავშეყრილ მოხალისეებს წარმოედგინათ...

II

მზით გაბრტყევილებული სივრციდან, მოულოდნელად, კრაზანა შემოიჭრება სანგარში — გერმანული დროშის ფერებით მოხატული, ბრაზიანი, მოხსუბარი, მოუშორებელი — და ერთი წამით ისევ გაგიკრთება ძილი, თუკი ამას ძილი ჰქვია — მოშლილი მარიონეტით აკანტურებ თავს განუწყვეტლივ და ასევე განუწყვეტლივ, ოღონდ, უშედეგოდ ცდილობ, როგორმე მოაშორო ერთმანეთს თითქოს კუდიანი დედაბრის ბანგით გაწებილი ქუთუთოები. მოკლედ, არც გძინავს, არც გღვიძავს; არც მკვდარი ხარ, არც ცოცხალი. მაგრამ, სულ ცოტა, ორმოცი საათი მაინც უნდა გაძლო აქ, თუნდაც იმის გასარკვევად, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი. სანგარიც ნაირსახეობაა სამარისა, ანდა, საცდელი, სავარჯიშო, მოსამზადებელი სამარეა, მაგრამ სრულებითაც არ არის აუცილებელი, იქიდან პირდაპირ სამარადისო სამარეში გადაინაცვლო. სავსებით დასაშვებია, ცოცხალიც ამოხვიდე უკან. ქრისტე ორმოცი საათი იყო დამარხული და აღსდგა. მაგრამ სწორედ ორმოცი საათის გაძლებაა ძნელი. სამარადისოდ ყველას შეუძლია მიწაში წოლა, დროებით კი — მხოლოდ რჩეულთ. დრნგ. მხოლოდ იღბლიანთ. დრნგ. ჩვენ რომ აქ მოგვიყვანეს წუხელ — პირველი სრულებობდა — ოთხი გვამი წაიდეს აქედან. დრნგ. კიდევ ოთხი უკეთილშობილესი, მამულის სიყვარულით ანთებული სული შეიფარე, უფალო, შენ და განანათლე უკუნითი უკუნისამდე. დრნგ. გუშინ ამ დროს, ვინმეს რომ ეთქვა ანტონისთვის, ომში წახვალ შენი ნებითო, სიცილით მოკვდებოდა ალბათ — სასაცილოდ არა აქვს საქმე, მაგრამ მაინც — ახლა კი, თავის ტოლა ბიჭებში ჩამჯდარა და, ვითომც არაფერი, ვითომც გუშინაც აქ იყო... ვითომც, რაც იქ გუშინ და გუშინწინ გადახდა თავს, აქ დაესიზმრა, სანგრის ნოტიო ფსკერზე მიგდებულს... დრნგ. დრნგ. დრნგ... დრნგ. ეს დაზვის ტყვიამფრქვევია. უცნაური ხმა აქვს. დუნედ მკაცრი. დუნედ მრისხანე. ჩვენ ჩაპაევის დროინდელ ტყვიამფრქვევს გვასროლინებდნენ გორში, "მაქსიმკას". ეს თანამედროვეა. მსხვილკალიბრიანი. არ დაგიტოვებს გადარჩენის შანსს... დამწვარ ბეტეერს მოხსნეს, ტლანქი, მიძიმე, ძნელად დასამორჩილებელი. მეტყვიამფრქვევე კი, აშკარად გამოუცდელი ჩანს. ანდა, ნაბახუსევია და ერთობა. მოწყინდა უქმად ჯდომა და გამოცარიელებულ სივრცეს ეომება. დრნგ. დრნგ. დრნგ. ან "დამსვენებელია". ორი დღით წამოვიდნენ ბიჭები თბილისიდან, ძმაბიჭების მოსანახულებლად, ამბის გასაგებად, და ხომ უნდა მოასწროს რაღაცა?! ხომ უნდა მოჰყვეს შინ, როგორ "იომა?!" დრნგ. შეიძლება, ნერვებმა უმტყუნა, ვერ გაუძლო ამ დაძაბულ, დასაჭქად გამზადებულ დუმილს. შეეშინდა. არ ელოდა. არ სჯეროდა. ვერც კი წარმოედგინა. ვინ იცის, ყოველ შემთხვევისთვის, საცურაო ტრუსებიც გამოაყოლა ხელს. აქ კი, ჯოჯოხეთი დახვდა. დრნგ. შეიძლება, ასე გლოვობს წუხელ დახოცილ თანამებრძოლებს. დრნგ. დრნგ. ასე უთვლის მტერს მუქარას. დრნგ. არ გეგონოს, შეგრჩესო. დრნგ. არ გეგონოს, დამავიწყდესო. დრნგ. რას ამბობ, გიო (ვანო, ირაკლი, თემო...), აფხაზეთში რა გინდა, შეილო? ისე უქნიათ, დაუჭამიათ ერთმანეთი... არა, დედა. მე ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. მას შემდეგ, რაც რომის პაპმა პიომ... და ასე შემდეგ... სისხლი ეძახის. ხორცი ეძახის. ძელები ეძახიან. მადლობთ უფალო, რამეთუ კვლავაც ვყოფილვართ. არ დაწრეტილა ჩვენი თესლი. გონიც შეგვრჩენია და გულიც. მარტო ამის გასაგებად ღირდა ჩამოსვლა ამ ჯოჯოხეთში. დრნგ. დრნგ. ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო... დრნგ. რამდენი ხანია, საქართველოში მეომარი აღარ გაზრდილა... მას შემდეგ, რაც "ურადნიკმა" ფიჩხივით ამოღლიავეებული გამოზიდა შიშისგან ხმაჩაკმენდილ ქოხებიდან ფილთა თოფები თუ პირჩამტვრეული ხანჯლები... მაინც ვომობთ. ყველა ქართველი ბიჭი თავიდანვე მეომრადაა ჩაფიქრებული ღმერთისგან. დრნგ. აი, ჩვენი უკვდავების საიდუმლო. მტერმა ამოხსნა. ჩვენ დავივიწყეთ. დრნგ. ორ ზღვას შუა ძველთაგანვე საომარი იყო მძლეო (თუ ლელო?!)... დრნგ. დრნგ. ტყვიები ან იქვე, ათ მეტრში ესობიან მიწაში, ან ცაში მიფრინავენ, გალიიდან თავდაღწეული მერცხლებივით (მერცხალი და გალია?!). არა უშავს. ისწავლის. გაიწაფება. თუკი იქამდე, ან თავად არ მობეზრდა, ან ხელისუფლებამ არ ამოათრია სანგრისად ყურით, დამთავრდა ომობანაო. დრნგ. დრნგ. დრნგ. არ მოისვენებს, ვიდრე გუშისთვის გაღმა, ფიჭვნარით ჩამოღურჯებულ ფერდობზე, ხის ძირას ჩამჯდარსა და მზისთვის სახემიშვერილ სნაიპერს არ გამოიყვანს მოთმინებიდან, ჩვიდმეტი წლის მურმანსკელ გოგონას, რომელსაც

მარცხენა ძუძუზე კომკავშირელის ღალისფერი სამკერდე ნიშანი უბრჭყვიალებს და რომლის ანგარიშზეც უკვე რვა ასეთი მამლაყინწა მეომარია. ქართველებზე ადრეც ბევრი უცნაურობა გაუგია, რას არ ჰყვებიან, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მაინც გააკვირვებულა: თითქოს კი არ ომობენ, ამას აწონებენ თავს. დრნგ. ერთმანეთს ისე ჰგვანან, ერთსა და იმავე ბიჭს კლავს თითქოს განუწყვეტლივ. დრნგ. თავზე ქოჩორი გადაჰქუხს, პერანგი გაუღვლია, ავტომატი ლულით უღვეს მხარზე და იკრიტება, აბა, თუ მომარტყამო. დრნგ. რვაჯერ უკვე მოარტყა. დრნგ. დრნგ. დრნგ. ეს კი მაინც ისვრის. მთელი დღე რომ ასე ისროლოს, არ მობეზრდება. აი, რაღაც მაინც რომ მოძრაობდეს წინ, ნიშანში ამოდება რომ შეიძლებოდეს, მთლად გაასწორებდა. თხაც აღარ ჰყავთ ამ შობელძაღვლებს?! დრნგ. დრნგ. დრნგ. სამაგიეროდ, იმათ მოკლეს ამათი ძროხა. გუშინწინ. პლანტაციის შიგნით, ხეზე მიმჭკნარი მანდარინის საჭმელად და, ბაც, გააგორეს ადგილზე. ახლაც იქ გდია. ცურიდან დაშავებული რძე მოწვეთავს. რძეს დიდი, ცერისხელა ბუხები ეხვევიან, მოღურჯო-მომწვანო. რაც მთავარია, უკვე ყარს. ქარი თუ ზღვიდან უბერავს, ყროლის სუნი აქამდე მოაქვს. არ დაიდგომება. დიდხანს ვერ გაჩერდები. ვერც ჩერდებიან. მაგრამ უნდა გაჩერდეთ. დრნგ. დრნგ... დრნგ. დრნგ... დრნგ. ელიზბარს კი ჰგონია, კარზე უკაკუნებს ვიღაც. ვიღაც კი არა, მძახალი. აქ კი არა, ქვიშხეთში. ახლა კი არა, ადრე, დამოყვრებამდე, როცა კიდევ შეიძლებოდა მისთვის თავის არიდება. სრულებითაც არ სიამოვნებს რაჟდენ კაშელის სტუმრობა, მაგრამ ვერსად დაეძალება. აივნიდან ხომ არ გადახტება ამხელა კაცი?! თანაც, გარეთ კოკისპირულად წვიმს. ბიჭებს ბრეზენტის დაფხრეწილი კარავი (ნაკარვალი) გადაუხურავთ თავზე. ქოთქოთებენ, იცინიან... სიამოვნებთ ზაფხულის სწრაფწარმავალი წვიმა. ჯერ სადღაც შორს, მთებში დაიგრუხუნებს და მერე თვალისმომჭრელად იელვებს ხოლმე. დრნგ. დრნგ. დრნგ. ელვა ცეცხლწაკიდებულ ჩონჩხსა ჰგავს. თითქოს ელიზბარისკენ მორბის, ტკივილებისგან გამწარებული. ელიზბარი აივნის გამოღებულ კარში დგას და სუნთქვაშეკრული შესცქერის. არასოდეს არ უნახავს ასე ახლოდან. დიდებული სანახაობაა. ერთდროულად, შემაშფოთებელიც და ლამაზიც. ელიზბარი უნებურად უკან იხევს, თითქოს მართლა მისწვდება ცეცხლწაკიდებულ ჩონჩხს თავისი დაკლაკნილი, არათანაბრად დაგრძელებული კიდურებით. "არ ადგე, ელიზბარ, თუ წევხარ — ამბობს რაჟდენი კარს იქით — გრელანდიის დედაქალაქი გამახსენე და წავად — ეტყობა, კროსვორდს ავსებს, ჩვეულებისამებრ — ხომ გახსოვს, ბალი და "ენისელი"?! საღამოს გელოდებით. ვინც გინდა, წამოიყვანე" — ელიზბარს არ ახსოვს გრელანდიის დედაქალაქის სახელი. შეწუხებული, აგანგაშებული, აღელვებული და, რატომღაც, დარცხენილიც ეუბნება კარს: "მეც რომ არ მახსოვს. პატიოსნებას გეფიცები, არ მახსოვს". "დასწყევლოს ღმერთმა, არავის არ ახსოვს" — იცინის კარს იქით რაჟდენი და მიდის. ელიზბარი კი, დატუქსულ მოწაფესავით დგას კარს აქეთ, ხელეხამოყრილი, ნირწამხდარი... რაღა ეს უნდოდა, ისედაც გახეთქვაზე აქვს გული. ხომ შეიძლება იფიქროს, იცოდა და არ მითხრაო?! არ შეარჩენს, დაუმახსოვრებს და ხალხში წამოაძახებს, ხალხს გააცინებს, თითქოს ელიზბარი მწერალი კი არა, გეოგრაფიის მასწავლებელი იყოს. მაგრამ მაინც ვერ მშვიდდება, ადგილს ვერ პოულობს. წვიმამ ერთიანად ჩამოიტანა ალბათ ცაცხვის ხეებიდან ჭრიჭინების გაუჩუმარი, დაუქანცავი ორკესტრი. ზაფხულის პეწი. ელიზბარისთვის საერთოდ არ არსებობს სიმშვიდე, როგორც ჩანს, არც სამარეში. მაგრამ წერილმან სადარდელს ძალით გაიჩენს ხოლმე, მთავარზე რომ არ იდარდოს განუწყვეტლივ, მთავარი რომ დაივიწყოს ცოტა ხნით მაინც. მისმა სიძემ მისი შვილის გულისთვის თუ არა, მისი შვილის გამო, საკუთარი მამა მოკლა, ის კი იმას განიცდის, ხვალ ცაცხვების ხეივანი დამხრჩვალნი, ფრთებდაფლეთილი ჭრიჭინებით იქნება მოფენილი. უსვინდისო თვალთმაქცი. ეს წუთია, აფხაზეთში იყო თითქოს, ახლა ქვიშხეთშია. სინამდვილეში, არც ისვენებს, არც ომობს — იმალება. ემალება ყველას, ნაცნობსაც, უცნობსაც, შვილსაც, სიძესაც, საკუთარ თავსაც... აღარა აქვს ხალხში გამოსაჩენი პირი. ქვეყანა მისთვის დღითი-დღე უცხოვდება და ისიც დღითი-დღე ეკარგება ქვეყანას. ყველასგან გადაკარგვის მეტს, ვერაფერს მოიმოქმედებდა ამ პროცესის შესაჩერებლად. საზარელი ძალაა მისი წარმართველი — საკუთარი უმწეობისა და საკუთარი არარაობის შეგრძნება. სიღაც ვერ გაულაწუნა მისი

ღირსების შემგინებელს. მაგრამ უელიზბაროდ ქვეყანა განა უკეთესი იქნება?! იქნებ ჯერ ეს გაგვერკვია და მერე გვექება ძველი ფოლიანტები. დრნგ. ... და ჩაიარა უღმერთო მან მურვან ყრუ ზღვის პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქი ზღვის პირისანი, და ოხერ და უვალ ყო ყოველი ქვეყანა ზღვის პირისა... დრნგ. დრნგ. დრნგ... რაც შეეხება გრელანდიის დედაქალაქს, მგონი, არც არასოდეს სცოდნია. მაგრამ მარტო ეს რომ იყოს მისი დანაშაული, სიცოცხლეს კიდევ ექნებოდა აზრი. ელიზბარის დანაშაული გაცილებით დიდია: შვილი მისცა განსაცდელს და განსაცდელად მოუვლინა სხვებს. არაფერს არ ნიშნავს, შენ გჯერა თუ არ გჯერა, ქვეყანას მაინც ვერ ააფარებ პირზე ხელს. ერთადერთი ხსნა არსებობს მხოლოდ: ყველაფრის თავიდან დაწყება, თავიდან დაბადება საერთოდ, ანუ, დაუფიქრებლად, დაუნანებლად უარყოფა გარყვნილებისა და მკვლელობის დადღასმული წარსულისა და ასევე დაუფიქრებლად და დაუნანებლად მოკვთა შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანებისა, ერთნაირად შერისხულებისა ღმერთისგანაც და კაცისგანაც... ასე რომ, თქვენი დაღუპვა გარდუვალია, ბატონო ელიზბარ. დრნგ. უწარსულოდ არაფერს წარმოადგენ. დრნგ. პასტის კალმისტარი ხარ, ოღონდ, დრნგ, პასტისგან უკვე დაცლილი. პასტისგან დაცლილი კალმისტარიც არ ხარ, იმ ელდის, შიშის, დამცირების, ტკივილის, სინანულისა და მრისხანების გარეშე, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების წვალობით განგიცდია. ეს არა მარტო უბედურებაა შენი, არამედ ბედნიერებაც; არა მარტო სასჯელია უფლისა, არამედ — ჯილდოც. მთავარია, რამდენად ხარ თავად მზად, როგორც ერთის, ისე მეორის მისაღებად. თავბუდის წყევლასა და სხვათა განსჯა-განქიქებას, გირჩევნია ღირსეულად შეიფერო ჯილდო და ასევე ღირსეულად შეეგებო სასჯელს. ბიოგენეტიკისა და ბიოგრაფიის შეცვლას, რასაკვირველია, ისევე მცოცავი ომის დეველფსა და ლადარში ჩაფერფვლა სჯობს. სჯობს. დრნგ. დრნგ. ქვიშეთიც სასჯელისთვის მომზადებაა და სხვა არაფერი. რაჟდენ კაშელს კი არა, სასჯელს ეთამაშები იქ კუკუმალობას, ანუ, რაჟდენ კაშელის მეშვეობით, თანდათანობით ეგუები სიკვდილთან შეხვედრის გარდუვალობას. დრნგ. და ყოველთვის სულელურად გიხარია, ხაზგასმული, საქმიანი გულითადობით რომ მოგახარებს ხოლმე დასასვენებელი სახლის ღირექტორი, რამდენჯერაც არ უნდა შეგხედეს დღეში, ბიჭივით გამოიყურებით, თითქოს რაც უფრო ახალგაზრდა იქნები, მით უფრო იოლად გადაიტან სიკვდილს. იმას მწერალთან გამოლაპარაკება სიამოვნებს, თვითონაც წერს ალბათ ჩუმად და თავის ინტელექტუალურ ჭიას ახარებს, ბევრი არაფერი გაეგება შენი ფარული განცდებისა, მაგრამ აღფრთოვანებულია, ვთქვათ, შენი ბოლო წერილით, "ლიტერატურულში", და გული წყდება, უღირს ხალხთან კინკლაობაში რომ ფლანგავ "ღვთაებრივ ნიჭს". რომანები უნდა წეროთ. ბევრი უნდა წეროთ. ხალხს ჭირდება. ტყუილი. ტყუილი. ტყუილი. მაგრამ დალოცვილი ტკბილი სიტყვა მაინც გაბითურებს. გველს ამოიყვანს ხვრელიდან. გულს მოგიბრუნებს ცხოვრებაზე. მუშაობას მოგანდომებს. მაგრამ საამისოდ მარტო სურვილი არ კმარა. სურვილის ამარა დრნგ არც იფიქრო დრნგ ფურცელთან შეჭიდება დრნგ. დრნგ. წაგახდენს. შეგარცხვენს. არაფერი გამოგივა, როგორც ცვედანს რაც არ უნდა მომხიბვლელ ქალბატონთან. ამ საქმეში ვერავინ მოგეხმარება. მამაკაცობასავითაა — თუ არ ამოწურულა, აუცილებლად აღსდგება, ხოლო, თუ ამოწურულა, ველარაფერი აღადგენს. ზღვას ქვებით ვერ ამოავსებ. ქუდი უნდა დაიხურო და წაბრძანდე. ხოლო, წაბრძანებამდე, ბოდიშს თუ მოუხდი სუფთა ფურცელს, როგორც ტყუილუბრალოდ გაშიშვლებულ ქალბატონს, კარგი იქნება, ზრდილობაში მაინც ჩაგეთვლება. მაგრამ სადაც არ უნდა წახვიდე, მაინც ვერსად დაეძალები სირცხვილს. სადაც არ უნდა შეიყურო, ერთი ფეხებზემკიდია ბრიყვი მაინც დაგადგება თავზე — "რას გვიწერთ ახალს?" — თითქოს ძველი ჩაბულებული კქონდეს, თითქოს გაეგებოდეს, ანდა აინტერესებდეს რამე, მუცლის გარდა. მაშინ სად იყო, როცა თბილისში წიგნები იწვოდა? დრნგ. იმაღებოდა. არაღეგალურ ცხოვრებას მიჰყო ხელი, ლეგალურად გაათხსულმა. თვალს გაერიდა, დროებით, ვიდრე სცენაზე ლამის ძალით გამოგდებული ახალი ხელისუფლება თავის შესაძლებლობებს წარმოაჩენდა თვითშემოქმედების დონეზე. ლაღე, ლაღე, დივლიდალაღაღე დრნგ ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე დრნგ. მძიმე ცხოვრება კი გექონდა, მაგრამ მაინც

ადრე გამოვშტერდით. უფრო სწორად, ეს ღვით კურთხეული კუთხე შესანიშნავი სათბური აღმოჩნდა აკაკის ღამურების მოსამრავლებლად. წყვდიადისა ბინადარნი წყვდიადითა სულდგმულობდეთ მარადის, რამეთუ ასე მიბრძანებია ჩვენ ნიკოლოზსაც ნიკლაისაც და უბრალოდ კოლიასაც. ნაფლეთი რამე წყვდიადისა ჩავსვუა მე ჩარჩოისა შიგან და დავიკიდო საკიდელსა ზედა რათა თაყუზანი ვსცე უკუნითი უკუნისამდე. ამინ. ამინ. დრნგ. აი, მთელი ჩვენი ისტორია. ვაპირებთ რა ქვეყნის განთავისუფლებას და ვთავისუფლდებით რა დამპყრობლის მითითებათა შესაბამისად, მაინც გვეოფნის თავხედობა, ვითვალთმაქცოთ, ვითომც არაფერი, ვითომც ჩვენი მიზეზით არაფერი დაშავებულა ამ ქვეყანაზე. თქვენი მეუღლე ძროხამ შეაშინა წელან. ძროხა ხომ მოკლეს?! ჩემს მეუღლეს აქ რა უნდოდა?! არა, ნუ დელავთ, აქ კი არა, ქვიშხეთში, დღეს კი არა, ადრე... საერთოდ არ სეირნობთ, თუ ჩვენთან არ კადრულობთ სეირნობას? ძროხა ეძახეთ თქვენ, რქები ხარისა ჰქონდა. ჰერმანფრედიტი ყოფილა. ანდა, კიდევ უარესი, ალბათ სქესი შეიცვალა, კაცის წამხედურობით. ხარი კაცთან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან სქესსაო... სქესი შეიცვალა, რქები კი ხარისა შერჩა. თუმცა, ჩვენი მეცნიერები ამასაც მოუხერხებენ რამეს. მაგრები არიან ამ სფეროში. შეიძლება ვერ უსწრებენ, მაგრამ არც ჩამორჩებიან დროს... უშთამომავლო კაცობრიობა გაცილებით იოლი გასამეტებელია. მასობრივი სიკვდილი შეუდარებლად ადვილია... მართლა ცუდად არის საქმე. კახეთში ვირი აღარ ყროყინობს. უვირო კახეთი რაღა კახეთია?! ვირი კი არა, ბავშვიც არ გავიხერეთ. ბავშვებიც მოვიშორეთ. ხელი გავიცვალეთ ზედმეტი ტვირთისგან. ზოგი კაშველებს ვაჩუქეთ, ზოგი უცხოეთში გავხიზნეთ, რათა ჩვენც გავხიზნოთ იმათ კვალდაკვალ. ჯერ ისინი, მერე ჩვენ. ბავშვები უკეთ ეგუებიან უცხო გარემოს. თევზნი რიონისანი რეინისა წყლებს მიეცით. ბარაქალა. დრნგ. გემოს გაუგებენ იქაურ შლამს, დრნგ, შეეჩვევიან იქაური ფსკერის ჯურღმულებს, ფარფლებს გაიმაგრებენ და ჩვენც დაგვიძახებენ დრნგ. კარგად მეყოლეთ. დრნგ. აუფიღერზენ. დრნგ. დრნგ. ასე თანდათან გავეპარებით აქაურობას. დრნგ. აქაურობიანად. დრნგ. როგორც ერთხელ უკვე გავეპარეთ ლუდოვიკო ბოლონიელს. კაცი რომიდან ჩამოვიდა, ჩვენი იმედით, ჩვენ კი ადგილზე აღარ დავხვდით. ახლაც გვეძებს. დრნგ. სამარცხვინო საქციელია, მე და ჩემმა ღმერთმა. დრნგ. ასე როგორ შეიძლება, ბატონო ელიზბარ დრნგ ასე როგორ შეიძლება დრნგ ეს უკვე ნამეტანია. ყველაფერში ცუდს ხედავთ მხოლოდ დრნგ განა დავით აღმაშენებელი არ აგზავნიდა ბავშვებს უცხოეთში?! აგზავნიდა დრნგ, რასაკვირველია, აგზავნიდა დრნგ მაგრამ დავითის გაგზავნილი ბავშვები გაფილოსოფოსებულნი ბრუნდებოდნენ უკან დრნგ ჩვენი გაგზავნილი კი, გაგოთვერნებულნი ბრუნდებიან დრნგ რქები კი არ მოაქვთ თავით დრნგ როგორც ბუნებას დაუდგენია დრნგ თავი მოაქვთ რქებით დრნგ. მე რომ მკითხონ დრნგ მე რომ მკითხონ დრნგ დავახერხავდი იმ რქებს და დრნგ შევთხრიდი ფუნქციაშეცვლილ ორგანოში დრნგ. ეს სხვა საქმეა, ეს დემოკრატიაა, გენაცვალე დრნგ უფრო სწორად დრნგ ვისი რა საქმეა, ბოლოს და ბოლოს, დრნგ ყველამ თავის ტრაკს მოუაროს დრნგ. თქვენ რომ გისმინოთ კაცმა დრნგ ყველანი მოღალატეები ვყოფილვართ დრნგ. ახალი ამბავი! ასეა კაცობრიობა მოწყობილი. ან შენ ღალატობ, ან შენ გღალატობენ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ დრნგ საკუთარი დრნგ მასსოვრობა გიღალატებს დრნგ ერთხელაც იქნება. დრნგ. დრნგ და დრნგ. ნუ გაამასხარავებთ ხოლმე ყველაფერს. ბალი და "ენისელი" ხომ არ დაგავიწყდათ ნავახშმევს? გვახსოვს დრნგ გვახსოვს. ვახშმობამდე ჯერ დიდი დროა. "ბაღმა" და "ენისელმა" გვიქნა ყველაფერი. სიმართლე ვერ გითქვამს კაცს. გინდაც არ გეშინოდეს, გერიღება, სტუმარი ხარ, მასპინძელია... გამანებე თუ კაცი ხარ, თავი. ასე ყველაფრის გამართლება შეიძლება. დრნგ. ჰოდა, შენც ნუ გაამართლებ. ახლა ღია წერილებია მოდაში. დრნგ. დახურული წერილების დრო წავიდა. დრნგ. რაც გინდა, თქვი. მაშინ ისევ ელიზბარს მოვეუსმინოთ, სულ აპირებს, აპირებს, აპირებს და ვერ დააყენა საშველი. დიდი მადლობა და არ დავიმაღლავთ, ველავ. ვერასოდეს ვიფიქრებდი სიტყვის თქმა თუ მომიწევდა თქვენს წინაშე, მით უფრო აქ, ამ მიწიერ სამოთხეში. ასე ვთქვათ, კომფორტაბელურ და მკაცრად ლიმიტირებულ ემიგრაციაში. თითქოს სამშობლოს შუაგულში ხარ და, იმავე დროს, უსაშველოდ შორს სამშობლოსგან. ერთი პოეტისა არ იყოს, ეს კელასურის თოლიები დახწხავიან მტკვარს, გვიშველო, ჩვენ კი არ

გვესმის. რაღაც ამის მაგვარი ამწინებზეც ვთქვი, მგონი, ოღონდ სიზმარში... მაგრამ უფრო სერიოზულ ემიგრაციაში, გერმანიაში, ვანზეაზე... ქვიშხეთზე ფიქრმა დამასიზმრა ალბათ ვანზეაც. თუმცა, ქართული პატიოსნებით სავსე მხერა ებრაელი ქალიშვილისა იმედს გვაძლევს, აუცილებლად რომ გადავრჩებით, ხელის გაუნძრევლად (ყოჩაღ, ელიზბარ, ბრავო!). მართლაც ძნელი დასაჯერებელია აქ, ამ მიწიერ სამოთხეში, სისხლი თუ იღვრება სადმე. თანაც — შენი. მიწას ცეცხლი თუ უკიდია. თანაც — შენს მიწას. არადა, ყველანი ვიცნობთ ზურაბას. ყველას სიამოვნებით გვიჩვენებს ხოლმე თავის ნაიარევს — ყანყრატოს ძირიდან პატარა მუცლამდე გადაჭიმულს, ხელოვნურად გახლეჩილი ქვეყნის საზღვარივით. გადმოყრილი, მიწაში ამოგანგლული შიგანი თვითონვე ჩაუბრუნებია უკან, ვიდრე გონებას დაკარგავდა. გონება დაუბრუნდა და ავტომატის მაგივრად, ცელი აიღო ხელში. ბალახს თიბავს ქვიშხეთს ზემოთ, სათიბებში. შსშსშ... სშსშს... შსშსშ... სშსშს... ჩვენს დასანახად იქნევს ცელს ასე მოხდენილად, ვითომ, ეს საქმე უფრო მეხერხებო. სიამოვნებს მაყურებელი. ერთადერთი ჯილდო ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის, გნებაუთ, დღევანდელი გაგებით, სიბრიყვისთვის. ჩვენ კი, ზურგზე ხელებდაწყობილნი ვათვალიერებთ შორიდან, როგორც სამუხუუმო ექსპონატს, გადაშენებული სახეობის უკანასკნელ წარმომადგენელს. შსშსშ. სშსშს. გამხდარი ბიჭია, მაგრამ ძარღვიანი. ღვედით მოქნილი. გაყიდულები რომ არ ვიყოთ, აქამდე ცხრაჯერ გავიდოდით ფსოუზე — ყველას ასე შესჩივის. წუხს. ნანობს. დარდობს. ჩვენ კი, ვიღიმებით, დამსვენებლები. არ ვუჯერებთ. საერთოდ არ გვჯერა, კურორტზე თუ დაიჭრა ასე საშინლად. ავტოკატასტროფაში მოხვდა ალბათ და ახლა ჩვენ გვაწონებს თავს, მამულიშვილობს, დეპუტატობის კანდიდატივით. მრავალმნიშვნელოვნად ვუღიმიეთ ერთმანეთს, მრავლისმხილველნი, გამოცდილნი, გამოქექილნი ათასნაირ მაქინაციებში... გვიხარია, არკი გვჯერა. დრნგ. წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, თორემ, სხვა არაფერი დაგვკლებია. დრნგ. ბატონი ლეონტი ჯერ კიდევ გუბერნიობის დროინდელ საქართველოში ორჯერაა ციხიდან გაქცეული. ერთხელ — მიწისქვეშა გვირაბით. თვითონაც თხრიდა. პოდა, თხარა, თხარა და გამოთხარა: ქართველთა ნოეს რესპუბლიკაში ამოჰყო თავი დრნგ. გახარებულმა, საერთოდ დაკარგა პატიმრული სიფრთხილის გრძნობა და აუგად მოიხსენია პოლიციის ყოფილი შეფი დრნგ ყოფილი საქართველოსი დრნგ რის გამოც, "დაუდგენელი პირების" მიერ სასტიკად გაილახა ქუჩაში, შინამდე არ მისული დრნგ მაგრამ მაინც ვერ აიყარა გული განახლებულ სამშობლოზე და ბოლოს იმ ვაგონიდან მოუწია გადახტომა დრნგ ღვთის შემწეობით დრნგ რომელშიც ოცდაოთხის აჯანყებულები ჩაცხრილა უფროსმა რაჟდენ კაშელმა ტყვიამფრქვევებით დრნგ სისხლი შადრევანივით ასხამდა, თურმე, ნატყვიარებიდან და ვაგონში გამოკეტილი აჯანყებულები მრავალჯამიერს მღეროდნენ დრნგ მაგრამ უფროს რაჟდენს გადარჩენილი, მალე უფროს ანტონს ჩავარდნია ხელში და უბრალო, ჩვეულებრივი "გასაუბრებისას", წინა ორი კბილი დაუტოვებია იმის მაგიდაზე დრნგ თუმცა, სიკვდილამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე გაამხილა ეს ამბავი ცაცხვების ხეივანში დრნგ მარტო ეს მიმეგება დარდათო დრნგ ეს ვერ მიპატიებია თავისთვისო დრნგ აღიარა გულწრფელად. ბატონმა პიმენმა კი, ესეც გაუბიაურა ჩვეულებისამებრ, ნუგეში სცა თავისებურად — კბილებს ჩივი ასეთი ჭკვიანი კაციო — და მართლაც დრნგ კბილები კი არა დრნგ მიწა იკარგება, ზღვა იკარგება, ცა იკარგება დრნგ მზე და მთვარე (ჩვენი დედ-მამა), თავის წვრილ-წვრილი ვარსკვლავებით (ჩვენი და-ძმანი) დრნგ სულ რაღაც ორას კილომეტრში, ორი წლის დაუკრფავ მანდარინის პლანტაციაში მოუწველავი ძროხის ღეში ყარს. შეიძლება, სწორედ ის ძროხაა, ელისო რომ შეაშინა. აქაც არის და იქაც. ელიზბარივით. აქ — ნელა, ზანტად, განებვირებული ქალბატონის მედიდურობით გადადის ასფალტმოსსმულ ბილიკზე, საკუთარ ოხშივარში დანთქმული, საკუთარ სურნელში, როგორც გამჭვირვალე გვირაბში მიმავალი მის გამო შეყოვნებული დამსვენებლების წინ და ნელა, ზანტად უჩინარდება გზისპირა ბუჩქნარში. იქ კი — მკვდარი გდია პლანტაციაში და უკვე ამჟავებული რძით გაწებულ ცურზე ბუხი ეხვევა. ხოლო, ცოტა ქვემოთ, ზღვის ნაპირთან, მწვანედ ამღვრეულ წყალში, გოლიათი მეღუხებივით ირწვეიან ჯერ გაუპატიურებული და მერე ყელგამოჭრილი

(შეიძლება პირიქითაც) ქალების გაბერილი, გასიებული გვამები. ელისოც მათ შორისაა. ოღონდ, ცოცხალია. ცურავს. კი არ ცურავს, ადგილზე ტივტივებს. გამაღებული ამოძრავებს წყალმცენარეებით დაკლაკნილ ხელ-ფეხს, მაგრამ უფრო გვამების მოსაგერიებლად, ვიდრე წყალზე გასაჩერებლად. "ამოდი ახლავე! რა დროს ეს არის!" — უყვირის ელიზბარი. "შე ძალიან ბევრი დრო მაქვს, იმიტომ რომ მართლა უპატრონო ვარ" — პასუხობს ელისო და, დამსვენებელი ქალის სიკეკლუცით, ყასიდად, ყურადღების მისაქცევად შეჰკივლებს ხოლმე, გვამს თუ შეეხება უნებურად. ამიტომ, როგორც არ უნდა გეწყინოთ, მაინც გეტყვიოთ, რაზე ვმუშაობ, რითი გიპირებთ "გახარებას". კუკუმაღლობის დრო ნამდვილად აღარ არის, არც სიკვდილთან, არც სიცოცხლესთან და, თავისთავად ცხადია, არც რაჟდენტთან. სწორედ რაჟდენტს მინდა მიემართო, ასე ვთქვათ, პრესის საშუალებით. ახლა ესეც შესაძლებელია. აქეთ გეხვეწებიან, ოღონდ თქვი, გულში რა გიდევს და გინდაც უკანასკნელი სიტყვებით გვაგინეო. მასიური დაკითხვის ახალი მეთოდია ერთგვარი. გინდა ღია წერილი დაარქვით, გინდა დახურული. რა უნდა, მეც არ ვიცი. შეიძლება, თხოვნაც ერქვას. უფრო თხოვნაა, ოღონდ, უკვე გააზატებული მონისა, ესე იგი, უფრო ეშმაკის, გნებავთ, უფრო ფრთხილის, ვიდრე გააზატებამდე იქნებოდა, რაკი არაფერი ჰქონდა დასაკარგი. დღეს კი, აქვს. თუნდაც, სიტყვიერი საბუთი მისი გააზატებისა, თუმცა, დღესაც იმას ეკუთვნის თავ-ფეხიანად, ვინც სიტყვიერად გააზატა გუშინ. გთხოვთ, რადგან მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იხსნათ, ვისი მოსპობაც მიზნად დაგისახავთ. ან არც დაგისახავთ დრნგ ან არც დაგისახავთ, მაგრამ მაინც სპობთ, უნებლიედ, ჩვევის გამო და ყოველდღიური, წვრილმანი, მაგრამ უადრესად პირადული პრობლემებიდან გამომდინარე... (ბრაუო, პისატელ!). მაცალეთ, ნუ მიშლით... ისედაც ვერ ვლაპარაკობ. თქვენ რა გენაღვლებათ, გაასწართ. ცოცხლებმა ვიკითხოთ... მაგრამ ერთხელაც იქნება, მე თუ არა, სხვა, ჩემზე ბევრად უფრო... თუმცა, რა აზრი აქვს, თუკი ვირებსა და ბავშვებს ვერ გადავარჩენთ... (მართლა ბრაუო, ძმაო. აი, რას ნიშნავს სიტყვის ოსტატი!). რაც შეეხება თხოვნით მიმართვის იდეას, თავისთავად დაიბადა, როგორც ყველაფერი გენიალური... ჩხუბით მაინც ვერაფერს გავაწყობდი. არ დაგავიწყდეთ, ძილში ხდება ეს ამბავი, ძილში დამებადა ამგვარი იდეა. მოგეხსენებათ, ძილს დიდი ადგილი უკავია ჩვენს ლიტერატურაში. გაიღვიძე, ნუ გძინავს... სულ ძილი, ძილი... მხოლოდ ერთხელ, ისიც ძილში... და ასე შემდეგ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დამეს, მეც ამ ჭკუაზე გამომედვიდა ძილში. ტექსტიც გამზადებული ჩამიღო ვიღაცამ თავში, მძინარეს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე. მწერლის ოინბაზობა ჩემგან არ გესწავლებათ. რაც შეიძლება ზუსტად უნდა დაიმახსოვროს ძილში შთაგონებული და რაც შეიძლება დროულად გადაიტანოს ქალაქზე, არ დაუკარგოს სიცხოველე. ეს არის და ეს მთელი მისი დამსახურება. ვისაც უკეთესი მახსოვრობა აქვს და დამახსოვრებულის ქალაქზე გადატანა არ ეზარება, უკეთესი მწერალიც ის გახლავთ. ესეც თქვენგან ვიცი. თავის ქებასავით კი გამომდის, მაგრამ მეც დაუყოვნებლივ დრნგ დაუყოვნებლივ დრნგ დაუყოვნებლივ გადამაქვს ხოლმე ქალაქზე, რასაც ზეციური ძალები შთამაგონებენ მძინარეს. ასევე დაუყოვნებლივ გადავიტანე ამ მიმართვის ტექსტიც. მართალია, ეს არც ნესტანის უსტარია და არც ავთანდილის ანდერძი, მაგრამ თვისობრივად მაინც დასაშვებად მიგვაჩნია მისი მოხსენიება ამ მარადიული შედეგების გვერდით. ყოველ შემთხვევაში, მიზანი აქაც იგივეა — ვიღაცა ვიღაცას ანდობს თავის სანუკვარ ფიქრს, სურვილს, მისწრაფებას... და, იმავე დროს, შექმნილ სიტუაციიდან გამოსასვლელ გზებსაც მიუთითებს, რასაკვირველია, საკუთარი ვარაუდებიდან გამომდინარე. გაანჩია, ვინ ვის ასწავლის, ანუ, ვის რა უდევს გულში და ვინ რას ესწრაფვის. ამიტომ, ვიდრე ტექსტზე გადავიდოდე, ერთხელ კიდევ მინდა დრნგ ერთხელ კიდევ მინდა დრნგ (ეს რა მოგსვლია, შე კაცო, მთლად გადამცდარხარ ჭკუიდან) ერთხელ კიდევ მინდა დრნგ (ჩვენ მაინც დაგვზოგე. მკვდარმა თუ არ დაისვენა, რიდას მკვდარია). არა, ტექსტი დიდი არ არის... ნუ გეშინიათ... მაგრამ ერთხელ კიდევ მინდა, თავად მიმართვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღვნიშნო, როგორც მკვდრებისთვის, ისევე ცოცხლებისთვის დრნგ თუმცა, არაფერი გამოგვივა, თუკი მიმართვის ადრესატიც არ აგვიბამს მხარს, ანუ, არ წარმოიდგენს მოსმენილს დრნგ და არ

განიცდის წარმოდგენილს დრნგ მაგალითად, ვითომ, ჯურღმულშია მოხვედრილი და ასანთის ერთადერთი ღერიდა დარჩენია, წყვილადში გზის გასაგნებად... ანდა, მღვეარი მოსდევს დაუნდობელი, მისი ცოცხლად შესანსვლის ჟინით შეპყრობილი დრნგ წინ კი თხრილია გადასალახი, უკანასკნელი მიჯნა, რომლის იქითაც სამშვიდობოა. მაგრამ თხრილი საესეა მისივე განავლით, რაცკი მთელი ცხოვრების მანძილზე უწარმოებია, განუსჯელად და დაუზარებლად. გადალახავს თხრილს, გადარჩება. არა მარტო გადარჩება, ხახვივით შერჩება ყველაფერი, რაც თხრილს აქეთ დაუშავებია. არ გადალახავს და, თავს დააბრალოს. კი მაგრამ, რატომ, მაინცდამაინც, მეო, სამართლიანად იკითხავს ალბათ ადრესატი და ჩვენც ნათლად და მკაფიოდ ვუპასუხებთ: იმიტომ რომ... იმიტომ რომ... სხვა გამოსავალი არ არსებობს... თვითონ ჩაიგდო ამ დღეში თავი. ჩვენი მართლაც და, ბედურული სამშობლოს გადარჩენა, მხოლოდ და მხოლოდ, ისევ სამშობლოს მოღალატეებს შეუძლიათ. პარადოქსია? კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ, ამავ დროს, როგორც უკვე ვითხარით, ეს არის ერთადერთი გზა ხსნისა. გადაარჩენ სამშობლოს, გადარჩები, არადა, უკვე იცი, რაც გელოდება წინ. არჩევანი შენზეა. გზა გვირავითა შემოვა... მცველებიც მრავლად არიან, თანაც განსაკუთრებულნი, ქაჯნი ძნელად საომარნი... მაგრამ მაინც გზაა და ხსნის გზად იქცევა, თუკი მცველებისგან განიწმინდება. ვაჟკაცობაც ესაა. ოღონდ, რკინის გული და ხის აბჯარი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ამჯერად, იმას უნდა უღალატო, ვის გამოც მოყვასს ღალატობდი აქამდე. ასე რომ, მე ვარ თუ სხვა, ვისაც ღალატი უკვე მიდრეკილებად ჰქცევიდა და უკვე ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საქმიანობად თვლის ამას, ერთ მშვენიერ დღეს, მაინც უნდა შეაფურთხოს ეშმაკს და უარი თქვას ამ სამარცხვინო მიდრეკილებაზე... დრნგ. მაღადეც, ელიზბარ, მაღადეც დრნგ ნათესაობაც ამას ჰქვია სწორედ. არ თქვა ახლა, რა შენი ნათესავი ვარო დრნგ ხარ და ეგრე! დრნგ რა მოშლის აწი ჩვენს ნათესაობას... პირიქით, ნათესაობის გამო შევალთ ისტორიაში დრნგ ჩემი ნათესავი რომ ხარ იმიტომ თუ გაგისხენებს ვიღაცა, თორემ, წიგნების იმედზე ტყუილად ნუ იქნები დრნგ მეტი არ არის ჩემი მტერი დრნგ. დრნგ. შენ თუ გგონია, ვერ ვხვდებით, ვის გულისხმობ, ვის ესერი ტალახს, ძალიან გეშლება დრნგ ან ამ მკედრებს რომ მომიქსევ ხოლმე დრნგ წარამარა დრნგ რაღა გადარევა უნდათ მაგ უბედურებს, აქაც დასაბმელები იყვნენ ყველანი დრნგ. ერთი ცოცხალი კაცი მაჩვენე, თქვენსავით ფიქრობდეს და, არ მინდა თქვენი არაფერი... დრნგ. დრნგ. ღალატი თუ ჩემი მიდრეკილებაა, შე დალოცვილო, ესე იგი, ჩემი საკუთრებაცაა, არა?! ასე არ გამოდის?! პირადი საკუთრება კი, ხელშეუხებელია. არ დაგვიწყდეთ, რას გვასწავლის დემოკრატია. დემოკრატიაა ჩვენი ხსნა, ელიზბარ, დემოკრატია! ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, მაგრა გვიშველა. ხომ გახსოვთ, ხეზე გვიპირებდნენ დაკიდებას! მაგრამ ბრანწი, ბრანწი და კიდევ ბრანწი. მწიფეს ესროდნენ და მკვასე ცვიოდან. თუ დემოკრატი ხარ, გაანებე კაშელებს თავი, ხოლო, თუ არ ხარ დემოკრატი, მაშინ უარესი კაშელი გამოდიხარ თავად. ვენაცვალე ამის მომგონს! ბალი და "ენისელი", ბატონებო! ნამდვილად გეკუთვნით ნავახშმევს დრნგ. დააცადეთ, ათქმევინეთ... მწერალი ღაპარაკობს, ბოლოს და ბოლოს. კარგს არაფერს იტყვის, ენდეთ ჩემს გამოცდილებას. დრნგ. მაგრამ რაღაცა რომ უნდა ვთქვა, ფაქტია. სანამ არ ვიტყვი, ვერც ცხადში მოვისვენებ, ვერც ძილში. თუმიცა, თვითონაც ვეღარ გამირკვევია, როდის მღვიძავს და როდის მძინავს. გუებნებით, დავბერდი-მეთქი, და არ გჯერათ. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ ვღაპარაკობ გიჟურად?! რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. მართალი ბრძანდებით, ამას ჰქვია სწორედ გიჟურად ღაპარაკი, მაგრამ, თუ სიზმარში ვარ, არ ჯობს სიზმარში მაინც ვთქვა, რაც ცხადში ვერ მითქვამს, დიახაც რომ ნათესაობის გამო?! სიზმარი ცუდად შენიღბული ცხადია. იქაც იმას ამბობ და აკეთებ, რასაც ცხადშიც იტყობდი და გააკეთებდი, ცოტა უფრო გულადი რომ გაეჩინე ღმერთს. მაგრამ მძინავს კი?! აბა, ყველაფერი რატომ მესმის?! სადილი მოვიდაო, დაიბახა წვედან ვიღაცამ, მაგრამ სადილი არ მახსოვს. მერე კრახანა ბზუოდა. დამეზარა თვალის გახელა. ისე, სასაცილო კია, ომში წახვიდე და კრახანამ გიკბინოს. ამ სუნში დაძინება არ შეიძლება. მეც თვალს ვატყუებ მხოლოდ. გნებავთ, შეგნებულად ვხუჭავ თვალს. არ მინდა თვალის გაუწვრორო სინამდვილეს. ეტყობა, ძალიან დავიდალე. ჯერ აეროპორტებში რამდენი გვაყურყუტეს, თბილისშიც და სოხუმშიც. მერე, როგორც

იქნა, ამ ღია სამარეში გვიკრეს თავი, მაგრამ სუნმა არ დამასვენა. ნამეტანი აზიზი ვარ, ჯარისკაცის კვალობაზე. უფრო ემოციურიც. უფრო სწორად, მეც "ჩვენი ბიჭი" ვარ. ჯარისკაცი ემოციებისგან საერთოდ განტვირთული საბრძოლო ერთეულია, უსახო, უსახელო, უფერული, მექანიკურად აღმსრულებელი ნებისმიერი ბრძანებისა, რაგინდ ბრიყვეული იყოს ბრძანება. სულ მიწას თხრის, თხუნელასავით. სანგრის ჩამობღორტნილი კედლების მეტს ვერაფერს ხედავს. არც უნდა. საათობით, თვეობით, წლებით შეუძლია უცქიროს სანგრის კედლებიდან ჭიკაძელებივით გამოკლაკნილ ფესვებს უკვე აღარ არსებული ხეებისა, და ტკბილად იფიქროს, დავუშვათ, თბილისში დარჩენილ ზნეწამსდარ საზოგადოებაზე, გაწბილებულ მეუღლეზე, გაუბედურებულ შვილზე, დაუმთავრებელ წიგნზე... როგორ ფიქრობთ, როდის გავლენ ჩვენი ბიჭები ფსოუზე? რქებით აწვევა გაწრიპული ჟურნალისტი გოგონა საველე მეთაურს. ნუ მაინც... მიახლოებით! აბა, რა გითხრა, ჩემო გოგონი, უფროსობა წინ არ გვიშვებს, ბიჭებს თოკით ვერ ვაბამთ... არც ტყვია-წამალი გვაქვს საკმარისი. ჰმ, ჰმ... ტყვიას რუსისგან ვყიდულობთ, წამალს აფსუასგან... მოკლედ, ვნახოთ. უნდა გავიმარჯვოთ. სხვანაირად არ იქნება. არადა, სუნთქვაც აღარ შეიძლება. ეს მკვდარი მიწის სუნია. მიწისა და გადაჭრილი ფესვებისა. არა მგონია, შევძლო ამ სუნში დაძინება. ტახეპამი უნდა დავლიო. მეზარება. ზედ ვაზივარ. როგორ ძლებენ, როგორ ძლებენ, როგორ ძლებენ ეს ბავშვები ამ სინესტეში... წელან ვიღაცამ საათი იკითხა. ორი იყო. ახლა აღბათ სამია. დაახლოებით. რამდენი გამოდის? თხუთმეტი. ორმოცს თხუთმეტი ოცდახუთი. უკეთეს შემთხვევაში, კიდევ ოცდახუთი საათი დარჩა. რაც მთავარია, საშველი არსებობს. უფრო სწორად, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. ოღონდ, საამისოდ დიდი ნებისყოფა და სიმტკიცეა საჭირო. ქაჯთა ნებისყოფისა და სიმტკიცის გამტეხი. უცნაურს და შეუძლებელს არავინ არაფერს მოითხოვს. განა გამოსწორებული ლოთი არ გვინახავს? ან მეძაგი? ან ნარკომანი? ანტონი არ არის ცუდი ბიჭი. უნდა გადარჩეს. აუცილებლად უნდა გადარჩეს. ამ ომს თუ აუღო ალღო და გაითავისა, გადარჩება. განიწმინდება ცეცხლითა და მახვილით. ცეცხლითა და მახვილით მოინათლება ახალი ცხოვრებისთვის. ბევრი გზააბნეული კრავი დაპეტვლობს აქ. ჯერ არც იცინა, რა არის ცხოვრება. ყველას შეეღა უნდა. ან ეგენი არიან, ან საერთოდ არ არსებობს ჩვენთვის ხვალისდელი დღე. მათ შორის, ის ჭორფლიანი გოგოც... უბედური. ჯერ დედ-მამის წინ გააუპატიურეს, მერე თვალწინ დაუხოცეს დედ-მამა. გამარჯობათ. თქვენ ვინ ბრძანდებით? მართლა მწვერალი ხართ? ასე მითხრეს ბიჭებმა. საომრად ჩამოხვედით თუ ჩვენს დასახედად? ჩვენზე უნდა დაწეროთ? ჯერ არა გვიშავს რა... მე ყველაზე ჭორფლიანი გოგო ვარ მთელს სანაპიროზე... მაგრამ ხსნა არსებობს. ეტყობა, სიმდაბლის მწვერვალს უნდა მიაღწიო, რათა ხელახლა აღსდგე. ხსნა ნამდვილად არსებობს, სადღაც აქვე, ახლომახლო... შეიძლება, ამ სანგარშიც, ჩვენს შორის... მე თვითონ ვიცნობდი ერთ გამოსწორებულ ნარკომანს. ჩემი მეგობრის ბიძა იყო. იმის შიშით უბატონოდ ხმას ვერავინ გვცემდა ქუჩაში, სტუდენტობისას. ახლა ცოცხალი აღარ არის. ჩვენ რომ უნივერსიტეტში შევედით, ის მაშინ გამოვიდა ციხიდან უკანასკნელად. ციხეში მიეჩვია ნარკოტიკსაც. ასე გვიყვებოდა თვითონ. ბანდიტი თუ ხარ, ნარკომანიც უნდა იყო. სხვანაირად გაგიჭირდება ბანდიტური ცხოვრება. მაგრამ ასევე გაგიჭირდება წესიერი ცხოვრება, თუ, ბანდიტობასთან ერთად, ნარკოტიკსაც არ შეეშვები. მოკლედ, უკანასკნელად რომ გამოვიდა ციხიდან და იფიქრა, ისევე ძველი გზით ევლო თუ სხვა გზაც ეცადა, უფრო სწორად კი, ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად, ერთი წამით რომ გამოფხიზლდა ციხიდან გამოყოფილი ბურანიდან და უნებლიედ გარედანაც შეხედა საკუთარ თავს, არ მოეწონა, არ მოეწონა კი არა, შეაწუხა, აღაშფოთა საკუთარმა სიმდაბლემ. მწვერვალზე იდგა საკუთარი სიმდაბლისა. თვითონ თქვა, მატლივით შემადლოდა რაღაცა სულზეო. ბანდიტებს უყვართ პოეტური ლაპარაკი. რაც მთავარია, ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი ღირსების გრძნობა. ეს კი, აუცილებელია. უიმისოდ, რა აზრი აქვს გამოსწორებას?! ქვეყნისთვისაც ღირსეული ბანდიტი სჯობს, ვთქვათ, უღირს მეცნიერს. წამლის მიღების დრო რომ მოუვიდოდა, ზურგს უკან აკვრევიანებდა დედას ხელებს. ჩემი თვალით მინახავს. სტუმრად ვიყავი იმათთან სოფელში. სხვას არავის ენდობოდა. მარტო დედას. დედაჩემს თქვენზე მეტად ვეცოდები და ამიტომ, ხელებსაც თქვენზე მაგრად შემიკრავსო. ზურგსუკან

ხელებგაკოჭილი, კიდევ უფრო აღზნებული, კიდევ უფრო გაცოფებული, კიდევ უფრო ჭკუიდან გადამცდარი დაძრწოდა ეზოში, თავს ურტყამდა ხეებს, კბილით ღრღნიდა ტოტებს და თავპირდასისხლიანებული ღმუოდა, ღრიალებდა, მთელი სოფლის გასაგონად. არ მალავდა თავის უბედურებას. არ რცხვენოდა უბედურებისა. თვითონ თუ არ უშველიდა თავს, სხვა არეინ იყო მისი მშველელი. ესეც შეგნებული ჰქონდა და კიდევ უფრო გამძვინვარებული იბრძოდა სიმარტოვეში. უამხანაგოდ. უმეგობროდ. უექიმოდ. დედა მხოლოდ ხელების შეკვრაში შველოდა. მერე მკერდში მჯიღს იცემდა და გაუბედავად ხაოდა შვილის ზურგსუკან. შვილოოო, შვილოოო, შვილოოო... თითქოს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა. ასედაც იყო. მისმა შვილმა მაინც თავისი გაიტანა. აჯობა ამ თითქოსდა მოურეველ სენს. ხელახლა დაიბადა. ხელახლა კი არ დაიბადა, სრულიად სხვა, ახალი ადამიანი მოეკვლინა ქვეყანას, მისი სამშობლოსი არ იყოს, ოღონდ, ძველზე უკეთესი, კეთილშობილი მიზნისა და შეურყეველი რწმენის ნაყოფი — ჯანმრთელი, საღი, კეთილი, სამართლიანი, გულისხმიერი, სუსტის ქომაგი, გაჭირვებულის გამკითხავი... მეზობლები მის სახელს ფიცულობდნენ. დედამისი განგებ, უსაქმოდ გამოდიოდა შინიდან, შვილის ქება რომ მოესმინა ყოველ ნაბიჯზე. სამსახურშიც ჩადგა, დაოჯახდა კიდევ, მაგრამ, სამწუხაროდ, მალე დაიღუპა. გულმა უმტყუნა. ეტყობა, წესიერი ცხოვრება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. რაც მთავარია, მოასწრო გამოსწორება. დაიბრუნა სახე და სახელი ადამიანისა და ცოდვებისგან განწმენდილი მიეახლა უფალს. უკვე მიხვდით ალბათ, რატომ მოვეყვი ამსიგრძე ამბავი. რასაკვირველია, ჩვენც შეგვიძლია გამოვსწორდეთ, თუკი, თავისთავად ცხადია, გვინდა გამოსწორება. ასე ვიწყებ ჩემს მიმართვასაც. შენი მძახლობა კი არა, შენი თანამედროვე რომ ვარ, ისიც მეყოფა სირცხვილად და დანაშაულად-მეთქი. მაგრამ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, მხოლოდ და მხოლოდ, შენ შეგიძლია გადაარჩინო ის, რისი დაღუპვაც, მამა-პაპის მსგავსად, ხელობად გაგიხდია-მეთქი. დალატის ქინი რომ წამოგივიდის, თხოვე ვინმეს — ან ფეფეს, ან ჩემს ქალიშვილს — ხელები შეგიკრან ზურგს უკან, პირზე პლასტიკი გადაგაკრან, ანდა ფეხსადგილში ჩაგკეტონ გარედან-მეთქი. არ შეიძლება, შენც არ გაგიმართლოს-მეთქი. შენც აუცილებლად გამოსწორდები, ესე იგი, გადარჩები და გადარჩენის შემდეგ, გინდაც, მალე დაიღუპო, ან ყელი გამოგჭრას ვინმემ, ან მანქანამ გაგიტანოს ქუჩაში, მაინც დიდ შეებას იგრძნობ, მაინც მოასწრებ ენითუთქმელი, ღვთაებრივი მადლის განცდას, მკვდრეთით აღდგომა, შინ დაბრუნება, თვალის ახელა რომ ჰქვია-მეთქი. შენ ხომ ვირთხასავით ბრმად და უაზროდ იღვწი მონური პატივმოყვარეობის სიბნელეში-მეთქი. გთხოვ, გემუდარები, ჩვენი ბავშვების ხათრით, სცადე მაინც-მეთქი... მზად ვარ, დაგიჩქო-მეთქი... (ელიზბარ! მამა! ძია ელიზბარ!). ეს ცა და მიწა სად გაგექცევა-მეთქი... გამოსწორება კი, შეიძლება, ვეღარ მოვასწოროთ-მეთქი... დრო მოღალატესაც განსაზღვრული აქვს ბუნებისგან. მოღალატეც დროს ექვემდებარება. ასე რომ, ნუ მოვიტყუებთ თავს, თითქოს მოღალატეობით უკვდავების მოპოვებაც შეიძლებოდეს. არაერთარ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ჩვენგანის, იგივე რაუდენ კაშელის სახსენებელი, შეიძლება, საუკუნეებს შემორჩეს, თაობიდან თაობებს გადაეცეს მისი წყევლა და გინება, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო უკვდავებასთან. ჩვეულებრივი სიკვდილი სანატრელი გაუხდება. საფლავშიც ვერ ეღირსება სიმშვიდე, საფლავი თუ შეარჩინეს, რა თქმა უნდა. იქაც მიწვდება პატივყარილი, შეგინებული, დახვეტილი ხალხის რისხვა, შთამომავლობით გადამავალი თაობიდან თაობაზე. დრნგ. სანამ ჯერ კიდევ დროა დრნგ როგორმე ჩავიკლათ ეს სამარცხვინო, დამღუპველი მოთხოვნილება დრნგ. სხვა გზა არ არსებობს ჩვენი ხსნისა. დრნგ. ან სამუდამოდ ავიღოთ დალატზე ხელი დრნგ ან სასწრაფოდ ვუღალატოთ იმას, ვინც მოღალატეებად გვაქცია დრნგ. ან ვძლიოთ სიხარბეს დრნგ ან ვთქველიფოთ სამშობლოს ღეში და ერთმანეთს ვურწყოთ ჯამებში დრნგ დრნგ დრნგ (მამა! ელია! ძია ელიზბარ!). ერთად ვუშველოთ სამშობლოს! ნუ განვუდგებით სიღარიბის გამო. ნუ ვიუკადრისებთ სიპატარავისთვის. ნუ დავუწუნებთ გარეგნობას. განა ყველა მშობელი ერთნაირად ღამაზი არ არის?! მოეუხმით ჭკუას და დავბრუნდეთ შინ, გაქცეულნიც და გასაქცევად გამზადებულნიც... ბარგზე მჯდომარენიც... ბატებო, ბატებო, შინ! ჩვენს დროს იყო ასეთი თამაში. უფრო სწორად, უფროსები თამაშობდნენ ასე ჩვენს ბავშვობაში... პირველ რიგში, ფული შევაგროვოთ და პატარ-

პატარა წიგნაკებად გამოცემთ ჩვენი ანდაზები, წინაპართა სიბრძნე. თავგადასავალი. ჯიბითა და უბით ვატაროთ თან. ლოცვანივით ვიკითხოთ ყოველ დღე, დღეში რამდენჯერმე. ვზუთხოთ, როგორც მარქსიზმსა და პოლიტეკონომიას ვზუთხავდით... გინდათ ერთად, გინდათ ცალ-ცალკე. გინდათ ხმამაღლა, გინდათ ჩუმად, გუნებაში. იქნებ ასე მაინც ვძლიოთ მონურ პატივმოყვარობას... იქნებ ასე მაინც გადავჩვიოთ მონობაში მონობით კოპწიობასა და ყოყლოჩინობას... დავიბრუნოთ გახიზნული, გაჩუქებული, გაყიდული შეილები და, მათთან ერთად, შინ ვხეხოთ ფეხსადგილი... საკუთარი ნაგავი გავიტანოთ საკუთარ სანაგვეზე... და გულში მაინც ვადიაროთ, გახვრეტილი კაპიკიანის ფასიც რომ არა აქვს არცერთ ჩვენგანს უსამშობლოდ. ისევ ჩვენ თუ ავიტანთ ერთმანეთს. ისევ ჩვენ თუ მოგვეწვევა გული ერთმანეთზე. ისევ ჩვენ თუ შეგვაწუხებს ერთმანეთის სივლახე. შინ, შინ, შინისკენ! დრნგ. არა, ამდენს ვხვდებით. ამდენი ჩვენც გვესმის. სამშობლოს უარყოფელს ყველგან ეჭვის თვალით უყურებენ. ამიტომაც ვეზიდებით მის ნამცეცებს ახალ ბუნებებში. მშობლიურ გარემოს ვიქმნით უცხო ცის ქვეშ. შემფარებელსაც ვატყუებთ — აი, როგორი ლამაზი სამშობლო დაგვაკარგინესო — და უარყოფილ სამშობლოსაც — იქაც გვახსოვხარ და გვიყვარხარო. აბა, რად გვინდა, რისთვის გვჭირდება გაქუცული თუშური ფარდაგი გერმანიაში?! ანდა, დაბზარული მეგრული ჩონგური ამერიკაში?! ანდა, პირმოტეხილი კახური კოკურა ნიდერლანდებში?! შინ. შინ. შშინ. დრნგ. დრნგ. დრნგ. დრნგ. გვეყო, რაც ვითვალთმაქცეთ და ვიმატრაბახეთ. მე რომ ძალა მქონდეს, მე რომ ღონე მერჩოდეს, მათრახით დაგიფრენდით ყველას, მათრახით გავირეკავდით წინ, ანუ, უკან, შეგინებული, გულმოკლული, მიტოვებული სამშობლოსკენ, ვერაფრით რომ ვერ მოიგო ჩვენი გული, ვერ გვაგრძობინა სიბოლო, ვერ დაგვანახა სიკეთე... ჩვენც შევიძულეთ და შევიღებსაც იქამდე შევაძულეთ, ვიდრე თვალი აეხილებოდათ, ჭკუაში ჩავარდებოდნენ და თეთრისა და შავის გარჩევას შეძლებდნენ... ბადის სკამებივით გადავღებეთ ახლებურად, სეზონის შესაფერისად. არ დავაცადეთ, ბოლომდე შემოსილიყვნენ იმ ბუმბულით, მათთვის განკუთვნილ გარემოს რომ შეუხამა ბუნებამ. არჩევანის უფლება წავართვით. დრნგ. უარესი. დრნგ. მათ მაგივრად და მათი სახელით ჩვენ ავირჩიეთ ჩვენთვის უკეთესი. დრნგ. მაგრამ სამშობლო არ მოტყუვდება. იმის გაჩენილები ვართ ყველანი, მოხარშულს გვიცნობს... სადაური ქუდიც არ უნდა დავიხუროთ, იმისთვის მაინც უმადური, გზასამცდარი შეილები ვიქნებით... მაინც მისი საპატრონებელი. როგორც არ უნდა ვიუკადრისოთ, როგორც არ უნდა განუვადგეთ, ბოლოს მაინც იმან უნდა მიგვიღოს თავის წმინდა წიადში, როცა უაზრო წანწალითა და დამადლებული პურის ლოღნით გამწარებულებს, ერთ მშვენიერ დღეს, ქალბატონ ცუცა ოდიშარის კუილივით გაგვძვრება ეს დაწყველილი, შეგინებული სული... დრნგ. დრნგ. დრნგ. ესეც ასე! მადლობა ღმერთს და, რასაკვირველია, განსაკუთრებული მადლობა რაჟდენ კაშელს. გამაღიზიანებლის გარეშე მარგალიტი არ იბადება, არც ბუნებაში, არც ლაბორატორიაში... ახლა მთავარია, ქალაღდზე გადავიტანოთ, რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება სრულად. ამისთვის კი, სულ ცოტა, ორი რამ არის საჭირო: ცოცხლები გადავრჩეთ და თბილისი თავის ადგილზე დაგვხვდეს. მაგრამ ასეა თუ ისე, შენი შენი თქვი. ახლა თავი ქვისთვის უხელიათ. შენ მეტი არაფერი შეგიძლია. ეცადე, მართლა დაიძინო. ანდა, ცოტა კარგზეც იფიქრო. თუ კარგი არაფერი გაქვს, რიდასთვის ომობ?! კარგია თუ ავია, ნამდვილი საქართველო ამ სანგარში ზის. ესე იგი, ცხოვრება გრძელდება. ომიც ამის დადასტურებაა მხოლოდ. დრნგ. რაც მთავარია, სწორედ ისეთი დღეა, შენ რომ გიყვარს — ჩაწყნარებულ-ჩამყუდროვებულ-დაძაბულ-დაუღეველ სიცოცხლით სავსე, ბაყაყის ყიყინით, ჩიტის ჭიკჭიკით, მწერისა და ქვეწარმავლის ფაჩუნით გაბრუებული. ოღონდ, სად?! აქ თუ ქვიშხეთში? არც ამასა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ერთი და იგივეა. მოასფალტებულ ბილიკზე გაჭყლევტილ გომბეშოს ჭიანჭველები ესევიან. აი, ვინ ხარ შენ! ჭიანჭველასაც არასოდეს არ ძინავს თურმე. ცოტა უფრო ქვემოთ, გველის ვერცხლისფერი კუდი ბზინავს. ბავშვებს უნადირიათ. მაგრამ თქვენ თუ დაკვირვებისხარო, როგორ უხდება ფიჭვის ხეს ციყვი! საინტერესოა, რას ფიქრობს, როცა ქვემოდან ასცქერი. ალბათ გაგინებს, წადი შენი მკვლეელი დედაცო... ბოლომდე არ ენდობა კაცს. კაცზე ჭკვიანია. ბუნებისგანაა გაფრთხილებული, არ

ენდო, ბუნებით მკვლელიაო, ციყვსაც ისევე მოკლავს არაფრისთვის, როგორც კაცსო. მსუბუქად, იოლად, უხმოდ მიხტის ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე, როგორც ცნობისმოყვარე, ანდა, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, როგორც ხარბი თვალი — საგნიდან საგანზე, ერთი ძვირფასი ნივთიდან კიდევ უფრო ძვირფას მეორე ნივთზე. ცაცხვის სუნი ძლიერდება. დრნგ. თუ რაღაც იწვის?! თუ იწვის, კარგი რაღაც იწვის. დრნგ. სამშობლო. დრნგ. ყველაფერს დათმობს კაცი ამ სურნელისთვის. დრნგ. სამაგიეროდ, მიწაში ჩამპალ ფესვებს, მშობლიურსაც კი, საშინელი სუნი ჰქონია. მასუნთქეთ ჩემი სამშობლოს სურნელი. ხურდა არ მინდა. სიცოცხლეს ვიხდი მთლიანად. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ჩვენს დროში, სამშობლოს სურნელს ვერ გაყიდი. სამშობლო იყიდება, მისი სურნელი კი, არა. სურნელი მაინც აქ რჩება, გამოცარიელებულ სივრცეში, ნასამშობლარზე... დრნგ. დრნგ. დრნგ. ელიზბარ, ელიზბარ, ელია! სულ ცუდს ნუ ფიქრობ ჩვენზე, კარგიც იფიქრე რამე. არ დაგავიწყდეს, ნავახშმევს, მძახალთან ხარ დაპატიუებული. "ენისელი" და ბალი. უნდა წახვიდე. აბა, ხომ არ ათქმევინებ, ეს რა უცხვირპირო მშობლები ყოლია ლიზიკოსო. დრნგ. ისე წახვალ, როგორც დაგიბარებია. იშფოთებ, ინერვიულებ, გულსაც ბევრჯერ შეასკდები ამოდ და ელისოსაც, მაგრამ ბოლოს მაინც წაცუნცულდები. ვერც ამჯერად იტყვი უარს. "ენისელი" და ბალი ჩვეულებრივი მისატყუარია. გნებავს, ბალი და "ენისელი". შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება. ასევე აღარაფერი შეიცვლება, როგორც არ უნდა გადაადგილ-გადმოადგილო შენს მიერ (და ხშირად, შეგნებულადაც) დაშვებული შეცდომები. მართლაც, რა შეიცვლება, ელისოს დაუინებული თხოვნის შედეგად აღიარე კაშელების ნათესაობა, თუ, იქამდე, ანტონის ხათრით დახუჭე თვალი იმავე კაშელების საქვეყნოდ ცნობილ "დამსახურებებზე"... რა მნიშვნელობა აქვს, თუკი საერთოდ შესაძლებლად თვლი ერთ სივრცეში, ერთ დროში არსებობას კაშელებთან ერთად და თუკი თავიდანვე, ჭკუაში ჩავარდნისთანავე, არ დაგისახავს მიზნად მათი სახსენებლის ამოძირკვა, ნებისმიერი მსხვერპლის ფასად... ახლა სიზმრების ახსნასა და ჩვენებებით მკითხაობას, გაჩუმება სჯობს. ახლა მაინც ნუ მოიტყუებ თავს, თითქოს რამეს ნიშნავდეს, თითქოს რამეს ცვლიდეს ამ სანგარში ყურყუტი. ჯერ ის მაინც აუხსენი ბავშვებს, საიდან უნდა დაიწყოთ ომი, ანუ, რისგან უნდა განთავისუფლდნენ პირველ რიგში, ღირსნი რომ გახდნენ თავისუფლებისა. სად არის ძაღლის თავი დამარხული? ეს ხომ მაინც იცი?! ეს იცი მხოლოდ, მაგრამ სწორედ ეს ვერ გითქვამს. ჯერ, ვითომ, ანტონისა და ლიზიკოს მეგობრობა გაკავებდა, მერე — რაჟდენისა და ფეფვს მძახლობა, ახლა კი — სირცხვილი... სირცხვილი და იმის შიში, ვაითუ აღარ დამიჯერონო, ვაითუ, ბოროტების (ასე უსაშველოდ დაგვიანებული) მხილება, რაც ვალდებულებაცაა ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, შვილის გაუბედურებით გამწარებული მშობლის შურისძიებად ჩამეთვალოსო... მაგრამ როგორც არ უნდა გაეწელ-გამოეწელოთ, დამნაშავე უკვე მარტო შენა ხარ. ყველა შესაძლებლობა გაუშვი ხელიდან. დრო კი, მკაცრი მსაჯულია. კაშელი ყოველთვის ისე ცხოვრობდა, როგორც უნდა ეცხოვრა და ყოველთვის იმას აკეთებდა, რაც უნდა ეკეთებინა, თავიდანვე რისთვისაც მოეგლინა ამ ქვეყანას; შენ კი, პირიქით, ყოველთვის სხვის მაგივრად ცხოვრობდი და ყოველთვის სხვის გასაკეთებელს აკეთებდი... შედეგმაც არ დააყოვნა. თუკი ვინმეს მოუსპე სიმართლის დანახვისა და გარკვევის უნარი, შვილს მოუსპე. ამიტომ, თუ ვინმეს სინდისზეა, შენს სინდისზეა მისი შეგინებული ღირსებაც და განწირული სიცოცხლაც... შენ თვითონ გააუპატიურე საკუთარი სისხლი და ხორცი... გინდაც, შენი მეშვეობით გააუპატიურა სხვამ, რადგან შენი უსიტყვო თანხმობისა და ფარული მხარდაჭერის გარეშე, ეს არ მოხდებოდა... მაჯებდაბინტული არ ეგდებოდა ლიზიკო ახლა უშუქოდ, უეკიმოდ, უპატრონოდ დარჩენილ ფსიქიატრიულში, თავადაც უპატრონო... აღარც ქმრისა და აღარც მამისა... დრნგ. ვეღარც ელისოს თავგამოდება და გულმოდგინება უშველის რამეს. ფსიქიატრიულის პარკეტაყრილ დერეფნებში წინ და უკან მგელივით წრიალი და ყმუილი, გულისამაჩუყებელი როლია მშობლისა და არა მოვალეობა. ელისომაც უნდა შეიგნოს ეს. როგორმე უნდა მიაწვდინო ხმა. იმისთვის დასატოვებელი წერილები თან წამოგყოლია. აქედან კი, ვერ გაუგზავნი. სოხუმიდან თბილისამდე ყველა საფოსტო განყოფილება დარბეულია. რა წაიდეს? თხის ფეხები. ეს არ არის მთავარი. მთავარია, გაბედეს.

ნება მისცეს თავს, შეიარაღებულიყვნენ და შესეოდნენ სამშობლოს. დრნგ. ასე რომ, იფიქრე, იფიქრე, როგორ ვუშველოთ ბავშვებს... შეიძლება თუ არა მათი შველა და, თუ შეიძლება, საჭიროა თუ არა... და თუ საჭიროა, ვისთვის? შენთვის თუ კაშელისთვის? ვის სჭირდება ასეთები? შენ თუ კაშელს? დრნგ. უგულონი, ურწმუნონი, უხნეონი, უმწეონი... დრნგ. გაიღვიძეთ, ბატონო ელიზბარ! დრნგ. ბოლო სადგურია. დრნგ. გუმისთა. დრნგ. მანდარინებში მკედარი ძროხა გდია და ყარს. ორი წლის მოსავალი ხეებს ზედ შეჭკობია. სამაგიეროდ, ზღვა ძველებურად თვალისმომჭრელად ლაპლაპებს მხეხე. შენ კი, სანგარში ზიხარ, ზურგჩანთაზე, და ყვინთავ დრნგ დედაენის გიგოსავით. ამდენი ჯერ კიდევ გაგეგება. უფრო სწორად, ძილბურანში ხარ განუწყვეტლივ. ვერ გაგირკვევია, როდის გძინავს და როდის გღვიძავს. ხუთი მეტრის მოშორებით, სანგარზე ჯოხია გადებული. ჯოხზე ბრეზენტის დაფლეთილი კარავია გადაკიდული, თანამედროვე თეატრალურ ფარდასავით. ფარდის იქით, ვინ იცის, აქ საიდან მოხვედრილ მატრასზე "მთელ სანაპიროზე ყველაზე ჭორფლიანი გოგო" წევს, ჭკუასუსტი ინგირა, დედიშობილა. ფარდის აქეთ კი, ბიჭების რიგი დგას. უფრო ზუსტად, ზის. სხედან მიწაზე, ეწვეიან, იფურთხებიან გალაჯულ ფეხებს შორის, ენაბილწობენ, დასცინიან ერთმანეთს და მოუთმენლად ელოდებიან თავიანთ რიგს. ამჯერად, ფარდის იქით სოხუმელი ბორიაა გასული. "კაი ახლა, ბორია, ამდენი მტერი გეყავს შე კაცო, მაგას ხომ არ უნდა შეაკლა თავი" — ეძახის შორაანელი ვახო. დანარჩენები იცინიან, ხრინწიანად, მოუთმენლად, უხამსად. დრნგ. დრნგ. დრნგ. სანგარის უკან, სასწაულად გადარჩენილ ალვის ხეზე კოდალა აკაკუნებს, თავის კუთვნილ მატლს დაეძებს და სრულებითაც არ აინტერესებს, რა ხდება მიწაზე. დრნგ. ანტონიც იმ ბიჭებში ზის. შეიძლებოდა ოთხით მეტნი ყოფილიყვნენ. წუხელ ოთხი გვამი ამოიღეს მარტო ამ სანგრიდან. ანტონიც ელოდება სხვებთან ერთად, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ყველაფერი ურჩევნია იმ ფარდის იქით გასვლას. აგდებულად ეკიდება ამ ამბავს, როგორც ნაციხარსა და ძველ ბიჭს შეეფერება, ოღონდ, გარეგნულად, მოგონილი არხეინობით. სინამდვილეში, ძალიან განიცდის. უფრო მეტიც — ეშინია. რასაკვირველია, იცის ვინ წევს მატრასზე, ფარდის იქით, მაგრამ, რატომღაც, თვალწინ განუწყვეტლივ ლიხიკო უდგას, ასევე დედიშობილა. "გახსოვს?" — ეკითხება ლიხიკო, კვიმატურად მომღიმარი. ანტონს, რასაკვირველია, ახსოვს. ბებერ, ფართოდ გატოტვილ ნაძვში ჰქონდათ სამალავი მოწყობილი, ხმელი წიწვით, აბლაბუდის ნაკუწებით, მუშლითა და ლიხიკოს გამაბრუებელი სურნელით ამოვსებული სიცარიელე. იქ კითხულოდნენ, უფრო სწორად, ერთმანეთს არ აცდიდნენ წაკითხვას, ხელიდან გლეჯდნენ ნიკოლოზის ბიბლიოთეკიდან წამოღებულ წიგნს. "ჩვენ დაგვარქმევენ ბოზო, მეძავო, მრუშებს და ჩვენს შეილებსა ნაბიჭვრებს, ბუშებს; სახელი გატყდების, ქვეყანა ასტყდების ჩვენს საძრახავად". ასე აგისრულდათ ყველაფერი კარგი! ანტონისთვის ლიხიკო წევს ფარდის იქით, ლიხიკო აცხრობს გადატანილი შიშითა და მღელვარებით აღზნებულ ბიჭების ვნებას. "კი არ გიღალატე, მსხვერპლად შეგეწირე შე დებილო. მხოლოდ ასე შემეძლო ამეხილა შენთვის თვალი... — ამბობს უტიფრად — გვარი მოვსთხარე და ნათესავი; სირცხვილით დავსჭერ სუყველას თავი; საქმე ვქმენ კახაური... არ მომეკარო, არ მომეკარო, არ მომეკარო" — ყვირის შეშლილივით და უფრო ღრმად მიძვრება ეკალბარდებში, კაბაწამოხდილი, ბარძაყებდაკაწრული... "უწმინდურთა ქალთა ოქრო-ქსოვილთ კალთა დაჰფარავს ვერა". დიახაც რომ კახაა. ძუენა. მეძავი. ბოზი დიაცი... "ქმრის საფლავეთ ლოდი..." და მაინც ყველაზე სასურველი ქალი მისთვის. ასეთია სინამდვილე. ასეთია სამდღიანი ფიქრის, განსჯის, შფოთვისა და თვითგვემის შედეგად გამოტანილი დასკვნა, ვნებავეთ, განაჩენი, და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. დრნგ. დრნგ. დრნგ. გუმისთის ვაღმა, ფიჭვნარით დაფარულ ფერდობზე, ერთ-ერთი ფიჭვის ძირას კომკავშირელი გოგონა ჩამჯდარა და ზურვით კანდამსკადარ ხეს მიბჯენილი, თვალდასუჭული მისჩერებია მხეს. ირუჯება აფხაზური მზით. შინ რომ დაბრუნდება, თავს მოიწონებს ტოლ-ამხანაგებში. დაიტრახახებს. ბევრი არც დაუჯერებს. ბევრისთვის საქართველო ლეგენდაა, ზღაპრული ქვეყანაა, თითქოს სინამდვილეში არც არსებული. რაღაც საშუალოა სამოთხესა და სამთავრობო აგარაკს შორის. გვერდით ოპტიკური შაშხანა უდევს,

სპორტული. შაშხანის კონდახზე ფრთებაპრეხილი, სიბრაზისგან დაკუზიანებული კრაზანა დაცოცავს. კომკავშირელი გოგონა მურმანსკიდანაა ჩამოსული და ერთი მასავით მოხალისე, კრანოდარელი კაზაკი მოსწონს. კი არ მოსწონს, ყურებამდეა შეყვარებული. იმის დანახვაზე ბლუფდება. იმას კი, კაზაკს, სკივრიდან ამოდებული, ალბათ პაპის ნაქონი კაზაკური ქუდი გვერდზე კოხტად მოუვლია, ასევე ძველი, წითელ ლამპასებიანი შარვლის ჯიბეები მოხალული მზესუმზირით ამოუვსია და განუწყვეტლივ აკნაწუნებს თეთრი, ნაფოტა კბილებით. "ერთი ქართველი — ერთი მუჭა მზესუმზირა — ეუბნება ამას, კომკავშირელს, სნაიპერს, შეყვარებულს — ტყუილუბრალოდ, ერთ მარცვალსაც არ მოგცემ, იცოდე. მიყურე და ყლაპე ნერწყვები" — იცინის საკუთარი ენამახვილობით კმაყოფილი. "მე მზესუმზირისთვის არ ვკლავ" — ძლივძლივობით ამბობს ეს, კომკავშირელი, სნაიპერი, შეყვარებული. თვალები ცრემლით ევსება დაძაბულობისგან და კიდევ იმიტომ, ათას სისულელეზე რომ უხდება ლაპარაკი, როცა ყველაფრისთვის მზად არის უკვე. ერთადერთი სიტყვა უტრიალებს სულ ენის წვერზე: "შტერუკა". "ერთი ამას დამიხედეთ — იცინის კაზაკი — შენ რა, არძინბას გოგო ხარ?" "მე არავის გოგო არა ვარ. მე სუსტის მხარეზე ვარ" — სლუკუნებს კომკავშირელი, სნაიპერი, შეყვარებული. "აი, ეს მესმის! ყოჩაღ! ჩაგეთვალა. აჰა, გამომართვი (კაზაკი მზესუმზირით საგსე მუჭს აწვდის, მაგრამ კომკავშირელი, სნაიპერი, შეყვარებული არ ართმევს). გამომართვი-მეთქი! — ვითომ უბრაზდება კაზაკი — ეს ჩვენს გარიგებას არ ეხება. ეს რიგგარეშე პრემიაა" — ამბობს უკვე მომღიმარი და ფიჭვის ხესთან ჩამჯდარ გოგოსაც ტკბილად ელიძება ამ საუბრის გახსენებაზე. "შტერუკა. შტერუკა. შტერუკა." — ენით უთქმელი სიამოვნებით იმეორებს რამდენჯერმე, ზედიზედ. დრნგ. ჩქარა, ბატონო ელიზბარ დრნგ გამოიქეცით დრნგ ჩქარა დრნგ სირცხვილია დრნგ და ელიზბარიც ფაცაფუცით დგება, ფაცაფუცით ისწორებს მოჩაჩულ ტანსაცმელს და თვალდახუჭული გარბის, თვითონაც რომ არ იცის საით. ეტყობა, გვარში მოსდევთ. ამწინებზე, მისი შვილიც ასე გარბოდა ტრიალ მინდორში, ბრმად, ალაღბედზე... არც ის იცის, ქვიშხეთში გარბის, ცაცხვების ხეივანში, თუ გუმისთასთან, სანგარში. იცის, უნდა გაიქცეს და გარბის. როგორც ჯარისკაცს მოეთხოვება. ააააააა! გასაგებია ყველაფერი. ალბათ სტუმარი ჩამოვიდა. თანაც, საპატიო. არც მეტი და არც ნაკლები, სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი დანარჩენ ორზე. მწერლებს გაესაუბრება, გაიგებს იმათ გუნება-განწყობილებას. ესეც ჩვეულებრივი ამბავია ნებისმიერი ხელისუფლებისთვის... განა არა? თვითონაც მიაქცია ყურადღება — აფუსფუსებულნი იყვნენ ყველანი, გამალებულნი ასუფთავებდნენ ტერიტორიას. ამინდი უშლიდათ ცოტა ხელს. რამდენი დახვეტეს ბილიკები, იმდენი გაწვიმდა. ჩამოჰქონდა და ჩამოჰქონდა წვიმას, რაცკი გამხმარი და დამპალი ჰქონდა ხეს. წყალში ახელილი ცაცხვის ყვავილი უსიამოდ გადაგლეხილა ასფალტზე. მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც სახეიმოდ გამოიყურება იქაურობა. აბა, ჰე, ჩქარა! იძახის მწერალთა დასასვენებელი სახლის დირექტორი და გარბის. გარბის ელიზბარიც. სხვებიც გარბიან, ბატონი პიმენიც, ბატონი ლეონტიც, ბატონი დიომიდეც, ბატონი გობრონიც, ბატონი მიხაკოც... გარბიან მათი ცოლებიც. მთიბავებიც... მოკლედ, ყველანი. ჭკუასუსტი ინგირაც გარბის, დედიშობილა. ოღონდ, დაფლეთილი კარავი მოუსხამს მხრებზე. თავიანთი რიგის მომლოდინე ბიჭებიც გარბიან. ანტონი არ ჩანს მხოლოდ. არა, აგე ანტონი! ანტონიც მათთან ერთად გარბის. ფეფე ბორბლებიან საკაცეს მოაგორებს. საკაცეზე რაუდენი წვეს და საკაციდან გადმოვარდნილი ხელით ბრანწს უჩვენებს ქვეყანას. "ჩენები. ჩენები" — ისმის ყვირილი. კაშელების აგარაკის ელექტროტოშკარი ნელა იღება, ძაბავით, ღრჭიალით, და ეზოში შავად მზინავი ძველებური ეტლი შემოდის. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ოთხი წყვილი ცხენი უბია. ცხენებს თავზე გაფუყული პონპონები უკეთიათ. პონპონები თავისთვის ცანცარებენ განუწყვეტლივ. ეტლს მეცხრამეტე საუკუნის მტვერი ადევს. იმდროინდელი საქართველოსი ლანდიც აღარაა დარჩენილი. მას მერე, საქართველოს აგერ უკვე მესამე სახეობა გადის გამოცდას. ცხენებს მეცხრამეტე საუკუნის (ესე იგი, სამუზეუმო) ტალახი შეხმობიათ ფერდებსა და ფეხებზე. ძალუმაღ სუნთქავენ. ცხელ ორთქლს აფრქვევენ ნესტოებიდან, გეგონებათ, პატარა

ორთქლმავალი ჩამომდგარა სადგურზე, რა თქმა უნდა, ნამდვილი, მაგრამ მაინც გასართობი, სათამაშო, აი, რკინის კომისარმა რომ აჩუქა ქართველ პიონერებს სოჭის ოლქის, ტაო-კლარჯეთის, ლორესა თუ ჰერეთის სანაცვლოდ... ეტლის კარი იღება, დასაკეცი კიბე იხსნება და კიბეზე შევალეე ჟაკ ფრანსუა გამბა ჩამოდის, საფრანგეთის კონსული თბილისში, გასული საუკუნის ოციან წლებში, და ავტორი წიგნისა "მოგზაურობა ამიერკავკასიაში". წიგნი ხელში უჭირავს, "განათლების" გამოცემული, საკმაოდ უღიმღამოდ. ერთი წამით კიბის საფეხურზე შეყოვნდება, ეტლი ოდნავ დაიზინქება მისი სიმძიმის ქვეშ, წიგნს გადაშლის და კითხულობს: საქეპორტო ვაჭრობა, მაინცდამაინც, ვერ არის კარგად განვითარებული, მაგრამ უხვად იშოვება ცვილი, თაფლი, საქონლის ქონი, კანაფი და ფიცარი, კამეჩის ტყავი, ხარის ტყავი... ჰავა ზომიერია, მიწა ნოყიერი. მოსავლის მისაღებად საკმარისია ოდნავ მიინიქნოთ. აქაურობა მდიდარია ზეთისხილით, დაფნით, მურტითა და ველური ღვინით. მრავლად ჰყავთ ნახირი, ირმის ჯოგები და ღორის კოლტები. თევზსაც საკმაოდ ბევრს იჭერენ: საუცხოო თაროს, ორაგულსა და ცვრინას... მოჰყავთ სიმინდი, ფეტვი, თამბაქო... აშენებენ ვაზს, ბროწეულს, თუთას... ტყეები სავსეა კოპიტის, თელის, წითელი ხისა და კაკლის ხეებით... ჩემი ვარაუდით, თუ აქაური ურთხმელა ექსპორტის საგანი გახდება, საშუალება მოგვეცემა, ავაგოთ ბევრად უფრო გამძლე ხომალდები, ვიდრე ჩვენს ტყეებში უმთავრესად გავრცელებული მუხისგან აგებული ხომალდებია... კვერნის ტყავი 5-6 აბაზად იყიდება. დათვის ტყავს იგივე ფასი აქვს. ყვითელი მელა 2-3 აბაზი ღირს. ტურის ტყავი — 1 აბაზი. კურდღელი იმდენად ბევრია, იმის ტყავს არაფრად ავადებენ... "მოღალატე!" — ყვირის ელიზბარი. "დობროპოჟალოვატსხდრასტე" — ესალმება რაჟდენ კაშელი საპატიო სტუმარს. კეისარსა ჰგავს. თეთრი ზეწარი ტოვასავით მოუხვევია შიშველ ტანზე. შვილისთვის მაინც მკვდარია. "იცის რუსული?" — ეკითხება ბატონი პიმენი რაჟდენს. "მე ვიცი ფრანგული?" — უბრუნებს კითხვას რაჟდენი. "მოღალატე! ძირს მოღალატე!" — ყვირის ელიზბარი. "ეს უკვე მეტისმეტია, ბატონო ელიზბარ!" — ძველი, კაბინეტური რისით ტუქსავს რაჟდენი მძახალს. "მოღალატე?! კი მაგრამ, რატომ? — უკვირს ჟაკ ფრანსუა გამბას — განა როდისმე მოგეცით ერთგულების ფიცი? გარდა ამისა, როცა მე ამას ვწერდი, თქვენ უკვე აღარ არსებობდით, ანდა ჯერ არ იყავით დაბადებულნი" — ამბობს განაწყენებული კაცის მედიდურობით. "თქვენ, ყველა სიკეთესთან ერთად, რუსეთს განუმარტეთ გაგრის ოლქის სტრატეგიული მნიშვნელობა და ამით სამუდამოდ გაწირეთ საქართველო, მოუსპეთ მკვდრეთით აღდგომის საშუალება" — მგზნებარედ ეკამათება ელიზბარი. "მე რუსებს კი არ განუმარტე, საერთოდ განუმარტე. გნებავთ, განუმარტე იმათთვის, ვისაც ხელეწიფებოდათ გაგრის ოლქის ხელში ჩაგდება" — ამბობს ასეთი დახვედრით, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ბატონი ჟაკ ფრანსუა გამბა და მღელვარების დასამალავად, წიკპურტით იშორებს მეორე ხელის მანუეტზე დავარდნილ ცაცხვის ყვავილს. "საქართველო გაყიდულია! ბავშვები და სახედრები შუაში!" — ყვირის ელიზბარი. ვიღაცა უკნიდან ხელსა ხვევს, ვითომ იქაურობას უნდა გამოარიდოს, სინამდვილეში კი, ყულფში აყოფინებს თავს, ვერაგულად. ელიზბარი გრძნობს თოკის უხეშ ბუსუსებს, მაგრამ არ იმჩნევს, თითქოს უხერხულია, სხვებმაც დაინახონ თავზე ყულფჩამოცმული. დრნგ. დრნგ. და ერთი წამით ეღვიძება. კრაზანა შესცოცვებია კისერზე. შეიძლება, სწორედ ის, ცოტა ხნის წინ, გუმისთას გაღმა, ფიჭვნარში, სნაიპერის შაშხანის კონდახზე რომ დაცოცავდა. დრნგ. ასე დაფრინავს, წინ და უკან, მთელი დღეა. დრნგ. მაგრამ აქ რა ხდება?! რა ხმაურია?! თავს დაგვესხა, ვითომ, მტერი?! არა. უარესი. ჩვენ დავერიეთ ერთმანეთს. ბიჭები ჩხუბობენ. თანამესანგრენი იწვევენ ერთმანეთზე. უფრო სწორად, ანტონს დასვეიან დანარჩენები. მაგრამ ანტონიც თავგანწირულად იბრძვის. ძირმომტვრეული კოკა-კოლას ბოთლით იგერიებს დანარჩენებს. ყველა ერთის და ერთი ყველას წინააღმდეგ. თქვენი დედაო, ავინებთ გაცოფებული, ამაზე მეტს, რას გაუკეთებდნენ აფსუები ამ უბედურსო, ყვირის თვალეგადათეთრებული, ამისთვის ხართ აქ, თქვე დაძვლებო, ივინება უკანასკნელი სიტყვებით. დააგდე ბოთლიო, უყვირიან დანარჩენები, ცოტა არ იყოს, შემცბარ-შეწოქოლებულნი მისი შეუპოვრობითა და შეუდრეკლობით. ბორია ტიტველია, მარტო ბატინკები აცვია. გაუნასკვათ თასმები

მიწაზე დასთრევს. დააგდე ბოთლიო, უყვირის ისიც. სხვა არაფერი აქვს სათქმელი, მაგრამ იხტიბარს არ იტყვს. ისე, რა ანტონის საქმეა, ჩვენში რომ ვთქვათ. ძალას ხომ არ ატანენ ესენი?! იმასაც ის უნდა, რაც ამათ. იმასაც თავის წვლილი შეაქვს ომში. რა შენი საქმეაო, უყვირის გაწიწმატებული. როცა მზის სხივი ეცემა, ასოს თავზე სპერმის წვეთი უბრწყინავს, ძვირფასი თვალივით. წითლად ალაპლაპებული ცალი ყვერი მუხლამდე ჩამოზრდია. ვინ გკითხავს შენო, უყვირის ანტონს, ნირწამხდარი. ელიზბარი სხარტად დგება ფეხზე, მღელვარებისგან უკვე დაღლილი, უკვე აქოშინებული. წესიერად არც გამორკვეულა ძილიდან, მაგრამ გრძნობს, რაღაც უნდა მოიმოქმედოს სასწრაფოდ, ვიდრე მთლად არ გადამცდარან ბიჭები ჭკუიდან. შეიძლება ცუდად დამთავრდეს ეს ამბავი. ბიჭებს ომი სწყურიათ. აბა, რისთვის არიან აქ? შელახული ღირსება აწუხებთ. გალანძღული სახელისა რცხვენიათ... მაგრამ სხვაგან ფიცდადებული და აქ მოკაკანე პოლიტიკოსები ძალით აკავებენ, ლამის ცოცხლად დააღპონ სანგრებში. მხოლოდ უკან დასახევად თუ ამოუშვებენ იქიდან. წინ არ შეიძლება. წინ "ძმია", სხვა ტომის, სხვა გვარ-ჯილაგის, მაგრამ მაინც "ძმია", თანაც უმცროსი, პააატარა, სუსტი, ჯერ კიდევ უპირო და უგულო, მაგრამ თითს თუ დააკარებ, ისე აჩხავლდება, მთელ ქვეყანას შეგიყრის. ქვეყანა კი, ისევ შენ გაგამტყუნებს და მართალიც იქნება. რაღა მაინცდამაინც იმასთან იხენ პრინციპულობას?! თითქოს ჯერ კენჭიც არ "გაგეწუქებინოს", უარით გაგესტუმრებინოს ვინმე. დრნგ. დრნგ. თანამედროვე იენერალ მაიორ გრაფ გოტლიბ კურტ ჰენრიხ ფონ ტოტლენბენისა არ იყოს, რა გახდა ეს ძლინკიანი, მაზუთიანი პლიაჟი?! სულ არ ჩავალ ზღვაში, ბოლოს და ბოლოს... ბიჭებიც მხრებს იწეხავენ, დაბნეულნი, დაფიქრებულნი... უჭირთ მცოცავი ომის სტრატეგიასა და ტაქტიკაში გარკვევა... არცერთი ნაბიჯი წინ და ნახევარი ნაბიჯი უკან. ჩუმაღ, შეუმჩნეველად... კი მაგრამ, რატომ! რამენაირად რომ მოატყუო შენიანი და ყველანაირად შეუწყო ხელი მტერს... რატომ-მეთქი, რატომ?! ყელში აქვს ყველას გული, სულერთია, ვისზე იყრის ჯავრს... იარაღის სასხლეტზე უდევს ყველას თითი, სულერთია, როდის გამოჰკრავს და ვისთვის... ვილაცამ უკვე გააჩხაკუნა ავტომატის საკეტი, ავად, გამაფრთხილებლად. მაგრამ ანტონს არაფერი ეყურება, თვალგადაათურებული, ბოთლმომარჯვებული იბრძვის, გზამოჭრილი ნადირივით. ელიზბარიც სანგრის ფსკერზე დაგდებულ კოკა-კოლას ცარიელ ბოთლს იღებს და, თითქოს ვინმე მოსდევდეს, ფართხაფურთხით ამოდის სანგრიდან. ძლივს სუნთქავს. ლამის გაუსკდეს გული. უკვე დაღლილია. ღმერთმა დაიფაროს და, გასაქცევად თუ გაუხდა საქმე, დაღუპულია, ღომსა და აჯიკაზე გაზრდილი აფსუა კი არა, კუც დაწვევა. "ბიჭებო!" — ამბობს გაჭირვებით. "ბიჭებო!" — ყვირის განწირულის ხმით. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ბიჭები ჩერდებიან და გაოცებულნი ამოსცქერნიან ქვემოდან. ელიზბარი მიწის ბორცვზე დგას, თავზე კოკა-კოლას ცარიელი ბოთლი უდევს და, არ ჩამომივარდესო, ნელა, გაუბედავად შლის ხელებს. ბოთლი ოდნავ ირხევა, ჯერ ინარჩუნებს წონასწორობას. "შევინარჩუნოთ ღირსება — ამბობს ელიზბარი — ავტონომიებს ისედაც შეგვინარჩუნებენ — იღიმება დაძაბული, ჯვარცმულივით ხელებგაშლილი — ეს სანგარია ჩვენი სამშობლო... გაუფრთხილდეთ აქაურობას — ლაპარაკობს მგელივით კისერგაშეშებული, ჯვარცმულივით გაკავებული, მაღლა, ბოთლისკენ თვალგაპყრობილი, ნიკაპაცხცხეხებული... უცებ მთელი ტანით შექანდება და ბოთლი მაშინვე სანგარში ჩამოგორდება. ელიზბარი ჯერ ფეხზე დგას, მაგრამ უკვე მკედარია. ნატყვიარში შუქი გასდის. "ღმერთო, რა კარგი ყოფილა სიკვდილი... მაღლობთ შენ, უფალო..." — ფიქრობს ბედნიერი, საკუთარი თავით კმაყოფილი. როგორც იქნა, დაადგა საშველი, მოკვდა, აღარ არის... სამაგიეროდ, მისმა სიკვდილმა ბიჭები შეარიგა. მისი უდიდამო სიცოცხლის ფასად, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაერთიანდა საქართველო, თუნდაც, მიკრო, თუნდაც, სიმბოლური... "არ ადგეთ, ძია ელიზბარ, არ გაბედოთ, ეს თქვენი საქმე არ არის!" — უყვირის ანტონი. დანარჩენები ანტონზე იწვევენ და ძალაუხერად ერთმანეთსაც ეძაძურებიან, ვერ ეტყვიან ვიწრო სანგარში. დრნგ. დრნგ. და ელიზბარი სხარტად დგება ფეხზე, ამჯერად უკვე ნამდვილად, ავანგაშებული, აფორიაქებული, წესიერად არც გამორკვეულა ძილბურანიდან, მაგრამ გრძნობს, რაღაც უნდა მოიმოქმედოს სასწრაფოდ. "ანტონი

უნდა გადარჩეს, ანტონი უნდა გადარჩეს..." — თითქოს ვიღაც სხვა ფიქრობს მის საფიქრალს, მის მაგივრად, რადგან თვითონ ფიქრისთვისაც არ სცალია, რამე უნდა მოიმოქმედოს სასწრაფოდ, ვიდრე ჯერ კიდევ დროა. გული უგრძობს, ცუდად დამთავრდება ეს ამბავი. ყველა საბაბს ელოდება და აი, საბაბიც! შიდააშლილობა. ახლა მათთვის უკვე სულერთია მტერი და მოყვარე. არც შეირჩენენ, არც შეარჩენენ. ელიზბარი კი, დაღლილობისგან ძლივს სუნთქავს, ისევე როგორც ჩვენებაში, ლამის გაუსკდეს გული. "ანტონ!" — ეძახის ანტონს. "ბიჭებო!" — ხრიალებს სუნთქვაშეკრული, ყელგადაკეტილი. "წადი, ბიძია, დაიძინე, რა შენი საქმეა..." — უხეშად იშორებს ერთ-ერთი თანამოსანგრე. "რა არ არის ჩემი საქმე?! რა არ არის ჩემი საქმე?! — უარესად ცოფდება ელიზბარი — ერთმანეთი ჩახოცოთ ამ სანგარში, მტრის გასახარად, და ჩემი საქმე არ არის?" — ხიხინებს, ხრიალებს თვალებგადმოკარკლული. "ვისია, ბიჭო, ეს დინოზავრი? მომაშორეთ, თორემ, გადავჭერი შუაზე" — ყვირის მეორე თანამოსანგრე და ავტომატის ლულას მუცელზე აჭერს ელიზბარს. "რას სჩადიხართ, ბრიყვებო! მთელი ქვეყანა ჩვენ გვიყურებს..." — ხრიალებს, ხიხინებს, იხრჩობა ელიზბარი. "ქვეყანა გვიყურებს კი არა, საღილი არ მოუტანიათ სამი დღეა" — ღვარძლიანად იცინის კიდევ ერთი თანამოსანგრე. "ეი, მატლებო, ამომხედეთ, რა გაჩვენოთ! ბებიანემის საცირკო ნომერი!" — ყვირის მიწის ბორცვზე შემდგარი ანტონი. კი მაგრამ, როდის ამოძვრა სანგრისგან?! ელიზბარის არ იყოს, ყველანი გაკვირვებულები არიან, პირდაღებულნი ასცქერიან ქვემოდან. "ახლავე ჩამოდი ძირს, ახლავე ჩამოდი!" — უყვირის ელიზბარი. იცის, რითი მთავრდება ამგვარი "ნომრები". დაძაბული ელოდება სროლის ხმას. ანტონს, ძირმომტვრეულის ნაცვლად, კოკა-კოლას სხვა ბოთლი აუღია — მეტი რა ყრია სანგრის ფსკერზე — და თავზე იდგამს, როგორც ელიზბარმა დაიდგა წელან, წამიერ ზმანებაში. ისიც, ელიზბარივით, ნელა, გაუბედავად შლის ხელებს. ბოთლი ოდნავ ირწევა, როგორც ზმანებაში ირწეოდა, ელიზბარის თავზე. "ჩემთან ხართ მაგრები, თქვე დაძაბებო — ამბობს ანტონი — მაგრამ ფეხებს ვერ მომჭამთ მაინც". ზუსტად ისევე ლაპარაკობს, როგორც ელიზბარი ლაპარაკობდა ზმანებაში: დაძაბული, ჯვარცმულივით ხელებგაშლილი, მადლა, ბოთლისკენ თვალებაპყრობილი, ნიკაპაცხცახებულები... უცებ მთელი ტანით შექანდება, ოღონდ, ელიზბარისგან განსხვავებით, ნამდვილად განგმირული სნაიპერის ტყვიით. ბოთლი სანგარში ჩამოვარდება. თვითონ კი, ჯერ ფეხზე დგას. არ იცის რომ მკვდარია, მაგრამ უკვე მკვდარია. ნატყვიარში შუქი გასდის. "ანტონ, ჩამოდი! ახლავე ჩამოდი! ჩამოდი-მეთქი!" — უყვირის დამფრთხალი, დაბნეული ელიზბარი. დანარჩენები პირდაღებულნი ასცქერიან. ზოგს, ვინ იცის, შურს კიდევ იმისი. ანტონი ჯერ მუხლებზე დაეცემა, მერე გვერდზე გადმოქანდება და კოკა-კოლას ცარიელი ბოთლივით ჩამოვარდება სანგარში. სანგარში სამარისებული სიჩუმე დგას. ისმის, როგორ აკაკუნებს კოდალა სანგრის უკან სასწაულად გადარჩენილ ალვის ხეზე. ეტყობა, მიაკვლია სანატრელი მატლის სამყოფელს. ახლა აღარ მოეშვება, ხეში გავა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. არც იცის და არც აინტერესებს, რა ხდება ქვემოთ, მიწაზე. არაფერიც არ ხდება, რაც უკვე არ მომხდარა და რაც კიდევ არ მოხდება. ელიზბარი თავის ზურგჩანთაზე ზის ისევ, მაგრამ ამჯერად ანტონის თავი უდევს კალთაში. ათასში ერთხელ, თითქოს უნებლიედ მოუსვამს ხოლმე ნატყვიარზე სისხლით გაჟღენთილ ცხვირსახოცს. არ იცის, სხვა რა მოიმოქმედოს, რითი მიეხმაროს მკვდარს. ნატყვიარიდან სისხლი ჯერ კიდევ მოჟონავს, მაგრამ თანდათანობით დედდება, სქელდება... ანტონს მშვიდი, დაწყნარებული სახე ადევს, გვეგონებათ სძინავსო. ელიზბარი, რეპინის ივანე მრისხანესავით, თვალებგაშტერებული ზის. თან შვილის თავს იხუტებს ორივე ხელით. ანტონიც მისი შვილია. რას გაუყვია ანტონი და ლიზიკო. გარკვეული თვალსაზრისით, ლიზიკოც მოკვდა ანტონთან ერთად... ზის შვილთა მკვლელები, ყრმათა შემოუსვრელი... ზის სამარესავით დაღუმებულ სანგარში ცოცხლად დამარხული და ფიქრობს: ხუთი წუთის წინ, ანტონის აქ ჩამოყვანა მეგონა ჩემი ერთადერთი მოვალეობა, ახლა კი, აღარ ვიცი, მკვდარი მაინც როგორ გავარიღო აქაურობასო; თუ რამე მევალება, ესლა მევალებაო... მაგრამ, დაგუშვათ და, მართლა წაიღო აქედან ცხედარი, ვის ჩაუტანოს?! უკეთურ მამას?! უგუნურ ცოლს?! თუმცა,

ანტონს აღარც ცოლი ჰყავს, აღარც მამა. მისი ცოლი სხვას მისცეს, მამა თვითონ მოიკვება. და საერთოდაც ბიბლიურ გარემოში ვართ ყველანი მოხვედრილნი. ცის ფრინველნი და ველთა ნადირნი ჯიჯგნიან გვაძებს. უდაბურდება მთელი ქვეყანა. რახანია, ბუქსაც აყვირებენ და ნიშანსაც იძლევიან, მაგრამ "ბოროტება და დიდი უბედურება" შეუფერხებლად მოისწრაფის ჩრდილოეთიდან. საცაა დაჰკრავს ჟამი და აღარ ერქმევა ამ ადგილს აფხაზეთი, არამედ სასაკლაო... ვაზს მტვეანი არ შერჩება, ლეღვის ხეს — ლეღვი... გავიფანტებით შემოდგომის ფოთლებივით და, თავლაფდასხმულნი, მოვედებით ქვეყანას, რაკი ჩვენივე ნებით მივატოვებთ, რაც მამა-პაპისთვის უკუნიითი უკუნისამდე მიუცია უფალს... რაკი დიდიდან პატარამდე და წინასწარმეტყველიდან მღვდლამდე, ყველანი მომხვეჭელებად და ყალბისმქნელებად ვიქცით... ზერელედ ვმკურნალობთ ქვეყნის ჭრილობებს და არკი გვრცხვენი თვალთმაქცობისა. მშვიდობააო, გავიძახით, და არ არის მშვიდობა. გავიმარჯვებთო და, აჰა, ერთხელ კიდევ დავმარცხდით... კი ბატონო, უკვდავია სამართლიანობა, მაგრამ, ჯერჯერობით, უსამართლობა ზეიმობს ყველგან დრნგ უსამართლობა სჯის და წონის დრნგ ზნეც ამან შეგვიცვალა და გზიდანაც ამან გადაგვაცდინა... სინათლისკენ კი არა, სიბნელისკენ წავგიძღვა უსამართლოდ შემომწვრალი უფალი დრნგ ტანჯვა-წამების ორმოში ჩაგვყარა და საუკუნო წყვდიადში ჩაგვმარხა მკვდრებით... კი არ აგვხსნა, კიდევ უფრო დაგვიძძიმა ბორკილი... მოწამლული წყალი გვასვა და აბზინდა გვაჭამა დრნგ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, დიდად წოდებულმა აღექსანდრე პირველმა, ჩვენმა მეფემ, მეფური სიმტკიცე და გამჭრიახობა რომ ვერ გამოიჩინა თავის დროზე და ვერ დააყრევინა ბრიყვ შვილებს თავები, თვალები ვერ ამოშანთა ხარბ ცოლს და ძმისწულთა გულდვიძლი ვერ აჭამა გათავხედებულ ძმებს... ახლა რაღა დროსია! მკის დრო გავიდა, გასრულდა ზაფხულიც, და აჰა, მთელი ჩვენი ჭირნახული, მთელი ჩვენი მონაპოვარი: მკვდარი ანტონი და მაჯებგადაჭრილი ლიზიკო... დრნგ... კოდალა კი აკაკუნებს, აკაკუნებს გაუჩერებლად. სანგრის ზემოთ, მოკრიალებულ ცაზე შიშველი ანგელოზები დაფრინავენ, დასრიალებენ მერცხლებივით. დრნგ. ხესთან ჩამჯდარ კომკავშირელ გოგონას კი, ცხელა. ზედმეტად თბილად აცვია აქაურობისთვის. ხამად არის და იმიტომ. თავიდანვე უნდა გაეხადა, თუნდაც, წელსხვეით. მაგრამ, სხვა დროს... ახლა უკვე წასვლის დროა. ელოდებიან. არა უშავს, მომავლისთვის გაითვალისწინებს. ომი რომ დამთავრდება, საგანგებოდ ჩამოვა აქ დასასვენებლად. ქართველები, გინდაც მართლები იყვნენ, სად გაგონილა სამოთხის მითვისება?! სამოთხე ყველასია. იმან რა დააშავა, ვინც მურმანსკში დაიბადა?! მოკლედ, არავის აწყენს აქ დასვენება, გინდა მორწმუნე იყავი, გინდა ურწმუნო. ეს საკავშირო მნიშვნელობის სამოთხეა, ყველას ეკუთვნის. მართლა თუ მისცემენ ბინას, საერთოდ დარჩება აქ, ოღონდ, თავის შტერუკასთან ერთად. კომკავშირელ გოგონას სახე უხურს. ისევ თვალდახუჭული ზის. დამთხვეული ქართველი მისკენ მოფრინავს თითქოს, ხელებგაშლილი, მაგრამ წამსვე ქრება ეს უცნაური ჩვენება. აფხაზური მზის სიმხურვალე თავლის სიზანტით ეღვრება საყელოში და ნელ-ნელა, შემპარავი სიჯიუტით მიცოცავს ქვემოთ. ძუძუს კერტები თავისთავად იბერებიან, ივსებიან მშფოთვარე, ჭირვეული სიცარიელით. პაერს მოხალული მზესუმზირისა და მოწვეული თუთუნის სუნი დაჰკრავს, სწორედ ისე, როგორც მის კაზაკს. თვალი რომ გაახილოს და ის დაინახოს, უსიტყვოდ დანებდება. პირიქით, შეევედრება, დამიპყარო. ვინც რა უნდა თქვას... თავფეხიანად შეიწოვს, შეისრუტავს თავის პატარა სხეულში, მზესუმზირისა და თუთუნის სუნინად. ბაგე თავისთავად ეპობა. ნელა, ნაწილ-ნაწილ სწვდებიან ერთმანეთს მოულოდნელად გაწვებილი ტუჩები. იხსნებიან საპასუხო ვნების მისაღებად. არაფერს, არავის, მაგრამ მაინც ელიან მოუთმენლად. თავისთავად იშლებიან იქამდე მჭიდროდ მიტყუპული ფეხებიც და მისი მტკიცე, უტყუარი, მაგრამ მაინც ქაღურად ლბილი, მგრძობიარე ხელი თავისთავად მიიკვლევს გზას მისი სხეულის ყველაზე იდუმალი ადგილისკენ. გველივით იოლად და მიზანდასახულად მიცოცავს პერანგის ქვეშ, სარტყლის ქვეშ, ქვედა საცვლის რეზინის ქვეშ, მოისწრაფის აკრძალული ნეტარებისკენ, ნოტიო სინახისკენ, ნახი უსასრულობისკენ, ნელა, თანდათან, მთელი არსებით, სამუდამოდ... დრნგ.

— ხვალ შინ წავალთ. ექიმს ველაპარაკე — თქვა ელისომ და სკამიდან წამოდგა — აბა, შენ იცი. ჭკუით იყავი. საღამოს კიდევ მოვალ...

ლიზიკომ არ უპასუხა. ისევ ჭერს იყო მიშტერებული. მაჯებდაბინტული და გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე მიეხუტებინა, კესარიას თვითნაკეთი თოჯინებით.

— ეი, ომბრე! შენ გელაპარაკები — თმა მოუჩენა ელისომ, ნაზად, გაუბედავად. ძალიან უნდოდა ეკოცნა, მაგრამ ბოლო წამს მაინც შეიკავა თავი, არ იცოდა, ესიამოვნებოდა თუ არა მისი კოცნა ლიზიკოსაც.

— მაკოცე — უთხრა ლიზიკომ — მე კოცნის თავი არა მაქვს.

ელისომ ღოყაზე აკოცა, მოუხერხებლად, უგემურად, და ტირილი რომ არ ავარდნოდა, სასწრაფოდ გამოვიდა პალატიდან. ლიზიკოც მაშინვე წამოდგა, რის ვაივაგლახით გაიტანა სკამი აივანზე და დაჯდა, ფეხები კი, მოაჯირს მიაბჯინა. სკამი მხოლოდ ორი უკანა ფეხით იდგა ფილაქანზე. აივანი საავადმყოფოს ეზოს გადაჰყურებდა. ეზოში, მავთულის ღობეს აქეთ, ასფალტმოსხმული ბილიკის პატარა ნაგლეჯილია დარჩენილი. ბილიკის გასწვრივ, ოღონდ, მარტო ერთ მხარეს, რამდენიმე წაბლის ხე გარინდულა. ასფალტზე მწვანე ბურბულიანი წაბლები ყრია. მავთულის ღობის იქით მინდორი იწყება, კაჭაჭაგადავლილი. მინდორის ბოლოში გრძელი ქედი წამოწოლილა მხარეთქოზე. ლიზიკოს ეგონა, ეჩვენებოდა, და უნებურად თვალი დახუჭა. ისევ თავის სამარცხვინო გაქცევა გაახსენდა. მაშინაც ზუსტად ასეთი ქედისკენ გარბოდა, მამამთილის მანქანიდან გადამხტარი, ზუსტად ასეთ მინდორზე. უნებურად, კაჭაჭის მშრალი, ხორკლიანი შეხებაც კი იგრძნო და გააჟრჟოლა. ასევე მოსდებოდა კაჭაჭი მისთვის უკანასკნელ ბრძოლის ველს, მის ვატერლოოს, რომელიც, სავსებით სამართლიანად, უსიტყვო და სრული კაპიტულაციით დამთავრდა ბოლოს, რადგან ამისთვის ემზადებოდა, თურმე, მთელი ცხოვრება, დამარცხებისთვის წვრთნიდნენ სულ, როგორც შინ, ისევე გარეთ, ანუ, გულს კი არ ემსახურებოდა, როგორც ეგონა, არამედ ზედ ემსხვრებოდა, როგორც ნასროლი ბოთლი — ბეტონის კედელს, და უსასრულოდ იტანჯებოდა ერთი ბედნიერი დღის განსაცდელად, თუძკა, თვითონაც მშვენივრად იცოდა, არასოდეს გათენდებოდა ის "ერთი დღე", რომელიც ცხოვრებაში შესატყუებელი საკენკი აღმოჩნდა და მეტი არაფერი. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მოსახდენი მოხდა და გასარკვევი გაირკვა. არავითარი საიდუმლო არ არსებობს. ჩვენვე ვასაიდუმლებთ ყველაფერს, უკვე ცხვირწატეხილებმა, უსვინდისოდ რომ ვიმართლოთ თავი უხილავი მსაჯულის წინაშე. ამიტომ, სჯობს პირდაპირ ითქვას სათქმელი: ვერ ივარგა ლიზიკომ! ვერც მშობლის მოლოდინი გაამართლა, ვერც ქმრისა. გარედან ატლასი, შიგნიდან არაფერი, ფუტურო აღმოჩნდა. ასე რომ, უმალ სიცოცხლეს მოისწრაფავს, ვიდრე სხვებს გადააბრალებს საკუთარ უმაქნისობას, გნებავთ, უზნეობას. ყოველ შემთხვევაში, ახლა ნამდვილად ასეთია. დამარცხებამ ერთბაშად გამოამხეურა მთელი მისი მანკიერება, რასაც თავად, საბოლოო დამარცხებამდე, ყველანიარად ჩქმალავდა, მაღავდა, არ ეპუებოდა, რადგან ჯერ კიდევ სჯეროდა გამარჯვებისა. ახლა კი, არათუ გამარჯვებაზე, საერთოდ ბრძოლაზე ფიქრიც სისულელეა. წინ აღარაფერია. წინ კლდოვანი და უკაცური კუნძულია მხოლოდ, სიცარიელის, სიმარტოვის ოკეანეში ჩაკარგული, როგორც ეს საავადმყოფო ამ კაჭაჭაგადავლილ მინდორში. თვითონ კი, კლდეზე დავარდნილი მარცვალია (ელისოს გაუვარდა ნისკარტიდან) და როგორც არ უნდა სწყუროდეს სიცოცხლე, ან მზეზე გამოიფიტება ტყუილუბრალოდ, ან ელისოზე ჭკვიანი ჩიტის ჩიხახეში აღმოჩნდება და უკვალოდ გაქრება ამ ქვეყნიდან. უკეთეს შემთხვევაში, სკინტლად გარდაქმნილი, თეთრ ლაქად დააჩნდება ამ კუნძულს. არაფრის მთქმელი, არაფრის მანიშნებელი, არაფრის დამადასტურებელი თეთრი ლაქა იქნება ქვის ნაცრისფერ ზედაპირზე. მაგრამ, ნუთუ მართლა მისი ბრალია ყველაფერი?! განა უიმისოდ უკეთესი იქნებოდა სამყარო?! თავს კი არ იმართლებს, უბრალოდ, აინტერესებს. საინტერესოა. განა კაცობრიობის მთავარ საზრუნავად, განსაკუთრებით, ბოლო ასწლეულში, თუნდაც, შეფარულად, არაოფიციალურად, უადამიანო ადამიანის ჩამოყალიბება არ ითვლებოდა?! იქნება ამან ვერ გაიგო სწორად?! მაგრამ განა მამამისიც კი, მწერლურ გამარჯვებად არ უთვლიდა საკუთარ თავს, რაც უფრო მეტ სიმხეცესა და სიბილწეს აღმოაჩენდა ადამიანში?! შედეგმაც არ დააყოვნა. ესეც საერთაშორისო, საკაცობრიო ექსპერიმენტის ერთ-ერთი ნაყოფია და სხვა არაფერი. არა, ცოდვა, რა თქმა უნდა, აქვს, თუნდაც უნებლიე, და სასჯელსაც იმსახურებს, ეს ყველასთვის ნათელია და არ სჭირდება ზედმეტი კვლევა-ძიება, აგე, კაჭკაჭმაც დაადასტურა — სამჯერ დაიხსავლა წაბლის ხეზე — მაგრამ ამას სულ სხვა რაღაცის თქმა უნდა და ვერ

უთქვამს, ნარკომანივითაა გათიშული წამლებიგან, ვერ მოუყრია აზრისთვის თავი, უფრო სწორად, ვერ გაუგია, რა შუაშია ანტონი! ანტონი რატომ უნდა ისჯებოდეს მის გამო. თუმცა, არა, ვერც ახლა ამბობს ნათლად. რასაკვირველია, ისჯება ის, მაგრამ, რატომღაც, ანტონის მეშვეობით. ასეთი უცნაური სასჯელი შეურჩია ღმერთმა, ალბათ ყველაზე მკაცრიცა და სამართლიანიც. ესე იგი, ანტონის სახით ართმევს დღევანდელსა და ხვალისდელს, გუშინდელის დავიწყებისთვის. მაგრამ, რაც მოხდა, იმავე ღმერთის ნებით არ მოხდა?! განა ღმერთის კარნახით არ გადახტა მამამთილის მანქანიდანაც, რაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი უფუფლებობისა და მამამთილის უფლებამოსილების აღიარებას ნიშნავდა მხოლოდ?! არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რას ფიქრობს გულში. მთავარია, ვინ რას სჩადის, შეგნებულად თუ მისდაუნებურად. ორივე შემთხვევაში, ღმერთის ნებით სჩადის, რადგან ღმერთი არა მარტო მსაჯულია, არამედ წარმმართველიც ჩვენი გრძნობებისა. ანუ, წაგემართავს, რათა დაგესაჯოს. დაფუჯერებთ — დაგვსჯის, არ დაფუჯერებთ და, უარესად! საოცარი და საწყენი სწორედ ის არის, დამჯერი გაცილებით მკაცრად რომ ისჯება. ასეთია დვთაებრივი სამართალი, რასაც ჩვენ (ბრძები, სულელები, უმწეონი) უსამართლობას ვეძახით და არცკი ვუკვირდებით, რამდენად უსამართლონი ვართ თავად ღმერთის მიმართ. ჩვენ ხომ ღმერთს ვაჩქებთ, რაც თავად გვენთირება და ღმერთისგან მოვითხოვთ ხსნას, სატანჯველში ჩვენივე ნებით ჩაცვენილნი. მაგრამ ღმერთი, რასაკვირველია, ამას არ იკადრებს. როგორც უკვე ითქვა, უმაღლეს თვითონვე მოისწრაფავს სიცოცხლეს, ვიდრე სხვისი, თუნდაც, იმავე ღმერთის იმედით ჩაიგდებს განსაცდელში თავს. ღმერთსავე ამაცი ადამიანისთვის ნამდვილად რომ დიდი შეურაცხყოფაა ამ საავადმყოფოში მოხვედრა, მით უფრო, თუკი შეურაცხყოფისთვის ვერავის მოთხოვს პასუხს და ისევ თავს თუ აუმხედრდება. მაგრამ არც ამით შეიცვლება რამე. მოსახდენი მოხდა. ფაქტი კი ჯიუტია. უფრო მეტიც, ფაქტს ფეხებზე ჰკიდისხარ საერთოდ, შენი განცდებიანად. იქით გაიძულეებს აღიარო და მიიღო ისეთი, როგორც არის. თვითონ გოჯსაც არ დაგიტომობს, იოტის ოდენადაც არ შეიცვლება და არც იმის საშუალებას მოგცემს, უკეთესად მოემზადო თავის დასაცავად (თავის გასამართლებლად!), გაითხარო სანგარი (იგივე სამარე), მოირგო ბაკანი (ჩაწვე კუბოში!). თუმცა, გინდაც გადროვოს, როგორ გინდა გაცვეთილი ფილოსოფიური სენტენციებით გაამართლო ახალ-ახალი უაზრობა, სიბრძავე, სიღამაღლე, სისამაღლე?! რითი გინდა დაუპირისპირდე საკუთარ არარაობას?! და მაინც... და მაინც... და მაინც... რაც არ უნდა ამაზრზენი არსება იყოს, ადამიანი შეცოდებასა და თანაგრძნობას იმსახურებს მხოლოდ მეორე ადამიანისგან, რადგან მეორეც ისეთივეა, როგორიც პირველი. სულ სხვის მოლოდინშია, ზოგჯერ მთელი სიცოცხლეც, და სულ სხვა შერჩება ხოლმე ხელში. ხოლო, მეც თუ მკითხავთ, ადამიანი საერთოდ არაფერს არ აშავებს. ყალბი ფულის მომჭრელიც ანგელოზია. ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავს ავნოს და თუ ისჯება, ამის გამო ისჯება სწორედ, სულერთია, ღმერთისგან თუ სინდისისგან. ღმერთი და სინდისი ერთიდაიგივეა. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება, უსინდისოს ღმერთი სწამდეს და უღმერთოს სინდისი აწუხებდეს. აი, როგორ არის მოწყობილი ადამიანი — ყველაფერზე იფიქრებს, იმაზე რომ არ იფიქროს, რის გამოც ამ დღეშია ჩავარდნილი... რაც შეეხება კაჭკაჭს, ძალიან უხდება აქაურობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, აცოცხლებს, მაგრამ რანაირი საკენკიც არ უნდა დაუყარო, სიახლოვეს არ გაგეკარება. ღმერთისგან განსხვავებით, ბოლომდე ინარჩუნებს ველურთა და მოუთვინიერებელთა სიამაყეს. მაგრამ, საბედნიეროდ, ღმერთისთვის ყველაფერი დამთავრდა. ველური, მოუთვინიერებელი კაჭკაჭით ჩაიქროლა მისმა უაზრო სიცოცხლემ... არადა, ისიც სულ მოლოდინით იყო სავსე, გაურკვეველი, არარეალური მოლოდინით. იმან დაიპყრო, იმან გააოგნა, გამოთიშა, გამოაცალკევა დანარჩენი სამყაროდან და, უმწეო და უმაქნისი, ბოლოს უმეთვალყურედ მიაგდო ფსიქიატრიულის ერთ-ერთ აივანზე. ახლაც უქმად ზის და ელოდება, არ კი იცის,

რას. კაცმა რომ თქვას, არც აინტერესებს ამის გაგება. პირიქით, აფრთხობს, აშინებს, უარესად აგანგაშებს შესაძლებელი, თუნდაც პირობითი დაკონკრეტება, სავარაუდო დაზუსტება ამ ყოველის მომცველი და ყოველის წამლექავი შეგრძნებისა. უფრო ზუსტად, კარგს არაფერს ელოდება. ხოლო, ცუდი იმდენია მოსალოდნელი, ურჩევნია საერთოდ არ იფიქროს ამაზე (თუკი ეს შესაძლებელია), ურჩევნია მთელი არსებით დანებდეს საკუთარ უმწიფობას და უმაქნისობას, ვიდრე კიდევ ერთხელ გაიბითუროს თავი არარსებული გზების ძიებით. თუმცა, მამამისმაც რომ არ უთხრას, თვითონაც მშვენივრად იცის, დიახაც რომ არარსებული გზების ძიებაა ადამიანობა, თორემ, მისთვის არასასიამოვნო სიტუაციიდან, ვირთხაც კი დაეძვება გამოსავალს. როგორც ყოველთვის, მამა ახლაც მართალია, მაგრამ ლიზიკოსაც, როგორც ყოველთვის, ახლაც მზადა აქვს პასუხი: აი, ერთადერთი გზა, რომელიც მან ცხოვრებით დაიმსახურა — არსაიდან მომავალი და არსაით მიმავალი — გზა კი არა, გზის ნაგლეჯი, გზის მონარჩენი, ასფალტმოსხმული და წაბლის მწვანე ბურბულებით მოფენილი...

შენ თუ კატლეტს არ შეჭამ, ლუდოვიკოს შევუნახავ. მშიერი მოვა ის უბედური. ვანნადის მოედანზე დგას, შინდის სახრე უჭირავს და მოძრაობას აწესრიგებს თავისი ჭკუით. იმ დღეს წავედი და ვნახე. აქ რას უდგებხარ-მეთქი, ვინ მოგცა ნება, მოძრაობა აწესრიგო-მეთქი. არც არავის აუკრძალავსო. მეო, მოწოდებით მილიციელი არა ვარ, მაგრამ ვინ ვარ, არავინ არ იცისო... გიჟი კია, მაგრამ ჭკვიანიცაა, სიტყვას ვერ მოუგებ. ადრეო, დიდი კაცი ვიყავიო, საქვეყნო საქმეები მეკითხებოდაო... რა ჩუმადა ხარ, გო, ცუდზე ხომ არ ფიქრობ ისევ? ამოიგდე თავიდან. მიაფურთხე ეშმაკსა... ისევ ეს გაძაღლებული ცხოვრება გერჩიოს... ("მირჩევნია კიდევ", — გაიფიქრა ლიზიკომ). ის ქალი შენი დედინაცვალია, არა? ("დედაჩემია" — თქვა ლიზიკომ). ლამაზი ქალია. დებს უფრო გავხარო. რამე რომ მოუვიდეს, ერთ დღეს არ ვიცოცხლებ თავსო... ეგრე ვინმეს უუყვარდე და თავი მოვიკლა? სად გენქარება? იქ რა, დოლ-გარმონით შეგხვდებიან?! იქ კიდევ უარესია... ერთი მეზობელი მყავს, შენი ხნისაა, შვიდი თვის გოგო ჰყავს, უკანონო, იმ დღეს გორის ბაზარზე გაუყვანია და ათას მანეთადაც ვერ გაუყიდა... გამსკდარა ტირილით, ამასაც მოკვლავ და თავსაც მოვიკლავო... ვინც გაგიკეთა, ჯერ ის მოკალი-მეთქი, მე მიქელ-გაბრიელი არა ვარ-მეთქი... სულელები ხართ ახალგაზრდები, არაფრის ფასი არ იცით. თქვენს ადგილას, ისე გაუუხდიდი საქმეს, თვითონ დახოცილიყვნენ. მე რატომ უნდა მოკვდე?! ხახვი ვარ, მეორედაც მოვიდე?! აბა, უყურე, მაინც გაურეცხავს იმ ტვინგასარეცხსა... მარო! მარო! საითა ხარ? ხომ ვითხარი, მაგ ფარდაგს ხელი არ მოკიდო-მეთქი... ორ დღეში ისევ ისეთი გახდებო... ("შენ რა გსჯის, ქალო, ზიხარ და მასლაათობ არხეინად" — საიდანღაც დაუძახა მარომ). თავი ქვას გიხეთქია. სადამოს ადგილზე იყოს, თორემ, არ ვიცი... ერთი-ორი დღე გაფენენ, გაარიდებენ თვალსა, მერე გადაახვევენ და შინ წაიღებენ. ასე გაზიდეს ყველაფერი ("ნეტავი მართლა შეიძლებოდეს ტვინის გარეცხვა" — გაიფიქრა ლიზიკომ).

წაბლის ხეზე ისევ დაინახავლა კაჭკაჭმა.

ჩაგიწყდეს ხმა! ("რატომ წყევლი? ეს ხომ კაჭკაჭია?!" — გაუკვირდა ლიზიკოს). ყვავის მამიდაშვილი გახლავთ. თარსია, ეგ ბინძური, ეგა... დაცდილი მაქვს. ეგ რო დაინახავლებს, არ შეიძლება რამე არ მეწყინოს...

ყველაზე კარგად ანტონი ბაძავედა კაჭკაჭს. ჩავიმალებოდით ბუნქებში და დაიწვევდა ჩხავილს. მაშინვე მოფრინდებოდნენ. ქვიშხეთში ბევრი კაჭკაჭია. შორიასხლოს დასხდებოდნენ, დაბნეულები, გაკვირვებულები, დაინტერესებულნი. ესეც ხომ მე არ მომიგონია?! ქვებზე დავდებოდით ხოლმე, შუა მდინარეში, სახეს ცას მივუშვევრდით, ხელებს გავშლიდით ფრთებივით, და უცებ მოგვწყდებოდა სამყარო, ზედმეტი ტვირთივით... კაჭკაჭი ტყუილად არ ჩხავის, რაღაცას გვაუწყებს, მაგრამ ჩვენ არ გვესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებთ. ჩემი ნება რომ იყოს, მისნობის ინსტიტუტს ავღვადგენდი და სხვა ყველანაირს დავხურავდი... ვიდრე ბუნების ენას არ ვისწავლით, ნებისმიერი ცოდნა დამღუპველია. ექიმი რომ მეღაპარაკება, თან ყურის ბიბილოს ისრესს, ექთანს ანიშნებს რაღაცას, რაც მე არ უნდა გავიგო. მაგრამ ეს საიდუმლო ენაა და არა საიდუმლოს ამოსახსნელი. მე და მამას გვექონდა ელისოსთვის და მე და ელისოსაც — მამასთვის. ალბათ იმათაც ჰქონდათ ჩემთვის. რას მიმალავდნენ?! მე იმათთვის არაფერი დამიმალავს. ყველა ოჯახი თავისებური საიდუმლოა, მაგრამ ბოლოს, ადვილი შესაძლებელია, თავად საიდუმლო ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს სხვებისთვის. ჩვენ თვითონ ვაზვიადებთ და ვაწვრილმანებთ ყველაფერს. ხომ შეიძლება, მეთევზეს ყველაზე ნაკლებად თევზი აინტერესებდეს?! იქნებ თევზაობა უყვარს, თევზი — არა?! იქნებ თევზაობა თავდაცვის ერთგვარი ხერხია მისთვის?! იქნებ მხოლოდ ასე ახერხებს საკუთარი სიმარტოვის გადარჩენას?! ყველას როდი შეუძლია საათობით ყურყუბი ხიდზე, მზეში, წვიმაში... იქნებ, თევზს კი არ ელოდება, ცოლს ეძებდა?! ძია გობრონი მთელი დღე ხიდზე იდგა ხოლმე, თვითნაკეთი ანკესით, და ძია პიმენი დასცინოდა, შენი ცოლის მეტი, მაინც არავინ წამოეგება მაგ ანკესზეო. ცოლი, მე ვიქნები თუ სხვა, პრიაპული არსებაა და, თავისთავად, უკვე პერიპეტიია ნებისმიერი კაცის ცხოვრებაში და მხოლოდ პუნიკური კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის მოვალეობას, რადგან მოწოდებით პატრონესაა და ქმარი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, თავშესაქცევი, პატარა და საყვარლად გაბურძენული პეკინეზია, მაგრამ თვითონაც რომ ვერ ამჩნევს, ისე გარდაიქმნება ხოლმე ოჯახის დიასახლისიდან პენიტენციარის ზედამხედველად... მამაჩემი მეთამაშებოდა ბავშვობაში ამგვარ სისულელეებს... მთავარია, ერთსა და იმავე ასოზე იწყებოდეს ყველა უცხო სიტყვა... დიდოსტატია ამგვარი შტერული თამაშებისა. აი, ვინ არის საიდუმლო! გამოცანა... შეეკტილია თავის ხავსმოდებულ ნიჟარაში და აკაკუნებს თავის დაჯანგულ "ერიკაზე"... რომ ვუყვარვარ, იმიტომაც ვერ მიტანს. როგორც ელისო ამბობს, მეტს ელოდა ჩემგან. ყოველ შემთხვევაში, იმას ნამდვილად არ ელოდა, რაც მოხდა... მთელი ცხოვრება მგლის თავზე კითხულობდა სახარებას. ჩვენი ურთიერთობა ნორმალური რომ არ არის, ბუნებრივია, მაგრამ მიზეზი არ არის ბუნებრივი. "კეთილისმსურველებიც" უარესად ავიყუებენ თურმე. მაინც წამოსცდა ელისოს. საერთოდ უნდა გადავჭრა ტელეფონიო. ერთს დაურეკავს, ეტყობა, თქვენი რომანებიდან ისწავლა ასეთი კარგი ქალობაო... ის კი, მაინც აკაკუნებს. მეთევზისა არ იყოს, ისიც თავის სიმარტოვეს უფრთხილდება. კაკუნით იცავს თავს, კაკუნით აფრთხობს კეთილ ფერიებს. მაგრამ მამაჩემის მოკვლა კი არ უნდათ იმათ, უბრალოდ აინტერესებთ, შხამის რა დოზას უძლებს საერთოდ ადამიანი და კერძოდ მწერალი. ეს არის და ეს. მაგრამ, ამჯერად, ცოტა ხნით მოცდა მოუწევთ. როგორც ელისო ამბობს, მწერალი საომრადაა წასული. ვაი, ჩვენი მტრის ბრალი! აბა, ამის მერე გაბედოს სხვისი მიწა-წყლის მითვისება! მართალია, ეს ჯერ მხოლოდ ელისოს ვარაუდია, მაგრამ ძალიან ჰკავს სიმართლეს. ან აქამდე როგორ იკავებდა თავს. ითმინა, ითმინა და ბოლოს მაინც გამოვიდა მოთმინებიდან. ჩემი ზურგჩანთა წაუღია, ბავშვობის დროინდელი. ახლა თვითონ იცის, რასაც იზამს. ჯერ გადამთიელს უტირებს დედას და მერე შინაურსაც მიხედავს. არავის არ შეარჩენს... რას? რას არ შეარჩენს? იქნებ შეიღის გაუბედურებას?! არა, მამაჩემო! კაშელებს თავიანთი კაშელობაც ეყოფათ სატანჯველად და სავალალოდ. შეიძლება, სხვებზე უკეთესებიც

ადმონდნენ ბოლოს. ისეთები არიან, როგორებიც უნდა იყვნენ. არც ფერს იცვლიან, არც ზნეს, არც ჩიტობაზე ოცნებობენ და არც თავგობა ეთაკილებათ. ვინც სხვას ამტყუნებს, ძალაუნებურად, თავს იმართლებს. თავისმართლება კი, დამნაშავისთვისაა... საერთოდ, რას ნიშნავს დამნაშავე, იცის ვინმემ?! ან ყველანი ერთნაირად დამნაშავენი ვართ, ან ყველანი ერთნაირად უდანაშაულონი, მაგრამ ესეც არაფერს ნიშნავს, რადგან საბოლოო ჯამში, მაინც ყველა ერთნაირად იტანჯება, მტყუანიცა და მართალიც... და ასე იქნება, ვიდრე მართლა არ შეიცვლება რაღაცა... ვითომ კი არა, მართლა, სერიოზულად... თუ არავინ მოგვემატება, ვიღაცა უნდა მოგვაკლდეს აუცილებლად. დე, მე ვიყო ის ვიღაცა... მკვლელებთან ერთ სუფრაზე არ დავსხდებითო, მაგრამ ამით ხომ ჩემი უპატრონობაც აღიარეს?! ისინიც ისე მომექცნენ, როგორც უპატრონოს ეკადრება... ჩემს იქით მაინც აღარ გაქვს გზაო... ჩიტივით ხარ მახეში გაბმულიო... უკანასკნელი ნაძირალაც რომ ვერ წარმოიდგენს, იმასაც ვიკადრებ და ჩემსას მაინც გავიტანო... მამაშენს პლაგიატორად და სამშობლოს მოღალატედ გამოგაცხადებ, შენს დებილ ქმარს ჩვეულებრივ თანამედროვე მეტრაკედ, შენ კი, ფულის ბოზადლო... მერე იარეთ სასამართლოდან სასამართლოში და ამტკიცეთ თქვენი სიმართლეო... მაგრამ იმის გამართლება უფრო შეიძლება, ვიდრე ჩემი... იმას მიზანი ჰქონდა და თავისი ბინძური მიზნის მისაღწევად არავის ერიდებოდა, არაფერს იშურებდა, არც ღიმონათს, არც ნამცხვარს, არც ნაძვის ხის მოსაწვევს და არც თვალსუჭუნა თოჯინას... მე კი, ჭორიკანა დედაკაცების შემეშინდა და ჩემი ყველაზე უკეთილშობილესი მოვალეობის აღსასრულებლად, მამისა და ქმრის ღირსების დასაცავად, ყველაზე უღირსი გზა ავირჩიე... ყველაზე იოლიც... კნიაუნა ქეთუსიასი არ იყო, მეც მაშინვე ლოგინში ჩავიწვინე მამისა და ქმრის დამხვრეტი... თუმცა, სინამდვილეში, მე მოკვალი ორივენი, მე მივაყენე სახალხოდ კედელთან მამაც და ქმარიც... იმან მხოლოდ იარაღის ხმარება მასწავლა, როგორც უფროსმა და ჩემზე მეტად გამოწრთობილმა ამ საქმეში... მაგრამ მეც რომ ბუნებით მკვლეელი არ ვიყო, ვერანაირი კაშელი ვერ ჩამადენინებდა ამას... გუშინ... გუშინ?! შეიძლება, დღეს. შეიძლება, სულაც ქვიშხეთში... აღარ მახსოვს... ციყვმა გაირბინა ბილიკზე, რადაცნაირად უხალისოდ, დუნედ, უგანგაშოდ, და ვინც თვალი მოჰკრა, ყველა მოსაკლავად გამოეკიდა, ავადმყოფიც, ექიმიც, სანიტარიც, მნახველიც... ალბათ ისიც ავად იყო და წამლისთვის მოვიდა, მოაკითხა ადამიანს, ბოლო იმედს... იმან კი, თოფი დაახალა და თვალი გადმოუგდო... ცოტა-ცოტა ყველანი მკვლელები ვართ. მეც, ანტონიც, ელისოც, მამაჩემიც... იმათზე რომ არაფერი ვთქვათ. ჯერ მარტო მე რამდენჯერ მდომებია, თუნდაც, მამაჩემის მოკვლა. იმიტომ რომ, არაფრით არ შეიძლება, იმასაც არ მიუძღოდეს "იოტის ოდენა" წვლილი დედაჩემის სიკვდილში. ის კი, არხეინად მღეროდა. რა ამღერებს ადამიანს აბაზანაში?! ალბათ საკუთარი სიშიშვლისა და სიპატარავის შეგრძნება. მაგრამ საფრთხე რომ ელოდებოდეს, ხომ არ გაშიშვლდებოდა?! ჰოდა, რახან გაშიშვლდა, ეტყობა, არაფრის ეშინია. მარტოა საკუთარ თავთან. ზედმეტი ყველაფერი მოიშორა. შინ არის, მშობლიურ ციხე-სიმაგრეში, ოღონდ, მკვლელებთან ერთად, რაც ჯერ არ იცის და ამიტომაც მღერის, მაგრამ მალე შეიტყობს და აღარ ექნება სამღერლად საქმე. ელი ელი ელისუკაა წაა ა მიისვი ზურგზე საა ა აპო ოო ნიიი — მღერის არხეინად. ელისუკაც მხოლოდ დაძახებას ელოდება. დროზე ქენი, შებრუნდი, წესიერად მოიხარე, სად მცალია ამდენიო — უარესად აბრუებს, აღადავებს ყალბი გულითადობით და ის დებილიც რომ დაუჯერებს, ესე იგი, შეტრიალდება და "წესიერად" მოიხრება, გველაძუა ელისუკა ცელოფანის ფარდას ჩამოგლეჯს უცებ და თავზე გადააფარებს ისედაც დაბრმავებულსა და დაბნეულ თანამეცხედრეს. თანამეცხედრე ჯერ გაუძალიანდება, გაუბრაზდება, ეგონება, მეხუმრება, მეთამაშება უკვე არცთუ ისე ახალგაზრდა ცოლიო, მაგრამ მალე მიხვდება იმის სივერაგეს და, რასაკვირველია, მაშინვე მშველელს უხმობს. ვინ შეიძლება იყოს მშველელი?! თანაც, საკუთარ ოჯახში?!

თავისთავად ცხადია, შვილი. ერთადერთი. განუმეორებელი. მისი სიამაყე და იმედი. ღიზა, ღიზა, ღიზაააა — ღრიალებს დამფრთხალი, თავზარდაცემული, წამხდარი... ღიზა კი, რასაკვირველია, წინასწარ მომზადებული, კართან მომლოდინე, გიჟივით შეუვარდება და ხერხის პირიან, პურის საჭრელ დინას ჩასცემს ზურგში, ერთხელ, ორჯერ, უთვალავჯერ... ვიდრე ელისო ძალით არ გააგდებინებს ხელიდან მამის სისხლით გაზინთულ დანას... აბაზანის ბუღში დგანან, მოლანდებებს ჰგვანან, აღქაჯებს... ცხელი, ქაფაჭაფა წყალი, დღეს ეგზომ სანატრელი, ცხენის ფლოქების თქარათქურით ესხმება ცელოფანის ფარდაში გახვეულ გვამს. ცხენების დაფეთებულმა რემამ გადათელა, მიწაში ჩატკეპნა, ჩანაყა ჩვენი სახელოვანი მწერალი... ღირსია. დამისახურა. ოხუნჯობასა და ენამოსწრებულობაში ეჯიბრებოდნენ მთელი სიცოცხლე ისა და მისი თანამოკალმეები ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ ვირყვნობოდით, ვეცემოდით, ვნადგურდებოდით დღითიდღე, თანდათან და საფუძვლიანად. ხმა არ ამოედება. ჰოდა, გაჩუმდეს. ადამიანის ხელი ასე ვერ დაასახიჩრებდა. ალიბად ესეც კმარა. საჰაერო კატასტროფის ანდა სტიქიური უბედურების მსხვერპლნი გამოიყურებიან ასე. შესაბრაღისად კი არა, ამაზრზენად... აბაზანიდან წითელი ქაფიანი წყალი გადმოდის და, გამაღებელი, თითქოს საკუთარ თავს უნდა ჩაასწროსო, ბზრიალ-ბზრიალით მიხრიალებს ტრაპის ხვრელში...

რაზე ფიქრობ, გო? ერთი საათია გელაპარაკები და, შენც არ მომიკვდე... არ გესმის თუ არ გსიამოვნებს ჩემი ლაპარაკი? ("არაფერს არ ფიქრობ, გისმენთ" — თქვა ლიზიკომ). რა თქვენობით მელაპარაკები, ნაჩხუბრები ხომ არა ვართ?! ლენა მქვიან... ("დეიდა ლენა... ხომ შეიძლება, დეიდა დაგიძახოთ? დეიდა ლენა, იცით რა არის მთავარი? მთავარია, არავითარი ურთიერთობა არ გქონდეთ — არც სიტყვიერი — ზნედაცემულ, გარყვნილ ადამიანთან... გინდაც შენიანი იყოს... მით უფრო შენიანთან... ახლოს არ გაიკაროთ მეძავი, ლოთი და ნარკომანი... მხოლოდ ასე მოერევით ბოროტებას... მიტევება კი არა, მიუტეველობა... სხვანაირად თქვენც მეძავი, ლოთი და ნარკომანი იქნებით ღმერთისთვის... გინდათ? არ მოგბეზრდათ? მე მომბეზრდა" — თქვა ლიზიკომ). კარგი, გენა, როგორც გინდოდეს... თვალი გეჭიროსო და, მეც იმიტომ ვტრიალებ შორიასხლოს... ("თვალი გეჭიროს და იტრიალე" — გააწყვეტინა ლიზიკომ). ეგრე როგორ შეიძლება, გენა... ეგრე როგორ შეიძლება! ცოტა მოუჭით ნერვებს, კაცი ვერ დაგლაპარაკებიათ, ეკლადა ხართ ქცეულნი... მშობელმა გაგაღაღათ და იმიტომ... ეგრე როგორ შეიძლება... მაგალითად, თვალს რატომ არ ახელ? ეგ რაღას ნიშნავს? რას უხიხარ ასე თვალდახუჭული? თვალები გტკივა თუ გრცხვენია? გვიპასუხეთ ქალბატონო... შენ გეკითხებიან! ("ასე უკეთესად გხედავთ" — გაელიმა ლიზიკოს).

ცოტა მართლა უნდა მოვუჭირო ნერვებს. მაგრამ რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო. მადლობა ღმერთს... თუნდაც, ასე გახსნილად, უნიღბოდ რომ დავნახებოდით ერთმანეთს... რა იქნება, სულერთია, ოღონოდ, ის აღარ იყო, რაც იყო. არამარტო ექიმი, სხვაც ბევრი შეეცდება ჩვენს გაცურებას... სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მივინგარებს... მამაჩემიც კი ჩაითრია. გამოაძვინა ნიჟარიდან, როგორც ტკბილად მოუბარმა ენამ... წარმოგიდგენიათ! ომში წასულა, ჩემი ზურგანით. ყოფნა, არ ყოფნა... აი, რა არის დღეს საკითხავი! ანდა, ექიმმა მართლა არ იცის, რა მჭირს. საიდან უნდა იცოდეს?! მე ბავშვი იქამდე გავაჩინე, ვიდრე აქ მომიყვანდნენ. ვინ მომიყვანა? რა საოცარია, არაფერი არ მახსოვს. არადა, ვიდაცამ ნამდვილად მომიყვანა. ისე როგორ აღმოვჩნდებოდი აქ?! ვითომ ნოქარმა?! როგორ შეეშინდა იმ უბედურს. აი, ის მომწონს-მეთქი და, ყველა ერთნაირიაო, ზომითაც და ფერთაცო. მაშინ, რომელიც გინდა, ის მომეცი-მეთქი. ვიდრე ხურდას დამიბრუნებდა, უკვე გადაჭრილი მქონდა ორივე მაჯა. იქვე. ადგილზე. დაუფიქრებლად. სად წავიდოდი უკეთეს ადგილას... მამასთან?! ქმართან?! სამართებელი იატაკზე დავაგდე, ხელები კი დახლის შუშაზე დავაწყვეე, დახლის შუშას ვაწვებოდი მაჯებით, ნოქარმა სისხლი არ დაინახოს-მეთქი, მაგრამ სისხლს რა გააჩერებს... გამოცოცდა, გამოცოცდა, გამოცოცდა და უზარმაზარ გუბედ დადგა შუშაზე. რა ქენი, შე იდიოტო, შე იდიოტო, შე იდიოტო... ადამიანის სახე აღარ ედო იმ უბედურს. სხვათაშორის, გათხოვილ ქალს, გინდაც განათხოვარს, თავის მოსაკლავი ადგილი მაინც უნდა აქონდეს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგალითად, ჩემი ბავშვი ჭოტორშია, კატოს დიდუდასთან. არ იცოდი? მამა ხარ, შე მართლა იდიოტო... რასაკვირველია, მენატრება. მაგრამ ჯერ ვერ მოხერხდება ჩვენი შეხვედრა. როგორმე ხელში უნდა ავიყვანო თავი. მართალია დეიდა ლენა. ძალიან გავლადლით ამ ბოლო დროს. მაგრამ დედობა მარტო ბავშვის გაჩენა არ არის. ელისოს ბავშვი არ გაუჩენია, მაგრამ დედაა. სხვათაშორის, მარტო ელისოს უნდოდა, გამეჩინა. მაგრამ იქნებ ექიმი მართალია?! იქნებ მართლა მომეშალა მუცელი?! კი მაგრამ, რომ მახსოვს?! სულ თვალწინ რომ მიდგას იმის სახე?! გუშინ ხომ მომიყვანა ელისომ?! რა სულელი ვარ! გუშინ ხელში არ მეჭირა! ამ სადამოსაც მომიყვანს ალბათ. ბიჭია თუ გოგო? რასაკვირველია, გოგო. არა, ბიჭი. არ მახსოვს. ელისო მოვა და მეტყვის. თავისთავად მოხდა ასე. თავისთავად ხდება ყველაფერი. არავინ არ თქვას... თუმცა, სიყვარული დიდი ძალაა. გააჩნია, ვინ გიყვარს. ბევრი უნდა დათმო ცოტასთვის. უფრო შენს საზიანოდ, ვიდრე სასარგებლოდ. რაც მე ჩავიდინე, თუკი მართლა ჩავიდინე, სასაცილოდაც არ ყოფათ ხვალინდელ გოგოებს. ჩვენს სკოლაში პირველად შაშუბეშა თეამ გაიხადა და გარიცხეს, მაგრამ მეორე სემესტრში უკვე მასწავლებლებიც იხდიდნენ. ვიდაცის ბნელი მშობელი მოგვივარდა ბენზინის ბალონით, დედაბუდიანად უნდა გადაგწვათო, არადა, სამწურო განყოფილების გამგე უკვე ფულს ადებინებდა შედარებით გამოსულ მშობლებს სტრიპტიზისთვის საჭირო ინვენტარის შესაძენად. ერთი ჩვეულებრივი ეპიზოდია ჩვეულებრივი მელოდრამისა. რომელი ერთი გავიხსენო. ყველა ერთნაირია. მაგრამ მაინც ის დრო ჯობდა. ცოტას ვსწავლობდით და დიდ გამოცდილებას ვიღებდით მშობლიური რუდუნებითა და პედაგოგიური შორსმჭვრეტელობით შერჩეული ვიდეო-კასეტების მეშვეობით. იყო ერთი ორომტრიალი, კასეტების გაცვლა-გმოცვლა, გათხოვება-გამოთხოვება, გაყიდვა-გამოსყიდვა, გადაწერა-გადამრავლება... მთელ ქალაქს მოვიბრუნდით ხოლმე ჩვენთვის სასურველი კასეტისთვის. მამაჩემი გაფხორილი დადიოდა. ვიდას ახსოვდა წიგნი. ან რომელ წიგნში წაიკითხავდით, რაც ამ კასეტებზე ხდებოდა... ხან, ვითომ, დიდად დაფასებულ სახელმწიფო მოხელეს ნარკომანი მეძავი უყვარდებოდა და, რა ვიცი, რაღას არ კისრულობდა, ერთ ადგილს თუ აალოკვინებდა ის ნარკომანი მეძავი. აბა, რა გგონიათ! თუკი სიყვარული ბრძენსაც აგიუებს, სახელმწიფო მოხელე ვინ მიგდია... ბოლოს კონტრაბანდისტობაც დაიწყო თავის დულცინეას გულისთვის. ნარკოტიკი

გადაჰქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე. შინ კი, ანგელოზი ცოლი და სამი ერთმანეთზე ბუნწულა შვილი ელოდებოდა. როდის მოვა, დედიკო, მამიკო? არ სცალთა, გენაცვალეთ, მამათქვენს, სახელმწიფო საქმეებითაა დაკავებული. ამ დროს, მართლა დაკავებულია მათი მამიკო. უფრო სწორად, გაკავებული ჰყავთ ნარკომანი მეძავის დამქაშებს, დასორსოლებულ გეროინს ტენიან სწორ ნაწლავში... მაგრამ, ერთხელაც იქნება, გეროინი ნაწლავში გაიხსნება და მაგრა დააქლიავენს სახელმწიფო მოხელეს. აბა ბა ბა ბა... ვეღარ ატრიალებს ენას. საიდან გაჩნდა ამდენი ნარკოტიკული ნივთიერება თქვენს სწორ ნაწლავშიო — აქეთ-იქიდან ეკითხებიან საბაჟოს, პოლიციის, სასახლევრო დეპარტამენტის თუ უშიშროების თანამშრომლები — იქნება, ჩვენც გამოვკრათ ხელი რაღაცასო — ის კი, აბა ბა ბა ბა... ანდა, კიდევ უკეთესი, თეთრკანიან კეთილშობილ ქალბატონს შავკანიანი ბანდი უყვარდება, თანაც, ჰომოსექსუალი... სიყვარულზეა გათვლილი ყველაფერი, სულერთია, კაცის და ქალის, კაცისა და კაცის თუ ქალისა და ქალის სიყვარულზე, მთავარია, უყვარდეთ, ანუ, უნდოდეთ ერთმანეთი... ხოდა, სიყვარულის სახელით, არა მარტო სქესს იცვლის კეთილშობილი ქალბატონი, არამედ კანსაც... თეთრკანიანი შავკანიანი ხდება, უბრუნდება პირველყოფილ საწყისს, ცხოველური იდუმალების გამოქვაბულს, ტამტამების ხმაზე და სარიტუალო კოცონების მეწამულ გამონაშუქზე... აი, ამგვარ სისულელეებს გვატენიანენ, ფაფასავით, ფაფასთან ერთად... მე, პირადად, ყელამდე ვარ... მადლობთ... მაგრამ თუკი მართლა გიყვარს?! ხომ შეიძლება, მართლა გიყვარდეს ჩვეულებრივი, ნორმალური, მამა-პაპური სიყვარულით?! რაც ძველია ცუდიცაა?! მაშინ, რატომ დაექებენ დღეს ანტიკვარულ ნივთებს ასე გამგებლებულნი?! რატომაა სამარცხვინო, ვთქვათ, ძველი ავეჯისა თუ ძველი ხალიჩის მსგავსად, ძველი სიყვარულიც აინტერესებდეს ვიღაცას?! ქალი ისეთია, როგორც კაციც უწევს გვერდით. არავისზე ნაკლები არ ვიქნებოდი. რა თქმა უნდა, ხასიათიც შემეცვლებოდა ალბათ, თანდათანობით, ნაწილობრივ მაინც... დედაჩემიც მძიმე ხასიათისა ყოფილა. მამაჩემს რომ წაჰყოლია, დედაჩემი (ბებიჩემი) თავს იკლავდა თურმე, მთლად გადარევეს იმ საწყალ გიჟპოეტასო... მაგრამ საიდან ვიცი ეს ამბავი მე?! რომელმა ჩიტმა მომიტანა?! დედა, რასაკვირველია, არ მეტყოდა, პატარა ვიყავი ძალიან. ბებია დედაზე ადრე მოკვდა. ვის აძლევს ხელს, ამგვარ ინფორმაციას რომ ვფლობდე მე?! მამას ან ელისოს. ან ორივეს ერთად. საბრალო ელისო. ისევ ელისო, ყველგან, ყველაფერში... იმანაც ბევრი დათმო სიყვარულის გულისთვის და, საბოლოო ჯამში, მაინც თავის საზიანოდ, ვიდრე სასარგებლოდ. მე მაძლევენ წესიერი ცოლ-ქმრობის მაგალითს, თორემ ცოცხლად შეჭამდნენ ალბათ ერთმანეთს... ელისო ზედმეტი მსხვერპლია... საზარბაზნე ხორცი... მე მედიდგულება, თორემ, ბარტყივით უმწეოა. დმერთო, მიმანიშნე, მასწავლე, როგორ გუშეველო! აქედან გავალ თუ არა, უნდა დაველაპარაკო, გულწრფელად, მშვიდად, ყოველგვარი სცენების გარეშე... აღარაა ამის დრო. დედაზე უფრო დედაო... ვინ თქვა? ვის უთხრა? არ მახსოვს. არ ვიცი. არაფერი არ ვიცი. რაც არ ვიცი, ის ვიცი მხოლოდ. ორივემ უნდა გავხსნათ ფრჩხილები. სულ კვარცხლბეკზე დგომა უბედურებაა. ვინმე მაინც გიყურებდეს. ვის რაში ჭირდები?! ვინ რად გაგდებს?! ხალხმა უკვე მონივლა. ახალ-ახალი გმირი და მსხვერპლი სჭირდება ყოველდღე, ცოცხალი, სისხლით გატიკნული... მოიძრე გვირგვინი, ჩამოიბანე გრიმი და ჩაუჯექი მამამთილს კალთაში... მიყვები ცხოვრების დინებას, იბერიიდან იბერნიამდე და უკან, იბერნიიდან იბერნიამდე... სანაძლეო, კორექტურა ეგონებათ და მაინც არ გაასწორებენ, კიდევ უფრო დიდი შეცდომის შიშით. ასე ვართ ყველანი. შეცდომას ვამჩნევთ, მაგრამ არ ვასწორებთ (არც ვამოწმებთ), გვრცხვენია, უარესი შეცდომა არ დაუშვიათ... არადა, შეცდომა თავისთავად არ არსებობს, თუ ადამიანმა არ ჩაიდინა, არ დაუშვა... თუ ადამიანმა არ თქვა, მაინცადამაინც, ეს არის შეცდომაო... განსხვავება ისაა, რომ რასაც სჩადის, თავისთვის სჩადის, და რასაც ამბობს, სხვებისთვის ამბობს... ამიტომაც, ყველა ხედავს, ყველა მაშინვე ამჩნევს მის ნამოქმედარს, მისი ნათქვამი

კი არავის ესმის... ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი. ექვსი. შვიდი. რვა. ცხრა. ათი. თერთმეტი. თორმეტი. ცამეტი... უყურეთ ერთი, რა ამბით ჩხავის! ეტყობა, მიცნო... ვერ ვხედავ, სად ზის... ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ. როგორ უნდა დავინახო თვალდახუჭულმა, ჰააა?! დეიდა ლენა... თქვენ გეკითხებით ქალბატონო... რა საერთო აქვს კაჭკაჭს ყვავთან?! მე თუ მკითხავთ, არავითარი. ყვავი დებილია. თანაც ყრანტალებს. ეს კი, ჩხავის, ჩვილივით. რა განხავლებსო, დაჰყვირიან ბრაზიანი დედები ჩვილებს, რას ყრანტალებო კი არა, რა განხავლებსო... უფრო ნიჭიერიცაა. ნებისმიერ მელოდიას იმასსოვრებს თურმე ნებისმიერი ქართული ფილმიდან, ნებისმიერ გინებას — ნებისმიერ ენაზე, ნებისმიერ საზეპიროს — განათლების სამინისტროში შედგენილ ნებისმიერი პროგრამიდან... რაც მთავარია, უშეცდომოდ შეუძლია გამოარჩიოს ყალბი მარგალიტი ნამდვილი მარგალიტების ზღვიდან. ფეფესავით, იმასაც ყალბი ურჩევნია და იმიტომ. უფრო ბრჭყვიალებს. მე კი, ასამდე ვერ დავთვალე უშეცდომოდ... დეიდა ლენას ლაპარაკმა ყველაფერი გააფუჭა, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, დეიდა ლენა რამ გააფუჭა ასე უიმედოდ. ნამდვილად მე მანიშნებს რაღაცას. დეიდა ლენა კი არა, კაჭკაჭი. მაგრამ რაღა დროსია! ბოლო ყველაფერს აგვირგვინებს. თოთხმეტი. თხუთმეტი. თექვსმეტი. ჩვიდმეტი. ყვითელი პეპლები თავს კი არ იმკვდარუნებენ, როგორც ჩვენ გვგონია, ასე იხოცებიან. უაზრო, უმიზნო ფრენით დაუძღურებულნი, გამოფიტულნი ცვივიან და მერე ვერაფრით ვეღარ ახერხებენ აფრენას. ტყუილად აფარფატებენ ფრთებს, ნოტიო მტვერს იბერტყავენ სიკვდილის წინ. მეც პეპელასავით ვარ, საკუთარ მტვერში ვვდივარ და ამოდ ვაფარფატებ ფრთებს... არა, ვეღარც ვაფარფატებ, გულზე მაქვს დაკრეფილი, ხელებივით, და მივალ, მივიპარები... თვრამეტი. ცხრამეტი... ოდნავ თუ ავცდი მიწას, მაშინვე გამსრესენ, ფეხით, ხელით, ქვით, ჯოხით... რაც ხელში მოხვდებათ... გინახავთ, მომაკვდავ პეპლის გარშემო ჩაცუცქული ბავშვები?! ოდესღაც იმთნაირი ბავშვი იყო ექიმიც, დეიდა ლენაც, უჩინმანინი მაროც და ამ თავგზადაკარგული ცხოვრების მოხალისე რეგულატორი ლუდოვიკოც... ოცდაორი. არა, ოცდაერთი. ფუ. ისევ შემეშალა. იმიტომ რომ, სისულელეებზე ვფიქრობ. გაწაფულნი არიან ამ საქმეში. კი არ არიან, ვართ. თავიდანვე ვიწაფებით ყველანი. რაღას არ ვხოცავდით ქვიშხეთში, პეპლებიო, ხოჭოებიო, კალიებიო, ნემსიყლაპიებიო, კრაზანებიო, ბაყაყებიო... გველებსაც კი... არაფერს არ ვაჭაჭანებდით ირგველივ... მოკლე, ვერცხლისფერი გველები იცის იქ... არცერთი ცხოველი არ იქნება ბავშვზე ცნობისმოყვარე და ბავშვზე დაუნდობელი, მიწის ქვეშ ჩაყვება ჭიანჭველას და იქ მოუთავებს ხელს... ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი. ექვსი. სამაგიეროდ, ცხოვრებაც უფრო რთული აქვს, უფრო სახიფათოც. ხოდა, თავიდანვე იძენს საჭირო ცოდნა-გამოცდილებას. მაგრამ ცოდნა-გამოცდილების გამოყენებასაც შნო უნდა, ყველა ვერ გამოიყენებს, როგორც ანტონმა ვერ გამოიყენა... შვიდი. რვა. შეიძლება, წახდეს ბოლო წუთას. ცხრა. ათი. ერთბაშად დაავიწყდეს. ანტონსაც ამიტომ არ გამოუვიდა არაფერი... თავი შეირცხვინა... თერთმეტ. თორმეტ... თორმეტი ვთქვი. არა, არ მითქვამს. მაშინ ახლა ვიტყვი. თორმეტ. ცამეტ. თოთხმეტ. თხუთმეტ... იმან კი, მე დამიყენა წინ, ფარად ამიფარა და — აი, ვინ უნდა მოკლა, შენ რომ მართლა კაცი იყო — ჭკუა დაარიგა, გზაზე დააყენა შვილი... მაგრამ ანტონს არაფერი აღარ ესმოდა. თექვსმეტ. გაშტერებული იდგა. ჩვიდმეტ. პირდაღებული. თვრამეტ. ორივე, ორივენი-მეთქი, ვუყვიროდი, მაგრამ რად გინდა, არ ესმოდა. ოცი. ოცი კი არა, ცხრამეტი, შე კრეტინო. ცული კი გამოვტაცე, მაგრამ იმან ხელი გადამიტრიალა და დამაგდებინა... ღმერთო, როგორ მინდოდა, როგორ მინდოდა... ჩემი დედამთილი რომ არ შემოსულიყო ბედზე, იმას რომ არ აელო ცული და უკნიდან არ დაეკრა თავში ქმრისთვის, ალბათ გული გამისკდებოდა... სისხლი რომ დავინახე, ცოტა დავმშვიდდი... მე მოვკალი მე მოვკალი მე მოვკალი მამაჩემო, მართლა დებილივით ლუდლუდებდა ჩემი ქმარი. გადი აქედან, არავის არავინ არ მოუკლავსო, უყვირა დედამ. დედამისმა. დეიდა ფეფემ. იქამდე არც გამიგია იმის ხმამაღალი სიტყვა.

ჩაიცივ და მომეხმარეო, ახლა მე შემომდრინა, როგორც ბორდელის დიასახლისმა, თანაც, საექვო რეპუტაციის მქონე ბორდელისა, თავხედი, უზნეო, აყალმაყალის მოყვარული კლიენტურით გამწარებული, პერსონალზე რომ იყრის ჯავრს... იმათთანაა მაგარი... ყელში ამოუვიდა ასეთი ცხოვრება, სულ შიში, სულ ცუდის მოლოდინი, ნარწყვეის მოწმენდა, დაფხრეწილის დაკერება, დამტვრეულის დაწებება, მაგრამ მხოლოდ ეს იცის, მხოლოდ ამგვარი ცხოვრებისთვის ვარგა და, ღმერთმა ნუ ქნას, რამე თუ შეიცვალა მის ცხოვრებაში, გინდაც უკეთესობისკენ, დარდს გადაჰყვება. ორასორმოცდაექვსი... მაგრად გაეუტიე, აი! ჩვენი გაბედნიერების დღეს ძირნაყარი ხორცი გვაჭამა. თუმცა, მე არ მიჭამია. მე ვიცოდი, მაგრამ სხვები არ გავაფრთხილე. სხვები კი არა, ჩემები, ელისო და მამაჩემი, ძველი მშობლები ახალი დედამთილის ხათრით. ნამუსი შევუნახე დედამთილს. შემთხვევით შევიხედე სამზარეულოში და, იატაკზე დახოქილი, გამალებული იგროვებდა წინსაფარში ჯერ კიდევ ორთქლიანი სუკის ნაჭრებს. სუფრაზე გამოსატანი ლანგარი ხელიდან გასხლტომია და მე რომ დამინახა, არ გამოთქვაო, მიშველეო, შემევედრა, მომკლავს შენი მამამთილიო. რასაკვირველია, არ გავთქვი და, რასაკვირველია, მივეხმარე კიდევ, უცებ მოვხვეტე ლანგრის ნამტვრევები, საღათის დაფლეთილ ფოთლებთან ერთად. არავის არაფერი გაუგია. მშვენივრად მიირთვეს. კარგი ქენი, წინ დაგხვდებაო... მე კი არ დამითრია თმით, ქმარს ჩაარტყა თავში ცული. ორიმილიონცხრასიათასრვაასსამოცდაცამეტი. თქვენც ისეთივე ყალბი ხართ, როგორც თქვენი მარგალიტები-მეთქი, მაგრამ აღარ მახსოვს, რასთან დაკავშირებით ვუთხარი. ის უკვე სკამზე იჯდა, მოსულიერებული, თავშეხვეული. საფეთქელთან ოდნავ გამოშავებოდა სახვევი. ცოლი წინდებს აცმევდა, მის ფეხებთან ჩაცუცქული. რა მომივიდაო, ეკითხებოდა ცოლს... თავს აცოდებდა... უხვეულოდ სევდიანი, ფიქრიანი... მძიმე ავადმყოფივით. არაფერიც არ მოგივიდაო, ატყუებდა ცოლი, ცოტა სისხლი დაკარგე და ცოტა ხნით გონებაო. ნოლი. დავიწყეთ ნოლიდან. პირველად იყო ნოლი. მართლა მაგრები არიან. ჩვენ გვინდა და ვერ ვაკეთებთ, ისინი კი მაინც აკეთებენ, სულერთია, უნდათ თუ არა. ჯერ აკეთებენ და მერე არკვევენ, უნდა გააკეთებინათ თუ არა, რაც გააკეთეს. ნოლი თუ ნული? ვწერთ ნულს, მაგრამ ვამბობთ ნოლს. ჩვენ იმათი მომრევი არა ვართ. ისევ ისინი თუ მოერევიან ერთმანეთს. ერთი — ბატონობის დაუოკებელი ჟინით, მეორე — ბუტაფორიული კეთილდღეობის ცხოველური ერთგულებით... რომელი უფრო ძლიერია?! არ ვიცი. მაგრამ ასევე რომ არ ვიცოდე, როგორ გამოიყურება სიკვდილი, უფრო იოლად შეველეოდი სიცოცხლეს. ვიდრე ცოცხალი ხარ, რაღაცით მაინც გამოირჩევი სხვებისგან, მკვდარი კი, ყველა ერთნაირია, ერთნაირად მკვდარია, ადამიანიც, ციყვიც, პეკელაც... სხვა გზა არ არსებობს. მესამე არა, მერვე! ყოველთვის ორი იყო და ორი იქნება. ან ხარ, ან არა. სიცოცხლე ოპიუმია. გაშტერებს, გაცდენს, გაცდუნებს... გგონია — ხარ, მაგრამ სინამდვილეში დიდი ხანია აღარ არსებობ, არც შენთვის, არც სხვისთვის. სწორედ ამის გარკვევაა ძნელი, ხარ თუ არა. მე მეგონა, უცებ გავარკვევდი, იქვე, დახლთან, მაღაზიაში, ვიდრე ნოქარი მობრუნდებოდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად! ყველაფერს ცოდნა უნდა და შენი კუთხეც უნდა გქონდეს, წესიერად თუ გინდა თავის მოკვლა, საფუძვლიანად, ერთხელ და სამუდამოდ. სხვა თუ არაფერი, ნოქართანაა სირცხვილი. ის რა შუაშია?! იმან რატომ უნდა რეცხოს... მაგრამ რას ვიფიქრებდი, ამდენი სისხლი თუ მქონდა. ვერაფერი მოუზხერხე... ერთდროულად მიცოცავდა ყველა მხარეს, ჭიაყელების ჯოგით... ერთხელ, კანალიზაციის მილი გაგვისკდა და წელში გავწყვიტე მე და ელისო, ვერაფერში ჩავტიეთ ბინძური, ქაფიანი წყალი... მოდიოდა და მოდიოდა ჩემი სისხლივით... მთელი მაღაზია დაიტბორა, დახლიანად, ნოქრიანად, და ბოლოს, მეც გამომაცალა ფეხქვეშ მიწა, მეც ციმციმ გამიტანა ქუჩაში ჩემი სისხლის ნიაღვარმა... ქუჩაც ჩემი სისხლით იყო გადაწითლებული... ჩემი სისხლის გუბებში მიშლაპუნობდნენ გამველები, მიშხუოდნენ მანქანები... მერე აღარ მახსოვს... არა,

როგორ არა! მერე, ვითომ, ქვიშხეთში ვიყავი, ოღონდ, უანტონოდ... პირველად ჩემს სიცოცხლეში. ქვიშხეთი ერთადერთი ადგილია ალბათ, სადაც სიამოვნებით ვერ მოვკვდებოდი. თუმცა, ყოველთვის მაღიზიანებდა და მაბრაზებდა, მამაჩემს ღამის გასათევი ადგილიც რომ არ ჰქონდა იქ, იმათ კი, სასახლე ედგათ... განსაკუთრებით, დიდი თეთრი ქვების მეჩენი მიყვარს, ბონდის ქვემოთ... ცხენის ჩონჩხით გდია მდინარეში და თოლიები დასტრიალებენ თავს, სვაგებივით... ალბათ მამის ჯიბრითაც მომივიდა, რაც მომივიდა... არაფერი გაგიკვირდეთ ჩემგან. შეიძლება, ელისოს მოვუგე ნიშნი, თვალი დავუყენე, აი, შენ ვისთვის იკლავდი თავს და აი, ვინ იკლავს ჩემთვის თავს-მეთქი... თავს ვერ დავდე, მართლა ასე მოხდა-მეთქი, მაგრამ ცხადად მახსოვს, როგორ დავუსხლტი ხელიდან, როგორ გავხსენი სეიფი, როგორ ავიდე რეკლვერი... არ გაბრიყვდეთ, დამიყვირა ჩემმა ჭკვიანმა დედამთილმა. ერთი კი გავიფიქრე, ესეც ხომ არ მივაყოლო-მეთქი, მაგრამ ტყვია აღარ დამჩნა. ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი. ექვსი. შვიდი... დავცხრილე საცერივით. შადრევანივით ასხამდა სისხლს ნატყვიარებიდან. ლაჩარი. ლაჩარი... ვერ ვიტან ლაჩარ კაცს. არადა, არავინ მეგულებოდა იმის მომრევი. ბავშვობიდანვე ასე გავიზარდე, ასე მწამდა. ყველას ეშინოდა. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ იმაზე... მანქანიდან რომ გადმოვიდოდა, უნებურად უკან იხევდნენ. შვილის კი, შეეშინდა. შვილმა ცული მოუღერა და, აბა ბა ბა ბა... ლულულულებდა რაღაცას. აბა ბა ბა ბა... მწერლების დასაპატიუებლად რომ ამოვიდოდა ხოლმე, ატყდებოდა ერთი ალიაქოთი, რა ჩავიცვათ და რა დავიხუროთ... მღვდელს ჭილოფში იცნობენო, იცნოდა ძია პიმენი... ჯერ კიდევ მაშინ მეძახდა მადამ კაშელს... მეც სწორედ მაგის მეშინიაო, შფოთავდა ძია დიომიდე. აბა, დასახვრეტად თუ გვეძახის, სჯობს ტიტვლები მივადგეთო, სერიოზულად ამბობდა ძია გობრონი... ეშინოდათ და ხუმრობდნენ. ეშინოდათ და მაინც მიდიოდნენ. იმან კი, მაშინვე გამწირა, როგორც კი საფრთხე იგრძნო, მე შემახოცა თავისი ბინძური ხელები, როგორც კი დაუფეთა შვილმა ანგელოზები. აი, ვინ უნდა მოკლაო, მე დამიყენა წინ, ეს დამაშნი ბლიადიო, რუსულად თქვა, კომუნისტურად... არცერთი ტყვია არ ამიცდენია, თუმცა პირველად მეჭირა რეკლვერი ხელში... ეძებოს, ვისაც გული შესტკივა. სარდაფში დავმარხეთ მე და ჩემმა დედამთილმა, ძველმა დოსტებმა. თუ ვინმეს მოუკვდა, მე მომიკვდაო, მაგრამ მაინც ასე ჯობდაო. უცებ შეიცვალა აზრი. გარემოება ქმნის შეგნებას. უელეზნიც გვეხმარებოდა. ნოსში გავახვიეთ და სარდაფში ჩავიტანეთ, ძველი ტახტივით. ანტონი კი მილიციაში გაიქცა. მე გამისწორა, თავისი ჭკუით. თავის თავზე აიღო. წაიძველბიჭა. თავი დადო, დიმიტრი თავდადებულივით... იღმუმ ასახუმ სრავ აღოევხე. იღმუმ ასახუმ სრავ აღოევხე... რამე თუ შეეძლო, დროზე უნდა გამოეღო ხელი... ვიდრე გავირყვნებოდი, ვიდრე ზეზეურად დაგლპებოდი ყველანი... ახლა რაღა დროსია. ახლა აღარც მკვდარი აინტერესებს ვინმეს და აღარც მკვლელი... რაც მეტი მკვლელი იქნება, მით უკეთესი, უფრო მაღე გამოვუყვანთ ერთმანეთს წირვას... მიჭირს, მაგრამ ვალიარებ, მამაჩემი ყოველთვის მართალი იყო! კაშელებმა რაც იკისრეს, შეასრულეს კიდევ, მაგრამ არც ჩვენ შეგვიშლია ხელი... მკვლელები, მეძავები, ნარკომანები, ლოთები და ქურდებიღა დავრჩით... ბენზინი რომ გადაგვასხან და ცეცხლი წაგვიკიდონ, არავის გაუკვირდება. გახარებით კი, შეიძლება ბევრს გაუხარდეს... ფინიტო კომედია! ახლა ეს მინდორი ზღვად იქცევა და ასევე გადავეშვები ამ აივნიდან. ვიცურებ, ვიცურებ, ვიდრე გული არ შემიღონდება, ვიდრე უკიდევანო წყალი მარყუპივით არ წამიჭერს კისერში... ერთი. თუმცა, შორს მაინც ვერ წავალ ჩემი ხელების პატრონი... ორი. ვენები გადაიჭერიო! სამი. თქვენ თუ იტყვით! ოთხი. ვითომ, რატომ უნდა გადამეჭრა ვენები?! ხუთი. დედამთილმა გადამიჭრა ალბათ. ექვსი. რეკლვერს მართმევდა. შვიდი. ერთი მეც მასროლინეო. რვა. მაგრამ არ დავუთმე. ცხრა. ხოდა, გადამიჭრა... ათი...

... არ გესმის, გო? ცუდად ხომ არა ხარ? გინდა, წყალი მოგიტანო ("რატომ უნდა ვიყო ცუდად?" — გაიკვირვა ლიზიკომ). რა ვიცი, გული კი გამიხეთქე და... მე ვიფიქრე... ცოტას მორჩა, ლუდოვიკოს დაუძახე. რასაც შენ ის გლოცავს, არ ვიცი... ისეთი მოვიდა, საცოდავი, დანა პირს არ უხსნიდა. მგონი, ნაცემიც უნდა იყოს, ვიდაცას მართლა დაუჯერებია იმის ჯოხისთვის და დიდ მანქანას შესკდომია, სატვირთოს... ფოთოლივით დასცვივდა ნომრებიო... შენი კატლეტი ძალით ვაჭამე. გლოცა და გლოცა... შენ კი არ გიფრთხილდება, აქაურ საჭმელს ვერ ჭამს-მეთქი, უკეთესსაა მიწვეული-მეთქი... არაო, ეგ რომ კარგი აღამიანი არ იყოს, აქ მოსასვლელად არ გაუხდებოდა საქმეო... ეგაო, ეტყობა, ნამდვილი შთამომავალია თავისი წინაპრებისაო, აქ რო წინად ხალხი ცხოვრობდა, იმათიო... თქვენაო, ადრე, დიდი ხალხი იყავითო, დიდად დაფასებულნიცო, თქვენ რო არა, ვინ იცის, პირჯვრის წერაც აღარ გეხსომებოდა დღესაო... ასეთი უცნაური ლაპარაკი იცის. რო არ იცნობდე, ვერც იტყვი, გიჟიო. კვირაში ერთი დღე, თქვენს ენაზე გალობდნენ ცაში ანგელოზებიო, თქვენ კი, ერთმანეთსაც ვეღარ აგებინებთ მიწაზეო... აჩრდილებიც აღარა ხართ იმათიო, ძველებისო... ნეტავი გზაში მომკვდარიყავ და ამ დღეში არ მენახეთო... ბოლნისიდან ვარო, თუ ბოლნისიდანო, არ ვიცი, ვერ ვიმასხვორებ... თან ლაპარაკობს, თან თვითონვე ტირის თავის ნალაპარაკეზე და თან შენს კატლეტს მიირთმევს. ეს სიკეთეც იმათგან მოგდევთო... ჭირი იმას და დოზანა... პირდადებული შევცქერი, სულელივით, და მეც ვტირი... შენ რაღა გატირებს, შე არდასარჩენო-მეთქი, ვეუბნები ჩემს თავს, შენ რაში გეკითხება ძველი ამბები-მეთქი, გუშინ რა ჭამე, ის არ გახსოვს-მეთქი... ("დეიდა ლენა, მე საკუთარი მამამთილი არაჯანსაღი სიყვარულით შევიყვარე და საკუთარი მამა ცოცხლად დავმარხე" — თქვა ლიზიკომ). როგორ არა! ჩვენც მაშინვე დაგიჯერეთ... მამათქვენიც აქ ბრძანდებოდა და მამამთილიც. მამაშენმა ყველას ხელი ჩამოგვართვა, ლუდოვიკოსაც... მამამთილმა კი, დედაბუდიანად ამოგუჟავთ სუყველასო, ამას რო რამე მოუვიდესო... გესმის, გო?! ჩვენ რა შუაში ვართ, თუ ღმერთი გვწამს?! ჩვენ ვინ რას გვეკითხება?! ის ვანჩადის მოედანზე მილიციონერობს, მე აქ ვდიასახლისობ... ჩემი თავის ავადმყოფიცა ვარ და ექიმიც... არც ექიმია ადგილზე და არც ავადმყოფი... როცა უნდათ, მოდიან, როცა უნდათ, მიდიან, ზოგი მათხოვრობს, ზოგი ქურდობს, ზოგი კიდე, რა ვიცი, ცირკთან დგანან თურმე... ასე ამბობს ლუდოვიკო. ერთი მეც უნდა წავიდე და დავდგე. ვნახოთ, აბა, შეცდება თუ არა ვინმე. შენც წამოდი. ერთად წავიდეთ. ორისთვის ადვილია... შენ ჯვარი გწერია, გენა, ჩემი დასანახი თვალი კი, დიდი ხანია დაუბრმავდა ქვეყანას. ერთი, ისე დაბრმავებულა, მართლა ლუდოვიკოს სამართავი გამხდარიყოს... მილიცია თუ აღარ გამოდის ქუჩაში, შენ რა გსჯის, შენ რაღას იწუხებ-მეთქი თავსა, ვერ დაეტიე იმ შენს ბოლნისია თუ ბოლნისი-მეთქი და, მეც ეგა მსჯის და მეც მაგიტომ ვიწუხებ თავსო, მთლად უპატრონოდ რომ არ დარჩეს აქაურობაო, მტერმა არ თქვას, მართლა აღარ ყოფილან, მართლა დამთავრებულა მაგათი ამბავიო. უძალდო ქვეყანაში კატებს აყვებენ და მეც კატის მაგივრობას ვწევო. მიდი და მოუგე სიტყვა, იმ შეჩვენებულს. იცოდე, მართლა მოგივა იმის ლოცვა. ისე გლოცავდა, ისე გლოცავდა, რო არ ვიცი... კაცის ლოცვა სხვაა, მეტი ძალა აქვს. ღმერთი კაცს უფრო უსმენს... ("დეიდა ლენა, თქვენ თუ იცით, რას ნიშნავს ილმუმ ასახუმ სრავ ადოევზე?" — ჰკითხა ლიზიკომ). რეებს მეკითხები, გო, ისედაც არეული მაქვს ტვინი... რაო? სოხუმი დაემხო?! ეგ რა ენაზეა? სოხუმში ერთხელა ვარ ნამყოფი, ჩემს სიყმაწვილეში. მეზობელს წავეყვი. გასაყიდად წაიღო რაღაცა და მარტო არ გაგუშვი. ღმერთი, რჯული, მე იქ ზღვა არ მინახავს. მატარებლიდან როგორ არა, მთელი საათი, თუ მეტი არა, ნაპირ-ნაპირ მივეყვებოდიო, შემეშინდა კიდევ, არ გადავცვივდეთ-მეთქი, ქალაქში კი, არაფერი, რა სოხუმში და რა თელავი... ("ილმუმ ასახუმ სრავ ადოევზე" — გაიმეორა ლიზიკომ). რაც არ ვიცი, არ ვიცი. ქალი დაგებრდი და მსგავსიც არაფერი გამიგია... ("იცით, რას ნიშნავს?! მუმილი მუხასა გარს ეხვეოდაო. ეს ლექსი ხომ გაგიგიათ? სიმღერაცაა. მუმილი

გვეხვევა, დეიდა ლენა, მუმღმა შეგვჭამა. იღმუმ ასახუმ სრაგ აღოევხე" — თქვა ლიზიკომ). გინდა, ცოტა ნამცხვარს მოგიტან? დღეს ლუკმა არ ჩავსვლია პირში. ისეთი გემრიელი ნამცხვარი დაგიტოვა დედინაცვალმა... დედაშენმა... თითებს ჩააყოლებ ("თქვენ მიირთვით" — უთხრა ლიზიკომ). ჩვენ უკვე მივირთვით. ძალით უნდა ჭამო. თუ არ შეჭამ, როგორ მორჩები?! ("მე არ მოვრჩები, დეიდა ლენა" — თქვა ლიზიკომ).

უფალო, უფალო, გაანათლე მხევალი შენი ღიზიკო... მეშინია. მეშინია? არაფრისაც არ მეშინია. თითქმის აღარც ვარ. ჩიტმა რაღაცა აკენკა ჩემი სკამის ფეხთან და ნისკარტი მშვიდად გაუსვ-გამოუსვა ფილაქანს, ვითომც არაფერი... იმისთვის უკვე აღარ ვარსებობ... შეიძლება, მომეჩვენა, წარმოვიდგინე, მაგრამ ამით, განა, რამე იცვლება?! დამნაშავე უნდა დაისაჯოს. მაგრამ ჩვენ კი არ ვისჯებით, ვისპობით. იმიტომ რომ, ღმერთს აღარ ვეკუთვნით. იმას ვეკუთვნით ორივენი და ისეთები ვართ, როგორებიც იმას ვჭირდებით. ეს არის და ეს. ბოროტმა სძლია კეთილს, ერთხელ კიდევ. დამფრთხალი შეამბოხებები კი, აქეთ-იქით გაიფანტნენ, ვინ მილიციას შეაფარა თავი, ვინ საგიუეთს, ვიდრე ცხოვრება კალაპოტში ჩადგებოდეს და მილიციას ნამდვილი, პატიოსანი ბოროტმოქმედი, საგიუეთს კი, ასევე ნამდვილი და პატიოსანი გიუი დაუბრუნდებოდეს. მოკლედ, როცა საგაღდებულო, საექსპერიმენტო თავისუფლება ამოიწურება და ისევ ის "კარგი დრო" დადგება, როცა დეიდა ლენას ყოველ საღამოს ჩანთებით მიჰქონდა შინ ავადმყოფთა მონარჩენი საჭმელი. მაგრამ შენ მაინც მეტი მოასწარი და მეტიც შესძელი, ვიდრე... ვიდრე თუნდაც მე. მე თავის მოკვლაც ვერ მოვასწარი. საკუთარი ძარღვიც ვერ გადავიჭერი წესიერად. მაგრამ ორივეს ერთნაირად წამოგვდინდება ცხვირიდან ეს წამიერი თავაშვებულება. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთნაირები... არ შეიძლება ჩვენი გათიშვა... მით უფრო ახლა, სულიერი განწმენდის ჟამს... როგორია?! მე თვითონ შემრცხვა. სულიერი განწმენდის ჟამს! ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ვიდრე ბილიკის ეს ნაგლეჯი მაინც არსებობს, არც ჩვენ არა გვაქვს ფარხმალის დაყრის უფლება. ჩვენ ბედმა დაგვამსგავსა ერთმანეთს და სულერთია, ვინ სად იმყოფება, გნებავს, ვინ სად იმალება ახლა, მილიციაში თუ საგიუეთში... მაგრამ ჩვენ კი არ ვიმალებით, ყველამ მიგვატოვა, რაკი ერთმანეთი მივატოვეთ. ახლა გინდა ქვიშით ვიხეხოთ სულები და გინდა ცოცხლად ჩავისარშოთ კუბრში, საშველი არ არის. ის კუდიანი დედაბერი მაინც სად გაქრა?! მგონი, საერთოდ მარტო დამტოვეს ამხელა შენობაში. კიდევ კარგი, კაჭკაჭი ჩხაყის ათასში ერთხელ... რაც მთავარია, ორივენი ერთნაირად ზედმეტნი აღმოვჩნდით აქაურობისთვის. არაფრისმაქნისნი და არაფრისმქონენი. თუმცა, რატომ?! ჩვენცა გვაქვს ჩვენი საიდუმლო. ნამდვილად ჩვენი მხოლოდ ის არის. მხოლოდ იმის მოპოვება შევძელით საერთო ძალისხმევით. ვეღარც ჩვენ შეველევით და ვეღარც ის შეგველევა, ვიდრე ბოლომდე არ ამოგვწოვს სისხლს... ამისთვისაც მადლობა უფალს. ქალი ხარბია, მაგრამ ცოტა ყოფნის... განა ეს ცოტაა?! რამდენს მისდის ალბათ სული, შემოიჭყიტოს, შემოძვრეს, ჩაწვეს, ჩაეფლოს ჩვენს სიბინძურეში, მაგრამ ვერ მივართვი! როგორი დამამცირებელიც არ უნდა იყოს თავად საიდუმლო, მაინც გამაღლებს სხვის თვალში... საიდუმლო თუ არ გვაქვს, გინდაც არ ყოფილხარ. ჩათვალე, არ გიცხოვრია, ოცისა ხარ თუ ასოცის. საიდუმლომ, შეიძლება, გაგვამართლოს კიდევ და არა მარტო ერთმანეთის თვალში. სანაძლეო, შენც ასე ფიქრობ. ვინ იცის, ერთი სული გვაქვს, როდის მოხვალ და მეტყვი... ვაღდებულები ხარ, მოხვიდე. უნდა მომცე აღსარების უფლება. გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, ჩვენ ხომ წესიერად არც ვიცით, რა მოხდა და როგორ მოხდა სინამდვილეში... მართლა მოხდა, თუ ერთმანეთის ჯიბრით, ერთმანეთზე განრისხებულებმა, ერთმანეთის დაკარგვის შიშით, სიძულვილამდე მისული სიყვარულის ზემოქმედებით წარმოვიდგინეთ ყველაფერი, ერთმანეთს მოვეუგონეთ, მოვალანდეთ, დავასიზმრეთ, რათა გზამოჭრილებს, კუთხეში მიმწვედულებს, კედელთან მიყენებულებს, ბეწვის ხიდზე შემდგრებს, ბოლოს და ბოლოს, გაგვებედა და რაღაცა მაინც შეგვეცვალა, თუნდაც უარესობისკენ. დაახლოებით, ასედაც მოხდა. შენ მაშინვე ცულს დასტაცე ხელი, მე კი — სამართებელს... მაგრამ სატანჯველად და სანანებლად ისიც გვეყოფა, რაც მართლა მოხდა. შენც დაგსვარე, მაგრამ მე შიგნიდან ვარ ბინძური. ასე რომ, მშვენიერი შემთხვევა გვაქვს, ერთხელ კიდევ იხსნა უდირსი... არც ისეთი სუსტი ხარ, როგორადაც თავი მოგაქვს. არა, სუსტი ხარ, — მაგრამ სისუსტითა ხარ სწორედ

ძლიერი... სისუსტემ აგაღებინა ცულიც... არაფერი არ მინდა, ერთი ამომბღველა ჩემს გემოზე. არადა, მზე მომადგა და ვერ ავმღვარვარ, სკამი რომ ჩავაჩოჩო ცოტა... შვედეთში, თუ სადღაც, სკანდინავიაში, ამობღველება ყოფილა საუკეთესო საშუალება ნერვიული სტრესის მოსახსნელად. გამოყოფ სარკმელში თავს, ამობღველებ, ამოიღებ გულ-ღვიძელში ჩაღვქილ შხამს და ისევ შეიკეტავ სარკმელს. ხალხი მიდი-მოდის, ჩვეულებრივად, ტრანსპორტიც ჩვეულებრივად მოძრაობს, სარკმლები კი ზედიზედ იღება, ხან აქ, ხან იქ... არავინ აქცევს ყურადღებას, ყველა ამ დღეშია, ზოგმა უკვე ამობღველა, ზოგი ცოტა მოგვიანებით ამობღველებს, მივა თუ არა შინ... მე, იცი, რა მშველს?! შენი იღმუმ ასახუმ სრავ აღოვეხე. უსასრულოდ ვიმეორებ გუნებაში, ვიდრე კიდევ უფრო დიდ უაზრობად არ იქცევა და მართლა მუმლის კორიანტელივით არ დამიტრიალდება შიგანში... იღმუმ ასახუმ სრავ აღოვეხე... რამ მოგაფიქრა, შე მართლა დებილო! მთავარი საბაბიაო... მე მშვენიერი საბაბი მაქვს და ვერ მოგმკვდარვარ... ყველაზე ძალიან ამის მეშინია სწორედ, ვაი თუ, მართლა ვერ მოგკვდე. აკი ერთხელ უკვე ვერ მოგკვდი! მაგრამ როდემდე ვიჯდები ასე, შენი ჭკუით, ხელებდაბინტული... გაიღმუმ-გაასახუმ-გასრავ-გაადლოვეხებული?! მატყუებენ რაღაცას. მე შვილი იქამდე გავაჩინე, ვიდრე ვენებს გადავიტყრიდი. უფრო სწორად, ვენები დედამთილმა გადამიჭრა, დედაშენმა, გაანებე ჩემს შვილს თავიო. რა ჩემი ბრალია?! მე მეგონა... ხოდა, რომ მეგონა, იმიტომაც... ეს არის ყველაფრის სათავე. გეგონია, რომ ვცხოვრობთ, გეგონია, რომ ვიცნობთ ერთმანეთს... გეგონია, გვძულს, გვიყვარს, გვინდა, არ გვინდა... სინამდვილეში, სრულებითაც არ არის ისე, როგორც ჩვენ გეგონია. უფრო მეტიც, საერთოდ არ ვართ, არ ვარსებობთ ბუნებაში... ერთმანეთისთვის ვარსებობთ მხოლოდ... ერთმანეთის სატანჯველად... ჩვენთვის გამოყოფილი დრო არ არის ნამდვილი, ასტრონომიული დრო, ჯიბის დროა, სათამაშო — დაგჭირდება, ამოიღებ, იხმარ და გადააგდებ... შეიძლება, ამიტომაც გავაჩინე?! ერთი წამით მაინც რომ მეგრძნო ნამდვილი, მარადიული დროის დინება?! ამიტომ გავაჩინე ჩუმად. ვიცოდი, არავის გაახარებდა მისი გაჩენა. მართლაც, როგორი ამბავია! ორი მამის შვილი, საერთო შვილი მამა-შვილისა? საკუთარი თავის მამაც და შვილიც, ერთსა და იმავე დროს. ოდიპოსი ვინ მიგდია! გაუგებარი არსება... სოცრეალური სიმახინჯე. მაგრამ ეს რა ჩემი საქმეა?! წარსულმა აგოს პასუხი და მომავალმა იდარდოს. ძალიან კარგი, მაგრამ ან დეიდა ღენა სად გაქრა, ან ელისო სად არის აქამდე? ბავშვს მოვიყვანო და თვითონაც დაიკარგა. არ მინდა არავინ... რომ იცოდე, როგორ კარგად ვარ, როგორ სასიამოვნოდ ვიტანჯები, როგორ მომწონს ჩემი ტანჯვა. სადღაც წავეიკითხე, თუ ესეც მამამ არ მითხრა, კიბოს, თურმე, ძალიან სიამოვნებს, ცოცხლად რომ ხარშავენ... მეც კიბოსავით ვარ, მეც მსიამოვნებს ცოცხლად მოხარშვა... თავისთავად ჩამომდის მოხარშული ხორცი და შიშველ ძვლებზე ჰაერი რომ მეხება, ტვინს ღრჭიალი გაუდის სიამოვნებისგან... ცეცხლის კარუსელზე ვზივარ და ვბზრიალებ, ვბზრიალებ, დაბრმავებული, დაყრუებული, თავბრუდახვეული... ცოცხლად გატყავებული და ცეცხლის მხურვალე, ღონიერი ამონასუნთქით გაგუდული... მთელი სამყარო მუმლადაა ქცეული, რომც გინდოდეს, ვერსად გაიქცევი, ყველგან ერთნაირად დაგახრჩობს მუმლით გასქელებული ჰაერი... წლების, საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა ეს ვითომ ჩვეულებრივი აქტი, ვითომ კიდევ ერთი ახალი სიცოცხლის დაბადებისა... ჯერ მე უნდა გავეჩინე დედაჩემს ასეთი ზნედაცემული, და მერე მე უნდა გამეჩინა ასეთი გაუგებრობა. ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, მეტის ღირსი არც არის ეს დამპალი კაცობრიობა. სამაგიეროდ, ელისო ბებიობას ეღირსა ჩემი წყალობით. ჩემო შვილიყო, ჩემო ძამიკო, ჩემო ძმისწულო და ჩემო ბატონო მაზლო-მეთქი, ვეფერები, ვემლიქნელები და, რომ იცოდე, სრულებითაც არ მრცხვენია. ყოველ შემთხვევაში, შენი ნამდვილად არ მრცხვენია... გვინდა, არ გვინდა, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილნი, ერთნაირები... სხვები ჯერ ფიქრობენ და მერე აკეთებენ ან არ აკეთებენ, ჩვენ კი, ჯერ ვაკეთებთ და მერე ვხვდებით, ან

მერეც ვერ ვხვდებით, რა ჩავიდინეთ... და მაინც, ჩვენზე უკეთ არავინ იცის, როგორი უნდა გაიზარდოს ბავშვი, თუკი უნდა გაიზარდოს საერთოდ... არის უძაღლო ქვეყანა და არის უქვეყნოდ დარჩენილი ძაღლი... ძაღლები... თუნდაც, მე და შენ. კი ვყვით, მაგრამ ვისთვის? რატომ? სიცარიელეში ვყვით, არავისთვის და არაფრის გამო. ქარავანი კი მიდის. ისიც არ ვიცით, საით მიდის, ან საიდან მოვიდა. ალღოც დაგვარგეთ, ყნოსვაც და შინისკენ მიმავალთ გზაც ვერ გვიპოვნი... აღარ გვახსოვს, რას ნიშნავს "შინ"... ვის აკლდება ამით, ძაღლს თუ ქვეყანას? ორივეს. მართალი ხარ. მაგრამ უფრო მეტად — ძაღლს. ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს, ახალი ძაღლის გაზრდამდე, კატას დააყვებებს, მაგალითად, ლუდოვიკოს, ძაღლის საშველი კი არ არის... მოკლედ, ეს თუ აღსასრულია, არაფერს ვნანობ და არავის წინაშე არ ვაპირებ თავის მართლებას... მიმიფურთხებია ასეთი სიცოცხლისთვის... როგორც მამაჩემი ამბობს, იყო დრო, როცა ღირსების შესანარჩუნებლად ჩვენი კეთილშობილი დედოფლები ძუძუებს აგლეჯინებდნენ ჯაღათს, ჩვენი მეფეები კი, თავისი ნებით დებდნენ კუნძუზე თავს. ჩვენ კი, პირიქით, ღირსებისგან გასანთავისუფლებლად დავიგლიჯეთ ძუძუები და მოვიჭერით თავები საქვეყნოდ, სამარცხვინოდ... დამნაშავე კი არ არსებობს, რადგან ყველა დამნაშავეა... და მაინც, წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე, ვისიც არ ითქმის სახელი, ვინც ასე უბედურად გაგვაბედნიერა ორივენი... მაგრამ, ღვთის წყალობით, დამთავრდა ჩვენი ოდისეაც, დამთავრდა, მართლაც რომ, ბრწყინვალე დამარცხებით. გული კი მაინც მშვიდად მიცემს, თითქოს არაფერს აელეღვებინოს, არაფერი შეხვედროდეს ჯერ ზედმეტად ასაღელვებელი... ვიყავი, ვარ და ბოლომდე დავრჩები საკუთარი გულის ქვეშევრდომი... მირჩვენია, ისევ იმან მომატყუოს, ვიდრე გამომძიებელმა, ანდა ექიმმა... არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორად ფიქრობ... იმ ქვეყანაში შეხვედრამდე, ჩემო ერთგულო მეგობარო... შენ რა გგონია, შორს კი არ არის ის ქვეყანა, ამ მინდორს გადაივლი და...

ლიზიკოს სიტყვა გაუწყდა, რადგან მზით აბრჭყვიალებული სივრციდან, მისთვისაც მოულოდნელად, უცნაურად ჩაცმული კაცი გამოვიდა უცებ და პირდაპირ მისკენ დაადგრა თავი. ფართო ფარფლებიანი ქუდი ეხურა (ჩვენებურად, შლიაპა!), ფარშევანგის ფრთებით გაწყობილი. მრგვალი საყელო ეკეთა, თეთრი აბრეშუმისა, ნაოჭასხმული და მხრებზე ჰორიზონტალურად განფენილი. გეგონებოდათ, საკუთარი თავი მიაქვს თეფშითო. ძოწისფერ მოსასხამზე (რომელსაც ძონძი უფრო ეთქმოდა!), ბირკა და ძურწა აპკვროდა. მაღალყელიანი, ძაბრის მაგვარი ჩექმები, სიძველისგან დანაოჭებოდა და არათანაბრად ჩამოფლაშვოდა წვივებზე. ცხენი, ეტყობა, მოკვდომოდა და უნაგირი, ლაგამ-ავშარიანად, ამოღლიავებული მოჰქონდა. მოოქროვილი უზანგები ერთმანეთს ეხლებოდნენ და ზანზალაკებით წკრიალებდნენ. აშკარად ეტყობოდა, დიდი გზა გამოეგლო, უღვაში და წარბები მტვრით გადათეთრებოდა, დაღლილიც ჩანდა, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურებოდა, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ვერ იტყოდით, ეს კაცი, სულ ცოტა, ექვსასი წელიწადია, ასე ტყუილუბრალოდ დაეხეტება აღმა-დაღმაო. უფრო, მიზანდასახული და თავის თავში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველზე, მშვენივრად რომ იცის, რას ექებს, და ისიც სჯერა, აუცილებლად იპოვის, რის საპოვნელადაც ექვსასი წლის წინ წამოსულა თავის ქვეყნიდან. "მოგესალმები საქართველოს მშვენიერო ასულო" — შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვნებით მიმართა ლიზიკოს შორიდანვე, ქუდი მოუხადა და მდაბლად დაუკრა თავი. ლიზიკოს გაეღიმა, მაგრამ ხმაში აჰყვა უცნობს და თვითონაც ძველქართული სიდარბაისლითა და კდემამოსილებით უპასუხა: "მეც სიამოვნებით მოგესალმები, კეთილშობილო რაინდო". "იცით! — გააგრძელა მაშინვე, ახლა უკვე მეტიხრული თავგამოდებით — ჩემი ქმარი შინ არ გახლავთ, არც მამამთილი, და, სამწუხაროდ, ვერ შევიპატიუებთ, მაგრამ, თუ გნებავთ, წყალს მოგართმევთ, ანდა ცივ ღვინოს, რომელიც გესიამოვნებათ, მაინც არცერთი არა მიაქვს". "ნუ შეწუხდები, კეთილო ფერიავ — არც უცნობი ჩამორჩა თავაზიანობაში — თქვენი პატივისცემით ისედაც ყელამდე ვარ... გეტყოდათ ალბათ ქალბატონი ელენე... თქვენმა კატელტმა დიდად მასიამოვნა, რისთვისაც ერთხელ კიდევ გიხდით უღრმეს მადლობას... დიას, ლუდოვიკო გახლავართ, ბოლონიელი... ოდესღაც აქ არსებული და აწ უკვე უკვალოდ გამქრალი ქვეყნისთვის შეუცვლელი პერსონა გრატა და რომის პაპის, ასე ვთქვათ, დიპლომაიანი დესპანი..." "მაშინ, მე უდიპლომო მეძავად შეგიძლიათ ჩამთვალთ — გაიცინა ლიზიკომ — ეს ერთადერთი წოდებაა, რომლითაც თანამედროვეობა მიცნობს და მომავალი მომიხსენიებს..." "ეგ ნაკლებად მაინტერესებს — გააწყვეტინა ლუდოვიკო ბოლონიელმა — მე, პირადად, იმის დადგენა უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, თუ სად შეიძლება გამქრალიყო ისეთი აღორძინებული, ლაშქარმრავალი, ყმიანი და სახელგანთქმული ქვეყანა, როგორადაც ჩემს დროს თქვენს სამშობლოს იცნობდნენ ევროპაში და რომლის იმედითაც იმდროინდელი რომის პაპი პიო ოსმალების განდევნას აპირებდა ბიზანტიდან... იქნებ თქვენ მაინც იცოდეთ რამე ამის შესახებ, ახალგაზრდებმა?! თქვენ ხომ ჯერ კიდევ გერჩით გული და არც მომავლისკენ ფრენა გეშინიათ, არც წარსულში შებრუნება..." "აღორძინებული?! სახელგანთქმული?! — წარბები შეწკიპა ლიზიკომ — აბა, რა გითხრათ. პირველად მესმის. აქ დავიბადე და აქვე გავგიჟდი, მაგრამ მსგავსიც არაფერი მსმენია. ალბათ გზა თუ შეგეშალათ... საიდანაც თქვენ მოხვედით, უკაცრიელი მინდვრებია მხოლოდ, საერთოდ არ არის გზა..." "არა, გეთაყვა — ისევ გააწყვეტინა ლუდოვიკო ბოლონიელმა — ლუდოვიკო ბოლონიელს გზა არასოდეს შეშლია. ესაა მისი ხელობა, გზის გაგნება. ეს იცის მხოლოდ... მართალია, ამჯერად, სხვა გზით მომიწია წამოსვლა, ალბათ იცით, ბოსფორი უკვე ოსმალოს ეჭირა და იძულებული შევიქენი, უნგრეთისა და პოლონეთის შემოვლით შემოვსულიყავ ჩემთვის სასურველ ქვეყანაში, მაგრამ..."

ლულოვიკო ბოლონიელი მოულოდნელად გაჩუმდა, თითქოს სათქმელი დაავიწყდა, ანდა გადაიფიქრაო, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისევ გააგრძელა, ოღონდ, ამჯერად, რატომღაც, ლექსად:

...მაგრამ ამ კაჭკაჭადავლილი მინდვრების მეტი,
აღარაფერი აღარ დამხვდა... გაქრა ქვეყანა,
კეთილი, ზრდილი, გულუხვი და გულადი ხალხით
დასახლებული... გაღავენებით შემოზღუდული,
ციხე-კოშკებით მოფენილი, მოყვრის იმედად
და მტრების რისხვად... კი ბატონო, რა არ მომხდარა!
სოფელიც ბევრი წაუღია ზვავსა და მეწყერს,
ქალაქიც ბევრი დაუმარხავს ვულკანის ლავას,
ქვეყანაც ბევრი აღუგვია ჟამთასგლის ბორბალს,
მაგრამ მე მაინც ვერ ვიჯერებ, რომ საქართველოც
აღარ არსებობს... მათი ხვედრი გაიზიარა...
გაქარწყლდა ყველა ვარაუდი, გაცვდა კალამი,
დაშრა მელნის ზღვა, ყველა ვადა ამოიწურა
და შეიძლება, ვერასოდეს მივაგნო მართლა,
რისი მიგნებაც ასე მსურდა, ასე მეწადა...
მაგრამ ჯერ ფარ-ხმალს მაინც არ ვყრი... არც დავყრი ალბათ,
რადგან ასევე შეიძლება, შინ დაბრუნებულს,
თავის ადგილზე აღარ დამხვდეს, არათუ რომი,
არამედ... არა! თქმაც კი მიჭირს... სჯობს საგიჟეთში
ისევ გიჟების მონარჩენი კატლეტი გჭამო
და გაეგრძელო დაკარგულის ძებნა ჯიუტად...
საგნის დაკარგვა როდი ნიშნავს საგნის გაქრობას!
სამარადისოდ და უკვალოდ ის ქრება მხოლოდ,
რის დაკარგვასაც ვეგუებით... მაგრამ თუ ვიგრძნობთ,
რომ ჩვენს სიცოცხლეს უიმისოდ აზრი არა აქვს,
ისიც ბრუნდება, უფრო სწორად, კვლავ იბადება,
და, ერთ დღეს, როგორც წყლიდან მიწა, ან რძიდან ყველი,
პირველყოფილი ბრწყინვალეებით ამოიზრდება...

სწორედ ამ დროს, წაბლის ხეზე ისევ დაინახავლა კაჭკაჭმა და ლიზიკომ თვალი გაახილა...

მუმლის ბურუსი

თავიდანვე უნდა ვაღიარო, რომ "გოდორი" ერთი მხრივ იდეათა რომანია, მეორე მხრივ კი რომანი-საგა. მასში მძლავრი პუბლიცისტური პათოსი ეპიკურ, მითოლოგიურ, არქეტიპულ სახეებთანაა შეზავებული და ასეთი შეზავებით მიღებული ენობრივი ქსოვილი, ცხადია გარკვეულ პრობლემებს უქმნის კომენტატორს. მის ყურადღებას ხან რომანში განხილული ე.წ. სატირბოროტო საკითხები იპყრობს, ხან კი თხრობის მითოპოეტური მაქმანები გაიტაცებს ხოლმე. ვერავინ იტყვის, რომელი უფრო რთულია, ე.წ. "გოდრის კაცის" პუბლიცისტური სახის ჩამოქნა, გამოკვეთა და რეალურ, თანამედროვე სიტუაციებთან მისი მისადაგება თუ მისთვის ზოგადსაკაცობრიო თუ ყველა დროისთვის გამოსადეგი პარადიგმის სტატუსის მინიჭება.

დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი უკვე ბევრმა ადამიანმა წაიკითხა და სათაურმაც ალბათ უკვე შეიძინა გარკვეული კონოტაციები (გოდრის კაცები, გოდრის გაგდებული, გოდრის თაობა), მითუმეტეს, რომ იგი თავისი ზემოქმედებით, პარადიგმული სიზუსტითა და მოქნილობით "ჯაყოს ხიზნებისა" და "კვაჭი კვაჭანტირაძის" გვერდითაც შეიძლება დააყენო.

ეს რაც შეეხება სათაურს და მისგან გამომდინარე მნიშვნელობათა რიგს, თავად ტექსტი კი, ძალზე ეფექტური დასაწყისის შემდეგ, გარკვეულ ბუნდოვანებაში ძირავს ამ სიზუსტესა და მოქნილობას (ეს განსაკუთრებით რომანის მეორე ნაწილს ეხება). რა თქმა უნდა, აქ არაფერია გასაკვირი, ეს ხომ თანამედროვე რომანია და არა კლასიკური, სადაც ავტორი ავანტიურული ან ფსიქოლოგიური რომანის თარგზე მოჭრიდა მასალას. თუმცა ერთი რამ მაინც იქცევეს ყურადღებას. საქმე ისაა, რომ ავტორი თხრობას რეტროსპექციით იწყებს (მიმანია, რომ რომანში ყველაზე ძლიერი სწორედ ეს მონაკვეთია) და ამის გამო უმბერტო ეკოს ერთი საინტერესო შენიშვნა გამახსენდა "რეტროსპექტული თხრობის" შესახებ. მისი სიტყვით (და ამ შემთხვევაში იგი ჟურნალისტს ეყრდნობა), რეტროსპექტივა იმის კომპენსაციაა, რისი მოყოლაც ავტორს დაავიწყდა. შესაბამისად თხრობის რეტროსპექტივით დაწყებამ ან მომავალი დანაკლისი უნდა აანაზღაუროს (ეკოს ენაზე რომ ვთქვათ, ის, რაც "ავტორს შემდგომში დაავიწყდება", რაზეც იგი ყურადღებას აღარ გაამახვილებს) ან მკითხველს უნდა შეახსენოს ის, რაც მას აღარ ახსოვს.

არადა ქართველ მკითხველს წესით კარგად უნდა ახსოვდეს, უფრო სწორად უნდა იცოდეს პირველ ნაწილში აღწერილი თუ მინიშნებული მოვლენები (გეორგიევსკის ტრაქტატი, საქართველოს ანექსია, გასაბჭოება და ა.შ.), თუმცა რეტროსპექციას კიდევ ერთი ფუნქცია აქვს, იგი წარსულის მიმოხილვის საშუალებას გვაძლევს, ხელს უწყობს მკითხველს წარსულის მოვლენების აწმყოში განფენასა და მასთან მისადაგებაში. ესაა იმავდროულად თხრობისა და კომენტარების პროცესი, ზემოხსენებული პუბლიცისტური პათოსიც, როგორც ჩანს, სწორედ აქედან იშვება და ჭილაძის გამოგონილი პერსონაჟებიც პრინციპში ამ რეალურ ვითარებას, რეალურ მოვლენებს უკავშირდებიან და მონაწილეობას იღებენ მასში. აქედან გამომდინარე, რომანში ხშირად მონაცვლეობს რეალური და შემოქმედებითი პლანი, ისტორიული და მითოლოგიური სახეები, რომელიც საბოლოოდ რთულ, მოძრავ სისტემადაც გადაიზარდა.

ჩვენთვის პირველ რიგში მითოლოგიური პლანია მნიშვნელოვანი და ოთარ ჭილაძისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ის ხერხები, რომლებიც საფუძველს გვაძლევენ "გოდორს" რომანი-საგა ვუწოდოთ.

"გოდორი" ოჯახის ისტორიაა, რომელსაც სათავეში ერთი მწყემსის შვილი, გოდორში გამოზრდილი რაჟდენ კაშელი უდგას. მართალია მანამდე სხვებსაც უცხოვრიათ გოდორში, ქართულ ლიტერატურაში სხვა ბავშვებისთვისაც დარწმუნა ეს მოწვეული ორმო აკნად, მაგრამ კაშელიები პირველები აღმოჩნდნენ, ვისაც გოდორის კაცები უწოდებდნენ მწერალმა. მაგალითად კვაჭი კვაჭანტირაძის მამას, სილიბისტროს, ბავშვობა სანახევროდ გოდორში ჰქონდა გატარებული, მისი შვილი კი ნამდვილი მითური გმირით მოეკვინა ქვეყანას. მერე კვაჭის დევემირული ბავშვობაც გაიხსენეთ, ცხოვრებასთან საზიარებელი ადათების მოვლი წყება რომ ახლდა თან და სანამ რაჟდენის ამბავს მოვეყვებოდე, ის ამბავიც ნუ დაგავიწყდებათ, ქაღს რომ პირველად გაუსინჯა გემო კვაჭიკომ, ცვირის, ვინც დედასავით ზრდიდა მას. ამის შემდეგ კი ვინ იცის, იქნებ ვინმემ "გოდორის" ინტერტექსტადაც დასახოს "კვაჭი კვაჭანტირაძე".

ახლა კი რაჟდენს მივხედოთ. ამ ნახევრადმითური პერსონაჟის დედას თურმე რუსი ურიადნიკი დაუდიოდა საყვარლად და ბავშვს, ხელი რომ არ შეეშალა, დედა გოდორში სვამდა ხოლმე: "ნაშიერი მშვენივრად გრძნობდა თავს გოდორში და, როგორც თვითონვე ამტკიცებდა მერე, უკვე ვეტყვანი, განსაკუთრებით კი ღვინონაყლაპი, ყოველთვის დიდი ინტერესით უთვალთვალებდა დედისა და მისი საყვარლის ალერსს გოდორის ჭუჭრუტანებიდან და, მისდა უნებურად უბზიკდებოდა კიდევ...". ბავშვის მამის, "ოლიმპოდან გამოძევებული" მწყემსის შურისძიების შემდეგ გოდორის ჭუჭრუტანიდან გამომზირალი, ადგზნებული, ფოლადისფერი მზერის პატარა ბიჭი გოდორიანად წაიყვანა უშვილძირო ქალმა, კესარიამ. რაჟდენი კი, როცა წამოიზარდა, ანუ "გოდორმა რომ ვეღარ გაუძლო, ვეღარ შეაკავა მისი სწრაფადმზარდი, ფერხორცითა და დაუხარჯავი ენერგიით სავსე სხეული და ზედ შემოემსხვრა... განთავისუფლებისთანავე დედობილს ეცა და საცოდავი კესარია ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან წვივდ კვივლზე მოვარდნილმა მეზობლებმა".

ასე იშვა რაჟდენი, ნატყუივით მოიშორა გოდორის ნარჩენები და ცხოვრების გზას დაადგა, რათა გოდორში შექმნილი მიდრეკილებები გამოეჩინა და ახალი საქართველოს სამსახურში ჩამდგარიყო. იგი "აღაღბებულზე მიხობავდა საკუთარი სიმდაბლის მწვერვალისაკენ", ნატყვიარს ნერწყვით იშუშებდა, ნადირივით, და ტყვიას ესროდა ყველას და ყველაფერს, რაც კი მოძრაობდა.

ასე და ამგვარად, პირველი გოდრის ნაშეირი უკვე შარაგზაზე გავიდა და აქტიურად ჩაება პროცესებში, რომელმაც მისი მამული უნდა აქციოს შარაგზად. ახლოვდება 1921 წლის 25 თებერვალი და მისი მეგვიდრის შობის დღეც. რაჟდენის ცოლმა, კლავამ შარაგზაზე იმშობიარა, "სადღაც სოღანლულსა და ორთაჭალას შორის", გზისპირა თხრილის დამყაყებულ წყალში განბანა ჩვილი და თავსაფარში გამოახვია. შვილს ანტონი დაარქვეს და ცხადია, ისიც, მამასავით ქვეყნის დამჩემებელი გამოდგა. მისი თვე სხვების წლებს უდრიდა, ორი წლისა თვალდახუჭული შლიდა და აწყოზდა შაშხანას, "ხუთისამ მეზობლის ძალი მოკლა იმ შაშხანით, თხუთმეტისა კი უკვე ხალხს ხოცავდა".

გვამის სუნში გაზრდილი ეს საგვარეულო კიდევ ორ თაობას გაწვდება, კიდევ ერთ რაჟდენსა და ანტონს მისცემს დასაბამს და ეს პერსონაჟები, უკვე ჩვენი თანამედროვენი, კოთურნებზე შემდგარნი, ანტიკური ტრაგედიის თამაშს დაიწყებენ.

ეს ანტიკური ნიშნები ცხადად თუ დაფარულად, ბევრ რამეს განსაზღვრავენ რომანში და შეიძლება ითქვას, კონკრეტული დროისა და სივრცის საზღვარს მიღმაც კი გაჰყავთ პერსონაჟები. ერთგან ავტორი ამბობს "ჯერ კიდევ ანტიკური ტრაგედიის თაკარა მზე აცხუნებს ჩვენში, თბილისის მისადგომებთან კი, ტროას ცხენი ძოვს"-ო და ნელ-ნელა მკითხველიც ხვდება თუ ვინაა ამ რომანში ოიდიპოსი, ვინ იო და ორესტე, ვინ კი კლიტემნესტრა. მოქმედებაში ახალი გმირები ერთგებიან, ძველების შთამომავლები, იმავე სახელების მატარებელი მამა-შვილი, რაჟდენი და ანტონი, ანტონის ცოლი ლიზიკო და სხვებიც. ჩნდება ჭრელი ძროხაც, თავის დროზე ცხოვრების სიმბოლოდ რომ გადაიქცა პატარა ანტონისთვის და მასთან ერთად მოვიდა გაუნელებელი სევდა და დაუმსახურებელი დამცირებაც, ჩახშული მრისხანება და მონობა. თავად ანტონიც, ამ ძროხასავით, ანტიკური მითებიდან, მთირწვეა თავის ცხოვრების გზაზე. "...მოდის, მოწლახუნობს, საკუთარი გამძლეობით შეწუხებული, თუკი შეიძლება რამე აწუხებდეს, დმერთქალის მიქსეული ბუზანკლის მეტი", მოდის მოჯადოებული, გაღაზული და ასე მანამ ივლის, სანამ მამამისს, ანტონის ცოლის, ლიზიკოს გაბზეკილი ძუძუებისკენ არ გაექცევა ხელი. სწორედ ამ ადგილიდან ამოდის ტრაგედიის თაკარა მზეც, რომელმაც ყველა პერსონაჟი უნდა დაწვას თავისი მცხუნვარებით. ერთი სიტყვით, "გოდორში" ინცესტი თხრობის მთავარ მექანიზმად იქცევა და ავტორი თვალების დათხრის ტრაგიკულ რიტუალსაც ხშირად შეახსენებს ხოლმე თავის გმირებს.

"მათი ოჯახი ნამდვილად სანიმუშოა, ყველანი მკაცრად იცავენ სისუფთავეს და უცხოს არავის აჭაჭანებენ ოჯახურ სექსში... მართლაც, როგორი ამბავია! ორი მამის შვილი, საერთო შვილი მამა-შვილისა? საკუთარი თავის მამაც და შვილიც, ერთსა და იმავე დროს. ოიდიპოსი ვინ მიგდია!..." მარად მშეირმა, ყველაფრისმშთანთქველმა საშომ კი "უნდა ათქვიფოს და შეახავოს მამისა და ძის თესლი "არნახული, არგაგონილი ჰომუნკულუსის შესაქმნელად", საშომ, ანუ ლიზიკომ, ცოლმა და რძალმა, ვინაც თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ ანტიკური გმირის სიჯიუტით უნდა მოიგერიოს თავისიანების ყურადღება და თანაგრძნობა, ისე, როგორც ორესტემ ერინიები, მამამისი კი, მწერალი ელიზბარი, "მხცოვანი ოდისევსი", იძულებულია ომში წავიდეს.

ხოლო რაც შეეხება დათხრილ თვალებს, იგი აფხაზეთში საბრძოლველად წასული მამისმკვლელის, ანტონის ხილვებშიც ჩნდება. ერთხელ მაშინ, როცა ფიჭვის შტოზე შემოსეკუპებულ ციყვს ერთი გასროლით ჩამოაგდებს უხილავი ხელი: "ტყვიამ მსუილით გაფხრიწა ჰაერი და თვალგადმოვარდნილი ციყვი საცოდავად აფართხალდა გასისხლიანებულ ბალახში. ციყვს თვალის ადგილას ვეებერთელა ღორწოვანი ბუშტი გამოებერა" (ბუშტი, სადაც სამყაროც კი აირეკლებოდა). მეორეჯერ კი დაკითხვაზე, როცა გამომძიებლის ჯიბიდან გამოშხირალი პატარა ციყვი მოვლანდება: "უცვბ ცალი თვალი გამოებერა, გამოებერა, გამოებერა და აეროსტატისხელა რომ გახდა, საზარელი ხმით გასკდა."

ამ ციყვის თვალივით გასკდა მრავალწლიანი ტყვილიც, ანტონის გარშემო რომ გროვებოდა.

დიდი ხნის მანძილზე ანტონიც, უსინათლოსავით, ვერაფერს ხედავდა, მისთვის სამშობლო და საერთოდ, სამყარო შენიღბული იყო. ვერსად მიაკვლია მან ამ სამყაროს და მხოლოდ ქვიშხეთის მწერალთა სახლის თანამშრომლის, გიჟი ნიკოლოზას ბიბლიოთეკაში ნახა ხსნა. კითხულობდა ბევრს, შესაძლოა "თებეს ტრაგედიებს", "ძმებ კარამაზოვებს", თავისი გონება კი ვინ იცის, იქნებ "დანაშაულსა და სასჯელზე" აღესა. მის მიერ მამის მხარეს მოქმეული ცულიც ამ გონების ნაყოფია და სწორედ ამიტომაც ჩანს ირეალური ეს მკვლელობა, ანუ მამისკვლის სცენა ზმანების საბურველშია გახვეული, ანტონის ბოდვებითაა შეზავებული.

ავტორი-მთხრობელი შენიშნავს ანტონზე: "გვამის სუნშია გაზრდილი, ამ სუნითაა გაუღწეველი ყველა მისი ფიქრი, სიზმარი თუ ოცნება... ეს სუნი არ აძლევდა ნებას, ისიც ჩვეულებრივი ბავშვი ყოფილიყო, ტოლამხანაგების მსგავსად, იმასაც არაფერი სცოდნოდა ქვეყნისა და მარტო იმაზე ეზრუნა, თუ როგორ ჩაეგდო ხელში ახალი კასეტა, ამერიკული სიგარეტი, გასაბერი კვეი თუ წარწერიანი მაისური... ანუ, ყოფილიყო ის, რაც უნდა ყოფილიყო, რასაც სკოლა და ოჯახი მოითხოვდა მისგან - მშობელზე უარესი და, როცა დრო მოუვიდოდა, შვილზე უკეთესი."

რაზე მიანიშნებს ეს სიტყვები? ნუთუ ანტონის ტრაგიკული შეცდომა მამის გზიდან გადახვევა იყო? იქნებ ამ გზაზე დაბრუნება იქცა ტრაგედიად? იგი ხომ ქვეყნობიერად კაშელობას, თავისივე არსებას ებრძოდა, მაგრამ აიღო ცული და თავი გაუპო მამას ("მამას ეტირა დედა"), რითაც კაშელობა კი არ მოიშალა, პირიქით, ახლიდან იშვა, მის ახალ ცხოვრებას დაუდო სათავე.

ამ შემთხვევაში ნაწარმოებში აღწერილი და ანტონის მიერ წაკითხული ერთ სიბრტყეზე თავსდება, ეს ორი პლანი გადაიკვეთება და შექსპირის "ჰამლეტის" პრინციპით, "სცენა-სცენაზე", ერთმანეთს განსაზღვრავს. თუკი "ჰამლეტში" დანიის უფლისწული მამის ანრდილისგან იგებს ამბავს და შემდეგ ახდენს მის რეპრეზენტაციას, აქ თავად ანტონი იქცევა ლანდად ("ცულშემართულიც არაფრად ჩააგდო... თითქოს მკვლეელი კი არ იღვა მის წინ, არამედ მისივე ლანდი, ანრდილი, ჰაერის ბუშტი...") და მომხდარი, მოსახდენი თუ წაკითხული უკვე მის ცნობიერების ნაკადში რეპრეზენტირდება.

ამგვარი ცნობიერების ნაკადი თუ გიჟის მონოლოგები მთელს რომანს გამსჭვალავს. რომანი შეშლილობით იწყება და მისით სრულდება. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა პატრიოტული ლირიკის კავშირი სივთქსთან. როცა ავტორი ერეკლეს თანამედროვე, დოსთოევის ნეკრესელზე საუბრობს, ამბობს, იგი ერთმორწმუნე მფარველის, რუსეთის სისასტიკოთა და უღმერთობით იყო შეშლილი, გნებავთ გაპოეტებული და დოსთოევიც, "მრავალთა და მრავალთა მსგავსად, მაინც ვერაფერში გარკვეული, ბატის წამახულ ფრთას ნელა, საქმისმცოდნის სიდიხვით აწობდა სამეღნეში... და მსხვილი, აცაბაცა ასოებით გამოჰყავდა: "არა არს ისრეთ ტებილი, ვით მამულის სიყვარულიო".

აქ ორი პლანი ისევ გადაკვეთს ერთმანეთს, გარუსებული (გნებავთ, გასაბჭოებული) საქართველოს რეალური პლანი და დოსთოევი, თავისი ბატის წამახული ფრთითა და ყვავილებისგან დამზადებული მეღნით, რომელიც შემოქმედებით მხარეზე მიგვანიშნებს. და რომანის მიხედვით, ამ შემოქმედებით, ფიქციურ საქართველოს რეალური საქართველო ჩანაცვლება. სიტყვები, "ღორმუცელა დებილებისა და გესლიანი ქვრივების საქართველო აღარ არის, დამთავრდა" სწორედ იმის მომასწავებელია, რომ ოთარაანთ ქვრივებისა და ლუარსაბ თათქარიძეების ქვეყანა ისტორიას ჩაბარდა და დადგა დრო, როცა სამშობლოს სიყვარული და პოეზია შეშლილობასთან უნდა გაიგივდეს.

როგორც გითხარით, რომანი ვენებგადაჭრილი ღიზიკოს მონოლოგით სრულდება და მისი სიტყვები, "აქ დავიბადე და აქვე გაგვიჟი" მწარე, ფინალურ სიმართლედ გაისმის ნაწარმოებში.

სხვა სიმართლეს გვაუწყებს მუშლი, რომელიც, ვფიქრობ, ღიზიკოსთან და სხვებთან ერთად, რომანის ერთ-ერთ მთავარ გმირად იქცევა. მუშლთან ერთად თხრობაც მდორე ხდება და ზოგადად, მისი გამოჩენა შესაძლოა თხრობის შეუძლებლობასაც უკავშირდებოდეს. მის ადგილს, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ენაზე რომ ვთქვათ, დისკურსი იკავებს, განსჯა-მონოლოგები და ფაბულას, ერთი მხრივ, მუშლი აბუნდოვანებს, მეორე მხრივ კი პერსონაჟთა ანთებული ცნობიერება.

რომანში ყველგან მუშლია, სიზმარშიც და ცხადშიც, მუშლი ყრია სავარძელში, სარკმლის რაფაზე და იატაკზე, საწოლშიც და მაგიდაზეც, პურსაც მუშლი აყრია და ბალიშსაც. მუშლი "მსხვილი, დონდლო და წყლიანი... ავადმყოფური, მუშლი-რაკეტა. ბაქტერიომიდი... მუშლით გასქელებული და გაწებილი ჰაერი მდულარე ბადაგივით იბუშტება, ლივლივებს, ბრუნავს..." მუშლი დაფრინავს ყველგან, მთელ საქართველოს მუშლი დასტრიალებს, როგორც რამე სიდამპლეს, დემონსტრანტებსაც მუშლის უზარმაზარი ამაღლა მოჰყვება და მისი მოფარვატე სიყვითლე არტყია ყოველს.

მუშლის სიყვითლე, შესაძლოა თხრობის გარკვეული ფონიც ეგონოს კაცს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს. რომანში იგი თავის ფოლკლორულ ბუნებასაც ინარჩუნებს და ლიტერატურულ ხერხსაც წარმოადგენს, ანუ, როგორც ზემოთ გითხარით, იგი რაღაც აზრით ფარავს ამბავს, აბუნდოვანებს მას.

ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია, რომ თხრობაში ბუნდოვანების, ან მასთან დაკავშირებული მეტაფორების შემოსვლა, ე.წ. სასპენსიისთვის გვამზადებს. გვკარნახობს, რომ მალე კვანძი გაიხსნება. "გოდორში" კი კვანძის გახსნის ეს პროცესი განუწყვეტლივ ვადდება და სასპენსი თავლსა და ხელს შუა გეპარება, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს თავად რომანსაც მუშლი დასტრიალებს, იგი ფარავს მის სიტყვიერ ქსოვილსა და პერსონაჟთა ხმებს. მას ვერც აფხაზეთის ომის გრიალი ახშობს და ვერც მამის გვამზე, როგორც კვარცხლბეკზე შემდგარი ანტონის, უბიბილო და უდეზებო მამლის ყივილი.

სამწუხაროდ, მუშლის ეს ნისლოვანება ძნელი გასაფანტია, ავტორმაც ამ ნისლში ჩატოვა თავისი გმირები და ვერც ჩემი ეს წერილი აუხელს საბოლოოდ თავლებს ლიტერატურის მოყვარულებს. მე მხოლოდ ერთის იმედი მაქვს, რომ კიდევ ბევრი ქართველი მკითხველი შეაბიჯებს თამამად იმ სახიფათო ბურუსში, რომელსაც ოთარ ჭილაძის პროზა აჭკვია.

მალხაზ ხარბედია